კოლოქვიუმი

სახელი, გვარი: ჯონი კვინიკაძე

სადოქტორო პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

მუნიციპალიტეტების განვითარებაში მოქალაქეთა თანამონაწილეობის არსებული მექანიზმები და პრაქტიკა.

საკვლევი თემა და მისი აქტუალობის დასაბუთება

ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია საჯარო პოლიტიკაში (ცენტრალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე) მოქალაქეთა ჩართულობისა და ზოგადად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ხარისხი.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტურად განხორციელების მოკლე ისტორია და მცირე გამოცდილება არსებობს. ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციონირებაში და მუნიციპალიტეტების განვითარებაში მოქალაქეთა როლის გასაზრდელად, საჭიროა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი სოციალურად აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბდეს, რომლებსაც ეცოდინებათ თავისი უფლება-მოვალეობები, ექნებათ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ურთიერთნდობა, მობილიზაციის კარგი უნარი და შეეძლებათ ამ უნარების რეალიზება.

2014 წელს მიღებულ ადგილობრივი თვითმმართველობის ახალ კოდექსში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი მექანიზმები ცალკე თავით განისაზღვრა (დასახლების საერთო კრება, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო) და არსებული

მექანიზმები კიდევ უფრო დაიხვეწა (პეტიცია, წარმომადგენლობითი ორგანოების სხდომებში მონაწილეობა, თანამდებობის პირთა და საკრებულოს წევრთა ანგარიშების მოსმენა).

2017 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში: „საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება," რომელიც ერთობლივად მომზადდა კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის (CTC), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა (IDFI) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC) მიერ, ვკითხულობთ შემდეგს: „ზოგადი სამართლებრივი ჩარჩოს უზრუნველყოფის მიუხედავად, მონაწილეობის ხსენებული ფორმები მუნიციპალიტეტებში არაერთგვაროვნად დაინერგა. ამის რამდენიმე მიზეზი შეიძლება გამოიყოს: მუნიციპალიტეტების ტექნიკურ-მატერიალური შესაძლებლობების, გამოცდილებისა და პოლიტიკური ნების ნაკლებობა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობა, მზაობა და უნარები, ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებში და საკუთარი წვლილი შეიტანონ ადგილობრივი პრობლეების გადაწყვეტაში. ბოლო გამოკითხვების მიხედვით, მოსახლეობის მხოლოდ 7%-ია ინფორმირებული მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ.[1] ასევე, უმნიშვნელოა იმ ადამიანების რიცხვი, რომელთაც აქვთ ინფორმაცია ახლად დანერგილი მონაწილეობის მექანიზმების შესახებ."[2]

მოქალაქეთა მონაწილეობის შეფასებისას, კვლევის შედეგად განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა ისეთი კრიტერიუმების[3] მიხედვით, როგორიც არის:

- მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი პროგრამის არსებობა - 2%;

---

[1] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, *საჯარო პოლიტიკის კვლევა, 2015,* http://caucasusbarometer.org/ge/ti2015ge/LOCGOVTU/

[2] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, *საჯარო პოლიტიკის კვლევა, 2015,* http://caucasusbarometer.org/ge/ti2015ge/LOCGOVTU/

[3] თითოეული კრიტერიუმისთვის მაქსიმალური შესაძლო პროცენტი იყო - 100;

- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ საკუთარი ინიციატივით წარმოდგენილი რეკომენდაციების/ინიციატივების რაოდენობა - 10%;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთვის გამგებლის/მერის მიერ განსახილველად სავალდებულო დოკუმენტების/საკითხების წარდგენა - 12%;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მატერიალურ/ტექნიკური მხარდაჭერა - 14%;
- დასახლების საერთო კრების ფუნქციონირება - 10%;
- დასახლების საერთო კრებისთვის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსახილველად სავალდებულო საკითხების წარდგენა - 5%;
- მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე საჯარო განხილვების გამართვა - 14%;
- მუნიციპალიტეტის მიერ კანონმდებლობის მიღმა დადგენილი მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი[4] ფორმების გამოყენება - 6%;

[4] იგულისხმება მოქალაქეთა მონაწილეობის ისეთი ფორმა, რომელიც, სულ მცირე, კონსულტირების დონეს მაინც ითვალისწინებს. მოქალაქეთა დამატებითი მონაწილეობის ფორმები კანონის მიხედვით განსაზღვრული, როგორც მუნიციპალიტეტის შესაძლებლობა, გაამლიეროს მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობები თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.

ითვლება, რომ ჩართულობაზე ზეგავლენას ახდენს, ერთის მხრივ სისტემური პრობლემები, ანუ ფაქტორები ზევიდან, როგორიც არის არაეფექტური ფორმალური მექანიზმები ან მუნიციპალური ორგანოს მიერ მათი არასათანადოდ განხორციელება. მეორეს მხრივ არსებობს, ფაქტორები ქვევიდან, ანუ თავად სამოქალაქო სექტორში არსებული პრობლემები, როგორიცაა დაბალი ნდობა, გამოცდილების ნაკლებობა, ინფორმაციის ნაკლებობა.

„ზემოდან მომდინარე პრობლემები გამოწვეულია სახელმწიფო მოხელეების წინააღმდეგობით გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავებაში გარე აქტორების ჩართვის მიმართ და მათი სტრატეგიით, რომ გარემოსდაცვით აქტივისტებს პოლიტიკურად მიკერძოებული და პოლიტიკური ოპოზიციის მიერ კონტოლირებადი უწოდონ.

ქვევიდან მომდინარე პრობლემები დაკავშირებულია გარემოსდაცვითი აქტივისტების მხრიდან პოლიტიკის ადვოკატირების შეზღუდული შესაძლებლობებით, როგორც სტრატეგიული მრავალფეროვნების, ასევე ფაქტებზე დაფუძნებული მტკიცებულებების ნაკლებობის თვალსაზრისით.“ ლია წულაძე, ნანა მაჭარაშვილი და ქეთევან ფაჩულია (2017): "SOS თბილისი, პოსტკომუნიზმის პრობლემები.”

საქართველოში, დაბალი თანამონაწილეობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია სოციო-ეკონომიკური კონტექსტი. როგორც ლია წულაძის, ნანა მაჭარაშვილისა და ქეთევან ფაჩულიას კვლევაში „SOS Tbilisi” ერთ-ერთი აქტივისტი ამბობს „როდესაც შენს შვილებს შიათ, შენი მთავარი საზრუნავი არის მათი გამოკვება და არა შენ ქუჩაზე მდგარი ხეების დაცვა, რომლებიც შეიძლება მოჭრან.“

დაახლოებით იგივე თვალსაზრისს იზიარებენ ჩერილ სიმრელ კინგი, კატრინ მ. ფელტი და ბრიჯეტ ო’ნეილ სუზელი (Cheryl Simrell King, Kathryn M. Feltey and Bridget O’Neill Susel), რომელთა მიხედვით, დაბალი მონაწილეობის სამი მთავარი მიზეზის

გამოკვეთა შეიძლება: 1. ადმინისტრატორები; 2. მოქალაქეები/აქტივისტები და 3.სტრუქტურები/პროცესები/რეგულაციები).

ზემოთ ნახსენები სამი შემაფერხებელი მიზეზის ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თანამონაწილეობის ადექვატური მექანიზმები შეირჩეს და ეფექტურად განხორციელდეს.

სამოქალაქო აქტივიზმის დაბალი კულტურისა და გამოცდილების გამო, საქართველოში არის საფრთხე, რომ თანამონაწილეობითი მექანიზმები მხოლოდ ფორმალურად არსებობდნენ და პრაქტიკაში ეფექტურად არ ფუნქციონირებდნენ.
ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა იყოს თანამონაწილეობის ცუდად ორგანიზებული პროცესი.
საქართველოში თანამონაწილეობის სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური მექანიზმები არსებობს, რომლებიც სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში განსხვავებული ეფექტურობით ხორციელდება, განსხვავებულია, აგრეთვე მექანიზმების სახეებიც.
საქართველოს რეგიონების მიხედვით განსხვავებულია, აგრეთვე მოქალაქეთა ინფორმირებულობა და სამოქალაქო აქტივობა და შესაბამისად, რეალურ ცხოვრებაში კონკრეტული სოციალური პრობლემების გადაჭრის ერთობლივი, შეთანხმებული და მიზანზე მიმართული მოქმედების გამოცდილება.

სამოქალაქო ჩართულობის არსებული მექანიზმები, ხშირ შემთხვევაში არაეფექტურად ხორციელდება. მაგალითად, ზოგ შემთხვევაში, დაგვიანებით, პოსტფაქტუმ ხდება მოქალაქეთა ჩართვა და ეს ხელს არ უწყობს თანამშრომლობითი გარემოს შექმნას. ჩერილ სიმრელ კინგი, კატრინ მ. ფელტი და ბრიჯეტ ო'ნეილ სუზელი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ: - "თუ საზოგადოებასთან წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგით მიხვალ, ეს არ მუშაობს. ერთ-ერთი აქტივისტი აცხადებს "მე ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს იმის შესაძლებლობა

მიეცეთ, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე საკუთარი აზრი დააფიქსირონ. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო იმისთვის, რომ არსებული ინფორმაცია გადაამუშაონ. რეალურად, საკმაოდ ხშირად, ადგილი აქვს ფორმალურ, ყალბ თანამონაწილეობას.“ „თანამონაწილეობის საკითხები: საჯარო ადმინისტრირების საკითხებში ნამდვილი საზოგადოებრივი თანამონაწილეობისკენ“, ჩერილ სიმრელ კინგი, კატრინ მ. ფელტი და ბრიჯეტ ო’ნეილ სუზელი.

სამოქალაქო ჩართულობის სწორად შერჩეულმა და განხორციელებულმა მექანიზმებმა უნდა უზრუნველყოს უკეთესი ალტერნატივების გაჩენა და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება, რომლებშიც აისახება ადგილობრივი მაცხოვრებლების საჭიროებები და ფასეულობები და რომელთაც ყველა დაინტერესებული პირის მხარდაჭერა ექნება. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილეობის ნებისმიერი პროცესი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებასთან და წინ უნდა უძღოდეს მას. ამასთან დაკავშირებით, ჯეიმს კრეიტონი აღნიშნავს:
საზოგადოების მონაწილეობა სრულად უნდა იყოს ინტეგრირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საზოგადოების თანამონაწილეობა, რომელიც არ არის გადაწყვეტილების მიღების პროცესის ინტეგრირებული ნაწილი, დროის ფუჭი კარგვაა, როგორც ორგანიზაციისთვის, ასევე საზოგადოებისთვის ". (თანამონაწილეობის სახელმძრვანელო, 2005, ავტორი ჯეიმს ლ. კრეიტონი).

სამოქალაქო აქტივიზმისა და მობილიზაციისთვის საჭირო ინსტრუმენტებისა და მექანიზმების არცოდნა და პრაქტიკული გამოყენების გამოცდილების ნაკლებობა ხელს არ უწყობს, აგრეთვე, სამოქალაქო პროტესტის გრძელვადიან და სტაბილურ ხასიათს, შესაბამისად ასეთ საპროტესტო აქტივობებს ხშირად ქაოტური ხასიათი აქვთ და დასახული მიზნის მიღწევა უჭირთ. თავის ერთობლივ პუბლიკაციაში, ლია წულაძე, ნანა მაჭარაშვილი და ქეთევან ფაჩულია აღნიშნავენ: "შიდა მობილიზაციის ნაკლებობის გარდა, აქტივისტები ხაზს უსვამენ საზოგადოებრივი მობილიზაციის

პრობლემებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, რადგან მათ არ ძალუძთ, თავდაპირველი ფართომასშტაბიანი პროტესტის შენარჩუნება, საბოლოო ჯამში ის მთავრდება საკმაოდ მცირე რეაქტიული ქმედებებით, სადაც საზოგადოების ჩართულობა მინიმალურია. „პარტიზანი მებაღეების“ წარმომადგენლის განცხადებით, "საქართველოში ფართო საზოგადოების მობილიზაციის რეალური პრობლემაა, რაც ნამდვილ გამოწვევად იქცა, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა, [მთავრობა, საზოგადოება] ნებისმიერი საკითხის მნიშვნელობას ადამიანთა რაოდენობის მიხედვით ზომავს.“ თანამონაწილეობის სხვადასხვა საშუალებების გაერთიანების ნაცვლად, მაგ.: მედია კამპანია, კონსულტაცია, ლობირება და ქუჩის აქტივობა, ორივე შემთხვევაში აქტივისტების ადვოკატირების სტრატეგია შემოიფარგლება ქუჩის აქტიურობით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მონაწილეობის არატრადიციული ფორმების დომინანტობას. "

ხშირ შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმები ვერ უზრუნველყობს რეალურ თანამონაწილეობას. ჩერილ სიმრელ კინგი, კატრინ მ. ფელტი და ბრიჯეტ ო'ნეილ სუზელი თავის პუბლიკაციაში წერენ: საზოგადოების მონაწილეობის პროცესებში ოთხი ძირითადი კომპონენტია: (1) საკითხი ან სიტუაცია; (2) ადმინისტრაციული სტრუქტურები, სისტემები და პროცესები, რომელთა ფარგლებშიც მონაწილეობითი პროცესები მიმდინარეობს; (3) ადმინისტრატორები; და (4) მოქალაქეები. დღესდღეობით ითვლება, რომ მონაწილეობითი ძალისხმევა ამ ოთხი კომპონენტის ირგვლივ იყრის თავს. მოქალაქე მოთავსებულია ყველაზე დიდი დაშორებით განსახილველი საკითხისგან, ადმინისტრაციული სტრუქტურები და პროცესები ყველაზე ახლოს, ხოლო ადმინისტრატორი ასრულებს აგენტის როლს სტრუქტურებსა და მოქალაქეებს შორის. „თანამონაწილეობის საკითხები: საჯარო ადმინისტრირების საკითხებში ნამდვილი საზოგადოებრივი თანამონაწილეობისკენ“, ჩერილ სიმრელ კინგი, კატრინ მ. ფელტი და ბრიჯეტ ო'ნეილ სუზელი.

საქართველოში, ინდივიდუალურ დონეზე სამოქალაქო აქტივიზმის დაბალი კულტურისა და გამოცდილების გათვალისწინებით, დიდი როლი შეიძლება შეასრულოს ორგანიზებულმა ძალისხმევამ, რაც ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ორგანიზაციების ფუნქციონირებით გამოიხატება, როგორებიც არიან ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები - ე.წ. ლაგ-ები (Local Action Groups), საინიციატივო ჯგუფები, ა(ა)იპ-ები და სხვ, რომლებიც სათემო ორგანიზაციების ქსელს ქმნიან.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში სათემო ორგანიზაციების ქსელი სხვადასხვა დონეზე არის განვითარებული, როგორც ორგანიზაციული წარმონაქმნების რაოდენობის, ასევე მათი სტრუქტურის, ფორმისა და სხვა თავისებურებების მიხედვით.

თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მათ ძალისხმევას, რომ ორგანიზებული სახე მისცენ მუნიციპალიტეტის განვითარებაში სამოქალაქო თანამონაწილეობის გაზრდას, აფერხებს ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, ზოგადად დაბალი ნდობის ხარისხია.

ამას ადასტურებს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის მიერ ჩატარებული კვლევა - „საბაზისო კვლევის, მოსახლეობის გამოკითხვის და ბიზნესების კვლევის ანგარიში“, რომელშიც ვკითხულობთ: მოსახლეობის მხოლოდ 28% აფიქსირებს ნდობას არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. მხოლოდ 7% აცხადებს, რომ სრულად ენდობა მათ, დანარჩენი 21% - ნაწილობრივ ენდობა. თვალშისაცემია, რომ სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ნდობის შეფასება უჭირს მოსახლეობას ყველაზე მეტად - 17%-ს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაშინ როდესაც მხოლოდ 3%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რამდენად ენდობიან ისინი პარლამენტს. გარკვეულწილად, ეს შეიძლება იმაზეც მიგვანიშნებდეს, რომ ხალხს არ აქვს ნათელი წარმოდგენა ამ ინსტიტუციის შესახებ.

შესაბამისად, საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება, ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით და საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით გავაანალიზოთ, რამდენად ადექვატურია საქართველოში დღეს არსებული თანამონაწილეობის არსებული ფორმალური და არაფორმალური მექანიზმები/ინსტრუმენტები/მიდგომები და რამდენად ეფექტურად უწყობენ ხელს მუნიციპალური ორგანოს წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და/ან სხვადასხვა ტიპის სათემო განვითარების პროექტები მათ განხორციელებას.

კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები (საჭიროების შემთხვევაში).

კვლევა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტების ფუნქციონირებასა და განვითარებაში მოქალაქეთა თანამონაწილეობის არსებული ფორმალური და არაფორმალური შესაძლებლობების, მექანიზმებისა და პრაქტიკების შესწავლას, რომლებიც გათვალისწინებულია როგორც დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების, ასევე განხორციელების მონიტორინგის ეტაპებისთვის.

კვლევა ასახავს საქართველოს 4 მუნიციპალიტეტში: რუსთავი, გორი, ლაგოდეხი და ხელვაჩაური, 2016, 2017 და 2018 წლის პირველ ნახევარში (30 ივნისის ჩათვლით) მოქალაქეთა თანამონაწილეობის გამოცდილებასა და პრაქტიკას.

კვლევისათვის აღნიშნული მუნიციპალიტეტების შერჩევას საფუძვლად დაედო 2017 წელს გამოქვეყნებული კვლევა: „საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება“, რომლის ფარგლებშიც შესწავლილი იქნა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი და შედგა მათი რეიტინგი სამი ძირითადი მახასიათებლის ჯამური მაჩვენებლით. ეს მაჩვენებლებია: 1. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება; 2. ელექტრონული მმართველობა; და 3. მოქალაქეთა მონაწილეობა და

ანგარიშვალდებულება. მუნიციპალიტეტების რეიტინგი შედგებოდა 100 %-იანი შკალისგან, სადაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ერგო ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს - 50%; შედარების მიზნებისთვის რეიტინგიდან ავირჩიეთ მსგავსი ურბანული ტიპის მუნიციპალიტეტი, რომელსაც გაცილებით დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა და ასეთი იყო გორის[5] მუნიციპალიტეტი - 29%.

კვლევის შემდეგი 2 მუნიციპალიტეტი იმ ნიშნით შეირჩა, რომ ურბანულად ნაკლებად განვითარებული ყოფილიყვნენ და ამავე დროს, რეიტინგში განსხვავებული პოზიციები ჰქონოდათ. ასეთი აღმოჩნდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი - 39%-ით და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - 21%.

ამასთანავე, ლაგოდეხისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები სხვა ნიშნითაც გამოირჩევიან.

ლაგოდეხის შემთხვევაში საინტერესო იქნება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „სოფლის განვითარების მოდელების სრულყოფა საქართველოში“- შედეგების შეფასება, რომელიც 2015 წლიდან ლაგოდეხის, ბორჯომისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში საპილოტე მიზნებით ხორციელდება. პროექტი ეფუძნება ევროპული ლიდერ (LEADER) პროგრამის პრინციპებს. LEADER-ის მიდგომის გამოყენების დროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფები ე.წ. LAG-ები (Local Action Groups) იყენებენ ადგილობრივ რესურსებს, რათა განსაზღვრონ პრიორიტეტები და საჭიროებები ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის საშუალებით. ეს მიდგომა მხარს უჭერს და აფინანსებს საგრანტო განაცხადებს ადგილობრივი თემებისა და ეკონომიკური განვითარებისთვის.

ხოლო, ხელვაჩაურის შემთხვევაში ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის ინიციატივით, აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში ე.წ. ამაგ-ები შეიქმნა. ამაგ-ი (აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანება) წარმოადგენს სოფელში მცხოვრებ აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფს,

[5] ზემოაღნიშნული კვლევის ჩატარების პერიოდში, გორის მუნიციპალიტეტი ქალაქის სტატუსით სარგებლობდა

რომლებსაც ენდობა მოსახლეობა და მათ ხელისუფლების წინაშე უნდა მიიტანონ ის საჭიროებები, რაც მოსახლეობის წინაშე დგას, ეს არის ეფექტური საშუალება ხელისუფლებამ, ყოველგვარი ბარიერების გარეშე, იქონიოს კომუნიკაცია მოსახლეობასთან და პირველწყაროდან მიიღოს საჭიროების ჩამონათვალი.

ისევე, როგორც ლაგ-ების შემთხვევაში, ამაგ-ების შემადგენლობაშიც შედიან საჯარო სექტორის წარმომადგენლები და სწორედ ეს ითვლება წარმატების ერთ-ერთ საფუძვლად.

გეგმის მიხედვით, ამაგ-ის წევრებიდან წამოსულ იდეებსა და საჭიროებებს, რომლებიც მუნიციპალიტეტებისა და სოფლების მიხედვით სპეციფიკურია, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მომდევნო წლის ბიუჯეტის ფორმირებისას გაითვალისწინებს.

ერთ-ერთი მთავარი კითხვები, რასაც კვლევამ უნდა უპასუხოს არის, თუ რამდენად შეესაბამება სამოქალაქო თანამონაწილეობის მექანიზმები და ფორმები მის მიზნებს? და როგორი ტიპის ორგანიზაციები და როგორი ტიპის საქმიანობები/პროექტები (მაგ. თანამონაწილეობითი დაგეგმვა, ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და სხვ.) უწყობს ხელს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას ყველაზე ეფექტურად?

მთავარი დაშვება, რომლის გადამოწმებასაც კვლევა შეეცდება, ასე ჟღერს: არასათანადოდ შერჩეული და არაეფექტურად განხორციელებული ფორმალური და არაფორმალური თანამონაწილეობით მექანიზმები აფერხებს მუნიციპალიტეტების განვითარებაში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის გაზრდას.

კვლევა შეეცდება აღწეროს, რამდენად ადექვატურად ხდება თანამონაწილეობის გაზრდაზე მიმართული მექანიზმებისა და პროექტების შერჩევა, როგორ იგეგმება და

რამდენად ეფექტურად ხორციელდება ისინი ჯეიმს ლ. კრეიტონის[6] სისტემაში აღწერილი თანამონაწილეობის საუკეთესო პრაქტიკების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ჯეიმს კრეიტონი „თანამონაწილეობის სახელმძღვანელო", 2005.

კვლევის მიმდინარეობისას მოხდება დაკვირვება, თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება ის ფორმალური მექანიზმები, რომლებიც თანამონაწილეობის გაზრდას ისახავენ მიზნად. აგრეთვე, გაანალიზდება სხვადასხვა განხორციელებული პროექტები, რომლებიც თანამონაწილეობის გაზრდას ისახავდნენ მიზნად.
შეგროვებული ფაქტობრივი მონაცემებისა და ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე მოხდება იმ ფაქტორების გამოვლენა, რის გამოც აღნიშნული ოთხი მუნიციპალიტეტი საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასების[7] მიერ შედგენილ რეიტინგში ძალიან განსხვავებულ ადგილებს იკავებენ. აგრეთვე, იმ მიზეზების აღწერა/გაანალიზება, რაც ზოგადად აფერხებს მოქალაქეთა უფრო აქტიურ თანამონაწილეობას და ამცირებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის შესაძლებლობას.

ამ თვალსაზრისით, საინტერესო იქნება იმ თანამედროვე ტენდენციების მიმოხილვა, რომლებიც სათემო მონაწილეობის გასაზრდელად სხვადასხვა სახის ორგანიზებულ ძალისხმევას გულისხმობს. მათ შორის აღსანიშნავია ლაგ-ები, რომელთა ჩამოყალიბება და ეფექტურად ფუნქციონირება, ადგილობრივი დემოკრატიის გასაზრდელად ევროკავშირის[8] ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინსტრუმენტია.

[6] ჯეიმს ლ. კრეიტონი აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტის საპატიო წევრია და აღიარებულია როგორც ყველაზე ეფექტური საზოგადოებრივი მონაწილეობის მექანიზმებისა და სისტემების შექმნის ექსპერტი
[7] www.lsgindex.org
[8] https://enrd.ec.europa.eu/leader-clld/lag-database_en

თანამონაწილეობის დონის გასაზრდელად, აგრეთვე, მნიშვნელოვანია, რომ ისეთი მექანიზმები და ინსტრუმენტები შეირჩეს, რომლებიც ითვალისწინებენ ადგილობრივ თავისებურებებს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი იქნება, გაანალიზდეს ადგილობრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღებაში თემის ორგანიზებული მონაწილეობის ქართული გამოცდილება[9].

ორგანიზაციული ფორმების არსებობა, ასოციაციების ქსელის არსებობა და მათში წევრობა რამდენად უწყობს ხელს მოქალაქეთა ინფორმირებულობას მუნიციპალიტეტის განვითარების საკითხებზე და რაიმე ფორმით მონაწილეობას? კონკრეტულად როგორი ორგანიზაციული ფორმების არსებობა?
კვლევა დააკვირდება, შერჩეულ მუნიციპალიტეტებში, ერთის მხრივ, მოქალაქეთა თანამონაწილეობის ფორმალური, კანონით სავალდებულო მექანიზმები რამდენად აკმაყოფილებენ თანამონაწილეობის საუკეთესო პრაქტიკით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. და მეორეს მხრივ, იგივე მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა სამოქალაქო ორგანიზაციული წარმონაქმნები, ასოციაციები და მათი ქსელი თავიანთ საქმიანობებში, ასევე, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროექტები, რომლებიც თანამონაწილეობის გაზრდას ისახავენ მიზნად, რამდენად ეფექტურად იყენებენ შესაბამის ინსტრუმენტებსა და მექანიზმებს

კვლევის მიზანი ძირითადად სამი ამოცანისგან შედგება:
<u>პირველ ამოცანა:</u> კვლევა აღწერს და შეაფასებს, მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, რამდენად ადექვატურად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და რამდენად ეფექტურად ხორციელდება ის ფორმალური, კანონმდებლობით განსაზღვრული მექანიზმები, რომლებმაც საქართველოს მუნიციპალიტეტების მართვაში მოქალაქეების ჩართულობა უნდა უზრუნველყონ. აქ

[9] განვიხილავთ სათემო თანამონაწილეობის საქართველოში არსებულ ისტორიულ გამოცდილებას ანა მარგველაშვილის პუბლიკაციიდან „თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში, საბჭოთა ოკუპაციამდე

იგულისხმება, როგორც ნორმატიული აქტებით სავალდებულოდ განსაზღვრული მონაწილეობის ფორმები (მაგ., სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, დასახლების საერთო კრება), ასევე საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობა და სხვა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 2014 წელს ცვლილებები შევიდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში და ჩართულობის ახალი შესაძლებლობები გაიწერა. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ასევე, 2017 წელს.

<u>**მეორე ამოცანა:**</u> კვლევა აღწერს და შეაფასებს რამდენად ეხმარება მოქალაქეებს ჩართულობაში და ზეგავლენის პოტენციალის ზრდაში ორგანიზებული ფორმით მონაწილეობა, ანუ ადგილზე ორგანიზებული ჯგუფების (ააიპ და ლაგ-ები და სხვ.) არსებობა და თემის მობილიზაციაზე მიმართული სხვადასხვა ტიპის პროექტები.

ჩართულობისა და ზეგავლენის პოტენციალის გაზრდაში იგულისხმება ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს უწობენ მაგალითად, შედგენილი პეტიციების ოდენობის მატებას, მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტის ან/და ცალკეული ინფრასტრუქტურულ პროექტის განხილვაში მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობის მატებას და ფორმის დახვეწას.

ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობისა და პროექტების განხორციელების შესაძლო შედეგები შეიძლება იყოს: ტრენინგები; ბროშურების დარიგება; შეხვედრის ადგილების გამოყოფა და შეხვედრის ფასილიტაცია; სატელევიზიო და რადიო დისკუსიების ხელშეწყობა; სოციალური ვიდეო-რგოლები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში ჩართულობის წასახალისებლად და ზოგადად, მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებაში მონაწილეობისთვის;

ასევე, მაგალითად თუ გამოიცა მუნიციპალიტეტის გზამკვლევი, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის ინფორმირებას მუნიციპალიტეტის სტრუქტურის, მისი არსისა

და ფუნქციების შესახებ. გარდა ამისა, მოსახლეობას აქვს დეტალური ინფორმაცია კონკრეტული საკითხების მოსაგვარებლად ვის და როგორ მიმართოს.

ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობისა და განხორციელებული პროექტების ეფექტურობის ერთ-ერთი საზომი შეიძლება იყოს აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფების შექმნა, რომლებიც ადგილობრივი პრობლემების წარმოჩენა-მოგვარების საკითხებზე იმუშავებენ. რითიც, ერთის მხრივ წვლილს შეიტანენ არსებული პრობლემების სწორად განსაზღვრასა და მოგვარებაში, და მეორეს მხრივ, ხეს შეუწყობენ მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობას.

მონაცემთა მოპოვებისა და დამუშავების პროცესში, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება საუკეთესო პრაქტიკების გამოვლენაზე, ანუ იმ შემთხვევებზე, როდესაც მოქალაქეთა ინდივიდუალურმა და/ან ორგანიზებულმა ძალისხმევამ რეალური შედეგი გამოიღო მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის თვალსაზრისით. კვლევა შეეცდება დეტალურად ახსნას და გააანალიზოს თითოეული ასეთი წარმატებული შემთხვევის უკან მდგომი თავისებურებები, რაც შეიძლება გახდეს, პრაქტიკული რეკომენდაციებისა და ახალი თეორიული ცოდნის საფუძველი.

ახალი ცოდნის გამოვლენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იქნება სამოქალაქო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების თვალით დანახული წინაღობები და მათი გადალახვის გზები მოქალაქეთა ეფექტური მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით.

კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა:

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციონირებაში ჩართულობასთან დაკავშირებით სამოქალაქო აქტივიზმის ხარისხისა და გამოცდილების შესაფასებლად არა ერთი კვლევა ჩატარდა, რომლებიც პრობლემის აღწერას და საკითხის შესწავლას სხვადასხვა კუთხით ცდილობდნენ.

მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ 2009 წელს ჩატარებული კვლევა „მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობაში“ სწავლობს ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო გარემოს, რომელიც არეგულირებს ჩართულობის, საჯაროობისა და ანგარიშვალდებულების საკითხებს. აგრეთვე, მოსახლეობის ჩართულობისა და თვითმმართველობების ანგარიშვალდებულების ხარისხს. ასახავს დონორების როლს და შეიმუშავებს პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო რეკომენდაციებს.

აღსანიშნავია, 2017 წელს გამოქვეყნებული კვლევა: „ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი“, რომელიც ერთობლივად მომზადდა კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის (CTC), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა (IDFI) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC) მიერ. კვლევა აქცენტს აკეთებს ადგილობრივ თვითმმართველობებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხის შეფასებაზე და არსებული პრობლემების გათვალისწინებით შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი შედგება 3 თემატური ბლოკისგან, რომელიც შეფასების 100 კრიტერიუმს აერთიანებს.

ბლოკი 1. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება - მოიცავს 11 ქვებლოკსა და 52 კრიტერიუმს.

ბლოკი 2. ელექტრონული მმართველობა - მოიცავს 4 ქვებლოკსა და 29 კრიტერიუმს.

ბლოკი 3. მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება - მოიცავს 2 ბლოკსა და 19 კრიტერიუმს.

კვლევის პროცესში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, რომელსაც კვლევა დაეყრდნობა არის ჯეიმს ლ. კრეიტონის ნაშრომი „თანამონაწილეობის სახელმძღვანელო".

ჯეიმს კრეიტონი თავის ნაშრომში, თანამონაწილეობის ოთხ ძირითად მიზანს და მიდგომას გამოჰყობს:

1. საზოგადოების ინფორმირება;
2. საზოგადოებისთვის მოსმენა;
3. პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობა;
4. შეთანხმების მიღწევა.

იქიდან გამომდინარე, თუ რომელ მიზანს ემსახურება ამ თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში თანამონაწილეობა, შესაბამისი მექანიზმები და ტექნიკები უნდა იქნეს გამოყენებული.

კრეიტონი თვლის, რომ თანამონაწილეობის ნებისმიერი პროცესი იშვიათად შედგება მხოლოდ ერთი აქტივობისაგან, არამედ მიზნიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე სასურველია სხვადასხვა აქტივობების შესაბამისი კომბინაცია შეირჩეს. ქვემოთ არის აქტივობების ჩამონათვალი, რომლებიც მისი აზრით ყველაზე მეტად გავრცელებულია:

- პოლიტიკის კომიტეტი, რომელიც წარმოდგენილია ყველა ძირითადი სამთავრობო ორგანიზაციით, რომლებიც პროცესის მონიტორინგს ეწევიან;
- ტექნიკური კომიტეტი, რომელშიც შედიან, როგორც საჯარო სექტორის, ასევე ორგანიზებული ჯგუფების ტექნიკურად კვალიფიციური წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ მეთოდოლოგიურ საკითხებზე;
- გუბერნატორის მიერ დანიშნული სამოქალაქო მრჩეველთა კომიტეტი;
- საჯარო სემინარები ფართო საზოგადოებისათვის;

თანამონაწილეობის სხვადასხვა სახეები აღწერილია ელინ ა. დე როოისა დ ტიმ რეეკსენსის ნაშრომში „ტრადიციული და არატრადიციული პოლიტიკური მონაწილეობა", რომელშიც ვკითხულობთ: „აქედან გამომდინარე, ტრადიციული და არატრადიციული სამოქალაქო მონაწილეობის ჩვენეული განსაზღვრა ეფუძნება არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობების რეჟიმებს სახელმწიფო ინსტიტუტებთან და ასევე, როგორც ფორმალურ და არაფორმალურ აქტორებთან.

ჩერილ სიმრელ კინგი, კატრინ მ. ფელტი და ბრიჯეტ ო'ნეილ სუზელი, 1998 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „თანამონაწილეობის საკითხები: საჯარო ადმინისტრირების საკითხებში ნამდვილი საზოგადოებრივი თანამონაწილეობისკენ", ნამდვილი თანამონაწილეობის მიღწევის გზაზე სამი ძირითადი კატეგორიის ბარიერს გამოყოფენ:

- ცხოვრების სტილი თანამედროვე საზოგადოებაში - ბარიერები, რომლებიც გამომდინარეობს პრაქტიკული რეალობებიდან;
- ადმინისტრაციული პროცესები;
- • მონაწილეობის თანამედროვე პრაქტიკები და ტექნიკები.

ჯონ და პაულინ გრეისები თავის წიგნში “თანამონაწილეობის სახელმძღვანელო” ამბობს: „მონაწილეობა, როგორც ასეთი, არ არის მიზანი ან პრინციპული ამოცანა, არამედ არის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს ცხოვრების, საზოგადოების შეცვლას.

საზოგადოებრივი მონაწილეობა, რომელიც არ არის გადაწყვეტილების მიღების პროცესის ინტეგრირებული ნაწილი, დროის ფლანგვაა, როგორც ორგანიზაციის, ისე საზოგადოებისთვის. სანამ ვინმეს ვთხოვთ, რომ დრო დახარჯოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობისთვის, ჩვენ ვალდებულნი ვართ, რომ მათ საშუალება მივცეთ, რომ პროცესში მათვის სასურველ დროს და ფორმით მიიღონ მონაწილეობა და რეალური გავლენის შესაძლებლობა ჰქონდეს.

ამ მთავარი წინაპირობიდან გამომდინარე, ჯეიმს კრეიტონმა შეადგინა სისტემა, რომელიც განსაზღვრული ნაბჯების ერთობლიობისგან შედგება და რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამონაწილეობის პროცესი ეფექტურად იქნა დაგეგმილი.

მისი სისტემის მიხედვით, თანამონაწილეობის გეგმის შედგენის პროცესში უნდა გავიაროთ სამი ძირითადი ეტაპი: 1. <u>გადაწყვეტილების ანალიზი; 2. პროცესის დაგეგმვა; და 3. განხორციელების</u> დაგეგმვა, რომლებიც თავის მხრივ რიგი ნაბიჯებისგან შედგება:

გადაწყვეტილების ანალიზი

ნაბიჯი 1: გადაწყვეტილება იმის თაობაზე თუ, ვინ იქნება ჩართული გადაწყვეტილების ანალიზში;

ნაბიჯი 2: მკაფიოდ გამოიკვეთოს ვინ იქნება გადაწყვეტილების მიმღები;

ნაბიჯი 3: განიმარტოს რა სახის გადაწყვეტილება იქნება მიღებული ან პრობლემას პასუხობს ის;

ნაბიჯი 4: განისაზღვროს გადაწყვეტილების მიღების ეტაპები და ამ ეტაპების განრიგი;

ნაბიჯი 5: მოხდეს იმ ინსტიტუციური შეზღუდვებისა სპეციალური გარემოებების იდენტიფიცირება, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ საზოგადოების მონაწილეობის პროცესზე;

ნაბიჯი 6: გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა საზოგადოების მონაწილეობის საჭიროება და, თუ არის, მაშინ რა ინტენსივობით.

პროცესის დაგეგმვა

• გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა იყოს დაგეგმვის გუნდში;

• დაინტერესებული მხარეების, და ასევე პოტენციური საკითხებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება;

• წინააღმდეგობების სავარაუდო დონის შეფასება;

• საზოგადოების მონაწილეობის მიზნების განსაზღვრა;

• ინფორმაციის გაცვლის ანალიზი;

• სპეციალური მოსაზრებების იდენტიფიცირება,, რომლებიც გავლენას ახდენს ტექნიკის შერჩევაზე;

• საჯარო მონაწილეობის ტექნიკების შერჩევა;

• საზოგადოების მონაწილეობის გეგმის მომზადება.

განხორციელების დაგეგმვა

- განხორციელების ორგანიზება

კრეიტონი თავის ნაშრომში მიმოიხილავს აგრეთვე, თანამონაწილეობის ტექნიკებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც უნდა იყოს გამოყენებული, როგორც მოსახლეობისთვის რაიმე ინფორმაციის მისაწოდებლად, ასევე მათგან მოსაზრებებისა და ინფორმაციის შესაგროვებლად. განხილულია, აგრეთვე თანამონაწილეობით შეხვედრების ეფექტურად დასაგეგმად საჭირო ინსტრუმენტები.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად ეხმარება ორგანიზებული ფორმით მონაწილეობა მოქალაქეებს თანამონაწილეობის გაზრდაში, სხვადასხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნებთან ერთად დეტალურად იქნება განხილული ე.წ. ლაგ-ების მოდელი (Local Action Groups), რომელიც საპილოტე პროექტების სახით 2015 წლიდან ლაგოდეხში, ბორჯომსა და ყაზბეგში ხორციელდება; კვლევა შეეცდება გააანალიზოს, რა წვლილი შეაქვთ ლაგ-ებს მუნიციპალიტეტის განვითარებაში და როგორ ზრუნავენ ადგილობრივი პრობლემების გამოვლენასა და გადაჭრაზე. რა ფორმით არსებობენ მსგავსი ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, მათი საქმიანობის გეგმები, ფორმები, მოდელები, სტრატეგიები. რატომ არიან წარმატებული ისინი სოფლის განვითარების სფეროში; როგორ უწყობენ ხელს ასეთი ჯგუფები სოფლის განვითარების ინოვაციური სტრატეგიების განხორციელებას;

ამ კონტექსტი, საინტერესო იქნება კვლევაში შერჩეული ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შედარება დანარჩენ 3 მუნიციპალიტეტთან.

ორგანიზებული ძალისხმევის ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია ამაგ-ების კონცეფცია, რომელიც 2016 წლიდან აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში ხორციელდება. ამაგ-ის ჩამოსაყალიბებლად ტენდერი ა(ა)იპ აგროსერვისცენტრმა 2016 წლის 20 სექტემბერს გამოაცხადა. სატენდერო პირობებით სერვისის მიმწოდებელს 45 ამაგი აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში უნდა ჩამოეყალიბებინა, რითაც ხუთი მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი უნდა მოეცვა (რიყეთის, დანისპარაულის, შუასოფელის, დიდი რიყეთისა და ბოძაურის გარდა, რადგანაც ამ სოფლებში აქტიურ მოქალაქეთა გაერთიანება „რიყეთის ამაგი“ 2015 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „ინტელექტმა“ დააფუძნა).

ტენდერში ააიპ „განვითარების აკადემიამ“ გაიმარჯვა და ხელშეკრულება 2016 წლის ოქტომბერში გაფორმდა.

„განვითარების აკადემიის“ პროექტების მენეჯერი ტიტე არუშიძე:[10] „ამაგის წევრების შესარჩევად პირველ ეტაპზე კითხვარები მომზადდა, გადავამზადეთ

[10] http://batumelebi.netgazeti.ge/news/75407/

მობილიზატორები, კოორდინატორები, სულ 80-მდე მობილიზატორი გვყავდა, სოფლის მოსახლეობის 60%-ზე მეტი წინასწარ მომზადებული კითხვარით გამოიკითხა, ამაგის ჩამოყალიბება ობიექტურად მოხდა, კანდიდატები არ იყო წინასწარ განსაზღვრული, მოსახლეობა იმას ასახელებდა, ვინც მისთვის მისაღები იყო, გამოკითხვის შემდეგ მოხდა ხმების გადათვლა, ამაგის ჩამოყალიბება პირველ მარტს დასრულდა".

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით[11], აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში შეიქმნა 45 ამაგ-ი, აქედან: 6 ამაგი ქედაში, 13 – ქობულეთში, 4 – შუახევში, 15 – ხელვაჩაურსა და 7 – ხულოს მუნიციპალიტეტში. 45 ამაგში 677 მოქალაქეა გაერთიანებული, 432 კაცი და 245 ქალი. ერთ ამაგში 15-20 მოქალაქე ერთიანდება. მოქალქეთა ოდენობა ამაგში სოფელში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობაზეა დამოკიდებული, ერთი ამაგი რამდენიმე სოფელსა და თემს მოიცავს

ზოგადად, ნებისმიერი პროექტის/პროგრამის ან პროცესის შეფასება საშუალებას გვაძლევს, რომ მომავალში მსგავსი აქტივობების დროს რაღაც გავაუმჯობესოთ. ასევეა, თანამონაწილეობის გაზრდაზე მიმართული საქმიანობების შემთხვევაშიც.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ როგორ უნდა შევაფასოთ ესა თუ ის თანამონაწილეობითი პროექტი/პროგრამა ან/და ღონისძიება. ამგვარი შეფასება ეფექტური რომ იყოს, პირველ რიგში მკაფიოდ უნდა განვსაზღვროთ, თუ რა კრიტერიუმებით ვაფასებთ თანამონაწილეობითი პროცესის წარმატებას/ეფექტურობას.

ასეთი შეფასების მიზნებისთვის, მსოფლიოს წამყვანი ექსპერტების მიერ, დღეს ძირითადად სამი მიდგომა გამოიყენება:

1. პირველი მიდგომის თანახმად, დაინტერესებული პირებისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ფასდება, თუ რამდენად მკაფიოდ ჰქონდათ მათ ჩამოყალიბებული თანამონაწილეობის მიზნები და ამოცანები და რამდენად თვლიან, რომ მიაღწიეს მათ;

[11] http://batumelebi.netgazeti.ge/news/75407/

2. კრეიტონის მიერ მოწოდებული მეორე მიდგომა ეყრდნობა ბრიტანელი მკვლევარების Lynn Frewer and Gene Marsh-ის მიერ ჩატარებულ კვლევას, რომლის შედეგადაც შემუშავდა კრიტერიუმების ნაკრები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში ჩაითვლება, რომ ესა თუ ის თანამონაწილეობითი პროცესი აკმაყოფილებს საუკეთესო პრაქტიკის მოთხოვნებს; შეფასების ამ მიდგომაში აქცენტი კეთდება თანამონაწილეობის პროცესის გამართულობაზე და თავის მხრივ, პროცესის გამართულობა ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- წარმომადგენლობითობა;
- ობიექტურობა/მიუკერძოებლობა;
- ადრეული ჩართულობა;
- პროცესის რეალური ზეგავლენა შედეგებზე;
- გამჭვირვალობა;
- საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა;
- თანამონაწილეობის არსისა და მასშტაბის მკაფიოდ განსაზღვრულობა;
- გადაწყვეტილების მიღების მკაფიო სტრუქტურა;
- ხარჯთ-ეფექტურობა

3. შეფასების მესამე მიდგომის მიხედვით, თანამონაწილეობით პროცესი წარმატებულად უნდა ჩაითვალოს თუ მას წვლილი შეაქვს სოციალური მიზნების მიღწევაში. ქვემოთ ჩამოთვლილია ხუთი ძირითადი სოციალური მიზანი, რომლებიც შემუშავებული იქნა ამერიკელი მკვლევარების თომას ს. ბეიერლის და ჯერი სეიფორდის მიერ 2002-ში:

მიზანი 1. საზოგადოების ღირებულებების გათვალისწინება გადაწყვეტილებების მიღებისას;

მიზანი 2. გადაწყვეტილებების არსებითი ხარისხის გაუმჯობესება;

მიზანი 3. კონფლიქტის მოგვარება დაპირისპირებულ ინტერესთა შორის;

მიზანი 4. ინსტიტუტების მიმართ ნდობის გაზრდა;

მიზანი 5. საზოგადოების განათლება და ინფორმირება.

მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები:

(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი.

კვლევა შედგება, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი ნაწილისგან და მოიცავს 2016, 2017 და 2018 წლის პირველ ნახევარს. აღნიშნული პერიოდი შერჩეული იქნა იმ მოსაზრებით, რომ 2016 წლიდან, საქართველოს ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ამოქმედდა სამოქალაქო მონაწილეობის ინოვაციური ფორმები. გარდა ამისა, 2014 და 2017 წლებში გარკვეული ცვლილებები შევიდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, მათ შორის თანამონაწილეობის შესაძლებლობებთან დაკავშირებით და საინტერესო იქნება დაკვირვება, ცვლილებებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, პრაქტიკაში რა განსხვავებები შეინიშნება.
კვლევისა და ანალიზისთვის საჭირო მონაცემთა მოსაძიებლად გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების განხორციელებულ პროექტთა და საქმიანობათა ანგარიშები. აგრეთვე, მუნიციპალიტეტის განვითარებაში მოქალაქეთა სხვადასხვა ფორმით მონაწილეობის დამადასტურებელი არსებული დოკუმენტაცია და შეხვედრების წერილობითი ჩანაწერები. ასევე, მოხდება ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების ჩაწერა შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეებთან და თვითმმართველობების წარმომადგენლებთან.

კვლევა აქცენტს გააკეთებს შემდეგი თემატური ბლოკების მიმოხილვაზე:

- სამთავრობო სისტემის ღიაობა - კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოქალაქეთა ჩართულობის ვალდებულებებსა და შესაძლებლობებს საერთოდ არ იცავენ, ფორმალურად იცავენ თუ ეფექტურად ახორციელებენ? ეფექტურობის საზომად აღებული იქნება ჯეიმს ლ. კრეიტონის სისტემის მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- თავად აქტივისტების შესაძლებლობები;
- სამოქალაქო აქტივიზმთან დაკავშირებულ ინტერესთა ჯგუფების შესაძლებლობები, გამოცდილება და მათ მიმართ ნდობის ხარისხი;

ოთხივე მუნიციპალიტეტში, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და შესაბამის დონორებთან კონსულტაციით გამოთხოვილი იქნება ინფორმაცია 2016-2017 წლებსა და 2018-ის პირველ ნახევარში მათ მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ, რომლებიც კავშირში იყვნენ თანამონაწილეობის ხელშეწყობასა და გაზრდასთან. აგრეთვე, იგივე ინფორმაცია მოთხოვნილი იქნება მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურებიდან.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეების მონაწილეობის პროცესის აღწერა გულისხმობს:

- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, დასახლების საერთო კრებისა და ცალკეულ მოქალაქეთა მხრიდან მუნიციპალიტეტისთვის განსახილველად გადაცემული სხვადასხვა ტიპის ინიციატივების რაოდენობა;
- ლაგოდეხის, ხელვაჩაურის, გორისა და რუსთავის მუნიციპალიტეტის/თვითმმარ-თველი ქალაქის საკრებულოს თითოეულმა წევრმა და გამგებელმა/მერმა რამდენი მოქალაქე მიიღო საკუთარ ოფისში 2016-2017 წლებსა და 2018 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში;
- რა იყო მოქალაქეების მხრიდან თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრის ძირითადი მოტივი: ა. სამუშაოზე მისი ან მისი ახლობლის მოწყობა; ბ. რაიმე სხვა პირადი საჭიროების დაკმაყოფილება; გ. რეგიონის ან რაიონის პრობლემასთან დაკავშირებით თხოვნა/შეთავაზება; დ. რეგიონის ან რაიონის პოლიტიკასთან ან პროგრამულ პრიორიტეტთან დაკავშირებით თხოვნა/შეთავაზება;
- რამდენი მოქალაქე დაესწრო მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტის ან/და ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვას და რამდენად აქტიურები იყვნენ მოქალაქეები.
- რეგიონებში გამოკითხულ რესპოდენტთა რა პროცენტმა იცის, რომ საკრებულოს სხდომები ღიაა და ნებისმიერ მსურველს აქვს მასზე დასწრების უფლება;
- რამდენმა გამოიყენა ეს უფლება და რა სიხშირით?;

- რეგიონებში გამოკითხულ რესპოდენტთა რა ნაწილმა იცის, რომ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების ნაწილს უფლება აქვს მოიწვიოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა;
- რამდენჯერ მოხდა ამ უფლების გამოყენება;

კვლევის თვისებრივ ნაწილში, მოქალაქეებთან, ადგილობრივი ა(ა)იპ-ების წარმომადგენლებთან, ადგილობრივ სათემო ლიდერებთან და თვითმმართველი ორგანოების წარმომადგენლებთან ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების მეშვეობით და ინტერვიუერთა მოსაზრებებზე დაყრდნობით, კვლევა შეეცდება აღწეროს და გააანალიზოს ის მიზეზები, რომელთა გამოც, თანამონაწილეობის ზოგიერთი მექანიზმი ეფექტურად უწყობს ხელს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას, ხოლო ზოგიერთი შედარებით ნაკლებად შედეგიანია.; შეხვედრების დროს რესპოდენტებს ეთხოვებათ, დაასახელონ თანამონაწილეობის ყველაზე ეფექტური შემთხვევები და აღწერონ წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები.

ოთხივე მუნიციპალიტეტის/თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის/მერიის აპარატის უფროსებისგან მოხდება კვლევისათვის საჭირო მონაცემების გამოთხოვა და მონაცემთა ბაზის შედგენა.

კვლევაში ჩართული 4 მუნიციპალიტეტი/თვითმმართველი ქალაქი რეგიონების მიხედვით

რეგიონი	**მუნიციპალიტეტი/თვითმმართველი ქალაქი**
კახეთი	ლაგოდეხი
აჭარა	ხელვაჩაური
ქვემო ქართლი	რუსთავი
შიდა ქართლი	გორი

რესპოდენტთა შერჩევა მოხდება შემდეგი პრინციპით:

მუნიციპალიტეტის მართვაში ჩართულობის ხარისხის გასაზომად ჩატარდება ინდივიდუალური, სტრუქტურირებული ინტერვიუები 3 მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობა/მერიის აპარატის შესაბამის თანამშრომელთან.

სათემო ლიდერებისა და აქტიური მოქალაქეების შერჩევა თითოეულ მუნიციპალიტეტში მოხდება თოვლის გუნდის პრინციპის გამოყენებით, რის შედეგადაც ყოველ მუნიციპალიტეტში (კვლევაში მონაწილე ოთხიდან) ჩაღრმავებული ინდივიდუალური ინტერვიუ ჩატარდება დაახლოებით 10 სათემო ლიდერსა და აქტიურ მოქალაქესთან. თითო მუნიციპალიტეტში ჩატარდება ერთი ფოკუს ჯგუფი 8-10 მონაწილის შემადგენლობით;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კონფლიქტების მართვისა და ანალიზის სადოქტორო პროგრამა
ანუკი აბრამიშვილი

სადოქტორო სემინარი

„კონფლიქტის მოგვარების ალტერნატიული გზა - დიალოგი კულტურის ენაზე“

თბილისი 2018

ანოტაცია

თანამედროვე სამყაროში უფრო და ოთრო საინტერესო და აქტუალური ხდება კონფლიქტების მოგვარების ახალი, ალტერნატიული გზების მოძიება და მათი საშუალებით დაპირისპირებული მხარეების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება. მას შემდეგ, რაც სხვადასხვა სახელმწიფოები გაეცნენ კულტურული დიალოგის არსს და მიიღეს ინფორმაცია ომის გარეშე, მშვიდობიანი თანაცხოვრების ფარგლებში, ნაკლები ფინანსების და დროის დანახარჯით, კონფლიქტების მოგვარების შესაძლებლობას, მათი ინტერესი ამ საკითხისადმი გაორმაგდა. თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს პასუხობს საქართველოც. აქედან გამომდინარე, ჩემი კვლევის საგანია, კულტურული დიალოგის საშუალებით კონფლიქტური სიტუაციების მართვა, ზოგადად კულტურის როლი აღნიშნულ ვითარებაში და ამ კუთხით მსოფლიო გამოცდილების შესწავლა. საინტერესოა, რომ ჩვენს ქვეყანასაც აქვს მრავალწლიანი გამოცდილება კულტურის ენაზე კონფლიქტების დარეგულირების, ეს ფაქტი არცაა გასაკვირი, რადგან საქართველოში არსებობს კონფლიქტური ზონები, უკანონო საზღვრები და ოკუპირებული ტერიტორიები. ამ ფონზე, წამყვანი სახელმწიფოების გამოცდილების გათვალისწინებით, კულტურის ენაზე დაწყებული კომუნიკაცია საზღვრების მიღმა დარჩენილ ხალხთან ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე ჩემი მიზანია, წარმოვაჩინო ის ხარვეზები და უპირატესობები, რომლებიც გააჩნია კულტურულ დიალოგს და აღვწერო ის საინტერესო გამოცდილება, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ისტორია ინახავს. აგრეთვე, საშუალება გვექნება პარალელი გავავლოთ სხვადასხვა სახელმწიფოებთან და ვისაუბროთ სამომავლო განვითარების პერსპექტივაზე. საკითხის ამომწურავად შესწავლისთვის, აუცილებლად მივიჩნიე საკვანძო ტერმინებისა და მოდელების სიღრმისეული გაშიფვრა, რასაც ნაშრომში დეტალურად იხილავთ.

Annotation

In the modern world more and more interesting and topical is finding new ways of conflict resolution and maximizing the interests of the opposing sides. After various states became acquainted with the cultural dialogue and received information without war, peaceful coexistence, less finances and time spent, the possibility of conflict resolution, their interest was doubled. Georgia also responds to the challenges of the modern world. Consequently, it is the subject of my research, through cultural dialogue, the management of conflict situations, the role of culture in this situation and the study of world experiences in this regard. It is interesting that our country has many years of experience in the language of conflict resolution, this fact is not surprising, as there are conflict zones, illegal borders and occupied territories in Georgia. Against this background, with the experience of leading s es, communicating in the language of culture is very important to people who are left beyond the boundaries. Also my goal is to present the shortcomings and advantages of cultural dialogue and to describe the interesting experience that our country keeps in history. We will also have a chance to draw parallels with different countries and talk about future prospects. In order to study the issue thoroughly, I consider the in-depth decoding of key terms and models, which you will find in detail in the work.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, კულტურული დიალოგი, კულტურული განსხვავებები, დავის მოგვარება, კულტურული ხიდი.

Key words: Conflict, Cultural dialogue, Cultural differences, Settlement of disputes, Cultural bridge.

სარჩევი

შესავალი..... 5

თავი I..... 6

ეთნოკონფლიქტები..... 6

1.1 ეთნოკონფლიქტების შემთხვევები..... 6

1.2 კულტურული სხვაობა..... 16

1.3 საყოველთაოდ ცნობილი კულტურული განსხვავებები..... 18

1.4 მონოქრონული და პოლიქრონული კულტურები..... 19

1.5 ანთროპოცენტრისტული და კოსმოცენტრისტული იდეოლოგია..... 20

1.6 კოლექტიური და ინდივიდუალური აზროვნების სტილი 20

თავი II..... 23

ინტერკულტურული დიალოგი..... 23

2.1 ინტერკულტურული დიალოგის პრობლემები და აქტუალურობა

თანამედროვე ეტაპზე..... 23

2.2 ინტერკულტურული დიალოგის ძირითადი პრინციპები..... 29

2.3 კულტურული დიალოგი..... 31

დასკვნა..... 43

გამოყენებული ლიტერატურა..... 44

შესავალი

კონფლიქტის მოგვარების მთავარ პირობებს წარმოადგენს მოთმინება, ტოლერანტობა, განსხვავებების აღიარება და გათავისება. სხვა კულტურების თავისებურებების შესწავლა გვეხმარება გავიგოთ მათი წარმომადგენლების მოტივაციები, მათი ზოგადი და დამახასიათებელი თვისებები, ისევე როგორც დიალოგის დაწყების გზა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს მაჰათმა განდის სიტყვებს: „ ვერც ერთი კულტურა ვერ იარსებებს, თუ ეცდება იყოს განსაკუთრებული“.

კონფლიქტების და დაძაბულობის პერიოდში, როგორც წესი, ხელოვნება თამაშობს მეორეხარისხოვან როლს, ვინაიდან ადამიანები ფოკუსირებული არიან ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე (საკვები, საცხოვრებელი, მედიკამენტები და დაცვა). მიუხედავად ამისა, შემოქმედება ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა როგორც მშვიდობის დროს, ისე კონფლიქტურ სიტუაციაში. მაგალითად, პაბლო პიკასოს ცნობილი ნახატი „გერნიკა“ შეიქმნა გერნიკის დაბომბვის, ესპანეთის 1931-1939 წლების რევოლუციის საშინელებების და ესპანეთის სამოქალაქო ომის საპასუხოდ.

ფართომასშტაბიანი კონფლიქტებისა და კატასტროფების შემდგომ, კულტურული მემკვიდრეობა ხდება საზოგადოების აღდგენის მძლავრი სიმბოლო და ინსტრუმენტი. მაგალითად, ვარშავის ძველი ქალაქის და ხიდის რეკონსტრუქცია და მისი შეტანა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტების სიაში იყო შერიგებისა და მეორე მსოფლიო ომის ჭრილობების მოშუშების მნიშვნელოვანი სიმბოლური აქტი. (https://www.ted.com)

ამავე მიზნით 1947 წელს სათავე დაედო ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალს. ყოველწლიურად ფესტივალს სტუმრობდა დაახლოებით 400 000 ადამიანი. გარდა ამისა, ის გახდა რამდენიმე სხვა ღონისძიების კატალიზატორი (ედინბურგის ფესტივალის ფარგლებში ხელოვნების ფესტივალი, ედინბურგის საერთაშორისო კინოფესტივალი, ედინბურგის საერთაშორისო წიგნის ფესტივალი), რამაც განაპირობა შოტლანდიაში ყოველწლიური წარმოების ზრდა 261 მილიონი ფუნტით და შემოსავლების ზრდა 82 მილიონი ფუნტით, გარდა ამისა, შეიქმნა დაახლოებით 5 000 სამუშაო ადგილი. ამგვარად, კულტურა ხელს უწყობს საერთაშორისო დიალოგს და წარმოადგენს კრეატიული ეკონომიკის შემადგენელ ნაწილს.

მუსიკამაც არაერთგზის შეუწყო ხელი კონფლიქტების მოგვარებას და კულტურული განსხვავებების აღიარებას. ცივი ომის პერიოდში ადგილი ჰქონდა აშშ-ს და საბჭოთა კავშირის ორკესტრების ორმხრივ ვიზიტებს; 1999 წელს დანიელ ბარენბოიმმა და ედუარდ საიდმა შექმნეს ორკესტრი "West-Eastern Divan" (დასავლეთ-აღმოსავლეთის), რომელმაც გააერთიანა არაბი და ებრაელი მუსიკოსები; 2008 წელს ნიუ -იორკის ფილარმონიამ კონცერტი გამართა ჩრდილოეთ კორეაში. (Suny, R.G, 2000)

თავი I

ეთნოკონფლიქტები

1.1 ეთნოკონფლიქტების შემთხვევები

გასულმა საუკუნემ მძიმე ისტორიული მემკვიდრეობა დაგვიტოვა ისეთი დესტრუქციული მოვლენის თვალსაზრისით, როგორიც ომი და ეთნოკონფლიქტებია. ღირებულებათა გადაფასებისა და ახალი წესრიგის დამყარების მცდელობებმა საზოგადოებრივი ცნობიერების თითქმის ყველა დონეზე პერმანენტული ხასიათი სწორედ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში მიიღო და ცნობილი ამერიკელი ანთროპოლოგის სტეფან შენფილდის თქმით, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური დეზორიენტაცია გამოიწვია.

თუმცა ასეთ კრიზისულ სიტუაციებში, როდესაც ეთნოცენტრიზმი და ნაციონალიზმი საშიშ მასშტაბებს აღწევს და ყველანაირი ინტელექტუალური არგუმენტი არამარტო შეუსმენადი, არამედ იგნორირებულია, მაინც ჩნდება მოთხოვნილება კულტურათა დიალოგზე. სიძულვილითა და დეჰუმანიზაციით დაზაფრულ სივრცეში ადამიანები იწყებენ გამოსავლის ძიებას და ამ დროს ცხადი ხდება, რომ ,,მშვიდობის ტაძრამდე" მისასვლელი გზის მნიშვნელოვანი წილი კულტურაზე გადის. ემოციათა დაცხრომის ამ საფეხურზე საზოგადოების გონიერი ნაწილი კრიტიკული თვალით უმზერს იმას, რაც ცოტაოდენი ხნის წინ მესიანიზმისა და ეროვნული გამორჩეულობის იდეებით განიცდებოდა. იწყება კათარზისის პროცესი და ბრძოლა იმისათვის, რათა არ დაუშვან ამის გამეორება. სამყარო თითქოს პატარავდება და მშვიდობის ელჩების სამიზნე ხდება. კულტურა ახერხებს იმას, რასაც ზოგჯერ პოლიტიკოსები ვერ აღწევენ. ეს ფაქტი იმ

კანონზომიერებაში ჯდება, რომლის თანახმად შემოქმედი ყოველთვის იღებს ვალდებულებას დაეხმაროს ადამიანს საკუთარ თავში სიმართლე მოიძიოს. ეს პროცესი მუდმივ კავშირშია კულტურის, როგორც კაცობრიობის კეთილი ნების ფენომენის აღიარებასთან სიკეთის, სიყვარულისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად. არ შეიძლება არ დაეთანხმო ზიგმუნდ ფროიდს, რომელიც თვლიდა, რომ კულტურა კაცობრიობის სინდისია. რომ იგი ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული ,,ზე-მე"- სთან ანუ სუპერ-ეგოსთან, რომ მათი გამიჯვნა შეუძლებელია. (http://kulturiskvlevebi.weebly.com)

ქართული პოლიტიკური რეალობის ისეთ ტრაგიკული მოვლენა, როგორიც გახლავთბ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტები, მიუხედავად მრავალწლიანი რუტინული მოლაპარაკებებისა მოუგვარებელია. თუკი შეიძლება სადინარი მოუძებნოთ ამ სამწუხარო სტაგნაციას, ეს სახალხო დიპლომატია და კულტურის ეგიდით წარმოებული დიალოგია, სადაც აშკარად საგრძნობია პოზიტიური შედეგები. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მხრიდან ეს რესურსი ბოლომდე არ არის გააზრებული და იგი ლოკალურ ხასიათს ატარებს. ისტორიული მეხსიერების, კეთილი ტრადიციების, კულტურული ღირებებულებების თანხვედრა და მათი გააქტიურება კონფლიქტის დასაძლევად რომ ძალზედ ეფექტურია, ამას ევროპელი ექსპერტებიც აღიარებენ და საქართველოში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესში განსაკუთებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. სწორედ ამ საერთო ფასეულობებისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნების საფუძველზე განიხილავენ ისინი ადამიანური ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივას. მართალია, შესარიგებლად გაწვდილი ხელი ხშირად რჩება უპასუხოდ და ეს ჰუმანური აქტი ერთმნიშვნელოვნად შედეგიანი ყოველთვის არ არის. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოსტკონფლიქტურ პერიოდში აბსოლუტურ შედეგიანობაზე გათვლილი, უნივერსალური ფორმულა არ არსებობს. სასურველ შედეგამდე მისასვლელი გზები რთული, წინააღმდეგობით აღსავსე და ზოგჯერ არაპროგნოზირებადიც შეიძლება იყოს. იმის საილუსტრაციოდ, რომ პოსტკონფლიქტურ პერიოდში ადამიანური ურთიერთობების აღდგენის თვალსაზრისით დიალოგი კულტურის ენაზე შეიძლება იყოს გაცილებით პროდუქტიული, ვიდრე ქაღალდზე დარჩენილი რომელიმე მორიგი პოლიტიკური შეთანხმება, წარმოგიდგინოთ კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას. საუბარი

უსათუოდ უნდა დავიწყოთ ქართულ თეატრალურ სივრცეში განხორციელებული საინტერესო სპექტაკლით, რომელიც ჩვენი სამიზნე აღმოჩნდა არამხოლოდ მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით, არამედ იმ შედეგიანობის გათვალისწინებით, რომელიც მან მოგვცა კულტურული დიალოგის ფორმატისათვის. 2005 წელს სოხუმის კ. გამსახურდიას სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრში დაიდგა სპექტაკლი ,,ზღვა, რომელიც შორია". პიესის სცენარი ეკუთვნის არაერთი საინტერესო კულტურული პროექტის ავტორს, სოხუმელ მწერალს გურამ ოდიშარიას. დადგმა- ცნობილ რეჟისორს თემურ ჩხეიძეს, რომელსაც თანარეჟისორობა გაუწია ნიჭიერმა ახალგაზრდა სოხუმელმა რეჟისორმა ბადრი წერედიანმა. სპექტაკლში თემურ ჩხეიძის გამოჩენამ რეჟისორის ამპლუაში იმთავითვე დიდი მოლოდინი წარმოშვა, რასაც დაერთო ინტელექტუალურ მსახიობთა გუნდიც. სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებდნენ აფხაზეთელი მსახიობები-საქართველოს სახალხო არტისტი დიმიტრი ჯაიანი, მერაბ ბრეკაშვილი, ლილი ხურითი, ნუგზარ ჩიქოვანი, მერაბ ყოლბაია. საგანგებო აღნიშვნა, რომ მსახიობები იყვნენ აფხაზეთიდან იმისთვის დაგვჭირდა, რათა ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ამ სპექტაკლში მოხდა ნიჭიერი სახიობისა და რეალურად განცდილის გულწრფელი თანხვედრა. სცენაზე წარმოდგენილმა აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენების განცდის პროცესმა მიიღო იმდენად ცოცხალი სახე, რომ ემოციურად დამუხტული მაყურებელი სპექტაკლის მსვლელობისას დიალოგშიც კი ერთვებოდა. ამ სპექტაკლმა ქართულ საზოგადოებაში რეალურად წარმოშვა აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზების ხელახალი განაზრებისა და თვითშეფასების სურვილი, მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო პოზიტივი ამ სპექტაკლს ელოდა მაშინ, როცა კონფლიქტის ზონაში DVD ფორმატში ჩაწერილი სპექტაკლის ჩვენება განხორციელდა, თანაც არაერთხელ. დადასტურებული ინფორმაციით, სოხუმის უნივერსიტეტში მოეწყო არამარტო ამ სპექტაკლის ვიდეო ჩანაწერის ჩვენება, არამედ იგი გახდა სერიოზული განხილვის საგანი ახალგაზრდებს შორის. ეს კი გახლავთ აფხაზური საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც გასაგები მიზეზების გამო ქართულ-აფხაზური ურთიერთობებზე მსჯელობა მხოლოდ 1992-1993 წლის მოვლენებზე დაყრდნობით შეუძლია. ძალიან შთამბეჭდავი გვეჩვენა რეჟისორ ბადრი წერედიანის მონათხრობი იმის შესახებ, თუ როგორ შეთავაზა მან ქ. ერევანში ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ქალთა

არასამთავრობო ორგანიზაცია-თანხმობის” მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე აფხაზ ახალგაზრდებს სპექტაკლის ვიდეო ჩანაწერის ნახვა. როგორ გაირღვა მის თვალწინ უნდობლობისა და ეჭვის ატმოსფერო სეანსის დასრულებისთანავე და როგორ შეძრა იგი აფხაზი ჭაბუკის მიერ ნათქვამმა ფრაზამ - ,,ეს არის ჩვენი საერთო სპექტაკლი”. სპექტაკლის ვიდეოჩანაწერის ნახვამ აფხაზი ახალგაზრდის აზროვნებაში გააღვიძა ზოგადადამიანური განცდა იმისა, რომ შეუძლებელია ადამიანების გამოდევნა საკუთარი წარსულიდან. სწორედ ეს წარსული კრავს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მატიანეს და სამომავლო ურთიერთობების პერსპექტივასაც. 2009 წელს სპექტაკლის ,,ზღვა, რომელიც შორია” ჩვენება შედგა ქ. სოჭში საქართველოს ხალხთა ასამბლეაზე. სპექტაკლს ესწრებოდნენ ქალაქის სახელისუფლო წრეების წარმომადგენლები, რუსი, ოსი და აფხაზი მაყურებელი. ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი ლილი ხურითი საუბრობს იმ რეაქციაზე, რომელიც ამ სპექტაკლმა გამოიწვია მათში. გაჩნდა საოცარი სინანულის გრძნობა და რაც მთავარია, ამის გამოხატვის შინაგანი მოთხოვნილება. აფხაზი და ოსი მაყურებელი მიდიოდა მსახიობებთან, ცდილობდნენ არამარტო იმწუთიერი კონტაქტის დამყარებას, არამედ საუბრობდნენ სამომავლო ურთიერთობებზეც. ფაქტი სახეზეა, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ამ შესანიშნავ სპექტაკლმა შეძლო იმ რეალური ცვლილებების გამოწვევა კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს დარჩენილ ადამიანთა ცნობიერებაში, რომელიც მათ ურთიერთობების აღდგენასა და მშვიდობიან თანაცხოვრებაში უნდა დაეხმაროს. და ბოლოს, არ შემიძლია არ მოვიხმო ის სიტყვები, რომელიც ერთ-ერთმა ინგლისელმა კონფლიქტოლოგმა სპექტაკლის მორიგი ჩვენების დროს წარმოთქვა, წელს რომ ნობელის პრემია გაიცემოდეს მშვიდობის დარგში, უსათუოდ ამ სპექტაკლს მივანიჭებდიო. ეს ფრაზა, რომელიც იმ შთაბეჭდილებებით იყო მოტივირებული, რომელიც ამ სპექტაკლმა გამოიწვია, კიდევ ერთხელ ცხადყოფს მის არამარტო კულტურულ ფასეულობას, არამედ სამშვიდობო მისიასაც.

2008-2009 წლებში ქართული ესტრადის ცნობილმა მომღერლებმა ლელა წურწუმიამ, უცნობმა, ზუმბამ აფხაზურ ენაზე ჩაწერეს თავიანთი პოპულარული ჰიტები. იმ ,,საჩოთირო” ფაქტს, რომ ამ სიმღერებს ქართველი მომღერლები ასრულებენ, ხელი არ

შეუშლია აფხაზი ახალგაზრდებისათვის საყვარელ ჰიტებად ექციათ ისინი. (https://www.culturepartnership.eu)

2009 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით ცნობილმა კოლექციონერმა, საქართველოს 2004 წლის მოწვევის პარლამენტის წევრმა. პაატა ქურდოვანიძემ განახორციელა პროექტი- ,,ქართულ-აფხაზური ალბომი", რომელშიც თავი მოუყარა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ამსახველ უნიკალურ, უძველეს ფოტო-მასალას, ისტორიულ ფაქტებსა და აფხაზ მოღვაწეთა ბიოგრაფიებს. ეს არის ქართულ - აფხაზური ურთიერთობების ბუნებრივი ქრონიკა და არა ისტორიის მულიაჟი. ამ ალბომის მთავარი ლაიტმოტივი სწორედ თაობათა ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთპასუხისმგებლობის საკითხია. პრეზენტაციაზე ამ წიგნს სამართლიანად უწოდეს ,,სიყვარულის გზავნილი". დადასტურებული ინფორმაციით, ერთმა აფხაზმა ქალბატონმა ამ წიგნის ნახვისას ემოცია ვერ დამალა და სამართლიანად აღნიშნა, ეს წიგნი ახალგაზრდებმა რომ ნახონ, ისინი უსათუოდ იამაყებენს თავისი წარსულითო. ჩვენის მხრიდან დავძენდით, ეს ის წარსულია, სადაც ქართველები და აფხაზები მეგობრობის, ნათესაობის, ,,მორდუობის" ტრადიციებით არიან შეკრული. ამდენად, კულტურულ პროდუქტი ყოველთვის შეიცავს იმ ფასეულობას, რომლის ჩანაცვლება შეუძლებელია პოლიტიკური მოლაპარაკებებით.

კულტურული დიალოგის თვალსაზრისით გამორჩეულ ფაქტად მინდა ვაღიარო 2011 წელს მედიასივრცეში გაჩენილი ახალი ალმანახი ..სამხრეთ კავკასია". მისი რედაქტორები არიან გურამ ოდიშარია და ბათალ კობახია. ამ ეტაპზე უკვე გამოცემულია მისი რამდენიმე ნომერი და იგი თვალსაჩინო, ეფექტური მაგალითია კულტურის ენაზე წარმოებული დიალოგისა, ვინაიდან ალმანახში წარმატებით თანამშრომლობენ სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი ქართველი, აფხაზი მწერლები და ჟურნალისტები.

ანალოგიური მისიით გადაწყვიტეს თავიანთი ხმების გაერთიანება ამიერკავკასიის მწერლებმაც წიგნებში ,,სიცოცხლის დრო"(2003) და ,,ხიდი".(2006) ამ პროექტის მისია ნათლად არის განსაზღვრული -მან რეგიონში ,,კაცთა შორის სიმშვიდეს" უნდა შეუწყოს ხელი. ამ უაღრესად საყურადღებო გამოცემის რედაქტორებად კვლავ გურამ ოდიშარია და ბათალ კობახია წარმოგვიდგებიან. ,,სიცოცხლის დრო"ეს არის ქართველ, აფხაზ, ოს, სომეხ

და აზერბაიჯანელ მწერალთა ინიციატივა, რომლის შედეგად მშვიდობისა და ადამიანთა ჰუმანიზაციისათვის გაღებული მათი ლიტერატურული ღვაწლი ერთ წიგნად გაერთიანდა, როგორც მაგალითი კულტურათა წარმატებული დიალოგისა. მათი თვალით დანახული ომი, პერსონაჟთა პორტრეტები და განცდები საოცრად ჰგავს ერთმანეთს და ინტერტექსტობრივ დატვირთვას იძენს. სხვადასხვა ეროვნებისა და ეთნოფსიქოლოგიის, სხვადასხვა სახელმწიფოებრივ სივრცეში სრულიად დამოუკიდებლად მოაზროვნე მწერლების მხატვრული ალუზიები კონცენტრირდება ერთი საერთო იდეის, ერთი ჭეშმარიტების ირგვლივ კაცობრიობამ უნდა უერთგულოს იმ ფასეულობებს, რომელიც ადამიანთმოყვარეობის ცნობილ პოსტულატებს ეფუძნება. ესპანელი მწერლის მიგელ დე უნამუნოს მოთხრობის ,,მშვიდობა ომის დროს" ერთ-ერთი პერსონაჟი_ მოხუცი კაცი შვილს ეუბნება, წადი ომში, ისწავლე ცხოვრება. მოგვიანებით მწერალი იტყვის, როდესაც მოვინდომე შემექმნა პოეზიით გამსჭვალული ნაწარმოები, რომელსაც შევალიე კიდეც მთელი ათი წლის ფიქრი, დაკვირვება, სიყვარული, ჩემი ბავშვობის მიწას, მშობლიურ ბასკონიას მივმართე, მის მთებს მივუბრუნდი, კარლისტებსა და ლიბერალებს შორის ომი გავიხსენე, ჩემი ბავშვობის ექოდ რომ ხმიანობს სულში და როცა გაიღვიძებს მაშინვე მოგონებები წამოიშლება. (სმელზერი ნ.,2017) მიგელ დე უნამუნოს არ გამოპარვია, რომ ომის ფონზე შემონახულ ამ მოგონებებში ინახებოდა მისთვის რაღაც საკრალური, ის, რაც მისცემდა მას ძალას ჩაწვდომოდა ადამიანური ყოფიერების იმ უფაქიზეს შრეებს, რომელიც სწორედ განსაცდელთან ერთად იხსნება და რომელიც აიძულებს ადამიანებს დაირაზმონ ერთი იმპერატივის გარშემო_გადაარჩინონ სიცოცხლე. (სმელზერი ნ.,2017)

წიგნს, რომელიც ამ ფუნდამენტური მსოფლგანცდის პრინციპებზეა აგებული და სადაც სამხრეთ კავკასიის მწერლები ზოგადკავკასიურ დიალოგს ამ ტონალობაში წარმართავენ საოცრად მისადაგებული სათაური აქვს- ,,ჟამი სიცოცხლისა". პროექტის ავტორები ქართველი მწერალი გურამ ოდიშარია და აფხაზი ბათალ კობახია შესავალში აღნიშნავენ, ეს წიგნი არის მცდელობა იმისა, რომ შევიგრძნოთ იმ ადამიანების მაჯისცემა, ვინც იცის ნამდვილი სიცოცხლის ფასი. ჩვენ გვჯერა, რომ ეს წიგნი კავკასიაში მცხოვრებ ადამიანებს მისცემს საშუალებას, რომ უკეთ გაითავისონ ერთმანეთის პრობლემები. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პრობლემის დანახვა შეუძლებელია, სანამ ადამიანები არ ისწავლიან ომის

შედეგების პრევენციას და საკუთარ თავში იმ სამყაროს არ აღმოაჩენენ, სადაც სიყვარული უზენაესობს.

აზერბაიჯანელი მწერლის ფახრი უგურლუს ესე ,,ომი" მსოფლიო სულის გადასარჩენად წარმოებული დიალოგია, იმ განცდების რეფლექსიაა, რომელიც სიკვდილისა და ძალადობის აპოლოგეტ რეციპიენტებზეა გათვლილი. ფახრი უგურლუ არ ცდილობს გამოცდა მოუწყოს თავის ნაციონალურ გრძნობებს და ანტითეზად დასახოს ყველაფერი ის, რაც მისგან არ მომდინარეობს, არ ცდილობს გაამართლოს ,,საღვთო ომი', დააკონკრეტოს დრო, სივრცე და ისე მოახდინოს წარსულის რეტროსპექტივა. მწერალი დროის მიღმა დგას და თავისი ესეც მარადიულ ფასეულობებზე აქვს გათვლილი. მე უნდა გადავრჩე, მტერი უნდა განადგურდეს_ფახრი უგურლუს დევიზი არ არის. (სმელზერი ნ.,2017)

დრო-სივრცული აღქმა შედარებით კონკრეტიზირებულია აზერბაიჯანელი მწერლის ელჩინ ჰუსენბეილის მოთხრობაში ,,ტყვეები'. მწერალი ქმნის ლიტერატურას ,,ტყუილის გარეშე". მას მთიანი ყარაბახის კონფლიქტი თავისი არსით, გაცხადებული თანამიმდევრობითა და მიზეზ-შედეგობრიობით ერთ ამბავში ისე აქვს კონცენტრირებული, რომ ლამის ყველა საბედისწერო კითხვის უნივერსალურ პასუხად ჟღერს. ომის სტიქიურ დამღუპველ ძალას აქ ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს ნაჩვევი ადამიანების ცნობიერება გულუბრყვილოდ და თუმცა მოულოდნელი სიმძაფრით უპირისპირდება. წიგნში, რომელსაც ,,სიცოცხლის ჟამი' ჰქვია კავკასიურ დიალოგში აზერბაიჯანელებთან ერთად სომეხი, ოსი, ქართველი და აფხაზი მწერლები ერთვებიან. მათ ერთი სათქმელი, ერთი ტექსტი აერთიანებთ, რისთვისაც შესანიშნავად იყენებენ მეოცე საუკუნის დასასრულს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ინსპირირებული კონფლიქტების რეალურ ისტორიებს. ჩარლზ დიქსონის გამონათქვამი_თუ თქვენს ქვეყანაში არაა კონფლიქტები, გაისინჯეთ, გაქვთ თუ არა პულსი, დაფიქრებისათვის იმდენად განგაწყობს, რამდენადაც გეყოფა სიმაღლე ამ ,,განწმენდის" ჟამს ყველაფერი აქედან დაინახო. არსებული დრამატიზმი ზოგაადამიანურ, უფრო გლობალურ კონტექსტში შეიგრძნო და ეთნონაციონალიზმის ,,ხიბლი" გადალახო. ზოგადად ადამიანური ტკივილის შეგრძნობის, ემოციური თანამონაწილეობისა და თანალმობის გარეშე ამ წიგნის სამყაროში შესვლა შეუძლებელია. მისი უპირატესი მიღწევა სწორედ ინტერტექსტობრივი დატვირთვა, არასტერილური გარემო, ზოგადი ადამიანური

ფასეულობებია. ამგვარად, წიგნში მაქსიმალურად მინორულია ეთნიკური აქცენტები, თუ მხატვრული ტექსტი დოკუმენტური პროზისათვის დამახასიათებელმა დეტალებმა არ გასცა. დოკუმენტალიზმი ამ შემთხვევაში გარდაუვალია და ამ პროექტის მონაწილე ყველა მწერალი ,,ტყუილის გარეშე" ცდილობს საუბარს. ისტორიული რეალობა სწორედ ის მედიუმია, რომელიც მათ სათქმელის ბოლომდე გამჟღავნებაში ეხმარება.

კოსტა ძუგაევის მოთხრობა ,,ტყვიებით დასერილი სივრცე" ამ თვალსაზრისით ყველაზე საინტერესოდ გვეჩვენა. 1990-91 წლებში ცხინვალში განვითარებული მოვლენები ორივე ნაპირიდან ისეა დანახული, რომ ეროვნების განურჩევლად ახდენს მკითხველის ცნობიერების ყველაზე მნიშვნელოვანი სეგმენტის_სინანულისა და თვითგვემის პროვოცირებას. მწერალი შეგვახსენებს, რომ ამ ომში მხოლოდ სიკვდილი გაიმარჯვებს და საბოლოოდ ორთავე მხარეს საკუთარი გახუნებული ამბიციები შერჩება. შესაძლებელია თუ არა ნგრევისა და მძულვარებით დაღდასმული ურთიერთობების პირობებში ზნეობისა და ეთიკურობის შენარჩუნება. ეს კითხვა სომეხი მწერლის ვარდგეს ოვიანის მოთხრობის ,, მე შენ მიყვარხარ, სიცოცხლე" მთავარი თავსატეხია. შესაძლებელია თუ არა ადამიანები ყოფიერების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დროებით მაინც გაერთიანდნენ და სოლიდარობის გრძნობა შეინარჩუნონ. მოთხრობაში საომარი მოქმედების პირობებში დანაღმული ველის გადასვლის სცენა ძალიან მარტივი გააზრების პირობებშიც კი თვალნათლივ პასუხობს ამ კითხვაზე. (სმელზერი ნ.,2017)

ადამიანს ძალუძს თვითონ გადაწყვიტოს, როგორი იქნება მისი მორალური პროფილი და როგორი დარჩება იგი ამ განსაცდელის პირობებში.

90-იანი წლების აფხაზურ მწერლობაში დაურ ნაჭყებიამ არა მარტო იმით მიიპყრო ჩვენი ყურადღება, რომ მან არნახული წნეხისა და ცენზურის პირობებში გაბედა ჩართულიყო კულტურათა დიალოგის პროცესში და თავისი სათქმელით შეერთებოდა იმ გუნდს, რომელშიც ქართველი მწერლებიც მოიაზრებიან, არამედ იმითაც, რომ ბოლომდე მიჰყვება შემოქმედებითი ინტუიციის ლოგიკას და სათქმელს ამ გადასახედიდან ამჟღავნებს. ,,მიწის ყივილი'' მისგანაც მოითხოვს ხარკს, თუმცა ეს არასოდეს უშლის ხელს დაურ ნაჭყების შექმნას სრულფასოვანი ლიტერატურა. ,,ტკივილი არსებობის დამადასტურებელია _

ცოცხლობ მანამ, სანამ გტკივა” _ ამბობს მწერალი ერთ-ერთ თავის მოთხრობაში ,,მალე შემოდგომა დადგება”.

დაურ ნაჭყებიას მოუწია პოსტ-ფაქტუმ_ შედეგებზე დაყრდნობით ემსჯელა და ამ დროს სიმართლის პარალელურად ყოფილიყო საოცრად დელეკატური თავისი ერის ისტორიული საზრისისა და ეთნოფსიქიკის მიმართ. მისი, როგორც მწერლის ჰუმანისტური პოზიცია, უშუალობა, ის კონცეფციური მომენტებია, რომელიც არასოდეს ტოვებს მას და აძლევს საშუალებას იყოს აღმსრულებელი მეტად მნიშვნელოვანი მისიის_გააერთიანოს სხვადასხვა ნაპირზე დარჩენილი ადამიანები, რომელთაც ისტორიულად ყოველთვის უფრო მეტი აერთიანებდათ, ვიდრე ჰყოფდათ. დაურ ნაჭყებიას მოთხრობებში ყოველთვის შეიძლება იპოვო იის, რაც ომის დროს დანგრეულ-დანაწევრებულ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობს აღდგენისათვის შეამზადებს და თანაცხოვრებისათვის კვლავ განაწყობს.

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან მიმართებაში მწერლობის სათქმელის განვრცობა უხუცესი აფხაზი მწერლის ფაზილ ისკანდერის მოთხრობაში ,,ომი და ბიჭი” გამოკვეთილად პოზიტიური და თვალშისაცემია. ფაზილ ისკანდერი ძალიან სათუთი თემატიკით უერთდება ზოგად კავკასიურ დიალოგს, ეს არის ომის ბავშვები, მათი უმანკო თვალებით დანახული ის რეალობა, რომელსაც უფროსები ომს არქმევენ და ვერაფერს უხერხებენ იმ უსამართლობებს, რომელიც მას მოსდევს. ხელოვნების ესა თუ ის ნაწარმოები ყოველთვის ატარებს დროის ნიშნებს, როდესაც ისინი იქმნება_დაწყებული ავტორის მოქალაქეობრივი პოზიციიდან, სათქმელის მხატვრული გადაწყვეტის თავისებურებებამდე, სტილის სიახლემდე, მიმართულების თავისთავადობამდე და ა.შ. მით უმეტეს, როდესაც ეს დრო და განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ერის, ქვეყნის, ადამიანების ცხოვრების წესზე.

საზოგადოების ბედზე, ცნობიერებაზე და მოქმედების ფორმებსა თუ ინდივიდის არჩევანს განსაზღვრავს. ასეთი მძაფრი შედეგის აღმოჩნდა ის დრამატული, მეტიც, ტრაგიკული მოვლენები, რომლებიც საქართველოში, და არა მარტო საქართველოში_კავკასიაში საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ განვითარდა.

არამარტო ქართულ პროზაში, არამედ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დარეგულირების თვალსაზრისით ძალზე შთამბეჭდავი და შედეგიანია სოხუმელი

მწერლის გურამ ოდიშარიას მოღვაწეობა. მისი პროზა_რელიეფური, გამოკვეთილი პერსონაჟებით, ჰუმანიზმითა და დროის უზუსტესი ფსიქოლოგიური ანაბეჭდებით იქცევს ყურადღებას. ეს არის ქართულ-აფხაზური მეგობრობის მიკრომატიანე, რომელიც რეალური საფუძველია აფხაზ-ქართველთა საერთო წარსულისა და სამომავლო თანაცხოვრების გადასარჩენად. მიუხედავად შემზარავი რეალობისა, რომელსაც კანონიერი არსებობის უფლება აქვს მის შემოქმედებაში, მწერლის ხედვის რაკურსი ყოველთვის ოპტიმიზმსა და კაცთმოყვარეობაზეა ფოკუსირებული. მისი მზერა ყოველთვის უახლეს წარსულს დატრიალებს, გურამ ოდიშარიას საკრალური კავშირი აქვს ამ წარსულთან, მასთან უწყვეტობის განცდა ანიჭებს მწერალს ინდივიდუალიზმს, რომლის უკან ყოველთვის დგას აფხაზეთი თავისი სასიცოცხლო სივრცითა და პიროვნებებით, რომელიც უახლეს ისტორიულ კონტექსტთან ერთად შეიგრძნობა. გურამ ოდიშარიას მოთხრობები საფუძველშივე ეწინააღმდეგება ომის მიერ კაცთმოძულეობის დამკვიდრებულ ტრადიციას. მიუხედავად იმ სივრცული არეალისა, სადაც რაოდენობრივად მორალური კრიზისი სჭარბობს, მწერლისა და პროექტის ავტორის ეს ფრაზა საბოლოოდ კრავს არა მარტო მის მთავარ სათქმელს, არამედ ზოგადკავკასიური დიალოგისთვის გამიზნულ ამ შესანიშნავ წიგნს ,, ჟამი სიცოცხლისა. ” გურამ ოდიშარიას როგორც მწერლის სამშვიდობო მისია დასტურდება მისი არაერთი შესანიშნავი რომანით, მათ შორის მინდა აღვნიშნო მისი რომანი ,,პრეზიდენტის კატა”, რომელიც აფხაზეთის ბიბლიოთეკებში კატალოგშია შეტანილი, ვინაიდან მასში საოცარი სიყვარულით არის გაცოცხლებული ბღაჟბას სახე და მთელი რომანი იმ წარსულისადმი ერთგულებით სუნთქავს, რომელსაც ასე უფრთხილდება გურამ ოდიშარია. ეს განწყობა მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, როცა მან 2011 წელს თარგმნა და ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადა აფხაზი მწერლის დაურ ნაჭყებიას შესანიშნავი რომანი ,,ღამის ნაპირი”. სიმართლე გითხრათ, როცა ენგურს გაღმა დარჩენილ საქართველოზე ვფიქრობ, კავკასიის ხალხთა შესარიგებლად ეს ფაქტები გაცილებით იმედისმომცემად მეჩვენება, ვიდრე პოლიტიკოსთა მრავალწლიანი მოლაპარაკებები. შეუძლებელია არ დაეთანხმო ფრიდრიხ ნიცშეს, კულტურა მართლაც კაცობრიობის სინდისია.

(https://mentalmap.wordpress.com)

1.2 კულტურული სხვაობა

ქართული დიალოგი – ბრიტანული ჩხუბი

ამბავს იხსენებს ქართველი ჟურნალისტი

''სტატიისთვის ტურისტი რესპონდენტების მოსაძებნად თბილისის ერთ-ერთ ჰოსტელში მომიწია მისვლა. ჰოსტელში რამდენიმე სტუმარი დამხვდა, მათ შორის 26 წლის რობი, ცნობისმოყვარე და მხიარული, ჟღალი ინგლისელი ბიჭი. ვკითხე, ამ ერთი კვირის მანძილზე, რაც საქართველოში გაატარე, რაიმე თუ გამოსცადე ისეთი, რომ ქართულ და ბრიტანულ კულტურებს შორის დიდი სხვაობა დაინახე-მეთქი? დიდხანს არ უფიქრია და მითხა: « ქუჩაში რომ დავდივარ, ან სადმე ჩამოვჯდები, ვაკვირდები ხალხის საუბარს. თავიდან დავასკვენი, რომ ხშირად ჩხუბობთ. როცა ვუსმენდი ხალხს, ვიძაბებოდი ხოლმე, მაგრამ როცა ვინმეს საუბრის გადათარგმნას ვთხოვდი, მერე აღმოვაჩენდი, რომ სულაც არ ჩხუბობთ, არც კამათობთ, უბრალოდ ასე საუბრობთ, სერიოზულად და ხმამაღალი ტონით, თუ არ ვიცი ამას სხვა რა დავარქვა. » (http://bloggertsustudents.blogspot.com)

მე მგონია, რომ რობი მართალი იყო მანამ, სანამ ქართულ დიალოგს ვინმე გადაუთარგმნიდა. რობი მაშინ იყო სწორი, როცა ფიქრობდა, რომ მე ჩემს მეგობრებს ხშირად ვეჩხუბები. რობიმ გამახსენა, რამდენ კონფლიქტს ვაწყდები ყოველ დღე არა მარტო გარშემომყოფებთან, არამედ საკუთარ თავთანაც. ეს კონფლიქტი იწყება მაშინ, როცა თანამოსაუბრეს წინადადება არც კი დაუმთავრებია. ამ დროს მე ვამბობ ერთ მაგიურ სიტყვას, რომელიც ყველაფერს ისხლიტავს: "არა!" და თუ არ შეწყვეტთ საუბარს, მე კიდევ გამიმეორებთ არას და, როცა მესამედაც გამამეორებინებთ, ჩემს არას მოვაყოლებ თქვენი მოსაზრების საწინააღმდეგო მოსაზრებას. შევეცდები, მოგიგოთ საუბარში, რადაც არ უნდა დამიჯდეს, არ მოგისმინოთ, რომ საკუთარ ნათქვამში თავადაც ეჭვი არ შევიტანო. ასეთ საუბარში თუ მომიგეთ, ღამე მშვიდად არ დამეძინება. თქვენ თუ დანებებას არ აპირებთ, თქვენც თუ ჩემნაირი აზარტული ხართ და გინდათ, მომიგოთ, მაშინ მე უფრო ხმამაღლა ვისაუბრებ, რომ თქვენი ხმა გადავფარო. თქვენც ჩემთან ერთად ხმას აუწევთ. ჩვენ ვართ საშინელი მოსასმენი, საშინელი... ჩვენ არავინ გვისმენს. ჩვენ ერთმანეთსაც კი არ ვუსმენთ. მაგრამ ხანდახან დამეზარება და წინააღმდეგობასაც არ გაგიწევთ. დავდუმდები.

მერე წითურმა რობიმ ისიც გამახსენა, რომ თბილისში რამდენიმე ადგილი მაქვს ამოჩემებული, სადაც ერთხელ ვიყავი, მაგრამ მეორედ აღარასდროს დავბრუნდები. მაგალითად, ბიბლიოთეკაში, სადაც ბიბლიოთეკარი ცუდ ხასიათზე დამხვდა. რიგი იდგა, მე პირადობის მოწმობას დიდხანს ვეძებდი საფულეში და ვერ ვპოულობდი: «გოგონა, ან პირადობის მოწმობა მომეცი, ან გადი!» – საფულედან მზერა ბიბლიოთეკარზე გადავიტანე. როცა დავინახე, რომ თვალიები უკვე ორი სანტიმეტრით წინ ჰქონდა წამოწეული, გადავწყვიტე, სხვა ბიბლიოთეკაში უნდა დამედო ბინა. საფულე დავხურე და გამოვედი. აღარ შევალ ვაჟა-ფშაველას ძეგლთან კაფე რომაა, იქ. კარგად მახსოვს, მიმტანი რომ მოვიდა ჩემს მაგიდასთან. მაშინვე მივხვიდი, რატომაც მიახლოვდებოდა, ამიტომ სკამიდან წამოვიწიე, მეორე სკამზე გადადებული ფეხი იატაკზე დავდე და წელში გავსწორდი. « არა, შეხედე, უკვე დასვარე სკამი, იმდენს ვერ ხვდები, რომ აქ ყველაფერი ახალია?!» – დამიყვირა და უკან გაბრუნდა. ჩემი ყავა ბოლომდე დავლიე და წამოვედი.

ყვითელ ავტობუსში რომ ვზივარ, სანამ წიგნიდან თავს ავწევ და ყურსასმენებს მოვიხსნი, მანამ ბებო მოემართება ჩემსკენ, ჯოხმომარჯვებული, ღია ცისფრად შეღებილი თმებით. სანამ წიგნს ჩანტაში ვიდებ, ბებიას ლანძღვა არ მესმის, რადგან მუსიკა უკრავს და ყურსასმენები ჯერ კიდევ მიკეთია. სანამ მუსიკას გამოვრთავ და ყურსასმენებს მოვიხსნი, ბებოს ჯოხის მოხრილი თავი მხარში მხვდება და უკვე მის სიტყვებსაც ვარჩევ. ასადგომადაც წამოვიწიე, თუმცა ბებო აგრძელებს: «ადექი ფეხზე, ადექი. ამოვდივარ და ვერ უნდა მიხვდე, რომ უნდა დამსვა. დაიკარგა სულ ყველაფერი, გაურჭია ყურებში და არ ესმის ქვეყანაზე არაფერი. უზრდელი, თავხედი!» იქვე მეორე ქალიც გამოექომაგა. ჩათვალეთ, რომ მთელი ავტობუსი საქმის კურსშია. ყველა თვალი თქვენ გიყურებთ და ბევრი თვალი თქვენ გკიცხავთ. ეს ის შემთვევაა, როცა ყვითელ ტრანსპორტს თავს სამუდამოდ ვერ აარიდებთ. ამიტომ უახლოეს გაჩერებაზე ჩამოდიხართ და შემდეგი ავოტბუსის გამოჩენას ელოდებით.

ბრაზდებით და არ გინდათ, იყოთ ცხოვრებაზე გამწარებული ბიბლიოთეკარი, მიმტანი და ბებია, არც დედა გინდათ იყოთ, ყოველ დილით რომ გეჩხუბებათ, არ ჩაიცვათ ყოველ დღე კედები. ბებო კი ავტობუსში ზის და ისევ თქვენს საქციელზე უამბობს ახლად ამოსულ მგზავრებს. ამ საუბარში იგი უნივერსიტეტის გაჩერებას მაშინ ჩაუქროლებს, როცა ოთახში

თქვენი ლექტორი შემოვა და ლექციის კითხვას დაიწყებს. თქვენ უკვე მეორე ავტობუსში დგახართ, ავტობუსი კი – საცობში. მძღოლი მანქანებს შორის გასაძრომს ეძებს და იგინება.''(http://bloggertsustudents.blogspot.com)

1. 3 საყოველთაოდ ცნობილი კულტურული განსხვავებები

მაღალი და დაბალი კონტექსტის კულტურები

ანთროპოლოგი ედვარდ ჰოლის თეორია მაღალი და დაბალი კონტექსტის კულტურების შესახებ გვეხმარება უკეთ გავიაზროთ კომუნიკაციაზე კულტურების ძლიერი გავლენა.

მაღალი კონტექსტის კულტურები (მოიცავს აზიას აფრიკას და სამხრეთ ამერიკას) არის ურთიერთობებზე დაფუძნებული, კოლექტიური. რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კულტურის ხალხში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერპერსონალური ურთიერთობები. ნებისმიერი ბიზნეს ტრანზაქციისათვის მნიშვნელოვან პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ნდობის ჩამოყალიბება. ჰოლის თანახმად ასეთი კულტურები არის კოლექტიური, სადაც ჯგუფურ ჰარმონიასა და კონსენსუსს უპირატესობა ენიჭება ინდივიდუალურ მიღწევებთან მიმართებით. ამასთან ამ კულტურის ხალხს მეტად მართავს ინტუიცია და გრძნობები, ვიდრე რაიმე კონკრეტული მიზნები. გამოთქმულ სიტყვებზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება ნათქვამის კონტექსტს, რომელიც თავის თავში მოიცავს საუბრის ტონს, სახის გამომეტყველებას, ჟესტიკულაციას, პოზას და მოსაუბრის ოჯახის წარმომავლობასა და მის სტატუსსაც კი. იაპონელმა მენეჯერმა შემდეგნაირად აუხსნა ამერიკელს თავისი კულტურის კომუნიკაციის სტილი: „ჩვენ ერთგვაროვანი ხალხი ვართ და არ გვჭირდება ვილაპარაკოთ იმდენი რამდენსაც აქ ამერიკაში ლაპარაკობთ. როდესაც ჩვენ ვამბობდ ერთ სიტყვას ვიგებთ ათს, თქვენ კი ათი უნდა თქვათ, რომ ერთი სიტყვა მაინც გაიგოთ“. მაღალი კონტექსტის კომუნიკაცია მიდრეკილია ფორმალურობისა და არაპირდაპირობისკენ. დამახასიათებელია თავაზიანი მიმართვები, თავმდაბლობა და გულმოდგინე ბოდიშები.

რაც შეეხება დაბალი კონტექსტის კულტურებს (მოიცავს ჩრდილოეთ ამერიკას და დასავლეთ ევროპის უმეტეს ნაწილს), მათ ახასიათებთ ლოგიკურობა, სწორხაზოვნება, ინდივიდუალურობა და მოქმედებაზე ორიენტირებულობა. დაბალი კონტექსტის

კულტურის ხალხი აფასებს ლოგიკას, ფაქტებსა და პირდაპირობას. მათთვის პრობლემის გადაჭრა ნიშნავს მასთან დაკავშირებული ფაქტების ჩამოწერასა და მათ სათითაო შეფასებას. გადაწყვეტილებები ეფუძნება ფაქტებს და არა ინტუიციას. დისკუსია მთავრდება ქმედებით. არსებობს მოლოდინი, რომ მხარე იქნება პირდაპირი, ლაკონური და ქმედითი. ისინი მიდრეკილნი არიან გამოიყენონ ზუსტი სიტყვები და მოელიან რომ ისინი აღქმული იქნება სიტყვასიტყვით. მოლაპარაკებებს შედეგად მოსდევს დეტალებში გაწერილი კონტრაქტები. აღნიშნულისაგან განსხვავებით მაღალი კონტექსტის კულტურის წარმომადგენელი ნაკლებად არის დამოკიდებული სიტყვების სიზუსტესა და იურიდიულ დოკუმენტებზე. შეიძლება ხელშეკრულების გაფორმების შეთავაზება მათ მიმართ უნდობლობადაც აღიქვან და ამით თავი შეურაცჰყოფილადაც იგრძნონ. (https://www.culturepartnership.eu/ge/publishing/course/lecture-3)

1.4 მონოქრონული და პოლიქრონული კულტურები

განასხვავებენ მონოქრონულ და პოლიქრონულ კულტურებს. მონოქრონული კულტურებისათვის დამახასიათებელია ერთ ჯერზე ერთი საქმის კეთება. მიყვებიან თავის წინასწარ გაწერილ წესრიგსა და გრაფიკს. მათ ყველაფრისათვის მიჩენილი აქვთ შესაფერისი დრო და ადგილი. არ უყვართ გაუთვალისწინებელი მოვლენები, კონცენტრირდებიან ერთ სამუშაოზე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მონოქრონულ ადამიანებს ახასიათებთ კერძო საკუთრების განსაკუთრებული პატივისცემა და ერიდებიან მსესხებლის ან გამსესხებლის როლში ყოფნას.

პოლიქრონული ადამიანებისათვის კი დამახასიათებელია ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება. მაგალითად პოლიქრონულ კულტურებში მენეჯერის ოფისში დიდი ალბათობით ღიაა კარი, ტელეფონი გამუდმებით რეკავს და ამავდროულად მიმდინარეობს შეხვედრა. პოლიქრონული ადამიანებისათვის პრობლემას არ ქმნის გეგმების ხშირი და მოულოდნელი ცვლა.

გასაკვირი არაა, რომ ხშირად ამ ორი კულტურის ურთიერთმოქმედება შეიძლება იყოს პრობლემატური. მონოქრონული ბიზნესმენი ვერ გაიგებს მუდმივად რატომ წყდება მოლაპარაკება მეორე მხარის ტელეფონის ზარებით ან მასთან მოსული ადამიანების გამო.

საბოლოოდ მას უჩნდება კითხვა ხომ არ არის ეს ყველაფერი მისი დამცირებისა და შეურაცჰყოფისაკენ მიმართული? და ბოლოსდაბოლოს როდის დაიწყებენ საქმეზე საუბარს? პოლიქრონული ბიზნესმენი კი ვერ მიხვდება რატომ არის ცალკეული დავალებები მთლიანი ორგამიზაციისაგან გამოყოფილი და დროში გაწერილი. რატომ განიხილება ის როგორც დროის კონკრეტულ მონაკვეთში მისაღწევი შედეგი და არა როგორც ორგანიზაციის საერთო მიზანი; როგორ შეიძლება გააცალკევო სამუშაო საათები და დრო პირადი ურთიერთობებისათვის? მათთვის გაუგებარია როგორ შეიძლება დაუშვა, რომ გრაფიკმა უარყოფითი გავლენა იქონიოს პირადი ურთიერთობების ხარისხზე.

1.5 ანთროპოცენტრისტული და კოსმოცენტრისტული იდეოლოგია

თანამედროვე დასავლური მსოფლმხედველობა ანთროპოცენტრისტულია, ანუ მთლიანად ორიენტირებულია ადამიანზე, აფრიკული და აზიური მსოფლმხედველობა კი კოსმოცენტრულია, ანუ ადამიანი განიხილება როგორც ბუნების განუყოფელი ნაწილი. აზიური კულტურა ევროპულისაგან განსხვავებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უფლებათა ინდივიდუალისტურ კონცეფციას. აზიურ კულტურაში ადამიანი ასრულებს მხოლოდ იმ როლს რომელიც მას საზოგადოებამ განუსაზღვრა.

1.6 კოლექტიური და ინდივიდუალური აზროვნების სტილი

დოქტრინაში ძირითადად გამოყოფენ 2 სახის აზროვნების სტილს: კოლექტიური აზროვნების სტილი (პოპულარულია აზიაში) და ინდივიდუალური აზროვნების სტილი, რომელიც ამერიკულ–ევროპული, დასავლეთის კულტურის ნაწილია.

პირველისათვის დამახასიათებელია პიროვნებისადმი პატივისცემა საზოგადოებაში მისი მდგომარეობის, სქესის, ასაკისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ინდივიდუალისტური აზროვნება კი მნიშვნელობას ანიჭებს თვით პიროვნებას და არა მის საზოგადოებრივ მდგომარეობას. აზიაში საუბრის ნართაული სტილი პირდაპირ არასოდეს გამოხატავს მოსაუბრის აზრს, თანამოსაუბრემ სიტყვებს მიღმა უნდა წაიკითხოს რისი თქმა სურდა მეორე მხარეს. აზროვნების ინდივიდუალური სტილის ადამიანები კი ყოველთვის

პირდაპირ ამბობენ რისი თქმაც უნდათ. მაგალითად, ოთახში ფანჯრის მიხურვის სურვილს დასავლეთის კულტურის წარმომადგენელი პირდაპირი სახით გამოხატავს სიტყვებით, „თუ შეიძლება დახურეთ ფანჯარა“, მაშინ როდესაც კოლექტიური აზროვნების სტილის ადამიანი სავარაუდოდ იტყვის „თითქოს აცივდა“ და მსმენელს მიანდობს შესაბამისი დასკვნის გაკეთებას. მოლაპარაკებაზე ამ ორი სტილის მოაზროვნის შეხვედრა ალბათობის მაღალი ხარისხით დადებითად არ დამთავრდება. ევროპელი ან ამერიკელი ჩათვლის, რომ მოსაუბრე არასერიოზულია, ვინაიდან ყველფერზე საუბრობს საქმის გარდა, საქმეზე კი მხოლოდ ბუნდოვანი ფორმულირებებით შემოიფარგლება. აზიელს თანამოსაუბრე დიდ ხეპრედ და უზრდელად მოეჩვენება, ვინაიდან მას თავისი აზრების დელიკატური ფორმით გადმოცემა არ ეხერხება. ცხადია, ერთმანეთზე ასეთი წარმოდგენის მქონე ორი პიროვნება წარმატებულ გარიგებას ვერასოდეს დადებს და თუ გარიგება მაინც დაიდო რაღაც ეტაპზე ის მაინც დავისა და უთანხმოებისათვის არის განწირული.

Hofstede da Bond-ის მიერ 50 სახელმწიფოს მასშტაბით ჩატარებულმა მანამდე უპრეცედენტო კვლევამ დაადასტურა, რომ ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის სახელმწიფოთა მცხოვრებლების მიდგომა მკაცრად ინდივიდუალისტურია (მე), მაშინ, როდესაც აზიის, სამხრეთ ევროპისა და სამხრეთ ამერიკის მოსახლეობა კოლექტივისტურად აზროვნებს (ჩვენ).

როგორც ვხედავთ განსხვავებები საკმაოდ თვალში საცემი და აშკარაა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ კულტურულმა დაყოფამ არ შეიძლება ჩამოგვიყალიბოს სტერეოტიპული შეხედულებები. ადამიანი არ უნდა შევაფასო მხოლოდ მისი ეროვნებისა და კულტურული კუთვნილებიდან გამომდინარე. ყოველთვის იარსებებს აზიელი რომელიც არ არის თავის ტრადიციებზე მიბმული და ამერიკელი რომელიც ჯგუფურ ჰარმონიასა და კონსენსუსს ანიჭებს უპირატესობას ინდივიდუალურ მიღწევებთან მიმართებით. ხალხი განსხვავდება ერთმანეთისაგან ერთი ქვეყნის შიგნითაც. როგორც ერთი ჩემი ამერიკელი მეგობარი შონა ელისონი ამბობს “You can’t generalize about America, because every state is completely different.” იგივე შეიძლება ითქვას საქართველოზეც, შეუძლებელია არ შენიშნო რამდენად თავისებურია საქართველოს თითოეულ რეგიონში

მცხოვრები ხალხი. როგორ განსხვავდება მთისა და ბარის ტრადიციები, ღირებულებები და კონკრეტული მოვლენის შეფასებები.

აღნიშნულთან დაკავშირებით მახსენდება ორი ისტორია, რომელიც რომელიღაც ტრენინგზე მოვისმინე: ევროპულ ქვეყანაში ბიზნეს მოლაპარაკებების ჩასატარებლად ჩასულები იყვნენ არაბები, მათ მეორე მხარის დანახვისთანავე დატოვეს შეხვედრის ადგილი ისე რომ მოლაპარაკება არც დაწყებულა. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ დამხვედრი ჯგუფის ხელმძღვანელი იყო ქალი. რაც შეეხება მეორე ისტორიას, ისიც არაბებთან არის დაკავშირებული. ბიზნეს მოლაპარაკების შემდეგ გასამართი ვახშმის დამგეგმავი ჯგუფს ვერგადაეწყვიტა გამასპინძლებოდნენ თუ არა არაბ ბიზნესმენებს ღვინით, რადგანაც მუსულმანური რელიგია ალკოჰოლური სასმელის მიღებას კრძალავს, თუმცა არ იყვნენ დარწმუნებულები რამდენად მკაცრად იცავდნენ ბიზნესმენები მათ ტადიციებსა და რელიგიას. საბოლოოდ ვახშმის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ ღვინო სათითაოდ კი არ ჩამოესხათ არამედ ცალკე მაგიდაზე დაედოთ და სტუმრებს თავად გადაეწყვიტათ მივიდოდნენ თუ არა მის დასაგემოვნებლად. ვახშამზე არაბ ბიზნესმენთა ნაწილმა ღვინო მიირთვა, ნაწილმა კი თავი შეიკავა თავისი რელიგიური წესების დაცვიდან გამომდინარე.

ამ ორი ისტორიიდან გამომდინარე კარგად ჩანს, რომ არ უნდა განვაზოგადოთ გარკვეული კულტურული მახასიათებლები. პირველ შემთხვევაში არაბები იმდენად მიბმული იყვნენ თავიანთ ტრადიციებს, რომ ამის გამო ჩაშალეს მნიშვნელოვანი ბიზნეს მოლაპარაკება. მეორე შემთხვევაში, კი იმავე ეროვნების ბიზნესმენთა ნაწილი არ ჩაჯდა მათგან მოსალოდნელ სტერეოტიპულ ჩარჩოში. ამიტომაც მოლაპარაკებების დროს მნიშვნელოვანია ვიცნობდეთ მეორე მხარის კულტურასა და რელიგიას, რათა სწორად წარვმართოთ მოლაპარაკების პროცესი, თუმცა ამავე დროს მხარეს სიფრთხილეც მართებს, იმისათვის, რომ არ შეიქმნას წინასწარი სტერეოტიპული წარმოდგენები.

დაბოლოს მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი უამრავი განსხვავებისა, რელიგიური, ეთნიკური, კულტურული თუ ენობრივი სხვაობისა, გარკვეულ სიტუაციებში ეს განსხვავებები უკანა პლანზე იწევს და კომუნიკაცია ადამიანებს შორის მარტივდება მინდა დავასრულო ერთი შესანიშნავი გამოთქმით: We need no language to laugh.

თავი II

ინტერკულტურული დიალოგი

2.1 ინტერკულტურული დიალოგის პრობლემები და აქტუალურობა

თანამედროვე ეტაპზე

ინტერკულტურულ ურთიერთობათა ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი რიჩარდ ლუისი მოგვითხრობს:

„ერთხელ ინგლისური ენის საზაფხულო სკოლაში ვმუშაობდი, რომელიც ჩრდილოეთ უელსში ტარდებოდა. იქ თავი მოეყარათ უფროსი ასაკის მოსწავლეებს იტალიიდან, იაპონიიდან და ფინეთიდან. ინტენსიურ მეცადინეობებს ენაცვლებოდა საღამოს გართობა და ექსკურსიები ბუნებასა თუ ისტორიულ ადგილებში. ერთ-ერთი გასვლა ოთხშაბათს, სნოუდაუნის მთაზე დაიგეგმა. მაგრამ სამშაბათ საღამოს ძლიერი წვიმა დაიწყო. დაახლოებით 10 საათზე, ცეკვის საღამოს დასრულების შემდეგ, ათიოდე ფინელი მოსწავლე მომიახლოვდა და მთხოვა ექსკურსიის გაუქმება, რადგან წვიმაში სნოუდაუნის მთის ტალახიან კალთებზე ცოცვა დიდი ვერაფერი სიამოვნება იქნებოდა. მე, ცხადია, დავთანხმდი და გამოვაცხადე, რომ ექსკურსია უქმდებოდა. მაშინვე აღმოვჩნდი იტალიელი მოსწავლეების გარემოცვაში, რომლებიც ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ: რატომ უნდა გაგვეუქმებინა ექსკურსია? ისინი მას მოუთმენლად ელოდნენ (ბოლოს და ბოლოს, ეს გაკვეთილებიდან თავის დაღწევის საშუალება იყო); მათი სწავლების გადასახადში ეს ექსკურსიაც შედიოდა; ბოლოს და ბოლოს, რა პრობლემა იყო მცირე წვიმა, განა ის ვინმეს დააზიანებდა? რა სჭირდათ ამ ფინელებს - ისინი ხომ ამტან და ძლიერ ხალხად ითვლებიან? ცოტა დაბნეულმა, იაპონელებს მივმართე. ისინი ძალიან სასიამოვნო ახალგაზრდები აღმოჩნდნენ: თუ იტალიელებს უნდათ, ჩვენც წამოვალთ, მაგრამ თუ ექსკურსია გაუქმდება, სიამოვნებით დავრჩებით და კვლავ გაკვეთილებს დავესწრებითო, განაცხადეს. იტალიელები ფინელებს ეხუმრებოდნენ, ფინელები ბუზღუნებდნენ და იბღვირებოდნენ, ბოლოს და ბოლოს, ღირსების შესანარჩუნებლად, ექსკურსიაზე წასვლას დათანხმდნენ. მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა. არც დილის საუზმის გამოიდარა. ავტობუსი ცხრის ნახევარზე უნდა გასულიყო. ხუთი წუთით ადრე ქოლგით შევიარაღდი და ავტობუსისკენ გავიქეცი. იქ დამხვდა 18 დაბღვერილი ფინელი, 12 მომღიმარი იაპონელი

და არც ერთი იტალიელი. ჩვენ დანიშნულ დროს გავემგზავრეთ და საშინელი დღე გავატარეთ. წვიმას არ გადაუღია. მწვერვალზე, ნისლში ვისაუზმეთ და, ტალახში ამოგანგლულები, 5 საათზე დავბრუნდით შინ. იტალიელები მშვიდად მიირთმევდნენ ყავას და ნამცხვარს, დილით ლოგინში ნებივრობაც მოახერხეს. ფინელებმა კითხეს, რატომ მოიქცნენ ასე. იმიტომ, რომ წვიმდაო..." (R.Lewiss. When Cultures Collide, p. XV-XVI).

ერთსა და იმავე ფაქტს, მოვლენას, სიტუაციას, ჟესტს თუ სახის გამომეტყველებას სრულიად სხვადასხვაგვარი ახსნა შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა კულტურაში. ყველა საზოგადოებას აქვს ენა, სამზარეულო, ხელოვნება, მითები, რელიგია, ოჯახი, ეკონომიკური სისტემა, ნათესაური კავშირები, ხელისუფლება, საცხოვრებელი, ჰიგიენა, ქცევის წესები, აკრძალვები და ა.შ. - უნივერსალიები, რომლებიც სხვადასხვა საზოგადოებაში მრავალფეროვანი ფორმით გვხვდება. მაგალითად, ადამიანები იკვებებიან, მაგრამ ის, თუ რას, როდის, სად, ვისთან ერთად და როგორ მიირთმევენ, სხვადასხვა კულტურაში ძალიან განსხვავებულია. ასევე სხვადასხვაგვარია მისალმების წესი, კეთილგანწყობის თუ უნდობლობის გამოხატვის ფორმები და სხვ. ერთი სიტყვით, კულტურული მსგავსებები და განსხვავებანი ერთი მედლის ორი მხარეა.

კულტურულ მსგავსებებსა და განსხვავებებს მხოლოდ მაშინ „აღმოვაჩენთ", როცა საკუთარ კულტურას სხვას ვადარებთ. განსხვავებებს ვხედავთ არა მხოლოდ ჩვენსა და სხვა კულტურებს შორის, არამედ ჩვენი კულტურის დღევანდელ და ადრეულ საფეხურებს შორისაც. როდესაც ევროპელებმა, მსოფლიოში მოგზაურობის შედეგად, მანამდე სრულიად უცნობი მხარეები აღმოაჩინეს, ისინი გაოცებული იყვნენ ადგილობრივთა ცხოვრების წესით, რომელიც მათი ცხოვრების წესისაგან ძალიან განსხვავდებოდა; ამის გამო ხშირად მათ „ჩამორჩენილებად" ან, სულაც, „ველურებად" თვლიდნენ. თუმცა ევროპელი მოგზაურები არ ითვალისწინებდნენ, რომ ამ ხალხებსაც, შეიძლება, უცნაურად და გაუგებრად მოჩვენებოდათ ევროპელებისათვის სრულიად ჩვეულებრივი ქცევები. მაგალითად, საზოგადოებებისათვის, სადაც ბავშვები მუდამ უფროსებთან ერთად არიან, დედის ზურგზე მოკალათებული გადაადგილდებიან, მათთან ერთად სძინავთ, ბავშვის მარტო დატოვება მანეჟში ან ცალკე საწოლში, შეიძლება, ბარბაროსულ და სასტიკ მოპყრობად ჩანდეს. სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები განსხვავებულად

აღიქვამენ ადამიანის ფიზიკურ სილამაზესაც. მაგალითად, ზოგ კულტურაში მსუქანი ადამიანი მიიჩნევა ლამაზად, ზოგან კი სიმსუქნეს პრობლემად თვლიან და დიდი მონდომებით ცდილობენ მის დაძლევას. ერთი თანამედროვე ანთროპოლოგის სიტყვით, სიმსუქნე ლამაზია იქ, სადაც მხოლოდ მსუქნები არიან კარგად. რას ნიშნავს ეს? საზოგადოებებში, სადაც საკვების ნაკლებობაა, სიმსუქნე კარგი ცხოვრების ნიშნად ითვლება. იქ კი, სადაც ადამიანებს ნაკლებად აშინებთ შიმშილის საფრთხე, სიგამხდრე უფრო ფასობს. თუ აფრიკაში დიდი ხნის მეგობარ ქალს ეუბნებიან, რომ მან წონაში მოიმატა, ეს ნიშნავს, რომ ის ფიზიკურად უფრო ჯანსაღია, ვიდრე ადრე, ან კარგად დაისვენა. სხვაგან კი იგივე შენიშვნა შეურაცხყოფად მიიჩნევა. კულტურაში ფერებსაც კი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, წითლის, თეთრისა და ლურჯის კომბინაცია ამერიკულ კულტურაში პოზიტიურ და პატრიოტულ გრძნობასთან ასოცირდება. ჩინეთში ლურჯი/ცისფერი სიკვდილს უკავშირდება. გრაფიკული დიზაინერები ფერების განსხვავებული მნიშვნელობის გათვალისწინებით ქმნიან პროდუქტს სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის წარმომადგენლებისათვის.

სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა უშუალო ურთიერთობას ინტერკულტურული კომუნიკაცია ეწოდება. იოლი არ არის საკუთარისაგან რადიკალურად, ან თუნდაც უმნიშვნელოდ განსხვავებული წარმოდგენების და შეხედულებების მქონე ადამიანის გაგება და მიღება, მით უფრო, როდესაც ცოტა, ან სულაც არაფერი ვიცით მისი კულტურის შესახებ.

მუდმივ კონტაქტში მყოფი განსხვავებული კულტურების წარმომადგენელთა მშვიდობიანი თანაცხოვრების აუცილებელი წინაპირობა ინტერკულტურული დიალოგია. მისი საყოველთაოდ გაზიარებული განსაზღვრება არ არსებობს. 2006 წლის ნოემბერში ევროპის საბჭომ შემდეგი დეფინიცია შემოგვთავაზა: ინტერკულტურული დიალოგი არის პროცესი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელ ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის შეხედულებათა ღია, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გაცვლას, რასაც განსხვავებული მსოფლმხედველობისა და მოქმედების სიღრმისეულ გააზრებამდე მივყავართ.

„იუნესკოს უნივერსალურ დეკლარაციაში კულტურული მრავალფეროვნების შესახებ“ აღნიშნულია, რომ კულტურულად „მრავალფეროვან საზოგადოებებში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს განსხვავებული, ცვალებადი და დინამიური იდენტობების მქონე ხალხებსა და ჯგუფებს შორის ჰარმონიული ურთიერთქმედებისა და მათი თანაცხოვრების უზრუნველყოფას“ (მუხლი 2).

ინტერკულტურული დიალოგის პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრავალკულტურული, მრავალკონფესიური, მრავალეთნიკური რეგიონებისათვის, სადაც “სხვასთან” კონტაქტი და მასთან დიალოგი საუკუნეების მანძილზე ინტენსიურად მიმდინარეობდა და მთელი ისტორიის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა. ასეთ რეგიონთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, კავკასია, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა, ბალკანეთი, ბალტიისპირეთი, ცენტრალური აზია და სხვ. ამ რეგიონების განვითარება და მათი როლი მსოფლიო ისტორიაში, მნიშვნელოვანწილად, კულტურათა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე მდებარეობით არის განსაზღვრული.

“ბალკანეთის როლი მსოფლიო ისტორიაში, უმთავრესად, მისი გეოგრაფიული მდებარეობით იყო განპირობებული. იგი წარმოადგენდა არა მხოლოდ გზაჯვარედინს, არამედ ხიდსაც, არა მხოლოდ მთავარ ქუჩას, არამედ ცენტრალურ ადგილს სამი კონტინენტის ცივილიზაციათა და კულტურათა შეხვედრისათვის. ძნელია მოიძებნოს სხვა რეგიონი ამდენი კონფლიქტითა და არეულობით, ისევე როგორც ნაყოფიერი და შემოქმედებითი კონტაქტებითა და თანამშრომლობით სხვადასხვა კულტურული გამოცდილების თუ ცხოვრების წესის მქონე ხალხებს შორის” , აღნიშნავს პროფ. ფერიდ მუხიჩი. ერთ-ერთი ბულგარელი პოლიტიკოსის სიტყვით, მისი სამშობლოს კულტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს საუკუნეების განმავლობაში კულტურულ დერეფნად ყოფნის ნათელ დადასტურებას. თავისუფლად შეიძლება, ამ ციტატებში ბალკანეთი კავკასიით ჩავანაცვლოთ, ბულგარეთი კი - საქართველოთი. (https://www.culturepartnership.eu/ge)

კავკასიას ხშირად უწოდებენ ხალხთა მუზეუმს. აქ 50-მდე სხვადასხვა ხალხი ცხოვრობს, მათ შორისაა ერთობები, რომელთა ენაზე რამდენიმე ასეული ადამიანი ლაპარაკობს, და დიდი ეთნიკური ჯგუფებით, რომლებიც რამდენიმე მილიონ ადამიანს აერთიანებს. კავკასიონის ქედი კავკასიას ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად ყოფს. უკიდურესად

დანაწევრებულმა ტოპოგრაფიამ, აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ მთელი ისტორიის მანძილზე იგი წარმოადგენდა ხიდს ხალხებისათვის, რომლებიც აზიიდან ევროპისაკენ და ახლო აღმოსავლეთისაკენ (და პირიქით) მოძრაობდნენ, განაპირობა კავკასიის ეთნიკური, კონფესიური, კულტურული მრავალფეროვნება. დღეს კავკასიის მოსახლეობა, რომლის რიცხვი 30 მილიონს არ აღემატება, შედგება მრავალი ეთნიკური ჯგუფისაგან, რომლებიც მიეკუთვნებიან ენათა და ხალხთა სხვადასხვა ოჯახს და თანამედროვე მსოფლიოში არსებულ სხვადასხვა რელიგიურ აღმსარებლობას. (სმელზერი ნ.,2017)

ისტორიულად, კავკასია ხალხთა დიდი გადაადგილებებისა და მიგრაციების ზონა იყო. მომთაბარეთა თავდასხმები კავკასიის ყელის გავლით, მოძრაობა მთისკენ - მეტი უსაფრთხოებისათვის - და მთიდან ბარისკენ - უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობებისათვის, საქონლის სეზონური გადარეკვა მთიდან ბარში და პირიქით, გლეხების მოძრაობა ქალაქებისაკენ, მუდმივი ან თითქმის მუდმივი მიგრაცია რეგიონიდან დიასპორისაკენ და დიასპორიდან სამშობლოში დაბრუნება - ეს იყო უწყვეტი მოძრაობა. ამ მოძრაობის პროცესს სდევდა მოსახლეობის შერევა, არამკაფიო ეთნიკური საზღვრები, შერეული ქორწინებანი, ორ- და სამენოვნება, ეთნიკური და რელიგიური მიკუთვნებულობის ცვლილებანი, ზოგიერთი ხალხის გაქრობაც კი - როგორც, მაგალითად, შუა საუკუნეების კავკასიელი ალბანელებისა. ასე ახასიათებდა კავკასიის რეალობას ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი რონალდ გრიგორ სუნი. (სმელზერი ნ.,2017)

გზაჯვარედინზე ყოფნა კულტურული მედიატორის (შუამავლის) როლის შესრულებას გულისხმობს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მუდმივად მიმდინარეობს კულტურული ნაკადების შემოდინებისა და გადინების პროცესი.

ამგვარ ვითარებაში რეგიონის მოსახლეობის არსებობა და გადარჩენა შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთმანეთთან და გარესამყაროსთან მუდმივი დიალოგის ვითარებაში. კულტურათა დიალოგი, მუდმივად ცვალებადი პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, აქ მუდმივი პროცესი იყო. დიალოგი წარმოადგენდა საფუძველს ადაპტაციური მექანიზმების ჩამოყალიბებისათვის, რაც ხელს უწყობდა სხვადასხვა ხალხის, აღმსარებლობისა და ტრადიციის თანაარსებობას. განსხვავებული კულტურული ტრადიციების მუდმივი

ურთიერთქმედება და თანაარსებობა, როგორც წესი, არ აღიქმებოდა დაპირისპირებისა და კონფლიქტის წყაროდ.

კულტურათა დიალოგი კავკასიაში ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკა იყო, და არა მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი. იგი ხშირად გამოიყენებოდა როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება. ამავე დროს, მრავალსაუკუნოვანი ინტერკულტურული დიალოგი არ ნიშნავს მუდმივ მშვიდობიან თანაარსებობას. არც დიალოგის ფორმები იყო უცვლელი. მიუხედავად ამისა, კავკასიური კულტურების ურთიერთქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც ინტერკულტურული დიალოგის საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოცდილება. (http://bloggertsustudents.blogspot.com/2013/12/blog-post.html)

დღეს კულტურათა დიალოგი უსაფრთხოების ახალ პარადიგმად ჩამოყალიბდა. მსოფლიო სულ უფრო "ვიწროვდება", მისი ცალკეული ნაწილები სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. პოლიტიკის მეცნიერებათა პროფესორი ჰასან სალამი აღნიშნავს, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიები, მიგრაციები, ტურიზმი, რომელიც ინდივიდუალური წამოწყებიდან მასობრივ მოძრაობად იქცა, პირისპირ გვახვედრებენ "სხვას", რომელიც ყველგანაა და მასთან შეხვედრის თავიდან აცილება შეუძლებელია . გლობალიზაცია, ერთი მხრივ, განაპირობებს სხვადასხვა კულტურის მატარებელთა მჭიდრო კონტაქტს, მეორე მხრივ, მკაფიოდ ავლენს განსხვავებებს.

სულ უფრო მეტს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ კულტურა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ცალკეულ საზოგადოებებში და მთლიანად მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. ამა თუ იმ პროექტის წარმატება თუ წარუმატებლობა დიდადაა განსაზღვრული კულტურით. ისიც უნდა ითქვას, რომ „კულტურა იმ ენად იქცა, რომლის მეშვეობითაც ხშირად ვლინდება/გამოიხატება კონფლიქტები, მაშინაც კი, როცა ისინი არ არის განპირობებული კულტურული ფაქტორებით" . თუ კლოდ ლევი-სტროსის სიტყვებს გავიხსენებთ, „XXI საუკუნე კულტურის საუკუნე იქნება, ან იგი არ იქნება საერთოდ".

ამ მიზეზების გამო, კულტურათა ურთიერთმოქმედება და დიალოგი მეცნიერული ინტერესისა და შესწავლის საგნად იქცა არა მარტო მრავალეთნიკურ საზოგადოებებში, არამედ მთელ მსოფლიოში. მკვლევრები ცდილობენ, თეორიულად გაიაზრონ

ინტერკულტურული დიალოგი როგორც პროცესი, მისი ნორმები, წესები, კავშირი იდენტობის, კონფლიქტის და სხვა ცნებებთან, პასუხი გასცენ კითხვას, შესაძლებელია თუ არა იდენტობის კრიზისის დაძლევა და ახალი ჯგუფური იდენტობის განსაზღვრა სხვასთან დაპირისპირების გარეშე, როცა კონტაქტი მასთან მეტისმეტად მჭიდროა?

2.2 ინტერკულტურული დიალოგის ძირითადი პრინციპები

"კულტურათა წარმატებული ურთიერთობის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია იმის ცოდნა, თუ რატომ იქცევა სხვა კულტურის ხალხი სწორედ ასე და არა სხვაგვარად; იმის გააზრება, რომ მათი ქცევა მნიშვნელოვანია მათთვის, იმის მიუხედავად, გასაგებია თუ არა იგი თქვენთვის" (ქრეიგ სთორთი).

1. სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში გვეხმარება აისბერგისა და კულტურის სათვალის ცნობილი მეტაფორების გახსენება. აისბერგის მოდელი თვალნათლივ წარმოგვიდგენს კულტურის რთულ და მრავალფეროვან ხასიათს. აისბერგის მხოლოდ მცირე ნაწილი (1/8) ჩანს წყლის ზემოთ, წყლის ქვეშ კი უფრო დიდი, უხილავი ნაწილია მოქცეული. კულტურის ის ელემენტები, რომელიც ერთი შეხედვითაც თვალშისაცემია (მაგალითად, ენა, არქიტექტურა, რიტუალები, ანბანი, ხელოვნება, საკვები, სამზარეულო, სამოსი, მუსიკა, ავეჯი, სამკაული და ა.შ.), შეიძლება შევადაროთ აისბერგის ზედა ნაწილს. კულტურის ძირითადი, ფუნდამენტური ელემენტები (ნორმები, ფასეულობები, მსოფლმხედველობა და სხვ.) უხილავ ნაწილში ექცევა, სწორედ ეს ელემენტები ქმნიან საფუძველს კულტურის „ხილული" ნაწილისათვის. შესაძლოა, ჩვენ ვიცნობდეთ „ხილულ" ელემენტებს, თუმცა, ამა თუ იმ კულტურასთან შეხვედრის საწყის ეტაპზე, ვერ შევიცნობთ ფუნდამენტურ ელემენტებს, რომლებიდანაც ხილული ნაწილი მომდინარეობს.

ფრანც ბოასის სიტყვით, ყველა ჩვენგანი ვატარებთ „კულტურის სათვალეს", რომლის მეშვეობით აღვიქვამთ გარემომცველ სამყაროს და ვსაზღვრავთ ჩვენს მოქმედებებს. ამ სათვალით „ვხედავთ" სხვა კულტურებს, გაუცნობიერებლად ვადარებთ მათ ჩვენსას და ვსაზღვრავთ, რა არის „კარგი" და „ცუდი". ჩვენი კულტურის თავისებურებები გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორც ვხედავთ სხვა კულტურას. კულტურა, როგორც სათვალე,

განაპირობებს ჩვენს მიერ სამყაროს ხედვას. „კულტურის სათვალის“ მეტაფორის ნაცვლად, ფსიქოლოგები იყენებენ ტერმინს „კულტურის ფილტრები“, ისინი თვლიან, რომ სოციალიზაციის პროცესში ადამიანი აღიჭურვება ერთგვარი ფილტრებით, რომელთა მეშვეობით აფასებს გარემომცველ სამყაროს.

2. დიალოგის ამოსავალი (შე)კითხვაა. თუ დიალოგში ჩართული ადამიან(ებ)ი არ არიან დაინტერესებული კითხვაზე არსებული სხვადასხვა პასუხით, განსახილველი საკითხის შესახებ ახალი ცოდნის შეძენით, არამედ უპირატესობას ანიჭებენ „მზა“ პასუხს, რომლის შეთავაზება თავად შეუძლიათ, რეალური დიალოგი და ურთიერთგაგება შეუძლებელი იქნება. ცოდნა არის კამათი დაპირისპირებული თვალსაზრისების ირგვლივ. შეკითხვები ავლენენ ყველა არსებულ შესაძლებლობას, უპირობოდ მიღებული თვალსაზრისი კი დიალოგს შეუძლებელს ხდის .

3. დიალოგის აუცილებელი პირობაა, რომ იგი იწყებოდეს არა იმ საკითხებით, რომლებიც ერთმანეთთან გვაპირისპირებს, არამედ იმით, რაც საერთო გვაქვს. დიალოგი განწირულია წარუმატებლობისათვის, თუ იგი წარსული წყენისა და დაპირისპირების გახსენებით იწყება და მისი მონაწილეები შემდეგ, სამომავლოდ აპირებენ შეხების წერტილების მოძებნას.

4. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს დიალოგის თემა, რომელიც გულდასმით შეირჩევა. არ შეიძლება, დიალოგი ერთდროულად და ერთბაშად ყველა საკითხს ეხებოდეს.

5. დიალოგის მონაწილე მხარეები არ უნდა მოელოდნენ სრულ ურთიერთგაგებას, რაც შეუძლებელია იმიტომ, რომ მათ განასხვავებს კულტურა, ენა და ისტორია. დიალოგი ურთიერთობის ფორმაა, ურთიერთობა კი არ ემყარება ტოტალურ კონსენსუსს ყველა საზღვრისა და განსხვავების გადალახვით . მარტინ ბუბერის ცნობილი დეფინიციით, დიალოგი კომუნიკაციის ეფექტური ფორმაა, და არა კონკრეტული მიზნის მიღწევისაკენ მიმართული გამიზნული მცდელობა.

6. დიალოგის ერთ-ერთი პირობაა დავიწყების უნარი. რაბინ არტურ შნაიერის სიტყვით, ღმერთმა ადამიანებს არა მარტო დამახსოვრების, არამედ დავიწყების ნიჭიც მოგვცა . დიალოგის წარმატებისათვის გონებამ (რაციომ) უნდა სძლიოს ემოციას.

ისევ რიჩარდ ლუისს დავუბრუნდეთ და დავსვათ კითხვა: შესაძლებელია თუ არა დიალოგი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ კულტურათა წარმომადგენლებს შორის? დიახ, იმიტომ რომ მათი ქცევა სულაც არ არის შემთხვევითი, არამედ მკაფიოდ განსაზღვრულ წარმოდგენებსა და ტრადიციებს ემყარება. ევროპელების, ამერიკელების თუ აზიელების რეაქციების პროგნოზირება, სათანადო ცოდნის შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია. თუ ჩვენ მათი კულტურით ვინტერესდებით და ვიძენთ „სამუშაო“ ცოდნას მათ შესახებ, შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორი იქნება მათი დამოკიდებულება ჩვენდამი და ჩვენი შეთავაზებებისადმი. ეს თავიდან აგვაცილებს არასასიამოვნო მოულოდნელობებს და წარმატებული ურთიერთობის შესაძლებლობას მოგვცემს. მეცნიერები კულტურათა ურთიერთობის სამ ვარიანტზე საუბრობენ:

1. ჯუნგლების მოდელი - კულტურები ებრძვიან ერთმანეთს;
2. გალიების მოდელი - თითოეული კულტურა თავის გალიაშია მოთავსებული, ისინი ერთმანეთს ხელს არ უშლიან, არც ურთიერთობენ. ყველა მათგანზე „ზოოპარკის მეპატრონე“ ზრუნავს, რომელიც ინახავს მათ.
3. ექიმების მოდელი - როგორც სხვადასხვა პროფილის ექიმები იკვლევენ დაავადებას, რათა მკურნალობა განსაზღვრონ, ასევე სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ერთად ეძებენ თანაარსებობის გზებს. (Salame Gh.2007)

2.3 კულტურული დიალოგი

ოლექსანდრ ბუტსენკო - ‘’ცენტრი დემოკრატიული განვითარება კულტურის გზით“ (კიევი, უკრაინა)

“კულტურათაშორისი დიალოგი აუცილებელია ჩვენს დროში. მზარდ მრავალფეროვან და ნაკლებ უსაფრთხო სამყაროში ჩვენ გვჭირდება ეთნიკურ-რელიგიურ, ლინგვისტურ და ეროვნულ გამყოფ ხაზებზე საუბარი. კულტურათაშორისი დიალოგის სტრატეგიის განაცხადი.“

თანამედროვე ლიტველმა ფილოსოფოსმა, ფილოსოფიის ისტორიკოსმა და ევროპის პარლამენტის თანათავმჯდომარემ ლეონიდას დონსკისმა თავის ბოლო წიგნში შემოიტანა

ასეთი ცნება - „პრობლემური იდენტობა“. 2009 წელს გამოცემული წიგნის სათაურია პრობლემური ცნობიერება და თანამედროვე მსოფლიო, რომელშიც ავტორი ამტკიცებს, რომ „თანამედროვე მსოფლიოში სხვაგვარი იდენტობა უკვე აღარ არსებობს. ცვალებადი იდენტობა ყოველთვის პრობლემურია, ხოლო პრობლემური იდენტობა - ცვალებადი“. ჩვენ ცვალებად სამყაროში ვცხოვრობთ და ჩვენს პიროვნულობაზე აისახება ჩვენი დროის ცვლილებები, გაურკვევლობა და წინააღმდეგობები. ამ გარდაქმნათა სიჩქარე ახალი ტექნოლოგიების და კომუნიკაციის საშუალებათა ბარდაბარ ყოველწლიურად იზრდება. თუმცა მრავალსაუკუნოვანი წინააღმდეგობა ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის კვლავ რჩება. ნებისმიერი პატარა ქალაქის სუპერმარკეტში შეხვდებით მსოფლიო ტენდენცებსა და ბრენდებს; ამავე დროს, „გასულ საუკუნეში ერი-სახელმწიფოების რაოდენობა გაოთხმაგდა და ორასს მიაღწია დამატებითი საზღვრების შექმნით“, როგორც ეს 2009 წლის ადამიანური განვითარე ბის ანგარიშშია აღნიშნული.

თანამედროვე ევროპული ღირებულებები შეიძლება დავახასიათოთ როგორც „ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის მიმდინარე ინტენსიური დიალოგი“, რომელიც აყალიბებს თანამედროვე კოლექტიურ იდენტობას. თუ ევროპული იდენტობა შედგა, როგორც ეს კულტურათშორისი დიალოგის სტრატეგიის განაცხადშია ნათქვამი, ის დაემყარება საერთო ფუნდამენტურ ღირებულებებს, საერთო მემკვიდრეობისა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემას, თითოეული პიროვნების ღირსების პატივისცემას.

შეუძლებელია კულტურულ იდენტობაზე საუბარი ერთი კონკრეტული კულტურით შემოიფარგლოს. ჩვენს სამყაროში თითქმის ყველა პიროვნებას ყოველდღიურ ცხოვრებაში თუ შემოქმედებითი თვითრეალიზაციისას რაღაც ზომით რამდენიმე კულტურასთან უწევს შეხება. ადამიანები ხშირად საკუთარ თავს ერთმანეთთან დიალოგში მყოფი რამდენიმე კულტურიდან აგებენ.6 ამის მაგალითს წარმოადგენს ცნობილი კინორეჟისორი სერგო ფარაჯანოვი, რომელიც გამუდმებით საკუთარ თვითობას ეძებდა მრავალი იდენტობის სამყაროში და კულტურათა საზიარო სივრცეში. ის დაიბადა თბილისში, სომხურ ოჯახში და ცხოვრების უმეტესი წილი უკრაინასა და საქართველოში გაატარა, ბოლოს სომხეთში დასახლდა. ის რამდენიმე ენაზე საუბრობდა და ყველა ეს ქვეყანა მას თავისიანად აღიქვამს.

მეორე განმაცვიფრებელი მაგალითი ამერიკელი სოციალური ფსიქოლოგი ედგარ შეინია. მამამისი უნგრელი იყო, რომელიც სლოვაკეთში ცხოვრობდა; ეს უკანასკნელი მოგვიანებით ჩეხოსლოვაკიაში გაერთიანდა; ამიტომ შეინი გახდა ჩეხი მოქალაქე. მას დოქტორის ხარისხი ექსპერიმენტულ ფიზიკაში ციურიხის უნივერსიტეტში მიენიჭა. შეინის დედა, საქსონელი გერმანელი ინჟინრის ერთადერთი ქალიშვილი, ასევე ფიზიკით დაინტერესებული, ციურიხის უნივერსიტეტში მოხვდა. აქ შეინის მშობლებმა გაიცნეს, შეუყვარდათ ერთმანეთი და 1927 წელს დაქორწინდნენ კიდეც. ედგარ შეინი 1928 წელს დაიბადა და ექვსი წელი ციურიხში გაატარა, მოგვიანებით ოდესაში მოუწია ცხოვრება, სადაც მამამისი 1934-36 წლებში ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა. მეცნიერის შემდეგი საცხოვრებელი ადგილი იყო პრაღა, ჩიკაგო და მთელი მსოფლიო.

ეს ამბავი გვაცნობს ადამიანს, რომელმაც დაიმკვიდრა თავი როგორც შემოქმედმა მეცნიერმა განსხვავებული ენებისაა და კულტურების მუდმივი დიალოგის საფუძველზე. ის, რაც შეიძლება კონკრეტულ ადამიანზე ითქვას, საზოგადოებებსა და ერებზეც შეიძლება გავრცელდეს. ამიტომ, ერთობ მნიშვნელოვანია კულტურათაშორისი დიალოგი, რათა შესაძლებელი გახდეს მულტიკულტურულ გარემოში სხვადასხვა კულტურული მიკუთვნებულობის დადგენა. კულტურათშორისი დიალოგით შესაძლებელია მუდმივად ახალი იდენტობის ბალანსის მიღწევა, ახალი გახსნილობისა და გამოცდილების გამოყენება, იდენტობაზე ახალი შრეების დამატება ფესვების უარყოფის გარეშე. კულტურათშორისი დიალოგი გვეხმარება, თავიდან ავიცილოთ იდენტობის პოლიტიკასთან დაკავშირებული საფრთხეები და ღიად შევხვდეთ თანამედროვე საზოგადოებების გამოწვევებს.

ისტორიულად, უკრაინა მრავალეთნიკური სახელმწიფოა. ბოლო აღწერით (2001) ქვეყანაში 133 ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს. მათ შორის არსებული ურთიერთობა გამოხატავს ბოლო საუკუნის განმავლობაში უკრაინაში ჩამოყალიბებულ სოციალურ გარემოს და საჯარო პოლიტიკას, რომელსაც მემკვიდრეობით წარსული დამოკიდებულების მრავალი თვისება შემორჩა. პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები, ომები, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა, ძალაუფლება, მმართველი

პოლიტიკა და სხვა მრავალი ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე.9

1989 წლიდან, კერძოდ, 1991 წლის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უკრაინული მოსახლეობის შემადგენლობამ რადიკალური ცვლილებები განიცადა. ცვლილების ძირითადი გამომწვევი მიზეზები იყო: 1) დეპორტირებული ერების და უმცირესობების, ასევე, უკრაინული დიასპორის დაბრუნება; 2) სხვადასხვა ეროვნების რეპატრაცია; 3) უკრაინელი მოქალაქეების (განურჩევლად ეთნიკური მიკუთვნებისა) მიგრაცია სამუშაოს ძიებასთან დაკავშირებით; 4) აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიგრაცია, რომელშიც უკრაინა შუალედური ეტაპია; 5) ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან უკრაინაში მიგრაცია, ახალი უმცირესობების დიასპორა; 6) ომის ან სხვა კრიზისების შედეგად აღმოსავლეთის ქვეყნებიდან უკრაინაში მიგრაცია; 7) შიდა მიგრაცია - მიგრაცია სოფლებიდან დაბებში, ქალაქებში, ინდუსტრიალ ცენტრებში. ასე რომ, უკრაინა ყველა იმ გამოწვევის წინაშე დადგა, რომელთა წინაშეც დგას დასავლეთი, ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის სხვა ქვეყნები. აქ ლაპარაკია ახალი ეპოქის იმ გამოწვევებზეც, რომლებიც დაკავშირებულია მიგრაციის პროცესებთან, გლობალიზაციასთან, ეკონომიკურ და სოციალურ ტრანსფორმაციებთან. როგორც კულტურათაშორისი დიალოგის სტრატეგიის განაცხადშია აღნიშნული, ეს იმაზე მიუთითებს, რომ კულტურული მრავალფეროვნების დარეგულირების ძველი მეთოდები უკვე არაადეკვატურია.

„კულტურათშორისი დიალოგი“, როგორც ტერმინი, პირველად ევროპის საბჭომ სოციალურ სფეროსთან მიმართებაში 1980-იან წლებში გამოიყენა. ლაპარაკი იყო პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში მოქალაქეების ჩართვაზე. 1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში, როცა ევროპის საბჭოს წევრთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, კულტურათშორისი დიალოგი ახალი ევროპული დისკურსის მთავარი თემა გახდა; ეს განაპირობა „კულტურათა შეხვედრის“ საკითხზე მუდმივმა ზეწოლამ: ერთი მხრივ, სამოქალაქო მოძრაობამ, მეორე მხრივ, ეროვნული იდენტობის მუდმივი ძიების ჩვენმა ბუნებამ. ჩვენ კულტურათა დიფუზიის პირობებში ვცხოვრობთ, რასაც მოგზაურობა, ტექნოლოგია და ჩვენი ეკონომიკებისა და კულტურების ურთიერთდამოკიდებულება განაპირობებს. კულტურათშორისი პოლიტიკა და ჯგუფთაშორისი ურთიერთობები უფრო

და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ევროპული პოლიტიკისთვის. ის, რომ 2008 წელი კულტურათშორისი დიალოგის წლად დასახელდა, თანამედროვე ევროპული მისწრაფებების ლოგიკური გამოხატულებაა. იგი მიზნად ისახავს კულტურათშორისი დიალოგის წახალისებას და „აქტიური ევროპული მოქალაქეობის“ შესახებ ზოგადი ცნობიერების ამაღლებას. ამით ევროპის საბჭომ მხარი დაუჭირა ევროპულ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე ყველა იმ ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავდა მთელს ევროპაში კულტურათშორისი ურთიერთობების გაუმჯობესებასა და განვითარებას. უკრაინა მცირედი დაგვიანებით შეუერთდა ამ საერთო ევროპულ ინიციატივას და 2008 წლის გაზაფხულზე გამოვიდა პრეზიდენტის ბრძანებულება კულტურათშორის დიალოგთან დაკავშირებით. მთავრობამ საკმაოდ წამახალისებელი სამოქმედო გეგმა მიიღო. თუმცა, საბოლოო ჯამში, წელმა ისე ჩაიარა, რომ არსებულ მიდგომებსა და პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არა ყოფილა. განვითარების ანგარიშებში წლიდან წლამდე აღიწერებოდა ჩვეულებრივი მოვლენები და პროგრამები-ფესტივალები, კონცერტები, ფორუმები, გამოფენები და სხვა, იმ განსხვავებით, რომ 2008 წელს ეს მოვლენები კულტურათშორისი დიალოგის სათაურის ქვეშ იყო მოქცეული. შეიძლება ამის მთავარი მიზეზი ახალი იდეების გაუცნობიერებლობაა ან კიდევ უარესი - მათი უგულებელყოფა; ან შეიძლება უჭირთ არსებული დადებითი გამოცდილების ახალ ჩარჩოში ჩასმა. მაგალითად, როცა ექსპერტები პირველად ეწვივნენ ქალაქ მელიტოპოლს, ისინი უკონფლიქტო, კულტურულად გადახლართული მრავალეროვნული საზოგადოების ნახვამ გააოგნა. აქ ჩვეულებრივი ამბავია, რომ მერიის თანამშრომლებში, მასწავლებლებში, ექიმებსა და ადგილობრივ ლიდერებს შორის განსხვავებული ეთნიკური, კულტურული და რელიგიური წარმომავლობის ადამიანებს შეხვდეთ. როდესაც ევროპელმა ექსპერტებმა მოსახლეობას კითხეს, რა იყო ამგვარი თანხმიერების მიზეზი, ამ კითხვამ, თავის მხრივ, მელიტოპოლელების გაკვირვება გამოიწვია. სოკრატე ამბობდა, რომ, ყოველი ადამიანი გაუცნობიერებლად უდიდესი ცოდნისა და უნარების მატარებელია; აქ შეიძლება ამ თეზისის ასეთი პარაფრაზირება მოვახდინოთ: ყველა საზოგადოებას საკუთარი საიდუმლო აქვს, რომლის ამოცნობაც სწორი კითხვების დასმით არის შესაძლებელი. ამისათვის

აუცილებელია, გასაგები და საზოგადოდ მიღებული ტერმინები და განმარტებები გამოვიყენოთ.

არ არსებობს კულტურათშორისი დიალოგის საყოველთაოდ მიღებული განმარტება. ეს ცნება სხვა ცნებების ადაპტაციის შედეგია, რომლებიც კვლავ გამოიყენება - მულტიკულტურალიზმი, სოციალური ერთობა და ასიმილაცია. შეიძლება ვთქვათ, რომ ამჟამად საუკეთესო ფორმულირება ევროპის საბჭოს მიერ კულტურათშორისი დიალოგის პოლიტიკის განაცხადშია მოცემული. აქ ნათქვამია:

„კულტურათშორისი დიალოგი გულისხმობს ხედვათა ღია და ღირსეულ გაცვლას სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული, რელიგიური და ლინგვისტური წარმომავლობის და მემკვიდრეობის მქონე ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის.“11

სულ უფრო და უფრო მეტად აღიქმება კულტურათშორისი დიალოგი ურთიერთგაგების, უკეთესი თანაცხოვრების და აქტიური ევროპული მოქალაქეობისა და მიკუთვნებულობის გზად. კულტურათშორისი დიალოგი მხოლოდ გარკვეული წინაპირობის შემთხვევაში ვითარდება. სტრატეგიის განაცხადის მიხედვით, კულტურათშორისი დიალოგის განვითარებას სჭირდება

კულტურული მრავალფეროვნების მართვის დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება;
მოქალაქეობის და მონაწილეობის გაძლიერება;
კულტურათშორისი საქმიანობის ათვისება და სწავლება;
კულტურათშორისი დიალოგის სივრცის შექმნა და გაფართოება;
კულტურათაშორისი დიალოგის საერთაშორისო დონეზე აყვანა.

ეს არის პოლიტიკური ხედვის და რეკომენდაციის ხუთი პუნქტი - ხუთი განსხვავებული, თუმცა ურთიერთდაკავშირებული განზომილება, რომელიც მოიცავს მრავალ დაინტერესებულ აქტორს და მიმართულია კულტურათშორისი დიალოგის ხელშეწყობისკენ. სტრატეგიის განაცხადის მიზანია შექმნას მრავალფეროვნების მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის განვითარების ისეთი მოდელი, რომელიც თანხმიერებაში იქნება ადამიანის უფლებებთან. სტრატეგიის განაცხადი შეიქმნა ხელისუფლების, პოლიტიკური ასპარეზისა და სამოქალაქო საზოგადოების მრავალ დაინტერესებულ აქტორთან მჭიდრო კონსულტაციის შედეგად. კულტურათშორისი დიალოგი ინტეგრაციის

საკითხებზე ახლებურ ხედვას ავითარებს. ინტეგრაციის სახელით ასიმილიაციის საფრთხე უფრო მეტად მიგრანტებს ემუქრებათ; მულტიკულტურალიზმი ინტეგრაციის მსუბუქ ვერსიად მიიჩნევა. ამათგან განსხვავებით, ინტერკულტურალიზმი გულისხმობს როგორც მიგრანტების, ანუ ახლადჩამოსულების, ისე მასპინძელი თემის მხრიდან ძალისხმევასა და კომპრომისებს. რას ნიშნავს ინტერკულტურალიზმი რეალური პოლიტიკის კონტექსტში, როგორ ვითარდება სახელისუფლებო ინსტიტუტები და საჯარო მომსახურება ამ პრინციპების შესაბამისად, ეს და სხვა კითხვები 2008 წელს ევროპის საბჭომ წამოწია წინ, როცა ევროპის კომისიასთან ერთად წარადგინა ინტერკულტურული ქალაქების პროგრამა - ცხოვრების ლაბორატორია, რომლის ამოცანაა ადგილობრივ დონეზე კულტურათშორისი ინტეგრაციის მოდელის განვითარება და ტესტირება. ინტერკულტურული ქალაქების ამოსავალი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მრავალფეროვნების კი არ უნდა გვეშინოდეს ან, უბრალოდ, შევიწყნარებდეთ მას, არამედ გვეამაყებოდეს და დადებითად ვავითარებდეთ როგორც დინამიზმის, შემოქმედითობის და წინსვლის წყაროს. „ინტერკულტურული ქალაქის“ ორიგინალური კონცეფცია ბრიტანულმა ორგანიზაციამ კომედია-მ განავითარა (მათ შორის, ასეთი იდეები: „ინტერკულტურული ლინზა“, „10 ნაბიჯი ინტერკულტურული ქალაქისაკენ“ და „ინტერკულტურალიზმის ინდიკატორები“) რატომ შეირჩა მაინცდამაინც ქალაქის თემები? როგორც ამას „გაერთიანებული ქალაქებისა“ და „ადგილობრივი ხალისუფლების“ სამუშაო ჯგუფები კულტურასთან დაკავშირებულ, ბოლო პერიოდში მიღებულ დოკუმენტში (მიზანი 21) განმარტავენ: „ქალაქებს არ შეუძლიათ საკუთარი მოქალაქეების `კულტურული იდენტობის' გარშემო არსებული ტელეოლოგიური დისკურსის დაცვა, როგორც ამას ერი-სახელმწიფოები აკეთებენ (ან აკეთებდნენ). იმიგრანტების დანიშნულების პუნქტი ყოველთვის ქალაქია, სადაც რამდენიმე წლის შემდეგ მისი ბინადრები და მოქალაქეები ხდებიან. ქალაქების იდენტობა აშკარად დინამიურია: ის ტრადიციული კულტურების გამოვლინებებს ყოველთვის აბალანსებდა და ქმნიდა ახალ კულტურათა ფორმებს.“ (სმელზერი ნ.,2017)

ნათქვამი შეეხება იაპონიასავით ჰომოგენური ან დახურული სახელმწიფოების ქალაქებსაც. იასუიუკი კიტავაკი, საერთაშორისო ურთიერთობების ტოკიოს უნივერსიტეტის, მულტილინგვისტური და მულტიკულტურული განვითარებისა და

კვლევის ცენტრის დირექტორი და პროფესორი, ქალაქ ჰამამაცუს ყოფილი (1997-2002 წლების) მერი, 2001 წელს გამოვიდა ინიციატივით, უცხოელებით კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიებზე სპეციალური კომიტეტები შეექმნათ. თავდაპირველად კომიტეტში 13 ქალაქი გაერთიანდა, რომლებიც უცხოელთა რაოდენობის სწრაფმა ზრდამ მსგავსი პრობლემების წინაშე და- აყენა. ამჟამად მათი რიცხვი ოცდახუთამდე გაიზარდა. 2001 წელს მათ შეიმუშავეს ე.წ. ჰამამაცუს დეკლარაცია, რომელიც მოუწოდებდა „ჩამოეყალიბებინათ ჭეშმარიტად სიმბიოზური საზოგადოება, რომელსაც საფუძვლად ექნებოდა უფლებათა პატივისცემა და მოვალეობათა აღსრულება, რაც აუცილებელია ჯანსაღი ურბანული ცხოვრებისთვის; ამას ხელი უნდა შეეწყო ურთიერთგაგების გაღრმავებისათვის, იაპონელი და უცხოელი ბინადრების მიერ ერთმანეთის კულტურებისა და ღირებულებების პატივისცემისთვის“. ნათქვამი გულისხმობს ინტეგრაციის პოლიტიკას, რომელიც ორივე, ადგილობრივი და ჩამოსული მოსახლეობისგან, ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებას ესწრაფვის. ის, ასევე გულისხმობს მულტიკულტურალიზმს, რომელიც ურთიერთგაგებასა და ერთმანეთის კულტურების პატივისცემას ემყარება. შესაბამისად, ჰამამაცუს დეკლარაცია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მუნიციპალიტეტების განაცხადი, ხელი შეუწყონ „მულტიკულტურული სოციალური ინტეგრაციის პოლიტიკას“. წელს, ნოემბერში იაპონიაში გაიმართა ევროპული ინტერკულტურული ქალაქების ქსელსა და იაპონურ მულტიკულტურულ გაერთიანებებს შორის შეხვედრა. იაპონელმა ექსპერტებმა შეხ- ვედრაზე ახალი ცნება - „ტაბუნკა-კიოსეი“ (მულტიკულტურული სიმბიოზი) წარმოადგინეს. ტაბუნკა-კიოსეი იზიარებს ინტერკულტურული ქალაქის მრავალფეროვნების პრინციპს, როგორც დინამიზმის, ინოვაციის, შემოქმედითობისა და წინსვლის წყაროს. სიმბიოზი გულისხმობს ორი ან მეტი ორგანიზმის ურთიერთსასარგებლო ერთობას. სიმბიოზი გულისხმობს სისტემის მიერ სხვადასხვა შეფერხებისა და სტრესის შთანთქმის შესაძლებლობას და მკვეთრი ცვლილების შემდეგ განვითარების გაგრძელებას. ეკოსისტემაში ამის მაგალითია ტყეში ქარიშხალის, ხანძრის ან დაბინძურებით მიყენებულ ზიანთან გამკლავება. რაც შეეხება ადამიანთა საზოგადოებას, ის შეიძლება იყოს პოლიტიკურ არეულობასთან, ეკონომიკურ ან ბუნებრივ კატასტროფებთან გამკლავება. (სმელზერი ნ.,2017)

მელიტოპოლი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტიპური უკრაინული ქალაქია საკმაოდ მრავალფეროვანი მოსახლეობით: 157 ათას მოსახლეში დაახლოებით 100 ეროვნებაა წარმოდგენილი. ინტერ-კულტურული ქალაქების პროგრამაში ჩართვის შემდეგ მელიტოპოლმა დაიწყო საკუთარი რესურსებისა და სიმდიდრის ხელახალი აღმოჩენა, სტრატეგიის გამოკვეთა და ახლებური ბრენდინგი (თაფლის ქალაქი, ევროპული ინტერ კულტურული ქალაქი). უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე, სხვა მრავალი უკრაინული ქალაქის მსგავსად, მელიტოპოლი მრავალი გამოწვევის წინაშე დადგა, როგორებიცაა განვითარების გეგმა, რესურსები და თვით ქალაქის ბრენდი. მეოცე საუკუნის ბოლოს ქალაქი ცნობილი იყო როგორც ინდუსტრიული და აგროკულტურული ცენტრი თავისი დიდი და პატარა საწარმოებით, რომლებიც განაპირობებდნენ ადგილობრივ კეთილდღეობას. ბოლო წლებში მათი უმრავლესობა ან გაუქმდა ან მკვეთრად შეიკვეცა მათი საქმიანობა. ქალაქი ვალდებული გახდა, ახალი რესურსები და გზები მოეძია. ქალაქის მრავალეროვნული ხასიათი და მათ შორის მშვიდობიანი და ნაყოფიერი თანაცხოვრების მნიშვნელოვანი „საიდუმლო“, მისი ერთ-ერთი მთავარი რესურსი აღმოჩნდა. ამ თვისებამ ინტერკულტურული ქალაქების პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა მისცა. პროგრამის ადგილობრივმა ჯგუფმა გამოსცა ინტერკულტურული დიალოგის წლის კალენდარი და ბუკლეტი ჩვენ ვართ მელიტოპოლი; შექმნეს ასევე სპეციალური ვებ-გვერდი. (სმელზერი ნ.,2017)

მელიტოპოლი რომ მოინახულა, ევროპის საბჭოს ექსპერტმა, სოფია ავერჩენკოვამ აღნიშნა: „საზოგადოების მხარდაჭერით ქალაქის ორ- განიზაციებმა მნიშვნელოვანი საქმიანობები განახორციელეს. ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით ქალაქში დაარსდა ოცი ეროვნულ-კულტურული საზოგადოება, რომლებიც მერის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი მელიტოპოლის ეროვნულ-კულტურული საზოგადოებების ასოციაციაში ერთიანდებიან. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ შექმნილიყო თავისუფალი გარემო, სადაც ეროვნულ უმცირესობებს საკუთარი ეთნიკური კულტურის და რელიგიური თავისებურებების განვითარება შეეძლებოდათ. ყველაზე აქტიურ თემებსა და ეროვნული თემების ასოციაციას სრულიად უფასოდ ხანგრძლივი პერიოდით სათანადო ოთახები გადაეცათ. ყველა ეროვნული უმცირესობა თანასწორი პოლიტიკური, ეკონომიკური,

სოციალური, სულიერი და კულტურული უფლებებით სარგებლობს. ორდღიანი კვლევითი ვიზიტისას ყველა ადამიანი, ვისაც შევხვდით, აღნიშნავდა, რომ მელიტოპოლი ინტერკულტურული ქალაქია, სადაც ასზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი მშვიდობიანად თანაცხოვრობს. ერთობ მნიშვნელოვანია ის ერთსულოვნება და გულწრფელი სიამაყე, რომლითაც ისინი ამ ახალ ბრენდს ითავისებენ.“ თუმცა ხშირად ჯერ კიდევ ნათლად ვერ წარმოუდგენიათ, თუ რეალურად რას ნიშნავს ინტერკულტურული პოლიტიკა და როგორ შეიძლება ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე მისი გავლენის შეფასება. ავერჩენკოვა მართალია, როცა აღნიშნავს: „პროექტში უშუალოდ ჩართულ პირთა შორის, მხოლოდ რამდენიმე აცნობიერებს ინტერკულტურულ მიდგომასა და ეროვნული დაახლოების სოციალისტურ თეორიას შორის განსხვავებას. შედეგად, ინტერკულტურული აქტივობა, ძირითადად, ქალაქის ხელისუფლებასა და ეროვნულ კულტურულ საზოგადოებებს შორის თანამშრომლობით და იმ ღონისძიებებით შემოიფარგლება, რომლებიც ამ უკანასკნელთათვის შემოქმედებითი გამოხატვის სივრცის შექმნას ისახავენ მიზნად.“ (Storti, Craig.2001)

2009 წელს ხმელნიცკის სახელობის მელიტოპოლის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტამენტის სოციოლოგიური კვლევების ადგილობრივმა ლაბორატორიამ, მელიტოპოლის მოსახლეობაში კვლევა ჩაატარა: ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკუ რი თვითშეგნე ბის თავისებურებე ბი. კვლევის შედეგების მიხედვით, რესპოდენტთა 22% ქალაქში დაბადებული პირველი თაობაა, ხოლო 17% - მეორე თაობა. 68,3% უკრაინის სხვა ქალაქებიდან არის ჩამოსული, 31.7% კი - სხვა ქვეყნებიდან. ახალჩამოსულთა 3.5% უკანასკნელი 10 წლის განმავლობაშია დასახლებული. ინტერკულტურული ოჯახების (64.9%) ფენომენი, ქალაქის მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. ინტერკულტურალიზმის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი ეთნოსთაშორისი ურთიერთობებია. ის „სხვა“ კულტურისა და უცხოელთა მიმართ დამოკიდებულებასა და რეალურ ურთიერთობას გამოხატავს. ზოგადად, რესპონდენტთა 83.3% კმაყოფილია მათ გარშემო მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ურთიერთობით (32,8% სრულიად კმაყოფილი, 55,5% კმაყოფილი, 7,3% უკმაყოფილო, 1,0% სრულიად უკმაყოფილო). (Мухич Ф.2003)

მომავალში ინტერკულტურული ქალაქების პროგრამაში მელიტოპოლის მონაწილეობა სამ ძირითად მიმართულებას დაეყრდნობა: ფლაგმანური პროექტების განვითარება და განხორციელება; ტრენინგები, კვლევა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება; სხვადასხვა სფეროში პატარა და საშუალო ერთობლივი პროექტებით საერთაშორისო კავშირების განვითარება. საწყის ეტაპზე, მელიტოპოლმა (სამუშაო შეხვედრებისა და საჯარო დისკუსიაზე დაყრდნობით) ახალი ინტერკულტურული ქალაქის პოლიტიკის ფარგლებში, სამი ფლაგმანური პროექტის განხორციელების გადაწყვეტილება მიიღო. ესენია: ინტერკულტურული ბაღი, ინტერკულტურული ადგილობრივი ავტობუსი და ინტერკულტურული ბიზნეს-ცენტრი. ამ ეტაპზე ადგილობრივი საზოგადოება აღნიშნული ინიციატივებიდან პირველის, ინტერკულტურული ბაღის განვითარებით არის დაკავებული. (https://mariamshaishmelashvili.wordpress.com)

ქალაქის ბაღის გადახალისების იდეა ადრეც არსებობდა, თუმცა იმ ეტაპზე ის ნაკლებ უკავშირდებოდა ინტერკულტურულ განვითარებას; მიზანი იყო დისნეილენდის თემაზე ბაღის შექმნა. ბაღის საკითხი მხოლოდ მელიტოპოლის პროგრამაში ჩართვის და ფლაგმანური პროექტის განვითარების ინიცირების შემდეგ კვლავ აქტუალური გახდა, რაკი ქალაქში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება გადაწყდა.16 ინტერკულტურული ბაღის განვითარების იდეის პირველი პრაქტიკული ნაბიჯი იყო 2009 წლის მაის-ივნისში ბრიტანული საბჭოს ნებართვით „მომავლის ქალაქის თამაშის“ ჩატარება, რომელიც ორგანიზებული იყო ქალაქის საბჭოს, ცენტრის - დემოკრატია კულტურული განვითარე ბის გზით და აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის რბანული ისტორიის ცენტრის (ლვოვი) მიერ. მონაწილეებს (სხვადასხვა ასაკის, პროფესიის, სქესისა და ეროვნების ხუთი-ექვსი წარმომადგენლისგან შემდგარ ხუთ ჯგუფს) დაევალათ ქალაქის ბაღის ინტერკულტურულ ბაღად გარდაქმნის იდეების განვითარება, რომელიც მომხიბვლელი იქნებოდა როგორც მელიტოპოლის მოსახლეობისთვის, ისე შავი ზღვისა და აზოვის ზღვის სანაპიროსკენ მიმავალი ტურისტებისთვის. თამაშის მონაწილეებმა დიზაინის მომზადებისას წარმოადგინეს საკუთარი და, გამოკითხვაზე დაყრდნობით, მოსახლეობის ოცნებები და იდეები. შესაბამისად, უკვე არსებობს მომავალი ბაღის ხუთი ხედვა, რომელიც ქალაქის გეგმასთან ერთად ბაღის განვითარების პროფესიულ გეგმას

შეიძლება დაედოს საფუძვლად. ამასთან დაკავშირებით, 2009 წლის სექტემბერში, ცენტრმა - დემოკრატია კულტურული განვითარების გზით და სტადსლაბმა, იმავე ევროპული ურბანული დიზაინის ლაბორატორიამ (ტიბურგი, ნიდერლანდები), ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ორგანიზება გაუწიეს სტადსლაბის დირექტორის, მარკ გლაუდემანის ვიზიტს მელიტოპოლში, სადაც განიხილეს „ინტერკულტურული ბაღის“ სადიზაინო ვორკშოფების ორგანიზების საკითხები. როგორც ამას ევროპული მედია იუწყება, შემდგომი ნაბიჯი 2010 წლის აპრილში საერთაშორისო მასტერ-კლასის ჩატარება იქნება. პროგრამის დანარჩენი ორი მიმართულება გულისხმობს:

ინტერკულტურული ქალაქების პროგრამის აქტივობებში უნივერსიტეტის კვლევითი ლაბორატორიების აქტიურ და რეგულარულ ჩართვას, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების, მონიტორინგისა და შეფასებების პროცესში ემპირიული მონაცემების გამოყენებას და ღია საჯარო დისკუსიის შენარჩუნებას;

ტრენინგების ორგანიზებას მედიისთვის (როგორ გააშუქონ კონფლიქტური საკითხები, ინტერკულტურული მიდგომები, სხვა), ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის, სოციალური მუშაკებისთვის, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთათვის (კონფლიქტების გადაჭრა, ღიაობა, მონაწილეობითი პოლიტიკა), ასევე, კერძო გამოცდილებების შესწავლას (სასწავლო ვიზიტებს), სამეცნიერო კონფერენციებს და სემინარებს;(https://icres.wordpress.com)

სხვა ევროპულ ინტერკულტურულ საზოგადოებებთან საერთო პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას: შემოქმედთა გაცვლა, სამხატვრო გამოფენები და ტურები, სტუდენტთა და მოსწავლეთა გავლითი პროგრამები და ვიზიტები, პოლიტიკის შემქნელთა ან ექსპერტთა ლექციები, საჯარო დისკუსიები, სხვა.

ყოველივე ეს მყარ საფუძველს უქმნის მუნიციპალურ მიზანმიმართულ პროგრამას „ინტერკულტურული მელიტოპოლი“, რომელიც ჩართავს ადგილობრივი თემის სხვადასხვა დაინტერესებულ პირსა და აქტორს და ყოველ კომპონენტში გამოიყენებს შედეგ ანგარიშვალდებულობის პრინციპს.

საბოლოო ჯამში, კულტურათაშორისი დიალოგი და ინტერკულტურალიზმი თანამედროვე მსოფლიოში ადგილობრივი თემების განვითარების პოლიტიკისთვის მყარ

და ქმედით საფუძველს ქმნიან. ეს პოლიტიკა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს უნდა მოიცავდეს, უპირველეს ყოვლისა კი, განათლებას, სოციალურ ინსტიტუტებს და კულტურას. ამ მხრივ აუცილებელია:

1)საერთო ენისა გამონახვა და სასურველი შედეგების განმარტებისთვის ყველასთვის მისაღები ცნებების გამოყენება;

2)საუკეთესო გამოცდილებების შეგროვება და შესწავლა;

3)ერთიანი პროექტებით რეალური შედეგების მიღწევა. (http://bloggertsustudents.blogspot.com/2013/12/blog-post.html)

დასკვნა

კულტურულ განსხვავებებს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მოლაპარაკების პროცესზე. ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად და მოლაპარაკების პროცესის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ მეორე მხარის კულტურული თავისებურებები. შეუძლებელია ზედმიწევნით ზუსტად შევისწავლოთ განსხვავებული კულტურა, ან წინასწარ ის განვსაზღვროთ რამდენად შეიძლება გავავრცელოთ კონკრეტულად ამ ადამიანზე ყველა ის თავისებურებები, ღირებულებები თუ ჩვევები, რაც ზოგადად დამახასიათებელია მისი კულტურისათვის; მთავარია შეუმჩნეველი არ დაგვრჩეს ის ძირითადი ასპექტები რაც ჩვენსა და მეორე მხარის კულტურას განასხვავებს და ურთიერთობისას ეს განსხვავება გავითვალისწინოთ.

ძველი ლათინური გამოთქმა გვეუბნება: "რომში ისე მოიქეცი, როგორც რომაელები იქცევიან". ვფიქრობ ეს გამონათქვამი სიტყვასიტყვით არ უნდა გავიგოთ. არ არის აუცილებელი სრულებით შევითვისოთ იმ უცხო ქვეყნის ტრადიციები და კულტურული თავისებურებანი, რომელშიც გვიწევს ცხოვრება ან რომლის მოქალაქეებთანაც გვაკავშირებს საქმიანი თუ პირადი ურთიერთობა, უბრალოდ უნდა შევეცადოთ დავინახოთ ის განსხვავებები რომლებიც არსებობს და პატივი ვცეთ მათ.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულ ენაზე:

სმელზერი ნ., კულტურა და საზოგადოება, socium.ge, 2017)

უცხო ენაზე:

Мухич Ф. Концепция и применение межцивилизационного диалога: македонская перспектива. Региональный форум Диалог между цивилизациями. Охрид, 29 и 30 августа 2003 г., с.143.

Suny, R.G. "Provisional Stabilities. The politics of Stabilities in Post-Soviet Eurasia". International Security. Vol. 24, No. 3 (Winter 1999/2000), p. 154.

Salame Gh. "Respect for cultural diversity is a prerequisite for dialogue". Expert Meeting Towards Mainstream Principles of Cultural Diversity and Intercultural Dialogue in Policies for Sustainable Development. 21-23 May 2007, UNESCO, Paris.

Storti, Craig. Old World / New World: Bridging Cultural Differences: Britain, France, Germany and US. Intercultural Press, 2001.

ინტერნეტ წყაროები:

https://www.culturepartnership.eu/ge/publishing/course/lecture-3

http://bloggertsustudents.blogspot.com/2013/12/blog-post.html

https://icres.wordpress.com/2013/01/11/culture/

https://tealovesconversations.wordpress.com/2013/11/30/%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97/

https://mentalmap.wordpress.com/2016/05/13/%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/

https://mariamshaishmelashvili.wordpress.com/

http://kulturiskvlevebi.weebly.com/

https://www.ted.com/talks/chimamanda_adichie_the_danger_of_a_single_story?language=ka

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კონფლიქტების ანალიზი და მართვა სადოქტორო პროგრამა

მე-2 სემესტრის დოქტორანტი

დავით რაზმაძე

სადოქტორო სემინარი

„საქართველოს არჩევანი რუსეთი/ევრაზიის კავშირი თუ NATO და EU !?“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეონა მატარაძე

თბილისი

2018

შესავალი

დღეს საქართველოს მოსახლეობაში და საზოგადოებაში ძალზედ აქტუალურია თემა/საკითხი: რუსეთი/ევრაზიული კავშირი თუ NATO/EU. ამ საკითხის განხილვა ხდება ყველგან და ყველასთან. ყველას თავისი განსაკუთრებული აზრი აქვს და უმეტესობა თვლის რომ მისი მოსაზრება სწორია. შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხის გარშემო საუბარი და მოსაზრება კონფლიქტამდე გადაიზარდა ქართულ საზოგადოებაში. რასაც ბევრი არასასურველი შედეგები მოჰყვა, როგორიცაა ქართული მარში და ე.წ. ქართული ფაშიზმი. თუმცა ამ ორგანიზაცია არც ერთი პირდაპირ არ ეწინააღმდეგება ან ემხრობა რომელიმე კონკრეტულ მიმართულებას, მაგრამ ამაზე მოგვიანებით. კონფლიქტი ქართულ საზოგადოებაში და პოლიტიკაში იმის შესახებ თუ რა უფრო მისაღებია ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენ მენტალობასთან რა უფრო ახლოს არის მეტად აქტუალური გახდა 2003-2004 წლის შემდგომ. ბევრი მოსაზრება ეფუძნება ერთ მომრწუმნეობაზე ვითომ საერთო ერთობლივ ისტორიაზე (ჩემი მოსაზრებით ჩვენ რუსეთან არ გვაქვს რაიმე საერთო ისტორია, ჩვენ უფრო გვაქვს ეტაპი ისტორიისა როცა მათი ნაწილი ვიყავით და გვინდა თუ არ გვინდა ის გვაკავშირებს რუსეთად, ანალოგიურია სხვა დაპყრობლების მიმართაც, იქნება ეს მონღოლები თუ არაბები, არანაკლები პერიოდი იყო საქართველო მათ ე.წ. უღელ ქვეშ. მე არ ვაფასებ რომელი უფრო ჯობდა ჩვენი ქვეყნისთვის და რომელმა უფრო მეტი ზიანი მოგვაყენა ჩვენ როგორც ერს) აქედან გამომდინარე გაჩნდა მსგავსება ჩვენ შორის, მათ მიითვისეს ჩვენი ტრადიციები ჩვენში დარჩა მათი ტრადიციები, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ჩვენ ერთნი ვართ, ალბათ ანალოგიური იქნება როცა ჩვენ სხვა დაპყრობლების ადათწესებს შევისწავლით რაიმე საერთო აღმოვაჩინოთ.

<u>საქართველო რუსეთი</u>

რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება მოხდა (XV- XVI სს) მას შემდეგ რაც მოსკოვის სამთავრომ სხვა რუსული სამთავრობოები შეიერთა და ცენტრალიზებული რუსეთის სახელმწიფო შეიქმნა. რუსეთის როგორც დამპყრობლის ჩამოყალიბებაში, რომელის ინტერესებიც მხოლოდ საკუთრივ მხოლოდ რუსეთი არ შემოიფარგლება, შეუწყო ხელი იმ პერიოდში მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა, რუსეთის ცენტრალიირებული სახელმწიფოს შექმნა მოხდა იმ დროს, როცა ბიზანტიის იმპერიას ოსმალები ანადგურებენ და კონსტანტინეპოლი ოსმალების ხელში გადადის და მსოფლიოს მართმადიდებლურ სამყაროში მხოლოდ რუსეთი რჩება დამოუკიდებელ სახლმწიფოთ იმ დროისთვის, რადგან დანარჩენი სახელმწიფოები ან დაიპყრო ოსმალეთის იმპერიამ ან ვასალად გამოაცხადა, სწორედ ეს გახდა ერთადერთი და მთავარი მიზეზი მომავალში საქართველოს რუსეთთან შეერთებისა.

იმ მომენტისათვის მსოფლიოში მობატონე ოსმალეთის იმპერიის მოწინააღმდეგედ რუსეთი აღიქმებოდა, ამიტომაც მას ჯერ საეკლესიო შემდეგ კი სახელისუფლო წრეებში, როგორც ქრისტიანული სამყაროს მხსნელად და ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრედ და მოსკოვს მესამე რომად ასახელებდნენ. ყველაფერმა ამან მეტად ძლიერი გავლენა იქონია ისეთ სახელმწიფოზე , როგორიც საქართველოა, ქვეყანას, რომლის მდებარეობაც აღოჩნდა მისი ბედ-იღბლის განმსაზღვრელი და განმაპირობებელი, საქართველო არის ის ქვეყანა, რომელსაც ყველაზე მეტად შეეფერება, ნაპოლეონ ბონაპარტის სიტყვები **„ქვეყნის ისტორიას,მისი გეოგრაფია განსაზღვრავს“.**

საქართველო იყო და რჩება საზღვარი ქრისტიანულ და ისლამური ცივილიზაციებს შორის და მისი გეოგრაფიული მდებარების გამო, პირველი იღებდა თავის თავზე აზიიდან დაძრული არმიერბის დარტყმებს, შეიძლება მხოლოდ XII საუკუნე მივიჩნიოთ გამონაკლისად, როცა საქართველო რომელიმე დიდი იმპერიის გავლენის სფეროში არ ყოფილიყო მოქცეული ან იმპერიებს შორის ბრძოლის არეალს წაროადგენდა.

საქართველოს მიზანს ყოველთვის წარმოადგენდა საკუთარი თვითმყოფადობისა და სახელმწიფოებრივობის შენარჩუნება.

საქართველოს და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები კახეთის მეფე ალექსანდრე I ის დროს დამყარდა, 1483 წელს როდესაც კახეთის მეფემ ივანე III-ს დახმარებისათვის მიმართა და მუსლიმი დამპყრობლების წინააღმდეგ ძალების გაერთიანება შესთავაზა. რუსეთის მმთავარმა უარით გამოისტუმრა ქართველები რამაც ხანგრძლივი დროით საქართველოს და რუსეთს შორის ურთიერთობების შეწყვეტა 1550 წლამდე, ამ დროს ურთიერთობის დამყარება სცადა კახეთის მეფე ლევანმა, რომელმაც რუსეთის მეფეს ივანე IV ეს მიმართა დახმარებისათვის, მიზეზი კვლავ მუსულმანური სახემწიფოს წინააღმდეგ, ერთიანი ძალებით ბრძოლას თხოვდა ეს მცდელობაც კრახით დამთავრდა.

დიპლომატიური ურთიერთობები ინტენსიური გახდა ლევანის მემკვიდრის ალექსანდრე II მეფობის პერიოდში. რუსეთის მეფეების პოლიტიკა და მიდგომები წლების მერეც არ შეიცვალა ისინი იმედს აძლევდნენ ალექსანდრეს და პირდებოდნენ სამხედრო დახმარებას, სანაცვლოდ კი კახეთის მეფეს რუსეთის მეფისთვის ერთგულების ფიცის მიცემას სთხოვდნენ. რაზეც მათ 1589 წელს ალექსანდრესგან მიიღეს კიდეც, მან ერთგულების ფიცი დადო, მაგრამ სანაცვლოდ ვერაფერი მიიღო დაუსრულებელი ელჩობების და რამდენიმე სასულიერო პირის გამოგზავნის გარდა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ელჩების მცდილობები მსგავსი ერთგულების ფიცი დაედებინათ საქართველოს სხვა მეფე-მთავრებისთვის, უშედეგო აღმოჩნდა განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართლის მეფე გიორგი X, რომელმაც კატეგორიული უარი განუცხადა მათთ ურთიერთობაზე. კახეთის მეფის პრორუსული განწყობების შესახებ არ გამოპარვიათ სპარსეთში, რომლის ვასალიც იყო ალექსანდრე II, ამიტომ შაჰ-აბას I გადაწყვიტილებით კახეთში ხელისუფლება უნდა შეცვლილიყო და ასეც მოიქცა კახეთში და პრორუსული ალექსანდრეს ნაცვლად მისი სპარსეთში გაზრდილი შვილი გამოგზავნა, რომელიც შაჰის ერთგულებით გამოირჩეოდა. 1605 წელს სპარსელების დახმარებით კონსტანტინემ მოკლა თავისი მამა და ძმა გიორგი, თვითონ კი თავი მეფედ გამოაცხადა

კონსტანტინე I-ის სახელით. გამეფების შემდეგ გაწყვიტა ურთიერთობები რუსეთთან, რითაც დაასრულა კახეთის ნახევარსაუკონავანი პრორუსული პოლიტიკა.

საქართველოში რუსეთის მიმართ ინტერესი დღითი დღე იზრდებოდა და რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მცდელობებიც ხშირდებოდა, რუსეთთან დიპლომატიური კავშირის დამყარებას კახეთის შემდეგ სამეგრელო და იმერეთის მეფეები და მთავრებიც ცდილობდნენ, ეს ურთიერთობები არ იყო მყარი რადგან ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა ინტერესები სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობისაც. მაგალითად რუსეთთან ურთიერთობის დამყარებას ცდილობდნენ კახეთის მეფე თეიმურაზ I, იმერეთის მეფე ალექსანდრე III, სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი. ყველა მათგანს რუსეთს დახმარებას ოსმალეთის და სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში თხოვდნენ, რასაც რუსეთის მხრიდან დახმარების სახით რეალური შედეგი არასდროს მოჰყოლია, ყოველ ჯერზე მხოლოდ პირობა იყო და ქართველების მხრიდან ერთგულების ფიცის დადების მოთხოვნა იყო, ამ ყველაფრის შესახებ ინფორმაცია საბოლოოდ აღწევდა სტამბოლში და ისპაჰანში, რაც ხშირ შემთხვევაში მათი სამხედრო მოქმედებებით ან მმართველად მათთვის მისაღები კანდიდატის სასარგებლო ცვლილებით მთავრდებოდა , რაც უფრო აზიანებდა და ასუსტებდა ქართულ სამეფო-სამთავრობოებს. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოს მეფეებს შორის იყვნენ ისეთი მმართველებიც, რომლებიც სკეპტიკურად უყურებდნენ რუსეთთს და მის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ ან სწორი ფორმულირება იქნება, რომ ვთქვათ ისინი რეალურად აფასებდნენ რუსეთის პოლიტიკას საქართველოს მიმართ, ამიტომ ისინი თავს არიდებდნენ რუსეთთან ყოველგვარ ურთიერთობას, ამ მხრივ გამოირჩეოდნენ ქართლის მეფეები როსტომი და ვახტანგ V, რომლებსაც სპარსეთთან ვასალური კავშირი უფრო ხელსაყრელად მიაჩნდათ, ამით ისინი ირიდებდნენ ომებს თავიდან, რაც პირდაპირ პროპორციულად ხელს უწყობდა მშვიდ გარემოში მათ სამომავლო განვითარებას. ასევე უნდა აღინიშნოს გიორგი XI, რომელიც ებრძოდა სპარსეთს, მაგრამ რუსეთის მხრიდან დახმარების მიღება აბსურდულად ეჩვენებოდა და არც მიმართავდა რუსეთთს დახმარებისათვის.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარ შეგვიძლია მივიჩნიოთ პრორუსული პოლიტიკის აქტიურ ხანად საქართველოში. ქართლის მეფე ვახტანგ VI, რომელმაც წინამორბედებისგან განსხვავებით შეცვალა ქართლის სამეფოს დამოკიდებულება რუსეთის პოლიტიკის მიმართ, მას შემდეგ რაც მან უარი მიიღო დახმარებაზე საფრანგეთიდან. რუსეთმა ვახტანგს დახმარებას დაპირდა და მოსთხოვა შეეგროვებინა ქართლის ლაშქარი სპარსეთში ერთობლივად სალაშქროდა, მართლაც 1722 წელს ვახტანგმა თავი მოუყარა 40 000 არმიას და განჯისაკენ გაემართა, რუსეთთან შეთანხმების მიხედვით განჯაში მას უნდა შეერთებოდა რუსეთის არმია სპარსეთს წინააღმდეგ კოალიციურ ბრძოლისთვის, მაგრამ, როგორც მანამდე და შემდგომში რუსეთ საქართველოს ერთობლივი ძალით ბრძოლა არ შედგა, საბოლოოდ ვახტანგ VI მარტო აღმოჩნდა ისეთ მტერთან, როგორიც ირანი იყო, შაჰის ბრძანებით ჩრდილოკავკასიელების მიერ შემდგარმა ჯარმა 1723 წელს გადაწვეს თბილისი ამას დაერთო ისიც, რომ სპარსელთა ლაშქრობას ფეხდაფეხ ოსმალოთა ლაშქრობაც დაერთო ქართლი, რომლებმაც გადამწვარი და მიწასთან გასწორებული თბილისი აიღეს და 12 წლის მანძილზე ხელთეპყრათ, ამ ყველაფერმა გამოიწვია ის, რომ ვახტანგ VI იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა და რუსეთში გადახვეწილიყო.

ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაციის გამო გაჩანაგებული ქვეყანა თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ პოლიტიკური კურსის ცვლილებით იხსნეს, ამას თავის მხრივ ხელი შეუწყო ირანის შაჰის პოლიტიკის ცვლილებამაც საქართველოს მიმართ, ნადირ შაჰი მიხვდა, რომ მისი წინამორბედი შაჰის პოლიტიკამ, ქართლ- კახეთის სამეფო ისლამის რჯულზე მოქცევის და ამოგდების სურვილმა სასურველ შედეგამდე ვერ მიიყვანა და მეტიც ამ პოლიტიკამ აიძულა სწორედ ვახტანგ VI პრორუსული ორიენტაცია მიიღო, რამაც საფრთხე შეუქმნა ირანს. ნადირ-შაჰმა იცოდა, რომ სამხრეთ კავკასიაში შემოჭრას რუსეთი მომავალში შეეცდებოდა, ხოლო ირანისაგან შევიწროვებული ქართლ-კახეთი ბუნებრივად, რუსეთის მოკავშიერე გახდებოდა ,ამიტომ ნადირ-შაჰმა პოლიტიკა შეცვალა ქართველების მიმართ და გარკვეულ დათმობებზე წავიდა , რათა ქართლ-კახეთის სამეფო სამომავლოდ რუსეთის მოკავშირე არ გამხდარიყო, ამით იყო გამოწვეული ნადირ-შაჰის მიერ ქართლის მეფედ თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს

კახეთის მეფეებად დამტკიცებისას მათთვის ისლამის მიღების პირობა არ წამოუყენებია, ეს მოვლენა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან საუკუნეზე მეტი იყო გასული მას შემდეგ, რაც ქვეყანას ქრისტიანი მეფე არ ყავდა. ნადირ შაჰის მკვლელობის შემდეგ,

XVIII საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს და 60-იანი წლების დასაწყისში ხდება გარდამტეხი მოვლენა საქართველოს ისტორიაში, როდესაც თეიმურაზი და ერეკლე ცვლის ქვეყნის პოლიტიკურ კურსს და პროირანული ორიენტაციიდან იწყებენ ახალი პრორუსული ორიენტაციის შემუშავებას,

„პრორუსული ორიენტაცია შემდეგ მოსაზრებებს ემყარებოდა: პირველი. თეიმურაზიცა და ერეკლეც, ცხადია, გრძნობდნენ, რომ ირანში ნადირ-შაჰისა და ქერიმ-ხანის პოლიტიკა შეიძლება ნებისმიერ მომენტში შეცვლილიყო და ქართლსა და კახეთს თავს დასტეხოდა სეფიანი შაჰების დროინდელი აგრესია.

მეორე. მეფეები იმასაც გრძნობდნენ, რომ ირანის მბრძანებლებს სულაც არ სიამოვნებდათ ქართლისა და კახეთის მეფეების დიქტატი ირანულ სახანოებზე (განჯაზე, ერევანზე, ნახჭევანსა და ყარაბაღზე). როგორც კი ირანში ცენტრალური ხელისუფლება ძალას მოიკრებდა, თეიმურაზისა და ერეკლეს მორჩილი სახანოები, შაქ-შირვანის ხანის ჰაჯი-ჩალაბის მსგავსად, ქართლისა და კახეთისათვის საშიშ ძალად იქცეოდნენ.

მესამე. დაღესტნელთა ამაოხრებელი შემოსევების მოგერიება ქართლისა და კახეთის სამეფოებს თავისი ძალებით არ შეეძლოთ. საჭირო იყო ჭარ-ბელაქნის (საინგილოს), კაკ-ენისელის დაკავება და დაღესტნელთათვის კახეთში შესაჭრელად ხელსაყრელი პლაცდარმის წართმევა. ეს კი რუსეთის დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო.

მეხუთე. თუ ირანში შინააშლილობა არ დასრულდებოდა და ცენტრალური ხელისუფლება ვერ გაძლიერდებოდა, დასუსტებული ირანი ოსმალეთს ვერ გაუმკლავდებოდა და გამორიცხული არ იყო, რომ ქართლისა და კახეთის სამეფოებს ოსმალური აგრესიის საფრთხე შეექმნებოდათ.

თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს სურდათ რუსეთის იმპერიის დაინტერესება, რათა მას სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში (კასპიისპირეთში) ირანის ადგილი

დაეკავებინა. თუ რუსეთი დარუბანდიდან ბაქომდე კასპიის ზღვის სანაპიროს დაიპყრობდა ,ქართლისა და კახეთის სამეფოები ორ მიზანს მიაღწევდნენ – დაღესტნელთა თარეში სამუდამოდ აღიკვეთებოდა და ირანის აგრესიაც საშიში აღარ იქნებოდა. ირანული სახანოები (განჯა, ერევანი, ნახჭევანი, ყარაბაღი).

იძულებული გახდებოდნენ პროქართული ორიენტაცია ეღიარებინათ. განწირული რჩებოდა შაქ-შირვანის სახანოც. რუსეთით ზურგ გამაგრებული ქართლისა და კახეთის მიმართ ახალციხის ფაშაც დამთმობი უნდა გამხდარიყო.“ (ვ. გურული; „რუსეთი და საქართველო“ ; გვ 41)[1]

ერეკლე II მიხვდა რომ რუსეთი სამხრეთ - აღმოსავლეთ კავკასიის მიმართ დიდ ინტერეს არ იჩენდა მაგრამ, მიუხედავად ამისა ის მაინც ლოდინს ამჯობინებდა, თუმცა რუსეთ-ოსმალეთის ომმა მას იმედი მისცა, ერეკლე კიდევ ერთხელ შეცდა რუსეთ-თურქეთის ომი, რუსეთთის გამარჯვებითაც, რომ დასრულებულიყო, რუსეთი მაინც ვერ დაიმკვიდრებდა თავს სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში, ამისათვის მას ირანის დამარცხება სჭირდებოდა ,რუსეთი კი ოსმალეთთან ომის პარალელურად ირანს ომს არ გამოუცხადებდა .

ერეკლე II ს სურვილი პრორუსული ორიენტაციის რეალიზებასთან დაკვშირებით, იმდენად დიდი იყო, რომ ის დათანხმდა ნაკლებად მომგებიან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს რუსეთთან და ვერ გათვალა სწორად რა შედეგამდე შეიძლება მიეყვანა ამ შეთანხმებას არა მარტო ქართლ-კახეთი, არამედ სრულიად საქართველო.

„პირველი ირანის ვასალი ქართლ- კახეთის სამეფო ომში ებმებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ, რაც სერიოზულად გაართულებდა ირან-ოსმალეთის ურთიერთობას. ოსმალეთი ირანს ურჩი ვასალის (ერეკლეს) დასჯას მოსთხოვდა. მეორე: სამცხე-ჯავახეთიდან ოსმალეთის განდევნის შემდეგ მას უნდა გადასცემოდა ეს ტერიტორია ? ცხადია, სამცხე-ჯავახეთი ქართლ-კახეთს უნდა რგებოდა. ასეთი გადაწყვეტილება საზავო მოლაპარაკებაზე ოსმალეთის პროტესტი მოჰყვებოდა. ოსმალეთისთვის სამხცე-ჯავახეთის ქართლ-კახეთის

[1] ვ. გურული; „რუსეთი და საქართველო“ ; გვ 41

სამეფოსათის გადაცემა ამ ტერიტორიის ირანის მფარველობაში გადასვლას ნიშნავდა, რადგან ოსმალეთ-ირანის ურთიერთობაში ქართლ-კახეთის სამეფო ირანის ვასლად განიხილებოდა. ამრიგად, სამცხე-ჯავახეთი ქართლ კახეთის სამეფოსათვის გადაცემით ერეკლე-II-ე სამომავლოდ ოსმალეთს უპირისპირდებობდა." (ვ.გურული; „რუსეთი და საქართველო" ; გვ 44) [2]

1769 წელს წელს ეკატერინე II გადაწყვიტა საქართველოში ექსპედიცია გამოეგზავნა გენერალ ტოტლებენის მეთაურობით. გეგმის მიხედვით ტოტლებენი უნდა დახმარებოდა სოლომონ I, ოსმალების მიერ უკანასკნელი ლაშქრობის შემდეგ დაკავებული ციხე-სიმაგრეების გათავისუფლებაში ეს შეთანხმება არ იყო გათვლილი იმერეთის სამეფოს საკეთილდღეოდ, რუსეთისთვის ოსმალეთი იყო მოწინააღმდეგე მხარე, რომელსაც დაპყრობილი ყავდა იმერეთი, ეს არ იყო კეთილი ნების გამოვლინება და ქვეყნის დახმარება, ეს შეთანხმება წარმოადგენდა რუსეთის კერძოდ კი ეკატერინე II ის გეგმას, რადთა საკუთარი პოზიციები ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ უფრო მეტად გაემყარებინა. ასევე უნდა წაეხალისებინა საქართველოს მეფე-მთავრები ოსმალეთის წინააღმდეგ უფრო აქტიური მოქმედებებისაკენ. კერძოდ საიმპერატორო კარი იმედოვნებდა რომ ქართველები აწარმოებდნენ დივერსიულ ომს ოსმალეთის წინააღმდეგ ანუ მოაწყობდნენ თარეშს საქართველოს საზღვართან ახლოს მდებარე თურქულ პროვინციებში, რითაც სერიოზულ მატერიალურ და სამხედრო ზარალს მიაყენებდნენ და აიძულებდნენ მას უფრო მეტი ყურადღება დაეთმო კავკასიისთვის და უფრო მეტი სამხედრო გამოეგზავნა საზღვრების დასაცავად ამ მხარეში. თანადგომა, ეკატერინე II ტოტლებენს უბრძანა ეომა "რუსული სულით და ქართული ხორცით".

1769 წლის სექტემბერში პირველი რუსული სამხედრო შენაერთები საქართველოში ჩამოვიდნენ. იმავე წლის ოქტომბერში ტოტლებენმა და სოლომონ I ალყა შემაორტყეს შორაპნის ციხეს, მაგრამ ტოტლებენმა მოულოდნელად მოხსნა ალყა და აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა. როდესაც ერეკლე II დარწმუნდა რომ ეკატერინე II მართლა აგზავნიდა თავის სამხედროებს საქართველოში, ისიც

[2] ვ.გურული; „რუსეთი და საქართველო" ; გვ 44

ჩაერთო რუსეთ-ოსმალეთის ომში და 1770 წელს ახალციხის საფაშოში შეიჭრა თავის ლაშქართან ერთად მას თან ახლდა ტოტლებენიც, თუმცა აქაც განმეორდა ის რაც შორაპნის ალყისას მოხდა ტოტლებენმა მოულოდნელად მიატოვა ერეკლე გადამწყვეტი ბრძოლის წინ. ქართლ-კახეთის და ოსმალეთის არმიებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ასპინძასთან 25 აპრილს სადაც ქართველებმა ერეკლეს მეთაურობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ბრძოლის მოგების მიუხედავად ერეკლე II იძულებული გახდა საჩქაროდ უკან დაბრუნებულიყო რადგან ტოტლებენმა მის არყოფნაში ქართლ-კახეთის მოსახლეობის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება დაიწყო, ხოლო თავადებს ერეკლეს საწინააღმდეგოდ აქეზებდა. მეფის დაბრუნების შემდეგ ტოტლებენმა დატოვა ქართლ-კახეთი და კვლავ იმერეთში გადავიდა, სადაც სოლომონთან ერთად აიღო შორაპნის, ცუცხვათის და ბაღდათის ციხეები ამის შემდეგ მოკავშირეებმა ერთობლივი ძალებით შემოარტყეს ალყა ქუთაისს. ტოტლებენმა სოლომონთან შეუთახმებლად გააპარა ციხიდან გარნიზონი რითაც იხსნა ისინი სრული განადგურებისგან, ამ ფაქტმა სოლომონს და ტოტლებენს შორის ურთიერთობა გაამწვავა, უთანხმოებამ უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო მას შემდეგ რაც ტოტლებენმა ასევე სოლომონთან შეუთახმებლად ალყა შემოარტყა ფოთის ციხეს 1770 წლის 3 ოქტომბერს, რუსებმა ციხის აღება ვერ მოახერხეს და 1771 წლის 6 თებერვალს ალყა მოხსნეს. ტოტლებენს და სოლომონ I შორის ურთიერთობა იმდენად დაიძაბა რომ რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა შეეცვალა ტოტლებენი ხოლო მის ნაცვლად სუხოტინი გამოეგზავნა.

ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოები, რუსეთის სამხედრო კონტიგენტის საქართველოდან წასვლის მიუხედავად მაინც აგრძელებდნენ იმპერატორისთვის მიცემული პირობის შესრულებას და ოსმალეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებები არ შეუწყვეტიათ. 1773 წელს სოლომონ I და ერეკლე II გაერთიანებული ძალებით გაილაშქრეს ახალციხის საფაშოში. ლაშქრობა თავდაპირველად წარმატებით მიმდინარეობდა ქართველებისთვის, მაგრამ სოლომონ I მოულოდნელად ავად გახდა რის გამოც მოკავშირეებს უკან დაბრუნება მოუწიათ. სულთანმა საპასუხოდ 1774 წელს იმერეთში 4 000 მეომრისგან შემდგარი არმია გამოგზავნა, რომელსაც სოლომონი უნდა დაემხო. 1774 წლის 6 თებერვალს

გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ჩხერთან, სადაც იმერეთის არმიამ ჩასაფრება მოუწყო თურქებს, ბრძოლა თურქების სრული განადგურებით დასრულდა. იმავე წელს რუსეთს და ოსმალეთს შორის ომი დასრულდა, საზავო ხელშეკრულებაში მოხსენიებული იყო აგრეთვე იმერეთიც. ზავის მიხედვით რუსეთი ცნობდა ოსმალეთის უზენაესობას იმერეთის სამეფოზე და მთელ დასავლეთ საქართველოზე, ასევე უბრუნებდა ოსმალებს იმ ციხე-სიმაგრეებს რომლებიც რუსეთის და იმერეთის ლაშქრებმა ერთობლივად აიღეს (თუმცა თურქებმა ამ ციხეების დაბრუნება ვეღარ შეძლეს, რადგან ისინი სოლომონ I ბრძანებით დაანგრიეს). სამაგიეროდ სტამბული ამიერიდან აღარ შეავიწროებდა ქრისტიანულ ეკლესიას, ასევე უარს ამბობდა ყოველგვარ ხარკზე. ეს მნიშვნელოვანი წარმატებები იმერეთის სამეფომ მოიპოვა პიველ რიგში იმერეთის მეფის სოლომონ I გამბედავი პოლიტიკის და ადგილობრივი მოსახლეობის თავგანწირვის შედეგად. საზავო ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი მესხეთზე, რომლის გათავისუფლებისთვის ასე თავგანწირვით იბრძოდნენ როგორც იმერეთის ასევე ქართლ-კახეთის სამეფოები. შეიძლება ითქვას რომ რუსეთს 1770-ან წლებში საქართველოს სამეფო-სამთავროების ბრძოლაში ოსმალეთის წინააღმდეგ ფაქტობრივად არანაერი მონაწილეობა არ მიუღია, რამდენიმე ციხის ერთობლივად აღების გარდა, ხოლო ყველა გადამწყვეტ მომენტში (მაგ.ასპინძის ბრძოლა) უღალატა საქართველოს, რაც მთავარია საერთოდ არ დახმარებია საქართველოს მეფე-მთავრებს ძირითადი მიზნის მიღწევაში, მესხეთის გათავისუფლებაში. 1780-ანი წლების დასაწყისში საქართველოს და რუსეთს შორის ურთიერთობები კვლავ აღდგა, ამჯერად ურთიერთობების აღდგენის ინიციატორად რუსეთი გამოვიდა. 1774 წელს ოსმალეთის დამარცხების შემდეგ რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობა დაიწყო, რუსეთი შორეული სახელმწიფოდან საქრთველოს მოსაზღვრედ გადაიქცა. იმპერიის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ინტერსების სფერო რომელშიც საქართველოც მოექცა. 1780-ანი წლების დასაწყისში საქართველოში ჩამოსული რუსი ელჩები, ჩინოვნიკები თუ მოგზაურები ურჩევდნენ ერეკლე II მიემართა იმპერატორისთვის ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში აყვანის თხოვნით და არწმუნებდნენ რომ ამჯერად რუსეთი აუცილებლად დაეხმარებოდა საქართველოს. 1782 წელს ერეკლემ მიმართა

რუსეთს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის პროტექტორატში აყვანის თხოვნით. ეკატერინე II მაშინვე დათანხმდა ქართლ-კახეთის მეფის თხოვნას და შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება პავლე პოტიომკინს დაავალა.

1783 წლის 24 ივლისს რუსეთში, გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში გაფორმდა ტრაქტატი რუსეთის იმპერიას და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის, რომელიც ისტორიაში გეორგიევსკის ტრაქტატის სახელით შევიდა. ტრაქტატს ქართლ-კახეთის მხრიდან იოანე ბაგრატიონ-მუხრანელმა და გარსევან ჭავჭავაძემ მოაწერეს ხელი, ხოლო რუსეთის მხრიდან პავლე პოტიომკინმა. რუსეთის იმპერიასა და საქართველოს შორის დადებულმა გეორგიევსკის ტრაქტატმა ხელი შეუწყო საქართველოს ისტორიის რუსეთის ფრთის ქვეშ გაგრძლეებას, 1801 წელს რუსეთმა საქართველოს ანექსია დაიწყო, სამეგრელოს სამთავროს, გურიის სამთავროს, იმერეთის სამთავროს სამეფოები 1801 წლიდან 1878 წლამდე დაიკავა. საქართველოს ანექსიამ ხელი შეუწყო რუსეთის მმართველობის დამყარებას სომხეთსა და აზერბაიჯანში. მას შემდეგ, რაც გამოცხადდა საქართველო რუსეთის შემადგენელ ნაწილად, საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში, პერიოდულად იმართებოდა აჯანყებები და რუსული მმართველოს წინააღმდეგ მიმართული გამოსვლები, თუმცა საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 1832 წლის აჯანყებას, რომელიც ისტორიაში შეთქმულების სახელითაა ცნობილი შეთქმულების პირველი კერები აღმოცენდნენ პეტერბურგსა და მოსკოვში. იქ იძულებით გადასახლებული ქართველ ბატონიშვილთა ოჯახები ვერ შეურიგნენ თავიანთ ხვედრს და იბრძოდნენ ბაგრატიონთა სამეფო ტახტის აღდგენისათვის. ამ ბრძოლას ბიძგი მისცა ერთის მხრივ დეკაბრისტთა შეიარაღებულმა გამოსვლამ პეტერბურგში, მეორე მხრივ ოციანი წლების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ ევროპის ქვეყნებში. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეები ედო საფუძვლად დავით, იულონ, თეიმურაზ, იოანე ბატონიშვილთა საქმიანობას. 20-იანი წლების დამდეგიდან ამ იდეალის მოთავენი გახდნენ დიმიტრი იულონის ძე და ოქროპირ გიორგის ძე ბაგრატიონები. პეტერბურგში დიმიტრი ბატანიშვილის ბინაში სისტემატურად იკრიბებობდნენ ელიზბარ და ზაქარია ერისთავები, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანები, ლუარსაბ და ივანე ჩოლოყაშვილები, დავით ჯორჯაძე,

სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე და სხვები. მათი საუბარი შეეხებოდა საერთო ევროპული მოძრაობის მიმდინარეობას და იმ მძიმე ხვედრს, რომელშიც სამშობლო იმყოფებოდა. ამ საუბრებში თანდათან მწიფდებოდა ცარიზმის კოლონიური მართველობის დასამხობად შეიარაღებული გამოსვლის იდეა, რომელმაც მარცხი განიცადა ქართველთა თავგანწირულ მცდელობას, შეიარაღებული აჯანყების გზით თავი დაეღწიათ რუსეთის იმპერიის ბატონობისაგან და შელახული ეროვნული ღირსება აღედგინათ.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შემდგომი პერიოდი მეტად მნიშვნელოვანია ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ეს არის პერიოდი 1917 წლიდან 1921 წლამდე, როდესაც საქართველომ მოახერხა და თავი დაიხსნა რუსეთის მმართველობიდან, რასაც ხელი შეუწყო რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ დანიშნულმა სამხარეო ხელისუფლების ორგანომ, მათ ვერ შეძლეს რეგიონის ეფექტური მართვა, რუსეთის რევოლუციის და გარდაქმნების პერიოდში 3 წლიანი დამოუკიდებლობა მოახერხა საქართველომ, თუმცა მთლიანად ამიერკავკასიაში თავისი იურისდიქცია ვერ გაავრცელა. ამ პერიოდში მნიშვნელოვან წილად შეგვიძლია მივიჩნიოთ 1918 წლის იანვარი, როდესაც აწ უკვე გასაბჭოებული რუსეთი შეეცადა კავკასიის ფრონტის ძალებით, საქართველოს ოკუპაციას, რაც მისი მარცხით დასრულდა, 1918 წელს საქართველო დატოვა რუსეთის არმიამ, რომელიც საუკუნეების მანძილზე კერძოდ კი 1799 წლიდან საქართველოში იმყოფებოდა.

საქართველოს ისტორიის ამ ნაწილში მეტად მძიმე პერიოდია 1918 წლის 3 მარტი, როდესაც რუსეთმა ისარგებლა იმ ფაქტით, რომ კავკასია ჯერ კიდევ იურიდიული თვალსაზრისით მის ნაწილს წარმოადგენდა და ბრესტ-ლიტოვსკში, უკვე საბჭოთა პოლიტიკა გაატარა და გერმანიასა და მის მოკავშირეებთან დადებული ზავით ბათუმის და ყარსის ოლქები ოსმალეთს დაუთმო. ამან კიდევ უფრო გააძლიერა ანტირუსული განწყობა საქართველოში, 1918 წლის 26 მაის გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ცალკე ნაწილად და გამოეყო რუსეთთს, თუმცა საქართველოს დამოუკიდებლობა დიდხანს არ გაგრძელებულა და 1921 წლის თებერვალში საქართველოში შემვიდა საბჭოთა წითელი არმია,

რომელთანაც უთანასწორო ბრძოლაში საქართველო დამარცხდა და მოხდა მისი გასაბჭოება, რომელიც 1921 წლიდან 1991 წლის დეკემბრამდე გაგრძელდა, აქვე უნდა აღინიშნოს,რომ 1921 წელს საქართველოს მოქმედი მთავრობა, იძულებული გახდა დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია და წასულიყვნენ ემიგრაციაში კერძოდ კი საფრანგეთში, სადაც საფრანგეთს მთავრობამ მათ დროებითი თავშესაფარი მისცა, სამწუხაროდ საქართველოს მთავრობის ვერცერთი წევრი ვერ მოესწრო ქვეყნის დამოუკიდებლობას, რომელიც 1991 წლის დეკემბერში იქნა ქართველების მიერ. 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. რასა წინ უძღვოდა ქვეყანაში ჩატარებული რეფერენდუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 90.3 % , მათ უნდა ეპასუხათ კითხვაზე სურდათ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რაზეც რეფერენდუმში მონაწილეთა 98.3 % დადებითი პასუხი გასცა.

საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზ.გამსახურიდია ღიად აფიქსირებდა ქვეყნის პროდასავლურ ორიენტაციისაკენ სწრაფვას, ეს იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ნაბიჯები დასავლეთისკენ და ევროპისკენ. რუსეთს სჭირდებოდა დასაყრდენი რისი მეშვეობითაც მოახერხებდა საქართველოს კვლავ დაპყრობას, მან მოკავშირეები მოიძია საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებში და მოახერხა საკუთარი ინტერესების გატარება, ზ. გამსახურდიას პოლიტიკაზე უარყოფითად ზემოქმედებას რუსეთი აფხაზეთისა და შიდა ქართლში სეპარატისტთა მხარდაჭერით ცდილობა, ასევე მხარს უჭერდა პრეზიდენტის ოპოზიციას მთავრობაში და აქეზებდა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, შედეგად საქართველომ მიიღო შიდა დაპირისპირებების ჯაჭვი მიიღი, სამოქალაქო დაპირისპირებამ, შედეგად გამოიღო ის, რომ ქვეყნის პირველი პირს საქართველოს დატოვება მოუწია ჯერ სომხეთსა და შემდეგ ჩეჩნეთში აფარებდა თავს 1992 წელს საქართველოში „აჯანყებულმა“ ძალებმა დახმარებისათვის რუსეთში მყოფ ედვუარდ შევარდნაძეს მიმართეს, რადგანაც თვლიდნენ, რომ შევარდნაძეს რუსეთი ენდობოდა, მისი ჩამოსვლის შემდეგ მან ჯერ საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის პოზიცია, შემდეგ პრეზიდენტის სკამიც დაიკავა. მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ შევარდნაძე ყოველთვის მერყებდა ან

დიპლომატიად იყენებდა იმას, რომ არასდროს დაუფიქსირებია თავისი აზრი არც მხოლოდ პრორუსული და არც მარტო პროდასავლური, მისი მმართველობის პერიოდში საქართველოს ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი საქართველოს იურისდიქციიდან გამოვიდა. ალბათ ვინც არ უნდო ყოფილიყო იმ პერიოდში საქართველოს ექნებოდა ანალოგიური ტერიტორიული პრობლეგეი და კონფლიქტები რუსეთან, როგორც უკვე ავღნიშნე ეს საქართველოს დამოუკიდებლობის სურვილის გამო და მისი პროდასავლურობის სასჯელი იყო. ასევე მან პირველმა დააკაკუნა ევროპის კავშირის და NATO-ს კარებზე. მის პერიოდში მოხდა ქართველი სამხედროების გაგზავნა სამშვიდობო მისიაში კოსოვოს რეგიონში 1999 წელს, მის პერიოდში დაიწყო თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა NATO-სთან და ხდებოდა ქართველი სამხედროების მომზადება, საკმარისია გავიხსენოთ ქართულ ამერიკული მომზადების პროგრამის დაწყება 2002 წელს. პრეზიდენტ შევარდნაძის ამ არჩევანს მაშინაც ყავდა უკვე მოწინაღმდეგები. 2003 წელს შევარდნაძე რევოლუციის გზით გადააყენეს და საქართველოს სათავეში მოვიდა მიხეილ სააკაშვილი, რომელიც მკვეთრად აფიქსირებდა საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებას და ქვეყნის კურს, რომელიც ახალ ეპოქაში პრომერიკული იყო, რუსეთმმაა საქართველოს „ღალატისთვის“ დასჯა გადაწყვიტა. პირველად საქართველო 2004 წელს დაისაჯა, მეორედ 2006 წელს როდესაც ეკონომიური ემბარგო დაადო და საქართველოს მოქალაეები გამოდევნა რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან, მესამედ 2008 წელს საბრძოლო მოქმედებები დაიწყო საქართველოში კერძოდ შიდა ქართლის ტერიტორიაზე და კოდორის ხეობაში, რომელიც შემდგომ სამეგროლოს ტერიტორიაზე გავრცელდა. მართალია საბრძოლო მოქმედებები მალევე შეწყდა თუმცა მცოცავი ოკუპაცია კვლავ გრძლედება, რუსეთის სახელმწიფომ საქართველოს საკუთარ ქვეყანაში მართულხლართები გაუბა, რომელსაც საკუთარი სრუვილის მიხედვით წევს ერთი წერტილიდან მეორეში, დღეის მონაცემებით საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია და ქვეყანა შეიძება ითქვას კვლავ საომარ მდგომარეობაშია.

საქართველო NATO EU

საქართველოს რთული თუ სასარგებლო გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ისტორიის მანძილზე მუდამ ინტერესის არეალში იყო და ხშირად მძიმე მდგომარეობა ჰქონდა. როგორც უკვე ვახსენე ნებით თუ მის საწინააღმდეგოდ ყოველთვის უწევდა არჩევანის გაკეთება იმ პერიოდის ძლიერ სახელმწიფოებს შორის. იქნებოდა ეს ბიზანტია, ირანი, ოსმალეთი თუ სხვა იმპერია. 18 საუკუნის შემდგომ კი დიდი ხნის განმავლობაში აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში. მე-20 საუკუნის ბოლოს განვითარებული ისტორიული პროცესების შედეგად, ქვეყანა კვლავ დადგა ტრადიციად ქცეული დილემის წინაშე. პოსტსაბჭოთა სივრცეში დაბრუნების გამორიცხვის შემდეგ, არსებობს ერთი რეალური არჩევანის შესაძლებლობა, ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია და ევროპის კავშირი.

ცივი ომის დასრულების შემდეგ შეიცვალა გეოპოლიტიკური ვითარება, დაიხვეწა საერთაშორისო ურთიერთობის ფორმები. სამხედრო ფაქტორი და ძალის პოლიტიკა ჩაანაცვლა ერების თვითგამორკვევის უფლებამ, ქვეყნების თავისუფალმა არჩევანმა თვითონ გადაწყვიტონ რომელ პოლიტიკურ ორბიტაზე სურთ ყოფნა. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიშალა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმპერიები, როდესაც მათ ნებით თუ უნებლიედ უარი თქვეს კოლონიებზე, ამ ახალ ეპოქას ასევე ეწოდა პოსტ კოლონიალური ეპოქა. მაგრამ ეს პრაქტიკაში ხშირად ვერ ხორციელდება, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვიერად მსოფლიო პოლიტიკის მსხვილი მოთამაშეები ამ პრინციპს უჭერენ მხარს. საქართველო ობიექტური მოცემულობებიდან გამომდინარე პატარა სახელმწოფოს წარმოადგენს. „პატარა სახელმწიფო ის სახელმწიფოა, რომელსაც არც მსოფლიო და არც რეგიონულ დონეზე არ შეუძლია საკუთარი პოლიტიკური ნების სხვისთვის თავზე მოხვევა ან ეროვნული ინტერესების დაცვა ძალის პოლიტიკის გამოყენებით.“[3] (არ ვსაუბრობ ტერიტორიულად პატარა სახელმწიფოზე) ამიტომ

[3] რონდელი ალექსანდრე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები (მეორე გამოცემა), გვ4, (1999).ნეკერი, თბილისი.

საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მშვიდობიანი განვითარებისათვის სჭირდება რომელიმე ორგანიზაციაში გაწევრიანება. მიუხედავად ამისა გაწევრიანება არ უნდა იყოს გაწევრიანების მიზნით. არამედ მან უნდა მისცეს ქვეყანას, როგორც შიდა ასევე გარე პრობლემების მოგვარების შესაძლებლობა. საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა საბოლოოდ კეთილისმყოფელი გავლენა კი იქონია საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე, მაგრამ მრავალი პრობლემა კვლავ დღის წესრიგში დგას. მაგალითად: საქართველო აღმოჩნდა დაუცველი, პოსტსაბჭოთა სივრცის აგრესიული სახელმწოფოს წინაშე. როგორც უკვე ვახსენე ასევე ახალი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში წარმოჩინდა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო, სეპარატიზმის და სხვა პრობლემები. გარდა ამისა ქვეყნის ეროვნული ინტერესები და ფასეულობები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ორგანიზაციისას და პირიქით. სწორედ ამიტომ, ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ორიენტირი გაკეთდა დასავლეთზე. მითუმეტეს რომ ამ პერიოდში უკვე ჩამოყალიბებული იყო ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა NATO და ევროპის კავშირი, რომელთა წევრობაც ყველაზე მაღალი ხარისხის დაცულობის გარანტიას იძლევა ქვეყნისათვის და ამავდროულად ფასეულობებიც ძირითადად თანხვედრია. თუმცა იმისათვის, რომ საქართველომ მოახდინოს საკუთარი სურვილების რეალიზება საგარეო პოლიტიკური კუთხით, პირველ რიგში უნდა უზრუნველყოს სტაბილურობა და შეუქცევადი ეკონომიკური განვითარება. „სახელმწოფოს ეროვნული უსაფრთხოება ემყარება ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სტაბილურობას. საგარეო პოლიტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული საშინაო პოლიტიკასთან და ეს ორი რამ არა მარტო ემსახურება ერთმანეთს, არამედ ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს.“ [4]

თუმცა საქართველოს არჩევანის გზაზე აქვს მნიშვნელოვანი გამოწვევები. „საქართველოს სტრატეგული არჩევანის სირთულეს ორი უმთავრესი ფაქტორი განაპირობებს: პირველი არის რეგიონული უსაფრთხოება, განსაკუთრებით კი მეზობელ რუსეთზე დამოკიდებულება, მეორე კი ქვეყნის საშინაო პრობლემებია,

[4] რონდელი ალექსანდრე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები (მეორე გამოცემა), გვ9, (1999), ნეკერი, თბილისი.

რომლებიც მის თავისუფალ მოძრაობას ზღუდავს[5]: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ნახსენებია ინტეგრაცია ჩრდილოატლანტიკურ და ევროპულ ალიანში „საქართველოს ეროვნული ინტერესები: 5. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია.“ [6]

სტრატეგიული არჩევანის პირველი დამაბრკოლებელი ფაქტორია კონფლიქტი რუსეთან, რომელიც საბჭოთა კავშირის სამართალ მემკვიდრეა. რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურ წრეებში მიიჩნევენ, რომ საქართველო და ზოგადად კავკასია მათი გავლენის სფეროა, ამ რეგიონის კონტროლი კი მათი უსაფრთხოების გარანტია. ეს მიზნები სხვადასხვა ინტერპრეტაციით ასახულია რუსეთის სამხედრო დოქტრინაშიც, მაგალითად: „ურთიერთმოქმედება ე.წ აფხაზეთის რესპუბლიკასთან და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასთან, საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.“[7] საქართველოს კონტროლირებით რუსეთი გავა როგორც აზერბაიჯანზე და ხელში ჩაიგდებს კასპიის ზღვის ნავთობს, ასევე სახმელეთო კავშირი ექნება მოკავშირე სომხეთთან და გარკვეულწილად შეაჩერებს თურქეთის ამბიციებს სამხრეთ კავკასიაში.

რუსეთის სამხედრო დოქტრინა ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ განიხილავს ,,NATO-ს და მის გაფართოებას რუსეთის საზღვრებთან[8]. შესაბამისად ყველა შესაძლებლობას იყენებს იმისათვის, რომ დაბლოკოს და ხელი შეუშალოს NATO-ს წინსვლას. რუსეთი NATO-ს ნებისმიერ გადადგმულ ნაბიჯს საქრთველოს მიმართულებით მწვავე რეაქციით ხვდება. 2008 წელს, ბუქარესტში ჩატარებულ NATO-ს სამიტზე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველო აუცილებლად გახდებოდა NATO-ს წევრი, მიუხედავად იმისა რომ ჩვენ ამ სამიტზე ველოდებით MAP-ს, რასაც რუსეთმა უპასუხა სამხედრო აგრესიით და მოახდინა საქართველოს ტერიტორიების აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონის უკოპაციის აღიარება, რომლებიც 199[3] წლიდან უკვე ოკუპირებული იყო, უბრალოდ რუსეთის

---

[5] რონდელი ალექსანდრე. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში.გვ299.(2009).ნეკერი.თბილისი.

[6] საქართელოს უსაფრთხოების კონცეფცია

[7] www.globalsecurity.org russian military doqtrin 2015;
www.rusemb.org.uk/press/2029 the military doqtrin of hze Russian federation;

[8] www.globalsecurity.org russian military doqtrin 2015;
www.rusemb.org.uk/press/2029 the military doqtrin of hze Russian federation;

მიერ არ ხდებოდა აღნიშნული ფაქტის აღიარება. საერთაშორისო საზოგადოებამ ვერ შეძლო რუსეთის იძულება გაეყვანა ჯარები ოკუპირებული ტერიტორიიდან, პირიქით რუსეთმა ოფიციალურად შექმნა სამხედრო ბაზები გააძლიერა მისი სამხედრო წარმომადგელობა ამ ტერიტორიებზე და აქვს პლაცდარმი ქვეყნის სრული ოკუპაციისათვის. თუმცა ასევე აღსანიშნავია რომ არა საერთაშრისო ზეწოლა რუსეთზე 2008 წლის აგვისტოში და შავი ზღვის აკვატორიაში ამერიკული ხომალდების გამოჩენა რას მოიმოქმედებდა რუსეთი და სად გაჩერდებოდა ანუ სადამდე წავიდოდა?! მოახდენდა რუსეთი საქართველოს დედაქალაქის აღებას?! სამწუხაროდ საქართველოს არ ააქვს არანაირი მყარი გარანტია რუსეთის შემდგომი აგრესიისაგან დასაცავად. ეს კიდევ უფრო ცხადი გახდა 2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდეგ. **„რუსეთის ფედერაციის მთავარ სამიზნეს საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანის რეალიზაციისთვის ხელის შეშლა და საქართველოს რუსულ ორბიტაზე ძალადობრივი გზით დაბრუნება წარმოადგენს“**[9]**-ნახსენებია საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტში.**

თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ კონფლიქტი რუსეთან არ დაწყებულა 2008 წლის აგვისტოში, კონფლიქტი რუსეთან საბჭოთა კავშრის დაშლამდე დაიწყო. 1991 წლის გაზაფხულ ზაფხულზე სამაჩაბლოს რეგიონში. კონფლიქტი არ დასრულებულა არც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წლის დეკემბერში, პირიქით კონფლიქტებმა იმატა საქართველოში და მეორე კონფლიქტის კერა უკვე აფხაზეთია. 90-იანების კონფლიქტი რუსეთან 1993 წლის ნოემბერში სრულდება, უფრო სწორედ რომ ვთქვათ დროებით ჩერდება, პაუზას იღებს, როდესაც შავი ზღვის ფლოტის დახმარებით რუსული სამხედრო ძალები 1993 წლის 4 ნოემბერს ფოთში შემოდიან. 1991 წლიდან დღემდე რუსეთი აღნიშნულ კონფლიქტებს მაშინ ააქტიურებს როდესაც ეს მისთვის ხელსაყრელია და მის პოლიტიკას ეს აწყობს და მის ინტერესის სფეროს ემსახურება, გავიხსენოთ თუნდაც უკანასკნელი მოვლენები როდესაც რუსეთ კვლავ ააქტიურებს და მცდელობა აქვს, მცოცავ ოკუპაციის საკითხს და ეხლა უკვე ქარელის რაიონ კოდას და მის დამაკავშირებელ გზას ეხება და ამ გზასთან განლაგებულ ქვიშის კარიერს, ვითომ ეს ტერიტორია 1931 წლის სამხრეთ ოსეთის რუქის მიხედვით მისი ტერიტორიაა.

---

[9] საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი

დღეს საქართველო არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, თუმცა ამ გამოწვევებთან ბრძოლაში მკაფიოდ გამოიკვეთა საქართველოს მოსახლეობის ეროვნული ნება-სურვილი, მტკიცედ გავაგრძელოთ სვლა ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისკენ, რომელიც იქნება საქართველოს უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების გარანტი. ეს ნება ქართველმა ხალხა გამოხატა საქართველოს NATO-ში გაწევრიანების პლებისიტით 2008 წელს როდესაც 77%-მა მხარი დაუჭირა NATO-ში გაწევრიანებას. ამის გარდა ჩატარდა ბევრი გამოკითხვა სდაც ნათლად ჩანს საქართველოს მოსახლეობის ნება. **NDI-ის კვლევებში**[10]

მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი? (q10)



[10] NDI კვლევები 2018 წ მარტი



შედეგად კითხვაზე „NATO" თუ ევროპის კავშირი, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ, სახელისუფლო გუნდთან და არასამთავრობო სექტორთან ერთად, მიუხედავად რუსული მცოცავი ოკუპაციის, მოჭარბებული კრემლის პროპაგანდის გავრცელების და ჰიბრიდული ომის კვალობაზე და სხვა სახის ზეწოლებისა, რომელიც ჩრდილოელი მეზობლიდან მომდინარეობდა, პასუხი იმ ერთობლივად განხორციელებული პროექტებით მიუგო, რომელიც აგერ უკვე 20 წელზე მეტია, ათბობს საქართველოსა და ევროპული ოჯახის ურთიერთობას.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ეს ურთიერთობა მოიცავს სწორედ ისეთ პროექტებს, რომელიც ამაღლებს ქვეყნის უსაფრთხოების კოეფიციენტს, აძლიერებს და ავითარებს ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს, დემოკრატიულ ინსტიტუტებს, ეხმარება, ზრდის და გვერდში უდგას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას და კულტურას. საქართველო უკვე მონაწილეა საერთო ევროპული უსაფრთხოების, ჩვენ ვმონაწილეობთ ევროპის კავშირის ეგიდით მიმდინარე მისისა ცენტრალურ აფრიკაში და მალიში. საქართველო ამ მისიების საფუძვლეზე არა მხოლოდ მომხმარებელია ევროპული უსაფრთხოების არამედ უკვე მონაწილეა, რაც მის ცნობადობას და საჭიროებას დიდ ევროპულ ოჯახში ამყარებს.

გზა ევროპული სახლისკენ საქართველოსთვის რთულად სავალი და შორი აღმოჩნდა, თუმცა ჩვენ გვჯერა დიდი **ილია ჭავჭავაძის სიტყვების, რომ „ისტორია და წარმატება - მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია "**[11]

სწორედ მსგავსი ტიპის მიდგომით, სტრატეგიული თმენით, დაკისრებული საერთო ვალდებულებების შესრულებით მივისწრაფით დასახული მიზნისაკენ, რათა ნაბიჯ-ნაბიჯ მიღწეული წარმატებებით, ერთად ვიზეიმოთ საქართველოს ინტეგრაცია უსაფრთხო და ძლიერ ევროპულ ოჯახში.

<u>საქართველო და NATO</u>

2008 წლის ბუქარესტის სამიტზე გაცხადდა NATO-ს წევრი ქვეყნების ნება, საქართველოს NATO-ში გაწევრიანების შესახებ, რაც რუსეთის მმართველი პოლიტიკური ძალისათვის რთულად გადასატანი თემა აღმოჩნდა. მათ მიერ წარმოებული მიზანმიმართული პროვოკაციების შედეგად 2008 წლის აგვისტოში საქართველო დამარცხდა 5 დღიან ომში, თუმცა რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოეჩვენოთ მავანთ, ვერ გატყდა ქართველი ხალხის არჩევანი, შეუქცევადი სვლა ეწარმოებინა NATO-ში გაწევრიანებისთვის, რაზედაც მათი მხრიდანაც მხარდაჭერის სახით დაიწყო არაერთი პროექტისა თუ ღონისძიების განხორციელება .

2008 წლიდან დღემდე საქართველო NATO-ს მოკავშირეებისათვის ახდენს წლიური პროგრამის წარდგენას, რომელიც ითვალისწინებს მთელი რიგი რეფორმების გატარებას ევრო-ატალტანტიკური მიზნების მისაღწევად. წლიური ეროვნული პროგრამის საფუძველზე NATO-ს მხრიდან ტარდება არაერთი მიზანმიმართული კონსულტაცია, როგორც სამხედრო ასევე სამოქალაქო რეფორმების კუთხით. ამასთან თბილისში განთავსებულია NATO-ს სამეკავშირეო ოფისი, რომელიც ავითარებს კავშირს საქართველოს მთავრობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მხარს უჭერს საქართველოს რეფორმების გატარებაში.

---

[11] ილია ჭავჭავაძე

NATO--საქართველოს შორის ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი ასპექტია, NATO--საქართველოს არსებითი ღონისძიებათა პაკეტი, რომლის მიზანია აამაღლოს საქართველოს თავდაცვისუნარიანობა, რათა შეგვეძლოს NATO-ს ძალებისათვის ღირსეული პარტნიორობის გაწევა. პაკეტი 2014 წელს NATO-ს უელსის სამიტზე დამტკიცდა და მისი როლი უდიდესია საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესში. პაკეტის ფუნქციონირების ფარგლებში საქართველოში მოქმედებს წვრთნისა და შეფასების ცენტრი, რომელიც ჩვენს ქვეყანას უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის რეფორმირებაში, მოდერნიზებასა და გაძლიერებაში ეხმარება. ცენტრში არსებობს მრავალეროვნული წვრთნისა და სწავლებების ჩატარების შესაძლებლობა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას საქართველოს, NATO-სა და დაინტერესებული პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს შორის. ცენტრი ეხმარება შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონში სტაბილურობის განმტკიცების პროცესს. შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით გაძლიერებულია კონტაქტები NATO-ს საზღვაო ძალების სარდლობასა და საქართველოს სანაპირო დაცვას შორის. დღეს ჩვენი ქვეყნისდა საამაყოდ საქართველო დაახლოებით 800-850 სამხედრო მოსამსახურით მონაწილით მეოთხე უმსხვილესი კონტრიბუტორია ავღანეთში მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ . ამასთან აღსანიშნავია ჩვენი ჩართულობა საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერ მისიაში, რომელიც 2014 წელს დასრულდა და საქართველოს მასში კონტიგენტის რიცხოვნობით NATO-ს არაწევრ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი ეკავა. საქართველო ასევე ჩართულია NATO-ს სწრაფი რეაგირების ძალებში. განსაკუთრებულ აღნიშვნას ექვემდებარება ის ფაქტიც, რომ NATO-სთან მუდმივი თანამშრომლობის პროცესში, საქართველო, ავღანეთის შემთხვევაში საერთაშორისო მისიის მაგალითს თუ ავიღებთ, უსაფრთხოების მიმღებიდან, უსაფრთხოების მიმწოდებელ ქვეყნად იქცა.

NATO-სთან პარტნიორობაში ამაღლებული თავდაცვისუნარიანობა და გაძლიერებული უსაფრთხოება, გარანტია ქვეყნის უკეთ განვითარებისა, რომელშიც საქართველოს აქტიურ მხარდაჭერას ევროპის კავშირი ახორციელებს.

საქართველო და EU

მას შემდეგ რაც საქართველომ დემოკრატიის განვითარებისა და ევროპულ ოჯახში გაწევრიანების რთულ გზაზე აღმასვლა დაიწყო, არ წყდება ევროპის კავშირის მხრიდან ჩვენი ქვეყნის მუდმივი მხარდაჭერის პროცესი.

ამ განსაკუთრებული თანამშრომლობის პროცესში უმნიშვნელოვანესია ყურადღება გამახვილდეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულებაზე, რომელიც ზუსტად მოიცავს იმ სფეროებს სადაც საქართველომ ევროპის კავშირის დახმარებით უნდა გაატაროს კონკრეტული რეფორმები. ესენია :

საერთო ევროპული ფასეულობების განვითარება და დაცვა - რაც უპირველეს ყოვლისა, მოიცავს ქვეყანაში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის გავრცელებას, კარგ მმართველობას, ადამიანის უფლებების დაცვას. საერთაშორისო სამართლის პრინციპებით ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას. ამასთან კონფლიქტების მოგვარებას მშვიდობიანი გზით.

საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა - პოლიტიკური დიალოგის და თანამშრომლობის გაღრმავება შიდა სახელმწიფოებრივი რეფორმების, რეგიონში სტაბილურობის და საერთაშორისო მასობრივი იარაღის გაუვრცელებლობის კუთხით.

მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება - რომელიც გულისხმობს, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზრდას, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, გაძლიერებულ სამიგრაციო პოლიტიკას, ანტიტრეფიკინგულ, ანტიკორუფციულ, ანტიტერორისტულ ოპერაციებს, ამასთან ბრძოლას ორგანიზებული დანაშაულისა და უკანონო ნარკოტიკბრუნვის წინააღმდეგ და რაც დღევანდელობაში უმნიშვნელოვანესია პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა - თანამშრომლობა ისეთ სფეროებში როგორიც არის: ქვეყნის რეგიონალური განვითარება, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი, ენერგეტიკა,

სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა.

ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები - რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბებას. ასოცირების ხელშეკრულების ვაჭრობის პუნქტი, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საქართველოს ევროპულ ოჯახში ეკონომიკური ინტეგრაციისათვის.

დასკვნა

ამრიგად კითხვაზე არჩევანი საქართველოსთვის NATO თუ EU, პასუხი ერთია - ორივე, ორივე თავიანთი კუთხით განსხვავებით ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან განხორციელებული პოლიტიკისა, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ საქართველოს უსაფრთხოებასა და განვითარებაში. იმისათვის, რომ ეს პროცესი მუდმივად ტონუსში იყოს, აუცილებელია ჩვენი საზოგადოების კონსოლიდაცია, მათთვის სწორი მესიჯების გადაცემა, არაჭარბი მოლოდინების შექმნით, არამედ ზუსტად ახსნით, მათი როლისა და წვლილის შესახებ ამ დიდ საქმეში, ასევე აუცილებელია დროულად იქნეს მიღებული ზომები მეტი პროევროკავშირული და მეტი პრონატოური პროპაგანდის მოსაძლიერებლად რუსული რბილი ძალის საპირწონედ.

ჩვენ საგარეო ვექტორები სწორად მოვნიშნეთ. საქართველო აუცილებლად გახდება ევროპის კავშირისა და NATO-ს ღირსეული წევრი.

<u>დასკვნა</u>

დღევანდელ მსოფლიოში არსებული საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, ყველა ქვეყანა ხვდება, რომ რკინის ფარდის ჩამოშვება, საკუთარ საზღვრებში გამოკეტვა და საერთაშორისო ურთიერთობების არგათვალისწინება დამღუპველად იმოქმედებს მათზე და აქედან გამომდინარე, ყველა ცდილობს - მოიძიოს სტრატეგიული პარტნიორი; გააფორმონ ერთმანეთთან სხვადასხვა ტიპის

ხელშეკრულებები; გაერთიანდნენ სამხედრო თუ ეკონომიკური ხასიათის ალიანსებში, კოალიციებში თუ ბლოკებში და ამით უზრუნველყონ საკუთარი ქვეყნის სტაბილურობა და უსაფრთხოება. საქართველოსთვის, ჩვენი ღირებულებებიდან და ეროვნული მისწრაფებებიდან გამომდინარე, ყველაზე ახლოს მდგომი გაერთიანებები არიან NATO-როგორც სამხედრო სიძლიერის გარანტი და ევროვის კავშირი - როგორც ეკონომიკური განვითარების საშუალება. საქართველოსთვის, როგორც ქვეყნისთვის, რომლის მიზანია გახდეს წარმატებული სახელმწიფო, მნიშვნელოვანია განვითარდეს როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, რადგან ერთი რომელიმე კომპონენტის ჩამორჩენამ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეაფერხოს და ბოლოს სულაც ჩააგდოს მეორის პროგრესი. იმის კარგად გასაანალიზებლად, თუ რატომ სჭირდება საქართველოს NATO-სთანაც და ევროკავშირთანაც თანამშრომლობა და ინტეგრირება, საჭიროა განვიხილოთ რა დადებითი მხარეები გააჩნია ჩვენთვის NATO-სთან ურთიერთობას; რა სიკეთეების მომტანია ევროპის კავშირი

NATO დღესდღეობით მთელს მსოფლიოში უძლიერეს სამხედრო - პოლიტიკურ ალიანსს წარმოადგენს, თუმცა იგი ხშირად და სამართლიანადაც ასოციდება სამხედრო სიძლიერესთან. მნიშვნელოვანია, რომ NATO-ს და საქართველოს მიზნები რუსეთთან მიმართებაში, ერთმანეთს ემთხვევა და სწორედ ამან განაპირობა პარტნიორობა ჩვენს შორის. მუშაობა NATO- - საქართველოს პარტნიორობის გასაღრმავებლად და საქართველოს ამ ორგანიზაციაში საბოლოო ინტეგრირებისათვის უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. ჩვენ უკვე მივაღწიეთ მნიშვნელოვან წარმატებებს ამ მიმართულებით და გვაქვს გეგმები ამ წარმატების კიდე უფრო გასავითარებლად. და კითხვა - რას გვაძლევს NATO-? უპირველეს ყოვლისა ეს არის უსაფრთხოების გარანტი ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლით არის განპირობებული.[12] 2008 წლის რუსეთ - საქართველოს ომის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვიყავით NATO-ს წევრი ქვეყანა, შეიძლება ითქვას, რომ არაპირდაპირი გზით, მაგრამ მაინც ამოქმედდა მეხუთე მუხლი საქართველოს სასარგებლოდ, როდესაც

[12]. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი - 4 აპრილი,1949წელი.

ომის დროს ჩვენს დედაქალაქში ჩამოვიდა NATO-ს 5 წევრი ქვეყნის პრეზიდენტი. არა რუსეთის ფედერაციის კეთილი ნება, არამედ NATO-ს/ევროპის ქვეყნების ეს ნაბიჯი იყო უმთავრესი მიზეზი, რატომაც შეწყდა ომი და რატომაც ვერ მიაღწია რუსეთმა თავის მთავარ მიზანს. უსაფრთხოების გარდა NATO-სთან ურთიერთობა ახდენს ქართველი სამხედროების კვალიფიკაციისა და ბრძოლისუნარიანობის გაზრდას, რაც თავის მხრივ, რა თქმა უნდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზეც აისახება. როგორც უკვე ვახსენე, ქართულმა ქვედანაყოფებმა NATO-ს წევრ ქვეყნებთან ერთად მოქმედება საერთაშორისო მისიების ფარგლებში დაიწყეს 1999 წლიდან. მაშინ ჩვენ მცირე ძალებით და მეტ - ნაკლებად უსაფრთხო ამოცანით ვიყავით ჩართული ამ მისიებში, თუმცა დროთა განმავლობაში გაერთიანებული სწავლებების შედეგად გაიზარდა ქართველ სამხედროთა ცოდნისა და მომზადების დონე. პროფესიონალიზმის ზრდასთან ერთად გაიზარდა სანდოობაც ქართული ქვედანაყოფების მიმართ და ასევე ამოცანის სირთულეც და დღეს საქართველო ა.შ.შ.-ს შემდეგ უდიდესი ძალით უმნიშვნელოვანეს ამოცანას ასრულებს ავღანეთში. გარდა ამისა „NATO- - საქართველოს არსებითი პაკეტის“ ფარგლებში, 2016 წლიდან დაიწყო NATO- - საქართველოს ყოველწლიური ერთობლივი სწავლება,(2)[13] რომელიც ა.შ.შ.-საქართველოს ერთობლივ სწავლებებზე დაფუძვნდა. ეს არის სამეთაურო - საშტაბო მრავალეროვნული სწავლება და გარდა რიგით ჯარისკაცთა მომზადებისა, სამეთაურო რგოლის კვალიფიკაციის ამაღლებასაც უზრუნველყოფს, რაც ცალსახად დადებითად შეგვიძლია შევაფასოთ საქართველოსთვის. როგორც ვხედავთ NATO არის უსაფრთხოების და თავდაცვისუნარიანობის ამაღლების საუკეთესო საშუალება საქართველოსთვის და სწორედ ეს არის პასუხი კითხვაზე - რას გვაძლევს NATO. რამდენიც არ უნდა უარყოს რუსეთმა, სწორედ NATO მისი შემაკავებელი უმთავრესი ფაქტორი, რომ ვერ განახორციელოს შემდგომი სამხედრო აგრესია საქართველოს მიმართ. ასევე სწორედ NATO არის ქართველი სამხედროების პროფესიონალიზმის ზრდის, ნოვაციური ტექნოლოგიების შესწავლის და ბრძოლისუნარიანობის ამაღლების წყარო. აქედან გამომდინარე საქართველო მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რაც

[13]. www.mod.gov.ge “NATO- - საქართველოს არსებითი პაკეტი“.

შეიძლება სწრაფად მოახდინოს სრული ინტეგრაცია NATO-ში და კიდევ უფრო გაზარდოს მისი უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის დონე.

ქვეყნის სიძლიერის კიდევ ერთი კომპონენტი მისი ეკონომიკაა და ამ მხრივაც ჩვენ გვაქვს მჭიდრო პარტნიორობა ისეთ უმსხვილეს გაერთიანებასთან, როგორიც ევროკავშირია. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 28 ევროპულ ქვეყანას, ჰყავს 500 მილიონზე მეტი მოქალაქე და წარმოადგენს მაღალმსყიდველუნარიან და სტაბილურ ბაზარს. ამ ბაზარზე ქართული კომპანიების შესვლის და სავაჭრო ურთიერთობების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმდა ასოცირების შეთანხმება, რომელიც 2016 წლის 1 ივლისიდან სრულად შევიდა ძალაში და რომლის საშუალებითაც ქართულ კომპანიებს თავისუფალი ვაჭრობის საშუალება ეძლევა.(3)[14] ამ ბაზარზე მოღვაწეობისთვის არსებობს ისეთი „დაბრკოლება“, როგორიც არის პროდუქციაზე ხარისხის მოთხოვნა ევროპის კავშირის მხრიდან. თუ გავიხსენებთ, როგორ დაანგრია ქართული მეღვინეობა რუსულმა ბაზარმა, სადაც არანაირი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხარისხს და მთავარი რაოდენობა და დაბალი ფასი იყო, დავინახავთ, რომ ევროპის კავშირის მხრიდან ხარისხის მოთხოვნის მაღალი სტანდარტი, არა თუ დაბრკოლება, არამედ მასტიმულირებელი ფაქტორია იმისათვის, რომ ქართველმა მეწარმეებმა შექმნან მაღალხარისხიანი პროდუქცია და მიაწოდონ მომხმარებელს. ეს მოთხოვნები ცალსახად დადებით ჭრილში უნდა დავინახოთ, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ევროპის კავშირი ამ ხარისხის მისაღწევად თავად გვთავაზობს დახმარებას. ის არგუმენტები რომ თითქოსდა საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებული იყო რუსულ ბაზარზე და ჩვენი პროდუქციის დიდი ნაწილის ექსპორტი ხორციელდებოდა რუსეთში და ჩვენი პროდასავლური კურსის გამო საქართველოს სახელმწიფოს ეს ბაზარი დაკარგა, არასწორია. საქსტატის მიხედვით ყველაზე დიდი მაჩვენებელი იყო 1995 წლეს და შეადგენდა 31%-ს, 2017 წელს კი 14%-ს. საქართველო ექსპორტს აწარმოებს ბევრ ქვეყნებთან რომლებსაც ვერ ქარმოიდგენს ქართული საზოგადოება, მაგ: პაკისტანი, ლიბანი, პანამა, ინდოეთი,

[14]. www. Infocenter.gov.ge

ერაყი, ეგვიპტე, ასტრალია ანგოლა და სხვა. არ ჩამოვთვალე ევროპის კავშრის ქვეყნები და დსთ-ს ქვეყნები.

საქართველო თავისი დამოუკიდებლობის მოპოვების/მიღების შემდეგ ცდილობდა ეპოვა თავისი საკუთარი ადგილი ახალ თანამედროვე მსოფლიოში, 70 წლიანი დახურული საზღვრების შემდეგ საქართველომ მისთვის ახალი ბევრი გზა მიმართულება აღმოაჩნია, 1990 იანი წლები შეიძლება ითქვას შავი ბნელი პერიოდია საქართველოს თანამედროვე ისტორიაში თავისი სამოქალაქო ომებით, შიმშილობით და თვითგამორკვევის პროცესით, შეიძლება ითქვას ერმა როგორც ასეთი გაიღვიძა. თუმცა აკაკი ბაქრაძის გამონათქვამს მიხედვით რომელიც მან ტელევიზიას მისცა ინტერვიუში თუ ჩვენ დავისაჯეთ იმასთვის რომ გამოვთქვით დამოუკიდებლობის სურვილი და მოხდა ჩვენი 2 რეგიონის ოკუპაციით[15] , ამ დროს მახსენდება მურმან ლებანიძის ლექსი „ჩვენთვის მონღოლია პირველი სასჯელი“[16] და 90-იანი წლების საქართველოსთვის რუსეთია ჩვენი სასჯელი რომელიც უკვე 27 წელია გრძელდება. ჩვენ შევედით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში მაგრამ არც აფხაზეთის და არ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დეოკუპაცია არ მომხდარა, არც დევნილების დაბრუნება მოხდა, მიუხედავათ ჩვენი დიდი ძალისხმევისა და მონდომების ბევრი დათმობებისა და ა.შ. კონფლიქტი/ომი საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე არ დასრულებულა 1993 წელს აფხაზეთის დაცემით, ის გრძელდებოდა და გრძელდება დღესაც, ბრძოლის ფორმა გახდა სხვა, 1990-იან წლებში საქართველო იყო აბსოლიტურ ქასოისში კრიმინალი კორუფცია უკანონო ბანდფორმირებები შიდა პოლიტიკური თუ არა პოლიტიკური დაპირისპირებები. ჩემი სუბიექტური აზრია და არ ვსაუბრობ იმაზე და არ მიმაჩნია რომ ეს აბსოლიტური ჭეშმარიტებაა, მაგრამ ყველა ის ძალა თუ ორგანიზაცია არასამთავრობო და ა.შ. რომელიც საზოგადოების აზრის რადიკალიზაციას ემსახურება რაც შემდგომში საზოგადოების დაპირისპირებას იწვევს არის მიზანმიმართული ანტი სახელმწიფოებრივი ქმედება და ამას ის ძალა თუ ორგანიზაცია არასამთავრობო და ა.შ. ნებით თუ უნებლიედ ახორციელებს ემსახურება ჩვენი ქვეყნის 1 მტერს. ბევრი ვითომ ევროპულ მახინჯ ტრადიციების

[15] www.youtube.com/watch?v=OrMj9ZKhs1Y&t=42s

[16] მურმან ლებანიძე ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო

თავზე მოხვევა ხდება ქართულ საზოგადოებაზე. ვითომდა ჩვენ გვაიძულებს ევროპის კავშირი და NATO ერთსქესიანთა ქორწინების დაშვებას და ა.შ. რომლებიც საერთო არ არის სიმართლე, ბევრი ვინც თავს ექსპერტს რომ უწოდებს და გვასწავლის თუ რა არის ევროპული ღირებულებები და ფსევდო ლიბერალური და დემოკრატიული ფასეულობებს არიან ამოფარებულები, ესეთი ქმედებები კიდევ უფრო დეპოპულარიზაციას უწევს ევროპას. არადა ჩვენ ოდიდგანვე ვიცოდით ტოლერანტობა, ჩვენ ის ერი ვართ რომელსაც დღემდე არ ჰქონია ფაშიზმის გამოვლინების არანაირი მომენტი, წესების დაცვის კულტურა რასაც შეიძლება დღეს დღევანდელობაში თანამედროვე კაცობრიობაში კანონ მორჩილებას ეძახიან. საქართველომ ქალებს ხმის უფლება მისი პირველივე კონსტიტუციით მიანიჭა, როდესაც დიდ ბრიტანეთმა 1928 წელს, საფრანგეთმა 1944 წელს, იტალიამ 1945 წელს, შვეიცარიამ 1971 წელს, პორტუგალიამ 1976 წელს. ჩვენ შეიძლება ითქვას ამჟამად ვიმყოფებით ჰიბრიდული ომის წინა ხაზე რომელსაც ჩვენს წინაღმდეგ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი აწარმოებს. საკუთარი მიზნების მიღწევის მიზნით, პუტინის რეჟიმმა მიმართა ისეთ მეთოდებს, რომელთა ამოცნობა ან წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი გახდა რაციონალური პოლიტიკის მიმდევარი ევროპისთვის. ამ ხერხებსა და მეთოდებს, რომლებსაც რუსეთი ფართოდ იყენებდა ყველა ზემოთაღნიშნულ კონფლიქტში, აკადემიურმა სამყარომ და მასმედიამ გამოუნახა ეს ახალი სახელი: ჰიბრიდული ომი. იბრიდული ომის ძირითადი სამიძნეებია სამიზნე ქვეყნის: ენერგო მატარებლები, დიპლომატია, ეროვნული უმცირესობები და დიასპორები, ეკონომიკა და ბიზნესი, სოციალური სფერო და კულტურა, კრიმინალური სამყარო. და თუ ამას ჭკვიანურად გამოიყენებ, შესაძლებელს ხდის სასურველი მიზნის მიღწევას. ბევრი მიიჩნევს რომ რუსეთის რბილი ძალა მოქმედებს საქართველოში და ა.შ. მაგრამ რუსეთს არ გააჩნია რბილი ძალა, მისი ძალა მხოლოდ ძალისმიერია და იძულებითი ფორმა გააჩნია, არ არის აუცილებელი ძალა მაშინ ჩაითვალოს ძალისხმიერ ძალად როდესაც უშუალო ბრუტალური ქმედებები ხდება, საკმარისიო როდესაც არჩევნი გაკეთების დროს შენზე ხდება ზემოქმედება და პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხდება შენი ნება სურვილზე ზეწოლა. ბევრი კველევა და გამოკითხვა არსებობს ამიშესახებ რომელზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, და

ცალსახაა რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს ევროპა და დასავლური ცივილიზაცია, ეს მიდგომა იწვევს თაობათა კონფლიქტს ჩვენ საზოგადოებაში შეიძლება ამას ეწოდეს თანამედროვე ქართული სახელმწიფოს „მამათა და შვილთა ომი“. თუმცა რუსეთი ლიტერატურულად რომ ვტქვათ ცდას არ აკლებს რომ ეს კონფლიქტი უფრო ღრმა მტკივნეული და სასტიკი იყოს. ამის მწარე გამოცდილება გვაქვს ჩვენ 1991-1992 წლებში თბილისის ომი, როდესაც დაპირისპირება მხოლოდ განსხვავებული აზრის გამოხატვით დაიწყო და შემდეგ თბილისის დანგრევით დამთავრდა. ჩვენ უნდა ვაღიაროთ რომ რუსეთს ჩვენ ვერ გავუგებთ, ჩვენი ან რომელიმე სხვა დასავლური ლოგიკით, რუსეთს გააჩნია თავისი საკუთარი ლოგიკა, ასევე ისინი არიან კარგი მოსწავლეები და კარგად სწავლობ სხვადსხვა ომის კონფლიქტის თეორიებს ხვეწენ მას და თავიანთ საკუთარ ლოგიკას უკავშირებენ ზედმიწევნიტ კარგად. მათ კარგად ისწავლეს გათიშეს და იბატონეს პრინციპით, ასევე ქვეყანაში შიდა არეულობის გაღვივებით, ერის საზოგადოების გახლეჩვით და სხვა მრავალი კიდევ. ფაქტია ის რაც ჩვენ დღეს უნდა გვაერთიანებდეს ყველაფერს ფასი და ავტორიტეტი დაეცა და დაეკარგა, ავიღოთ თუნდაც ეკლესია, როგორ ხდება მისი ავტორიტეტის დაცემა და შელახვა, ამით მე არ ვამბობ რომ ის თავად ამაში დანაშავე არ არის, ზუსტად მატი გენიალურობა და სიდიადე ამ ხელოვნებისა აქ ვლინდება რაოდენ კარგად ართმევენ ისინი ამაში თავს. ამ მოსაზრების კარგი მტკიცებულებაა რუსეთის ფედერაცის გენერალური შტაბის უფროსის გენერალ გერასიმოვის თეორის გამოქვეყნება რომელსაც შემდგომშ გერასიმოვის დოქტრინა ეწოდა. ამდოქტრინაში კარგადაა არწერილი ყველა ის ასპექტი რომელზეც მე ვისაუბრე.

ამჟამად ძალზედ მნიშვნელოვანი და შეიძლება ასევე სასიცოცხლო მნიშვნელობის იყოს ის გადაწყვეტილება რაც საქართველომ საბოლოვოდ მიიღო, და უარი განაცხადა ევრაზიულ კავშირზე. თუმცა ჩვენი არჩეული გზა პროდასავლუბისკენ, არ გამორიცხავს კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას და ურთიერთობას რუსეთის ფედერაციასთან. დღესაც რუსეთის მოქალაქეები სარგებლობენ საქართველოს კეთილმეზობლური განწყობით, სხვადასხვა სფეროებში, ძალზედ აქტუალურია და პოპულარული ქართული სამედიცინო დასწესებულებები. (ამას ჩემი საკუთარი გამოცდილებიდან ვსაუბრობ). შემდეგი დადებითი ნაბიკები კი

უკვე დამოკიდებული თავად რუსეთის ფედერაციაზე და მის მართველ გუნდზე. თუმცაღა მე მჯერა რომ უახლოეს მომავალში თუ არა მომავალში ჩვენი პოზიტიური განწყობა და სწორი განვითარება რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ წარმატებით დადებით შედეგებს გამოიღებს ყველა იმ მიმართულებით რომელიც დღეს ჩვენთვის პრობლემაა.

ბიბლიოგრაფია:

1. Association Agreement EU Gorgia საქართველოს ევროპის კავშირის ასოცირების ხელშეკრულება.
2. http://infocenter.gov.ge/euinfo-georgia-history/#1
3. white_paper_on_the_future_of_europe_en
4. საქართველოს ევროპული გზა N12/07/2017, 11/04/2017
5. გზამკვლევი NATO-სა და ევროპის კავშირის შესახებ, © NATO-სა და ევროპის კავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი
6. დიპლომატიის ისტორია თორნიკე შარაშენიძე
7. eu-georgia_factsheet_en ბრიუსელი 2016
8. საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი 2010-2013
9. საქრთველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია
10. ,,NATO და ევროპის კავშირი საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები“ © NATO-სა და ევროპის კავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი
11. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი - 4 აპრილი,1949წელი
12. www.mod.gov.ge “NATO- - საქართველოს არსებითი პაკეტი“.
13. www. Infocenter.gov.ge
14. პოლიტიკა და დემოკრატია (წიგნი პირველი) სემუელ ჰანტინგტონი, ფარიდ ზაქარია, კიმ დე ჯუნი, ისაია ბერლინი, ჯორჯ კენანი, ფრენსის ფუკუიამა ISBN: 486-7817-410-89-9
15. კონფლიქტი აფხაზეთში- მიზეზები და გააზრება, გია ნოდია.
16. Armenia, Azerbaijan, and Georgia: Political Developments and Implications for U.S. Interests. Jim Nichol April 2009.
17. REFLECTIONS ON FUTURE WAR, Mackubin Thomas Owens
18. Das neue strategische Konzept der NATO Johannes Varwick http://www.bpb.de/apuz/32306/das-neue-strategische-konzept-der-nato?p=all
19. Grundzüge einer neuen NATO-Strategie, Karl-Heinz Kamp

20. NATO 2000, Johanes Varwick, WIchard Woyk. https://books.google.ge/books?hl=de&lr=&id=sZfyBgAAQBAJ&oi=fnd&pg=PA5&dq=nato+strategie+im+wandel+der+zeit&ots=NUoHQZQqVp&sig=rk8i2w3Cbw2fLNkpYUoXgXsEn9Q&redir_esc=y#v=onepage&q=nato%20strategie%20im%20wandel%20der%20zeit&f=false
21. „რუსეთი და საქართველო“ ვ. გურული;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა
II სემესტრის დოქტორანტი
სალომე ბელქანია

სადოქტორო სემინარი

მედიის როლი პანამის დოკუმენტების გასაჯაროებაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარი წერეთელი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2018

სარჩევი

შესავალი.....3

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა 6

ტერმინთა განმარტებები:.....6

თავი 2. „პანამის საქმე“ მედიაში 13

თავი 3. რატომ არიდებენ ადამიანები თავს გადასახადებს? 16

3.1. სპეციალისტების და ექსპერტების შეფასება.....20

თავი 4. ოფშორული ზონების გამოყენების მიზნები.....21

დასკვნა.....25

გამოყენებული ლიტერატურა: 27

შესავალი

"საუკუნის გამოაშკარავება" და "ისტორიაში უდიდესი გაჟონვა", ასე უწოდებენ პანამის დოკუმენტებს. სიდიდით მეოთხე ყველაზე მსხვილი იურიდიული კომპანიის “მოსაკ ფონსეკას” 11.5 მილიონი დოკუმენტი ჟურნალისტებისთვის ხელმისაწვდომი გახდა. გამომძიებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმის (ICIJ) დახმარებით და მომხდარ ფაქტებზე დაყრდნობით, გლობალურმა მედიამ შთამბეჭდავი გამოაშკარავება დაიწყო მთელი რიგი ამბებისა. თუ მოვლენები ასე განვითარდება, ჩვენ მოწმეები გავხდებით ჟურნალისტიკის (ისეთი ფორმით, როგორითაც დღეს არსებობის) დასასრულის. ამბობს კოსტას ეფემეროსი თავის სტატიაში, რომელიც 2016 წლის აპრილში thepressproject.gr-ზე გამოქვეყნდა.

ჟურნალისტებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ისეთი რაოდენობის საიდუმლო დოკუმენტაცია, რომელიც აქამდე არასდროს გამხდარა (იქნებოდა ეს ლუქსემბურგის, შვეიცარიის თუ სამოთხის დოკუმენტების გაჟონვის მაგალითები). 11 მილიონ საბუთში ცხადად ჩანს, თუ როგორ იყენებდნენ მსოფლიოს ცნობილი პოლიტიკოსები და ბიზნესმენები ოფშორულ ზონებს ფულის გასათეთრებლად და გადასახადებისგან თავის ასარიდებლად.
გამოჟონილი დოკუმენტების რაოდენობა კოლოსალურია. იურიდიული ფირმის შიდა ბაზიდან 2.6 ტერაბაიტის მოცულობის დოკუმენტია ამოღებული, რაც ბევრად მეტია, ვიდრე 2010 წლის ვიკილიქსის ან 2013 წლის სნოუდენის დოკუმენტები.

ჟურნალისტების მიერ გამოაშკარავებული დოკუმენტაცია ეხება მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მოქმედ და ყოფილ ლიდერს, ხელოვანებს, სპორტმენებს.

აღნიშნულმა დოკუმენტებმა გამოამზეურა, რომ რუსეთის პრეზიდენტს პანამაში 2 მილიარდი აშშ დოლარი აქვს გადამალული თავისი უახლოესი მეგობრების დახმარებით. პანამის დოკუმენტებში ასევე არის ჩინეთის პრეზიდენტის, პაკისტანის, ისლანდიის, ბრიტანეთის პრემიერების სახელები და ინფორმაცია მათთან დაკავშირებულ კომპანიებზე,

დოკუმენტებში ასევე ფიგურირებს ფეხბურთელ ლიონელ მესისა და მისი მამის სახელები. ესპანეთში უკვე დაწყებულია გამოძიება მესის მიერ გადასახადებისთვის თავის არიდებასთან არსებული ეჭვების გამო, რომელიც დღემდე მიმდინარეობს. გასაჯაროვებული დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოს ფინანსებსაც.

ამბავი კი მაშინ დაიწყო, როდესაც გერმანიის ერთ-ერთ უმსხვილეს გაზეთს“ზიუდდოიჩე ცაიტუნგს” დაუკავშირდა წყარო, რომელიც დაჟინებით ითხოვდა ანონიმურად დარჩენას. წყარო საკუთარ თავს “ჯონ დოუს” უწოდებდა და გაზეთს პანამური იურიდიული კომპანიის, Mossack Fonseca-ს შესახებ, შიდა ინფორმაციას სთავაზობდა. „ზიუდდოიჩე ცაიტუნგმა” გადაწყვიტა, ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმთან ერთად შეესწავლა მონაცემები (ICIJ). კვლევის პერიოდში თანამშრომლობა გაფართოვდა და მოიცვა 100-ზე მეტი მედიასაშუალება 80-ზე მეტი ქვეყნიდან. პანამის დოკუმენტებმა მსოფლიოს მასშტაბით უზარმაზარი გამოხმაურება გამოიწვია: პოლიტიკოსები და თანამდებობის პირები გადადგნენ. იყო დიდი სახალხო პროტესტი და ეს ისტორიები ათობით ქვეყანაში დაედო საფუძვლად გამოძიების დაწყებას.
პანამის დოკუმენტების მედიაში გამოქვეყნების შემდეგ, “ჯონ დოუმ” „ზიუდდოიჩე ცაიტუნგს“ გაუგზავნა მანიფესტი, რაც შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც განმარტება საკუთარ ქმედებაზე, თუ რატომ სურდა მას დიკუმენტების გამოქვეყნება. მანიფესტსა და მასში გაჟღერებულ პოლიტიკურ პოზიციას არ მოუხდენია გავლენა ,,ზიუდდოიჩე ცაიტუნგსა” და იმ მედიაორგანიზაციებზე, რომლებიც პანამას დოკუმენტების საქმეში იყვნენ ჩართულნი. თავიდანვე არსებობდა შეთანხმება, რომ „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“ არ იქნებოდა ვალდებული, დათანხმებოდა თემასთან დაკავშირებულ ნებისმიერ გარემოებას იმისათვის, რომ მიეღო ინფორმაცია პანამას დოკუმენტების შესახებ.

თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც არც მანამდე და მითუმეტეს, არც მას შემდეგ, მსგავსი მასშტაბის ჟურნალისტური გამოძიება არ ჩატარებულა. არც ასეთი დიდი რეზონანსი გამოუწვევია რომელიმე ჟურნალისტურ გამოძიებას და არც აღმოუჩენიათ ამდენი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, უამრავი ადამიანი მალავდა გადასახადებს.

მედიამკვლევრები და მედიის სხვა წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ეს არის ჟურნალისტიკაში იმდენად დიდი რამ, რომ მან შესაძლოა ჟურნალისტიკის არსი შეცვალოს და სრულიად სხვაგვარი პერსპექტივიდან დაგვანახოს მისი საჭიროება.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

ტერმინთა განმარტებები:

პანამის დოკუმენტები - 2016 წლის აპრილში ჟურნალისტებისთვის ხელმისაწვდომი გახდა იურიდიული ფირმა ,,მოსაკ ფონსეკას“ საიდუმლო დოკუმენტები. 11 მილიონ დოკუმენტში ცხადად ჩანდა, თუ როგორ იყენებდნენ მსოფლიოს ცნობილი პოლიტიკოსები და ბიზნესმენები ოფშორულ ზონებს ფულის გასათეთრებლად და გადასახადებისგან თავის ასარიდებლად.

ოფშორული კომპანია - სიტყვა ,,ოფშორი“ მომდინარეობს ინგლისური სიტყვა offshore-სგან — „ნაპირის გარეშე“. ეს არის ფინანსური ცენტრები, რომლებიც უცხოურ კაპიტალს იზიდავენ სპეციალური ადმინისტრაციული და საგადასახადო შეღავათებით. ასეთ ქვეყნებს, და ზონებს ბიზნესისათვის, „ფინანსურ სამოთხეს“ უწოდებენ. ეს არის ფირმა, რომელიც უცხოელი მოქალაქეების მიერ რეგისტრირდება ხელსაყრელი საგადასახდო კლიმატის მქონე სახელმწიფოში.

გამომძიებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმი - ეს არის ამერიკაში დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც გამომძიებელი ჟურნალისტებისგან შემდგარი გაერთიანებაა. იგი მუშაობს მსოფლიო მასშტაბის ჟურნალისტურ გამოძიებებზე და მრავალი ასეთი გამოძიების ავტორია.

ზიუდდოიჩე ცაიტუნგი - ბავარიული გაზეთი, რომელსაც თავდაპირველად დაუკავშირდნენ პანამის დოკუმენტებთან დაკავშირებით. აღნიშნული გაზეთის სათაო ოფისი მიუნხენშია განთავსებული და ის გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გამოცემაა.

მსოფლიოში ყველაზე მასშტაბურ ჟურნალისტური გამოძიება თითქმის ორი წელი მიმდინარეობდა. ამ ამბავში ყველაზე უჩვეულო და აღსანიშნავი იყო ის, რომ "ზიუდდოიჩე ცაიტუნგის" რეპორტიორებს არასოდეს ჰქონიათ პირადი ურთიერთობა წყაროსთან, რომელიც მათ ინფორმაციით ამარაგებდა. კონტაქტი ხორციელდებოდა დაშიფრული მეილებისა და ჩატების საშუალებით. თემაზე მუშაობისას რეპორტიორებს ხშირად გასჩენიათ კითხვა, რატომ უნდოდა წყაროს, რომ მთელი ეს ინფორმაცია საჯარო გამხდარიყო?

„მე მინდა, რომ ეს დანაშაულები შევაჩერო. ისინი უნდა გაჩერდნენ", - პასუხობდა ანონიმური წყარო, რომელსაც არასოდეს მოუთხოვია ფინანსური ან სხვა სახის სარგებელი, გარდა ანონიმურობის გარანტიისა. ის წერდა, რომ ამ ნაბიჯით საკუთარ სიცოცხლეს უქმნიდა საფრთხეს.

გაჟონილი ინფორმაცია კომპანიის ოფისებიდან პირდაპირ, ათასობით მეილის სახით, მიდიოდა მიუნხენში. მათ შორის იყო სამართლებრივი დოკუმენტები, საბანკო ამონაწერები, ჩეკების, პასპორტების, პირადობის მოწმობების, ინვოისებისა და უთვალავი კონფიდენციალური კორესპონდენციის ასლები. ყველა მათგანი ეხებოდა იმ სამართლებრივი ქსელის არალეგალურ და რთულ საქმიანობას, რასაც ათასობით ადამიანი მსოფლიოს მასშტაბით, ფულის, ქონებისა და გადასახადების დამალვისათვის იყენებდა.

მონაცემები 2300-ჯერ მეტი იყო იმ დოკუმენტაციასთან შედარებით, რომელსაც ,,ვიკილიქსი" ფლობდა ხუთი წლის წინ. მასალა შეიცავდა იშვიათ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდნენ გლობალურ ინდუსტრიაში

- ბანკები
- ლეგალური ფირმები
- კომპანიები

რომელთა უკანაც იდგნენ სამყაროს წარმომადგენლები:

- პოლიტიკოსები
- ფიფას მაღალი თანამდებობის პირები
- ნარკოდილერები
- თაღლითები
- შოუბიზნესის
- სპორტის

ბუნებრივია, ,,ზიუდდოიჩე ცაიტუნგის“ პრიორიტეტი იყო ის მასალები, რომლებიც ეხებოდა გერმანიის მთავრობისა და გავლენიანი წრეების წარმომადგენლებს. თუმცა, დოკუმენტების შესწავლის საწყის ეტაპზევე მიხვდნენ, რომ ინფორმაციის მნიშვნელობა გერმანულ ინტერესებს სცდებოდა. მასალებში ფიგურირებდნენ მსოფლიო ლიდერები.

,,ზუდდოიჩე ცაიტუნგის“ საგამოძიებო ჟურნალისტთა გუნდი ხუთი კაცისაგან შედგება. აქედან სამი ICIJ-ის წევრია. გუნდს არაერთი ჟურნალისტური ჯილდო აქვს მოპოვებული საგამოძიებო თუ მოკვლევითი სამუშაოებისათვის. მათ პანამის საქმემდეც ჰქონდათ ერთობლივი მუშაობის გამოცდილება, გამომძიებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმთან. ,,როდესაც გავაანალიზეთ, რომ ხელთ მსუყე საერთაშორისო მასალა გვქონდა, მაშინვე მივხვდით, რომ მათ შესახებ საუბარი გასაჯაროებამდე არ შეიძლებოდა, - ამბობს გამომძიებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმის მთავარი რედაქტორი ფრედერიკ ობერმაიერი.

ის იხსენებს, რომ ICIJ-ს მიმართ ნდობის კიდევ ერთი მიზეზი მასში გაწევრიანებულ ჟურნალისტთა და მედიაორგანიზაციათა პროფესიული ეთიკა, ჟურნალისტური შესაძლებლობები და დამოუკიდებლობა იყო. პირველი შეხვედრა გაზეთისა და კონსორციუმის წარმომადგენლების შორის 2015 წლის აპრილში, მიუნხენში შედგა, რომლის დროსაც ICIJ-ის, გაჟონილი ინფორმაციის შემცველი პირველი დისკი გადასცეს.

მონაცემთა ბაზის შექმნა და დამუშავება, მომზადება ადვილად სამართავი პლატფორმისა, რომელიც ჟურნალისტებს არსებულ ინფორმაციასთან წვდომისა და მისი დამუშავების შესაძლებლობას მისცემდა - ყველაზე დიდი დრო კონსორციუმის მთავარი რედაქტორის

თქმით, სწორედ ამ პროცესმა წაიღო. კონსორციუმის წევრი კომპიუტერის სპეციალისტები და ვებდიზაინერები კოსტა-რიკიდან და ესპანეთიდან ერთდროულად მუშაობდნენ, რათა მონაცემთა დამუშავებისათვის საჭირო სისტემა შეექმნათ.

35-ზე მეტი სერვერის გამოყენებით მათ შეძლეს, გაკეთებინათ ბაზა არსებული დოკუმენტაციისა, მათ შორის იყო სხვადასხვა იმეილი და მათზე მიბმული ფაილები, ათასობით დასკანერებული დოკუმენტი. აიტი სპეციალისტებმა შეძლეს, გაკეთებინათ საძიებო სისტემა, რომლის მეშვეობითაც მილიონობით დოკუმენტი ადვილად მოიძებნებოდა.
მონაცემთა ბაზების შექმნის შემდეგ, რომლითაც ICIJ-ის ჯგუფმა დოკუმენტები იმ ქვეყნების მიხედვით დაახარისხა, რომელთაც კონკრეტული მასალები ეხებოდა. მონაცემთა დალაგების მომდევნო ეტაპი მათი ვიზუალიზაცია და გრაფიკული ფორმატის გაკეთება იყო. ეს ფორმატი შესაძლებელს ხდიდა, უფრო მარტივად მოეძებნათ კავშირები

- ადამიანებს
- კომპანიებს
- ოფისებს
- დოკუმენტებსა და
- საბანკო ანგარიშებს შორის.

2015 წლის ივნისში ორგანიზაციამ შექმნა მძლავრი დაცული ვებაპლიკაცია, სადაც ჟურნალისტებს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, შეეძლოთ მოკვლეული მასალების ატვირთვა, საკუთარი მიგნებების ერთმანეთისათვის გაზიარება და ერთმანეთთან ეფექტური კომუნიკაცია. პლატფორმას ,,გუგლის“ მსგავსი საძიებო და ფეისბუქის მსგავსი საკომუნიკაციო სისტემა ჰქონდა.

სისტემა იმდენად გამართული იყო, რომ ჰქონდა რეალურ დროზე მორგებული „ჩათიც“, ჟურნალისტებს შეეძლოთ ეპოვათ სასურველი დოკუმენტი და თუ კონკრეტული ენა არ ეცოდინებოდათ, თარგმანის მონახავაც ადვილი შესაძლებელი იყო. ჟურნალისტები ერთმანეთს ქსელის საშუალებით, ღიად უზიარებდნენ მიგნებებს.

თავდაპირველად ICIJ-მ ჟურნალისტებსა და მედიაორგანიზციებს ერთად იმისათვის მოუყარა თავი, რომ ოფშორული დინებები გამოერკვიათ, თუმცა, მუშაობისას გამოიკვეთა ისეთი გადაბმის წერტილები, რომლებმაც ერთობლივად მუშაობა გახადა შესაძლებელი.

,,ნიუ იორკ თაიმსის“ ჟურნალისტი ჯიმ რუტენბერგი 2016 წლის 10 აპრილს გამოცემის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნავს: საერთაშორისო გუნდის წევრები ერთმანეთს რამდენჯერმე შეხვდნენ. პირველი ასეთი შეხვედრა გაიმართა 30 ივნისს, ვაშინგტონში, სადაც 30 ჟურნალისტი შეიკრიბა და დეტალურად გაიარა ის მიგნებები, რომელიც მონაცემთა პირველადი დამუშავების შედეგად გამოიკვეთა. შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ სამომავლო სამუშაო გეგმა გაწერილიყო. მათ იმსჯელეს, როდის გამოექვეყნებინათ დოკუმენტები. თავდაპირველ თარიღად ნოემბერი, შემდეგ - თებერვალი დასახელდა. თუმცა, მოგვიანებით მასალის უფრო საფუძვლიანი შესწავლა გადაწყვიტეს, რადგან არავინ იცოდა, საბოლოოდ როგორ დასრულდებოდა მათი ერთობლივი მუშაობა“.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტების უსაფრთხოება იყო. აუცილებელი გახდა, საიდუმლოდ შენახულიყო ამბავი, რათა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მომუშავე ჟურნალისტთა ერთობლივ საქმეს კიბერთავდასხმებითა თუ სხვადასხვა სირთულით პრობლემა არ შექმნოდა.

გამომძიებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმის ჟურნალისტი, ვილი ფიცგიბონი 2016 წლის 1 დეკემბერს თავის სტატიაში წერს: „პირველი შეხვედრის შემდეგ მკაცრად გაწერილი სამუშაო გეგმა შემუშავდა. ორგანიზაცია ყურადღებით ამონიტორინგებდა ჟურნალისტთა წვდომას მონაცემთა ბაზაზე და იმ დოკუმენტებს, რომელთა გადმოწერაც ხდებოდა. ჩვენ ასევე ვაკვირდებოდით სპეციალური მეილებითა და „ჩათებით“ განხორციელებულ დაშიფრულ კომუნიკაციას.

მეორე შეხვედრა სექტემბრის დასაწყისში, მიუნხენში, “ზიუდდოჩე ცაიტუნგის” ოფისში შედგა. სამდღიან ინტენსიურ სამუშაო შეხვედრაში 70-ზე მეტმა ჟურნალისტმა საკუთარი მონაცემთა ბაზების მიგნებები ერთმანეთს გაუზიარა და ინტერესის, განსაზღვრული სტრატეგიისა და თემების მიხედვით, ცალ-ცალკე სამუშაო ჯგუფები ჩამოყალიბდა.
კიდევ ერთი საიდუმლო შეხვედრა უკვე ლილეჰამერში, ნორვეგიაში, ოქტომბრის დასაწყისში დაიგეგმა. ეს იყო ყველაზე დიდი შეხვედრა, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან პანამის დოკუმენტებზე მომუშავე ჟურნალისტთა უმრავლესობა ესწრებოდა“. ყვება ჟურნალისტი.

ICIJ-ში ამბობენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, მუშაობის დროს, ჟურნალისტთა კოლაბორაციის სურვილი იყო. თითოეული მათგანი აანალიზებდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ 100-ზე მეტი მედიასაშუალება ამ ინფორმაციას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გამოაქვეყნებდა, ეს შესაბამის შედეგს ვერ გამოიღებდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მასალების ერთდროული გამოქვეყნება უფრო მეტ რეზონანსს გამოიწვევდა.

- BBC
- The Guardian
- Le Monde
- Süddeutsche Zeitung
- NRD და WRD
- Sontagszeitung
- Falster

ეს მცირე ჩამონათვალია მედიასაშუალებებისა, რომელთა ჟურნალისტებიც პანამის დოკუმენტებზე მუშაობდნენ.
დაშიფრულ სისტემაში ჟურნალისტთა მუშაობა უფრო და უფრო ინტენსიური ხდებოდა, ვინაიდან ,,ზიუდდოიჩე ცაიტუნგის” ჯგუფი ქსელს ახალი ინფორმაციით 10 თვის

განმავლობაში ამარაგებდა. ამის საფუძველზე ICIJ-მ მონაცემთა ბაზა ხუთჯერ განაახლა. ბოლოს მონაცემები მარტში განახლდა, როდესაც ახალი, მილიონ-ნახევარი დოკუმენტი ჩატვირთა. სწორედ მარტში შეთანხმდენ, რომ 2016 წლის 3 აპრილს ინფორმაციას მედიასაშუალებები ერთდროულად გამოაქვეყნებდნენ.

ასეც მოხდა. პანამის დოკუმენტების საქმე ისტორიაში ყველაზე დიდი ჟურნალისტური კოლაბორაციაა. მასზე 109 მედიასაშუალების 370 ჟურნალისტი მუშაობდა. დოკუმენტების დამუშავება 25 ენაზე, 76 ქვეყანაში მიმდინარეობდა. ათი თვის განმავლობაში, მათ დაძებნეს და დაამუშავეს მთლიანი სტრუქტურა Mossack Fonesca-სი, დღის სინათლეზე გამოიტანეს საიდუმლო ფინანსური ტრანზაქციების სისტემა, რომელიც 202 ქვეყანასთან იყო დაკავშირებული.

თავი 2. „პანამის საქმე“ მედიაში

საქართველოში მომუშავე გამომძიებელი ჟურნალისტი, დეივ ბლოსი ამბობს: ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, თუ რა შედეგამდე მივალთ საბოლოოდ, რადგან ჩვენ კიდევ არ შეგვისწავლია და არ გამოგვიქვეყნებია უამრავი მასალა, ბევრი ქვეყნის შესახებ. მაგრამ ეს ისტორიები ქვეყნების მთავრობებს, პარლამენტს, პოლიტიკოსებს, სასამართლოს, სამოქალაქო საზოგადოებას აიძულებს, დაიწყოს მსჯელობა: როგორ შეიძლება კანონები დაიხვეწოს და კომპანიების საქმიანობა უფრო გამჭვირვალე გახდეს ისე, რომ ამ ცვლილებებმა ბიზნესი არ დააზარალოს. ყველას უნდა, ბიზნესმენმა ფული რომ აკეთოს, მაგრამ სად გადის ზღვარი? როგორ უნდა დავწეროთ კანონი ისე, რომ იოლად გავიგოთ, ვინ არის კომპანიის რეალური მფლობელი? დღეს შენ შეგიძლია ფული მსოფლიოში ისე ამოძრაო, რომ საკუთარი ანაბეჭდი არსად დატოვო; შეგიძლია, კომპანიების მრავალსართულიან სქემებს ფლობდე და მართავდე რწმუნებულების, იურისტების მეშვეობით. მთელი სისტემაა შექმნილი იმისთვის, რომ რეალური მფლობელის ვინაობა ვერასდროს გაიგო. „პანამის ქაღალდებიდან“ კი ირკვევა, ვინ მართავს კომპანიებს – ფორმალურად და არაფორმალურად.

„ნიუ იორკ თაიმსის“ ჟურნალისტი ნიკოლა კლარკი იხსენებს, რომ თავდაპირველად, გაჟონილმა ინფორმაციამ გერმანელ ჟურნალისტებამდე მიაღწია. მასალები იმდენი იყო, რომ მიხვდნენ, მათი დამუშავებისთვის საჭირო რესურსი არ გააჩნდათ, ამიტომ გამომძიებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმს დაუკავშირდნენ. კონსორციუმმა შეარჩია ოთხმოცამდე ქვეყნის ოთხასამდე ჟურნალისტი და მათგან გუნდი შეკრა. ყველა მათგანს მასალებზე წვდომა ექნებოდა, თუკი უსაფრთხოებისა და მონაცემების არგასაჯაროების უმკაცრეს წესებს დაიცავდა. მაგალითად, ვიცოდით, რომ კომპანია „მოსაკ ფონსეკასთვის“ და სტატიებში ნახსენები პირებისთვის კითხვების დასმა კონკრეტულ დროს შეგვეძლო. ვინმეს, მაგალითად, იაპონიაში, წესები რომ არ დაეცვა და დათქმულზე სამი კვირით ადრე დაესვა კითხვები, „მოსაკ ფონსეკაში“ მიხვდებოდნენ, რომ

ჩვენ ეს მასალები გვქონდა და სხვა ჟურნალისტებს ამის შემდეგ მათზე მუშაობა ბევრად გაურთულდებოდათ“ - წერს ნიკოლა კლარკი.

„რამდენიმე თვით ადრე ვიცოდით, რომ მასალებს 3 აპრილს გამოვაქვეყნებდით (საქართველოს დროით, საღამოს 10 საათზე). ალბათ ეს არასოდეს დამავიწყდება. წესები არავის დაურღვევია. მთელ მსოფლიოში არავის გამოუქვეყნებია თავისი მასალა უფრო ადრე. განსაცვიფრებელია, რომ დოკუმენტებიც არავინ გასცა. დაფიქრდით, შეიძლებოდა ინფორმაცია გაგვეყიდა. უამრავი ადამიანია მსოფლიოში, ვისაც ძალიან უნდა მისი ხელში ჩაგდება, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ყველამ პატიოსნად ითამაშა“.- ამბობს გარდიანის ჟურნალისტი ლიუკ ჰარდინგი.

როგორც ,,ეიბისის“ ჟურნალისტი პოლ ლეშმარი წერს, ,,მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ცხრა ტელევიზიის გადამღები ჯგუფი ერთმანეთს შეუთანხმდა, ისინი კოორდინირებულად ჩაფრინდნენ პანამაში და კომპანია „მოსაკ ფონსეკას“ კართან ერთდროულად დადგნენ”.

რამდენად ასახავს ე.წ. „პანამის დოკუმენტები“ თანამედროვე კაპიტალიზმს. ამ თემას აშუქებს ინტერნეტ-გამოცემა „ბლუმბერგში“ გამოქვეყნებული სტატია, რომლის ავტორია მეგან მაკ-ქარდი. კერძოდ, სტატიაში ვკითხულობთ: „პანამაში იურიდიული ფირმის „Mossack Fonseca“- ს მიერ კონფიდენციალური დოკუმენტაციის გამომზეურებას მოჰყვა ბევრი საინტერესო შედეგი. თავისთავად, ხსენებული დოკუმენტების გამომზეურება თავისი მასშტაბით უდიდესი იყო უახლეს ისტორიაში. საერთაშორისოდ ცნობილი პიროვნებები აღმოჩდნენ ბუნდოვანი ოფშორული ანგარიშების მფლობელები. ამის ნიადაგზე გაჩენილი სკანდალის გამო, ისლანდიაში გადადგა პრემიერ-მინისტრი, რომელიც არაკეთილსინდისიერ საქმიანობაში დაადანაშაულეს.

გამოცემა „Foreign Policy“ წერს, რომ გამომზეურებული დოკუმენტები კიდევ ერთხელ აშუქებს იმ არაორდინალურ ზომებს, რომლებსაც გლობალური ელიტა მიმართავს საკუთარი შემოსავლების დასამალად, გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით.

,,იმ დროს, როცა ორდინალური ხალხი გადასახადებს იხდის, მდიდრები გადასახადებს თავს არიდებენ. პანამის დოკუმენტების გაცნობა ბევრი ადამიანისათვის, წლების განმავლობაში დაგროვილი ეჭვების კიდევ ერთი დადასტურებაა. დღეს ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ გლობალური მოსახლეობის ერთი პროცენტის შემადგენლობაში თუ არ ხარ, დროება ვერ იქნება შენთვის ხელისშემწყობი“ - ნათქვამია გამოცემაში.

„გამომძიებელ ჟურნალისტთა ჯგუფმა 214,488 ორგანიზაციის იდენტიფიცირება მოახდინა, გამოამჟღავნა Mossack Fonesca-ს კლიენტები. ჟურნალისტებმა სხვადასხვა ქვეყნის 12 ყოფილი და ამჟამინდელი პრეზიდენტი ამხილეს, 61 შემთხვევაში კი ოფშორული კომპანიების კავშირები პირდაპირ მათთან მიდიოდა. დღემდე არსებული ჩანაწერები აჩვენებს, რომ 128 პოლიტიკოსი და საჯარო მოხელე იყენებდნენ ამ კომპანიის მომსახურებას. მათგან 29 ადამიანი ფორბსის მილიარდელთა სიაშია“ - წერს ენრიკე დანსი 2016 წლის აპრილში, medium.com-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში.

2016 წლის 7 აპრილს, ethicaljournalismnetwork.org-ზე გამოქვეყნებულ მასალაში ვკითხულობთ: „2016 წლის 16 მარტს, MOssack Fonseca-ში კონსორციუმის წევრთა ვიზიტისა და კითხვების დასმიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ერთ-ერთ დამაარსებელ რამონ ფონსეკა მორას მოთხოვეს, დაეტოვებინა პანამის პრეზიდენტის მრჩევლის თანამდებობა.

ამავე დღეს კომპანიამ გააფრთხილა საკუთარი კლიენტები იმის თაობაზე, რომ მათი კონფიდენციალური მონაცემები შესაძლოა გამჟღავნებულიყო, რადგან ინფორმაციას საერთაშორისო მედია ფლობდა“.

თავი 3. რატომ არიდებენ ადამიანები თავს გადასახადებს?

გადასახადებისგან თავის არიდება ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა დაიწყეს: ბერძენი მეწარმეები ეძებდნენ ადგილებს, სადაც ნაკლები გადასახადი არსებობდა, სწორედ ამ ძიებაში, საქონლის შესატანად, ათენის გვერდის ავლით ისინი ბერძნულ კუნძულებს ირჩევდნენ. 21-ე საუკუნეში ასეთი ასეულობით ე.წ. ფინანსური სამოთხეა.

- დომენიკის რესპუბლიკა
- კვიპროსი
- ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები
- ბელიზი
- სეიშელი
- სენტ-კიტსისა და ნევისის ფედერაცია
- ჰონკონგი
- შოტლანდია
- პანამა

მათი საერთო სახელი ოფშორული ზონაა, ეს იმიტომ, რომ ასეთი ფინანსური ცენტრები ,,ღია ზღვაშია".

ოფშორული ცენტრების მიმზიდველობას ხელი განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესისთვის დაწესებულმა მაღალმა გადასახადებმა შეუწყო, ეს მეოცე საუკუნის 50-იანი წლებში იყო. გადასახადის გადამხდელები მაშინ ფიქრობდნენ, როგორ შეემცირებინათ ხარჯები, ბიზნესმა ლიბერალური საგადასახადო გარემოს ძიება დაიწყო.

მდიდარ და გავლენიან ადამიანებს ასეთი ზონები სწორედ სპეციალური ადმინისტრაციული და საგადასახადო შეღავათების გამო იზიდავს. შედეგად, პლანეტის მთელი ფინანსური რესურსის დაახლოებით 10% ოფშორულ ზონებშია თავმოყრილი. სხვადასხვა მონაცემით, ,,საგადასახადო სამოთხეებში" 32 ტრილიონი დოლარია დაგროვილი.

მდიდართათვის მიმზიდველ ოფშორულ ზონებში არ არსებობს სავალუტო შეზღუდვა, ზონიდან მოგების გატანა თავისუფალია, აქ კომპანიის რეგისტრაციისა და მართვისას მაქსიმალურად გამარტივებული პროცედურები მოქმედებს – ანუ ოფშორში ბიზნესის კეთება მარტივი და ლეგალურია, თუმცა, ირკვევა, რომ არცთუ იშვიათად, ამ ,,საზღვრებს გარეთ" თავისუფლებას ბიზნესმენები

- ფულის გათეთრების
- ნარკობიზნესის
- ტრეფიკინგის
- ტერორიზმის

დაფინანსებისთვისაც კი იყენებენ, თანაც მაშინ, როცა ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიის მფლობელთა ანონიმურობა და კონფიდენციალობა დაცულია. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო, ვიდრე პანამის იურიდიული ბიურო Mossack Fonseca-ს უმდიდრესი არქივი მედიის ხელში აღმოჩნდებოდა. Mossack Fonseca-ს იურისტები ოფშორული კომპანიების რეგისტრაციას 1977 წლიდან უზრუნველყოფდნენ. ბიუროს არქივი მსოფლიო პოლიტიკური ლიდერების, ბიზნესმენების, ცნობილი და გავლენიანი ადამიანების აღურიცხავი ქონების შესახებ ყველაზე ზუსტ ინფორმაციას ინახავდა, თუმცა, Mossack Fonseca-ს საარქივო მასალა, 11,5 მლნ ოფიციალური დოკუმენტი, მედიის ხელში აღმოჩნდა და ჟურნალისტური გამოძიება დაიწყო... ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმმა დოკუმენტები გამოამზეურა პანამის ე.წ საგადასახადო სამოთხიდან.

პანამის დოკუმენტების გამოქვეყნების შედეგად გადადგა ისლანდიის პრემიერ-მინისტრი და ესპანეთის ტრანსპორტის მინისტრი, შვეიცარიის და სხვა ევროპული ქვეყნების სამართალდამცავმა სტრუქტურებმა დაიწყეს საგამოძიებო მოქმედებები, ხოლო 2016 წლის

14 აპრილს ევროპარლამენტის პრეზიდიუმის კონფერენციაზე ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება პანამის დოკუმენტების საქმესთან დაკავშირებით სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე.

მიუხედავად ამისა, ასეთი კომპანიების საქმიანობა ცალსახა რისკებს შეიცავს: როგორც ირკვევა, საქართველოში არაერთი შემთხვევაა, როდესაც ქონების, მათ შორის სახელმწიფო ქონებისა და სხვადასხვა სტრატეგიული ობიექტების მაგალითად:

- ენერგეტიკა
- წიაღისეულის მოპოვება

მფლობელი კომპანიები ოფშორულ ზონებშია რეგისტრირებული და მათზე ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია.

ცნობილი მედიაგამოცემა „ფორბსი“ ცნობილი შემთხვევების შესახებ წერს, როდესაც ოფშორში რეგისტრირებული კომპანიების მეშვეობით საზოგადოებისთვის უცნობი ფინანსური ჯგუფები ან პირები ფლობდნენ და ფლობენ მედია საშუალებებსაც. მაგალითად, 2011 წელს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მიღებამდე ოფშორულ ზონაში იყვნენ რეგისტრირებული ტელეკომპანია “რუსთავი 2”–ისა და ტელეკომპანია “მზის” მფლობელები . ასევე, დღემდე ოფშორშია რეგისტრირებული შპს ყოველკვირეულ საინფორმაციო-ანალიტიკურ ჟურნალ ტაბულას 51% წილის მფლობელი კომპანია UCG Green Power-ი, რომელიც თავის მხრივ პანამაში რეგისტრირებულ Rylf Management-ს ეკუთვნის:

- მაუწყებლები
- ონლაინ გამოცემები
- ბეჭდური გამოცემები
- საინფორმაციო სააგენტოები და სხვა

ასეთი ტიპის მედიასაშუალებების განკარგვა ოფშორში რეგისტრირებული კომპანიების მეშვეობით განსაკუთრებით მგრძნობიარე საკითხია, რუსეთის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომის, აგრეთვე, მედიის პოლიტიკური გავლენებისგან განთავისუფლების კონტექსტშიც. ოფშორებთან დაკავშირებით რისკების მიმოხილვისას შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

- ანგარიშვალდებულება - ოფშორში რეგისტრირებული კომპანიები საკუთარ წესდებას, ზუსტი მფლობელების ვინაობას, ხელშეკრულების პირობებსა და სხვა დეტალებს არ აქვეყნებენ იმ ქვეყნის საჯარო რეესტრში, სადაც მოღვაწეობენ. შესაბამისად, საზოგადოებისთვის შეუძლებელი ხდება იმის გადამოწმება, თუ ვისი ინტერესები დგას ქვეყანაში მოქმედი ამა თუ იმ მსხვილი ბიზნესის უკან, რაც ზრდის კორუფციული გარიგებების და ინტერესთა შეუთავსებლობის პოტენციური შემთხვევების რისკებს.
- უსაფრთხოება - მიუხედავად საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობისა, რუსეთის მოქალაქეები ოფშორში რეგისტრირებული კომპანიების მეშვეობით აკონტროლებენ არაერთ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტს საქართველოს ეკონომიკაში. სახელმწიფოს არ აქვს არანაირი ბერკეტი ოფშორულ ზონებში განხორციელებულ გარიგებებზე ზემოქმედებისა.
- ფულის გათეთრება და ზეწოლა ბიზნესზე - ოფშორული კომპანიები თავად ხელისუფლების წარმომადგენლებმაც შეიძლება გამოიყენონ ფულის გათეთრების, კორუფციის ან ბიზნეს სუბიექტებზე უკანონო ზეწოლის განსახორციელებლად.

- გადასახადებისგან თავის არიდება - პანამის დოკუმენტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ არაკეთილსინდისიერი ბიზნესჯგუფები ოფშორულ კომპანიებს იყენებენ იმისთვის, რომ დამალონ შემოსავალი და თავიდან აირიდონ გადასახადების გადახდა, რითაც ზიანი ადგება სახელმწიფო ბიუჯეტს.

3.1. სპეციალისტების და ექსპერტების შეფასება

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ “პანამის დოკუმენტების” შემთხვევა რეზონანსულია, ვინაიდან მსოფლიო დონის ლიდერებსა და ბიზნესელიტის წარმომადგენლებთან დაკავშირებული ტრანზაქციების დეტალები გამომჟღავნდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოფშორულ ცენტრებთან დაკავშირებული ტრანზაქციების უმეტესი ნაწილი სამართლებრივად გამართულია. მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როდესაც ოფშორული ცენტრები გამოიყენება არალეგალური მიზნებისთვისაც – ფულის გათეთრებისა და კორუფციული გარიგებებისთვის.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ,,პანამის დოკუმენტების” გასაჯაროებისა და სხვა წინმსწრები შემთხვევების მაგალითზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ოფშორული ცენტრების მიერ ბიზნესებისთვის შეთავაზებული კონფიდენციალურობა და ანონიმურობის მაღალი სტანდარტი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. შესაძლოა, ოფშორებმა დროთა განმავლობაში მიმზიდველობა დაკარგონ, თუმცა, გამოსავალი შეიძლება იყოს ის, რომ შეიქმნას ახალი მექანიზმები, რომელიც გადასახადებს შეამცირებს.

სპეციალისტების აზრით, თითოეულმა სახელმწიფომ ადგილობრივ დონეზე უნდა შექმნას არალეგალური გზით გადასახადების შემცირების საწინააღმდეგო მექანიზმები, ქვეყანაში არსებული საგადასახადო პოლიტიკის გათვალისწინებით. ამასთანავე, სახელმწიფოთა თანამშრომლობა და საგადასახადო გამჭვირვალობის სტანდარტების დანერგვა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა შეინარჩუნონ კუთვნილი შემოსავლები და არ მოხდეს საგადასახადო ბაზის ეროზია.

თავი 4. ოფშორული ზონების გამოყენების მიზნები

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ, რას ნიშნავს ოფშორული კომპანია, როგორ მუშაობს ის და არის თუ არა დანაშაული ოფშორში შემოსავლის რეგისტრირება, საჭიროა კონკრეტულ კითხვებს მარტივად გაეცეს პასუხები. გამომძიებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმმა ამისთვის რამდენიმე კითხვას უპასუხა, რათა უფრო მეტად მოეფინა ნათელი ამ ერთობ ვრცელი, ჩახლართული და ბევრისთვის საკმაოდ უცნობი თემისთვის.

პირველყოვლისა, დავიწყოთ იმით, თუ რა არის ოფშორი?

ეს არის ქვეყანა ან ტერიტორია, რომელიც უცხოურ კომპანიებს ბიზნესის წარმოებისთვის განსაკუთრებულ პირობებს სთავაზობს. ესენია: ძალიან დაბალი და ზოგჯერ ნულოვანი გადასახადები, ანგარიშგების და კომპანიის მართვის მარტივი წესები, ასევე ბიზნესის ნამდვილი მფლობელების ვინაობის დამალვის შესაძლებლობა. მსოფლიოში დაახლოებით 50 ოფშორული ზონაა. მარტივად რომ ვთქვათ, ბიზნესისთვის და შეძლებული ადამიანებისთვის ოფშორი - სამოთხეა. კომპანიების მფლობელები და უბრალოდ, მდიდარი ადამიანები ნაკლებ ფულს ხარჯავენ გადასახადებზე ან საერთოდ არ ხარჯავენ, და შეუძლიათ დაუმალონ თავიანთი საქმიანობა სახელმწიფო ორგანოებს.

მაგალითად, თუ ბიზნესმენები საკუთარ ქვეყნებში კომპანიების დარეგისტრირების შემთხვევაში სახელმწიფოს გადასახადების სახით უხდიან შემოსავლების ნაწილს (საქართველოში საშემოსავლო გადასახადი 20%-ია), ოფშორში კომპანიის დარეგისტრირების შემთხვევაში ისინი სერიოზულ ეკონომიას გააკეთებენ. მაგალითად, ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზე შემოსავლები საერთოდ არ იბეგრება.

გამოდის, რომ ოფშორები გადასახადებისთვის თავის ასარიდებლად არის საჭირო?

სწორედ ასეა, მაგრამ მხოლოდ ამისთვის - არა. ბევრ ბიზნესმენს კომპანიები გადააქვს ოფშორში იმიტომ, რომ ბიზნესის წარმოება ასე მათთვის უფრო იოლი და უსაფრთხოა. მაგალითად, ასე იქცევიან ისინი, თუ მიაჩნიათ, რომ მათ ქვეყნებში ბიზნესის წარმოებისთვის ბიუროკრატიული ბარიერი ზედმეტად დიდია, ან ეშინიათ, რომ, საფრთხის შემთხვევაში, სახელმწიფო ვერ შეძლებს მათ სათანადოდ დაცვას. გარდა ამისა, ოფშორებს იყენებენ ათასგვარი თაღლითური სქემებისა და ფულის გათეთრებისთვის. ზოგჯერ ოფშორულ კომპანიებს ქმნიან სახელმწიფო მოხელეები, რომლებსაც კანონი ბიზნესის წარმოებას უკრძალავს.

აღსანიშნავია, რომ როგორც არაერთ მედიასაშუალებაში ვკითხულობთ, საქართველოსა და ოფშორებს შორის ფული ორივე მიმართულებით მოძრაობს. საქართველოდან ოფშორებში ფულის გადინება და პირიქით, იქიდან კაპიტალის შემოდინება, ძირითადად, 2004 წლიდან შეინიშნება. კაპიტალის გასვლაც და შემოსვლაც ხშირად ხდება კვიპროსში, ვირჯინის კუნძულებზე, ნიდერლანდებსა და სხვა ოფშორულ ზონებში. იმავდროულად, საქართველოში მოქმედი ბევრი კომპანია ოფშორში რეგისტრირებული ბიზნესის შვილობილია.

რისთვის სჭირდება ოფშორული კომპანიები ვირჯინის კუნძულებს, პანამას და სხვა ქვეყნებს?

ოფშორების კანონმდებლობა ისეა მოწყობილი, რომ კომპანიის დარეგისტრირება და მისი მართვა დამოუკიდებლად არ შეიძლება, მხოლოდ ადგილობრივი იურიდიული ფირმის საშუალებით. ამ იურიდიული ფირმების შემოსავლებია იმ ქვეყნების გამდიდრების ერთ-ერთი მთავარი წყარო, რომლებიც უცხოურ კომპანიებს საგადასახადო შეღავათებს სთავაზობენ. მაგალითად, ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულების შემოსავლებში ოფშორული ფირმების რეგისტრაციიდან მიღებული თანხების წილი 50% არის.

არის თუ არა მსოფლიოში ოფშორები პოპულარული?

მსოფლიოში ოფშორები საკმაოდ პოპულარულია. მათი პოპულარობა იზრდება და ამ ზრდას ფინანსური კრიზისებიც კი ვერ უშლის ხელს. ერთ-ერთი კვლევა ცხადყოფს, რომ 2005-დან 2010 წლამდე 50 უმსხვილესი ოფშორული ბანკის კაპიტალიზაცია 5,4 ტრილიონი დოლარიდან 12 ტრილიონამდე გაიზარდა. ზოგიერთი შეფასებით, ოფშორებში შენახული თანხის საერთო მოცულობა 32 ტრილიონ დოლარს აღწევს, რაც ერთად აღებული აშშ-ის და იაპონიის მშპ-ებზე მეტია.

არის თუ არა დანაშაული კომპანიისათვის ოფშორულ ზონაში ყოფნა?

ეს დანაშაული არ არის, მაგრამ ამავდროულად ოფშორებს ხშირად იყენებენ დანაშაულებისთვის, მაგალითად:

- კრიმინალური ფულის გათეთრებისთვის
- სახელმწიფო კორუფციისთვის
- სხვადასხვა თაღლითური ოპერაციისთვის.

როდესაც ეგრეთ წოდებული პანამის დოკუმენტები გავრცელდა, Reddit-ის მომხმარებელმა გაჟონვის ფაქტი ისე ახსნა, რომ ის პატარა ბავშვებისთვისაც გასაგები ყოფილიყო. მან სიტუაცია ბავშვების მიერ ყულაბაში ფულის შენახვის ტრადიციას შეადარა. კერძოდ, ზოგიერთი ფულს აგროვებს დედის საჩუქრისთვის, რომ მას სიურპრიზი მოუწყოს, სხვა - საკუთარ დანაზოგს უფროსი ძმისგან მალავს. თუმცა, არიან ბავშვები, რომლებიც ყულაბებს ცუდი საქციელის დასაფარავად მალავენ, რადგან ზოგმა ის დედის ჩანთიდან მოიპარა, ზოგმა კი მეგობრებს მოჰპარა. ახლა კი ყველა ბავშვის დედამ გაიგო, რომ ყულაბები სახლებს გარეთ ინახება და დაიწყეს იმის გარკვევა, ვინ იქცეოდა კარგად და ვინ - არა.

ებრძვიან თუ არა სახელმწიფოები ოფშორებს?

ბუნებრივია ებრძვიან, ოღონდ არა ოფშორებს, არამედ ოფშორების ბოროტად გამოყენების ფაქტებს:

- გადასახადებისთვის თავის არიდებას
- ფულის გათეთრებას
- სხვა დანაშაულებს

არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფოებისთვის გასცემენ რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა ააგონ მათ პოლიტიკა და კანონმდებლობა ოფშორების სფეროში.

დასკვნა

წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პანამის დოკუმენტების გაჟონვა რამდენადაც მასშტაბური იყო მსოფლიოსთვის და ზოგადად, ისტორიისთვის, იმდენად შრომატევადი იყო ის მედიის სფეროს წარმომადგენლებისთვის.
ჟურნალისტური გამოძიება, რომლის მსგავსიც მსოფლიო მასშტაბით აქამდე არ ჩატარებულა, იმდენად რეზონანსული გამოდგა, რომ მან ჟურნალისტიკა სხვა სიმაღლიდან დაგვანახა.
მსოფლიო ლიდერებმა, ოფშორულმა კომპანიებმა, მედია კორპორაციებმა და სხვადასხვა ფირმებმა გაიაზრეს, რომ მედია ანგარიშგასაწევი ძალაა და შესწევს უნარი, მოვლენები ისე გამოიტანოს დღის შუქზე, რომ სერიოზული ძვრები გამოიწვიოს მსოფლიოში.
პანამის დოკუმენტების მაგალითზე ჩვენ დავინახეთ, რომ

- მედიას უარი შეუძლია თქვას სენსაციასა და ექსკლუზივზე. რაც იმაში გამოიხატა, რომ არცერთმა ჟურნალისტმა და მედიასაშუალებამ, რომელიც ამ შემთხვევაზე მუშაობდა, არ დაარღვიეს შეთანხმება და ზუსტად ერთდროულად გამოაქვეყნეს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში აღნიშნული მასალა.

- ასევე ყურადსაღებია ისიც, რომ ჟურნალისტებმა, ფაქტობრივად, უანგაროდ იშრომეს, უპრეცენდენტოდ მრავალრიცხოვანი დოკუმენტების დასამუშავებლად. რაც იმას ადასტურებს, რომ ჟურნალისტიკა არათუ ზედაპირული პროფესიაა (როგორადაც მას ზოგჯერ მოიხსენიებენ ხოლმე), არამედ ძალიან სიღრმისეულ მიდგომას საჭიროებს.

- კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაციის დაცვა, ეს ის არის, რაზეც ჟურნალისტებს ხშირად საყვედურობენ. პანამის დოკუმენტებმა მკაფიოდ აჩვენეს, რომ ჟურნალისტებს კარგად ესმოდათ ზემოხენებულის მნიშვნელობა, როდესაც აღნიშნული დოკუმენტების უდიდესი ნაწილი არ გაასაჯაროვეს.

- როდესაც პანამის დოკუმენტების გამოძიებაზე ვსაუბრობთ, არ უნდა გამოგვრჩეს მედიის წარმომადგენლების კვალიფიკაცია. ამ გამოძიებაზე მომუშავე ჟურნალისტები ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ საქმე მაქსიმალურად ბოლომდე, ყველა დეტალის გათვალისწინებით ბევრჯერ გადაემოწმებინათ და საგულდაგულოდ შეესწავლათ.

- გუნდური მუშაობა და ერთ დიდ სარედაქციო ჯგუფად ქცევა არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც ჟურნალისტებმა ამ საქმეზე მუშაობით გამოავლინეს. ამ შემთხვევიდან თავისუფლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი 100 კაციან შეხვედრებს ისე მართავდნენ, რომ მუშაობაში ხელი არ ეშლებოდათ და გეგმავდნენ ყოველ ნაბიჯს ისე, რომ გამოძიების მთავარი სათქმელისთვის არ გადაეხვიათ.

ხშირად, როდესაც მედიის მნიშვნელობასა და ძალმოსილებაზეა საუბარი, სრულიად უმართებულოდ, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ჟურნალისტიური განათლების ქონას და მ ისი, როგორც ცალკე სპეციალობის ათვისებას პანამის დოკუმენტები არის შემთხვევა, როდესაც მედიამ და პროფესიონალმა ჟუნალისტებმა ყოველმხრივ დაუმტკიცა მსოფლიოს თავისი ძალა, მნიშვნელობა და საჭიროება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Costas Efimeros, 6 აპრილი 2016, Will The Panama Papers Kill Journalism?, ბოლო ნახვა: 11 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.thepressproject.gr/article/92328/Will-The-PanamaPapers-Kill-Journalism

2. Elia Powers, 8 აპრილი 2016, How the Nonprofit Newsroom Behind the "Panama Papers" Investigation Measures Impact, ბოლო ნახვა: 11 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: http://mediashift.org/2016/04/how-the-nonprofit-newsroom-behind-the-panama-papers-investigation-measures-impact/

3. David Reed, 3 აპრილი 2017, How the Panama Papers transformed the ICIJ and journalism, ბოლო ნახვა: 11 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.dataiq.co.uk/article/how-panama-papers-transformed-icij-and-journalism

4. Paul Lashmar, 4 აპრილი 2016, Panama Papers: How a global media operation held the rich and powerful to account, ბოლო ნახვა: 12 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: http://www.abc.net.au/news/2016-04-04/lashmar-panama-papers/7296650

5. Jonty Bloom, 7 აპრილი 2016, Panama Papers: 10 things we've learned, ბოლო ნახვა: 12 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.bbc.com/news/business-35979313

6. Enrique Dans, 9 აპრილი 2016, The Panama Papers: the technology that drives investigative journalism, ბოლო ნახვა: 12 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: https://medium.com/enrique-dans/the-panama-papers-the-technology-that-drives-investigative-journalism-cc2cf55c3c5b

7. Luke Harding, 5 აპრილი 2016, Panama Papers: a special investigation What are the Panama Papers? A guide to history's biggest data leak, ბოლო ნახვა: 12 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.theguardian.com/news/2016/apr/03/what-you-need-to-know-about-the-panama-papers

8. Malik Muhammad Ashraf, 09 დეკემბერი 2016, Panama leaks media trial, ბოლო ნახვა: 12 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: https://nation.com.pk/09-Dec-2016/panama-leaks-media-trial

9. Tom Law, 7 აპრილი 2016, The Panama Papers: A Global Triumph for Quality Journalism, ბოლო ნახვა: 13 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: https://ethicaljournalismnetwork.org/the-panama-papers-a-global-triumph-for-quality-journalism

10. Dawn.com, 18 ნოემბერი 2016, Panama Papers and media 'court', ბოლო ნახვა: 13 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.dawn.com/news/1297000

11. Al Jazeera, 9 აპრილი 2016, Panama Papers: Have the media censored the story?, ბოლო ნახვა: 13 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან:

https://www.aljazeera.com/programmes/listeningpost/2016/04/panama-papers-media-censored-story-160409095509553.html

12. Will Fitzgibbon, 1 დეკემბერი 2016, Panama Papers Have Had Historic Global Effects — And The Impacts Keep Coming, ბოლო ნახვა: 13 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.icij.org/investigations/panama-papers/20161201-global-impact/

13. Luke Harding, 5 აპრილი 2016, What are the Panama Papers? A guide to history's biggest data leak, ბოლო ნახვა: 14 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: http://www.vadai.eu/wp-content/uploads/2017/09/Panama-Papers.pdf

14. Bastian Obermayer, Frederik Obermaier, Vanessa Wormer und Wolfgang Jaschensky, 15 აპრილი 2016, Das sind die Panama Papers, ბოლო ნახვა: 14 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: http://panamapapers.sueddeutsche.de/articles/56ff9a28a1bb8d3c3495ae13/

15. Jim Rutenberg, 10 აპრილი 2016, Panama Papers Leak Signals a Shift in Mainstream Journalism, ბოლო ნახვა: 14 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.nytimes.com/2016/04/11/business/media/panama-papers-leak-signals-a-shift-in-mainstream-journalism.html

16. Sara Schurmann, 1 აპრილი 2016, Die Offshore-Datenbank – Ein Schleier wird gelüftet, ბოლო ნახვა: 15 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: http://panamapapers.sueddeutsche.de/articles/572ef2b65632a39742ed358a/

17. Philipp Eckstein, 26.აპრილი 2018, Millionen-Einnahmen für Deutschland, ბოლო ნახვა: 15 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.tagesschau.de/ausland/panama-papers-mossack-fonseca-101.html

18. Focus.de, 2 ივნისი 2016, Diese bekannten Deutschen tauchen in den Panama-Papers auf, ბოლო ნახვა: 15 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.focus.de/finanzen/steuern/briefkasten-firmen-diese-bekannten-deutschen-tauchen-in-den-panama-papers-auf_id_5409569.html

19. Zeit.de, 15 მარტი 2018, Kanzlei Mossack Fonseca stellt Geschäft ein, ბოლო ნახვა: 15 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.zeit.de/wirtschaft/2018-03/panama-papers-mossack-fonseca-kanzlei-ende

20. Boerse.de, 26 აპრილი 2018, 'Panama Papers' bringen Deutschland Millionen-Einnahmen, ბოლო ნახვა: 16 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.boerse.de/nachrichten/Medien-Panama-Papers-bringen-Deutschland-Millionen-Einnahmen/7897749

21. Welt.de, 5 ნოემბერი 2017, Panama Papers, Bahamas Liste und nun Paradise Papers, ბოლო ნახვა: 16 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.welt.de/newsticker/dpa_nt/afxline/topthemen/hintergruende/article170354023/Panama-Papers-Bahamas-Liste-und-nun-Paradise-Papers.html

22. Xaver Bitz, 5 აპრილი 2016, Überblick zu "Panama Papers": Was wir wissen und was nicht, ბოლო ნახვა: 16 ივნისი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.merkur.de/politik/panama-papers-ueberblick-fakten-beteiligte-leak-zr-6277613.html

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა

მეორე სემესტრის დოქტორანტი

მანონ ბოკუჩავა

(სახელი, გვარი)

სადოქტორო სემინარი

,,ეთნიკური კონფლიქტების ტრანსფორმაცია“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ტორაძე

თბილისი

2018

კონფლიქტების მიზეზი ადამიანის ბუნება, სახელმწიფო სისტემის ნაკლოვანება და საერთაშორისო სისტემის ანარქიულობაა. მტრობა, შიში, განსხვავებულის მიღების უნარის უქონლობა იწვევს ეთნიკურ დაპირისპირებებს. ხშირად, ასეთ კონფლიქტებს ისტორიული მტრობა, ან ზოგ შემთხვევაში მართული ძალები ქმნიან - ლიდერები, რომლებიც ახდენენ მასების აზროვნების ფორმირებას. 1959 წელს გამოცემულ წიგნში „ადამიანი, სახელმწიფო და ომი: თეორიული ანალიზი", ქენეთ უოლცმა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის სამი დონე გამოყო: 1. ინდივიდის დონე; 2. სახელმწიფოს დონე; 3. საერთაშორისო სისტემის დონე. აღნიშნული სამი განსხვავებული დონის მიხედვით, ქენეთ უოლცი პასუხობს კითხვას, თუ რა იწვევს სახელმწიფოებს შორის ომებს."პირველი დონე" ფოკუსირებულია ადამიანის ბუნებაზე და მასის ქცევებზე; „მეორე დონე" სახელმწიფოს ბუნებასა და ელიტის ქცევაზე და „მესამე დონე" ფოკუსირებულია საერთაშორისო სისტემის ბუნებზე. ეთნიკური კონფლიქტის დროს, შესაძლოა შესწავლილ იქნეს მასის ქცევა (პირველი დონე), ელიტის ქცევა (მეორე დონე) და პოლიტიკური სისტემის წესები, რომელშიც ჯგუფები ურთიერთქმედებენ (მესამე დონე). წლების განმავლობაში, მეცნიერები აღნიშნავდნენ, რომ ეთნიკური ჯგუფები ძალადობრივ კონფლიქტში მოქმედებდნენ ისევე, როგორც ქვეყნები საერთაშორისო სისტემაში. ეთნიკური ომის „საერთაშორისო" თეორია განიხილავს ანალიზის დონის პრობლემას. (Kaufman, 1996). ეთნიკურ ომს მოაქვს მასების, პოლიტიკური ელიტების მტრობა და უსაფრთხოების დილემა. როდესაც სამივე ფაქტორია წარმოდგენილი, თითოეული იწვევს მეორის გამძაფრებას. ეს ესკალაცია შეიძლება დაიწყოს ორი გზით. ერთ-ერთი შემთხვევა მოიცავს მასის ძალადობას, რომლის დროსაც ეთნიკური მტრული დამოკიდებულება ელიტებს უბიძგებს ეთნიკურ საკითხებზე უფრო მწვავე პოზიციების მიღებას. ასეთი ქცევა ქმნის უსაფრთხოების დილემას და იწვევს ეთნიკურ ომს.

ეთნიკური ომის მეორე შემთხვევა არის ელიტის ძალადობა, ანუ ეთნიკური ომი, რომელიც წამოწყებულია ეთნიკური ჯგუფების ლიდერების მიერ საკუთარი პოლიტიკური მიზნების რეალიზებისთვის. ამ პროცესში იყენებენ თავიანთ

კონტროლის მექანიზმებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, რათა ხელი შეუწყონ მტრობის გაღვივებას. შემდეგ ისინი ხელს უწყობენ ეთნიკურ ძალადობას, რათა წარმოიქმნას უსაფრთხოების დილემა. ჰანს მორგენთაუ, ამტკიცებს, რომ როდესაც ადამიანები გამოავლენენ აგრესიულ ნაციონალიზმს, აგრესიული ომის დაწყება სავარაუდოა. სტივენ ვან ევერა გამოყოფს ორ შეხედულებას: "ჰიპერნაციონალიზმი", რწმენა იმისა, რომ სხვა ერებზე უნდა დომინირებდნენ; და "მილიტარიზმი", რწმენა, რომ ომი არის კეთილშობილური ვალდებულება, რომელიც სასარგებლოა მთელი საზოგადოებისთვის. ეთნიკური კონფლიქტის კვლევებში ასევე აღინიშნება "ჰიპერნაციონალიზმის" მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება უფრო ზუსტად იყოს განმარტებული, როგორც ეთნიკური შოვინიზმი. როგორც დონალდ ჰოროვიცი აღნიშნავს, ეს დამოკიდებულება ხშირ შემთხვევაში გამოხატულია ეთნიკური სიმბოლოების ან ეთნიკური ლიდერების სტატუსზე. შოვინისტური ეთნიკური ჯგუფების მიერ, შესაძლოა, ძალადობრივი კონფლიქტის პროვოცირება. (Kaufman, 1996). მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი კვლევები ამტკიცებდა, რომ "ძალადობის კულტურა" ზოგადად შიდა პოლიტიკურ ძალადობას უკავშირდება, ეს არგუმენტი იშვიათად გამოიყენება ეთნიკურ ძალადობის გაანალიზებისას. თუმცა არგუმენტი აშკარად აქტუალურია. მაგალითად, იუგოსლავიის შემთხვევაში იყო სისხლიანი დაპირისპირება და სამოქალაქო ომი, ხოლო ჩეხოსლოვაკიაში კონფლიქტი მშვიდობიანად გადაწყდა. იუგოსლავიის ერები არიან მილიტარისტულნი: ხორვატები და სერბები განსაკუთრებით ამაყობენ თავიანთი წინაპრების მიერ გამოვლენილი საბრძოლო ნიჭით და ცდილობენ მიბაძონ მათ. ჩეხები, პირიქით, უფრო ამაყობენ თავიანთი კულტურითა და არაძალადობრივი ისტორიით, ვიდრე წარსული საბრძოლო დიდებით (Kaufman, 1996). შოვინიზმი ან მილიტარიზმი, უფრო ფართოდ გაგებულია, როგორც მასობრივი მტრული დამოკიდებულება. დონალდ ჰოროვიცი გამოყოფს რამდენიმე მიზეზს, რომელიც იწვევს ეთნიკურ ომს. პირველი წინაპირობა არის ერთი ჯგუფის ისტორიული დომინირება მეორეზე, ან უარეს შემთხვევაში, რომელიც ახლაც დომინირებს და დომინანტია. ეს ფაქტორები

წარმოქმნის უსაფრთხოების დილემას ეთნიკურობის გადაშენების შიშით. მეორე ფაქტორი, უარყოფითი ეთნიკური სტერეოტიპების არსებობა არის ის, რაც ხელს უწყობს მასობრივ მტრულ დამოკიდებულებას. მესამე, ეთნიკური სიმბოლოების კონფლიქტი. მეოთხე ფაქტორი, ეკონომიკური გაჭირვება - ცხოვრების დონის შემცირების ტენდენცია. (Kaufman, 1996). აღნიშნული მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, თუ რა შეიძლება ითქვას მასის ძალადობაზე. გრძელვადიანი შოვინისტური და მილიტარისტული შეხედულებების გამო და ეკონომიკური გაჭირვების გამწვავების პირობებში, ეთნიკური კონფლიქტი არის მასის ზეწოლის შედეგი: თუ კონკრეტული ლიდერი არ მიიღებს უკიდურეს პოზიციებს ეთნიკურ საკითხებზე, მას შეცვლის ლიდერს იმ ლიდერით, რომელიც ამას გააკეთებს. ამრიგად, ელიტა ან დაჰყვება მასების მოთხოვნას, ან მასები ელიტას გამოცვლიან. (Welzel, 2003). ამდენად, შიდა ეთნიკური ექსტრემისტული პოლიტიკა კონკურენტული ხდება. ამან შეიძლება საბოლოოდ გამოიწვიო ეთნიკური ომი. მეორე დონეს წარმოადგენს ელიტების მიერ მართული ძალადობა; საშინაო პოლიტიკური პროცესები. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ნეოლიბერალურ სკოლაში ცენტრალური არგუმენტი ისაა, რომ უსაფრთხოების დილემა არ არის ანარქიის გარდაუვალი შედეგი. დემოკრატიული მშვიდობის თეორიის მიხედვით, რომ ლიბერალური ნორმებისა და დემოკრატიული პროცესების გამო, დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთის წინააღმდეგ არასოდეს არ წავლენ, ძირითადად ომები ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არიან აგრესორები, რომელთაც სურთ მისი დაწყება. რატომ არიან სახელმწიფოები აგრესიულები? ვან ევერას არგუმენტი არის ის, რომ პოპულარული მილიტარისტული და "ჰიპერნაციონალისტური" იდეები ხშირად ელიტების პოლიტიკის შედეგია. მაგალითად, პირველ მსოფლიო ომამდე ევროპაში რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში, მილიტარისტული იდეები წინ წამოწიეს. ომი იყო აღქმული, როგორც კეთილშობილური, სასარგებლო და გარდაუვალი.

ჯეკ სნაიდერი უფრო რთულად ხსნის მილიტარისტულ და შოვინისტურ პოლიტიკას. მისი თვალსაზრისით, გადამწყვეტი ფაქტორია ის, რომ ლიდერები დარწმუნებულნი

არიან თავიანთი და თავის ხალხის გარკვეული სტრატეგიული მითების ნამდვილობაში.

აგრესიული ელიტები იყენებენ ბიუროკრატიულ ბაზებს და მონოპოლიას მნიშვნელოვან ინფორმაციებზე, ავრცელებენ განზრახ დამახინჯებულ ინფორმაციას, რათა დაარწმუნონ სხვები თავიანთი პოლიტიკის მხარდაჭერის სისწორეში. ისინი ცდილობენ თავიანთი მოსაზრებების გავრცელებას, ან თუ შესაძლებელია, ზეგავლენას ახდენენ მასმედიაზე. ვილფრედო პარეტოს აზრით, ელიტა შეიძლება ვუწოდოთ იმათ, ვისაც აქვთ თავიანთი საქმიანობის სფეროში უმაღლესი მაჩვენებელი. ელიტა წარმოადგენს მოსახლეობის რჩეულ ნაწილს, დანარჩენი ნაწილი კი მხოლოდ „ეგუება მისგან მიღებულ სტიმულებს“. (მაცაბერიძე, 2014). ელიტას შესწევს უნარი სხვებში სუსტი და ყველაზე მგრძნობიარე ადგილების დანახვისა და მათი საკუთარი მიზნების რეალიზებისთვის გამოყენების უნარი, მაშინ, როდესაც მასები, რომლებიც ემოციებს არიან აყოლილნი. შესაბამისად, საზოგადოების ის ნაწილი, რომლებშიც ჭარბობს ცოდნა, მართავენ მათ, რომლებიც გრძნობებს და ემოციებს არიან აყოლილნი. მმართველ ელიტას ახასიათებს ადამიანთა ემოციებით მანიპულირებისას დარწმუნების უნარი და ძალის გამოყენების უნარი იქ, სადაც ამისი აუცილებლობა წარმოიქმნება. ელიტებისთვის მასების მართვა შესაძლებელი ხდება მათი გრძნობების მანიპულირების გზით და იმ იდეების დახმარებით, რომლებიც მასებს უქვემდებარებენ მმართველი კლასის ინტერესებს. „მთავრობის პოლიტიკა, მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო წარმატებით იყენებს იგი ემოციებს“. (მაცაბერიძე, 2014). პარეტოს აზრით, ელიტა ბევრად უფრო დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ბედის განსაზღვრაში, ვიდრე „არაორგანიზებული მასა“. შესაძლოა ელიტების მიერ მოხდეს პოლიტიკური თუ ეკონომიკური აღმასვლა, მაგრამ მასა ამისთვის მზად არ იყოს. (Higley, Pakulski, 1992).

მესამე დონეს კი წარმოადგენს ანარქია და უსაფრთხოება. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის - ნეორეალიზმის სკოლის მიხედვით, საერთაშორისო

სისტემის შესახებ დომინანტური ფაქტი არის ის, რომ სისტემა ანარქიულია. არ არის ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს ქცევის წესები ყველა სახელმწიფოსთვის. ანარქიული გარემო ხშირად აყენებს სახელმწიფოებს უსაფრთხოების დილემის წინაშე. ეს არის სიტუცია, რომელშიც სახელმწიფოს მცდელობა გაზარდოს თავისი უსაფრთხოება, მეზობელ სახელმწიფოს საფრთხეს უქმნის. მეორე სახელმწიფო თავის მხრივ ცდილობს საკუთარი ძლიერების გაზრდას და საბოლოო შედეგი ხანდახან ომია. (უოლცი, 2003). მკაცრად რომ ვთქვათ, უსაფრთხოების დილემა არ უნდა იყოს სახელმწიფოში გამოყენებული ეთნიკურ ჯგუფებთან დასაპირისპირებლად, რადგან იშვიათად არიან სრულ ანარქიულ გარემოში. ანარქია შეიძლება არსებობდეს თუ ეთნიკური ჯგუფები ეწინააღმდეგებიან ხელისუფლების ლეგიტიმაციას და მის კონტროლს ტერიტორიებზე. თუ ანარქია აღწევს იმ წერტილს, სადაც ხელისუფლება ვერ ახერხებს თავისი ტერიტორიის ეფექტიანად კონტროლს და ხალხის დაცვას, ხოლო ეს შეუძლიათ ეთნიკურ ორგანიზაციებს, მაშინ ეთნიკურ ორგანიზაციებს აქვთ საკმარისი სუვერენიტეტი უსაფრთხოების დილემის შესაქმნელად. ამ პირობებში თითოეული ჯგუფი ასკვნის, რომ უნდა დაიცვას საკუთარი წევრების ფიზიკური უსაფრთხოება, მაგალითად, შეიარაღებული ფორმირებების ან ფარული ჯგუფების შექმნის გზით, რითაც სხვა ჯგუფის შემდგომი დაუცველობის პროვოცირებას მოახდენს. უარესია, თუ რომელიმე ეთნიკური დასახლება შერეულია, უფრო სერიოზული უსაფრთხოების დილემა შეიძლება წარმოიშვას.

ზოგიერთი მკვლევარი ხაზს უსვამს უსაფრთხოების დილემის სხვადასხვა ასპექტს. ისინი აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოები ხშირად ინტერესდებიან სტატუსკვოს შენარჩუნებით, მაგრამ ისინი ვერ იაზრებენ, რომ მათი უსაფრთხოებისთვის მიღებული ზომები საფრთხეს უქმნის სხვა სახელმწიფოს და შესაბამისად იქმნება მტრობა.

მიხეილ ბოლტონი 2000 წელს გამოცემულ წიგნში „ეთნიკური კონფლიქტები“ წერს, რომ ეთნიკური კონფლიქტი თავის არსით, შეიძლება არც განსხვავდებიდეს სხვა ნიადაგზე წარმოებული კონფლიქტებისგან. თვლის, რომ მთავარი აქტორი ამ დროს ფორმლური და არაფორმალური ლიდერები არიან. ისევე, როგორც სხვა საფუძველზე არსებული დაპირისპირებისას ამ შემთხვევაში კონფლიქტის ტრანსფორმაცია საჭიროებს მესამე ნეიტრალური მხარის ჩართვას, რომელის ერთადერთი ინტერესიც მხარეებს შორის მშვიდობის აღდგენაა. ასეთი ობიექტური მედიაციის არსებობისას მკვლევარი მიიჩნევს, რომ წარმატების შანსები მაღალია. ბოლტონო კონფლიქტების არსის აანალიზებს ნაშრომში: „ეპისტემოლოგიური ვარაუდები რასობრივი დიფერენცირების შესწავლა.“ მთავარ კონცეფციად მიიჩნევს რასობრივი დისკრინაციის აღმოფხვრას, განათლების ყველა საფეხურზე მოქალაქეებთან შესაბამის საგანმანათლებლო მუშაობას.

სტატიაში „კვიპროსის შეცდომები და საქართველოს საშინაო დავალებები“ მაია ურუშაძე, კავკასიური სახლის ანალიტიკოსი წერს, რომ 2000-იანი წლების დასაწყისში, კვიპროსის რესპუბლიკის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს, პოზიტიურად დაემთხვა თურქეთის პროდასავლური კურსის გაძლიერებაც. აღნიშნულმა გარემოებებმა ხელი შეუწყეს კვიპროსის კონფლიქტში პოზიტიურ ძვრებს. კუნძულის ბერძნული მოსახლეობა არ აღმოჩნდა მზად ასეთი სწრაფი პოლიტიკური ტრანსფორმაციისთვის. ადგილობრივი ექსპერტების შეფასებით, უბრალოდ არასაკმარისი დრო იყო გასული მხარეებს შორის ურთიერთობების დათბობიდან რეფერენდუმამდე და ხალხმა ვერ მოასწრო იმ ახალ რეალობასთან შეგუება, რომელიც მოულოდნელად დადგა პოლიტიკურ დღისწესრიგში 30 წლის შემდგომ. კუნძულის ბერძნულ ისტებლიშმენტს არ სურს პოლიტიკურ რისკზე წასვლა და ხალხის მხარდაჭერის გარეშე თურქულ მხარესთან რაიმე ფორმის შეთანხმებაზე ხელის მოწერა. ამის ნათელი მაგალითია 2016 წლის ჟენევაში გაეროს ორგანიზებით ჩატარებული სამშვიდობო მოლაპარაკებები მხარეების ლიდერებს შორის, რომელიც კვლავ უშედეგოდ დასრულდა.

ავტორის შეფასებით, მოყვანილი გარემოებები ნათელი ილუსტრაციაა იმისა, რომ კონფლიქტის ხანგრძლივი დროით გაყინვისა და მხარეების იზოლაციის შემთხვევაში, საზოგადოებები დამოუკიდებლად ვითარდებიან და უფრო წარმატებულმა მხარემ, რაღაც ეტაპზე შესაძლოა უარი განაცხადოს მეორე მხარესთან ,,შერიგებაზე". კვიპროსის მაგალითის მეორე ნეგატიური ასპექტი საზოგადოებების ფიზიკური იზოლაციონიზმია. რეფერენდუმამდე ერთი წლით ადრე აღდგენილი თავისუფალი მიმოსვლა არ აღმოჩნდა საკმარისი კუნძულის გასაერთიანებლად. კვიპროსის მაგალითზე ცალსახად შეგვიძლია დავასკვნად, რომ გარდა ოფიციალური პირების დიალოგებისა, მნიშვნელოვანია ხაზგამყოფი ზოლის ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობასაც ჰქონდეს შეხვედრის შესაძლებლობა. პრიორიტეტული უნდა იყოს სექტორული – პროფესიული და თემატური შეხვედრების მხარდაჭერა. ასევე, ახალგაზრდების ჩართულობის წახალისება. "კონფლიქტი აფხაზეთის რეგიონში: ქართული და აფხაზური ნაციონალიზმების დაპირისპირება 1989-2012 წლებში (ინსტიტუტების და ინსტიტუციური აქტორების ანალიზი"- დავით მაცაბერიძის სადოქტორო ნაშრომი თემაზე. წარმოადგენს კონფლიქტის ინსტიტუციურ გააზრებას ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ჭრილში. მეცნიერი გვთავაზობს აფხაზეთის კონფლიქტის კავკასიური სახლის პრიზმაში. თვლის რომ აფხაზი, ქართველი და რუსი პოლიტიკური ელიტები კავკასიურ სახლს რეგიონში მათი კონკრეტული ინტერესების განხორციელების საშუალებად მიიჩნევდნენ და ის რეგიონში არსებული ბალანსის მათი პოლიტიკური გათვლების შესაბამისად გარდაქმნის საშუალებად მიაჩნდათ. შედეგად, თითოეული სამშვიდობო პროექტი, იქნება ეს ქართული, აფხაზური თუ რუსული, კავკასიური სახლის ფარგლებში თანამშრომლობას გამორიცხავს და ამ პროექტის რეალიზაციას ნულჯამოვან თამაშად გადააქცევს.

მეცნიერის შეფასებით, აფხაზეთში არსებული პოსტსაბჭოთა დაპირისპირების ფართო კონტექტში ანალიზმა, მისმა მთიელ ხალხთა კონფედერაციის და კავკასიური სახლის იდეის ფარგლებში შემუშავებული სამშვიდობო გეგმების

პრიზმაში კონტექსტუალიზაციამ, დაადასტურა, რომ რეგიონულ ინსტიტუციურ სტრუქტურებს მეტწილად ან ნეგატიური ზეგავლენა ჰქონდა აფხაზეთის პოსტსაბჭოთა პროცესებზე (მთიელ ხალხთა კონფედერაცია), ან მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ მოუხდენია კონფლიქტურ რეგიონ(ებ)ში განვითარებულ ეთნოსთაშორის არსებულ წინააღმდეგობებზე (ერთიანი კავკასიური სახლის იდეა). შეიძლება ითქვას: მათი ჩამოყალიბება პოსტსაბჭოთა პერიოდის კონიუქტურამ განაპირობა და ამ იდეების წარმოშობა და ფორმირება დამოკიდებული იყო არა რეგიონულ ძალებზე, არამედ გარე აქტორებზე, რომელთაც საკუთარი, განსხვავებული და ხშირად კონფლიქტური, ინტერესები გააჩნდათ რეგიონში. ამავე დროს, კავკასიურ კონფედერაციას სხვადასხვაგვარად ხედავდნენ საქართველოს ხელისუფლების, აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლების, ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ერთეულების და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები. ანალოგიურად, ერთიანი კავკასიის სახლის განხორციელება სხვადასხვაგვარად ესახებოდათ და დღესაც ესახებათ, რეგიონულ აქტორებს; ამგვარად, საეჭვოა, რომ ან რეინკარნირებულ მთიელ ხალხთა კონფედერაციის, ან ერთიანი კავკასიური სახლის იდეის ფორმატში რეგიონის ხალხებს შორის საერთო პოზიციის შეჯერება და შეთანხმება მოხერხდეს. სტატიაში: „პოლიტიკურ-ეთნიკური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები: მასების და ელიტების ძალადობა“ მკვლევარი ნინო ოხანაშვილი იკვლევს პოლიტიკურ-ეთნიკური კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებს. სტატიის ძირითად მიზანს ეთნიკური ომის „საერთაშორისო“ თეორიის ჭრილში, პოლიტიკურ-ეთნიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების დადგენა წარმოადგენს. მკვლევარის მიგნებით, ემოციები ხელს უწყობს ძალადობის სპონტანურ ეპიდემიას, უსაფრთხოების დილემის გააქტიურებას, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს მტრობას და შიშს, რასაც ადგილი ჰქონდა მთიან ყარაბაღში. აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევაში კი მმართველი ელიტების მიერ ძალაუფლების ხელში აღებამ ერთ ეთნიკურ საზოგადოებაში, საფრთხე შეუქმნა სხვა ეთნიკური ჯგუფების უსაფრთხოებას.

ამ მიდგომის მეთოდოლოგიური სარგებლობა ისაა, რომ ჰიპოთეზის გადამოწმების საშუალებას იძლევა. თუ ეთნიკური ძალადობა არის მასის მიერ წარმოებული, მარტივად შეიძლება კითხო ეთნიკურ საზოგადოებას მათი პრეფერენციები. თუ მასა ირჩევს კონფრონტაციას, მაშინ ძალადობა მათ მიერაა წამოწყებული. თუ მასა უპირატესობას კომპრომისს ანიჭებს, მაშინ ძალადობა არის ელიტების მიერ მართული. ელიტის მიერ მართული ძალადობა შესაძლოა შეაჩეროს მესამე მხარემ, ზომიერი პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის და წყაროების მიწოდებით. ამის საწინააღმდეგოდ, თუ კონფლიქტი მასის მიერაა მართული ნებისმიერი ძალისხმევა, რათა თავიდან იქნეს აცილებული, მარცხს განიცდის: მასობრივი ვნება არ არის ადვილად შეცვლადი საგარეო საფრთხეებით. მათ, ვისაც სურთ ეთნიკური ძალადობის აღმოფხვრა, უნდა იმოქმედონ სანამ ელიტების მიერ მართული კონფლიქტი წარმოიქმნება და მიიღებს ხალხის აბსოლიტურ მხარდაჭერას. მკვლევარი ეყრდნობა კაუფმანის და ვილფრედო პარეტოს ვარაუდებს, რომ ელიტა ბევრად უფრო დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ბედის განსაზღვრაში, ვიდრე „არაორგანიზებული მასა“ (Higley, Pakulski, 1992) კვლევის შედეგს. კვლევამ აჩვენა, რომ ორივე შემთხვევაში, როგორც მასების, ისე ელიტების მიერ მართული ძალადობის შემთხვევაში პოლიტიკის შედეგები არ განსხვავდება. ელიტების მიერ მართული ძალადობის შემთხვევაში (აფხაზეთი) დაძაბულობა კვლავ დიდი იყო და საომარი მოქმედებები განახლდა 1998 წლის მაისში, აფხაზეთის სამხრეთით, გალის რეგიონში. ისევე როგორც მასების მიერ მართული ძალადობის შემთხვევაში (მთიანი ყარაბაღი) ადგილი ჰქონდა დაძაბულობის ხელახალ ესკალაციას; 2014 წლის აგვისტოში მთიანი ყარაბაღი ომის განახლების ზღვარზე იყო. მკვლევარი მარიამ აფრიაშვილი სტატიაში „ირლანდიის გაყოფის და ჩრდილოეთ ირლანდიაში მიმდინარე კონფლიქტების საფუძვლები“ აკვირდება ისეთ ინციდენტებს, სადაც რელიგიური რწმენა მიზეზი გახდა შეირაღებული კონფლიქტებისა. მკვლევარის მიზანი იყო კვლევა იმისა, თუ რა ფაქტორებმა განაპირობეს ირლანდიის გაყოფა და რითი არის გამოწვეული ჩრდილო ირლანდიაში დაუსრულებელი კონფლიქტების

არსებობა პროტესტანტ და კათოლიკე მოსახლეობას შორის. არსებობდა მოსაზრებაც, რომ ეს ყოველივე გამომდინარეობდა განსხვავებული რელიგიური მიკუთვნობელობიდან, ზოგი კი თვლის რომ რელიგია უბრალოდ იარლიყია და საქმე გვაქვს ნაციონალურ განსხვავებულობასთან. 1998 წლის ოსლოს დეკლარაცია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ აცხადებს, რომ: „რელიგიები და აღმსარებლობები ასწავლიან მშვიდობასა და კეთილ ნებას“. მშვიდობა და შერიგება, ყველა რელიგიური დოქტრინის არსებითი ნაწილია. მაშინ, რატომ ხდება, რომ დღეს მოწმენი ვართ რელიგიების სულ უფრო ხშირი თანამონაწილეობისა კონფლიქტებში? ხშირად რთულია იმის გარჩევა, რელიგია კონფლიქტის საფუძველია თუ ის, უბრალოდ, ბოროტად არის გამოყენებული სხვა მიზნებისთვის. ამ ორი პოზიციის გამიჯვნა აუცილებელია. ომმენი ამბობს, რომ რელიგია, როგორც ასეთი, არ შეიძლება საკუთარ თავში კონფლიქტის დამოუკიდებელ წყაროს მოიცავდეს. თუ კოსოვოს კრიზისს, სუდანსა და ჩრდილოეთ ირლანდიის მაგალითებს გადავხედავთ რელიგია ძალადობის წყაროდ მაშინ იქცევა, როცა მას სახელმწიფოსთან, ერთან ან ეთნოსთან აიგივებენ. საერთო მოსაზრებას, რომ კონფლიქტის მიზეზი პროტესტანტებისა და კათოლიკეების დაპირისპირებაა, ჯონ. დ. ბრიუერი ეწინააღმდეგება. მან განმარტა, რომ ადვილია იმის დანახვა, თუ როგორ შეუძლიათ ადამიანებს, განსაკუთრებით კი არაირლანდიელებს, კონფლიქტში რელიგიური დაპირისპირება და იმ ადამიანების დავა დაიანახონ, ვისთვისაც რელიგიური კუთვნილება იდენტობის ძირითადი წყაროა. თუმცა, ადამიანთა უმეტესობისთვის, მათი რელიგიური კუთვნილება არ წარმოადგენს კონფლიქტის მიზეზს. „პროტესტანტი“ და „კათოლიკე“ უბრალოდ იარლიყებია, რომლებიც სახელმწიფოს ლეგიტიმურობის მიმართ კონტრასტულ პოზიციას წარმოაჩენს.

რომ გავერკვეთ თავად კონფლიქტის არსში აუცილებელია თავდაპირველად გადავხედოთ აღნიშნული კონფლიქტის მოკლე ისტორიას.

ჯერ კიდევ მე–12 საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისის მეფე ჰენრი მეორემ ისარგებლა ირნლანდიელთა შიდა დაპირისპირებით და თითქმის მთლიანად დაიპყრო კუნძული(მაშინ ინგლისელებმა მხოლოდ ოლსტერის–მთიანი ჩრ.ირლანდიის დამორჩილება ვერ შეძელს).დერმოდმა, ლეისტერის მთავარმა, ცოლი მოსტაცა მიტას ერთერთი ტომის ბელადს; ამისთვის, იგი განდევნილ იქნა თავისი სამფლობელოებიდან და დახმარების საძებნელად გაემგზავრა ინგლისში, 1167 წ. ინგლისის მეფემ ჰაინრიხ II-მ, რომელსაც უკვე დიდი ხანია ჩაფიქრებული ჰქონდა ირლანდიის დამორჩილება, 1169 წ. დაავალა ზოგიერთ თავის ბარონს, უწინარეს ყოვლისა აღედგინათ დერმოდი მის სამფლობელოებში;მე–16 საუკუნიდან ირლანდიელების ერთგულებამ კათოლიციზმისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და ეს აღმსარებლობა მათი ეროვნული თვითიდენტიფიკაციის ერთ–ერთი ძირითადი საყრდენი გახდა. 1594 წლიდან იწყება აჯანყებები ინგლისის წინააღმდეგ, 1601 წელს ელისაბედ პირველის არმიამ დაამარცხა აჯანყებულები, რასაც მოჰყვა ანტიინგლისური ციტადელის–ოლსტერის 9 საგრაფოდან 6 საგრაფოს მიწების კონფისკაცია და აქ შოტლანდიელ და ინგლისელ კოლონისტთა ჩასახლება. მე–17 საუკუნის ბოლოს დაიწყოს ათასობით კათოლიკის გადასახლება საზღვარგარეთ. ინგლისელები ახდენდნენ მიწების კონფისკაციას და ურიგებდნენ პროტესტანტებს. შეიქმნა ე. წ. ორანჟისტების საზოგადოებები ანუ ლოჟები, რომლებიც დევნიდნენ და ჩაგრავდნენ კათოლიკურ მოსახლეობას იმისთვის, რათა ჩაეხშოთ კათოლიკური და ეროვნული ელემენტების ყველანაირი მოძრაობა; გარდა ამისა, გამოცემულ იქნა სასტიკი კანონები, რომელთა მიხედვითაც ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენლები უნდა გასახლებულიყვნენ. წარმოიქმნება მთელი რიგი რევოლუციური კავშირებისა, რომლებიც იმ დროდან თამაშობდნენ დიდ როლს ირლანდიის ისტორიაში. ინგლისის მთავრობა ერთადერთ გამოსავალს ხედავდა ირლანდიისა და დიდი ბრიტანეთის შერწყმაში ერთ პარლამენტში. 1801 წ.-დან მოქმედება დაიწყო შეერთებულმა პარლამენტმა, მაგრამ ღრმა უფსკრულმა, რომელიც წარმოქმნილი იყო მათ შორის ეროვნული და რელიგიური განსხვავებების შედეგად, არ მისცა ნება ირლანდიას

შერწყმოდა ინგლისს ისე, როგორც შეერწყა მას შოტლანდი.იმისთვის, რათა ერთიანობა ნამდვილად სრული გაეხადათ, საჭირო იყო, გაეუქმებინათ კათოლიკეთა სამოქალაქო უფლებების შეზღუდვები; მაგრამ ეს გეგმა წააწყდა წინააღმდეგობას გეორგ III-ის მხრიდან, ამით გაბოროტებულმა კათოლიკებმა უკვე 1802 წ.-დან დაიწყეს ოპოზიციური საზოგადოებების შედგენა, რომელებიც მიზნად ისახავდნენ ემანსიპაციის (თანასწორუფლებიანობის) გატარებას.საბოლოოდ 1921 წელს კუნძული გაიყო ორ ნაწილად:სამხრეთის ოცდაექვსმა საგრაფომ ბრიტანეთისგან მოიპოვა დამოუკიდებლობა. დანარჩენი 6 ჩრდილო–აღმოსავლეთის საგრაფო კი შეუერთდა ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოს.1921 წლის ანგლო–ირლანდიური შეთანხმების თანახმად ჩრ.ირლანდიას თავად უნდა გადაეწყვიტა თავისუფალი ირლანდიის ნაწილი იქნებოდა თუ ინგლის–შოტლანდიასთან ერთან ერთად დარჩებოდა.1968 წელს შეიქმნა „ჩრ.ირლანდიის სამოქალაქო უფლებათა ასოციაცია“, რომელმაც შეიარაღებული მეთოდების ნაცვლად წამოიწყო მოძრაობა ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექსტში, და მთელი ყურადღება გამახვილდა ოლსტერელ კათოლიკეთა უფლებების დარღვევებზე, რომელიც მოიცავდა: ადგილობრივი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას, კათოლიკეების მიმართ დისკრიმინაციის გაუქმებას დასაქმების სფეროში, სპეციალური უფლებამოსილების აქტის გაუქმებას(ეს აქტი განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებდა შინაგან საქმეთა მინისტრს, კონკრეტულად კათოლიკეთა მღელვარების დასამშვიდებლად), ოლსტერის სპეციალური პოლიციის რეორგანიზაციას, რადგან იგი ფაქტობრივად მხოლოდ პროტესტანებით იყო დაკონსპექტებული.მშვიდობიანმა აქციებმა დადებითი საზოგადოებრივი აზრი შექმნა ოლსტერელ კათოლიკეთა შესახებ. საპასუხოდ პროტესტანტებმაც დაიწყეს აქციები და დაიწყო ორმხრივი დემონსტრაციების ტალღა. ამ დროიდან იწყება ე.წ. არეულობის პერიოდი(The Troubles).1973 წელს გაიმართა ჩრ.ირლანდიის სუვერენიტეტის რეფერენდუმი, რომელსაც კათოლიკეებმა ბოიკოტი გამოუცხადეს იმ მოტივით, რომ რეფერენდუმის შედეგი წინასწარ იყო განსაზღვრული.თუმცა 1998 წლის „წითელი პარასკევის შეთანხმებამ“ ახალი იმედები გააჩინა.

ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობის დაახლოებით 55% პროტესტანტია, ხოლო 45% კათოლიკე.ორივე ერთობა პრობლემის სხვადასხვა ასპექტს უსვამს ხაზს. პროტესტანტები უფო მეტ პრობლემას ხედავ კონსტიტუციურ და უსაფრთხოების თვალსაზრისით, ისინი უფრო მეტად დაინტერესებულნი არიან ბრიტანეთთან კავშირის შენარჩუნებით და წინააღმდეგობის გაწევა აღიქმება ერთიანი ირლანდიისთვის საფრთხედ. კათოლიკური ხედვა იყოფა ორად: ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ეს არის ეროვნული, ნაციონალური ბრძოლა თვითგამორკვევისთვის. სხვები კი უდგებიან მას როგორც პრობლემას კორუფციასა და მთავრობებს შორის თანმიმდევრული არჩევნების უსამართლო პრაქტიკისა 1920იანი და 1970იანი წლების შუა პერიოდში, რომელიც ჩამოაყალიბებდა ისეთ საზოგადოებას, რომელშიც კათოლიკებიც და პროტესტანტებიც მშვიდობიანად იცხოვრებდნენ. ირლანდიის ნაციონალიზმის მოდერნისტული ხედვა–პოლიტიკური ტრანსფორმაცია - ინსტრუმენტალიზმი, გულისხმობს, რომ ეთნიკური და ნაციონალური იდენტურობა არის მოხერხებული ინსტრუმენტი დაპირისპირებული ელიტარული ჯგუფების ხელში მასების მხარდაჭერის მოსაპოვებლად ძალაუფლებისთვის ბრძოლაში.პოლ ბრასის(ინსტრუმენტალიზმის დამაარსებელი) თეორია რამდენიმე საბაზისო წინამძღვარს ეყრდნობა:

1) ეთნიკური იდენტურობის ცვალებადობა, ეთნიკური თვითშეგნების ზრდა და მისი ტრანსფორმაცია ნაციონალიზმში არავითრ მოულოდნელობას არ წარმოდგენს. პირიქით, კულტურული იდენტურობის პოლიტიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ეთნიკური თვითშეგნების გარკვეულ დონეზე და გარკვეულ წინააღმდეგობის გაწევა ზრდა და მისი ტრანსფორმაცია ნაციონალიზმში არავითრ მოულოდნელობას არ წარმოდგენს. პირიქით, კულტურული იდენტურობის პოლიტიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ეთნიკური თვითშეგნების გარკვეულ დონეზე და გარკვეულ პირობებში.~

2) ეთნიკური კონფლიქტები არ წარმოიშვება კულტურული განსხვავებებისა და შეუთავსებლობის გამო, არამედ მისი მიზეზია პოლიტიკური და ეკონომიკური

ფაქტორები, რომლებიც ელიტარულ ჯგუფებს შორის დაპირისპირების ფორმას იღებს.3) ეს დაპირისპირება გავლენას ახდენს შესაბამის ეთნიკურ ჯგუფებზე, რადგან მათი კულტურული ფორმები, ფასეულობები და პრაქტიკული ქმედებები ხდება პოლიტიკური რესურსი ელიტარებისთვის, მათ ბრძოლაში ძალაუფლების და პრესტიჟისათვის. ისინი გადაიქცევიან სიმბოლოებად, რომლებიც აადვილებენ პოლიტიკური იდენტურობის ფორმირებას. 4) ყველა წინამძღვარი გვიჩვენებს, რომ ეთნიკური იდენტურობის პროცესი და მისი ტრანსფორმაცია ნაციონალიზმში შეუქცევადია. დამოკიდებულნი არიან რა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოებებზე, ელიტარებმა შეიძლება „გადაითამაშონ“ ეთნიკურ განსხვავებებზე და ეძებონ თანამშრომლობის შესაძლებლობები სხვა ჯგუფებთან და სახელმწიფო ხელისუფლებსთან.

ნაშომში „ინსტიტუტები და მათი როლი ეთნიკური კონფლიქტის წარმოშობაში“ ავტორი თამარ თადიაშვილი წერს, რომ სახელმწიფო შედგება არაფორმალური და ფორმალური ინსტიტუტების ურთიერთქმედებისგან. ორივეს აქვს საკმაოდ მნიშნველოვანი და დიდი ფუნქია საზოგადოებრივი სტაბილურობისთვის და განვითარებისთვის. კონფლიქტის პირობებში ამ ინსტიტუტების როლი დიდია. ინსტიტუტები არის თამაშის წესები საზოგადოებაში, ან უფრო ფორმალურად, ისინი არიან მიერ განსაზღვრული (გამოგონილი) შეზღუდვები, რომლებიც აძლევენ ფორმას ადამიანურ ურთიერთობებს. ეს განსაზღვრება თანაბრად ეხება როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ და ეკონომიკურ ინსტიტუტებს. ფორმალური ინსტიტუტებად შეგვიძლია მივიჩნიოთ : კონსტიტუციები , კანონები, ადმინისტრაციული ნორმები და სხვა ამვარი (დაწერილი-დადგენილი). ისინი განსაზღვრავენ პოლიტიკური სისტემის ფორმალურ სტრუქრტრებს და ლეგიტიმური ძალაუფლების მექანიზმებს. სახელმწიფო ინსტიტუტები უზრუნველყოფენ ფორმალური წესების დაცვას დარწმუნების და სანქციების მეშვეობით. ფორმალური ინსტიტუტები ატარებს საყოველთაო უნივერსალისტურ ხასიათს გადაწყვეტილებათა მიღების ფორმალური პროცესები მიმდინარეობს ბიუროკრატიზებულ ინსტანციებიში და დადგენილი

პროცედურების მიხედვით. კულტურა, განათლება , მწერლობა და სხვა თვითგამოხატვის საშუალებები შეიძლება აღქმული იქნეს,როგორ სეპარატიზმის წყარო. განსაკუთრებით ეს ეხება განათლების საკითხს,რომელსაც დიდი ზეგავლენა აქვს ადამინის ცნობიერების ჩამოყალიბებაზე. ისტორიული მეხსიერების შეცვლა და სოციალური ინსჟინერია არ არის დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკისთვის უცხო ცენებები. თუმცა იგივე არაფორმალური საშალებეი ამავდროულად შეიძლება გონივრულად გამოყენებული იყოს ,როგორ კონფლიქტის პრევენციული საშუალებები.

ეთნიკური კონფლიქტის დროს მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ ფორმალური ინსტიტურტების როლი და ფუნქცია .ზოგიერთი მკვლევარის აზრით , ისტიტუტები შეიძლება გახდეს კიდევაც კონფლიქტის მაპროვოცირებელი ფაქტორი. ფორმალური ინსტიტურტები ყველა მოქალაქისთვის ერთნაირად უნდა აკმაყოფილებდეს თავის სამუშაოს, თუმცა შეიძლება ისინი არ აღმოჩნდნენ ეთნიკური ჯგუფებისთვის გამომხადველი ორგნაოები. ანუ მათ ვერ გამოხატონ ამ ჯგუფების მოთხოვნილებები. რაც თავისთავად ნეგატიურია, თუმცა არსებობს მეორე შემთხვევაც , როდესაც სახელმწიფოში არსებობს დომინანტი და ქვე -ინსტიტუები ,რომელიც გამოხატავს დომინანტური ჯგუფის და კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის ინტერესებს. ისინი აღჭურვილნი არიან გარკვეული ძალაუფლებით, რომლითაც ხშირ შემთხვევაში ფორმალურ კონფლიქტში შედიან,რომელიც შემდეგ შეიძლება განზოგადეს საზოგადოების უფრო დიდი ნაწილზეც. ამ მოვლენის საილურსტრაციოთ, შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოს უახლოეს ისტორიაში მომხდარი ეთნიკური კონფლიქტები. კანონთა ომის სახელით ცნობილი მდომარეობა ,რომელიც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს შორის. ოსების - როგორც ეთნიკური ჯგუფის გამომხატველი ინსტიტუტი,რომ არ არსებულიყო, რომელიც ლეგიტიმურად იყო მიჩნეული ის ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებებს. იგივე შეიძლება ითქვას აფხაზეთის ავტონომიური ოლქის შესახებ.

თუმც უნდა ითქვას ისიც, რომ თანამედროვე მსოფლიოსთვის ეთნიკური ჯგუფებისთვის ინტერესების გამომხატველი ინსტიტუტების არსებობა უპირობოდა მნიშნველოვნადაა მიჩნეული. დაუშვებელია ამის შეზღუდვა ან რაიმე ფორმით დაკნინება. მნიშვნელოვანია ასევე პოლიტიკური ტრანზაქციის პროცესში ინსტიტუტების როლი. პოლიტიკური ინსტიტუტების თაობაზე დავისას ეთნიკური დაძაბულობების წარმოშობა ჩვეულებრივ, ემთხვევა პოლიტიკური ტრანზიციის პერიოდს, როდესაც ძალაუფლება ერთი ჯგუფიდან მეორეს გადაეცემა. ამ ფენომენს სხვადასხვა ახსნა აქვს: ტრანზაციას თან ახლავს პოლიტიკური ინსტიტუტების ტრანსფორმაცია (მაგ., კომუნიზმი გადადის დემოკრატიაში), როდესაც ეთნონაციონალიზმი და მისი თანმხლები ეთნიკური დაძაბულობები პოლიტიკური ელიტების მიერ ძველი რეჟიმისაგან გასამიჯნად გამოიყენება. ტრანზაციის დროს არ არსებობენ ის პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც, ჩვეულებრივ, მართავენ სოციალურ კონფლიქტებს, შესაბამისად, კონფლიქტი ძალადობრივ ფორმას იღებს. ინსტიტუტები და იდეოლოგიები, რომლებიც წარსულში მასების მობილიზაციისათვის გამოიყენებოდა, ან დელეგიტიმიზებულია, ან საერთოდ აღარ არსებობს, და პოლიტიკოსები პოლიტიკური მობილიზაციისათვის იყენებენ ერთადერთ არსებულ საშუალებას ეთნიკურობას. ნანა კალანდარიშვილის კვლევის „სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მშვიდობიან ტრანსფორმაციაზე საერთაშორისო მხარდაჭერის გავლენის აღქმა: ხედვა თბილისიდან“ კვლევის მიზანია, შეისწავლოს ის განწყობები და აღქმები, რომლებიც საქართველოში კონფლიქტებზე მომუშავე აქტორებს გააჩნიათ სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის მიღებული საერთაშორისო დახმარების მიმართ; გააანალიზოს ის მიღწევები, რომლებიც საქართველოს მიერ უკანასკნელი 23 წლის განმავლობაში მიღებული საერთაშორისო დახმარების საშუალებით აქვს; ასახოს ის პრობლემები, რომლებიც ამ სფეროში არსებობს და შეიმუშაოს სამომავლო რეკომენდაციები მიღებული დახმარების უფრო ეფექტიანად გადანაწილება/გამოყენებისათვის.

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში და მისი დაშლის შემდგომ მასში შემავალ სუბიექტებს მრავალ მძიმე პრობლემასთან მოუხდათ გამკლავება. სახელმწიფოებრიობის გამოცდილების არმქონე ქვეყნები, ბუნებრივია, ვერ პასუხობდნენ იმ გამოწვევებს, რომლებიც მათ წინაშე აღმოჩნდა. ამავე დროს არც საერთაშორისო საზოგადოებას გააჩნდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე წარმოქმნილ ქვეყნებთან ურთიერთობის რაიმე მკაფიო ხედვა. „ცენტრის“ დახმარებას მიჩვეული ახლად აღმოცენებული სახელმწიფოების დედაქალაქები დიდი ხნის მანძილზე პირველად დადგნენ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და მის შედეგებთან გამკლავების წინაშე. საქართველოში, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებში, არარსებულმა/სუსტმა პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა, განუვითარებელმა სამოქალაქო ცნობიერებამ, ეკონომიკურმა კრიზისმა და ა.შ. შექმნა სახელმწიფოებრიობის კრიზისი. ყოველივე ამან კიდევ უფრო გააძლიერა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში არსებული ნაციონალისტური განწყობები და ხელი შეუწყო ქვეყნის ტერიტორიაზე ეთნიკური კონფლიქტების გაღრმავებასა და ესკალაციას. კვლევის მიგნებების თანხმად, კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის მიღებული საერთაშორისო დახმარება კვლავ ითვლება კონფლიქტების მოგვარებისთვის აუცილებელ ინსტრუმენტად. ამ სფეროში მომუშავე აქტორები ცხადად ხედავენ იმ პრობლემებს, რომელთა გამოც მიღებული დახმარება არცთუ ისე ეფექტურია. მათი აზრით, პრობლემები არსებობს, როგორც თვით იმ ორგანიზაციებში, რომლებიც საერთაშორისო მხარდაჭერის აღმომჩენები არიან, ისე სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორში. ძირითადი წარმატება, რომელიც საერთაშორისო დახმარებით იქნა მიღწეული, სფეროში მომუშავე აქტორების აზრით, მეორე მხარესთან კონტაქტების დამყარება/შენარჩუნებაა. ამასთანავე, კვლევის მონაწილეები თანხმდებიან, რომ მხარდაჭერის მიღების 23-წლიანი ისტორიის განმავლობაში ეს საკმაოდ მცირე მიღწევაა. მიღწევად რომელიც, ბუნებრივია, გავლენას ახდენს კონფლიქტების ტრანსფორმაციაზე. ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად კვლევის მონაწილეები ახალი იდეების ნაკლებობა ასახელებენ და

თვლიან, რომ კონფლიქტების ტრანსფორმაციაზე მომუშავე ორგანიზაციები ჩაიკეტნენ გარკვეულ „კომფორტის“ ზონაში, რომლის ბიუროკრატიული მექანიზმებიც ხელს უშლის ამ სფეროში ინოვაციების გაჩენას. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე ყურადღება და, შესაბამისად, გარკვეულწილად საერთაშორისო მხარდაჭერაც კლებულობს საქართველოსა და მისი კონფლიქტების მიმართ. შესაბამისად, იკვეთება იმის საშიშროება, რომ ეს დაინტერესებული მხრეების მიერ წარმოჩენილი იქნება საქართველოს მიერ საერთაშორისო მხარდაჭერის დაკარგვად. ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძალების მობილიზება საერთაშორისო აქტორების დღის წესრიგში საქართველოს საკითხის შესანარჩუნებლად. თვითონ ამ საკითხებზე მომუშავე აქტორებშიც იგრძნობა იმედგაცრუება პროცესების ნაკლებად ეფექტიანობის გამო. კონფლიქტებზე მუშაობა აღარ ითვლება (თუკი საერთოდ ოდესმე ითვლებოდა) პრესტიჟულ ან პროფესიონალურ საქმიანობად. ამ საკითხებზე მუშაობა გარკვეულწილად გადაიქცა რუტინულ სამუშაოდ, სადაც განახლებული სახით კარგად დაწერილი ძველი იდეებიც საკმარისია გარკვეული ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

კვლავ მნიშვნელოვან ასპექტად რჩება ცალკეული პიროვნებების როლი. მათ მიერ გამოხატული პირადი სიმპათები კონფლიქტის ამა თუ იმ მხარის მიმართ ხშირ შემთხვევაში უარყოფითად აისახება ზოგიერთი პროცესის სანდოობაზე. პირად ურთიერთობებზე დაფუძნებული საქმიანი კავშირები გარკვეულწილად ხელს უშლის საერთაშორისო და ადგილობრივ აქტორებს შორის ურთიერთობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებას. კვლევის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც, კვლევის მონაწილეთა აზრით, გაზრდის საერთაშორისო მხარდაჭერით კონფლიქტების ტრანსფორმაციაზე მუშაობის ეფექტიანობას.

(1) სახელმწიფომ თავად უნდა მოახდინოს ადგილზე არსებული საჭიროებების შესწავლა და მათი საერთაშორისო საზოგადოებისთვის მიწოდება. ამის

მთავარი წინაპირობა კი ოფიციალური სტრატეგიის არსებობაა. კვლევაში მონაწილეთა აზრით, იმ პირობებში, როცა სახელმწიფოს არ გააჩნია კონფლიქტების მოგვარების დაწერილი გეგმა, ის ერთგვარად „გადის თამაშიდან“ და არასამთავრობო ორგანიზაციებს საერთაშორისო ორგანიზაციების პირისპირ ტოვებს. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან კონფლიქტების მოგვარების ოფიციალური სტრატეგიის შექმნა არის საერთაშორისო მხარდაჭერის მომავალში უფრო ეფექტიანად გამოყენების წინაპირობა;

(2) საერთაშორისო ორგანიზაციებს ადგილზე მხარდაჭერის უფრო ეფექტიანად გამოყენებისთვის შეუძლიათ: გაზარდონ პროექტების დაფინანსების ხანგრძლივობა, რომ კონფლიქტებზე მომუშავე აქტორებს აღარ მოუწიოთ მარტივ და ადვილად მიღწევად, ხელშესახებ შედეგებზე ორიენტირება და ამით მისცენ მათ საშუალება, კონცენტრირება მოახდინონ გრძელვადიან ამოცანებზე; მეტი ყურადღება მიაქციონ ახალბედა ორგანიზაციებსა და გრასს როოტ დონიდან წამოსულ ინიციატივებს, შეეცადონ, მოძებნონ კარგი პროექტები კარგად დაწერილი პროექტების ნაცვლად, თუნდაც ეს გარკვეულ დისკომფორტთან იყოს დაკავშირებული; ადგილზე მომუშავე ორგანიზაციებმა გააძლიერონ ერთმანეთთან კოორდინაცია, რათა არ მოხდეს ერთმანეთის საქმიანობის დუბლირება და რესურსის მხოლოდ ერთი მიმართულებით გამოყენება. კოორდინაციის გაძლიერება თავისთავად შეუწყობს ხელს საკითხების გამრავალფეროვნებას და მხარდაჭერაც უფრო ეფექტიანი და ყოვლისმომცველი გახდება;

(3) არასამთავრობო სექტორმა უნდა გააძლიეროს მუშაობა სახელმწიფოსთან კონფლიქტების მოგვარების ოფიციალური სტრატეგიის შემუშავების, ისევე როგორც საკუთარი და ადგილზე არსებული საჭიროებების საერთაშორისო ორგანიზაციებამდე მიტანის უზრუნველსაყოფად. არასამთავრობო სექტორმა უფრო ეფექტიანად უნდა შეძლოს სხვადასხვა ტიპის დონორი ორგანიზაციების

განსხვავებული შემოთავაზებების გამოყენება და თავიდან აირიდოს,

როგორც ერთსა და იმავე ორგანიზაციებთან, ისე ერთსა და იმავე მიმართულებაზე მუშაობის კომფორტის ზონაში ჩაკეტვა;

(4)კონფლიქტებზე მომუშავე სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციის გაზრდით ნაცვლად ორი პარალელური ხაზისა (საერთაშორისო ორგანიზაციები – სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები -საერთაშორისო ორგანიზაციები), უნდა შეიქმნას სამივე ზემოთ ჩამოთვლილი აქტორის ურთიერთქმედების მექანიზმი ერთგვარი სამკუთხედის სახით.

ამ საკითხებზე მომუშავე აქტორები თვლიან, რომ დანარჩენი საზოგადოების მხრიდან საერთაშორისო მხარდაჭერის აღქმა არაერთგვაროვანია. არსებობს აზრი, რომ საზოგადოების ნაწილი საერთაშორისო მხარდაჭერას მხოლოდ შემოსავლის წყაროდ აღიქვამს. ამასთანავე, ვინაიდან, საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, საერთაშორისო მხარდაჭერის მიღწევები ნაკლებად არის საჯარო, საზოგადოებაში მას ნაკლებად აღიქვამენ კონფლიქტების ტრანსფორმაციის ეფექტიან ინსტრუმენტად. ქვეყნის განვითარებისთვის მიღებული დახმარება კი ნაკლებად აღიქმება კონფლიქტებზე ზემოქმედების მექანიზმად. საზოგადოებრივ აღქმებში ერთგვარად იმიჯნება კონფლიქტების გადაჭრისთვის მიღებული და სხვა მიმართულებებით მიღებული მხარდაჭერა. მიუხედავად ამისა, კონფლიქტებზე მომუშავე თემი თვლის, რომ საზოგადოება საერთაშორისო მხარდაჭერას პოზიტიურად აფასებს. ბუნებრივია, ის სრულიად პოზიტურად არის აღქმული იმ ადამიანების მიერ, ვისაც უშუალო შეხება აქვს საერთაშორისო მხარდაჭერის სხვადასხვა შედეგთან.

კონფლიქტების ტრანსფორმაციის საკითხს მიმოლიხილავს კვლევა „კონფლიქტები საქართველოში: მიმდინარე ეტაპის თავისებურებები და ამოცანები.“ ნაშტომი მომზადდა „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტისა“ და „კავკასიური სახლის“ ინიციატივით შეკრებილ ექსპერტთა ჯგუფის მიერ. მისი მიზანია გაანალიზოს საერთაშორისო და ადგილობრივ კონტექსტი საქართველოს

კონფლიქტებთან მიმართებაში კონკრეტული, ახალი, ქმედითი ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით. ბოლო წლების განმავლობაში ბევრი ისეთი რამ მოხდა, რაც პირდაპირ ან ირიბ გავლენას ახდენს კონფლიქტებზე საქართველოში. კარდინალური ცვლილებები შეინიშნება, როგორც საერთაშორისო, ასევე უშუალოდ ჩვენი რეგიონის დონეზე. მიუხედავად საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის მათი ეგზისტენციალური მნიშვნელობისა, მოვლენების სიღრმისეული განხილვა არ მომხდარა არც ფართო საზოგადოებრივ, და არც საექსპერტო დონეზე; ხოლო თემისადმი მიძღვნილი დისკუსიები, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიზირების მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა და არ ტოვებდა სივრცეს მიუკერძოებელი ანალიზისათვის. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტისა“ და „კავკასიური სახლის“ ინიციატივით შეკრებილ ექსპერტთა ჯგუფის ნამუშევარს, რომელიც აანალიზებს საერთაშორისო და ადგილობრივ კონტექსტს საქართველოს კონფლიქტებთან მიმართებაში კონკრეტული, ახალი, ქმედითი ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით.

ნამუშევარში გაჟღერებული მიდგომები ევროინტეგრაციის შეუქცევადი პროცესის კონტექსტშია დანახული და, შესაბამისად, ორიენტირებულია ყველა მოქალაქის თავისუფლების, სამოქალაქო თანასწორობის, უსაფრთხოებისა და საერთო ევროპულ სივრცეში ინტეგრირების შესაძლებლობების პირობების შექმნაზე, მათ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე. დოკუმენტის ადრესატია როგორც საქართველოს მთავრობა, ისე ქართული სამოქალაქო საზოგადოება და საერთაშორისო თანამეგობრობა. მოსალოდნელია, რომ ამ დოკუმენტისადმი ინტერესს გამოიჩენენ როგორც საექსპერტო წრეები, ისე ფართო საზოგადოება, მათ შორის კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობა და პოლიტიკური ელიტები. დოკუმენტის დანიშნულება არა მარტო შესაბამისი ადრესატებისათვის კონკრეტული რეკომენდაციების მიწოდებაა, არამედ ამ და კონფლიქტების მოგვარების სხვა საკითხების მიმართ ახლებური

მიდგომებისა თუ ნაკლებად ყურადღებული საკითხების წინ წამოწევა და მათ ირგვლივ პროფესიული თუ საჯარო საზოგადოებრივი დისკუსიის ინიციირებაა. დოკუმენტის (ნამუშევრის) ძირითადი მიგნენების და რეკომენდაციების თანახმად, მიზანშეწონილია კონფლიქტების მოგვარების, დევნილთა და კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის მიმართულებაზე მუშაობის ოპტიმიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა სამინისტროებს/ უწყებებს შორის ფუნქციების სწორი გადანაწილებისა და გამიჯვნის, დუბლირების გამორიცხვის, კოორდინაციის ხარისხის გაუმჯობესების გზით. ამ მიზნით შესწავლილ იქნას წინადადება მთავრობაში ვიცე-პრემიერის რანგში „კონფლიქტებისა და დევნილთა საკითხების სახელმწიფო მინისტრის“ (პირობითი სახელწოდება) პოსტის შემოღების შესახებ, რომლის კურირების სფეროში თავმოყრილი იქნება ამ საკითხებთან დაკავშირებული მთელი პრობლემატიკა. შემოთავაზებული წინად ადექვატურად ასახავს საქართველოს ცხოვრებას, მოახდენს ქართველის მტრის ხატის დემონტაჟს და მის ჩანცვლებას უფრო პოზიტიური და რეალობასთან დაახლოებული იმიჯით. შესაბამისი ტელე და რადიო პროგრამები უნდა მომზადდეს პროფესიულად, თანამედროვე სტანდარტების დონეზე, უნდა იყოს ესთეთიკურად მიმზიდველი, ხელმისაწვდომი, მათ შორის – ინტერნეტ-ვერსიის მეშვეობითაც, გააჩნდეს აუდიტორიასთან ეფექტური უკუკავშირის საშუალება. საქართველოს რეალობის ობიექტური ასახვის გარდა, არხმა უნდა ტაქტიანად, მაგრამ თანამიმდევრულად გაავრცელოს დემოკრატიული, ლიბერალური, დასავლური ფასეულობები, პლურალიზმი და ღიაობა. აუციებელია დასავლურ ინფორმაციულ საშუალებებთან მჭიდრო თანამშრომლობა როგორც პროგრამებისა და ინფორმაციის გაცვლის საწარმოებლად, ისე პროფესიული გამოცდილებისა და ნოუ-ჰაუს მოზიდვის მიზნით. ინფორმაციული და სასწავლო მასალების, ტრენინგ-პროგრამებისა და დიალოგისთვის საჭირო სივრცის უზრუნველყოფა წარმოადგენს მედიის პროფესიონალებთან მუშაობის პრაქტიკულ გზებს, რასაც დაეხმარება

მედიის თეორეტიკოსებისა და ადმინისტრატორების საქმიანობაში ჩართვა და მათი მხარდაჭერა. სტრატეგიული დოკუმენტების ადაპტირება და სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის გაზრდა. ახალი რეალობების გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დროულად უნდა მოხდეს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განახლება-გადახალისება და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის გაზრდა, განსაკუთრებით ჯანდაცვისა და განათლების მიმართულებით. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოზიდვისა და მათთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილია მოხდეს არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირება და სპეციალური, საჭიროებებზე მორგებული შეთავაზებების შემუშავება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს სპეციალური მექანიზმები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები, ასევე გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე რეგიონების სტუდენტებისა და მოსწავლეების საერთაშორისო გაცვლით და სპეციალური გადამზადების პროგრამებში ჩართვის ხელშესაწყობად. აუცილებელია ჯანდაცვის რეფერალური პროგრამის ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოქნილი, ადაპტირებული სისტემის შემუშავება. იმ ფონზე, როცა ადმინისტრაციული საზღვრის გადმოკვეთა დიდი სირთულეებთან არის დაკავშირებული, აუცილებელია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოხდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის როგორც მკურნალობის ხარჯების სრული დაფარვა, ასევე საჭიროების შემთვევაში, მკურნალობის პერიოდში პაციენტების საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ამის პარალელურად და ამასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ დევნილი და გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობისათვის ჯანდაცვის პროგრამების ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს მხრიდან იმავე ხარისხითა და ოდენობით იყოს უზრუნველყოფილი.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააგრძელოს და გააქტიუროს პარტნიორებთან დიალოგი „ჩართულობის“ პოლიტიკის მკაფიოდ განსაზღვრის მიზნით, რაც თავის მხრივ მოითხოვს თვით საქართველოს ხელისუფლებაშიც ამ პოლიტიკის ახალ რეალობაში გადააზრება-გადახალისება-ჩამოყალიბებას. ამ პროცესის დროს მნიშვნელოვანია მეტი მოქნილობის გამოყენება (მაგ. ტერმინოლოგიის, და ა.შ. მიმართულებით), რათა გაადვილდეს კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობის მხრიდან ამგვარი ინიციატივების მიმღებლობა საქართველოს სუვერენიტეტის დაცვის პრინციპების სრულად რეალიზების პირობებში. აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის ინტენსიფიკაცია გალისა და ახალგორის მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობისა და უსაფრთხოების კუთხით, საერთაშორისო მედიაციის აქტივიზირება აფხაზურ და ოსურ ელიტებთან უშუალო დიალოგის ინიცირებისა თუ წარმოებისას. ასევე საჭიროა კონფლიქტურ რეგიონებში სოციალურ განვითარებაზე ორიენტირებული საერთაშორისო პროექტების – ტექნიკური დახმარების, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და სხვა სამუშაოს ხელშეწყობა, სახელმწიფო ინტერესებისა და ამ პროგრამებზე მთელი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, მათი ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად. გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა სპეციფიური რისკების ქვეშ იმყოფება, რაც განსაკუთრებით აქტუალურია სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე დასახლებების შემთხვევაში. პრობლემების უმრავლესობა უკავშირდება როგორც უსაფრთხოების საკითხსა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას, ასევე მძიმე სოციალურ ფონსა და მოწყვლადობას. მნიშვნელოვანია ამ რეგიონების განვითარების სპეციალური გეგმის შემუშავება და ქმედითი ინსტრუმენტალიზაცია გამყოფი ხაზის მეორე მხარეს დარჩენილი მოსახლეობის ნებაყოფილობითი და უსაფრთხო ჩართვის შესაძლებლობების რეალისტური მექანიზმებით. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება გამყოფი ხაზის მიმდებარედ კონფლიქტით დაზარალებულ

მოსახლეობას, უნდა ითვალისწინებდეს სპეციფიურ საჭირობებს, აღქმებსა და განწყობებს, რომელიც განსხვავებულია გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე თემებში და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორის ერთობლიობაზე (მაგ. წინა კონფლიქტის გამოცდილება, ადგილმდებარეობა, მიყენებული ზარალი, შერეული ოჯახები და ა.შ).

ნაშრომის ავტორები გვთავაზობენ როკომენდაციებს მთავრობასთან ერთად ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის. მიიჩნებენ, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის მნიშვნელოვანია კონფლიქტებისა და მათ შედეგად დაზარალებული მოსახლეობის პრობლემატიკაზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტივობების კოორდინაცია და ინფორმაციის სისტემატურად გაცვლა-გამოცვლა; მათ მიერ მომზადებული დოკუმენტების ხელმისაწვდომობისა და გავრცელების უზრუნველყოფა, მათ შორის, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის; მნიშვნელოვანია დაინტერესებული ორგანიზაციებისა და და ექსპერტების თანამშრომლობით მომზადდეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან ჰარმონიზაციის პროექტი, რომლის შეზღუდვები მიმართული იქნება ოკუპაციის ფაქტისა და არა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის წინააღმდეგ. ამ პროექტის რეალიზაცია უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანთა თავისუფლებას, უსაფრთხოებას, თანასწორუფლებიანობას, კეთილდღეობას, განვითარებას; დაინტერესებული ორგანიზაციებისა და და ექსპერტების თანამშრომლობით მომზადდეს სამგზავრო დოკუმეტების ალტერნატიული ვარიანტების პროექტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ევროპულ „ჩართულობის“ პოლიტიკას და მიმართული იქნება ამ რეგიონების მცხოვრებლების გადაადგილების თავისუფლების რეალიზაციისაკენ. ამის პარალელურად, დაიწყოს ფართო საზოგადოებრივი დისკუსია როგორც ამ პროექტების, ისე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაცემული პირადობის

დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვალიდურობის აღიარების საკითხის გარშემო. რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის“ და რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ ე.წ. ხელშეკრულებების დადების პროცესში გამოვლენილი რამდენიმე ჯგუფის კრიტიკული დამოკიდებულება ხელშეკრულებების ზოგიერთ პუნქტთან მიმართებაში იძლევა იმის საფუძველს, რომ ქართული სამოქალაქო და საექსპერტო საზოგადოებების მხრიდან მოხდეს ალტერნატიული მიდგომების/კონცეფციების შემუშავება საქართველოს ევროპეიზაციისა და საერთო ევროპული მომავლისკენ სვლის კონტექსტში. ეს განსაკუთრებით ეხება ევროპული „ჩართულობის“ კომპონენტის რეალური შინაარსით დატვირთვის ახალ შესაძლებლობებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცესთან მიერთებისა და ვიზების ლიბერალიზაციის პირობებში; აუცილებელია დევნილ მოსახლეობაში არსებული სამშვიდობო პოტენციალის რეალისტური შეფასება და ამ პოტენციალის აქტიური გამოყენება სამოქალაქო დიპლომატიის სხვადასხვა ფორმატში, რათა დევნილებთან დაკავშირებული საკითხები ამ დიალოგების დღის წესრიგების მიღმა არ იყოს დარჩენილი; დაიწყოს მსჯელობა იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა, როგორც კონფლიქტებით დაზარალებული ერთ-ერთი ძირითადი ჯგუფის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი პასუხისმგებლობისა და წარსულში მათ მიერ განცდილი ზარალის აღიარების მიზნით მორალური და ფინანსური ერთჯერადი ხელშესახები კომპენსაციის გაცემის ფორმებსა და შინაარსზე. მსგავსი რეკომენდაციების მომზადება არსებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. აუცილებელია, რომ ეს კომპენსაცია დაბრუნების უფლების ალტერნატივად არ იყოს აღქმული. ამის პარალელურად და ამასთან ერთად, დაიწყოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები კონფლიქტით

დაზარალებული მოსახლეობის მიერ განცდილი ზარალის აღიარების ფორმებზე მსჯელობა და ამ მიზნით მორალური და ფინანსური ერთჯერადი ხელშესახები

კომპენსაციის გაცემის ფორმებსა და შინაარსზე წინადადებების მომზადება არსებული საერთაშორისო პრაქტიკისა და ამ კომპენსაციის ადრესატისათვის მიწოდების ადექვატური ფორმების გათვალისწინებით; (კანონი რესტიტუციის შესახებ?) დაიწყოს მსჯელობა საერთო წარსულის ხელახლა გასააზრებლად და შესაფასებლად, იმის მიუხედავად, თუ ვინ, რა დოზით და დროის რა მონაკვეთში არის პასუხისმგებელი გადაცდენებსა თუ შეცდომებზე. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი დაეფუძნოს კვალიფიციური აკადემიური კვლევის შედეგებს და წარიმართოს წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლო მექანიზმების მოძიებისა და მომავალში მათი გამორიცხვის მიზნით. როგორც აფხაზურ, ასევე ოსურ საზოგადოებებში კულტივირებულია საქართველოს მხრიდან სამხედრო მოქმედებების განახლების შიში. ამიტომ შესაძლებელია სამოქალაქო ფორმატში ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მხარეებს შორის ძალის არგამოყენების შესახებ ხელშეკრულების ტექსტის პროექტის მომზადება და შესაბამისი ორმხრივი დოკუმენტების გაფორმების პირობების შემუშავება წინასწარი დათქმებით, რომელთა რეალიზება საერთაშორისო საზოგადოების მონიტორინგის პირობებში იქნება განხორციელებული.

ხოლო საერთაშორი ორგანიზაციებს, ნაშრომის ექსპერტები ურჩევენ, რომ აუცილებელია საერთაშორისო თანამეგობრობამ უფრო მეტი ძალისხმევა გამოიჩინოს გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოახლეობის პრობლემებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების პრევენციისა და ე.წ. „ბორდერიზაციის“ შედეგებისა და გამყოფი ხაზის „უკანონო“ გადაკვეთისათვის ბრალდებით ადგილობრივების დაკავებების მინიმიზაციისათვის. მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამეგობრობამ გააქტიუროს არსებული ორმხრივი დიალოგების სხვადასხვა ფორმატების – სამოქალაქო, პროფესიული, გრასს-როოტს და სხვა, მხარდაჭერა

და ახალი, ინოვაციური ფორმატებისა თუ მიდგომების ინიცირებისა და რეალიზების ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია Track 1,5 ფორმატების მხარდაჭერა ამ ფორმატების

რეალიზაციის სირთულეებისა და მყისიერი ეფექტის უქონლობის პირობებშიც კი, ვინაიდან გრძელვადიანი სტრატეგიული მიდგომების შემუშავება უპერსპექტივოა კონფლიქტის მხარეებთან დიალოგისა და საკომუნიკაციო არხების ჩამოყალიბების გარეშე.

ბიბლიოგრაფია

ქენეთ უოლცი,1959 წელი, „ადამიანი, სახელმწიფო და ომი: თეორიული ანალიზი”,

Kaufman, B. (1996). An “International” Theory of Inter-Ethnic War. p.p 149-171.

Lynch, D. (2012). Separatist States and Post-Soviet Conflicts. JSTOR p.p 832-844.

Nygren, B. (2007). The Rebuilding of Greater Russia. Routledge. p.p. 106-109.

Higley, J., & Pakulski, A. (1992). Revolution and Elite Transformation in Eastern Europe, Australian Journal of Political Science, vol. 27, pp. 104-119.

Welzel, C. (2003) Ronald Inglehart and Hans-Dieter Klingemann The theory of human development: A cross cultural analysis. European Journal of Political Research 42: 341-379.

Waal, Thomas. (2003). Black Garden. New York University Press. p.p. 66-95

დავითაშვილი, ზ. (2001) კავკასიის კონფლიქტები. მიზეზები და შესაძლო შედეგები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 5-22

მალაშხია, შ. (2011). კონფლიქტების ანატომია, თბილისი: გამომცემლობა ფორმა. გვ. 59-132.

ნოდია, გ.(1999). კონფლიქტი აფხაზეთში- მიზეზები და გააზრება. თბილისი: CIPDD. გვ. 76.

ოხანაშვილი, ნ. (2017) აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზები თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმის ჭრილში. თბილისი: ჟურნალი - ინტელექტუალი. გვ. 122-126.

უოლცი, ქ. (2003). ადამიანი, სახელმწიფო და ომი. გამომცემლობა ჯისიაი. გვ.154-258.

Michael Banton , Ethnic Conflict, 01 August 2000

Michael Banton, Epistemological assumptions in the study of racial differentiation, University of Bristol, 2000, Press, pp 42-63

მაია ურიშაძე, „კვიპროსის შეცდომები და საქართველოს საშინაო დავალებები“ 2017 წელი

დავით მაცაბერიძე, სადოქტორო ნაშრომი: “კონფლიქტი აფხაზეთის რეგიონში: ქართული და აფხაზური ნაციონალიზმების დაპირისპირება 1989-2012 წლებში (ინსტიტუტების და ინსტიტუციური აქტორების ანალიზი“, 2014 წელი https://tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/David%20Matsaberidze%20PhD.pdf

ნინო ოხანაშვილი, „პოლიტიკურ-ეთნიკური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები: მასების და ელიტების ძალადობა“, ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი № 6 მარტი 2018.

მარიამ აფრიაშვილი, სტატია: ირლანდიის გაყოფის და ჩრდილოეთ ირლანდიაში მიმდინარე კონფლიქტების საფუძვლები“ 2013, 12 თებერვალი.

თამარ თადიაშვილი, „ინსტიტუტები და მათი როლი ეთნიკური კონფლიქტის წარმოშობაში“ 2015 წელი

ნანა კალანდარიშვილი, „სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მშვიდობიან ტრანსფორმაციაზე საერთაშორისო მხარდაჭერის გავლენის აღქმა: ხედვა თბილისიდან“, 2017 წელი, http://regional-dialogue.com/int-orgs-geo/

„ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი“ და „კავკასიური სახლი“ „კონფლიქტები საქართველოში: მიმდინარე ეტაპის თავისებურებები და ამოცანები“, 2015 წელი http://regional-dialogue.com/wp-content/uploads/2014/06/Conflicts-in-Georgia.pdf

სსიპ–- ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

კონფლიქტების ანალიზისა და მართვის დოქტორანტი

გერმანე გვარამია

სემინარი

აუცილებელი მოგერიება ქართულსა

და საერთო სამართლში

თბილისი

2018

შინაარსი

შესავალი ----------

I თავი. აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტის განვითარების ეტაპები

1. აუცილებელი მოგერიების განვითარების ეტაპები ძველ რომსა და სხვა სამართლებრივ სისტემაში

2. აუცილებელი მოგერიება საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართალში

3. აუცილებელი მოგერიება და ადამიანის უფლებები

II თავი. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებანი

III თავი. აუცილებელი მოგერიების არსი და ნიშნები, სამართლებრივი საფუძვლები

1. აუცილებელი მოგერიების არსი

2. სამართლებრივი საფუძვლები

3. ხელყოფის მართლწინააღმდეგობა

4. ხელყოფის იმწუთიერება

4.1. ხელყოფის იმწუთიერება ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის მიხედვით

4.2. საფრთხის მყისიერების, იმწუთიერების პირობა შოტლანდიურ სისხლის სამართალში

5. ხელყოფის რეალობა

6. ხელყოფის რელევანტურობა, პროპორციულობა

6.1. აუცილებელი მოგერიების წინარე პერიოდი

6.2. რელევანტურობა-პროპორციულობა ანუ მოგერიების ინტენსიურობა ანგლო-საქსურ სისხლის სამართალში

6.3. გამოყენებული ძალის ინტენსივობა ინგლისურ სისხლის სამართალში

თავი IV. აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება

1. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დეფინიცია

თავი V. დაცვის ობიექტი

1. დაცვის ობიექტი ქართულ სისხლის სამართალში

2. დაცვის ობიექტი ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში

2.2. დაცვის ობიექტი შოტლანდიაში

3. პატივი და ღირსება, როგორც დაცვის ობიექტი აუცილებელი მოგერიებისას

თავი VI. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

დასკვნა და ბიბლიოგრაფია

შესავალი

საკვლევ თემად ავირჩიე ,,აუცილებელი მოგერიების პრობლემატიკა“ და კვლევის მიზნად დავისახე: აუცილებელი მოგერიების, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების, შეძლებისდაგვარად, ამომწურავი გამოკვლევა და საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის განსაზღვრა.

მიზნის მისაღწევად დავსახე შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტის განვითარების ძირითადი ეტაპების გაანალიზება;

2. ქართულ სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში აუცილებელი მოგერიების პრობლემების ანალიზი;

3. მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა მოკლე მიმოხილვა, სტრუქტურა და კლასიფიკაცია;

ნაშრომის უმთავრეს ღირებულებას შეადგენს კომპლექსურ-შედარებითი კვლევა და ანალიზი, მასში გაშუქებულია საკითხის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი:

1. აუცილებელი მოგერიების არსი და ნიშნები დღეს მოქმედი სსსკ–ის მიხედვით;

2. აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება ანგლო–ამერიკული და ქართული სისხლის სამართლის შედარებითი ანალიზი;

3. სასამართლო პრაქტიკის აქტუალური პრობლემების ანალიზი.

4. აუცილებელი მოგერიების არსი, დამახასიათებელი ნიშნები, მართლზომიერების პირობები, ფარგლები. ნაშრომი აქტუალურია იმითაც, რომ ქართულ სისხლის სამართალში აუცილებელი მოგერიების ცნება, უფლება, მართლზომიერების პირობები, ფარგლები შეპირისპირებულია ანგლო–ამერიკულ სამართალთან, გაკეთებულია გარკვეული დასკვნები მსგავსება–განსხვავების შესახებ, არსებით პრობლემებთან ერთად აქცენტირებულია ისეთი ვიწრო, სპეციფიკური მიმართულება, როგორიცაა: აუცილებელი მოგერიების პროვოკაცია, განმსხვავება გამართლებასა და პატიებას შორის, აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება.

ნაშრომის უპირატესობად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება შესწავლილია არა მარტო მეცნიერულ–თეორიულ ჭრილში, არამედ პრაქტიკულ ასპექტშიც, ნაშრომში წარმოდგენილია სასამართლო პრაქტიკის ცალკეული ეპიზოდები, და შესაბამისი კომენტარები.

კვლევის მეთოდები: ანალიზი, პარალელები და შეპირისპირება დაკვირვება, კომენტარები.

ნაშრომში წარმოჩენილ აუცილებელი მოგერიების, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოების თეორიულ–პრაქტიკული საკითხის დამუშავება–ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პრობლემის შემდგომი კვლევისათვის.

I თავი. აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტის განვითარების ეტაპები

1. აუცილებელი მოგერიების განვითარების ეტაპები ძველ რომსა და სხვა სამართლებრივ სისტემაში

პირის უფლება, დააზიანოს ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად, სისხლის სამართალში აუცილებელი მოგერიება ეწოდება.

აუცილებელი მოგერიება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, ჯერ კიდევ ძველ რომში არსებობდა. ,,თუ ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე, ძალადობა, ყაჩაღობა ან მტრის იარაღი დაემუქრება, მაშინ დაცვის ყველა საშუალება გამართლებულია. დაე, კანონი დადუმდეს იარაღის ჟღარუნში და ნუ მოგვთხოვენ ველოდოთ მას, თუ კი ის, ვინც კანონს დაელოდება, უფრო ადრე გახდება უკანონობის მსხვერპლი, ვიდრე სხვას კანონი დათრგუნავდეს" (შავგულიძე, 1988). ძველი რომაელი ორატორის მარკუს ტულიუს ციცერონეს ეს სიტყვები ნათლად მიუთითებს აუცილებელი მოგერიების შინაარსსა და დანიშნულებაზე. თავდაცვის უფლება, მისი აზრით, ბუნებრივი, თანდაყოლილი უფლებაა და სახელმწიფომ მხოლოდ უნდა აღიაროს პირის უფლება. მართალია, ციცერონი უშუალოდ არ საუბრობს აუცილებელ მოგერიებაზე, მაგრამ თავდაცვის უფლება მართლსაწინააღმდეგო თავდასხმისას სხვა არაფერია, თუ არა აუცილებელი მოგერიება.

რომაელი იურისტები, ხელმძღვანელობდნენ რა ამ სიტყვაში ჩამოყალიბებული პრინციპებით, აუცილებელ მოგერიებად მიიჩნევდნენ ისეთ მოქმედებას, რომელსაც ახასიათებდა 2 ძირითადი პირობა: 1. უსამართლო თავდასხმა და 2. საფრთხის გარდუვალობა.

შუასაუკუნეების კანონმდებლობაში ვხვდებით აუცილებელი მოგერიების უფლების სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციას. ერთი კანონმდებლობა უშვებდა მკვლელობას პატივისა და ქონების დაცვისათვის, მეორე სასჯელს აწესებდა საკუთარი სიცოცხლის დასაცავად ჩადენილი მკვლელობისათვის.

ბარბაროსული სამართლისაგან განსხვავებით გერმანიაში კაროლინას სამართალი უშვებდა აუცილებელ მოგერიებას სიცოცხლის, პატივისა და ეროვნების დასაცავად. ის არ აღიარებდა მკვლელობაში დამნაშავედ: ქალს, რომელიც მოკლავდა თავდამსხმელს პატივის დასაცავად; კაცს, რომელიც იცავდა ცოლ-შვილს; აგრეთვე მათ, რომლებიც კლავდნენ, რათა დაეცვათ სხვა პირთა სხეული, სიცოცხლე და ქონება.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში იურისტებს შორის ფართოდ გავრცელდა თეორია, რომელიც ცდილობდა თავისებურად დაეხასიათებინა აუცილებელი მოგერიების უფლება. თეორია ეყრდნობოდა ფ. ჰეგელის ფსიქოლოგიურ შეხედულებებს. მან წამოაყენა დებულება, რომ სამართალი უნდა ბატონობდეს უსამართლობაზე, რომ უსამართლობა თავისთავად არარაობაა და თავისსავე არსში უნდა დაითრგუნოს.

XIX საუკუნის ბოლოს აუცილებელი მოგერიების უფლების გაფართოება გამოიხატა იმაში, რომ კანონიერად იქნა აღიარებული თავდაცვა არა მხოლოდ პიროვნების სიცოცხლის ხელყოფის წინააღმდეგ, არამედ პატივისა და საკუთრების ხელყოფისაგან დასაცავად.

ისტორიულ ასპექტში აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტის მოკლე ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ:

ა) აუცილებელი მოგერიება, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, რომლის დროსაც არ ისჯება მკვლელობა, სხეულის დაზიანება, წარმოიშვა უძველეს დროს, მონათმფლობელური სახელმწიფოების პირველი საკანონმდებლო ძეგლების გამოჩენისთანავე;

ბ) აუცილებელი მოგერიების ცნება უძველესი დროის ძეგლებში ეფუძნებოდა თავდაცვის უფლების აღიარებას, რომელიც ეკუთვნის ადამიანს და სწორედ აქედან მოდის მისი მჭიდრო კავშირი სისხლის აღებასთან;

გ) აუცილებელი მოგერიების ცნება თეორიასა და კანონმდებლობაში ყალიბდებოდა საკუთარი სიცოცხლის და პირადი ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით. მოგვიანებით, აუცილებელი მოგერიების ცნება გავრცელდა საკუთრების დაცვაზე.

2. აუცილებელი მოგერიება საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართალში.

საბჭოთა პერიოდის სამართლის სისტემას ახასიათებდა იდეოლოგია, რომ მას ჰქონდა კარგი კანონმდებლობა, რომელიც სრულყოფას არ საჭიროებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში სამჯერ განხორციელდა სასამართლო რეფორმა, რის შედეგადაც მივიღეთ საბჭოთა საქართველოს 1922, 1928 და 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსები. 1922 და 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსები ანტიჰუმანურობით გამოირჩეოდა, მათთან შედარებით 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი გაცილებით პროგრესული და ჰუმანური იყო. ამ კოდექსის მიხედვით აუცილებელი მოგერიება განიხილებოდა, როგორც საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოება. აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებისათვის სავალდებულო იყო შემდეგი წინაპირობის დაცვა: 1) ხელყოფის საზოგადოებრივი საშიშროება; 2) საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის იმწუთიერება; 3) ხელყოფის ნამდვილობა. პიროვნებას შეეძლო როგორც საკუთარი, ისე სხვა პირის, სახელმწიფოს და საზოგადოების უფლების დაცვა ხელყოფისაგან. ასეთი დაცვის დროს მას შეეძლო ზიანის მიყენება თავდამსხმელისათვის, იმ პირობით, რომ არ გასცდებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს.

1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, დღეს მოქმედმა, საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსმა ახლებურად ააგო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების სისტემა, შემოგვთავაზა რა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების ორკვალიანი სისტემა, მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველი გარემოების სახით.

სსს კ-ის 1999 წლის კოდექსი აძლევს მოქალაქეს უფლებას დაიცვას სამართლებრივი სიკეთე თუნდაც თავდასხმელისათვის ზიანის მიყენების გზით. თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს დაიცვას უფლებები და კანონიერი ინტერესები, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების, აგრეთვე სახელმწიფოს უფლებები და კანონიერი ინტერესები მართლწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

3. აუცილებელი მოგერიება და ადამიანის უფლებები.

აუცილებელი მოგერიების უფლება გამომდინარეობს სიცოცხლის უფლებიდან, რომელიც ადამიანს დაბადებიდან აქვს და საქართველოს კონსტიტუციის რანგშია აყვანილი (კონსტიტუციის მე-15 მუხლი).

,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" მე-3 მუხლში საზგასმულია, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. ამავე დეკლარაციის მე-7 მუხლი მიუთითებს, რომ ყველა ადამიანს თანაბრად აქვს უფლება თავი დაიცვას ნებისმიერი დისკრიმინაციისაგან, რომელიც არღვევს ამ დეკლარაციას და ასეთი დისკრიმინაციის ნებისმიერი წაქეზებისაგან. აუცილებელი მოგერიების უფლების გარეშე მოქალაქეთა ბრძოლას დანაშაულის წინააღმდეგ დაეკარგებოდა ქმედითი ხასიათი, დამნაშავეს გაუადვილდებოდა დანაშაულის ჩადენა, მოქალაქე კი დამნაშავის წინააღმდეგ განიარაღებული აღმოჩნდებოდა.

თ. დონჯაშვილის აზრით, აუცილებელ მოგერიების უფლებას ზოგადპრევენციული მნიშვნელობა აქვს. კანონმდებლის მიერ იმის აღიარება, რომ მოქალაქეს მოგერიების მდგომარეობაში უფლება აქვს ზიანი მიაყენოს თავდამსხმელს, მოტივაციურ ზემოქმედებას ახდენს დამნაშავეზე, უშუალო წინააღმდეგობის გაწევის შიშით მიანიშნებს მას თავი შეიკავოს დანაშაულის ჩადენისაგან (დონჯაშვილი, 2002) .

საკითხის აქტუალურობის დასაბუთება სისხლის სამართალში აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების ეტაპების მიმოხილვა ადასტურებს, რომ სამართლის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სისტემა ერთგვაროვანი არ ყოფილა და მისი დარეგულირება სრულყოფა ხდებოდა ეტაპობრივად, ირღვეოდა ძველი, დამკვიდრებული შეხედულებები და ინერგებოდა ახალი ნორმები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან გარემოებას იძენს ეს საკითხი თანამედროვე ეტაპზე. ამაზე მეტყველებს ქართულ სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში ბოლო პერიოდში განხორციელებული კვლევები (ავტორები: თ. შავგულიძე, ლ.სურგულაძე, ო. გამყრელიძე, მ. ტურავა, ი.ხერხეულიძე), რომელთა მიზანია აუცილებელი მოგერიების, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ–ერთი გარემოების სრულყოფა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობით.

თავი II. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი

ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა გაიზიარა გერმანულ მეცნიერებაში შემუშავებული თვალსაზრისი, რომ პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები სისხლის სამართალში უნდა დაიყოს ორ ჯგუფად: 1) გამამართლებელი, ე.ი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები და 2)საპატიებელი ანუ ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებები.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 თავი ეძღვნება „მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს“, ხოლო მე-9 თავი ბრალის გამომრიცხველ და შემამსუქებელ გარემოებებს (ტურავა, 2008).

გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ოთარ გამყრელიძემ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავების დროს წარმოადგინა კოდექსის ზოგადი ნაწილის ალტერნატიული პროექტი, რომელშიც გერმანული სისხლის სამართალის ანალოგიურად, ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებაში შემოგვთავაზა მართლწინააღდგომის და ბრალის გამომრიცხველი ორ კვალიანი დაყოფა. მართლწინაღმდეგობის გამომრიცხველ გარემოების საფუძველზე პირის გათავისუფლება ნიშნავს მის გამართლებას. საქმის სასამართლომდე მიუსვლელადაც შეიძლება შეწყდეს გამოძიება, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს.

რომის სტატუტის 31 მუხლი ეძღვნება სისხლსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში, სტატუსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განმანთავისუფლებელ გარემოებათა დიდი უმრავლესობა ასევე აღიარებულია უმრავლეს ეროვნულ კანონმდებლობაში.

თავი III. აუცილებელი მოგერიების არსი და ნიშნები

სამართლებრივი საფუძვლები

1. აუცილებელი მოგერიების არსი.

მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართლის კოდექსის მე_7 მუხლით დადგენილი დანაშაულის ცნების აუცილებელი ელემენტია. აღნიშნული მუხლის თანახმად, "სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება" (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი). ამ ელემენტის არარსებობა გამორიცხავს დანაშაულს და შესაბამისად სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა შორის უმნიშვნელოვანესია აუცილებელი მოგერიება.

თავდაცვა ადამიანის ბუნებითი უფლებაა, ის აუცილებელი მოგერიების სახით მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28_ე მუხლში. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს აუცილებელი მოგერიების ორ სახეს: ა) აუცილებელ თვითდაცვას და ბ) აუცილებელ დახმარებას. თვითდაცვისაგან განსხვავებით აუცილებელი დახმარება არის აუცილებელი მოგერიება სხვა პირის დასაცავად. სამართალს არ მოეთხოვება, თავი დახაროს უმართლობის წინაშე. აუცილებელი მოგერიება შედგება სამი ნიშნისაგან:

1) უკიდურესი მდგომარეობა, (რაც თავის მხრივ მოიცავს ა) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას; ბ) ხელყოფის იმწუთიერებას; 2) უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება; 3) თავდაცვის სურვილი. სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართალში აუცილებელ მოგერიება თითქმის ერთგვარად განისაზღვრება: გამართლდება პირი, რომელმაც თავდაცვის მიზნით უპასუხა თავდამსხმელს, მაგრამ ერთი პირობით, რომ ის მოქმედებდა დაუყოვნებლივ და გარემოებების შესაბამისად.

აუცილებელი მოგერიება გამოიხატება როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში. აღნიშნული გახლავთ აუცილებელი მოგერიების ობიექტური მხარე. რაც შეეხება სუბიექტურ მხარეს, თ.შავგულიძის აზრით, ხასიათდება იმით, რომ მოგერიებელს აქვს კონკრეტული სამართლებრივი ინტერესი.

ინგლისურ სისხლის სამართალში ,,აუცილებელი მოგერიება" არის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ისეთი გარემოება, რომელიც გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იმ შემთხვავაში, როდესაც ბრალდებული იცავს საჯარო და კერძო ინტერესებს.

ინგლისური სამართალი არ იცნობს ტერმინ აუცილებელ მოგერიებას აქ იხმარება სიტყვა თვით დაცვა ამ სიტყვას ხმარობს პროფესორი კ.კენი (self defence) (ხერხეულიძე, 2010)!

2. სამართლებრივი საფუძვლები

თავდაცვა ადამიანის ბუნებითი უფლებაა. ის აუცილებელი მოგერიების უფლების სახითაა მოცემული სს კოდექსის 28-ე მუხლში. აუცილებელი მოგერიების პირობებია: 1) ხელყოფა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო; 2)ხელყოფა უნდა იყოს რეალური; 3) ხელყოფა უნდა იყოს იმწუთიერი; 4) ხელყოფა უნდა იყოს რელევანტური, სოციალურად მნიშვნელოვანი; 5) ხელყოფა უნდა იყოს სუბიექტურად სამართლებრივი მნიშვნელოვანი სიკეთის დაცვის სურვილით განხორციელებული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა. სწორედ ამ ფუნდამეტურ იდეას ემსახურება 28-ე მუხლი, რომელიც კანონის არსიდან გამომდინარე დაცვის მიზნად მიიჩნევს მომგერიებლის ან სხვა პირის სამართლებრივი სიკეთის დაცვას.

პოლიციელი ვალდებულია, აღკვეთოს და მოიგერიოს უკანონო თავდასხმა. ამას კანონი ავალდებულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება პასუხისმგებლობა, ხოლო აუცილებელი დახმარება მოქალაქის უფლებაა. ,,ორივეს საფუძველია დუალისტური პრინციპი – ანუ ინდივიდუალური და ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთეების დაცვის მართლზომიერება" (ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2011). ო. გამყრელიძეც ამავე აზრს იზიარებს და თვლის, რომ თუ მოქალაქე ამ უფლებას არ გამოიყენებს, ის ამისთვის პასუხს არ აგებს.

ქართული სისხლის სამართლით, აუცილებელი მოგერიებით სარგებლობს არამარტო ასაკოვანი, ფსიქიკურად ჯანსაღი, არამედ მცირეწლოვანი და ფსიქიკურად დაავადებული, ვინაიდან კანონი კონკრეტულად დათქმას არ აკეთებს, თანაბრად ვრცელდება ყველაზე.

ანგლო-ამერიკული სამართალი აღიარებს აუცილებელი მოგერიების უფლებას, რაც ასეა განმარტებული: აგრესორი აგებს პასუხს, ვინაიდან ის საფრთხეს უქმნის მეორე პირის ინტერესს, ხოლო ინტერესთა შედარებისას თავდამსხმელის ინტერესს ნაკლები მნიშვნელობა აქვს. აშშ-ს კანონით აღიარებულია აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტი, თუმცა, ამ ტერმინის (აუცილებელი მოგერიების) ნაცვლად სიტყვა ,,დაცვაა" ნახსენები. (მაგ: ნიუ-იორკის შტატის სსკ-ის 35-ე მუხლი.)

3.ხელყოფის მაწთლწინააღმდეგობა

აუცილებელი მოგერიებისას მომგერიებლის წინააღმდეგ თავდამსხმელის ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, ანუ ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს ცივილიზებულ სახელმწიფოთა კულტურის ნორმით დადგენილი მართლწესრიგს. ქართული სისხლის სამართალში აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირველი პირობაა ხელყოფის მართლწინააღმდეგობა. ნებისმიერ ხელყოფა მართლსაწინააღმდეგოა, თუ ის არღვევს ნებისმიერ სამართლებრივ ნორმას. ხელმყოფი მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ მას არა აქვს ამ ქმედების ჩადენის უფლება. თავდამცველმა შეიძლება ვერ გაიგოს თავდამსხმელი შეურაცხადია თუ არა (ხერხეულიძე ი. , 2010). ამავე აზრს იზიარებდა ა.პიონტკოვსკი, რომელიც ამბობს, რომ აუცილებელი მოგერიება დასაშვებია სულით ავადმყოფთა, მცირეწლოვანთა მიმართ, რომლებიც ამათუ იმ სუბიექტური ხასიათის გარემოების წყალობით არ ისჯებიან.

მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის განხორციელება შესაძლებელია ასევე უმოქმედობითაც, თ შავგულიძეს მიაჩნია, რომ უმოქმედობა აუცილებელ მოგერიებას მაშინ წარმოშობს, როცა უმოქმედობასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის მიზეზობრივი ჯაჭვი არსებობს. მაგ: ოთახში ჩაკეტილ კაცს, რომელიც თავისი ნებით მოხვდა იქ, შეუძლია დააზიანოს მცველი, რომელიც მას გარეთ არ უშვებს ანუ თავისუფლება აღუკვეთა.

აშშ-ში მართლწინააღმდეგობის ნაცვლად გამოიყენება სიტყვა ,,უკანონო თავდასხმა" აქაც თავდამსხმელი პირის ბრალეულობა არაა აუცილებელი მოგერიებების აუცილებელი წინაპირობა. ამერიკაში თვლიან, რომ აუცილებელი მოგერიება მესიჯია აგროსორსა და სხვა პოტენციური აგრესორისათვის, რომ სამართალდამცავების არყოფნის შემთხვევაში ნებისმიერ კერძო პირს აქვს შემთხვევა მოიგერიოს აგრესია.

4. ხელყოფის იმწუთიერება

აუცილებელი მოგერიების ერთ-ერთი ნიშანია ხელყოფის იმწუთიერება – ხელყოფა დაწყების პროცესშია ან ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ანუ პრევენციული აუცილებლობის მოგერიება ნებადართული. მართლზომიერი თავდაცვა უნდა მოხდეს თავის დროზე. თავდამსხმელის მიერ უკვე წარმატებით ჩადენილი ქმედების შემდეგ მოქმედება ითვლება დაგვიანებულ არამართლზომიერ ძალის გამოყენებად, ანუ არაიმწუთიერად. ძალის ნაადრევი გამოყენება არამართლზომიერად ითვლება საერთო სამართალშიც. თუ გავიხსენებთ საბჭოთა პერიოდის ქართულ სისხლის სამართალს, დავინახავთ, რომ აუცილებელი მოგერიების ვითარების წარმოქმნის

ერთ-ერთ აუცილებელ პირობას საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის იმწუთიერება წარმოადგენს. იმწუთიერება თვითსაზოგადოებრივად საშიში ხელყოფის დაწყებისა და დამთავრების მომენტით განისაზღვრება. ხელყოფა შეიძლება იმწუთიერად ჩაითვალოს არამარტო თავდასხმის უშუალო მომენტში, არამედ იმ დროიდან, როცა ხელყოფის რეალური საფრთხე შეიქმნა (გამყრელიძე, 2005).

ო. გამყრელიძეს ამის დასამტკიცებლად მაგალითად მოჰყავს სასამართლო პრაქტიკიდან: რამდენიმე კაცი ღამით შევიდა სახლში, სადაც იმყოფებოდნენ ცოლ-ქმარი და ქმრის და, მისულებმა უთხრეს მამაკაცს, რომ მათთვის მისი და უნდა გაეტანებინა ცოლად. მამაკაცის უარის შემდეგ, ერთ-ერთმა ნაბიჯი გადადგა წინ და ჯიბეში ხელი ჩაიყო, დამხვდურმა სწრაფად აიღო იარაღი და მოკლა წინ მდგომი. ისეთი შემთხვევა, როცა პირმა წინასწარ მოკლა პირი, რომელიც მისი წარმოდგენით მას მოკვლას უპირებდა, არ ითვლება იმწუთიერ თავდასხმად.

მსჯელობს რა აღნიშნულ საკითხზე, ი. ხერხეულიძე სვამს შემდეგ კითხვას: შეიძლება თუ არა წარმოშვას აუცილებელი მოგერიების ვითარება ხელყოფის სიტყვიერმა მუქარამ. სიტყვიერი მუქარა, როგორც წესი, ხელყოფის განზრახვას ამჟღავნებს. განზრახვის გამომჟღავნება, თავისთავად, საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას არ წარმოადგენს და არ შეიძლება გამოიწვიოს იმ პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელმაც დანაშაულის მომავალში ჩადენის სურვილი განაცხადა. განზრახვის გამომჟღავნებისაგან უნდა განვასხვაოთ მუქარა, რომელსაც თუმცა კი აქვს ერთგვარი მსგავსება განზრახვის უბრალო გამჟღავნებასთან, მაგრამ მისგან განსხვავებით რიგი თავისებურებებით ხასიათდება. მუქარა მიმართულია გარკვეული დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად და შეიძლება საამისო იძულების საშუალებად მოგვევლინოს. მუქარა წარმოადგენს ფსიქიკურ ძალადობას, ის უნდა იყოს რეალური. ის საზოგადოებრივად საშიშია და ამდენად, შეიძლება აუცილებელი მოგერიების ვითარება განაპირობოს (ხერხეულიძე ი. , აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში, 2010).

ჩემი აზრით, ყოველვგარი სიტყვიერი მუქარა არ წარმოშობს აუცილებელ მოგერიებას, ის დამაჯერებელი უნდა იყოს სხვა თანმხლები გამომხატველი ნიშნებით. აუცილებელი მოგერიების ვითარება აღარ გვაქვს მაშინ, როცა ხელყოფა წყდება, ანუ როცა თავდამსხმელი თავის მიზანს აღწევს. ხელყოფა სრულდება მსხვერპლის სიკვდილისთანავე. როდესაც აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა გადავლილია და მკვლელობა მერეა მომხდარი, აქ უკვე სახეზეა მკვლელობა შურისძიებით. მოგერიების უფლება ისპობა ასევე, როცა თავდამსხმელი ჩერდება, აღარ აგრძელებს

თავდასხმას, ან როცა მას შეიპყრობენ , ან როცა დამცველი მას იარაღს წაართმევს. Aასეთ დროს თავდამსხმელის დაზიანება უკვე აღარ შეიძლება.

თ. შავგულიძე განიხილავს ისეთ სიტუაციას, როცა თავდამსხმელი აღარ აგრძელებს მოქმედებას, თუმცა მომგერიებელი ამას ვერ ამჩნევს სიბნელის ან სხვა მიზეზთა გამო და იგერიებს მას. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ხელყოფის შეწყვეტის ან დამთავრების შესახებ. ასეთ დროს მომგერიებელს ბრალი არ მიუძღვის, ხოლო თუ შეეძლო და ვალდებულიც იყო შეემჩნია, ის პასუხს აგებს ზიანის გაუფრთხილებლად მიყენებისათვის (სურგულაძე).

ხელყოფა ასევე წარმოადგენს იმწუთიერს მისი განგრძობადობის დროს თუ არსებობს დაზიანების მიმყენებელი ქმედების კვლავ განმეორების რეალური საშიშროებაა.

4.1 ხელყოფის იმწუთიერება ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის მიხედვით

ლორდმა გრიფიტმა სისხლის სამართლის საქმე - განაცხადა ,,პირს, რომლის მიმართაც ეს ესაა, შეიძლება განხორციელდეს თავდასხმა, არ ევალება დაელოდოს პირველ დარტყმას ან პირველ გასროლას" (ხერხეულიძე ი. , აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში, 2010). ამერიკა ადგენს იმ მოთხოვნას, რომ საფრთხე და თავდასხმა გონივრულად უნდა იყოს იმწუთიერი. სსკ-ის მიხედვით, მომგერიებელს უნდა სწამდეს, რომ გამოყენებულია ძალა მყისიერად სხვისი თავდასხმის მოსაგერიებლად. ჯ. გრუმერი თავის ნაშრომში სიტყვა ,,იმწუთიერების" ნაცვლად იყენებს ,,მყისიერებას", რომელიც, მისი თქმით, აუცილებელი მოგერიების არსებითი ელემენტია. ინგლისში აუცილებელი მოგერიების დროს ისმის ასეთი შეკითხვა, როცა მომგერიებელი ვარაუდობს მოსალოდნელ მართლსაწინააღმდეგო თავდასხმას, შეუძლია თუ არა მას განახორციელოს მოსამზადებელი მოქმედებები პრევენციისათვის თუნდაც ისინი დანაშაულის ნიშნებს შეიცავდნენ?

უდავოა, რომ ანგლო-ამერიკული სისხლის სამართალში, აუცილებელი მოგერიებისას საფრთხე უნდა იყოს იმწუთიერი, და პირი გონივრულად უნდა ვარაუდობდეს ასეთ მყისიერებას. მომგერიებელს უნდა სწამდეს, რომ მის მიერ სპონტანურად გამოყენებული ძალა მიმართულია მყისიერად სხვისი თავდასხმის მოსაგერიებლად.

ქართული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, სადაც საფრთხის იმწუთიერება იმას გულისხმობს, რომ თავდამცველს დრო და საშუალება არ აქვს თავდაცვის წინასწარი სამუშაოების

მოსამზადებლად და უნდა იმოქმედოს სპონტანურად, ინგლისის სამართლებრივ სისტემაში ჯერ კიდევ განხილვის საგანს წარმოადგენს საკითხი იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა პირის გათავისუფლება საფრთხის მყისიერების პირობაზე დაყრდნობით, თუ კი იგი წინასწარ ზომებს იღებს სავარაუდოდ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ამის საილუსტრაციოდ ი. ხერხეულიძეს მოჰყავს კონკრეტული მაგალითი: 1981 წლის ამბოხების დროს ბრალდებული დაზიანდა და გაიძარცვა მისი მაღაზია. მომავალი თავდასხმის შიშით ბრალდებულმა დაიმზადა 10 ბენზინის ბომბი, რომლებსაც გამოიყენებდა როგორც უკანასკნელ საშუალებას თავდამსხმელების მოსაგერიებლად, თუმცა, ეს თავდასხმა აღარ განხორციელებულა. მაღაზიის მფლობელს ბრალი წაეყენა 1883 წლის ასაფეთქებელ ნივთიერებათა კანონის შესახებ მე-4 მუხლით, რომელიც ადგენს: ,,ნებისმიერი პირი, რომელიც ამზადებს, ინახავს ან ფლობს ასაფეთქებელ ნივთიერების ისეთ გარემოებებში, სადაც წარმოიქმნება დასაბუთებული ეჭვი, რომ მას არა აქვს ეს ნივთიერება კანონიერი მიზნისათვის, პასუხს აგებს ფელონიისათვის. ის გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი ნივთიერება მან დაამზადა, იხავს ან ფლობს კანონიერი მიზნისთვის".

ამ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულს ჰქონდა უფლება, ემტკიცებინა: ,,ჩემი კანონიერი მიზანი იყო, აუცილებელი მოგერიება". ბრალდებულის მიმართ დადგა გამამართლებელი განაჩენი (ხერხეულიძე ი. , აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში, 2010).

4.2 საფრთხის მყისიერების, იმწუთიერების პირობა შოტლანდიურ სისხლის სამართალში

შოტლანდიაშიც სხვა ქვეყნების მსგავსად იმისთვის, რომ პირი გამართლდეს აუცილებელი მოგერიებით ადამიანის მკვლელობისას, სხვა გარემოებათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საფრთხის იმწუთიერება. გ. გორდონი აღნიშნავს, რომ აუცილებელ მოგერიებად, არ ჩაითვლება მკვლელობა, თუ მომგერიებელი ფიქრობს, თავდამსხმელი მას მოკლავს ერთ დღეში ანდა ერთ საათში. იმწუთიერება ნიშნავს იმას, რომ თავდასხმა უნდა იყოს დაწყებული ან ეს ესაა იწყებოდეს.

5. ხელყოფის რეალურობა

ხელყოფა უნდა იყოს ობიექტურად სახეზე და არა მხოლოდ პირის წარმოსახვაში. ამ პირობას საბჭოთა პერიოდის ქართულ სისხლის სამართალში ,,ხელყოფის ნამდვილობას" უწოდებდნენ. ამ დროს პირი სამართლებრივი ინტერესების დასაცავად ვნებას აყენებს მეორე ადანიანს, რომელიც შეცდომით თავდამსხმელი ჰგონია მაგ: ღამით სახლში მიმავალ A-ს წინ დახვდა მისი უცნაურ

ფორმაში გადაცმული მეგობარი სათამაშო იარაღით ხელში. მეგობარ B-ს განზრახული ჰქონდა გახუმრებოდა A-ს და ხუმრობით შუბლზე მიაბჯინა სათამაშო თოფი და მოითხოვა ფული. Aა-ს თავდასხმა რეალური ეგონა და მოგერიების მიზნით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა B-ს. მოჩვენებითი თავდასხმის მომგერიებელი მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ. თ. შავგულიძე – აღნიშნავს, რომ მოჩვენებით მოგერიების ვითარებაში ზიანის მიყენება თავდამცველის მხრიდან ეს საზოგადოებრივად საშიში მოქმედებაა, მაგრამ თუ არსებობს ფაქტი შექმნილი ვითარების მცდარ შეფასებაში, მაშინ მას ბრალი არ მიუძღვის და მისი ქმედება მისატევებელია. სულ სვა შემთხვევაა, როცა შეცდომას არ უშვებს და იცის, რომ B მას გაეხუმრა, მაგრამ მან ეს სიტუაცია გამოიყენა, ანუ ამ სიტუაციით შენიღბა მისი მხრიდან აუცილებელი მოგერიება. მაშინ ქმედებაში იკვეთება განზრახ მკვლელობის ნიშნები.

5.1 ანგლო-ამერიკულ – სისხლის სამართალში ხელყოფის რეალურობა როგორც აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების ცალკე პირობა მიღებული არაა, თუმცა, როცა საუბარია პირის ,,გონივრულ" მოქმედებაზე, სწორედ აქ უნდა მოიაზრებოდეს ხელყოფის რეალურობა, ანუ ის ფაქტორი, რამდენად რეალურად აღიქვამს მომგერიებელი თავდასხმას და შესაბამისად, გამომდინარე ასეთი რეალურობიდან საზღვრავს, გონივრული იქნება თუ არა მისი მხრიდან აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენება კონკრეტული თავდასხმის მოსაგერიებლად. მაგალითად: ამერიკის ნიუიორკის და კენტუკის შტატების სისხლის სამართალში ხაზგასმით წერია, რომ – პირი უნდა თვლიდეს, რომ ადგილი აქვს კანონსაწინააღმდეგო ფიზიკური ძალის გამოყენებას ან ასეთი ძალის რეალური გამოყენების მუქარას. მუქარა უნდა იყოს უშუალოდ და პირდაპირი ანუ მომგერიებელს მოეთხოვება გონივრულად შეაფასოს საკითხის რეალურობა.

6.ხელყოფის რელევანტურობა, პროპორციულობა (გამოყენებული ძალის სიდიდე)

აუცილებელი მოგერიების ერთ-ერთი პრობლემატური ნიშანია ხელყოფის რელევანტურობა ანუ რეაქცია უნდა იყოს აგრესიის პროპორციული და ასევე, მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა უნდა იყოს სოციალურად მნიშვნელოვანი. ეს საკითხი სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში სხვადასხვანაირადაა განხილული. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ქართული და ანგლო-ამერიკული სამართალი. ქართულ სამართალში აუცილებელი მოგერიებისას აღნიშნულ პირობის მაგალითად მოჰყავთ შემთხვევა, როცა ბავშვი ცდილობს ბაღში ვაშლის მოპარვას და პატრონი ერთი გასროლით კლავს მას. მართალია, ვაშლის მოპარვა წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას, თუმცა 1) გამოყენებული ძალა არ იყო რელევანტური ,,სისხლის სამართალი არ უშვებს

ბელურებზე ზარბაზნებით ნადირობას". 2) ხელყოფა არ იყო სოციალურად მნიშვნელოვანი. აშკარაა, რომ მომდინარე ,,საფრთხე" და შეპირისპირებული ძალა უდავოდ, არაპროპორციულია. ჯერ ერთი, ბავშვისთვის ერთი შემახილიც კმარა მეპატრონის მხრიდან, რათა ის უმალ გაეცალოს იქაურობას, აგრეთვე ბავშვის ფიზიკური სიდიდე და მეპატრონე მამაკაცის ფიზიკური სიდიდე და შესაძლებლობები არათანაბარია და ბავშვის შესაჩერებლად საკმარისია მამაკაცის ფიზიკური შესაძლებლობები, ხოლო რაც შეეხება ვაშლის მოპარვის ფაქტს, აუცილებელი მოგერიებისას ზიანი შეიძლება მიადგეს მატერიალურ, ქონებრივ სამართლებრივ სიკეთეს, მაგრამ თუ დავუბრუნდებით ისევ აღნიშნულ მაგალითს, ვნახავთ, რომ ერთი-ორი ვაშლის მოპარვა არ იძენს სოციალურ მნიშნველობას, რათა ის გახდეს ღირსი აუცილებელი მოგერიებისათვის. ამის დასადასტურებლად მსურს მოვიყვანო სსს-კ ზოგადი ნაწილის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი, სადაც ჩაწერილია, რომ ,,დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ასეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე" (საქართველოს სსკოდექსის, ზოგადი ნაწილი, მე-7 მუხლი).

6.1 აუცილებელი მოგერიების წინარე პერიოდი

მ. ტურავა განიხილავს აუცილებელი მოგერიების წინარე პერიოდს და გამოყოფს იმ მომენტებს, რისი საშუალებებითაც შესაძლებელი იქნება ძალთა შეპირისპირება. კერძოდ, ის ეხება აუცილებელი მოგერიების უფლების სოციალურ-ეთიკურ შეზღუდვებს: პირველ რიგში ამოწურულ იქნეს საფრთხისთვის თავის არიდების ან მისი სხვაგვარად არიდების ყველა შესაძლებლობა. მაგ: შესაძლებლობის ზღვარამდე მოხდეს თავდაცვითი მოქმედებებით თავდამსხმელის შეკავება. არაბრალუნარიანი შეურაცხადი პირის მხრიდან ხელყოფის დროს აუცილებელი მოგერიების უფლება შეზღუდულია. პირი ასეთ თავდასხმას შეგნებულად უნდა გაერიდოს. თუმცა ვფიქრობ, რომ დროის სიმცირის გამო შეიძლება მომგერიებელმა ვერ შეაფასოს პირის შეურაცხადობა, მან კეთილსინდისიერად გონიერი რწმენის საფუძველზე ჩათვალოს, რომ თავდამსხმელი შერაცხადი იყო და მიაყენოს მას ზიანი, თუმცა, ასევე მსურს განვიხილო ისეთი მაგალითი, როცა მართალია, თავდამცველმა გაანალიზა, რომ თავდამსხველი შეურაცხადია, მაგრამ გაქცევის შეუძლებლობის გამო მოკლა თავდამსხმელი. მაგ: როცა თავდამსხმელი და მომგერიებელი ლიფტში იმყოფებიან ეს უკვე არის სტადია, როცა გარდაუვალია მოგერიების განხორციელება.

6.2 რელევანტურობა-პროპორციულობა ანუ მოგერიების ინტენსიურობა ანგლო-სასურ სისხლის სამართალში

დაცვით მიყენებულმა ზიანმა არ უნდა გადააჭარბოს ანუ არ უნდა იყოს დიდად შეუთავსებელი საფრთხისაგან მოსალოდნელ ზიანთან. ინგლისელი იურისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ წვრილმანი ქონებრივი ინტერესები არა საკმარისი სიცოცხლის ხელყოფისათვის.

აშშ-ში არსებობს შეზღუდვები სასიკვდილო ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ შეზღუდვის მიზანია დაიცვან თავდამსხმელის სიცოცხლე ანუ აქ ამერიკა ლიბერალურ პოზიციას ინარჩუნებს. აქ საინტერესოა ჩრდილო კაროლის უზენაესი სასამართლოს განმარტება ,,სიკვდილის ძალა შეიძლება გამოენებულ იქნას მხოლოდ მაშინ, როცა ბრალდებული გონივრულობის ფარგლებში დარწმუნებულია, რომ ასეთი ძალის გამოყენება აუცილებელია სიცოცხლის შესანარჩუნებლად ან სხეულის დაზიანების თავიდან ასაცილებლად”. ანუ სახეზე უნდა იყოს: 1) მომგერიებელის რწმენა, რომ მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება; 2) მომგერიებლის გონივრულობის ფარგლებში უნდა სჯეროდეს, რომ არაფატალური ძალის გამოყენება არაადეკვატურია საფრთხის თავიდან ასაცილებლად. აქ გასათვალისწინებელია თავდამსხმელის ან მომგერიებლის ფიზიკური მონაცემები, ასაკი, ძალა, სქესი.

6.3 გამოყენებული ძალის ინტენსივობა ინგლისურ სისხლის სამართალში

მაიკლ ჯ. ალენის მიხედვით, ინგლისის სისხლის სამართალში გამოყენებული ძალის გონივრულობა გულისხმობს, რომ თუმცა შესაძლებელია მომგერიებელს კეთილსინდისიერად სწამდეს, რომ ძალის გამოყენება არის აუცილებელი მოცემულ გარემოებებში, თუმცა ქმედება აუილებელი მოგერიებად ვერ დაკვალიფიცირდება, თუ მომგერიებელმა გამოიყენა გონივრულზე მეტი ძალა. სწორედ ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციას შეადგენს იმის დადგენა, თუ ძალის რა ინტენსივობა იყო გონივრულ არსებულ სიტუაციაში. ნაფიცმა მსაჯულებმა თავიანთ თავს უნდა დაუსვან შემდეგი შეკითხვა: ნებისმიერი გონიერი ადამიანი ა) იმ ფაქტების ცოდნით, რომელიც ბრალდებულს გააჩნდა ან რომელთა არსებობისა მას სჯეროდა ბ) იმ დროსა და ვითარებაში, რომელიც მას ჰქონდა მოსაფიქრებლად; გ) ჩათვლიდა თუ არა, რომ იმ საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც მას ან სხვებს შეიძლებოდა, შექმნოდათ ეჭვმიტანილის გაქცევით, მართლსაწინააღმდეგო თავდასხმით, ან დანაშაულის ჩადენით ამართლებდა თავდამსხმელის დაზიანებას იმ ზომითა და იმ ძალის გამოყენებით რაც გამოიყენა მომგერიებელმა (ინგლისში გონივრული ძალა იგივეა რაც პროპორციული ძალა).

შეჯამების მიზნით უნდა ითქვას, რომ აუცილებელი მოგერიება ემყარება ორი საფუძველს: ა) ავტონომიის დაცვას, ბ) სამართლებრივი წესრიგის დაცვას, რომელიც მოითხოვს პროპორციულობას. აღნიშნულს ეთანხმება ჯ. ფლიტჩერი. აღნიშნული მიდგომა ჩადებულია ინგლისურ, კანადურ, შვეიცარულ, ავსტრულ და ფინურ სამართალში. შოტლანდიური სამართლის თანახმად, აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობა-გამოყენებული ძალის სიდიდე და მისი შეფასების კრიტერიუმები თითქმის იდენტურია როგორც ინგლისის სისხლის სამართალში.

თავი IV

აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება

1. აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების დეფინიცია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით: ,,აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან".

როცა ვმსჯელობთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცა: დაცვის შესაბამისობა ხელყოფის ხასიათთან და საშიშროებასთან, მხედველობაში მისაღებია შემდეგი ობიექტური მომენტები:

ა) ხელყოფის ადგილი და ვითარება;

ბ) დაცული სიკეთის და იმ სიკეთის მნიშვნელობა, რომელსაც მოგერიების შედეგად მიაყენეს ზიანი;

გ) ხელმყოფისა და მომგერიებლის ფიზიკური მონაცემები (სქესი, ასაკი, ჯანმრთელობა, ფიზიკური ძალა).

აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება არ გვექნება, როცა ერთ პირს თავს ესხმიან და დროის გარკვეულ მონაკვეთში გამეტებით სცემენ, რის გამოც პირი უკიდურეს მდგომარეობაში დანის მუქარით ცდილობს თავის გადარჩენას. თუმცა ფარგლებს გადაცილება გვექნება შემდეგ შემთხვევაში: ერთი კონკრეტული პირი არტყამს მეორეს, რომელსაც მიეხმარება ბიჭების ჯგუფი და გაშმაგებით სცემს თავდამსხმელს. თავდაცვის აშკარა შეუსაბამობა თავდასხმის ხასიათთან და

საშიშროებასთან ნიშნავს დაცვის ინტენსივობის აშკარა შეუსაბამობას თავდასხმის ინტენსივობასთან. ასეთ შემთხვევაში მომგერიებელი თავდამსხმელს აყენებს ზიანს, რომელიც არ იყო აუცილებელი თავდასხმის მოსაგერიებლად (დონჯაშვილი, 2002).

თუ გადახედავთ ქართული სისხლის სამართლის ისტორიას, დავინახავთ, რომ 1960 წლის სსკ-ს მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებად ითვლებოდა დაცვის აშკარა შეუსაბამობა ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან". როგორც ვხედავთ, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დეფინიციას ცვლილება თითქმის არ განუცდია.

ი. ვესელსის აზრით, მომგერიებელმა თავდაცვის რამდენიმე შესაძლებლობას შორის ნაკლებად ხიფათიანი უნდა აირჩიოს. თუ საფრთხე რაიმე დიდ სიკეთეს არ ემუქრება, მომგერიებელმა რისკი არ უნდა გაწიოს. ამავე აზრს იზიარებს ჰ. ოტტო – მისი თქმით, აუცილებელი მოგერიების დროს ადამიანის მოკვლა გაუმართლებელია იქამდე, ვიდრე საქმეს შეიძლება სხვა გზითაც მოევლოს. მომგერიებელი ვალდებულია განიარაღოს ან გაანეიტრალოს თავდამსხმელის მოქმედება.

აქვე მოვიყვანოთ 2004 წლის 20 აპრილის განჩინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული საქმე. დაზარალებულის უფლებამონაცვლისა და საქართველოს გენერალური პროკურატორის სახელმწიფო მბრალდებლის საჩივრები. წინასწარ გამოძიებამ ერემაძეს ბრალი სსკ-ის 108-ე მუხლით წარუდგინა, ხოლო გორის რაიონულმა სასამართლომ ის აუცილებელი მოგერიებით გაათავისუფლა სასამართლო დარბაზიდან.

აღწერილობითი ნაწილით ირკვევა: ქ. გორში არასრულწლოვანი დ.ერემაძე და მისი მეგობარი სრუწლოვანი გ. ჯოხაძე ხუმრობით მიმართავდნენ ერთმანეთს უცენზურო სიტყვებით, რაც გადაიზარდა ურთიერთშელაპარაკებაში, შემდეგ – ჩხუბში. ჩხუბის დროს მათ ერთმანეთს მიაყენებს დაზიანებები. Mმიუხედავად იმისა, რომ მათმა მეგობარმა მოჩხუბრები ერთმანეთს დააშორა, მიღებული დაზიანებების გამო განაწყენებულმა დ. ერემაძემ ე.წ. ,,ბაბოჩკა" დანით, რომელიც ხელში ეკავა გ. ჯოხაძეს მიაყენა სიცოცხლისათვის მძიმე ხარისხის დაზიანება, რის გამოც იგი გარდაიცვალა.

უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატამ გააუქმა გადაწყვეტილება და ხელახლა დაუბრუნა იგივე სასამართლოს სხვა შემადგენლობას განსახილველად, რათა ემსჯელათ მათ 28-ე მუხლის მე-4 ნაწილზე. ი. ხერხეულიძე ეთანხმება უზეაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას და მას

მიაჩნია, რომ სახეზეა მომგერიებლის აშკარა შეუსაბამობა მასზე თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან. რა ზომითაც ინფორმაციას ვკითხულობთ ი. ხერხეულიძის ნაშრომიდან, ამაზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ საქმე გვაქვს 108-ე მუხლთან, Aანუ ირკვევა, რომ გაშველების მერე, გ. ჯოხაძის მხრიდან აღარ არსებობდა ობიექტურად თავდასხმა, მართლსაწინააღმდეგო მოქმედება შეწყვეტილიყო, ანუ აქ აუცილებელი მოგერიების და ასევე მისი ფარგლების გადაცილების სამართლებრივი საზღვრები დასრულდა, ამის შემდეგ ერემაძემ გადაწყვეტა თავდასხმა განახორციელოს ჯოხაძეზე.

მ. ტურავა აღნიშნულ სიტუაციას მოიხსენიებს როგორც აუცილებელი მოგერიების ,,იტენსიურ ექსცესს". ის განმარტავს, რომ თუ მომგერიებელი ხელყოფისაგან თავდაცვის დროს თანაბრად ეფექტური საშუალებებიდან აირჩევს არა შედარებით მსუბუქ, არამედ შეგნებულად საშიშ საშუალებას, ასეთ შემთხვევაში პირი ახდენს აუცილებელი მოგერიების ,,ინტენსივირებას" (ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი მიმოხილვა, 2008).

Vთავი. დაცვის ობიექტი

1. დაცვის ობიექტი ქართულ სისხლი სამართალში

იმისთვის, რომ პირმა ისარგებლოს აუცილებელი მოგერიებით დიდი მნიშვნელობა აქვს დაცვის ობიექტის განსაზღვრის საკითხს. ისტორიულად რომ მიმოვიხილოთ, ათვლის წერტილი აუცილებელი მოგერიების დროს იყო თავდასხმის მოგერიება საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად. შემდგომ თავდაცვის საკითხი განვითარდა ორ მიმართულებით: ა) პირველ რიგში, თავისი ფიზიკური და სექსუალური ხელშეუხებლობის დაცვის, საკუთრების დაცვის და ბ) მეორე რიგში, სხვა პირის ინტერესების დაცვის მიმართულებით. აუცილებელი მოგერიების საშუალებით დაცული ინტერესები, სხვადასხვა სოციალური ფასეულობების არიან. მათი სხვადასხვა რანგზე განთავსება შესაძლებელია მათი მნიშვნელობის მიხედვით.

განვიხილოთ დაცვის ობიექტი ქართული სისხლის სამართალში. დღეისათვის საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლიდან გამომდინარე აუცილებელი მოგერიების უფლებით დაცული სიკეთე ესაა როგორც მომგერიებლის, ასევე სხვა პირის სამართლებრივი სიკეთე და ასევე ნახსენებია სიტყვა ქონება. დაცვის ობიექტი იგივეა, რაც სამართლებრივი სიკეთე. ისმის კითხვა: რა სამართლებრივ სიკეთეს შეიძლება მიადგეს ზიანი აუცილებელი მოგერიების დროს? ასეთ დროს ზიანი შეიძლება

მიადგეს თვით მომგერიებელს ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სქესობრივი ხელშეუხებლობას, ქონებას, პატივს და ღირსებას.

ადამიანის სიცოცხლე: ეს არის უზენაესი ღირებულება და, იერარქიულად სხვა სამართლებრივი სიკეთისაგან განსხვავებით, პირველ ადგილზე დგას. ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება, რაც განსაზღვრულია კონტიტუციით, ევროპული კონვენციით, სსს კოდექსით და საერთაშორისო ნორმატიული აქტებით.

ჯანმრთელობა კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთეების იერარქიაში მეორე ადგილზეა. ის შეუუფასებელი სიკეთეა, რადგან სწორედ მასზეა დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლის ხანგძლივობა. მ. ტურავა ეხმიანება ისეთი სამართლებრივი სიკეთის დაცვას, როგორიცაა პირის სქესობრივი ხელსეუხებლობა. ის დასაშვებად და მართლზომიერად მიიჩნევს გაუპატიურებისას მოძალადის მოკვლას . მას მოჰყავს შემდეგი მაგალითი: ა. თავს ესხმის ც-ს გაუპატიურების მიზნით. Aა-ს კლავს ც-ს ან მის დასახმარებლად მოსული ბ-ს . აქაც მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან აშკარა შეუსაბამობა არა გვაქვს (ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2011).

2 დაცვის ობიექტი ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში

როგორც ქართულ, ასევე ანგლო-საქსურ სამართალში დაცვის ობიექტად მომგერიებლის მიერ როგორც თავისი, ასევე სხვისი პირადი და ქონებრივი ინტერესი მიიჩნევა. რეალური პრობლემა არის იმის განსაზღვრა, მართებულია თუ არა ქონების ხელყოფისას თავდამსხმელის სიკვდილი, ანუ თუ ძალის გამოყენება დასაშვებია მომგერიებლის მხრიდან, მაშინ რა ძალის გამოყენება არის შესაძლებელი (ხერხეულიძე ი. , აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში, 2010).

დავიწყოთ იქიდან, რომ აშშ-ს ზოგიერთი შტატის კანონმდებლობა მაგ: -პენსილვანიის შტატის სსკ-ის 507-ე ან ჩრდილოეთ და კოტის სსკ-ის 12.1.0500 მუხლი განმარტავს, რომ მომგერიებელმა თავდაპირველად უნდა მოსთხოვოს თავდამსხმელს შეიკავოს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან თავი, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიერ მოსაგერიებლად გამოყენებული ძალა არ ჩაითვლება მართლზომიერად გამართლებულად.

ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში აუცილებელი მოგერიების ძალით შესაძლებელია არამარტო საკუთარი თავის, არამედ ასევე სხვა პირების დაცვაც. ზოგადი მიდგომის მიხედვით,

პირის ქმედება არ ჩაითვალება დანაშაულად, თუ ის განხორციელდა კეთილსინდისიერი გონივრული რწმენის საფუძველზე, რომლის თახმადაც ეს ქმედება აუცილებელი იყო მომგერებლის ან სხვა პირის დასაცავად იმ წუთიერი საფრთხისაგან.

2.1 დაცვის ობიექტი შოტლანდიაში

შოტლანდიური სისხლის სამართალი დაცვის ობიექტად მიიჩნევს სიცოცხლეს, ჯამრთელობას, სქესობრივ ხელშეუხებლობასა და საკუთრებას. ჰიუმის მიხედვით- სიცოცხლის ხელყოფა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში დასაშვებია საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად და ზოგ შემთხვევაში ასევე საკუთრების დასაცავად. ჰიუმი ეხმიანება ასევე მატერიალური სამართლებრივი სიკეთის დაცვას და ამბობს , რომ ისეთ სიტუაციაში , როცა პირი ღამით შეიჭრება უცხო ბინაში მისი მკვლელობა გამართლებული იქნება. იმ მოტივით, რომ სახლის მეპატრონეს აქვს სრული საფუძველი ივარაუდოს, შემოჭრილი პირი მიზნად ისახავს ჩაიდინოს მკვლელობა, გაუპატიურება ცეცხლის წაკიდება. მან ჯერ შეძახილით ან სხვა ჟესტით უნდა შეაკავოს თავდამსხმელი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით .

რაც შეეხება შოტლანდიაში მკვლელობის ჩადენას გაუპატიურებისას, კლაიდი მას უშვებს, როცა საფრთხე ექმნება ქალის სექსუალურ ხელშეუხებლობას. სრულად ვეთანხმები ი. ხერხეულიძეს, როცა ის ამბობს, რომ შოტლანდიური სამართალი სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლს, რომელშიც ფრაზაში -„პირის დასაცავად „ უკანონო ხელყოფისაგან „ სქესობრივი ხელშეუხებლობის მოაზრება.

3. პატივი და ღირსება, როგორც დაცვის ობიექტი აუცილებელი მოგერიებისას

აუცილებელი მოგერიების ობიექტის განხილვის ბოლოს ასევე არ შიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ საკითხი პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ, ვინაიდან იურიდიულ ლიტერატურაში საკამათოა საკითხი აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენების შესახებ პიროვნების პატივისა და ღირსების ხელყოფის დროს. იურისტთა აზრით, ამ ღირებულებების დანაშაულებრივი ხელყოფისაგან ძალადობრივი საშუალებებით დაცვის დასაშვებობის შესახებ ყოველთვის განსხვავდება ერთმანეთისაგან. გერმანული იურისტი ა. ბერნერი ამბობს, რომ “ უნდა დავუშვათ აუცილებელი მოგერიება პატივზე თავდასხმის წინააღმდეგ იმდენად, რამდენადაც ეს ფაქტობრივად შესაძლებელია.“

აუცილებელი მოგერიების შესაძლებლობა არ შეიძლება საერთოდ გამოვრიცხოთ სიტყვიერი და სიმბოლური შეურაცხოფის დროს, ვინაიდან ამაზე თავის მოსაზრებას ავითარებს რუსი იურისტი ა. კონი . ის უშვებს აუცილებელ მოგერიებას არა მხოლოდ ძარცვის, ყაჩაღობის, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე თავდასხმის,არამედ ასევე, შეურაცხყოფის დროს და აქვე ის ამბობს ასევე, რომ მართლზომიერია შეურაცხოფისაგან არა მარტო საკუთარი, არამედ სხვისი პატივის დაცვაც (ხერხეულიძე ი. , 2010).

ვ. ტკაჩენკოს აზრით, არავითარი საფუძველი არ არსებობს გამოვაკლოთ პატივი და ღირსება აუცილებელი მოგერიების ობიექტს – თუმცა, პატივისა და ღირსების სიტყვიერი და სიმბოლური შელახვის მოგერიება ი. სლუცკის აზრით, თეორიულად დასაშვებია, თუმც სლუცკის არა აქვს პასუხი, თუ როგორ შეიძლება ასეთი დავცვა პრაქტიკულად განხორციელდეს. თუმცა სლუცკი ცდილობს მაინც გაამართლოს ბოლომდე თავისი მოსაზრება და ასკვნის, რომ პატივისა და ღირსების შელახვის მოგერიება , პრაქტიკულად დასაშვებია მაშინ, როცა შეურაცხყმყოფელის მოქმედება ერთდროულად ხელყოფს ადამიანის სხეულის ხელშეუხებლობასაც. საინტერესოა თ. შავგულიძის აზრი აღნიშნულ საკითხისადმი. ის არ ეთანხმება აღნიშნულ მიდგომას. მის მსჯელობაში იკვეთება ორი ძირითადი ელემენტი, თუ რატომაც არ ამართლებს აუცილებელი მოგერიებას სიტყვიერი შეურაცხყოფის დროს: ამ დროს ხელყოფით მიყენებული ზიანი ობიექტურ საზომს არ ექვემდებარება . დაზარებულს მხოლოდ ზნეობრივი ზიანი აღდგება და არა მატერიალური. შევეცდები ამ საკითხის მიმართ ჩემი დამოკიდებულება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოდა შევეცდები ავხსნა თუ რატომ არ შეიძლება სიტყვიერი შეურაცხყოფის დროს მოქმედება ჩაითვალოს აუცილებელ მოგერიებად. ზოგადად, აუცილებელი მოგერიება სიტყვიერი შეურაცხყოფისას არ შეიძლება, თუ ის ფიზიკური მოქმედებებთან ერთად არ არსებობს. სიტყვიერი შეურაცხოფისას ადამიანს სხვადასხვა ხარისხით ადგება მორალური , ზნეობრივი ზიანი, გააჩნია შეურაცხოფის სპეციფიურობას. შეიძლება დროის მონაკვეთში რამდენიმეჯერ განმეორებულმა სიტყვიერმა , ან ჟესტიკულაციამ, ან ორივე ერთად, ეს იქნება მის მიმართ თუ მისი ოჯახის წევრების მიმართ, გამოიწვიოს ა) ფსიკური ან ასევე ბ)რაღაც დოზით მორალური ტანჯვა. რომ განვმარტოთ ა) ფსიქიკური ტანჯვა-არის ისეთი ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის ნერვული სისტემის ისეთ მოშლას, რომ ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში კარგავს სულიერ სიმშვიდეს (ანუ ეს განცდა გარკვეული დროის მანძილზე გაჰყვება) იწვევს სულიერ განცდას ბ) რაც შეეხება მორალურ ტანჯვას – ის იწვევს ადამიანში ღირსების დაქვეითებას, საკუთარი თავის უპატივცემულობას,

არასრულფასოვნების კომპლექსს. სწორედ ეს არასულფასოვნების კომპლექსი საკუთარ თავში, ერთ-ერთი საფუძველი იქნება მისი მხრიდან საპასუხო აგრესიისა.

ამრიგად, სიტყვიერი შეურაცხყოფისას არ შეიძლება აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყება,აქ უნდა გამოვყოთ ისეთი შემთხვევა როცა შეურაცხყოფას მოჰყვება აფექტი, რომლის დროსაც შეურაცხყოფილის მოქმედება ვერ ჩაჯდება აუცილებელი მოგერიების ფარგლებში და მისი ქმედება დაკვალიფიცირდება ან სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით ან ამავე კოდექსის 121-ე მუხლით ანუ აქ საუბარია აფექტში ჩადენილ ქმედებაზე. რაც შეეხება აფექტს, ეს არის უეცრად აღძრული და სწრაფწარმავალი სულიერი განცდა, რომელიც იწვევს შეგნებული ნებელობითი კონტროლის შემცირებას და გამოსავალს მოქმედებაში პოულობს (წულაია, 1999).

რაც შეეხება თ. შავგულიძის მე-2 არგუმენტს – ის ამბობს სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ხელყოფის ინტენსივობის დაუდგენლად შეუძლებელია მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება დაცვა ხელყოფის ხასიათსა და შექმნილ სახეს. მაშასადამე, ზემოთნათქვამიდან გამომდინარე თ. შავგულიძე ასკვნის, რომ შეუძლებელია მსჯელობა აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებაზე სიტყვიერი შეურაცხყოფის დროს.

რაც შეეხება ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალს, აუცილებელი მოგერიების უფლებით პატივისა და ღირსების დაცვის საკითხის შესახებ დისკუსიები და მსჯელობები არ გვხვდება

თავი VI

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

აუცილებელი მოგერიება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, არა მარტო წმინდა მეცნიერულ-თეორიული საკითხია, არამედ, იგი გახლავთ ძალზე აქტუალური საკითხი სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით.

სპეციალური საქმეების შესწავლის საფუძველზე იკვეთება, რომ მცირეა აუცილებელი მოგერიებისა და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით გამოტანილ განაჩენთა რიცხვი. შევისწავლეთ უზენაესი სასამართლოს საკასაციო საჩივრების სტატისტიკა და დავინახეთ შემდეგი სურათი:

I საქმე – 13.10.2005წ. გ.მ.-ს მიმართ განაჩენი დარჩა უცვლელი (ის გასამართლდა სსსკ-ის 122-ე მუხლით- ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით).

II საქმე – 21.10.2004წ. ზ.გ.-ს მიმართ საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, განაჩენი დარჩა უცვლელად. (იგი სასჯელს იხდიდა სსსკ –ის 108-ე მუხლით-განზრახ მკვლელობა)

III საქმე – 27/02/2018, მსრჯავდებული გასამარტლდა განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის, რაც გაასაჩივრა უზნაეს სასამართლოში რომელმაც პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება დატოვა უცვლელად.

დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა, დაგვეხმარა -მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოების აუცილებელი მოგერიების კომპლექსურ დახასიათებაში.

1. მართლწინააღმდეობის გამომრიცხველ გარემოებათა შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს აუცილებელ მოგერიებას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძველი სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტია და მას ჯერ კიდევ ანტიკური სამყაროს იურისტები აღიარებდნენ. Yყველა დროსა და ეპოქაში იყო ფაქტები, როდესაც ერთი ადამიანი მეორე ადამიანს თავს ესხმოდა, რაც ბუნებრივად ბადებდა თავდაცვის. ისტორიულად აუცილებელი მოგერიების ცნება ყალიბდებოდა საკუთარი სიცოცხლის და პირადი ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით. მოგვიანებით, აუცილებელი მოგერიების უფლება გავრცელდა სხვა სამართლებრივი სიკეეთეების მათ შორის საკუთრების უფლების დაცვაზე.

სხვადასხვა ეპოქაში იქმნებოდა სისხლის სამართლის კოდექსები, რომლებიც თანდათანობით სრულყოფდნენ და აფართოებდნენ აუცილებელი მოგერიების უფლების შინაარს, რაც გამოიხატა იმაში, რომ კანონიერად იქნა აღიარებული თავდაცვა არა მხოლოდ პიროვნების სიცოცხლის ხელყოფის წინააღმდეგ, არამედ პატივისა და ღირსების, საკუთრების ხელყოფისაგან დასაცავად.

2.B დღეს მოქმედი, საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელმაც ახლებურად ააგო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების სისტემა, შემოგვთავაზა რა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების ორკვალიანი

სისტემა, მართლწინააღმდეგობის ბრალის გამომრიცხველი გარემოების სახით (ამ ნოვატორულ საქმეში დიდია ქართველი იურისტის ო. გამყრელიძის დამსახურებაა.

სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ აუცილებელი მოგერიება არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, რომელიც გულისხმობს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას ხელმყოფის დაზიანებას, თვით დამზიანებლის ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად.

3. მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას პირს შეუძლია დააზიანოს ხელმყოფი მაშინაც კი, როდესაც მას შეუძლია საშველად მოუხმოს სხვას, გაიქცეს. საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლიდან გამომდინარე აუცილებელი მოგერიების უფლებით დაცული სიკეთე ესაა როგორც მომგერიებლის, ასევე სხვა პირის სამართლებრივი სიკეთე და ასევე ნახსენებია სიტყვა ქონება. დაცვის ობიექტად განიხილება: სიცოცხლე, ჯამრთელობა, ქონება, სქესობრივი ხელშეუხებლობა.

თუმცა ქონებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს. კერძოდ, ქონების დასაცავად აუცილებელი მოგერიება დასაშვებია შემდეგი გარემოებების არსებობის შემთხვევაში:

აუცილებელი მოგერიება მოხდა უშუალოდ ქონების ხელმყოფის ხელში გადასვლისთანავე; ამ ქონების დაუყონებლივ დაბრუნება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ქონების დაცვის უფლების მქონეთა წრე განსაზღვრულია. ქართულისაგან განსხვავებით, შოტლანდიურ სისხლის სამართალში ნაკლებად სავარაუდოა საკუთრების დაცვის მიზნით გამართლდეს მკვლელობა.

ანგლო-ამერიკული სისხლის სამართალი აუცილებელი მოგერიების არსის განსაზღვრაში ძირეულად არ განსხვავდება ქართული სისხლის სამართლისაგან. ვაწყდებით ტერმინოლოგიურ განსხვავებას. მაგ: ინგლისსი დამკვიდრებულია ტერმინი “შელფდეფენცე”, რაც ნიშნავს თვით დაცვას.

4. აუცილებელი მოგერიების პირობა -ხელყოფის მარლწინააღმდეგობა ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში ასეთი სიტყვა არ გვხვდება, თუმცა კონტექსტუალურად უნდა ვივარაუდოთ მისი არსებობა. კერძოდ, პირს მხოლოდ მაშინ შუძლია გადადგას გონივრული ნაბიჯი ფიზიკური ზიანისაგან საკუთარი თავის დასაცავად, თუ მას თავს ესხმიან უკანონოდ და არა აქვს საშუალება თავის დასაცავად მიმართოს კანონს.

აშშ –ში სიტყვა “აუცილებელი მოგერიების ნაცვლად” არსებობს ტერმინი “უკანონო თავდასხმა”. ამერიკაში თვლიან, რომ აუცილებელი მოგერიება მესიჯია, Aაგრესორსა და სხვა პოტენციური აგრესორისათვის, რომ სამართალდამცველების არყოფნის შემთხვევაში, პირმა მოიგერიოს აგრესია.

5. რაც შეეხება ხელყოფის იმწუთიერებას, აუცილებელი მოგერიების უფლება არსებობს დროის იმ მონაკვეთში, როდესაც არსებობს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა; ამერიკა ადგენს იმ მოთხოვნას, რომ საფრთხე და თავდასხმა გონივრულად უნდა იყოს იმწუთიერი. Mმომგერიებელს უნდა სწამდეს, რომ გამოყენებულია ძალა მყისიერად სხვისი თავდასხმის მოსაგერიებლად. ქართული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, ანგლო-ამერიკული სამართალი უშვებს საფრთხის მყისიერების გაფართოებას. ანუ როცა მომგერიებელი იგერიებს არა მარტო მოულოდნელ იმწუთიერ საფრთხეს, არამედ ისეთსაც, რომლის გარდაუვალ დადგომაში მომგერიებელი გონივრულად დარწმუნებულია.

6. რაც შეეხება ხელყოფის რეალურობას,. საბჭოთა პერიოდის ქართულ სისხლის სამართალში მას უწოდებდნენ “ხელყოფის ნამდვილობას”,ხოლო ანგლო-ამერიკულ სამართალში ხელყოფის რეალურობა იგივეა, რაც პირის გონივრული მოქმედება, , თუ რამდენად რეალურად აღითქვამს მომგერიებელ თავდასხმას და ასეთი რეალურობიდან საზღვრავს, გონივრული იქნება თუ არა მისი მხრიდან აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენება.

7.ხელყოფა უნდა იყოს რელევანტური, ე.ი. მართლ- საწინაარმდეგო ხელყოფა უნდა იყოს სოციალურად მნიშვნელოვანი. რეაქცია უნდა იყოს აგრესიის პროპორციული. ანგლო-საქსური სისხლის სამართლით, რელევანტურობა განმარტებულია შემდეგნაირად: 1) მომგერიებელს სჯერა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. 2) მომგერიებელს გონივრულობის ფარგლებში უნდა სჯეროდეს, რომ არაფატალური ძალის გამოყენება არაადეკვატურია საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

8. აღსანიშნავია, რომ ქართველი კანონმდებელი უშვებს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების შესაძლებლობას. სისხლის სამართლის კოდექსი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად მიიჩნევს ისეთ შემთხვევას, როდესაც აშკარა შეუსაბამობა გვაქვს სახეზე პირის მიერ განხორციელებულ თავდაცვასა და თავდასხმის გარემოებებთან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი მკვლელობისათვის. Aამ ტიპის მკვლელობა წარმოადგენს შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობას და ისჯება მხოლოდ სამ

წლამდე თავისუფლების აღკვეთით, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დადგენილი მარტივი განზრახ მკვლელობისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 7-დან 15- წლამდე ვადით. Kკანონდებლის ამგვარ გადაწყვეტილებას სავსებით ვეთანხმებით, გამომდინარე იქიდან, რომ აუცილებელი მოგერიება რეალურად ექსტრემალური ვითარებაა და ამ დროს ადამიანმა რომელიც სამართლით დაცულ კონკრეტულ სიკეთეს იცავს შიშის, დაბნეულობის, სისწრაფის თუ სხვა გარემოებების გამო თავისდაუნებურად გარკვეული შეცდომები შეიძლება დაუშვას.

9. ნაშრომი საგანგებოდ არის გამოყოფილი საკვანძო საკითხები- ქმედება აუცილებელი მოგერიების ფარგლებისას და ქმედება აფექტისას. აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებისას პირის ნებლობითი ელეემენტი კი არ მცირდება, პირიქით, მობილიზებულია, მოგიგერიოს თავდასხმა, ხოლო აფექტის დროს , რომელიც უეცრად აღძრული და სწრაფწარმავალი სულიერი განცდაა, სუსტდება Lნებელობითი კონტროლი და პირი გამოსავალს მოქმედებაში პოულობს.E

10.აუცილებელი მოგერიება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება აქტუალურია სასამართლო პრაქტიკაშიც, სასამართლო საქმეების შესწავლის საფუძველზე იკვეთება, რომ საერთოდ არ გვაქ აუცილებელი მოგერიების მუხლით გამამართლებელი განაჩენი უზნაეს სასამართლოში და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით გამოტანილ განაჩენი კი მხოლოდ ერთია.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. შავგულიძე, თ. სურგულაძე, ლ. 1988წ. *საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხავი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში*, თბილისი ,,მერიდიან";

2. დოინჯაშვილი, თ. 2002წ. *საქართველოს სისხლის სამართლის კომენტარი,* თბილისი;

3. ტურავა მ. 2008წ. *სისხლის სამართალი, ზოგადი მიმოხილვა, მეშვიდე გამოცემა, თბილისი;*

4. ტურავა, მ. 2011წ. *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა,* თბილისი;

5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;

6. ხერხეულიძე, ი. 2010წ. *აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში*, თბილისი. `უნივერსალი“;

7. გამყრელიძე, ო. *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, ზოგადი ნაწილი,* თბილისი, 2005წ

8. ვესელსი, ი. ბოილკე, ვ. 2010წ. *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება,* თბილისი;

9. საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ;

10. ინტერნეტ საიტი supreme court.ge;

11. 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;

12. 1998 წლის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება-რომის სტატუტი;

13. საქართველოს სსრ სსკ კომენტარები. თბილისი 1976წ.;

14. წიქარაშვილი კ. 2006წ. *სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები* გამომც. თბილისი, “მერიდიანი”;

15. წულაია ზ., 1999წ. სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, თბილისი;

16. წულაია ზ., 1996წ. სისხლის სამართალი, ტ.1 თბილისი;

17. გამყრელიძე, ო. ტყეშელიაძე, გ. სურგულაძე, ლ. ტურავა, მ. ებრალიძე თ. 2002წ. *სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი,დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ* – გამოცემულია სამართლებრივი განათლების ასოციაციის მიერ, თბილისი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დემოგრაფიის სადოქტორო პროგრამა
II სემესტრის დოქტორანტი
მაია შამუგია

სადოქტორო სემინარი

„კავკასიის მოსახლეობის ზოგადი მიმოხილვა“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. ვაჟა ლორთქიფანიძე

თბილისი
2018

შესავალი

კავკასიის მოსახლეობის ეთნოდემოგრაფიულ პროცესებს ყოველთვის მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა რეგიონის განვითარებაში. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ამიერ და იმიერკავკასიის ეთნიკურმა შემადგენლობამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმირება განიცადა, რაც განპირობებული იყო ეთნოკონფლიქტების და მძლავრი მიგრაციული ნაკადების არსებობით. კავკასია მრავალეთნიკური და პოლიტიკური თვალსაზრიზით რთულ რეგიონს წარმოადგენს, სადაც მკვიდრი/ავტოქტონი და არამკვიდრი მოსახლეობა გვერდი-გვერდ არაერთი საუკუნეა ცხოვრობენ. მხედველობაში უნდა მივიღოთ კავკასიის მოსახლეობის განსახლების რთული გეოგრაფიული მდებარეობაც, რაც კავკსიონის ქედის და სიმაღლებრივი სარტყელურობით არის განპირობებული, ამას ემატება განსხვავებული სტატუსის მქონე ტერიტორიების და მუდმივად ცვალებადი საზღვრების არსებობის ფაქტორიც. აღნიშნულ ნაშრომში განხილულია კავკასიის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილების გამომწვევი მიზეზები და ამ პროცესების დემოგრაფიული ანალიზი.

ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიად დაყოფის გეოგრაფიული, პოლიტიკური და კულტურული საფუძვლები

კავკასია ყოველთვის იყო რთული რეგიონი როგორც ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით, ასევე მოსახლეობის მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური შემადგენლობით. კავკასიის, ისევე როგორც ევროპის, ცალსახა გეოგრაფიული განსაზღვრება დღეისათვის არ არსებობს. კავკასიის რეგიონს ცალკეულ ნაწილებად ყოფს კავკასიონის ქედის განშტოებანი. უკიდურესად დანაწევრებული ტოპოგრაფია გასაგებს ხდის კავკასიის თვალშისაცემ ეთნიკურ მრავალფეროვნებას. მნიშვნელოვანი ტოპოგრაფიული ბარიერები სხვადასხვა ხალხისა და ტომის ფართო ინტეგრაციის გზაზე გვიხსნის ეთნიკური იდენტიფიკაციის თვალსაჩინო ფრაგმენტაციასა და ლოკალიზაციას. არცთუ იშვიათად თემური, ტომობრივი, ადგილობრივი, რეგიონული იდენტურობები არანაკლებ მნიშვნელობას იძენდნენ, ვიდრე ეთნონაციონალური იდენტურობა. ამან, თავის მხრივ, შექმნა პირობები კულტურათა და ენათა დიდი მრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის. ზოგადი გეოგრაფიული განსაზღვრების მიხედვით, კავკასია მთიანი რეგიონია შავი და კასპიის ზღვის სანაპიროთა შორის. თუ შევეცდებით რეგიონის განსაზღვრას უკანასკნელი 200 წლის ისტორიისა და დემოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით, ჩრდილო საზღვარი ბუნებრივად გაივლის კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე ან მის მოსაზღვრე დაბლობებზე, რომლებიც გამოყოფს ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრი მცირე ხალხების საცხოვრებელ არეალს რუსებით დასახლებული ჩრდილოეთი მიწებისაგან.

XX საუკუნის მიწურულის პოლიტიკური ტერმინოლოგიით, საზღვარი ემთხვევა ჩრდილო კავკასიის ავტონომიების საზღვარს კარსნოდარისა და სტავროპოლის მხარეებთან, საიდანაც იწყება საკუთრივ რუსეთი. დასავლეთით სასაზღვრო არეალს წარმოადგენს რეგიონი, სადაც ერთმანეთს ხვდება, ერთი მხრივ, თურქული, მეორე მხრივ კი ქართული და სომხური მოსახლეობით დასახლებული

ტერიტორია. სამხრეთი საზღვარი უფრო ძნელი განსასაზღვრია, რადგან დემოგრაფიული თვალსაზრისით, მდინარე არაქსის (რომელიც პოლიტიკურ საზღვარს წარმოადგენს) ორივე ნაპირი აზერბაიჯანელი თურქებითაა დასახლებული.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე კავკასიის რეგიონის გეოგრაფიული, კულტურული და ეთნოკონფესიური კომპოზიცია ჩრდილოეთ კავკასიითა და ამიერკავკასიით იყო წარმოდგენილი. 1990-იანი წლების დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის სამმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, კავკასიის გეოპოლიტიკური სურათი რადიკალურად შეიცვალა, რადგან რეგიონის დაყოფის რუსულმა მოდელმა თავისი თავი ამოწურა.

კავკასია მოიცავს 400,000 კვ.კმ, დაახლოებით 20 მილიონზე მეტი მოსახლეობით. განსაზღვრას ართულებს ისიც, რომ ჩრდ. კავკასიის ადმინისტრაციული ერთეულები უფრო ჩრდილოეთით ვრცელდება, ვიდრე სატიტულო ერების ტრადიციული განსახლების არეალი. როგორც ჩანს, ამგვარი პოლიტიკური რუკის უზრუნველყოფა ადრეულ საბჭოთა პერიოდში მიზნად ისახავდა სლავი მოსახლეობის მოქცევას ამ საზღვრებში, დემოგრაფიული შემადგენლობის „განზავებისათვის“.

ნიშანდობლივია, რომ რუსი მკვლევრების აზრით, კავკასია, სიტყვის ფართო გაგებით, მოიცავს არა მხოლოდ ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიას, არამედ კავკასიის სტეპურ მთისწინეთსაც (Предкавказье), რომლის შემადგენლობაში შედის სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეები და როსტოვის ოლქი. მკვლევართა მეორე ნაწილი, გამოდის რა ეთნოდემოგრაფიული კრიტერიუმიდან, კავკასიას იმ ტერიტორიით შემოსაზღვრავს, რომელიც დასახლებულია მკვიდრი მთიელი მოსახლეობით. ისინი Предкавказье-ს, ზოგჯერ კი მასთან ერთად ვოლგოგრადისა და ასტრახანის ოლქებს, აგრეთვე ყალმუხეთს, სამხრეთ რუსეთის რეგიონს უწოდებენ. მათი აზრით, ეს, გარკვეული თვალსაზრისით, გარდამავალი ზონაა, რომელიც რაღაც ნიშნებით რუსეთს, რაღაცით კი ჩრდილოეთ კავკასიას ემსგავსება. მიგრაციულმა

პროცესებმა, რომლებიც მრავალი თაობის მანძილზე მიმდინარეობდა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, თანდათანობით ძნელად განსასაზღვრი და პირობითი გახადა საზღვარი Предкавказьеსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს ამიერკავკასიასა და Предкавказье-ს შორის. ტერმინი „ტრანსკავკასია“ (ამიერკავკასია) რუსული „ЗакавказЬе“-დან მოდის და ნიშნავს კავკასიონის ქედს მიღმა არსებულს, ანუ სწორედ რუსეთის ხედვას ასახავს.

დღეს ფართოდ გამოიყენება უფრო ნეიტრალური ტერმინი – სამხრეთ კავკასია. პოლიტიკურად იგი მოიცავს სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს – სომხეთს, აზერბაიჯანს და საქართველოს. თანამედროვე გეოპოლიტიკური რეალობის ამსახველი კიდევ ერთი წარმოდგენით, კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური სივრცე მოიცავს ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებს. თუ ტრადიციული მიდგომის თანახმად, მოცემულ რეგიონში შედის მხოლოდ პოსტსაბჭოთა ტერიტორიები (ჩრდილოეთ კავკასია – ავტონომიური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები – და ამიერკავკასია – აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი), ამ წარმოდგენის თანახმად, მასში ექცევა ირანის ჩრდილოდასავლეთი ოლქები – სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასია – და თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქები (ყარსი, არდაგანი, ართვინი და სხვ.) – სამხრეთ-დასავლეთი კავკასია. ეს იმითაა მოტივირებული, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე, რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობამდე, ეს მიწები ერთიან სოციალეკონომიკურ და ეთნოკულტურულ სივრცეს შედგენდნენ, სადაც დღესაც ცხოვრობენ კავკასიელი ხალხები. სამხრეთ-დასავლეთი კავკასია (თურქეთი) და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასია (ირანი) ერთად შეადგენენ *სამხრეთ კავკასიას.*

დღევანდელი პოლიტიკური რუკის თანახმად, კავკასიის რეგიონი მოიცავს სამ სახელმწიფოს – სომხეთს, აზერბაიჯანს და საქართველოს – და მეოთხე სახელმწიფოს ნაწილს, რამდენადაც ჩრდ. კავკასია რუსეთის ფედერაციის ნაწილია. ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიული ერთეულებია (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ):

ადიღე, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი და დაღესტანი. აღსანიშნავია, რომ აფხაზები და სამხრეთ ოსები, რომლებსაც აქვთ ადმინისტრაციული ერთეულები საქართველოს ფარგლებში, ეთნიკურად ჩრდილოკავკასიელ ხალხებს ენათესავებიან.

მრავალი ასწლეულის განმავლობაში ყველა კავკასიელი ხალხიდან მხოლოდ ქართველებსა და სომხებს ჰქონდათ მეტ-ნაკლებად მკაფიოდ გაცნობიერებული ეთნონაციონალური იდენტურობა. შუა საუკუნეებში და შემდეგაც ეთნიკურ წამონაქმნებს შორის არ არსებობდა მყარი და მტკიცე კავშირები, რომლებიც მათ დიდი ხნით გააერთიანებდა. ასეთი წარმონაქმნების წევრებს ჰქონდათ საერთო სახელწოდება, საერთო მითი წარმოშობის, საერთო ისტორიისა და სპეციფიკური კულტურის შესახებ. მათ ჰქონდათ, აგრეთვე, სოლიდარობის გრძნობა, ოღონდ არასახელმწიფო-პოლიტიკური თვალსაზრისით (სიტყვის თანამედროვე გაგებით). მაგალითად, შუა საუკუნეების ქართველებისა და სომხებისათვის იდენტურობა, პირველ რიგში, რელიგიური ტერმინებით გამოიხატებოდა. აქ საინტერესოა აღინიშნოს, რომ თამარის დროს საქართველო წარმოადგენდა მრავალეროვნულ სახელმწიფოს, რომელშიც შედიოდნენ სომხებიც და სხვადასხვა მაჰმადიანი ხალხებიც. ქართველებისაგან განსხვავებით, რომლებიც კომპაქტურად ცხოვრობდნენ თავიანთ ისტორიულ ტერიტორიაზე, სამ იმპერიაში - ოსმალთა, სპარსეთისა და რუსეთის. გაფანტული სომხები არსად შეადგენდნენ კომპაქტურ უმრავლესობას, გარდა ერევნის ირგვლივ ტერიტორიისა, სადაც რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომმა მიგრაციამ საშუალება მისცა სომხებს, გაბატონებული პოზიციები მოეპოვებინათ. XIV საუკუნეში სომხეთმა დაკარგა სახელმწიფო-პოლიტიკური იდენტურობა.

ეთნიკური და პოლიტიკური დანაწევრება განსაკუთრებით დამახასიათებელია ჩრდილოეთ კავკასიისათვის. XIX ს. დასაწყისისათვის ჩრდილოეთ კავკასია პოლიტიკურად დაქუცმაცებული რჩებოდა მრავალ დამოუკიდებელ ან ნახევრადდამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად. მხოლოდ დაღესტანში არსებობდა 10-ზე მეტი ფეოდალური სამფლობელო და სასოფლო თემთა რამდენიმე

ათეული გაერთიანება. ფაქტობრივად, კავკასიის გაერთიანება, ხანგრძლივი ისტორიული ინტერვალის შემდეგ, პირველად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოხდა.

კავკასიელ მკვლევართა ნაწილის აზრით, კავკასიის დიქოტომიურ დაყოფას რუსეთის (ჩრდილოეთ) და არარუსეთის (სამხრეთ) კავკასიად საფუძვლად ედო რუსეთის პოლიტიკოსთა ნება. ასეთი დაყოფის შედეგად ეთნოკულტურულმა ტრადიციებმა კავკასიაში ღრმა ტრანსფორმაცია განიცადა. ამაზე დაყრდნობით, კეთდება სხვადასხვა დასკვნები იმის თაობაზე, რომ ისტორიული მეთოდი ნაკლებად გამოსაყენებელია კავკასიის სოციალური რეალობის შესასწავლად, რადგან კავკასიის კულტურულისტორიულ განვითარებაში შეწყვეტილია მემკვიდრეობითი ხაზი, რაც რუსეთ-კავკასიის ომს (XIX ს.) უკავშირდება. მან სერიოზული ზიანი მიაყენა კავკასიურ გენოფონდს, დაანგრია აქ ისტორიულად ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი და რეგიონის ხალხთა უნიკალური კულტურა. შემდგომში არ მომხდარა ცხოვრების ძველი ტრადიციული ფორმების აღდგენა, ცხოვრება მოეწყო იმ რუსული მოდელის მიხედვით, რომელიც ტექნოგენური ცივილიზაციის პრინციპებს ემყარებოდა და არ იყო საკუთრივ კავკასიური სოციალურ-კულტურული სისტემის ლოგიკური გაგრძელება.

ცხადია, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიად დაყოფას მხოლოდ პოლიტიკოსთა ნება არ განსაზღვრავდა და ეს არც XIX საუკუნეში, კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ მომხდარა. ამ დაყოფას, გაცილებით ძველი პოლიტიკური მიზეზების გარდა, გეოგრაფიული და კულტურული ფაქტორებიც განაპირობებდა. ისიც უნდა ითქვას, რომ საუკუნეთა მანძილზე კავკასია, დაყოფის მიუხედავად, გარკვეულ მთლიანობას ინარჩუნებდა – ხან გეოპოლიტიკური, ხან გარკვეულწილად კულტურული თვალსაზრისით. თუმცა, დაყოფის ტენდენცია ისტორიულად ერთიანობის ტენდენციაზე ძლიერი იყო.

კავკასიის ერთიან გეოპოლიტიკურ და კულტურულ სივრცედ მოაზრების შესაძლებლობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისს

ვხვდებით. მაგალითად, ჯ.კაშიას აზრით, „გეოპოლიტიკური თვალსაზრისით“, ამიერკავკასია და ჩრდილოეთ კავკასია თითქოს ერთიან სივრცეს ვერ უნდა ქმნიდეს კავკასიონის ქედის სიმაღლისა და „კედლურობის“ გამო. ეს საკითხი ამ სივრცის იბეროკავკასიური კონცეფციის საზღვრებში მოქცევის ტრადიციასთან უფრო ჩანს დაკავშირებული, ვიდრე სერიოზულ ინტეგრალურ ანალიზთან”. გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს კიდევ ორი მომენტი: ერთის მხრივ, გეოპოლიტიკური და ისტორიული პირობები განსაზღვრავდა ზოგადკავკასიური კულტურულ-ტიპოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბებას, კავკასიის ინტეგრალური ვექტორების ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ორიენტაციის ფონზე. ამ ორიენტაციას კი ჯ. კაშიას აზრით, საფუძვლად ედო კავკასიონის ჩრდილოეთით გაშლილი სივრცის აუთვისებლობა და ის გარემოება, რომ ამ დიდი სივრცის ათვისება არც ერთ ჩრდილოკავკასიელ ხალხს არ შეეძლო; მეორეს მხრივ, არა მხოლოდ მთელი კავკასიის, არამედ ამიერკავკასიის გეოპოლიტიკური კონფიგურაციაც კი, მისი შემადგენელი ხალხების კულტურული და ცივილიზაციური თავისებურებებიდან გამომდინარე, ამბივალენტურობით ხასიათდება.

სამეცნიერო თვალსაზრისით, მიუღებელია ორივე უკიდურესობა: ერთი მხრივ, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი კულტურული მახასიათებლების უარყოფა, მეორე მხრივ, მათთვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება და განსხვავებებზე თვალის დახუჭვა.

კავკასიის მოსახლეობის ეთნო-ლინგვისტური და რელიგიური შემადგენლობა

კავკასია (აზერ. Qafqaz; სომხ. Կովկաս; რუს. Кавказ) სახელწოდება პირველად მოხსენიებულია დრამატურგის ესქილეს ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“ და წარმოადგენს ვრცელ ბუნებრივ რეგიონს შავ, კასპიის და აზოვის ზღვებს შორის. კავკასია შემოსაზღვრულია კუმა-მანიჩის ღრმულით (ჩრდილოეთი), ირანით და თურქეთით (სამხრეთი), ყუბანის შესართავით (დასავლეთი) და აფშერონის ნახევარკუნძულით (აღმოსავლეთი). კავკასიის ფართობი ≈440 ათასი კმ^2-ია, სადაც 30მლნ. ადამიანი ცხოვრობს. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი კავკასიონს ჩრდილოეთ კავკასიად (იმიერკავკასიად; ფართობი 250 ათასი კმ^2) და ამიერკავკასიად (ფართობი 190 ათ. კმ^2) ყოფს. ბუნებრივი პირობების მიხედვით განასხვავებენ აგრეთვე დასავლეთ და აღმოსავლეთ კავკასიონს, რომელთაგან პირველი მოიცავს აზოვისა და შავი ზღვის აუზს, მეორე — კასპიის ზღვის აუზს. ქედი ამასთანავე წარმოადგენს ბუნებრივ საზღვარს ზომიერი და სუბტროპიკული ზონებისა. გეოგრაფიულად კავკასიას ეკუთვნის ასევე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი, როსტოვის ოლქისა და ყალმუხეთის რესპუბლიკის ტერიტორიების ნაწილი.

კავკასიაში ცხოვრობს 50-ზე მეტი ეროვნების ხალხი, რომლებიც ლაპარაკობენ იბერიულ-კავკასიურ (კავკასიურ), ინდოევროპულ და ალტაურ ენობრივ ოჯახთა ენებზე. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შედის ქართველურ, აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტნურ ენათა ჯგუფები. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია ქართველები, ისინი ცხოვრობენ კავკასიონის შუა ნაწილის სამხრეთ კალთაზე. ამ ოჯახის ენებზე მოლაპარაკე ყველა სხვა ხალხი, აფხაზების გარდა, განსახლებულია კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე.

- აფხაზურ-ადიღურ ჯგუფში შედიან წარმოშობით მონათასავე ადიღეელები (ადიღე და კრასნოდარის მხარის მეზობელი

რაიონები), ჩერქეზები (ყარაჩაი-ჩერქეზეთი) და ყაბარდოელები (ყაბარდო-ბალყარეთი დაბლობი ნაწილი და ჩრდილოეთი ოსეთისმოზდოკის რაიონი), აგრეთვე აფხაზები (აფხაზეთი და აჭარა) და აბაზები (ყარაჩაი-ჩერქეზეთის ჩრდილოეთი ნაწილი).

- ნახურ ჯგუფში შედიან ჩაჩნები (ჩაჩნეთ-ინგუშეთის აღმოსავლეთი და ცენტრალური რაიონები და დაღესტანი ხასავიურთის რაიონი) და ინგუშები (ჩაჩნეთ-ინგუშეთი დასავლეთი რაიონები და მისი მომიჯნავე ჩრდილოეთ ოსეთის რაიონები), ენობრივად ამავე ჯგუფს უკავშირდებიან ბაცბები ანუ წოვა-თუშები (საქართველო, ახმეტის რაიონი), თუმცა კულტურულ-ისტორიულად, რელიგიურად, ყოფითა და სხვა ძირითადი ნიშნების მიხედვით ისინი ქართველი ერის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

- დაღესტნელ ხალხთა დიდი უმრავლესობა შედის დაღესტნურ ჯგუფში, რომელიც შედგება ოთხი ქვეჯგუფისაგან: ხუნძური, დარგუული, ლაკური და ლეზგიური. ხუნძურ ქვეჯგუფში (მთიანი დაღესტანი და აზერბაიჯანის ჩრდილოეთ-დასავლეთი რაიონები) ხუნძებისგარდა შედიან მათათან თითქმის შერწყმული მცირერიცხოვანი ანდიურ-დიდოური (ცეზური) ხალხები (ანდიელები, ბოთლიხელები, ღოღობერიელები, ჭამალალები, კვანდელები, ტინდიელები, ყარადაღელები, ახვახელები, ცეზები, ჰინუხები, ხვარშიელები, ბეჟიტელები, ჰუნზიბელები), აგრეთვე არჩიბელები.

- დარგუულ ქვეჯგუფში (შუა დაღესტნის მთიანი და მთისპირა რაიონები) დარგუელთა გარდა ხაიდაყელები და კუბაჩელები, ლაკები ცხოვრობენ ცენტრალურ დაღესტნის მთებში. ლეზგიურ ქვეჯგუფში შედიან ლეზგები (დაღესტნის აღმოსავლეთი და აზერბაიჯანის ჩრდილოეთი რაიონები), თაბასარანელები(სამხრეთ-აღმოსავლეთ დაღესტანი, დერბენტის დასავლეთით), აღულები (დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთის მაღალმთიანი ნაწილი), რუთულელები(სამხრეთ დაღესტანი, მდინარე სამურის ზემო დინება), წახები (რუთულელების დასავლეთით), მათვე განეკუთვნებიან

ჩრდილოეთი აზერბაიჯანის მცირერიცხოვანი ხალხები: უდიები, ბუდუხები, კრიწები და ხინალუღები.

კავკასიაში მცხოვრებ ხალხთაგან ინდოევროპულ ენათა ოჯახში შედიან რუსები, უკრაინელები, სომხები და ირანის ჯგუფის ხალხები. რუსები ცხოვრობენ სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებში, აგრეთვე კავკასიის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში; უკრაინელები — კრასნოდარის მხარეში. ჩრხილოეთ კავკასიის რუსი და უკრაინელი მოსახლეობა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ ყუბანისა და თერგის კაზაკები.

ინდოევროპულ ოჯახის ცალკე ჯგუფია სომხები. შეადგენენ სომხეთის ძირითად მოსახლეობას, ცხოვრობენ აგრეთვე მთიან ყარაბაღში, საქართველოში (უმთავრესად ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში) კავკასიის ქალაქებში. ინდოევროპული ოჯახის ირანულენოვან ჯგუფს განეკუთვნებიან ოსები (ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი), ქურთები (სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი), თათები (აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთი და დაღესტნის სამხრეთი ნაწილი), თატურ ენაზე მოლაპარაკე მთის ებრაელები (დაღესტანი და აზერბაიჯანი), თალიშები (აზერბაიჯანის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი).

ალთაური ოჯახის თურქულ ჯგუფის ენებზე ლაპარაკობენ აზერბაიჯანელები (აზერბაიჯანი და საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის მოსაზღვრე რაიონები); ერთმანეთთან ახლომონათესავე ყარაჩაელები (ყარაჩაი-ჩერქეზეთის სამხრეთ მთიანი რაიონები) და ბალყარები (ყაბარდო-ბალყარეთის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთი რაიონები), ყუმუხები (დაღესტნის დაბლობი ნაწილი, მცირე რაოდენობით — ჩაჩნეთ-ინგუშეთისა და ჩრდილოეთ ოსეთში), ნოღაელები(სტავროპოლის მხარე და დაღესტანი), თათრები (აზერბაიჯანის ქალაქები), კავკასიის თურქმენები (სტავროპოლის მხარის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი რაიონები).

კავკასიაში მცირე ჯგუფებად ცხოვრობენ ბერძნები, ასურელები, მოლდაველები, ესტონელები, მორდველები, კორეელები, ბოშები.

კავკასიის მორწმუნე მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანობას აღიარებს. მართლმადიდებლები არიან: რუსები, უკრაინელები, ოსების ძირითადი ნაწილი, ქართველებისა და აფხაზების უმრავლესობა, მოზდოკის ყარაბდოელები; მონოფიზიტები - სომხები. დანარჩენი ხალხების დიდი ნაწილი მუსლიმანები იყვნენ, მ. შ. ლეკების მცირე ნაწილი — შიიტები; სხვები და ნაწილობრივ აფხაზები, ოსები და ქართველები (აჭარლები და ინგილოები) — სუნიტები. ქართველი და მთიელი ებრაელები აღიარებდნენ იუდაიზმს.

ენობრივი კლასიფიკაციის შესაბამისად კავკასიელი ხალხები შემდეგ ჯგუფებად იყოფიან:

კავკასიური ოჯახის ხალხები:

ქართველური ჯგუფი: ქართველები (საქართველოში: დაახლ. 3,7მლნ.; საერთო რაოდენობა: 7,2მლნ.)

აფხაზურ-ადიღეური ოჯახი: აფხაზები (95 ათასი), აბაზინები (31 ათასი), ყაბარდოელები (304 ათასი), ჩერქეზები (50 ათასი), ადიღეელები (115 ათასი).

ნახური ჯგუფი: ჩეჩნები (840 ათასი), ინგუშები (200 ათასი).

დაღესტნური ჯგუფი: ავარელები (54 ათასი), ლეკები (43 ათასი), ლაკები (110 ათასი), დარგუელები (32 ათასი).

ალთაური ოჯახის ხალხები:

- თურქული ჯგუფი: აზერბაიჯანელები (5800 ათასი), ყუმუხები (255 ათასი), ყარაჩაელები (140 ათასი), ბლაყარელები (69 ათასი).
- მონღოლური ჯგუფი: ყალმუხები (218 ათასი)

ინდოევროპული ოჯახის ხალხები:

- სლავური ჯგუფი: რუსები (8100 ათასი), უკრაინელები (350 ათასი). ბევრი მათგანი თავს კაზაკებად მიიჩნევს.
- ბერძნული ჯგუფი: ბერძნები (120 ათასი).
- ირანული ჯგუფი: ოსები (570 ათასი), ქურთები (230 ათასი)
- სომხური ჯგუფი: სომხები (4300 ათასი).

აფრაზიული ოჯახის ხალხები:

- სემიტური ჯგუფი: ებრაელები (30 ათასი), ასურელები (11 ათასი)

მიუხედავად ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი სხვაობისა, კავკასიელებს ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, აგრეთვე საერთო ისტორიული ბედი, კულტურებისა და ტრადიციების მსგავსება.

ქალაქები

კავკასიის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალაქებში ცხოვრობს. ქალაქის მოსახლეობის ყველაზე დიდი პროცენტია ჩრდილოეთ ოსეთში - 68% და სომხეთში - 66%, ყველაზე ნაკლები - დაღესტანში 39%. სამ კავკასიურ ქალაქში მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს (ბაქო, თბილისი, ერევანი), 10 ქალაქში - 200 ათასზე მეტი, 8 ქალაქში - 100 ათასზე მეტი. მნიშვნელოვანი ქალაქებია:

ბაქო (1.757.000), თბილისი (1.264.000), ერევანი (1.215.000), კრასნოდარი (620.000), გროზნო, (401 ათასი), სოჭი (337ათასი), ვლადიკავკაზი (320 ათასი), სტავროპოლი (318 ათასი), მაჰაჩყალა (315 ათასი), განჯა (232 ათასი), ნალჩიკი (207 ათასი), გიუმრი (206 ათასი), ქუთაისი (200 ათასი).

კავკასიის ქალაქები გაჩნდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ეპოქაში. არსებული ქალაქებიდან ყველაზე ძველია: *ერევანი* (ცნობილია ძვ.წ. 782 წლიდან როგორც ურარტული ციხესიმაგრე ერებუნი), *ქუთაისი* (ცნობილია ძვ.წ. მე-6 ს-დან როგორც ლეგენდარული კოლხეთის სამეფოს დედაქალაქი აიას სახელით), *ვანი* (სავარაუდოდ ანტიკურ წყაროებში ნახსენები სურიემი), *სოხუმი* (ანტიკური დიოსკური), *ფოთი* (ანტიკური ფაზისი), *ბარდა* (კავკასიის ალბანეთის დედაქალაქი) და სხვა. ჩრდილოკავკასიური ქალაქები საკმაოდ ახალგაზრდები არიან - წარმოიქმნენ მე-17-18 საუკუნეებში, გარდა რამდენიმე ქალაქისა, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მდებარეობენ.

ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის ზოგადი დახასიათება

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობა

რუსეთის მოსახლეობა - 146 880 432 (2018წ.), 142 856 536 (2010წ. აღწერა), სიმჭიდროვე 8,56 ადამიანი/კმ^2 (მსოფლიოში 181-ე ადგილი), ფართობი 17 ათასი კვ.კმ (მსოფლიოში 1-ლი ადგილი), მმართველობის ფორმა საპრეზიდენტო-საპარლამენტო (შერეული ტიპის რესპუბლიკა) ტიპის რესპუბლიკა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ფორმა - ფედერაცია. რუსეთის ფედარიის შემადგენლობაში შედის 85 სუბიექტი, აექდან 46 ოლქია, 22 რესპუბლიკა, 9 მხარე, 3 ფედერაციული მნიშვნელობის ქალაქი, 4 ავტონომიური ოკრუგი (ნენეცკის აო, ხანტი-მანსიისკის აო, ჩუკოტსკის აო, იამალო-ნენეცკის აო) და 1 ავტონომიური ოლქი (ებრაელების ავტონომიური ოლქი, რომელიც შორეული აღმოსავლეთის ფედერაციული ოლქის შემდგენლობაშია, ადმინისტრაციული ცენტრი - ბირობიჯანი); რუსეთში 157 ათასი დასახლებული პუნქტია. რუსეთის ფედერაცია ასევე 8 ფედერაციულ ოკრუგად იყოფა, სადაც რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი მუშაობს. ფედერაციული ოკრუგები არ წარმოადგენენ კონსტიტუციურ სუბიექტებს და ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის ნაწილს არ განეკუთვნებიან. ისინი სამხედრო ოკრუგების და ეკონომიკური რაიონების ანალოგიების საფუძველზე შეიქმნა, მაგრამ მათ რაოდენობას და შემადგენლობას არ დაემთხვა, გამონაკლისია მხოლოდ შორეული აღმოსავლეთის ფედერაციული ოკრუგი მსგავსი სახელწოდების ეკონომიკური რაიონით. რვა ფედერაციული ოკრუგია:ცენტრალური, ჩრდილო-დასავლეთის, სამხრეთის, ჩრდილო-კავკასიის, ვოლგისპირეთის, ურალის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთს.

ჩრდილო-კავკასიის ფედერალური ოკრუგი (Северо-Кавказский Федеральный Округ)

2010წ. 19 იანვრის პრეზიდენტ მედვედევის ბრძანებით ჩრდილო-კავკასიის ფედერალური ოკრუგი გამოეყო სამხრეთის ფედერალურ ოკრუგს, რომელიც მოიცავს ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილს. ოკრუგის ცენტრია ქალაქი პიატიგორსკი, ოკრუგის ტერიტორიის ფართობი 170,439კმ^2 შეადგენს (რფ ტერიტორიის 1%), მოსახლეობის რაოდენობაა 9,8მლნ. ადამიანი (2018, რფ მოსახლეობის 6,7%). ფართობით რუსეთის ფედერაციის ყველაზე პატარა ოკრუგია, ამასთანავე ერთადერთი, სადაც რუსები არ შეადგენენ ეთნიკურ უმრავლეოსბას. ჩრდილო-კავკასიის ფედერალური ოკრუგის მოსახლეობის მხოლოდ 30%-ს რუსები შეადგენენ. ყველაზე მეტი რუსი ცხოვრობს სტავროპოლის მხარეში, ხოლო ექვს რესპუბლიკაში რუსების წილი მთლიან მოსახლეობასთან მიმართებაში მხოლოდ 9%-ს შეადგენს.

2010წ. აღწერის მონაცემების მიხედვით[1] ჩრდილო-კავკასიის ფო მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა, სულ ფო დაფიქსირდა 9,428, 826 ადამიანი, აქედან: რუსები - 2,854,040 (30,26%), ჩეჩნები - 1,335,857 (14,17%), ავარები - 865,348 (9,18%), დარგუელები - 541,552 (5,74%), ყაბარდოელები - 502,817 (5,33%), ოსები - 481,492 (5,11%), ყუმიხები - 466,769 (4,95%), ინგუშები - 418,996 (4,44%), ლეკები - 396,408 (4,2%), ყარაჩაელები - 211,122 (2,39%), სომხები - 190,825 (2,02%), ლაკები - 166,526 (1,77%), აზერბაიჯანელები - 155,394 (1,65%), თაბასარანელები - 127, 941 (1,36%), ბალყარელები - 110,215 (1,17%), ნოღაელები - 82,026 (0,87%), ჩერქეზები - 61,409 (0,65%), უკრაინელები - 42,431 (0,45%), აბაზინები - 41,431 (0,45%), ბერძნები - 37,096 (0,39%), ბოშები - 36,465 (0,39%), თურქები - 31,040 (0,33%), აღულები - 29,979 (0,32%), რუთულები - 29,413 (0,31%), თათრები - 22,541 (0,24%), ქართველები - 19,696 (0,21%), თურქმენები - 15,750 (0,17%), კორეელები -

[1] Всероссийская перепись населения 2010 года. Официальные итоги с расширенными перечнями по национальному составу населения и по регионам.

12,551 (0,13%), ცახურები - 10,215 (0,11%), ბელორუსები - 9,217 (0,10%), და სხვა ეროვნებები - 170,391 (1,81%), არ მიუთითეს ეროვნება - 63,022 (0,67%).

ჩრდილო-კავკასიის ფედერალური ოკრუგის ეთნო-ლინგვისტური შემადგენლობა (%-ში, 2010წ.)[2]

ლინგვისტური ოჯახი/ჯგუფი	ჩრ.-კავკასიის ფო	დაღესტანი	ინგუშეთი	ყაბარდო-ბალყარეთი	ყარაჩაი-ჩერქეზეთი	ჩრ.ოსეთი	ჩეჩნეთი	სტავროპოლის მხარე
ჩრდილო-კავკასიური ოჯახი	48,07 %	74,42 %	98,11 %	58,25 %	20,25 %	5,18 %	95,96 %	3,94 %
სლავური ჯგუფი	30,84 %	3,64 %	0,81 %	23,15 %	31,93 %	21,23 %	1,96 %	81,51 %
თურქული ჯგუფი	11,75 %	20,91 %	0,27 %	15,14 %	45,04 %	3,56 %	1,70 %	3,80 %
ირანული ჯგუფი	5,22 %	0,08 %	0,03 %	1,19 %	0,72 %	64,58 %	0,05 %	0,53 %
სომხური ჯგუფი	2,02 %	0,17 %	0,00 %	0,58 %	0,57 %	2,28 %	0,04 %	5,79 %

ჩრდილო-კავკასიის ფო შემადგენლობაში 7 სუბიექტი შედის, 6 რესპუბლიკა და ერთი მხარე: ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთი, ინგუშეთის, ჩეჩენთის და დაღესტნის რესპუბლიკები, და სტავროპოლის მხარე.

№	დროშა	ფედერაციის სუბიექტი	ფართობი (კმ²)	მოსახლეობა (ადამიანი)	ადმინისტრაციული ცენტრი და მოსახლეობა (ადამიანი)[3]
1		სტავროპოლის მხარე	66 160	↘2 800 674	სტავროპოლი (433 577)
2		ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა	14 277	↘466 305	ჩერკესკი (122 478)
3		ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა	12 470	↗865 828	ნალჩიკი (239 200)
4		ჩრ. ოსეთის რესპუბლიკა - ალანია	7 987	↘701 765	ვლადიკავკაზი (306 978)
5		ინგუშეთის რესპუბლიკა	3 628	↗488 043	მაგასი (7 818)
6		ჩეჩნეთის რესპუბლიკა	15 647	↗1 436 981	გროზნო (291 687)
7		დაღესტნის რესპუბლიკა	50 270	↗3 063 885	მახაჩკალა (592 976)

[2] http://www.gks.ru/free_doc/new_site/perepis2010/croc/results2.html **Итоги Всероссийской переписи населения 2010 года в отношении демографических и социально-экономических характеристик отдельных национальностей**

[3] Численность населения Российской Федерации по муниципальным образованиям на 1 января 2017 года

ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა

ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა (ყარაჩაი-ჩერქეზეთი) - რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ-კავკასიის ფედერაციული ოკრუგის შემადგენლობაში შედის და ჩრდილოეთ-კავკასიის ეკონომიკური რაიონის ნაწილს წარმოადგენს. რესპუბლიკა მდებარეობს დიდი კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე, კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მისი ტერიტორია 14,1 ათასი კმ^2 და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის 0,1%-ს შეადგენს. ყარაჩაელებისა და ჩეჩნების წინაპრები ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. ყარაჩაელები თურქილენოვან ეთნოსს ეკუთვნის, ისე როგორც მათი მონათესავე ბალყარელები. ფაქტობრივად ისინი ერთი ხალხია. თუმცა მათ არ აქვთ საერთო ეროვნული თვითშეგნება, რაც განაპირობა მათმა ტერიტორიულმა გათიშულობამ. ყარაჩაელები და ბალყარელები იალბუზის მთების გარშემო ცხოვრობენ და იალბუზის მთა მათ ერთმანეთისგან გამოყოფს. ყარაჩაულ-ბალყარული ენა განეკუთვნება თურქულ ენათა ყივჩაღურ ჯგუფს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ყარაჩაელთა განსახლების ადგილზე თავდაპირველად ირანული მოდგმის ალანები ცხოვრობდნენ. ისე როგორც სხვა კავკასიელი ხალხები, ისინი ხშირად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს - ხან მდ.ყუბანის ხეობის სათავეში ბინადრობდნენ, ხან კოდევ მდ.ბაკსანის ხეობაში. მეცნიერებაში გამოთქმული შეხედულებებიდან უფრო მეტად ის მოსაზრებაა გასაზიარებელი, რომ მონღოლებამდე ყარაჩაელთა და ბალყარელთა ეთნიკური ერთობა არ იყო ცამოყალიბებული, და ყარაჩაული ეთნოსის ჩამოყალიბება და წარმოქმნა მონღოლთა გამოჩენასა და ლაშქრობებს უკავშირდება, რომელთა ლაშქრობებმაც თურქულენოვანი ტომების ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში დამკვიდრება და ადგილობრივ ხალხთან შერევის შედეგად ახალი - ყარაჩაული ეთნოსის წარმოქმნა გამოიწვია[4]. საერთოდ ყარაჩაელთა ეთნოგენეზსში

[4] რ.თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილის, 2007, გვ.125.

მონაწილებდნენ ადგილობრივი კავკასიელი ხალხები და მოსული ირანულენოვანი და თურქულენოვანი ტომები. მიუხედავად იმისა, რომ ყარაჩაელები და ბალყარელები ფაქტობრივად ერთი ხალხია, საბჭოთა ხელისუფლებამ ისინი სხვადასხვა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში გააერთიანა და ამდენად სხვადასხვა ხალხებთან - ყარაჩაელები ჩერქეზებთან და ბალყარელები ყაბარდოელებთან.

ამდენად თავის დროზე ყარაჩაი-ჩერქეზეთი ავტონომიური ოლქის შექმნა ეროვნული ნიშნის მიხედვით არ მომხდარა. უმთავრესად გაერთიანება მოხდა სოციალურ-ეკონომიკური ნიშნის საფუძველზე. 1926წ. ავტონომიის დაყოფა ხდება ეროვნული ნიშნის მიხედვით: ყარაჩაის ავტონომიურ ოლქად, ჩერქეზეთის ნაციონალურ ოკრუგად და რუსულ ბატალფაშინის რაიონად. როდესაც ეროვნული ავტონომიების შექმნას საფუძვლად ედება სამეურნეო-ეკონომიკური არგუმენტები, მაშინ უკვე აზრს კარგავს ასეთი ავტონომიების შექმნა. მიუხედავად ამისა, 1957წ. ისევ მოხდა ყარაჩელებისა და ჩერქეზების გაერთიანება და ავტონომიური ოლქის თავდაპირველი სახელწოდებით ხელახლად შექმნა.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოსახლეობა XIX საუკუნის დასაწყისითვის, არასრული ცნობებით დაახლოებით ნახევარ მილიონ კაცს უდრიდა[5]. ამ პერიოდში ყარაჩაის შავი ჭირის ეპიდემია მოედო და მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიღუპა. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე თანდათანობით ფეხი მოიკიდა რუსულმა მოსახლეობამ და მათ აქ საკმაოდ დიდი სოფლები დაარსეს.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა 1858წ-1864წწ. თურქეთში გადასახლების შედეგად. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ეს გადასახლება ყველაზე მეტად შეეხო ადიღე-ჩერქეზებს, მაგრამ ასევე დიდი რაოდენობით გადასახლდა თურქეთში ყარაჩაელები და ამ პერიოდში ყარაჩაი-ჩერქეზეთში მრავლად მცხოვრები ნოღაელები.

[5] რ.თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილის, 2007, გვ.12-13.

1897წ. აღწერის თანახმად ყარაჩაელთა რაოდენობა 27,223 კაცს უდრიდა და ისინი მდ.ყუბანის ზემო ხეობასა და ყუბანის ოლქის ბატალფაშინის ოკრუგში ცხოვრობდნენ.

XX საუკუნეში ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის ცვლილება გარკვული თვისებებით ხასიათდება.

ცხრილი № 1 ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა 1926-2002წწ.

წლები / ეროვნება	1926		1939		1959	1970	1979	1989	2002	
	ყარაჩაი	ჩერქეზეთი	ყარაჩაი	ჩერქეზეთი						
მოსახლეობის რ-ბა, ათასი	65	37	150	93	278	345	367	415	439	
%	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	
მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა										
ყარაჩაელები ათასი	53	-	70	1	68	97	109	130	169	
%	81.6	-	46.8	1.0	24.4	28.1	29.7	31.3	38.5	
ჩერქეზები ათასი	-	15	-	16	24	31	34	40	50	
%		40.6		17.2	8.7	9.0	9.3	9.6	11.4	
რუსები ათასი	1	1	65	54	142	162	166	176	148	
%	1.5	1.5	43.0	58.0	51.0	47.0	45.2	42.4	33.7	
აბაზები ათასი	3	11	4	10	18	23	24	27	32	
%	4.6	29.7	2.6	10.8	6.5	6.6	6.6	6.6	7.3	
ნოღაელები ათასი	-	6	1	6	9	11	12	13	15	
%		16.2	0.5	6.5	3.2	3.2	3.2	3.1	3.4	
დანარჩენი ათასი	8	4	10	6	17	21	22	29	25	
%	12.3	10.8	7.1	6.5	6.2	6.1	6.0	7.0	5.7	

ეს თავისებურებები დაკავშირებულია ტერიტორიულ ცვლილებებსა და მიგრაციულ პროცესებთან, განსაკუთრებით 1926-1939წწ. ამ პერიოდში რუსების რაოდენობის 60-ჯერ გაზრდა სწორედ ამ ცვლილებებს უკავშირდება.

ოლქში ძირითადად ბინადრობენ ყარაჩაელები და ჩერქეზები, აგრეთვე აბაზები და ნოღაელები. აბაზები აფხაზების მონათესავე ხალხია, მათი წინაპრების სახლობდნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. I ათასწლეულში აფხაზი ტომებისა და აბაზების შერწყმის პროცესი მიმდინარეობდა, მაგრამ

საბოლოოდ მათი შერწყმა არ მომხდარა. დღევანდელ ტერიტორიაზე აბაზები XIV საუკუნიდან ცხოვრობენ, თუმცა ისინი ხშირად იცვლიდნენ განსახლების ადგილს და გამოკვეთილად განსახლების არეალი არ ჰქონიათ. კავკასიის ომის დასრულების შემდეგ აბაზების დიდი ნაწილი თურქეთში გადასახლდა ≈30 ათასი. მათი უმრავლესობა გადასახლებულ აფხაზებსა და ადიღეელებში გაითქვიფა. ამჟამად ისინი ყარაჩაი-ჩერქეზეთის გარდა, მცირე რაოდენობით ადიღესა და ყაბარდო-ბალყარეთში ცხოვრობენ.

ნოღაელები ჩრდილო კავკასიის თურქულენოვანი ხალხია და როგორც ეთნოსი აქ მოსვლამდე ჩამოყალიბდა. ისინი ოქროს ურდოში შემავალი სხვადასვა თურქული და მონღოლური ტომისა და ძირითად თურქულენოვანი ყივჩარების ნარევი ხალხის შთამომავლებია. ნოღაელთა სახლეწოდება მომდინარეობს ოქროს ურდოს მმართველ ნოღაის (XIII საუკუნე) სახელიდან. როგორც ჩანს, ნოღაელები ჩრდილო კავკასიაში XV საუკუნეში გამოჩნდნენ და მთელ ჩრდილო კავკასისაში უმეტესად მომთაბარეოდნენ. XVIII საუკუნის ბოლოდან კავკასიის ომის დამთავრებამდე ნოღაელები თურქეთში რამდენჯერმე გადასახლდნენ. სულ გადასახლებუთა რაოდენობას ≈180 ათასი კაცით განსაზღვრავენ. ამჟამდ ნოღაელები ყველზე დიდი რაოდენობით დაღესტანში - 38 ათასი ცხოვრობენ.

1926-2002წწ. ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოსახლეობა 102 ათასი კაციდან 439 ათას კაცამდე, ანუ 4,3-ჯერ გაიზარდა, ხოლო ყარაჩაელებისა და ჩერქეზების რაოდენობა 68 ათასიდან 219 ათასამდე, ანუ 3,2-ჯერ. აღსანიშნავია, რომ ყარაჩაელები მეტად ჭარბობენ ჩერქეზებს. რესპუბლიკაში დიდი რაოდენობით ცხოვრობენ რუსები. 1939-1989წწ. ისინი რაოდენობრივად გაცილებით მეტნი იყვნენ, ვიდრე ყარაჩაელები და ჩერქეზები ერთად აღებულნი, ხოლო ცალკეულ წლებში მოსახლეობის ნახევარზე მეტსაც შეადგენდნენ.

2002წ. რუსების რაოდენობა 1989წელთან შედარებით 28 ათასი კაცით შემცირდა და მან 148 ათასი კაცი შეადგინა (მოსახლეობის 33,7%). მიუხედავად ამ შემცირებისა, რუსები მაინც დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ყარაჩაი-ჩერქეზეთში -

რესპუბლიკის ყოველი მე-3 მცხოვრები რუსია. შედარებით ნელი ტემპით იზრდებოდნენ აბაზები და ნოღალები, რომელთა რაოდენობა 2002 წელს შესაბამისად 32 ათასსა და 15 ათასს კაცს უდრიდა.

ყაბარდო-ბალყარეთი

ყაბარდო-ბალყარეთის (ყაბარდო-ჩერქეზულად Къэбэрдей-Балъкъэр Республикэ; ყარაჩაი-ბალყარულად Къабарты-Малкъар Республика) რესპუბლიკა შედის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, ტერიტორიის სიდის მიხედვით რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის 79-ე ადგილზეა (სულ 85 ტერიტორიული ერთეული). ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა ჩრდილოეთ-კავკასიის ფედერალური ოკრუგის შემადგენლობაში შედის, ჩრდილოეთ-კავკასიის ეკონომიკური რაიონის ნაწილს წარმოადგენს. დედაქალაქი - ნალჩიკი (239 ათასი ადამიანი, 2017). ყაბარდო-ბალყარეთი ტერიტორიის ფართობია 12,470კმ^2, რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 865,828 (2018) ადამიანს შეადგენს (რუსეთის ფედეარიიც სუბიექტებს შორის 58-ე ადგილზეა). რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენებია - ყაბარდოული, ბალყარული და რუსული, ასევე გავრცელებულია თურქული და ოსური ენები. დასავლეთით ესაზღვრება - ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ჩრდილოეთით - სტავროპოლის მხარე, აღმოსავლეთით -ჩრ.ოსეთის - ალანიის რესპუბლიკა, ხოლო სამხრეთით - საქართველო.

ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა 1991წ. 31 იანვარს შეიქმნა. თანამედროვე რესპუბლიკის შექმნამდე მის ტერიტორიაზე განლაგებული იყო ორი ისტორიული ოლქი - ყაბარდო და ბალყარეთი. ყაბარდო ორი სამთავროსგან შედგებოდა - დიდი და მცირე ყაბარდო, რომელიც თანამედროვე რესპუბლიკის ვაკე და მთისწინეთის ტერიტორიებს მოიცავდა. ბალყარეთი დაყოფილი იყო 5 მთის თემად, და თანამედროვე რესპუბლიკის მთიან და მაღალმთიან ტერიტორიებს მოიცავდა. 1921წ. ყაბარდო და ბალყარეთი კავკასიის სხვა ისტორიულ ოლქებთან ერთად *საბჭოთა კავშირის მთის ავტონომიური რესპუბლიკის* შემადგენლობაში შევიდა. 1921წ. 1 სექტემბერს ყაბარდო გამოვიდა მთის რესპუბლიკის შემადგენლობიდან, და შემდეგი 1922წ. 16 იანვარს ბალყარეთიც ტოვებს ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობას. 1922წ. შეიქმნა ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური ოლქი, ხოლო 1936წ. გარდაიქმნა ავტონომიურ რესპუბლიკად.

ცნობილია, რომ ადიღეების ნაწილმა XIII-XIVსს. ყაბარდოელთა სახელწოდება მიიღო და ყაბარდო-ბალყარეთის თანამედროვე ტერიტორიაზე დასახლდა. საერთოდ ისტორიული წყაროები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან ჩეჩნეთ-ინგუშეთამდე არსებულ ტერიტორიებს ჩერქეზეთად მოიხსენიებს, რომელსაც პირობითად ორ ნაწილად ყოფენ - დასავლეთ ჩერქეზეთად და ყაბარდოდ. რაც შეეხება *ბალყარებს*, ისინი ჩრდილოეთ კავკასიელი და ალანების ტომების ბულგარებთან და ყივჩაღებთან შერევის შედეგად ჩამოყალიბდნენ. ყაბარდოელები 1557წ. შეუერთდნენ რუსეთს, ხოლო ბალყარელების რუსეთთან შეერთება 1827წ. დამთავრდა.

ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის მოსახლეობა. რესპუბლიკის მოსახლეობა 2018წ. მონაცემების მიხედვით 865,828 ადამიანს შეადგენს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 69,43 ადამიანი/კმ^2(2018), ქალაქის მოსახლეობა 52% (2018). ცხრილი №1-დან კარგად შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ იცვლებოდა რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობა მე-20 საუკუნის განმავლობაში, თუ 1926წ. რესპუბლიკაში მოსახლოების ყველზე მცირე რაოდენობა ფიქსირედებოდა და მხოლოდ 204,006 ადამიანს შეადგენდა, 2018 წლისთვის მისი რაოდენობა თითქმის 4-ჯერ გაიზარდა და 865,828 გახდა. მოსახლეობის რაოდენობაში კლება მხოლოდ 2003-2007წწ. და 2010-2014წწ. პერიოდებში ფიქსირდებოდა, უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა მცირედ, მაგრამ მაინც იზრდება. ცხრილიდან ჩანს, რომ 2002წ. რესპუბლიკის მოსახლეობა მის ისტორიულ მაქსიმალურ რაოდენობას, თითქმის ერთ მილიონს შეადგენს - 901,051 ადამიანი.

ცხრილი № 2 ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა 1926-2018წწ.

Численность населения						
1926[2]	1959[3]	1970[4]	1979[5]	1987[6]	1989[7]	1990[8]
204 006	↗420 115	↗588 203	↗674 605	↗732 000	↗759 586	↗762 288
1991[8]	1992[8]	1993[8]	1994[8]	1995[8]	1996[8]	1997[8]
↗780 768	↗794 380	↗803 318	↗810 033	↗821 149	↗834 504	↗846 310
1998[8]	1999[8]	2000[8]	2001[8]	2002[9]	2003[8]	2004[8]
↗860 502	↗870 822	↗878 990	↗886 698	↗901 494	↘901 051	↘898 948
2005[8]	2006[8]	2007[8]	2008[8]	2009[8]	2010[10]	2011[8]
↘896 938	↘894 014	↘891 299	↗891 338	↗892 389	↘859 939	↘859 792
2012[11]	2013[12]	2014[13]	2015[14]	2016[15]	2017[16]	2018[1]
↘859 063	↘858 946	↘858 397	↗860 709	↗862 254	↗864 454	↗865 828

ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის ეროვნულ შემადგენლობაში გამოირჩევა შემდეგი ეროვნებები: ყაბარდოელები 57% (2010), რუსები 23% (2010), ბალყარელები 13% (2010), დანარჩენი ეროვნებები შეადგენენ მოსახლეობის მხოლოდ 7% (თურქები, ოსები, სომხები, უკრაინელები, კორეელები, ბოშები, ჩერქეზები, თათრები, აზერბაიჯანელები, ჩეჩნები, ქართველები, ლაკები, გერმანელები, ინგუშები, ყარაჩაელები, ებრაელები, ლეკები, ყუმიხები, ბელორუსები, ადიღეელები, უზბეკები, დარგუელები, ავარები, აბაზები, სპარსელები, ქურთები, ნოღაელები, მორდაველები და სხვ.). ყაბარდოელების რაოდენობა რესპუბლიკაში 490,453 (2010) ადამიანი იყო, ხოლო რუსეთის ფედერაციაში 2010წ. აღწერის მონაცემების მიხედვით 517 ათასი ადამიანი შეადგინა, ხოლო 1979 წლის აღწერის მონაცემებით ყაბარდოელების საერთო რაოდენობა სსრკ-ში 322 ათასი კაცი იყო.

ცხრილი № 3 ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის ეროვნული შემადგენლობის დინამიკა 1959-2010წწ.

	1959[40] чел.	%	1989[41] чел.	%	2002[42] чел.	% от всего	% от указав-ших нацио-наль-ность	2010[43][44] чел.	% от всего	% от указав-ших нацио-наль-ность
всего	420115	100,00 %	↗753531	100,00 %	↗901494	100,00 %		↘859939	100,00 %	
Кабардинцы	190284	45,29 %	↗363494	48,24 %	↗498702	55,32 %	55,32 %	↘490453	57,03 %	57,18 %
Русские	162586	38,70 %	↗240750	31,95 %	↘226620	25,14 %	25,14 %	↘193155	22,55 %	22,49 %
Балкарцы	34088	8,11 %	↗70793	9,39 %	↗104651	11,61 %	11,61 %	↗108577	12,63 %	12,66 %
Турки		0,00 %	4162	0,55 %	↗8770	0,97 %	0,97 %	↗13965	1,62 %	1,63 %
Осетины	6442	1,53 %	↗9996	1,33 %	↘9845	1,09 %	1,09 %	↘9129	1,06 %	1,06 %
Армяне	1421	0,34 %	↗3512	0,47 %	↗5342	0,59 %	0,59 %	↘5002	0,58 %	0,58 %
Украинцы	8400	2,00 %	↗12826	1,70 %	↘7592	0,84 %	0,84 %	↘4800	0,56 %	0,56 %
Корейцы	1798	0,43 %	↗4983	0,66 %	↘4722	0,52 %	0,52 %	↘4034	0,47 %	0,47 %
Цыгане	416	0,10 %	2442	0,32 %	2357	0,26 %	0,26 %	2874	0,33 %	0,34 %
Черкесы	166	0,04 %	614	0,08 %	725	0,08 %	0,08 %	2475	0,29 %	0,29 %
Татары	1608	0,38 %	3005	0,40 %	2851	0,32 %	0,32 %	2375	0,28 %	0,28 %
Азербайджанцы	257	0,06 %	2024	0,27 %	2281	0,25 %	0,25 %	2063	0,24 %	0,24 %
Чеченцы		0,00 %	736	0,10 %	4241	0,47 %	0,47 %	1965	0,23 %	0,23 %
Грузины	1486	0,35 %	2090	0,28 %	1731	0,19 %	0,19 %	1545	0,18 %	0,18 %
Лакцы	481	0,11 %	1587	0,21 %	1800	0,20 %	0,20 %	1462	0,17 %	0,17 %
Немцы	903	0,21 %	8569	1,14 %	2525	0,28 %	0,28 %	1462	0,17 %	0,17 %
Ингуши	84	0,02 %	664	0,09 %	1236	0,14 %	0,14 %	1271	0,15 %	0,15 %
Карачаевцы	420	0,10 %	1202	0,16 %	1273	0,14 %	0,14 %	1028	0,12 %	0,12 %
Евреи	1310	0,31 %	1726	0,23 %	1088	0,12 %	0,12 %	835	0,10 %	0,10 %
Лезгины		0,00 %	855	0,11 %	867	0,10 %	0,10 %	767	0,09 %	0,09 %
Кумыки	213	0,05 %	624	0,08 %	713	0,08 %	0,08 %	699	0,08 %	0,08 %
Белорусы	953	0,23 %	2022	0,27 %	1194	0,13 %	0,13 %	696	0,08 %	0,08 %
Адыгейцы	207	0,05 %	828	0,11 %	584	0,06 %	0,06 %	524	0,06 %	0,06 %
Узбеки		0,00 %	424	0,06 %	290	0,03 %	0,03 %	451	0,05 %	0,05 %
Даргинцы	178	0,04 %	535	0,07 %	504	0,06 %	0,06 %	438	0,05 %	0,05 %
Аварцы	196	0,05 %	480	0,06 %	386	0,04 %	0,04 %	425	0,05 %	0,05 %
Абазины	103	0,02 %	468	0,06 %	514	0,06 %	0,06 %	418	0,05 %	0,05 %
Персы	217	0,05 %	485	0,06 %	511	0,06 %	0,06 %	418	0,05 %	0,05 %
Курды		0,00 %	143	0,02 %	301	0,03 %	0,03 %	321	0,04 %	0,04 %
Ногайцы	384	0,09 %	501	0,07 %	409	0,05 %	0,05 %	289	0,03 %	0,03 %
Мордва	305	0,07 %	727	0,10 %	490	0,05 %	0,05 %	282	0,03 %	0,03 %
другие	5199	1,24 %	10264	1,36 %	6364	0,71 %	0,71 %	46602	5,42 %	5,43 %
указали национальность	420105	100,00 %	753531	100,00 %	901479	100,00 %	100,00 %	857670	99,74 %	100,00 %
не указали национальность	10	0,00 %	0	0,00 %	15	0,00 %		2269	0,26 %	

ყაბარდოელები კომპაქტურად ცხოვრობენ ჩრ.ოსეთის მოზდოკის რაიონში და სტავროპოლის მხარის სასაზღვრო რაიონებში. ყაბარდოელები ცხოვრობენ აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში: თურქეთში, იორდანიასა და ლიბანში. ყაბარდოულ-ჩერქეზული ენა იბერიულ-კავკასიური ოჯახის აფხაზურ-ადიღეურ ჯგუფს განეკუთვნება. ყაბარდოულ ენაში შეიმჩნევა ძველად შეთვისებული ოსური, ქართული, თურქული და არაბული ლექსიკა. ამჟამად სალიტერატურო ენის ლექსიკა გამდიდრებულია რუსულიდან შემოსული სიტყვებით. დამწერლობა ეფუძნება რუსულ გრაფიკას (1938). ყაბარდოელებს ეთნოგენეზი საერთო აქვთ სხვა ადიღეურ

ადიღეებთან. ყაბარდოელების ხალხად ჩამოყალიბება დაკავშირებულია XII – XIV საუკუნეებში ფეოდალური ურთიერთობების განვითარებასთან. ადიღეების ნაწილმა XIII – XIV საუკუნეებში ყაბარდოელების სახელწოდება მიიღო და ყაბარდო-ბალყარეთის თანამედროვე ტერიტორია დაიკავა. 1557 წლიდან ყაბარდოელების რუსებთან შეერთების პროცესი 1827 წლამდე გაგრძელდა. ყაბარდოელების ძირითადი საქმიანობაა - მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა (ხეზე კვეთა, მეიარაღეობა, მეუნაგირეობა, მექეჩეობა, მენაბდეობა, ოქრომჭდლობა).

ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის მოსახლეობაში გავრცელებულია ძირითადად ორი სახის რელიგია: მუსულმანობა და მართლმადიდებლური ქრისტიანობა. მოსახლეობის 70%-ს სუნიტი მუსულმანები შეადგენენ. XVIII საუკუნემდე ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო ქრისტიანობა და წარმართული რწმენები. 2013წ. მონაცემებეით რესპუბლიკის ტერიტორიაზე დარეგისტრირებულია 176 რელიგიური ორგანიზაცია: მუსულმანური - 125, პროტესტანტული -26, მართლმადიდებლური - 21, კათოლიკური - 3 და იუდაური - 1. რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 152 მეჩეთი, 27 პროტესტანტული ეკლესია, 20 მართლმადიდებლური ტაძარი, 3 კათოლიკური სამლოცველო სახლი და ერთი სინაგოგა. რელიგიურ მსახურებას ატარებს 137 მუსულმანი მულა/მუეძინი, 30 პროტესტანტი, 23 მართლმადიდებელი და 2 კათოლიკე მღვდელი, და ერთი რაბინი.

ჩრდილოეთ ოსეთის - ალანიას რესპუბლიკა

ჩრდილოეთ ოსეთის - ალანიას რესპუბლიკა მდებარეობს კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე. მისი ტერიტორია 8,000კმ^2 შეადგენს და რუსეთის ტერიტორიის 0.005%-ს შეადგენს.

1921წ. რუსეთის ფედერაციაში ყოფილი თერგის ოლქისა და ყუბანის ნაწილის (ყარაჩაი) ტერიტორიაზე შეიქმნა მთიელთა ასსრ, რომელმაც სამი წელი იარსება. რესპუბლიკის დედაქალაქი იყო ვლადიკავკაზი. მის შემადგენლობაში 1921წ. შეიქმნა ოსეთის ოკრუგი, ყოველგვარი თავსართის „ჩრდილოეთის“ გარეშე[6]. ჩრდილო ოსეთის ავტონომიის შექმნამდე რუსულ და უცხოელ ენციკლოპედიებში, ოსეთის ტერიტორია აღნიშნული იყო არა ჩრდილო ოსეთის, არამედ ოსეთის სახელწოდებით, ხოლო ოსების შესახებ მითითებული იყო, რომ ისნი ცხოვრობდნენ აგრეთვე საქართველოში. მთიელთა ავტონომიურ რესპუბლიკას 1921წლიდან თანდათანობით გამოეყო ყაბარდოს, ყარაჩაის, ჩეჩნეთის, ბალყარეთის ოლქები, რომლებიც გარდაიქმნენ რუსეთის ფედერაციის ავტონომიურ ოლქებად. 1924წ. 7 ივლისს, მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკა გაუქმდა და მის ტერიტორიაზე შეიქმნა ინგუშეთის ავტონომიური ოლქი და ისეთის ნაცვლად ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რამდენადაც საქართველოში, მართალია, არაკანონიერად, მაგრამ უკვე არსებობდა ასაეთივე ოლქი სამხრეთ ოსეთის სახელწოდებით. ამით უკვე იმის გაცხადება ხდებოდა, რომ თითქოს არსებობდა ორი ოსეთი - ერთი ჩრდილო კავკასიაში ჩრდილო ოსეთის სახით, ხოლო მეორე საქართველოში სამხრეთ ოსეთის სახით. ვლადიკავკაზი დამოუკიდებლ ერთეულად გამოიყო და დაექვემდებარა რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

1936წ. ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაიქმნა. 1990წ. დეკემებერში ოსეთის არ მიიღო რესპუბლიკის სტატუსი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

[6] Советский энциклопедический словарь, Москва, 1983г. с.1180.

სხვადასხვა ენციოლოპედიების მიხედვით, ოსი ხალხის ჩამოყალიბება ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII საუკუნეებიდან დაიწყო, როცა კავკასიაში გამოჩნდა სკვითურ-სარმატული-ალანური ტომები, რომლებიც შეერივნენ კავკასიის აბორიგენულ მოსახლეობას და მოახდინეს მათი ენობრივი ასიმილაცია.

რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897წ. აღწერის მონაცემების მიხედვით, რუსეთის იმპერიაში 171,716 ოსი ცხოვრობდა, აქედან თერგის ოლქში (ძირითადად თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე) – 96,621, ხოლო საქართველოში - 71,508 კაცი[7]. ამ მონაცემების მიხედვით, ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ თითქოს ოსები საქართველოში, ისე როგორც ჩრდილო კავკასიაში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. მაგრამ თუ მონაცემებს დინამიკაში განვიხილავთ, სულ სხვაგვარი სურათი წარმოჩნდება.

ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიის მიდევით 1860წ. ჩრდილო კავკასიაში (თანამედროვე ჩრ.ოსეთის ტერიტორიაზე) 46,802 ოსი ცხოვრობდა, ხოლო საქართველოში - 19,324 ოსი[8]. ასე, რომ ამ პერიოდში თანამედროვე ჩრ.ოსეთის ტერიტორიაზე 2,5-ჯერ მეტი ოსი ცხოვრობდა, ვიდრე საქართველოში. ამავე ენციკოლოპედიის 1833წ. მონაცმებით რუსეთის იმპერიაში 37,750 ოსი ცხოვრობდა. და თუ ზემოთ აღნიშნულ პროპორციას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ 1833წ. საქართველოში ოსების რაოდენობა 14 ათასს უდრიდა. ამვე პერიოდში, სხვა წყაროს მონაცმებით საქართველოში 14 ათასი ოსი ცხოვრობდა[9]. საკითხში საბოლოოდ სიცხადის შეტანის მიზნით მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან XIX საუკინის 20-იან წლებამდე თანმედროვე ჩრ.ოსეთის ტერიტორიაზე შავი ჭირის ეპიდემია მძვინვარებდა, რომელმაც დიდად შეამცირა ოსების რაოდენობა, კერძოდ, 200 ათასიდან 20 ათასამდე 1831 წლისათვის[10]. ამრიგად დაბეჯთებით შეიძლება ითქვას, რომ XVIII საუკუნის 80-იან წლებში თანამედროვე

[7] Общий свод по имерии результатов разработки данных первой всеобщей переписи населения. Т.2 с.42-43.

[8] Энциклопедический словарь, т.XXII Санкт-Петербург, 1897, с.263.

[9] Газ. „Тифлисские ведомости“, №72, 1830.

[10] ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვეთი II, გვ.15.

ჩრ.ოსეთის ტერიტორიაზე 20-ჯერ მეტი ოსი ცხოვრობდა, ვიდრე საქართველოში. უამრავი ქართული წერილობითი წყაროს, ცნობილი რუსი, უცხოელი და თვით ოსი მეცნიერების ნაშრომთა მიხედვით ოსები ჩრდილო კავკასიიდან უაღრესად მძიმე ეკონომიკური პირობებისა და ყაბარდოელების მიერ შევიწროების გამო, საქართველოში, კერძოდ, მის ისტორიულ კუთხეში - ქართლის მთიანეთში XVII საუკუნიდან იწყებენ გადმოსახლებას. ამასვე ადასტურებს არქეოლოგიური მონაცემები, ენობრივი მასალა, ოსური ფოლკლორი, შიდა ქართლის მთიანეთის ხუროთმოძღვრების ძეგლები, ეპიგრაფიკა და ტოპონიმები.

წინა საუკუნეებში ხშირად ხდებოდა და ამჟამად ხშირად ხდება ერთი ქვეყნიდან მკვიდრი მოსახლეობის მცირე ნაწილის მეზობელ ან სხვა ქვეყანაში გადასახლება, მაგრამ გადასახლებულები ითხოვენ ავტონპომიას, და არც ხვა ქვეყნების ხელისუფალთ მოუვათ აზრათ იმიგრანტებისათვის ავტონომიის შექმნა. როფ=დესაც საბჭოთა რუსეთმა გადაწყვიტა დამოუკიდებელი საქართველოს ანექსია, რაც განახორციელა კიდეც 1921 წელს, თავიანთი განზრახვის შენიღბვის მიზნით, საქართველოშ მცხოვრების ოს სეპარატისტულ ძალებზე დაყრდნობით (ფაქტობრივად სეპარატისტულ ძალებსაც თვითონ ქმნიდა) რამდენჯერმე მოაწყო საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება, რათა მათ აჯანყებული მშრომელებისათვის დასახმარებლად ჯარის შემოყვანის საბაბი ჰქონოდათ. სწორედ ამის სანაცვლოდ საბჭოთა რუსეთმა საქართველოში მცხოვრებ ოსებს ავტონომიური ოლქი შეუქმნა. ამავე დროს ავტონომიური ერთეულის შექმნა ეს იყო შეყოვნებული მოქმედების ბომბის ჩადება საქართველოში, რომელიც რუსეთმა შესანიშნავად გამოიყენა თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ისევ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, რამაც უდიდესი ტრაგედია დაატეხა თავს ქართველ და ოს ხალხებს.

XIX საუკუნეში ჩრდილო კავკასიაში ოსების რაოდენობის შემცირებამ გარკვეულ წილად სების თურქეთში გადასახლებამაც გამოიწვია. კავკასიის სხვა მთიელებთან შედარებით ოსები მცირე რაოდენობით გადასახლდნენ თურქეთში. ეს იმით აიხსნება, რომ ოსები ძირითადად ქრისტიანები იყვნენ, თურქეთიდან

შედარებით შორს ცხოვრობდნენ და რუსების წინააღმდეგ, არც კავკასიის ომში მიუღიათ მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, გადასახლების ყველაზე დიდი ტალღის დროს, 1859-1865წწ. ჩრდილო კავკასიიდან თურქეთში 3 ათასი ოსი გადასახლდა[11].

ჩრდილო ოსეთის მოსახლეობა XX საუკუნეში, კერძოდ, 1926-2002წწ. მნიშვნელოვნად გაიზარდა - 152 ათასიდან 710 ათას კაცამდე, ანუ 4,7-ჯერ. თავად ოსების რაოდენობა 128 ათასიდან 445 ათასამდე გაიზარდა, ანუ 3,5-ჯერ. მთელი მოსახლეობის მატების ტემპთან (250%) შედარებით გამოიწვია რუსების რაოდენობის სწრაფმა ზრდამ. აღნიშნულ პერიოდში რუსები 10 ათასიდან 165 ათასამდე, ანუ 16,5-ჯერ გაიზარდა (მატების ტემპი 1550%-ს უდრიდა). ცალკეულ პერიოდებში როგორც მოსახლეობის მთელი რაოდენობის, ასევე ეროვნებების მიხედვით ყველაზე მეტი ზრდა 1926-1939წწ. აღინიშნა. გარკვეულ წილად ასეთი ვითარება იმ გარემოებამაც გამოიწვია, რომ ქალაქი ვლადიკავკაზი 1926წ. მოსახლეობის აღწერის დროს ჩრდილო ოსეთში არ შედიოდა და იგი, როგორც ავღნიშნეთ, ცალკე ერთულად იყო გამოყოფილი, და მხოლოდ შემდეგში გახდა ჩრდილო ოსეთის დადაქალაქი. 1926 წლის მოსახლოების აღწერის მიხედვით ვლადიკავკაზის მოსახლეობა 78 ათასს კაცს შეადგენდა, აქედან რუსები 40 ათასს, ოსები 11 ათასს, სომხები 6,5 ათასს, ქართველები 5 ათსს, ინგუშები 1,5 ათასს, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა 14 ათასს კაცს უდრიდა[12]. ამრიგად, აღნიშნულ პერიოდში რუსების ზრდა, ერთი მხრივ, ჩრდილო ოსეთში რუსების გადმოსახლებამ, ხოლო, მეორე მხრივ, ჩრდილო ოსეთისათვის რუსებით დასახლებული ადგილების მიერთებამ გამოიწვია.

ჩრდილო ოსეთს - ალანიას რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობა შესამჩნევად გაიზარდა მოსახლეობის ბოლო აღწერების პერიოდში (1989-2002წწ.) – 633 ათასიდან 710 ათასამდე. კიდევ უფრო შესამჩნევად გაიზარდა ოსები რაოდენობა - 335 ათასიდან 445 ათასამდე, რაც გამოიწვია სამხ.ოსეთში მომხდარმა კონფლიქტმა - ოსები გარკვეული რაოდენობა საქართვლოდან ჩრდილო ოსეთში გადასახლდა. ამავე

[11] ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვეთი II, გვ.140.
[12] Народность и родной язык населения СССР, выпуск IV, Москва, 1928, с.72.

პერიოდში შესამჩნევად შემცირდა ინგუშების რაოდენობა (33 ათასიდან 21 ათასამდე). ოსებსა და ინგუშებს შორის კონფლიქტის გამო, ოდნავ გაიზარდა სომხებისა (14 ათასიდან 17 ათსამდე) და ყუმუხების (10 ათასიდან 13 ათასამდე) რაოდენობა, ქართველების რაოდენობა კი ათასი კაცით შემცირდა და 11 ათასი კაცი შეადგინა.

ჩრდილოეთ ოსეთი - ალანიის რესპუბლიკაში 2002წ. ცხოვრობდნენ აგრეთვე უკრაინელები (5 ათასი), ჩეჩნები (3,4 ათასი), ყაბარდოელები (3 ათასი), თურქები (2,8 ათასი), აზერბაიჯანელები (2,4 ათასი), ბერძნები (2,3 ათასი), თათრები (2,1 ათასი), კორეელები (1,8 ათასი), ბოშები (1,5 ათასი) და მცირე რაოდენობით 100-ზე მეტი სხვა ეროვნების წარმომადგენელი.

ჩეჩნეთის და ინგუშეთის რესპუბლიკები

ჩეჩნეთ-ინგუშეთი 1921წ. 20 იანვარს შევიდა *მთიელთა ავტონომიურ რესპუბლიკა*ში. 1922წ. 30 ნოემბერს შეიქმნა *ჩეჩნეთის ავტონომიური ოლქი*, ხოლო 1924წ. 7 ივლისს *ინგუშეთის ავტონომიური ოლქი,* რომლებიც რუსეთის ფედერაციაში შევიდნენ, ეს ავტონომიური ოლქები 1934წ. 15 იანვარს გაერთიანდნენ *ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ ოლქში*. 1936წ. 5 დეკემბერს ავტონომიური ოლქი გარდაიქმნა ავტონომიურ რესპუბლიკად. 1934წ. *ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა* გააუქმეს საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაციის გამო, შუა აზიასა და ყაზახეთში. 1957წ. ისინი დააბრუნეს მშობლიურ ადგილებში და კვლავ აღდგა ეროვნული ავტონომია, აღსანიშნავია, რომ გადასახლებიდან დაბრუნებულ ინგუშებს პრიგოროდნის რაიონი, სადაც ისინი დეპორტაციამდე დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ მთლიანად დაკავებული დახვდათ ოსების მიერ - იქ ხელისუფლებამ ოსები დაასახლა. ამასთან მოახდინეს ინგუშური ტოპონიმების რეპრესირება - ინგუშური ტოპონიმები შეცვალეს ოსურით, კერძოდ, პსხედახსკის, ნაზრანოვსკისა და აჩალუკსკის რაიონებს შესაბამიმსად ალანსკის, კოსტა-ხეთაგუროვსკის და ნართოვსკის სახელები დაარქვეს[13]. საერთოდ ანალოგიური შემთხვევების დროს გადასახლებიდან დაბრუნებულ ჩრდილო კავკასიელ ხალხებს დაუბრუნეს თავიანთი მიწები და ქონება. საბჭოთა ხელისუფლებამ პრიგოროდნის რაიონი კი ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკას დაუტოვა, რაც ინგუშებსა და ოსებს შორის სისხლისმღვრელი კონფლიქტის მიზეზი გახდა. ოსებმა მიითვისეს ინგუშთა მიწები და სახლები.

1992წ. ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა ერთმანეთს გამოეყო და ორთავემ მიიღო რესპუბლიკის სტატუსი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. ისინი ამჟამად რუსეთის სუბიექტებს წარმოადგნენ. 1992წლამდე ჩეჩენთ-ინგუშეთის ტერიტორია 19,3კმ^2 უდრიდა და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის 0,1%-ს შეადგენდა. ორთავე რესპუბლიკა მდებარეობს კავკასიონის ჩრდილო კალთებზე.

[13] Сталинские депортации. С.440.

ჩეჩენები და ინგუშები კავკასიის ძველი ადგილობრივი, მკვიდრი ხალხია. XV-XVI საუკუნეებში მათ დაიწყეს დაბლობში ჩამოსახლება, მდ.თერგისა და მისი შენაკადების ველზე, თუმცა ჩეჩნები ჩრდილო კავკასიის ბარში ადრეც ცხოვრობდნენ და მათ მთებში შესახლებას ძირითადად მონღოლების შემოსევებს უკავშირებენ. ჩეჩნებისა და ინგუშების დასახლების არეალი ხშირად იცვლებოდა, ზოგჯერ მეზობელი ხალხების შევიწროების შედეგად. ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების თანახმად, ქართლის მეფეს საურმაგს ჩეჩნების დიდი ნაწილი თავისი ქვეყნიდან წამოუყვანია და ჩრდილო კავკასიის ვრცელ ტერიოტორიაზე დაუსახლებია. ცნობილია, რომ ქართველები ჩეჩნებს ინგუშებთან ერთად „ქისტებს“ უწოდებენ, უფრო ადრე კი ძურძუკნებს, ხოლო ქვეყანას - ძურძუკეთს. XI საუკუნის ქართველი მემატიანის ლეონტი მროველის მიხედვით, III საუკუნეში ჩვ.წ.აღ.-მდე ქართლის მეფე საურმაგმა იმის გამო, რომ ხალხი მეტად გამრავლებული იყო და „ვერღარა იტევდა ძურძუკეთი“, წამოიყვანა ძურძუკების მნიშვნელოვანი რაოდენობა და „დახსნა მთიულეთს, დიდოეთიდან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“[14]. ამრიგად, საურმაგს ძურძუკები თითქმის მთელ ჩრდილო კავკასიაში დაუსახლებია.

როგორც ცნობილია, ჩრდილო კავკასიის ხალხები ხშირად იცვლიდნენ თავიანთ დასახლების არეალს და გამონაკლისი არც ჩეჩნები და ინგუშები იყვნენ. ზოგჯერ ეს, რა თქმა უნდა, ძალდატანებით ხდებოდა. მთებიდან დაბლობში ჩეჩნებისა და ინგუშების ჩამოსახლების შემდეგ მათი საცხოვრებელი პირობები უმჯობესდება - მათ ბევრად უკეთესი პირობები შეექმნათ მეურნეობის ფართოდ განვითარებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის და, მაშასადამე, მოსახლეობის გამრავლებისთვის. ჩეჩნებისა და ინგუშების რაოდენობა XIX საუკუნის დასაწყისისათვის ≈218 ათას კაცს შეადგენდა[15].

ჩეჩნეთ-ინგუშეთი რუსეთის მფარველობაში ძირითადად XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან შევიდა. მიუხედავად ამისა რუსეთი მათ მიმართ კოლონიურ

[14] ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.27.
[15] ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვეთ II, გვ.16.

პოლიტიკას ატარებდა. XIX საუკუნეში რუსეთის არმიამ არა ერთი და ორი, ჩეჩნებისა და ინგუშების განმანთავისუფლებელი მოძრაობა სისხლში ჩაახშო, მათი ბევრი აული მიწასთან გაასწორა. 1834წ. ჩეჩნეთსა და დაღესტნის ტერიტორიაზე შეიქმნა თეოკრატიული ხელისუფლება - *შამილის იმამატი*, რომლის წინააღმდეგ რუსეთის არმიის ბრძოლას მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. 1841წლისათვის ჩეჩნეთის დაბლობის აულების უმეტესობა გადამწვარი იყო. ჩეჩნები და დაღესტნელები ამ ხანგრძლივ ბრძოლაში 1859წ. დამარცხდნენ. მას შემდეეგ თურქეთის იმპერიაში, ჩრ.კავკასიის სხვა ხალხებთან ერთდ, დაახლოებით 20 ათასი ჩეჩენი და ინგუში გადასახლდა[16]. ყოველივე ამის შედეგად ერთი საუკუნის განმავლობაში ჩეჩნებისა და ინგუშების რაოდენობა უმნიშვნელოდ გაიზარდა და 1897წ. ჩეჩნების 226,4 ათასს, ხოლო ინგუშები 47,4 ათასს კაცს უდრიდა.

ჩრდილო კავკასიაში მოსახლეობის ბუნებრივი მატებით ჩეჩნები და ინგუშები განსაკუთრებით გამოირჩევიან, რაც XX საუკუნეში მათი რესპუბლიკების მოსახლეობის ზრდის მაღალ ტემპსაც განაპირობებდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1926-2002წწ. ჩეჩნეთის მოსახლეობა 310 ათასიდან 1104 ათასამდე გაიზარდა, ანუ 3,6-ჯერ, ხოლო ინგუშეთისა 75 ათასიდან 467 ათასამდე, ანუ 6,2-ჯერ. ამავე პერიოდში ჩეჩნები 741 ათასით გაიზარდა და 1032 ათასი გახდა, ხოლო ინგუშებმა 291 ათასი კაცით მოიმატეს და მათი რაოდენობა 2002წ. 361 ათასს უდრიდა. ინგუშების მატების ტემპმა 415,7% შეადგინა.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მოსახლეობის 1926წ. აღწერის დროს ქალაქი გროზნო ცალკე ერთეულად იყო გამოყოფილი და შემდეგ გახდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის დედაქალაქი. იგი 1818წ. სუნჯის თავდაცვითი ხაზის აგების დროს გაშენდა, როგორც რუსეთის ციხე-სიმაგრე Грозная და 1869წლიდან ქალაქია. 1926წ. გროზნოში 97 ათასი კაცი ცხოვრობდა და მოსახლეობის დიდ უმრავლესობას - 68 ათასს კაცს (70,1%)

[16] რ.თოფჩიშვილი. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია. გვ.72.

რუსები შეადგენდნენ. ჩეჩნების რაოდენობა ამავე წელს გროზნოში 2 ათასს კაცს (2,1%) უდრიდა, ხოლო ინგუში ქალაქში საერთოდ არ ცხოვრობდა[17].

ჩეჩნებისა და ინგუშების რაოდენობას თუ დინამიკაში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ 1939-1959წწ. მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, კერძოდ, ინგუშებისა და თითქმის განახევრდა. ასეთი ვითარება გამოიწვია 1941-1945წწ. ომმა, ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაციებმა შუა აზიასა და ყაზახეთში, რომლებმაც ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამასთან, როგორც ჩანს, მოსახლეობის 1959წ. აღწერის დროს გადასხლებიდან ადრინდელ საცხოვრებელ ადგილზე ჯერ კიდევ ყველა ჩეჩენი და ინგუში არ იყო დაბრუნებული.

ჩეჩნეთსა და განსაკუთრებით ინგუშეთში მკვიდრი მოსახლოების გარდა დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ მხოლოდ რუსები - 1959წ. ისინი ჩეჩენ-ინგუშეთის მთელი მოსახლოების თითქმის ნახევარს 49% შეადგენდნენ. 1970 წლიდან მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება, განსაკუთრებით ჩეჩნეთში ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის შემდეგ. 2002წ. ჩეჩნეთში 41 ათასი, ხოლო ინგუშეთში მხოლოდ 5 ათასი რუსი ცხოვრობდა და მათი რაოდენობა 1970 წელთან შედარებით 321 ათასით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ რუსები არც აბსოლუტური, არც შეფარდებითი მაჩვენებლის მიხედვით ასეთი მცირე რაოდენობით ჩრდილო კავკასიის არც-ერთ რესპუბლიკაში არ ცხოვრობენ, თუმცა ყველგან შესამჩნევად იკლებს მათი რაოდენობა. ამრიგად, რუსეთი ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებში თანდათანობით კარგავს თავისი გავლენის შენარჩუნების მნიშვნელოვან დემოგრაფიულ ფაქტორს, რის შესახებაც ეროვნული ავტონომიური შექმნის დროს საკმაოდ იზრუნა.

[17] Народность и родной язык населения СССР, выпуск IV, с.72.

დაღესტანი

დაღესტნის რესპუბლიკა (დაღესტანი) - რუსეთის ფედერაციის სუბიექტს წარმოადგენს, რომელიც ჩრდილოეთ-კავკასიის ფედერაციული ოკრუგის შემადგენლობაში შედის და ჩრდილოეთ-კავკასიის ეკონომიკური რაიონის ნაწილია. დაღესტანი შეიქმნა 1921წ. 20 იანვარს, როგორც რსფრ-ს შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკა, 1991წ. გარდაიქმნა რესპუბლიკად, როგორც რუსეთის ფედერაციის სუბიექტი. ტერიტორიისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ყველაზე მსხვილი რეპუბლიკაა ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებს შორის. მისი ტერიტორიის ფართბი 50,3 ათასი კმ^2 და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის 0,3%, ხოლო ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიის 45,0% შეადგენს. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით დაღესტნის რესპუბლიკა რფ მოსახლეობის 1,8% და ჩრ.კავკასიის მოსახლეობის 38.8%. რესპუბლიკის დედაქალაქია ქ.მახაჩკალა.

მოსაზღვრე ქვეყნები და რეგიონებია: სამხრეთით - აზერბაიჯანი, სამხრეთ-დასავლეთით - საქართველო (ყვარელი, ლაგოდეხი), დასავლეთით - ჩეჩნეთი, ჩრდილო-დასავლეთით - სტავროპოლის მხარე, ჩრდილოეთით - ყალმუხეთის რესპუბლიკა. დაღესტნის რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად სახელმწიფო ენებია - რუსული და ყველა იმ ხალხის ენა, რომელიც ამ რესპუბლიკაში ცხოვრობს. მათ შორის არის ენები, რომელთაც გააჩნიათ დამწერლობა და ოფიციალური სტატუსი - ავარული, აგულური, აზერბაიჯანული, დარგინული, ყუმიხური, ლაკური, ლეკური, ნოღაური, რუტულური, ტაბასარანული, თათური, ცახური და ჩეჩნური ენები. დაღესტანში 14 ენაა რუსულის ჩათვლით, რომელთაც გააჩნიათ დამწერლობა, ხოლო დანარჩენ ენებს დამწერლობა არ აქვთ.

დაღესტანი რუსეთის ფედერაციის ყველაზე მრავალეროვნულ რესპუბლიკას წარმოადგენს. დაღესტანის მოსახლეობა 4 ძირითად ენობრივ ჯგუფს განეკუთვნება:

ცხრილი № 4 დაღესტნის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დინამიკა 2002-2010წწ.

ეროვნება	მოსახლეობა 2002წ. აღწერა ათასი ადამიანი	მოსახლეობა 2010წ. აღწერა ათასი ადამიანი
ავარელები/ხუნძები ↗	758,4 (29,4 %)	850,01 (27,55%)
დარგუელები ↗	425,5 (16,5 %)	490,38 (16,85%)
ყუმუხები ↗	365,8 (14,2 %)	431,74 (14,84%)
ლეკები/ლეზგები ↗	338,4 (13 %)	385,24 (13,24%)
ლაკები ↗	139,7 (5,4 %)	161,28 (5,54%)
აზერბაიჯანელები ↗	111,4 (4,4 %)	130,92 (4,50%)
თაბასარანელები ↗	110,2 (4,3 %)	118,8 (4,08%)
ნოღაელები ↗	36,2 (1,4 %)	40,4 (1,39%)
აღულები ↗	23,3 (0,9 %)	28,1 (0,96%)
რუთულები ↗	24,3 (0,9 %)	27,8 (0,96%)
წახურები ↗	8,2 (0,3%)	9,8 (0,34%)
თატები ↘	1,1 (0,04%)	0,5 (0,02%)
რუსები	121, (4,7%)	104,02(3,57%)
ჩეჩნები	88, (3,4%)	93,66(3,22%)
სხვა ეროვნებები	25, (1,0%)	85,56(2,94%)
სულ მოსახლეობა	2 576 531 (100,0%)	2 910249 (100,0%)

დაღესტნის რელიგიური შემადგენლობა. რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის დაღესტნის რესპუბლიკა ყველაზე მრავალრიცხოვანი მუსულმანური მოსახლეობით გამოირჩევა. მუსულმანები აქ მთელი რესპუბლიკის მოსახლეობის დაახლოებით 96%-ს შეადგენენ (2,9 მლნ.ადამიანი). ადგილობრივი მოსახლეობა ისლამის ორი მიმართულების მიმდევრები არიან: სუნიტები (97%) და შიიტები (3%). დაღესტნის მოსახლეობის დაახლოებით 5% ქრისტიანები და იუდაველები არიან. მართლმადიდებელი ქრისტიანები (ძირითადად რუსები - 3,8%) და გრიგორიანელები (სომხები - 0,2%). იუდაიზმი გავრცელებული მთის ებრაელებს შორის, რომლებს ასევე თატებსაც უწოდებენ (1%).

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

II სემესტრის დოქტორანტი

ნათია ზედგინიძე

სადოქტორო სემინარი

საპარლამენტო რესპუბლიკა: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა(1918–1921) და თანამედროვე გამოცდილების შედარებითი ანალიზი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე

თბილისი 2018

სარჩევი

შესავალი…….....3

თავი I.

პარლამენტარიზმი.....13

1.1.პარლამენტის განვითარება და ტრანსფორმაცია 13

1.2.ხალხის უზენაესობის შეზღუდვა საპარლამენტო სისტემებში 16

1.3.კლასიკური პარლამენტარიზმის კრიტიკა 19

თავი II. საპარლამენტო რესპუბლიკის დამკვიდრების მცდელობები საქართველოში .... .21

2.1. დემოკრატიული რესპუბლიკის მოდელი(1918–1921)..... 21

2.2. ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპი..... 28

2.3. კონსტიტუციონალიზმის განვითარება პოსტსაბჭოურ საქართველოში..... 31

2.4. სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტოსკენ 35

2.5.კონსტიტუციური რეფორმა: საქართველოს პარლამენტი 37

დასკვნა..... 41

გამოყენებული ლიტერატურა 43

შესავალი

საქართველოში სამართლებრივი და დემოკრატიული გარემოს ფორმირება დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე დიდ სირთულეებს აწყდება. ქვეყნის უზენაესი კანონი, კონსტიტუცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, პიროვნებათა ღირსეული განვითარება, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე განიცდის ხელისუფალთა მხრიდან უგულვებელყოფას და საკუთარ ინტერესებზე მორგებას. საკამათო აღარ არის, რომ ქვეყანაში კონსტიტუციონალიზმის დეფიციტია, რაც თავისთავად მოიაზრებს დემოკრატიის დეფიციტსაც. ხელისუფლების მოდელი, რომელიც უნდა ამოდიოდეს კონსტიტუციონალიზმის კონცეფციიდან და ქმნიდეს ეფექტურ სამართლებრივ სამოქმედო ჩარჩოს ძალაუფლების გონივრულად და სამართლიანად განსახორციელებლად, დღემდე არ ჩამოყალიბებულა. ყოველი ხელისუფლება მოდიოდა „პოლიტიკური სისტემის ხელახალი დაფუძნების პრეტენზიით“, ყოველი მათგანი საკუთარ „თარგზე“ ჭრიდა ქვეყნის უზენაეს კანონს. პოლემიკა იმის თაობაზე თუ რომელი მოდელი უზრუნველყოფს ყველაზე უკეთ საქართველოში სამართლიანობის კონცეფციის რეალიზებას, საზოგადოებისა და ხელისუფლების მოქცევას სამართლებრივ ჩარჩოებში და ქვეყნის სტაბილურ განვითარებას დღემდე აქტუალურია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **კვლევის მიზანია** დავადგინოთ რა ფაქტორებმა განაპირობა საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლა 1918–1921 და 2010–2017 წლებში.

კვლევის მიზნიდან გამომდინარეობს შემდეგი ამოცანები:

- 1918–21 წლებში საკონსტიტუციო–პოლიტიკური პროცესის შესწავლა
- პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირებისა და კონსტიტუციონალიზმის დამკვიდრების პროცესის შესწავლა
- საკონსტიტუციო რეფორმის პროცესის შესწავლა 2010–2017წწ.
- პოლიტიკური პარტიებისა და ექსპერტების დისკურსის შესწავლა სახელმწიფო მოწყობის მოდელის შესახებ
- განსაზღვრა იმისა თუ ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ ძალთა ბალანსი და საზოგადოების მოლოდინი, რამდენად შეესაბამება საპარლამენტო მოწყობის მოდელს

ჰიპოთეზა:

H1. 1918–21 წლებში საპარლამენტო რესპუბლიკის დამკვიდრება უკავშირდებოდა იმდროინდელი მემარცხენე პოლიტიკური ელიტის კონსესუსს მაქსიმალურად დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის შესახებ

H2. თანამედროვე ეტაპზე საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლა ნაკარნახებია ევროკავშირის ზეგავლენისა და ადგილობრივი პოლიტიკური ლიდერების ინტერესების დამთხვევით

ლიტერატურის მიმოხილვა

საპარლამენტო რესპუბლიკასთან დაკავშირებით, რომელიც ბუნებრივად არის გადაჯაჭვული კონსტიტუციონალიზმის კონცეფციასთან, სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით არაერთი ავტორის ღირებულ სამეცნიერო ნაშრომს. უნგრელი კონსტიტუციონალისტი ანდრაშ შაიო, ნაშრომში „ხელისუფლების თვითშეზღუდვა“ განიხილავს, კონსტიტუციონალიზმის იდეას, ხელისუფლების დანაწილების, კონტროლისა და ბალანსირების მექანიზმებს, სახელმწიფო მოწყობის მოდელებს, სხვადასხვა ქვეყნების ისტორიული განვითარების ჭრილში. ანდრაშ შაიო

სკეპტიკურად განიხილავს კონსტიტუციონალიზმის თეორიასა და ისტორიას. ავტორი გვთავაზობს განსხვავებულ ხედვას კონსტიტუციონალიზმის კანონზომიერების შესახებ და ავითარებს მოსაზრებას, რომ თითქმის ყველა კონსტიტუცია წინარე პოლიტიკური რეჟიმის პირობებში არის წარმოქმნილი. ამრიგად, მიმოიხილავს კონსტიტუციურ წინაპირობებს, ვინაიდან მიიჩნევს, რომ თითოეული კონსტიტუცია დაწერილი თუ დაუწერელი „დამფუძნებელი შიშის ქმნილებებია", რომელთა ფუნქციაა მოათვინიეროს დემოკრატია, ხალხისა და სახელმწიფოს სუვერენიტეტი.

ავტორი განიხილავს ხელისუფლების შემზღუდავი ბარიერების არსებობის აუცილებლობას ნებისმიერ მოცემულობაში, თუნდაც არჩევნებით გზით მოსული ხელისუფლების პირობებში. ვინაიდან, ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, იშვიათად არსებობს ხელისუფლება, რომელიც ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდეს. აქვე შაიო სვამს კითხვას თუ როგორ შეიძლება „დემოკრატიულმა" კონსტიტუციამ თვითონ ხალხს ლეგიტიმურად დაუწესოს შემზღუდავი ბარიერები. ავტორი თავადვე პასუხობს მოცემულ კითხვას და მიიჩნევს რომ, განათლებულმა საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს საკუთარი შეცდომების დაშვების ნაკლი, გაზარდოს თვითკორექციის შანსი და მინიმუმამდე შეამციროს იმპულსური, არაგონივრული არჩევანის შედეგად მიღებული ზიანი. აქედან გამომდინარე, იგი მოიაზრებს არა ხელისუფლების დანაწილების იზოლირებულ განყოფილებებს ფუნქციურ საზღვრებში, არამედ „ნაწილობრივ წარმომადგენლობას". შაიო განიხილავს რა, სხვადასხვა საკონსტიტუციო მოწყობის მოდელებს, მიიჩნევს რომ ხელისუფლების დანაწილებაზე დაფუძნებულ სისტემაში, სადაც თითოეული განშტოება ნაწილობრივ მონაწილეობს სხვა განშტოებების უფლებამოსილებაში, მაგალითად სასამართლო კონტროლი, აღმასრულებელი ვეტოს უფლება თუ სხვა ფუნქციური გადაფარვის მაგალითები, მიზნად ისახავს დაეხმაროს ხელისუფლების ერთ განშტოებას დაიცვას საკუთარი მოქმედების სფერო, სხვა რომელიმე განშტოების სავარაუდო შემოტევისაგან.(შაიო ანდრაშ, თბილისი 2003,

გვ.38–39) „ძალაუფლება, რომელიც საპასუხო მწვავე რეაქციას მოახდენს“, არის ამოსავალი კონტროლის მექანიზმის ქმედუნარიანობისათვის. ხელისუფლების დანაწილების, კონტროლისა და ბალანსირების მექანიზმების სხვადასხვა ფორმები, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა გამიჯნვა და ზოგადად კონსტიტუციონალიზმის კონცეფცია სახელმწიფო ცხოვრების გამოცდილებას უნდა ეფუძნებოდეს, ისტორიული განვითარების შედეგი უნდა იყოს, ვინაიდან, კონსტიტუციონალიზმის აბსტრაქტული იდეების მექანიკური გადმოღება საფრთხეს უქმნის ამა თუ იმ სახელმწიფოში სამართლებრივი სისტემის ქმედუნარიანობას. ავტორი მოცულობით ინფორმაციას გვაწვდის იმ ისტორიული განვითარების შესახებ, რა გზაც გაიარა საპარლამენტო სისტემებმა, ინგლისური პარლამენტარიზმიდან თანამედროვე საპარლამენტო სისტემების ჩამოყალიბებამდე, ეხება არსებული სისტემის ნაკლოვანებებს და ძლიერ მხარეებს, ასევე 1945 წლიდან პარლამენტარიზმის ხელახლა გადააზრების საკითხებს კონსტიტუციური სამართლის დამკვიდრების გზაზე შემდგარ ქვეყნებში.

ბრიუსელის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი, ფილიპ ლოვო ნაშრომში „პარლამენტარიზმი“ განიხილავს საპარლამენტო რეჟიმებსა და მათთან დაკავშირებულ ფუნქციონირების ფუნდამენტურ პრობლემებს. ავტორი ხაზს, უსვამს პარლამენტარიზმის უდიდეს მნიშვნელობას დემოკრატიული სახელმწიფოების ფორმირების პროცესში. ეხება რა პარლამენტარიზმის ევროპულ გამოცდილებას, დაწყებული საპარლამენტო კრიზისით, დამთავრებული მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პარლამენტარიზმისკენ ჭეშმარიტი შემობრუნების პროცესით, სვამს კითხვას თუ რამდენად არის პარლამენტარიზმი განპირობებული ევროპის ანუ დასავლეთის სოციოლოგიური დეტერმინიზმით, მატერიალური თუ მენტალური რეალობითა და სტრუქტურებით. აქედან გამომდინარე, ცდილობს განიხილოს პარლამენტარიზმის დამკვიდრების აზიური და აფრიკული გამოცდილება, სადაც ვერ მოხერხდა ჭეშმარიტი საპარლამენტო რეჟიმის დამკვიდრება და შედეგად მიღებულ იქნა დიქტატორული და საპრეზიდენტო რეჟიმები. ეხება რა რ.გ.

შვარცენბერგის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც საპარლამენტო რეჟიმი სუსტი(განსხვავება სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებს შორის) და მყიფეა(სამთავრობო კრიზისებისადმი მიდრეკილება), ოპოზიციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საპარლამენტო რეჟიმის დამკვიდრებისათვის(რომელსაც უნდა შესწევდეს ხელისუფლებაში უმრავლესობის შეცვლა) და საპარლამენტო რეჟიმი ცუდად ეგუება ეკონომიკური განვითარების ავტორიტარულ ჩარჩოს (sociologie politique, 1974,p.294) ფილიპ ლოვო, ცდილობს გამოარკვიოს თუ რამდენად გამომდინარეობს ზემოაღნიშნული პარლამენტარიზმთან დაკავშირებული ილუზიების გაქარწყლება არაევროპული სახელმწიფოების უუნარობიდან დაამკვიდრონ დემოკრატიული და სამართლებრივი გარემო. აქვე, ლოვოს მოჰყავს იაპონიის მაგალითი, რომელმაც მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური კულტურისა შეძლო დემოკრატიის დამკვიდრება. ავტორი ასკვნის, რომ პარლამენტარიზმს აქვს უნარი დასავლეთისგან განსხვავებულ სოციალურ კონტექსტს შეეთვისოს. ფილიპ ლოვო გამოდის რა პარლამენტარიზმის ქომაგად, მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეჟიმი ნაკლებად მყიფეა და ხელუხლებელ ინსტიტუციურ ჩარჩოში იოლად გადასატანია. აქვე დასძენს, რომ პარლამენტარიზმის ფუნქციობის ხარისხი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ბრიტანული მოდელი იდენტური სახით შეუძლებელია დამკვიდრდეს სხვა რომელიმე ქვეყანაში. საპარლამენტრო რეჟიმებისაკენ თანამედროვე სახელმწიფოების მასიური სწრაფვა, ფილიპ ლოვოს მოსაზრებით დამადასტურებელია იმისა, რომ აღნიშნულ რეჟიმს გააჩნია მრავალფეროვანი წახნაგები. ავტორი მიიჩნევს, რომ პარლამენტარიზმი სამართლებრივი სახელმწიფოს დაცვის კუთხით, ყველაზე ქმედუნარიანი რეჟიმია.(ლოვო ფილიპ, თბილისი 2005, გვ.156– 158)

ავთანდილ დემეტრაშვილი ნაშრომში „მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები“(1992), განიხილავს ისტორიული ევოლუციის შედეგად შექმნილ კონსტიტუციების ოთხ ჯგუფს, რომლებიც მატერიალური გაგებით წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში სოციალური ძალების ურთიერთშეფარდებას. პირველი ჯგუფის

კონსტიტუციებში მოიაზრებს დიდი ხნის წინ მიღებულ კონსტიტუციებს, რომლებიც მცირე შესწორება–დამატებებისა და მოდერნიზების შემდეგ დღესაც ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების, შვეიცარიის, ლუქსემბურგის, ბელგიის, ნორვეგიის კონსტიტუციები. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება „მეორე ტალღის“ კონსტიტუციები, რომლებიც ანტიფაშისტურ და დემოკრატიული აღმავლობის პერიოდშია მიღებული(პორტუგალია, ესპანეთი, საბერძნეთი) და დამახასიათებელია იდეოლოგიზაცია, გაზრდილი სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები. მესამე ტალღას წარმოადგენს უახლესი ბურჟუაზიული კონსტიტუციები, სადაც მეტი ადგილი ეთმობა პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებს. კონსტიტუციათა მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნება ე.წ. განვითარებადი ქვეყნების ძირითადი კანონები. დემეტრაშვილი მოცემულ ნაშრომში აქვეყნებს სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციის ტექსტებს, მათ შორის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის(1918–1921) კონსტიტუციას. შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციების შედარებითი ანალიზი პოლიტიკურ–სამართლებრივი გამოცდილებაა, ჩვენთვის საინტერესო საკითხის საფუძვლიანი გააზრებისათვის.

კონსტიტუციონალიზმის პოსტულატებზე დაყრნობით, საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ძირითადი ინსტიტუტებისა და პროცედურების შესახებ საფუძვლიან სამეცნიერო ლიტერატურას აერთიანებს „კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო“, სადაც ავტორთა ჯგუფი ახდენს კონსტიტუციონალიზმისა და კონსტიტუციის გააზრებას, განიხილავს საქართველოს კონსტიტუციური განვითარების გზას და სახელმწიფო მმართველობის ფორმებს საქართველოში(დემეტრაშვილი, კუბლაშვილი, ლოსაბერიძე, რუხაძე, ხმალაძე და სხვ.2005) გარდა ზემოაღნიშნულისა, მოცემულ ნაშრომში ვახტანგ ხმალაძე განიხილავს საქართველოს კონსტიტუციური ისტორიის სათავეებს და ეხება 1921 წლის კონსტიტუციას. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ხელისუფლების დანაწილების ორიგინალურ მოდელზე, რაც დამფუძნებელმა მამებმა შეიმუშავეს. იგულისხმება სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში სახელმწიფო

მეთაურის ინსტიტუტის მაგიერ, ტრადიციული ფუნქციების გადანაწილება ერთპალატიან პარლამენტსა და თანამდებობაზე ერთი წლით არჩეულ პრემიერ–მინისტრს შორის.(ხმალაძე ვახტანგ, თბილისი 2005, გვ.63)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის(1918–21) კონსტიტუციურ ფორმაზე, კონსტიტუციის შემუშავებისას გამართულ ქართულ პოლიტიკურ დისკურსსა და საპარლამენტო სისტემის დამკვიდრების შესახებ ღირებულ სამეცნიერო ლიტერატურას გვაწვდის მალხაზ მაცაბერიძის ნაშრომი „უზენაესი ბატონი ქვეყნისა“(2008). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის(1921) კონსტიტუციის ფუძემდებლებისთვის ხალხის სუვერენიტეტი იყო ჭეშმარიტი დემოკრატიის საფუძველი. „ყოველი უფლობის ანუ ხელმწიფების წყარო ხალხია“, ეს იყო ამოსავალი წერტილი, რაზეც უნდა დამყარებულიყო სახელმწიფოს ნებისმიერი ორგანოს მოქმედება. „ხალხი არის უმთავრესი ენერგია, რომელსაც მოჰყავს მოძრაობაში მთელი სახელმწიფოს მექანიზმი“.(მაცაბერიძე მალხაზ, თბილისი 2008, გვ.17). გამომდინარე იქიდან, რომ პირდაპირი დემოკრატიის განხორციელება ვერ მოხერხდებოდა, ხალხის სუვერენობის უზრუნველსაყოფად, წარმომადგენლობითი დემოკრატიული სახელმწიფოს პრაქტიკის შემოღება გადაწყვიტეს. ამგვარად, საკანონმდებლო ფუნქციების შესრულებას ხალხი ანდობდა არჩეულ წარმომადგენელს, თავად კი კმაყოფილდებოდა ზოგიერთ კანონის მიღებაში მონაწილეობით. მოცემულ შემთხვევაში ხალხი თავის სუვერენულ ნებას განახორციელებდა: წარმომადგენლების არჩევით, საკანონმდებლო ინიციატივით, რეფერენდუმის მეშვეობით. 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტს შეეძლო მხოლოდ კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედება და ის საკითხები, რაც პარლამენტს არ ჰქონდა გადაცემული, ხალხს ჰქონდა დარჩენილი. ამგვარად, სუვერენი იყო ერი, შემდეგ შეზღუდული სახით პარლამენტი, რომელიც სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მოქმედებას საზღვრავდა.(მაცაბერიძე მალხაზ, თბილისი 2008. გვ.17) 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთათვის „უფლებრივი სახელმწიფოს“ ჩამოყალიბება იყო უზენაესი მიზანი, რაც გულისხმობდა იმგვარი

სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, სადაც კანონი გამოხატავდა ხალხის ნება-სურვილს, დამკვიდრებული იქნებოდა კანონის უზენაესობა და არცერთი ხელისუფლება არ იდგებოდა კანონზე მაღლა.

1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლები მიიჩნევდნენ რომ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების სრული გათიშვა არც შესაძლებელი იყო და არც სასურველი. ამგვარად, მათთვის სასურველ „უფლებრივი სახელმწიფოს მოდელში“ აღმასრულებელი ხელისუფლება ასევე დიდ როლს თამაშობდა კანონმდებლობაში, თუმცაღა აუცილებლად დაქვემდებარებული იყო საკანონმდებლო ხელისუფლებას და არ იდგა კანონზე მაღლა.(მაცაბერიძე მალხაზ, თბილისი 2998, გვ. 20) ს. დადიანი მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო არა ხელისუფლების დაყოფა, არამედ „განცალკევება“, რაც გულისხმობდა აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დაქვემდებარებას, საკანონმდებლო ორგანოსადმი. „ჩვენ როგორც პატარა ერმა უნდა ვიაროთ საისტორიო–საკაცობრიო მიზნისაკენ ძლიერ ფრთხილად და ნაკლები დაბრკოლების ხაზით“, რაც გულისხმობდა მიზანშეწონილ კომბინირებას და დიადი მიზნების მიღწევას რაციონალური გზებით. (მაცაბერიძე მალხაზ, 2008, გვ.20–21)

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების განშტოებათა შორის ბალანსსა და სახელმწიფო ხელიუსფლების მოდელების შესახებ, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი ნაშრომი „საკონსტიტუციო–პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში–პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები“(2005). მოცემულ ნაშრომში განხილულია ხელისუფლების მოწყობის კონსტიტუციური მოდელები 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციით დაწყებული. ავტორები აღნიშნავენ, რომ ხელისუფლების მოწყობისა და დანაწილების მრავალი გზა არსებობს. ყველა მოდელი ერთნაირად ვერ მოერგება ყველა ქვეყანას. გასათვალისწინებელია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიულ–კულტურული გარემო, ტრადიციები, არსებული პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკურ ძალთა ბალანსი, საზოგადოების მზაობა, სამართლებრივი ცნობიერების დონე და ა.შ.

სახელმწიფოს მოდელის მოწყობაზე გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორებისა გავლენას ახდენს არჩევანის გაკეთების მომენტში სახელმწიფოს მდგომარეობა, პოლიტიკურ ძალთა ბალანსი და საზოგადოების მოლოდინი. სახელმწიფოს მოწყობის მოდელი უნდა შეესაბამებოდეს ხელისუფლების დანაწილების კონცეფციას(ხმალაძე და სხვ., 2005. გვ.10)

„საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტოსკენ“ წარმოადგენს სტატიების კრებულს(ხმალაძე და სხვ. 2013) სადაც განხილულია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ძალაუფლების აგების ახლებური სისტემა, კონსტიტუციის ახალი რედაქციის გავლენა პოლიტიკურ კონკურენციასა და არჩევნებზე, კონსტიტუციის ცვლილების მექანიზმებზე.(იგულისხმება 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები)

კრებულში ყურადღება გამახვილებულია სამ ძირითად საკითხზე. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ძალაუფლების აგების ახლებური სისტემა; კონსტიტუციის ახალი რედაქციის გავლენა პოლიტიკურ კონკურენციასა და არჩევნებზე; კონსტიტუციის ცვლილების მექანიზმები. 2010 წლის ნოემბერში მიღებული კონსტიტუციური შესწორებების პაკეტი ითვალისწინებდა იმ მოსაზრებას, რასაც იზიარებდა ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ნაწილი, რაც გულისხმობდა მეტი დემოკრატიულობისათვის პარლამენტის გაძლიერებას და პრეზიდენტის ინსტიტუტის დასუსტებას.

2004 წლისა და 2010 წლის მოდელები შერეულია: აღმასრულებელი ხელისუფლება გაყოფილია ხალხის მიერ პირდაპირ არჩეულ პრეზიდენტსა და საპარლამენტო უმრავლესობაზე დამოკიდებულ პრემიერ-მინისტრს შორის, თუმცაღა ძალთა თანაფარდობა რადიკალურად შეცვლილია. პრეზიდენტის უფლებამოსილება შეკვეცილია, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად პრემიერ-მინისტრი გვევლინება. ამის გათვალისწინებით, სისტემა „თითქმის“ საპარლამენტოა. კონსტიტუციის ახალი რედაქციის კრიტიკოსთა უმრავლესობა (უფრო სწორად, მათი

ის ნაწილი, ვინც ზოგადად მიესალმება პარლამენტის გაძლიერების და პრეზიდენტის შესუსტების ტენდენციას) ამ შემთხვევაში ორ პოზიციაზე ამახვილებს ყურადღებას. პირველ რიგში, პრეზიდენტს, მათი აზრით, ზედმეტი უფლებამოსილება რჩება, რაც კონსტიტუციის ახალ ვერსიას არათანმიმდევრულს ხდის. ეს შეიძლება არასასურველი პოლიტიკური კონფლიქტების საფუძველი გახდეს(.ხმალაძე და სხვ.თბილისი 2013, გვ.39–41)

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, საქართველოში ყველა ხელისუფლება ცდილობდა დამდგარიყო ქვეყნის უზენაეს კანონზე მაღლა, რაც ხელს უშლის კონსტიტუციონალიზმის იდეის განვითარებასა და საქართველოში მყარი სამართლებრივი და დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნას. ქვეყნის კულტურულ, მენტალურ და პოლიტიკურ რეალობას მორგებული, გონივრულად შერჩეული მოდელი, აუცილებელია იმისათვის, რომ ქვეყანაში სასურველი პოლიტიკურ–სამართლებრივი გარემო დადგეს. საპარლამენტრო რესპუბლიკის, ორი ქართული მოდელის, (1918–21) და (2010–17) შედარებითი ანალიზი, დაგვეხმარება ზემოაღნიშნული საკითხების უკეთესად გააზრებაში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისათვის გამოყენებულ იქნა პირველადი და მეორეული წყაროების თვისებრივი ანალიზის მეთოდი. ტრადიციული დოკუმენტების, კონსტიტუციების, საკონსტიტუციო პროექტების, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების გაანალიზება. ქართულ პოლიტიკურ პარტიებსა და ექსპერტებს შორის გამართული პოლიტიკური დისკურსის კონტენტ–ანალიზის მეთოდით დამუშავება. 1918–21 და 2010–2017 წლების საკონსტიტუციო პროცესების შედარებითი ანალიზის მეთოდით დამუშავება.

თავი I. პარლამენტარიზმი

1.1.პარლამენტის განვითარება და ტრანსფორმაცია

თანამედროვე პარლამენტარიზმის ერთ–ერთ ძირითად ფუძემდებლად გვიანი შუასაუკუნეებიის ინგლისი შეგვიძლია ჩავთვლოთ. საწყის ეტაპზე პარლამენტი წარმოადგენდა **დიდგვაროვანთა და ფეოდალთა(ლორდთა) არაფორმალურ თავყრილობა**ს, რომელთაც ძირითადად საკონსულტაციო ორგანოს ფუნქცია გააჩნდათ. გარდა ამისა, მათ უფლებამოსილებაში შედიოდა მართლმსაჯულებისა და საგანგებო გადასახადის შემოღებაზე კენჭისყრის უფლება. პარლამენტის წევრები (ლორდთა პალატაში) წარმოადგენდნენ მათ ოჯახებს, ქალაქებს, საგრაფოებს. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ არჩეული წარმომადგენლების პარლამენტის წევრად გახდომა, უმეტესწილად ხდებოდა ქალაქის ოფიციალურ პირთა თხოვნით და არა, უშუალო არჩევის გზნით. ამგვარად, არჩეული წარმომადგენლები ხდებოდნენ პარლამენტის წევრები, ისე რომ ხმის უფლება მოსახლეობის მცირე ნაწილს ჰქონდა.

პარლამენტის ძალაუფლება ინგლისში ეფუძნებოდა მის წევრთა სოციალურ სტატუსს, ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერებას. მოცემულმა ინსტიტუტმა, ვიდრე წარმომადგენლობით სისტემა მისთვის დამახასიათებელ დემოკრატიული ლეგიტიმურობით პოპულარობას მოიპოვებდა, სამოქალაქო ომის პერიოდის ინგლისში მონოლითურ ხელისუფლებად იქცა, მოიპვა რა აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები. აღნიშნულმა ფაქტმა, იმდენად ცუდი მოგონებები დატოვა ინგლისელთა ცნობიერებაში რომ ორი თაობის შემდეგ მათთვის წარმოუდგენელი იყო კვლავ ესარგებლა უზენაესი ხელისუფლებით. ინგლისელებს გამოცდილება კარნახობდათ, რომ „იქ სადაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ორ სხვადასხვა ორგანოს უპყრია ხელთ, საკანონმდებლო ორგანო ცდილობს აღმასრულებელს იმდენი ძალაუფლება არ მიანდოს, რომ მან პირველის

დამოუკიდებლობა და ამით ქვეშევრდომთა თავისუფლება შელახოს“(შაიო ანდრაშ, 2003. გვ. 132)

XVIII საუკუნეში საკანონმდებლო ხელისუფლების ცენტრალური ადგილი და უზენაესობა იყო ამოსავალი იდეა ინგლისური პარლამენტარიზმისა. უარყვეს ჯონ ლოკის მოსაზრება, რომ უზენაესი უფლება აქვს ხალხს, რომ გადააყენოს ან სახე უცვალოს საკანონმდებლო ორგანოს, თუ ეს უკანასკნელი მის ნდობას ვერ ამართლებს. ბლექსტონი მიიჩნევდა პარლამენტს ადგილად, სადაც აბსოლუტური, დესპოტური ხელისუფლება, „რომელიც ყოველი მმართველობის შემთხვევაში სადმე უნდა იყოს თავმოყრილი, სამეფო კონსტიტუციით არის მინდობილი“. (William Blackstone, 1979, P.156) თუმცა, პარლამენტი მეფესთან ერთად გამოსცემდა კანონებს. ამერიკელი კოლონისტები, ინგლისის პარლამენტის თვითმპყრობელური დესპოტიზმის(რომელსაც თან ერთვოდა მონარწის დესპოტიზმი) წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა სრულუფლებიანი პარლამენტის შეზღუდვა.(შაიო ანდრაშ, 2003 წ. გვ.132–133) ბლექსტონის მიხედვით, პარლამენტი შედგებოდა ლორდთა პალატის, არევითი თემთა პალატისა და მონარქისაგან. „სახელისუფლებო განშტოება, ე.ი. ხალხი, ლორდები და აღმასრულებელი ხელისუფლება (მონარქი) ურთიერთშეთანხმების საჭიროების გამო აწონასწორებენ და ზღუდავენ ერთმანეთს. ამ სისტემაში, პარლამენტარი პასუხისგებაში არ მიეცემოდა პარლამენტში გაკეთებული განცხადების გამო. პარლამენტის ორივე პალატას უფლება ჰქონდა იმპიჩმენტი გამოეცხადებინა მეფის მრჩეველთათვის. გარდა ამისა, თემთა პალატას ჰქონდა უფლებამოსილება გადასახადებთან და ფინანსებთან დაკავშირებული კანონპროექტები შეეტანათ, რომელთა უარყოფაც ლორდთა პალატას შეეძლო მხოლოდ. გამომდინარე იქიდან, რომ თემთა პალატა არჩევითი ორგანოა, ბლექსტონის მოსაზრებით, სწორედ ეს ქმნიდა კონსტიტუციის დემოკრატიულ ასპექტებს, რადგან „სწორედ არჩენების მშვეობით ცხადდება ხალხის ნება, ხალხი თავვის სუვერენიტეტს მისივე წარმომადგენლის არჩევით ახორციელებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხმის უფლება

ქონებრივ შესაძლებლობაზე იყო დამოუკიდებელი, ვინაიდან არ დარღვეულიყო ხმის მიცემის თავისუფლება და იგი მხოლოდ იმას ენიჭებოდა, ვინც სხვის ზემოქმედებას არ განიცდიდა.(შაიო ანდრაშ, 2003. გვ.134)

დღევანდელი პარლამენტები არსებითად განსხვავდება XVIII საუკუნეში არსებული მოდელისაგან. თანამედროვე საკონსტიტუციო სისტემებში აღმასრულებელი ხელისუფლება არ წარმოადგენს საკანონმდებლო ხელისუფლების ნაწილს. ამასთანავე, ორპალატიანი პარლამენტის არსებობის შემთხვევაში, პარლამენტის მეორე პალატა არ წარმოადგენს რომელიმე სოციალური ჯგუფს ან წოდებას, არ უკავშირდება ქონებრივ ცენზსს. პარლამენტის მეორე პალატის წევრებიც სარგებლობენ იმუნიტეტით. აღმასრულებელი ხელისუფლება ექვემდებარება საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ იმპიჩმენტს. დღევანდელი პარლამენტები, წარმომადგენლობით–დემოკრატიული ლეგიტიმურობის საფუძველზე პოლიტიკის განსაზღვრისაკენ ისწრაფვიან. ყველაზე მთავარი ის არის, რომ თანამედროვე პარლამენტის წევრები აირჩევიან არჩევნების გზით. უმეტეს სისტემაში კი პირდაპირი არჩენების გზით.(შაიო ანდრაშ, 2003, გვ.134–135)

ამგვარად, თანამედროვე საპარლამენტო რესპუბლიკაში, პარლამენტი წარმოადგენს უმაღლეს ხელისუფლებას, რაც გამოხატულია, მთავრობის ფორმირების საპარლამენტო წესსა და პარლამენტის წინაშე მთავრობის პოლიტიკურ პასუხისმგებლობაში. მთავრობის ერთი წევრისადმი, განსაკუთრებით მთავრობის თავმჯდომარისადმი უნდობლობა, ავტომატურად მთავრობის გადადგომას იწვევს. პარლამენტში არჩევნების შედეგად უმრავლესობის მანდატის მქონე პარტიების მიერ ხდება მთავრობის ფორმირება. ასევე პარლამენტის მიერ ხდება პრემიერ–მინისტრის არჩევა ან დანიშვნა. პრეზიდენტის როლი მთავრობის ფორმირებაში ნომინალურია. პრეზიდენტის აქტები მხოლოდ პარლამენტის ან მთავრობის თანხმობის შედეგად იღებს იურიდიულ ძალას და მათზე პასუხისმგებლობაც ამ უკანასკნელთ ეკისრებათ. საპარლამენტო რესპუბლიკის ორი სახის სახელმწიფო რეჟიმზე მიუთითებენ:

საპარლამენტოსა და მინისტერიალურზე.(დემეტრაშვილი ავთანდილ, თბილისი 2005, გვ. 122)

აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების გამიჯვნა, გარანტიაა იმისა, რომ ისინი ერთმანეთს აკონტროლებენ და არ მისცემენ უფლებას, რომ აბსოლუტური ძალაუფლება რომელიმემ ჩაიგდოს ხელში. შაიოს(2003) მიხედვით, პარლამენტი არის საერთო–სახალხო წარმომადგენლობის ორგანო და აქედან გამომდინარეობს საკანონმდებლო ორგანოს სპეციალური ლეგიტიმურობა და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე მისი უპირატესობა საპარლამენტო სისტემების უმეტეს ნაწილში ბუნებრივია. თუმცა, თუკი აღმასრულებელ ხელისუფლებას ირჩევს ხალხი, ამ შემთხვევაში იკარგება პარლამენტის დამატებითი წარმომადგენლობითი ლეგიტიმურობა. ამგვარ ვითარებაში, ამ ორ სახელისუფლებო ორგანოს შორის ურთიერთობა განისაზღვრება შრომის დანაწილების ლოგიკითა და კონსტიტუციაში ასახული შემთხვევებით. თანამედროვე საკონსტიტუციო ხელისუფლების დანაწილებაში, პარლამენტი არის არჩევითი ორგანო, რომელიც იღებს კანონებს და წარმოადგენს ამომრჩევლებს. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში მთელ ხალხს. ხალხს სჭირდება საკანონმდებლო და მმართველობის ორგანო, რათა უფლებები არ დაკარგოს და მუდმივად თვალყური ადევნოს საკონსტიტუციო წყობას. შაიოს(2003) მოსაზრებით, ხალხის მიერ საკანონმდებლო ორგანოს არჩევა დემორკატიული იდეალების ლოგიკური შედეგია, ხოლო იმავე ხალხის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების არჩევის აუცილებლობა სიცხადეს მოკლებულია.(შაიო ანდრაშ, 2003, გვ.136)

1.2.ხალხის უზენაესობის შეზღუდვა საპარლამენტო სისტემებში

პარლამენტი საკანონმდებლო ფუნქციას ახორციელებს სახალხოობის წყალობით. მის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკის განსაზღვრაც

სწორედ სახალხო–დემოკრატიული ლეგიტიმაციიდან გამომდინარეობს. პარლამენტი, როგორც კონსტიტუციონალიზმის ინსტიტუტი, ერთის მხრივ ხალხის ნებისა და ისი მონაწილეობის შეზღუდვის საშუალებაა და მეორეს მხრივ, თავად საჭიროებს შეზღუდვას. დემოკრატიული მოწყობის მიხედვით, ადამიანი თავისუფალი, ავტონომიური და თანაბარუფლებიანია, რომელიც თავადვე არის საკუთარი ბედის გამგე. აქედან გამომდინარე, დემოკრატია მოითხოვს, რომ მოქალაქეთა ნება იქნას ასახული პოლიტიკურ პროცესში და ხალხი უშუალოდ ხელმძღვანელობდეს სახელმწიფოს. აქვე ხაზგასასმელია, რომ საყოველთაო ნების დაყვანა უმრავლესობის ნებაზე, სახალხო ნების შინაარს ხდის საეჭვოს. დროთა განმავლობაში პარლამენტის ტრანსფორმაციის შედეგად, პარლამენტს შეეძლო საზოგადოების მრავაფეროვნება წარმოედგინა არჩეული წარმომადგენლებით. მრავალფეროვანი საზოგადოების წარმომადგენლები სხვადასხვა საკითხზე კამათობდნენ და საბოლოოდ საერთო ნება ყალიბდებოდა არა შედგენილი ჯამის, არამედ ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილების სახით. პარლამენტს, როგორც წარმომადგენლობით ორგანოს, ხელეწიფება შეზღუდოს უმრავლესობის დემოკრატიული ძალაუფლება იმ მიზეზით, რომ იგი ეფუძნება წარმომადგენლობის და არა უშუალო დემოკრატიის პრინციპს. ამგვარად, მედისონი განმარტავდა, რომ „კანონმდებელი დგას ამომრჩეველთა უმრავლესობასა და კანონს შორის როგორც დამოუკიდებელი მოქმედი პირი.“ იმისათვის რომ, პარლამენტმა შეძლოს დისტანცირება მოქალაქეთა უმრავლესობისაგან, უნდა გათავისუფლდეს შემოჭილი იმპერატიული მანდატისაგან, რომელიც ფეოდალური ტიპის საზოგადოებაში იყო და დღეს არსებული დეპუტატის თავისუფალი მანდატის ფარგლებში იმოქმედონ. 1789 წელს ფრანგ ფეოდალთა სავალდებულო მანდატის მქონე დელეგატებმა, ფეოდალური პარლამენტი დამფუძნებელ ეროვნულ კრებად გადააქციეს და ამით, პროვინციულ წარმომადგენლობით განპირობებულ სავალდებულო მანდატებზე თქვეს უარი, რითაც იქცნენ მთელი ერის წარმომადგენლებად. აქედან გამომდინარეობს, ესოდენ წარმატებული ეროვნული სუვერენიტეტის იდეა. აბა

სტეისი აღნიშნავდა რომ „წარმომადგენელი ემსახურება მთელ ერს და არა სახალხო სუვერენიტეტს“. ედმუნდ ბერკის სიტყვებს რომ მივყვეთ, „პარლამენტი როდია სხვადასხვა და დაპირისპირებულ ინტერესთა დამცველი ელჩების კონგრესი, სადაც დამცველი მოვალეა დაბეჯითებით გამოხატოს საკუთარი ინტერესი და დაიცვას თავისი პირველობა ყველა დანარჩენი წარმომადგენლის ან მფარველის წინაშე. პირიქით, პარლამენტი ერის ისეთი თავყრილობაა, რომელიც მოლაპარაკების გზით იღებს გადაწყვეტილებას ერთადერთი ინტერესის–მთელის ინტერესის დაცვით. იგი ხელმძღანელობს არა ადგილობრივი მიზნებითა და ადგილობრივი ცრურწმენებით, არამედ საზოგადო სიკეთის მოსაზრებით, რომლებიც ამ მთელის საერთო გონიდან გამომდინარეობს“(შაიო ანდრაშ, 2003, გვ.140) ლიბერალური კონსტიტუციები 1791 წლის საფრანგეთის კონსტიტუციიდან დაწყებული კრძალავს იმპერატიულ მანდატს და ელექტორატის დავალებებს.

საფრანგეთის რევოლუციისა და ედმუნდ ბერკიდან მოყოლებული საპარლამენტო მმართველობა აღარ მიიჩნეოდა კერძო სამართლის ტიპის სავალდებულო მანდატად. პარლამენტის არსებობის დასასაბუთებლად დემოკრატიის კრიტიკოსებმა, გიზომ, ტოკვილმა და ჯ.ს. მილმა– პარლამენტარიზმის თუ ანტიდემოკრატიულ არა, დემოკრატიის თვალსაზრისით ნეიტრალურ როლს მიაგნეს. ამ უკანასკნელთა აზრით, პარლამენტი ორგანოა არა ხალხის ნების, არამედ გონის. „პარლამენტი ესაა სადისკუსიო ფორუმი, სადაც ხორციელდება გონივრული გადაწყეტილების მისაღებად საჭირო საზოგადოებრივი შემეცნება საპარლამენტო დებატების მეშვეობით და მის შედეგად დეპუტატები ჭეშმარიტებასთან ახლოს აღმოჩნდებიან.“

ფრანსუა გიზო, ვიდრე გახდებოდა კონსტიტუციური მონარქიის წევრი, მიიჩნევდა, რომ წარმომადგენლობით სისტემას არ ჰქონდა საერთო ბრმა ნებასთან და რომ წარმომადგენლობით სისტემა გულისხმობდა მხოლოდ საღი აზრის მქონე ადამიანთა წარმომადგენლობას პარლამენტში. იგი ინტელექტის სფეროს

განეკუთვნება და ლიბერალური პარლამენტარიზმი ანტიდემოკრატიულია. მას მიაჩნდა რომ საყოველთაო საარჩევნო უფლება აბსურდული და შუეძლებელია. მილი, გიზოსგან განსხვავებით მიიჩნევდა, რომ წარმომადგენლობითი მმართველობა უფრო ფართო საზოგადოებირივი პროგრამის ნაწილია, რომლის მეშვეობით ხორციელდება პირადი და ეროვნული თვითგამორკვევა. თუმცა, წარმომადგენლობითი მმართველობა თუ კონსტიტუციურ შეზღუდვებს არ დაექვემდებარება საშიშია. „თუ პარლამენტარიზნი, დემოკრატიული პრინციპების თანახმად, უმრავლესობის ტირანიას ნიშნავს, მაშინ საჭიროა მისგან თავი დავიცვათ, ფრთხილად ვიყოთ, რადგან უმრავლესობის ბატონობას, შეიძლება უმცირესობის სრული დაქვემდებარება და ინდივიდის სრული დაუცველობა მოჰყვეს.(შაიო ანდრაშ, 2003, გვ.144–145) XIX საუკუნეში პარლამენტარიზმის კონცეფცია საბოლოოდ დამკვიდრდა და სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება მისი კრიტიკა. მრავალპარტიული სისტემის მომძლავრების კვლადაკვალ, მუდმივი არასტაბილურობა საპარლამენტო მმართველობის თანმდევ ნიშან–თვისებად იქცა. შესაბამისად, პარლამენტს მიიჩნევდნენ გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონედ.

1.3.კლასიკური პარლამენტარიზმის კრიტიკა

ხმის მიცემის საყოველთაობამ დასაბამი დაუდო მასობრივი პარტიების არსებობას. გარდა ამისა, პროპორციულმა საარჩევნო სისტემამ პარტიულ თარგზე გამოჭრა პარლამენტი. პარლამენტართა ჯგუფებსა და პარტიულ ფრაქციებს შორის მიმდინარე გარიგებანი არ შეესაბამებოდა ფორუმის პრინციპსა თუ საპარლამენტო პროცედურის ტრადიციულ მოთხოვნას. კრიტიკოსებთა მოსაზრებით, არ ჰქონდა აზრი სახალხო წარმომადგენლობაზე სუბარს, იქ სადაც წარმომადგენელი პარტიული ჩარჩოებით შეზღუდული მოქმედებდა და არა საკუთარი სინდისის კარნახით. საპარლამენტო სახალხო სუვერენიტეტის მითმა თითქოს პარლამენტი ხალხს და ერს

წარმოადგენს დაკარგა ძალა პარტიული სისტემისა და პროპორციული წარმომადგენლობის გამო.

XX საუკუნის დასაწყისში, ცხადი რომ მეცხრამეტე საუკუნის სათათბირო პარლამენტარიზმის ღირებულებები თითქმის არ არსებობდა. საპარლამენტო დებატებმა მნიშვნელობა დაკარგა და არგუმენტებზე დაფუძნებული კამათი პროპაგანდამ შეცვალა. პოლიტიკური დარწმუნების უნარი ამომრჩეველთა გადმობირებამ შეცვალა.(შაიო ანდრაშ, 2003, გვ.148–149) უკმაყოფილოები იყვნენ რიგითი ადამიანებიც. ამ პერიოდში აღმოჩნდა, რომ არც ერთი პრობლემა პარლამენტში არ წყდებოდა და საპარლამენტო დებატები ფარსი იყო. იგრძნობოდა უუნარობა, არ გამოიცემოდა საჭირო კანონები, არ არსებობდა ძლიერი მთავრობა. ანტიპარლამენტარულ განწყობებს აღვივებდნენ მარქსისტული და სხადასხვა რადიკალური თუ მონარქისტული მოძრაობები. „პარლამენტარიზმი მმართველი კლასების გართობად და ძალად მიიჩნდეოდა“. 1945 წლიდან დიქტატორული რეჟიმების ანტისაპარლამენტო განწყობის საპასუხოდ კონსტიტუციური მოწყობის სახელმწიფოები დაუბრუნდნენ საპარლამენტო სისტემას, თუმცაღა შეეცადნენ გაეთვალისწინებინათ ყოველი შინაგანი დაპირისპირება და ნაკლი, რათა პარლამენტი რაციონალურ ორგანოდ ექციათ.(შაიო ანდრაშ, 2003, გვ.151)

თავი II. საპარლამენტო რესპუბლიკის დამკვიდრების მცდელობები საქართველოში

2.1. დემოკრატიული რესპუბლიკის მოდელი(1918–1921)

დამოუკიდებლობის აქტიდან კონსტიტუციის მიღებამდე, საქართველოს რესპუბლიკაში აქტიურად მიმდინარეობდა კანონშემოქმედებითი საქმიანობა და მზადდებოდა კონსტიტუციის პროექტი. ამისათვის საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წელს შექმნა 9 კაციანი შემადგენლობით საქართველოს საკონსტიტუციო კომისია(პირველი კომისია), ხოლო 1919 წელს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ–მეორე საკონსტიტუციო კომისია(თავდაპირველად 15 კაცის შემადგენლობით). საკონსტიტუციო კომისიის სხდომებზე, აქტიურად განიხილებოდა იმგვარი პროექტის შემუშავების საკითხები, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა „ქართველი ხალხის, ისტორიულად ჩამოყალიბებული ფსიქიკა, ყოფა, ზნე–ჩვეულება, საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა და სამ წლიანი პარლამენტური პრაქტიკა. მიაჩნდათ, რომ კონსტიტუციის მიღება „განამტკიცებდა ქვეყნის საგარეო მდგომარეობას, აამაღლებდა მის საერთაშორისო ავტორიტეტს“, „მართვა–გამგეობაში არსებულ არევ–დარევასა და გაურკვევლობას, უპასუხისმგებლობას და თვითნებობას“ ბოლო მოეღებოდა. პროექტის ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდა დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქცია, დეპუტატების უმრავლესობა. მოსაზრებები გამოთქვეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, ეკლესიამ და პირველმა პირებმა. აღნიშნულ კონსტიტუციაში „გონივრულად იყო შეჯერებული მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება და საერთო–ეროვნული საწყისები“. გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრამა ჰანს–დიტრიხ გენშერი, აღნიშნავდა, რომ 1921 წლის კონსტიტუციის ტექსტი „ერთ–ერთი პროგრესული იყო ევროპის კონტინენტზე. უკვე მაშინ აღიარებდა იგი ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა

თავისუფლება, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო, რომელსაც დღევანდელი ევროპა ეყრდნობა. დამფუძნებელმა მამებმა ორიგინალური მოდელი შეიმუშავეს. სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს ფუნქციები გადანაწილებული იყო ერთპალატიან პარლამენტსა და თანამდებობაზე ერთი წლის ვადით არჩეულ პრემიერ–მინისტრს შორის.(დემეტრაშვილი ავთანდილ, თბილისი 2005, გვ.63–64)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა აზრით საქართველოში უნდა დამკვიდრებულიყო სანიმუშო დემოკრატიული წყობილება. ეს წარმოადგენდა მმართველი პარტიის სოციალ–დემოკრატების ერთ–ერთ უმთავრეს მიზანს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასურველი ყოველთვის არ ნიშნავს შესაძლებელს. რამდენად იყო შესაძლებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა საქართველოს იმდროინდელ სოციალურ–ეკონომიკურ, კულტურულ და საზოგადოებრივ პოლიტიკურ პირობებში მსჯელობის საგანი იყო 1918–21 წლების პოლიტიკურ დისკურსში.

დემოკრატიზაციის პროცესი ქვეყნის ისტორიულ–კულტურულ პროცესებს არ უნდა ყოფილიყო მოწყვეტილი. საქართველოს არ ჰქონდა საპარლამენტო ტრადიციები, დემოკრატიული მმართველობის გამოცდილება და სხვა. ნოე ჟორდანია „სოციალ–დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია“(1918) განიხილავდა მოცემულ საკითხს. მისი აზრით, საქართველოში ყველა პირობა არსებობდა დემოკრატიული საზოგადოების ასაშენებლად. ამავე აზრს ავითარებდა კონსტანტინე მიქელაძე, რომელიც გამოყოფდა რამოდენიმე ფაქტორს, რაც განაპირობებდა ქართველთა პოლიტიკურ სიმწიფეს დემოკრატიზაციის პროცესში. გულისხმობდა რა, ხალხის ბუნებრივ ნიჭს, პოლიტიკურ რევოლუციას, რომელიც ამწიფებდა ხალხის შეგნებას და სოციალ–დემოკრატიული პარტიის აქტიურ მოღვაწეობას ხალხის შეგნებისა და პოლიტიკური „სიფხიზლის“ გასაღრმავებლად. გ. გვაზავა მიიჩნევდა, რომ დემოკრატია შეუძლებელია მოახვიო რომელიმე ერს, საჭიროა კულტურული, ეროვნული განვითარების დონე და მზაობა,

დემოკრატიის დასამკვიდრებლად. იგი მიიჩნევდა, რომ დემოკრატიზმი იყო საქართველოს ისტორიული განვითარების ლოგიკური შედეგი. იმდროინდელი მმართველი პარტია, აკრიტიკებდა „ბურჟუაზიული დემოკრატიის შეზღუდულობას“. „დემოკრატიული რესპუბლიკისა და მისი პარლამენტარიზმის“ დაცვა მიაჩნდათ სოციალისტური მიზნების განხორციელების საშუალებად.(მაცაბერიძე მალხაზ, თბილისი 2008, გვ. 10–11)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის(1921) კონსტიტუციის ფუძემდებლებისთვის ხალხის სუვერენიტეტი იყო ჭეშმარიტი დემოკრატიის საფუძველი. „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს“, „ყოველი უფლობის ანუ ხელმწიფების წყარო ხალხია“, ეს იყო ამოსავალი წერტილი, რაზეც უნდა დამყარებულიყო სახელმწიფოს ნებისმიერი ორგანოს მოქმედება. თუ მონარქიულ სახელმწიფოში უზენაესი ნება ხელმწიფეს ჰქონდა, დემოკრატიულ სახელმწიფოში ხალხი იყო სუვერენი, რომელიც თავად იძლეოდა იმ საზღვრებს, რომელშიც უნდა გაშლილიყო მისი ნება. „ხალხი არის უმთავრესი ენერგია, რომელსაც მოჰყავს მოძრაობაში მთელი სახელმწიფოს მექანიზმი“.(მაცაბერიძე მალხაზ, თბილისი 2008, გვ.17). „უმეშვეო დემოკრატია“ იგივე პირდაპირი დემოკრატია, რომელიც არსებობდა მაგალითად შვეიცარიის ზოგიერთ კანტონში(ური, შვიცი, უნტერვანდენი), სადაც მოქალაქეები იკრიბებოდნენ და პირდაპირი წესით იღებდნენ კანონებს, დადგენილებებს, ირჩევდნენ ამა თუ იმ მოხელეს, წარმოადგენდა ქართველი სოციალისტებისათვის მეტად სასურველ მოდელს, თუმცა ისინი აცნობიერებდნენ რა, რომ თანამედროვე სახელმწიფოებში, ტერიტორიული სიფართოვისა და მცხოვრებთა სიმრავლის გამო, პირდაპირი დემოკრატიის განხორციელება არ ხდებოდა, ხალხის სუვერენობის უზრუნველსაყოფად, წარმომადგენლობითი დემოკრატიული სახელმწიფოს პრაქტიკის შემოღება გადაწყვიტეს.(სცსსა,ფ.1833, აღწ.1, საქ.182,ფურც.58) ამგვარად, საკანონმდებლო ფუნქციების შესრულებას ხალხი ანდობდა არჩეულ წარმომადგენელს, თავად კი კმაყოფილდებოდა ზოგიერთ კანონის მიღებაში მონაწილეობით. მოცემულ შემთხვევაში ხალხი თავის სუვერენულ ნებას

განახორციელებდა: წარმომადგენლების არჩევით, საკანონმდებლო ინიციატივით, რეფერენდუმის მეშვეობით. 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტს შეეძლო მხოლოდ კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედება და ის საკითხები, რაც პარლამენტს არ ჰქონდა გადაცემული, ხალხს ჰქონდა დარჩენილი. ამგვარად, სუვერენი იყო ერი, შემდეგ შეზღუდული სახით პარლამენტი, რომელიც სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მოქმედებას საზღვრავდა.(მაცაბერიძე მალხაზ, თბილისი 2008. გვ.17) 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთათვის „უფლებრივი სახელმწიფოს“ ჩამოყალიბება იყო უზენაესი მიზანი, რაც გულისხმობდა იმგვარი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, სადაც კანონი გამოხატავდა ხალხის ნება-სურვილს, დამკვიდრებული იქნებოდა კანონის უზენაესობა და არცერთი ხელისუფლება არ იდგებოდა კანონზე მაღლა. „მხოლოდ უფლებრივს სახელმწიფოშია აღმასრულებელი ხელისუფლება დაქვემდებარებული კანონმდებელს ხელისუფლებას და მხოლოდ იმ წყობილებას შეგვიძლია დავარქვათ უფლებრივი, სადაც ეს ასეა,“ ხოლო ამ უფლებრივობის დამცველი სასამართლო უნდა ყოფილიყო.(„სახალხო საქმე“,5. XI.1920)

1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლები ხელისუფლების დანაწილების თეორიას მიიჩნევდნენ პარლამენტის როლის დაკნინებად და უარყოფდნენ მას. ს. დადიანი აღნიშნავდა, რომ მონტესკიეს ხელისუფლების დანაწილების თეორია, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად, არ წარმოადგენდა მათთვის მისაღებ ფორმას და აღნიშნავდნენ, რომ 1921 წლის კონსტიტუცია არ მიჰყვებოდა ზემოაღნიშნულ მოდელს. მიიჩნევდნენ, რომ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების სრული გათიშვა არც შესაძლებელი იყო და არც სასურველი. ამგვარად, მათთვის სასურველ „უფლებრივი სახელმწიფოს მოდელში“ ანუ სადაც კანონის უზენაესობის პრინციპი იყო ამოსავალი, აღმასრულებელი ხელისუფლება ასევე დიდ როლს თამაშობდა კანონმდებლობაში, თუმცაღა აუცილებლად დაქვემდებარებული იყო საკანონმდებლო ხელისუფლებას და არ იდგა კანონზე მაღლა.(მაცაბერიძე მალხაზ, თბილისი 2998, გვ. 20) ს. დადიანი

მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო არა ხელისუფლების დაყოფა, არამედ „განცალკევება“, რაც გულისხმობდა აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დაქვემდებარებას, საკანონმდებლო ორგანოსადმი. ასევე, ამ უკანასკნელს ჰქონდა უფლება საჭიროების შემთხვევაში უნდობლობა გამოეცხადებინა კაბინეტისათვის. 1921 წლის კონსტიტუციონალისტები, მიიჩნევდნენ რომ საქართველოს არ ჰქონდა ფუფუნება დიდი სახელმწიფოების მსგავსად ექსპერიმენტები ჩაეტარებინა, ვინაიდან საქართველო მათ მსგავსად ვერ გაუძლებდა უფლებრივ გადაცდომებს. „ჩვენ როგორც პატარა ერმა უნდა ვიაროთ საისტორიო–საკაცობრიო მიზნისაკენ ძლიერ ფრთხილად და ნაკლები დაბრკოლების ხაზით“, რაც გულისხმობდა მიზანშეწონილ კომბინირებას და დიადი მიზნების მიღწევას რაციონალური გზებით. (მაცაბერიძე მალხაზ, 2008, გვ.20–21)

1921 წლის მმართველი პარტია ემხრობოდა დემოკრატიულ რესპუბლიკას. აღნიშნული პოზიცია გაცხადებული იყო ნოე ჟორდანიას ნაშრომში „სოციალ–დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია“(1918). ნ. ჟორდანია მიიჩნევდა, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა ბურჟუაზიის ბატონობის იარაღს წარმოადგენდა, სადაც ცენტრალური ხელისუფლების უსაზღვრო გაძლიერება, საფუძველს აცლიდა ხალხის მმართველობას და ძალაუფლების აბსოლუტურ კონცენტრაციას ახდენდა პარლამენტის ხელში. ამის საპირისპიროდ, ნ. ჟორდანია დემოკრატიულ რესპუბლიკას მიიჩნევდა მისაღებ პოლიტიკურ რეჟიმად, ვინაიდან ეს უკანასკნელი უზრუნველყოფდა ცენტრსა და პერიფერიას შორის ხელისუფლების განაწილებას, ხალხის პოლიტიკური თვითმმართველობის პრინციპის შენარჩუნებას, რომელსაც ხელეწიფებოდა ცენტრისგან დამოუკიდებელი ორგანოების მეშვეობით ხელისუფლება განეხორციელებინა. ამგვარად, ცენტრალური ხელისუფლება გადაიქცეოდა სახალხო ხელისუფლებად. მოცემული გააზრებიდან გამომდინარე, საქართველოს საკანონმდებლო ორგანო უნდა ყოფილიყო ერთ პალატიანი, რომლის უზენაესობა შეზღუდულ იქნებოდა ერთის მხრივ კონსტიტუციით, ხოლო მეორეს მხრივ სახალხო რეფერენდუმით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეფერენდუმი ნ.

ჟორდანიას მოსაზრებით, მხოლოდ ზოგიერთ ძირითად საკითხებზე უნდა ჩატარებულიყო, რადგან ჩამორჩენილობის ან საკითხის სირთულის გამო, ხალხს პროგრესული კანონების მიღებისათვის ხელი არ შეეშალა, ასევე თავიდან აცილებულიყო პოლიტიკურ ავანტურისტთა დემაგოგია. ჟორდანია უპირატესობას ანიჭებდა „შვეიცარიულ სისტემას“ გარკვეული ცვლილებებით, იმისათვის რომ კონსტიტუცია ქართველ ხალხზე ყოფილიყო მორგებული. ამგვარად, იგი საშუალო ტიპის პარლამენტარულ და პირდაპირ დემოკრატიას შორის გონივრულად ელემენტების შეერთების მომხრედ გამოდიოდა. გ. გვაზავა რეფერენდუმის შემოღების წინააღმდეგ გამოდიოდა და მართებულად მიიჩნევდა პარლამენტარული და შვეიცარიული სისტემების შეერთებას. მისგან განსხვავებით, პ. საყვარელიძე ემხრობოდა რეფერენდუმს, განსაკუთრებით საკონსტიტუციო ცვლილებების კუთხით, ამ უკანასკნელს კი არ ეთანხმებოდა ნ. ჟორდანია, რომელიც მიიჩნევდა, რომ კონსტიტუციის ხშირად გადასინჯვა მიზანშეუწონელი იყო, რეფერენდუმი კი ამის შესაძლებლობას იძლეოდა. საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ს. ჯაფარიძე კი შერეული ტიპის ფრანგული და შვეიცარიული სისტემისკენ იხრებოდა.(მაცაბერიძე, თბილისი 2008, გვ.22–23)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა აზრით, საქართველოში უნდა დამკვიდრებულიყო სანიმუშო დემოკრატიული წყობილება. ამ მხრივ, უნდა შექმნილიყო ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც სხვა ქვეყნების მსგავსად აღიარებდა ერის უზენაესობას, აქვე ხაზს უსვამდნენ რომ, „თვით ორგანიზაცია ამ უზენაესობის განხორციელებისა არის უაღრესად დემოკრატიული ისე, როგორც არ არის არც ერთ ევროპული კონსტიტუციაში“. საქართველოს დემოკრატიული წყობილების თავისებურებას კი განსაზღვრავდა: აღმასრულებელი ხელისუფლების მოწყობა, საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციების სიფართოვე და ხასიათი, ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ მმართველთა შორის.(მაცაბერიძე, თბილისი 2008, გვ.24–25)

კონსტიტუციის ფუძემდებლები ითვალისწინებდნენ იმ დროს არსებული დემოკრატიულ მოდელებს, აანალიზებდნენ და ცდილობდნენ საქართველოსათვის „გამოჭრილი“, რაციონალური და უაღრესად დემოკრატიული მოდელი შეემუშავებინდათ. ამგვარად, სამი ძირითადი ტიპი, შვეიცარიული უშუალო დემოკრატია, ამერიკული ხელმწიფებაგანაწილებული დემოკრატია და ფრანგული ტიპის საპარლამენტო დემოკრატია მათ წმინდა სახით მიუღებლად მიიჩნიეს ქართული რეალობისა და ხალხის სუვერენულობის გადმოსახედიდან. შვეიცარიისათვის დამახასიათებელი ე.წ. „უპასუხისმგებლო“ მთავრობა მიიჩნიეს რა მიზანშეუწონელად, მოცემული სისტემიდან აიღეს უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტები, რეფერენდუმი და საკანონმდებლო ინიციატივა. ამერიკული „ხელმწიფება–განაწილებული“ მოდელი, ყველაზე უფრო მიუღებლად მიაჩნდათ ქართული რეალობისათვის, ვინაიდან აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებათა განაწილება დაარღვევდა სახელმწიფოს ერთიანობას და იქნებოდა სახელმწიფო ხელისუფლებათა შორის გაჩაღებული მუდმივი ბრძოლის მიზეზი. რაც შეეხება ფრანგულ სისტემას, სადაც ხალხი კანონმდებლობს დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის საშუალებით, ხოლო მთავრობა მომდინარეობს პარლამენტისგან და პასუხისმგებელია მასზე, მისაღებად მიაჩნდათ, თუმცაღა წმინდა პარლამენტარიზმი მათთვის მიუღებელი იყო, რადგან ეს გამოიწვევდა პარლამენტის უსაზღვრო გაძლიერებას და ხალხის მმართველობის შეზღუდვას. ამგვარად, ზემოაღნიშნული მოდელების მიუღებლობა, განპირობებული იყო სამი ძირითადი მიზეზით. 1. არცერთი მათგანი არ შეესაბამებოდა საქართველოში დამკვიდრებულ პრაქტიკას. 2. თითოეული ხასიათდებოდა დემოკრატიული ინსტიტუტების ნაკლოვანებებით. 3. ცალკე აღებული არცერთი მათგანი არ შეესაბამებოდა საქართველოს წამყვანი პოლიტიკური ძალის_ სოციალ–დემოკრატების საპროგრამო მიზანს, ვინაიდან ხალხის თვითმპყრობელობის განხორციელება მიაჩნდათ სოციალიზმისკენ მიმავალ გზად.(მაცაბერიძე მალხაზ, თბილისი 2008, გვ. 27)

ზემოთაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, კონსტიტუციის პროექტს საფუძვლად დაედო დემოკრატიული რესპუბლიკის შერეული, კომპრომისული მოდელი. საპარლამენტო დემოკრატიის პრინციპების მიხედვით, საქართველოს პარლამენტი ირჩევდა მთავრობის თავმჯდომარეს, ეს უკანასკნელი კი მთავრობას ადგენდა. რაც შეეხება პირდაპირი დემოკრატიის ინსტიტუტებს, ამ უკანასკნელს უზრუნველყოფდა რეფერენდუმი და სახალხო ინიციატივა. ერთი მხრივ, მკვიდრდებოდა საპარლამენტო დემოკრატია, მეორე მხრივ, რეფერენდუმი, სახალხო ინიციატივა, მთავრობის დავმჯდომარის არჩევა, რომელსაც რესპუბლიკის წარმომადგენლის როლი ენიჭებოდა და არჩევითობით იყო შეზღუდული ერთგვარ შვეიცარულ მოდელს ქმნიდა. ამგვარად, ცდილობდნენ დემოკრატიული პრინციპების ფრთხილი შეთანხმებისათვის მიეღწიათ.(მაცაბერიძე მალხაზ, თბილისი 2008, გვ. 28)

2.2. ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპი

დემოკრატია არსობრივად ხალხის ნების გამოხატვაა. დემოკრატიული მმართველობა ეფუძნება რა ხალხის თანხმობას, შეიძლება იყოს უშუალო ან წარმომადგენლობითი. წარმომადგენლობით დემოკრატიაში ძალაუფლება გადადის არჩეულ წარმომადგენლებზე, რომლებიც ხალხის ნების გამომხატველებად გვევლინებიან. ამგვარ ვითარებაში, როდესაც არჩეული წარმომადგენლების უმრავლესობის ხელში ხვდება ხალხის ნების განხორციელება, არსებობს მთელი რიგი საფრთხეები. სავსებით შესაძლებელია დემოკრატია გადაიხაროს დესპოტიზმისაკენ, მეორეს მხრივ, კი დიქტატურის დამყარების საშიშროება იქმნება. ამგვარი ვითარების თავიდან აცილების საუკეთესო მექანიზმია კონსტიტუციონალიზმის იდეა. იმისათვის, რომ სახელმწიფო არ გაცდეს პოლიტიკურ სისტემაში მისთვის განკუთვნილ ადგილს და განახორციელოს უფლება–მოვალეობანი საჭიროა, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემის ჩამოყალიბება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე.(ხმალაძე და სხვ., 2005, გვ.9)

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი გულისხმობს იმგვარი სისტემის შემუშავებას, სადაც გამორიცხული იქნება მმართველთა თვითნებობა და მართულთა მხრიდან ანარქია. მოცემულ საკითხზე მსჯელობა ჯერ კიდევ ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსებმა დაიწყეს. დასრულებული სახით ამ იდეების განვითარებას ვხვდებით ჯონ ლოკისა და შარლ მონტესკიეს ნაშრომებში. „ამ იდეის იურიდიული ფორმალიზაცია და ინსტიტუციური რეალიზება უკავშირდება დიდი რევოლუციების ეპოქას“.(ხმალაძე და სხვ., 2005, გვ.)

ხელისუფლების დანაწილების კლასიკური მოდელი გულისხმობს ხელისუფლების–საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო განშტოებებად დანაწილებას. აღნიშნული მოდელი დაინერგა XVIII საუკუნის ინგლისში. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ხელისუფლების მოწყობისა და დანაწილების მრავალი გზა არსებობს. ყველა მოდელი ერთნაირად ვერ მოერგება ყველა ქვეყანას. გასათვალისწინებელია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიულ–კულტურული გარემო, ტრადიციები, არსებული პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკურ ძალთა ბალანსი, საზოგადოების მზაობა, სამართლებრივი ცნობიერების დონე და ა.შ.

სახელმწიფოს მოდელის მოწყობაზე გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორებისა გავლენას ახდენს არჩევანის გაკეთების მომენტში სახელმწიფოს მდგომარეობა, პოლიტიკურ ძალთა ბალანსი და საზოგადოების მოლოდინი. სახელმწიფოს მოწყობის მოდელი უნდა შეესაბამებოდეს ხელისუფლების დანაწილების კონცეფციას(ხმალაძე და სხვ., 2005. გვ.10)

ხელისუფლების დანაწილების თანამედროვე გაგება გულისხმობს

ა) <u>სახელმწიფო ხელისუფლების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ გამიჯვნა–გადანაწილებას</u>, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას იერარქიულად დამოუკიდებელი(უფლებამოსილების გამიჯვნა) საკუთარი კომპეტენციის (უფლებამოსილების გადანაწილება)სხვადასხვა განშტოების მიერ. ჩვეულებრივ ხელისუფლების სამ განშტოებას ასახელებენ საკანონმდებლო, აღმსრულებელსა და

სასამართლოს, თუმცა ხელისუფლების განშტოებებად მოიხსენიება საპრეზიდენტო, საპარლამენტო, საკონტროლო, საზედამხედველო, საარჩევნო და სხვა ხელისუფლებაც.

ბ) <u>კონტროლისა(ურთიერთშეკავების) და გაწონასწორების წესებს.</u> რომელთა მეშვეობითაც სხვადასხვა განშტოებები ახდენენ ერთმანეთის კონტროლს და ხელს უშლიან ერთმანეთს გავიდნენ საკუთარი კომპედენციის ფარგლებიდან

გ) <u>განშტოებათა თანამშრომლობას,</u> რაც განპირობებულია განშტოებათა ერთგვაროვანი სახელმწიფოებრივი ბუნებით. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად საკითხებში აუცილებელია ხელისუფლების განშტოებათა ურთიერთშეთანხმებული მოქმედება, სხვა შემთხვევაში ანარქია და საზოგადოების ინტერესების შელახვა გარდაუვალი იქნება.(ხმალაძე და სხვ., 2005, გვ.10–11)

სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა მოდელი, იმისდა მიხედვით აირჩევა თუ როგორაა ზემოაღნიშნული საკითხები გადაჭრილი. გვხვდება საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ნახევრადსაპრეზიდენტო(შერეული მმართველობის) სისტემები. თითეული მოდელის ტიპს სხვადასხვა ვარიაცია აქვს. კონსტიტუციონალიზმის კონცეფცია, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, სახელმწიფოს ეფექტური მმართველობა, პოლიტიკური კრიზისებიდან რბილად გამოსვლა და სხვ. დამოკიდებულია იმაზე, თუ კონსტიტუციური კანონმდებლობა, როგორ მიჯნავს და ანაწილებს სახელმწიფო ხელისუფლებას, რამდენად ეფექტიანია კონტროლისა და გაწონასწორების მექანიზმები, რამდენად უზრუნველყოფილია თანამშრომლობა ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის, რამდენად არის დაცული უმცირესობის ნება და პოზიცია წარმომადგენლობისას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების განშტოებათა თანამშრომლობისათვის მნიშვნელოვანია ხელისუფლების დეკლარირებული მიზნების თანხვედრა უმრავლესობის მიზნებთან(ხელისუფლების ლეგიტიმურობა); პარტიული სისტემა და პოლიტიკურ ძალთა კონფიგურაცია. დომინანტი სახელისუფლებო პარტიისა და

სუსტი ოპოზიციის შემთხვევაში(ან რეალური ოპოზიციის არარსებობის) შემთხვევაში ძლიერდება ხელისუფლების განშტოებათა თანამშრომლობის კომპონენტი და მკვეთრად სუსტდება ან საერთოდ არ მოქმედებს კონტროლისა და გაწონასწორების მექანიზმი; სხვა ფაქტორებს შორის, რომლებიც მოქმედებს მმართველობის ეფექტიანობაზე არის სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები; სამართლებრივი აზროვნება–ცნობიერებისა და პოლიტიკური კულტურის დონე საზოგადოებაში(ხმალაძე და სხვ.,2005. გვ11–12)

პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმეტესობამ, კლასიკური პარლამენტარიზმის მოდელზე უარი თქვა და საპრეზიდენტო რესპუბლიკის ფორმა აირჩია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული შემთხვევვები ხასიათდება პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის გაფართოებული უფლებამოსილებით, რომელიც ფაქტობრივად, შემაკავებელი და გამაწონასწორებელი ელემენტების გარეშეა დარჩენილი. შედეგად დადგა დეფორმირებული საპრეზიდენტო ან ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემა, რაც ასევე იწოდება, როგორც აბსოლუტური პრეზიდენციალიზმი ან სუპერსაპრეზიდენტო მმართველობა. ზემოაღნიშნული ტნდენცია უკავშირდება „ძლიერი საპრეზიდენტო ხელისკენ“ სწრაფვასა და ქარიზმატული ლიდერის როლს. თუმცა, რა გინდ კარგი ხელისუფალი არ უნდა იყოს, უკონტროლო და გაფართოებული ძალაუფლება რყვნის ხელისუფალს.(ხმალაძე და სხვ.,2005. გვ11–12)

2.3. კონსტიტუციონალიზმის განვითარება პოსტსაბჭოურ საქართველოში

საქართველოში კონსტიტუციონალიზმისა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რაც განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით. საქართველოში, რომელიც ჯერ მეფის რუსეთის, შემდგომ კი საბჭოთა

კავშირის შემადგენლობაში იყო სამოქალაქო ცნობიერება ვერ ჩამოყალიბდა იმგვარად, რომ დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტების რეალური ქმედუნარიანობა შეძლებოდა. დემოკრატიისკენ სწრაფვა, მეტწილად უკავშირდებოდა არასასურველი პოლიტიკური რეჟიმისგან გათავისუფლებას და არა სასურველი პოლიტიკური სისტემის შექმნას. საზოგადოება ხელისუფლებისკენ მიმავალი ყოველი ახალი პოლიტიკური ლიდერისგან მოითხოვდა ძველი რეჟიმის დანგრევას და არ აყენებდა მკაფიო მოთხოვნებს ახალი რეჟიმის, თუნდაც კონტურების შესახებ. „შესაბამისად, საკუთარ უფლებებში და შესაძლებლობებში გაუთვიცნობიერებელი ხალხი გამოთიშული აღმოჩნდა სადამფუძნებლო კონსტიტუციური პროცესისგან, ანუ იმის განსაზღვრის პროცესისგან, თუ როგორი სახელისუფლებო მოდელით უნდა იმართებოდეს ქვეყანა და რითი უნდა იყოს უზრუნველყოფილი დემოკრატიული მმართველობის შეუქცევადობა და ადამიანის უფლებების დაცვა“. ხმალაძე და სხვ.,2005, გვ.13)

ამგვარად, პოსტსაბჭოთა საქართველოში საზოგადოება მოუმწიფებელი აღმოჩნდა დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების კონკრეტული დაკვეთისათვის. 1990 წლებიდან არცერთმა პოლიტიკურმა ლიდერმა ან ხელისუფლებამ არ იტვირთა დეზორიენტირებული საზოგადოებისათვის შეეთავაზებინათ ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო მმართველობის მოდელი.“ხელისუფლებაში მოსულ ყოველ ლიდერს უჩნდებოდა იმის განცდა, რომ მას შესასრულებელი ჰქონდა რაღაც განსაკუთრებუბლი ისტორიული მისია და ამ მისიის შესრულების გზაზე კანონის უზენაესობა და ხელისუფლების დანაწილება დაბრკოლებებს წარმოადგენდა და არა ამ მისიის შესრულების იარაღს“. შესაბამისად, 1990 წლიდან მოყოლებული სახელმწიფო იმართებოდა ამა თუ იმ ხელისუფლის გემოვნებით და არა კონსტიტუციით. „საკუთარი თავის კონსტიტუციაზე მაღლა დაყენებისა და კონსტიტუციისადმი უპატივცემულობის ფორმები კი საკმაოდ მრავალგვარი იყო– დაწყებული კონსტიტუციური ნორმების პირდაპირი და აშკარა იგნორირებით და

დამთავრებული ვიწრო პოლიტიკური ინტერესების შესაბამისი კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელებით.(ხმალაძე და სხვ., 2005. გვ.13–14)

კონსტიტუციონალიზმზე განხორციელებულ ყოველ ძალადობას გაგებით ხვდებოდა პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა. კონსტიტუციამ ვერ დაიმკვიდრა სათანადო საზოგადოებრივი ღირებულება, ვინაიდან იგი აღიქმებოდა საზოგადოების უმრავლესობისათვის არა როგორ დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტი, არამედ როგორც პოლიტიკურ–სამართლებრივი იარაღი ხელისუფლების ხელში. გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოში კონსტიტუციონალიზმისა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დამკვიდრებას ხელი შეუშალა საქართველოში დამკვიდრებულმა „დე–ფაქტო ერთპარტიულმა პოლიტიკურმა სისტემამ. მიუხედავად იმისა, რომ 1990 წლიდან მოყოლებული მრავალი პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა არჩევნებში და ქვეყნის პარლამენტი ფორმალურად ერთპარტიული არ ყოფილა, რეალურად ყოველი მმართველი პარტია თავს აღიქვამდა ერთპიროვნულ მოთამაშედ და სრული კონტროლის მოპოვებისკენ ისწრაფვოდა. „სახელმწიფო ინსტიტუტებზე სრული პარტიული მეურვეობისა და კონტროლის დამყარებისკენ ისწრაფვოდა“. შესაბამისად, სახეზე იყო პარტიისა და სახელმწიფოს შეზრდა, რაც საბჭოთა პერიოდის მართვის სისტემის გაგრძელება იყო რეალურად. ბუნებრივია, ამგვარ გარემოში ხელისუფლების დანაწილების პრინციპი დაუშვებელი იყო. ამ ტრადიციაში ლიდერი–ბელადის ფიგურა იყო ამოსავალი.

საქართველოს პირობებში ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპი პოლიტიკური ისტებლიშმენტისათვის მიუღწეველ დოქტრინას წარმოადგენდა. თვით ყველაზე ოპოზიციური პარტიები და არასამავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აკრიტიკებდნენ ხელისუფლების ძალაუფლების უკიდურეს კონცენტრაციას, თავადაც გამოირჩეოდნენ პარტიაში, ორგანიზაციაში ერთმმართველობის პრინციპითა და ძალაუფლების განაწილების პრინციპის

არქონით. ამდენად, ქართული საზოგადოება და პოლიტიკური ელიტა, უუნარო აღმოჩნდა დაემკვიდრებინათ კონსტიტუციონალიზმისა და ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპი.(ხმალაძე და სხვ.,2005, გვ.14–15)

საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების უნებისა და მოწყობის ძირითადი პრინციპები გაცხადებულია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში. პრეამბულიდან ვიგებთ, რომ საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა დაამკვიდროს დეოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება. პირველი მუხლით–„საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წესწყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“. მე–5 მუხლის მიხედვით,. „1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

1. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.
2. არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოსო ხელისუფლება
3. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

2004 წლის თებერვლამდე ხელისუფლების დანაწილების მოდელის მიხედვით, საქართველოში ხელისუფლება სამ კლასიკურ განშტოებად იყოფოდა– საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებდა პარლამენტი, აღმასრულებელ ხელისუფლებას– პრეზიდენტი, სასამართლო ხელისუფლებას–საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები. პარლამენტის არჩენები იმართებოდა 4 წელიწადში ერთხელ, პრეზიდენტისა კი–ხუთ წელიწადში ერთხელ. სახელმწიფო ხელისუფლების მოდელი მიეკუთვნებოდა საპრეზიდენტოს, პრეზიდენტის სასარგებლოდ დარღვეული წონასწორობით.

2.4. სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტოსკენ

საქართველოს კონსტიტუციული კანონმდებლობა რესპუბლიკანიზმის იდეების ერთგული აღმოჩნდა. 1921 წლის კონსტიტუციიდან დღემდე, საქართველო რესპუბლიკური მმართველობის სახელმწიფოს წარმოადგენს. მოქმედი კონსტიტუცია, 1921 წლის კონსტიტუციის მსგავსად იცავს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. „ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით: კონსტიტუცია უმაღლეს სუვერენად, ხელისუფლების წყაროდ აღიარებს ხალხს და განსაზღვრავს ხალხის მიერ ხელისუფლების განხორციელების ფორმებს. „1.საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. 2.ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“(მუხ.5) ქართულმა სახელმწიფომ თითქმის ყველა ვარიანტი მოსინჯა: საპარლამენტო, საბჭოთა, ნახევრადსაპრეზიდენტო, საპრეზიდენტო.(დემეტრაშვილი ავთანდილ, თბილისი 2005, გვ. 136)

საქართველოს კონსტიტუციამ, მრავალჯერ განიცადა ცვლილება, თუმცა ყველაზე ფუნდამენტური ცვლილებანი განხორციელდა 2004 და 2010 წლებში. 2004 წლის 6 თებერვალს კონსტიტუციური კანონის საფუძველზე შეივალა 1995 წლის კონსტიტუციის ნაწილი, რომელიც ამერიკული საპრეზიდენტო მმართველობის სახელით არის ცნობილი და ჩამოყალიბდა საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის ე.წ. ნახევრადსაპრეზიდენტოს მიმსგავსებული სისტემა. 2010 წლის 15 ოქტომბრის კი კონსტიტუციური კანონით განხორციელდა არსებული მმართველობის ფორმის ახლებურად გააზრება და კონსტიტუციის ნორმებში ასახვა.

საქართველოს კონსტიტუციურ ისტორიაში ძალიან მაღალია 1921 წლის კონსტიტუციის როლი, არა მხოლოდ იმიტომ რომ იგი იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონსტიტუცია, არა იმიტომაც რომ ამ უკანასკნელში ადამიანი იყო წარმოჩენილი, როგორც უმაღლესი სოციალური ღირებულება. შემდგომი პერიოდის საქართველოს,(გარდა საბჭოურისა) ყველა სამართლებრივი მნიშვნელობის აქტი თუ კონსტიტუცია, ეყრდნობა 1921 წლის ისტორიულ–სამართლებრივ მემკვიდრეობას.(დემეტრაშვილი ავთანდილ, თბილისი 2010. გვ.9–11)

1995 წლიდან მოყოლებული საქართველოს საკონსტიტუციო ცვლილებების მიუხედავად, კონსტიტუციის პირველი მუხლი, სადაც დეკლარირებულია ისეთი ღირებულებები, როგორიცაა დემოკრატია და რესპუბლიკანიზმი, სახალხო სუვერენიტეტი, ხელისუფლების დანაწილება და ა.შ. თითქმის არ შეცვლილა. ასევე არ განუცდია ცვლილება კონსტიტუციის მეორე თავს (საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი). ექსპერტთა მოსაზრებით, ზემოაღნიშნული დებულებების სტაბილურობა კონსტიტუციაში განპირობებულია იმით, რომ იქ აღიარებულია ისეთი ფასეულობები, როგორიცაა თავისუფლება, დემოკრატია, სამართლის უზენაესობა, რასაც დღევანდელი ევროპა ეყრდნობა და გაზიარებულია ქართული საზოგადოების მხრიდან. სამაგიეროდ, კონსტიტუციის ის ნაწილი, რომელიც ეხება სახელმწიფოს ინსტიტუტებს, მმართველობის ფორმებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს მუდმივი ცვლილებების საგანი ხდებოდა. (დემეტრაშვილი ავთანდილ, თბილისი 2010. გვ.9–13)

1995 წლის კონსტიტუციის ფართომასშტაბიანი გადასინჯვა მოხდა 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონის საფუძველზე. კონსტიტუციის ახალ რედაქციას უნდა უზრუნველეყო სისტემური კორუფციით დაავადებული სახელმწიფოს გაჯანსაღება, რის შედეგადაც უნდა შექმნილიყო შესაძლებლობა სასიცოცხლო მნიშნველობის მქონე რეფორმები განხორციელებულიყო ეკონომიკის, განათლების, პოლიტიკის და სხვა სფეროში. აღნიშნული მიზნების რეალიზაციის

მიზნით, გარდაუვალ აუცილებლობად მიაჩნდათ სახელმწიფო ძალაუფლების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია.

2004 წლის რეფორმებმა სხვა პრობლემების წინაშე დააყენა ქვეყანა, რამაც განაპირობა როგორც გარე ისე შიდა გამოწვევები, რაც გამოიხატებოდა ერთის მხრივ, ქვეყნის შიგნით მასობრივი საპროტესტო აქციებით მმართველობითი სისტემის შეცვლის მთხოვნით. მეორეს მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციები, უწინარესად კი ევროპის საბჭო და მისი საკონსულტაციო ორგანო „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“, რომელიც უფრო მეტად ვენეციის კომისიის სახელით არის ცნობილი, ითხოვდნენ სახელმწიფოებრივი ცხოვრების, კერძოდ მმართველობის ფორმისა და მეთოდების შემდგომ დემოკრატიზაციას. ამ და ზოგიერთი სხვა იმპერატივის საპასუხოდ 2009–2010 წლებში საქართველოში მორიგი საკონსტიტუციო რეფორმა განხორციელდა.დემეტრაშვილი ავთანდილ, თბილისი 2010. გვ.9–11)

2008 წლის ბოლოს საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო პრეზიდენტმა გააკეთა საჯარო განცხადება, რომლის მიხედვითაც შეზღუდავდა პრეზიდენტის უფლებამოსილებას და გააფართოებდა პარლამენტის უფლებამოსილების საზღვრებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ფაქტი იყო კონსტიტუციური რეფორმის განხორციელებისკენ გადადგმული ნაბიჯი. საკონსტიტუციო კომისიის შექმნა განპირობებული იყო როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებით, რასაც ითხოვდა როგორც საზოგადოება, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისა და სრულყოფის კუთხით.

2.5.კონსტიტუციური რეფორმა: საქართველოს პარლამენტი

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, პარლამენტის უფლებამოსილება გაიზარდა, რომელიც წარმოადგენდა ქვეყნის უმაღლეს

წარმომადგენლობით ორგანოს, ახორციელებდა კანონშემოქმედებით საქმიანობას, განსაზღვრავდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

2009 წლის მასობრივი გამოსვლების მიწურულს, პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივით, შეიქმნა სახელმწიფო კომისია საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის შესამუშავებლად, რომელიც ძალაუფლების უფრო დაბალანსებულ სისტემას შექმნიდა. კომისიაში მონაწილეობა უნდა მიეღო როგორც საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს, ისე ექსპერტთა და საზოგადოებრივ აქტივისტთა ფართო შემადგენლობას. როგორც დემეტრაშვილი აღნიშნავს, ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება ვიწრო პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახები, რადგან რადიკალური ოპოზიცია ქუჩიდან კონსტრუქციულ პოლიტიკურ პროცესში შეეყვანა. ოპოზიციის რადიკალურმა და გავლენიანმა ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა საკონსტიტუციო პროცესს, შესაბამისად, აღნიშნულ პროცესში მხოლოდ პოლიტიკური კლასისა და სამოქალაქო საზოგადოების შედარებით ზომიერი ნაწილი ჩაერთო, რის შედეგადაც, საზოგადოების თვალში, კონსტიტუციის ცვლილება „ნაციონალური მოძრაობის“ პროექტად დარჩა. კონსტიტუციის ახალი რედაქციის ნორმები 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან უნდა ამოქმედებულიყო.(დემეტრაშვილი ავთანდილ, თბილისი 2010. გვ.43)

2010 წლის ნოემბერში მიღებული კონსტიტუციური შესწორებების პაკეტი ითვალისწინებდა იმ მოსაზრებას, რასაც იზიარებდა ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ნაწილი, რაც გულისხმობდა მეტი დემოკრატიულობისათვის პარლამენტის გაძლიერებას და პრეზიდენტის ინსტიტუტის დასუსტებას. ექსპერტთა უმრავლესობამ, მათ შორის „ვენეციის კომისიამ“, ზემოაღნიშნული ცვლილებები წინ გადადგმულ ნაბიჯად ჩათვალა. კრიტიკოსების უმეტესობა კი ყურადღებას ამახვილებდა პერსონალურ ფაქტორზე, რომელთა აზრით, ცვლილებების რეალური მიზანი იყო მიხეილ სააკაშვილის

დარჩენა ძალაუფლებაში პრემიერ-მინისტრის ფუნქციით, მის მიერ ორი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ.(დემეტრაშვილი ავთანდილ, თბილისი 2010. გვ.9–11)

2004 წლისა და 2010 წლის მოდელები შერეულია: აღმასრულებელი ხელისუფლება გაყოფილია ხალხის მიერ პირდაპირ არჩეულ პრეზიდენტსა და საპარლამენტო უმრავლესობაზე დამოკიდებულ პრემიერ-მინისტრს შორის, თუმცაღა ძალთა თანაფარდობა რადიკალურად შეცვლილია. პრეზიდენტის უფლებამოსილება შეკვეცილია, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად პრემიერ-მინისტრი გვევლინება. ამის გათვალისწინებით, სისტემა „თითქმის“ საპარლამენტოა. კონსტიტუციის ახალი რედაქციის კრიტიკოსთა უმრავლესობა (უფრო სწორად, მათი ის ნაწილი, ვინც ზოგადად მიესალმება პარლამენტის გაძლიერების და პრეზიდენტის შესუსტების ტენდენციას) ამ შემთხვევაში ორ პოზიციაზე ამახვილებს ყურადღებას. პირველ რიგში, პრეზიდენტს, ზედმეტი უფლებამოსილება რჩება, რაც შეიძლება არასასურველი პოლიტიკური კონფლიქტების საფუძველი გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ „კოჰაბიტაციის“ არცთუ წარმატებული გამოცდილება კონსტიტუციის წინა მოდელის პირობებში შედგა, მისი სირთულეები შეიძლება დამატებითი არგუმენტების წყაროდ იქცეს კრიტიკოსთათვის. მეორე მხრივ, ახალი კონსტიტუცია ართულებს ერთხელ არჩეული პრემიერის და მისი კაბინეტის გადაყენებას. კონსტიტუციური ცვლილებების ავტორთა აზრით, ასეთი სირთულე გამართლებულია იმით, რომ საქართველოსთვის დამახასიათებელი სუსტი და ფრაგმენტული პარტიული სისტემა გამოიწვევს საპარლამენტო უმრავლესობის არასტაბილურობას და მინისტრთა კაბინეტების ხშირ ცვლას. არსებულმა სისტემამ შეიძლება ზედმეტად გააძლიეროს პრემიერ-მინისტრი, რაც სახიფათოა პოლიტიკურ კულტურაში, რომელიც ისედაც მიდრეკილია ერთი პოლიტიკური ლიდერის გაძლიერებისკენ. ამ შემთხვევაში, პარლამენტის როლი ისევ სუსტდება, რადგან მას აკლია ქმედითი ბერკეტები ამჯერად უკვე პრემიერ-მინისტრის და მისი კაბინეტის კონტროლისთვის. ასევე გასათვალისწინებელია, საკვანძო ფაქტორი დემოკრატიული

სისტემის შესაფასებლად. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონსტიტუციის, როგორც კონკრეტული სამართლებრივი დოკუმენტის შინაარსი, არამედ ისიც თუ რა ადგილი უკავია მას ქვეყნის სამართლებრივ ცნობიერებაში, პოლიტიკურ პროცესში.

„კონსტიტუცია შეიძლება ვუწოდოთ არა საკუთრივ ამ წერილობით დოკუმენტს, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების რეალურად დამკვიდრებულ სისტემას: სწორედ ამ აზრით ხმარობენ სიტყვას „კონსტიტუცია“ დიდ ბრიტანეთში, სადაც დაწერილი კონსტიტუცია საერთოდ არა აქვთ. კიდევ ერთი ლოგიკური ნაბიჯი რომ გადავდგათ, შევდივართ სფეროში, რომელსაც, კონსტიტუციისგან განსხვავებით, „კონსტიტუციონალიზმს“ უწოდებენ: ის აღწერს იმ პოლიტიკურ განწყობას, ტრადიციას და პრაქტიკას, რომლის დროსაც გარკვეული პოლიტიკური პრინციპები და წესები (დაწერილი თუ დაუწერელი) უფრო ძლიერი და ქმედითია, ვიდრე ყველაზე ძლიერი და პოპულარული პოლიტიკური ლიდერების თუ ჯგუფების ნება.“(დემეტრაშვილი ავთანდილ, თბილისი 2010.) კონსტიტუციონალიზმი არის ის ძირითადი ელემენტი, რაც დემოკრატიას ლიბერალურად აქცევს და იცავს მას ბრბოს ბატონობისგან, „უმრავლესობის ტირანიისგან“. სწორედ კონსტიტუციონალიზმის ტრადიცია და პრაქტიკა ბოჭავს ხელისუფლებას, რომელიც არჩევნების მომენტისთვის ჩამოყალიბებული უმრავლესობის ნებას ემყარება. უმრავლესობის ნება კი ცვალებადია, ხანდახან – ირაციონალური, და შესაძლოა გარკვეულ პერიოდში მტრულად განწყობილი აღმოჩნდეს ფუნდამენტური ღირებულებების მიმართ.(დემეტრაშვილი ავთანდილ, თბილისი 2013, გვ. 6–7)

„კონსტიტუციონალიზმის პრინციპი გულისხმობს, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ხდომილების ლეგიტიმურობა პირველ რიგში კონსტიტუციასთან შესაბამისობით განისაზღვრება და არა იმით, როგორია მოცემულ მომენტში უმრავლესობის განწყობა.“ მაგრამ იმისათვის, რომ კონსტიტუციამ ეს როლი შეასრულოს, ის თვითონ უნდა იყოს ლეგიტიმური. კონსტიტუცია უნდა გამოხატავდეს კონსენსუსს ყველა ძირითად პოლიტიკურ მოთამაშეს შორის,

რომლებიც, თავის მხრივ, საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ. თუ კონსტიტუცია ამგვარ კონსენსუსს ემყარება, მეტი შანსია, რომ ის უზრუნველყოფს სტაბილობის და მემკვიდრეობითობის ელემენტს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.(დემეტრაშვილი ავთანდილ, თბილისი 2013. გვ.8)

საქართველოს პოლიტიკური გამოცდილება ბოლო ოცი წლის მანძილზე კონსტიტუციონალიზმის დეფიციტს ავლენს. 2012 წლის ოქტომბრამდე არ მომხდარა ძალაუფლების შეცვლა კონსტიტუციური გზით. „2012 წლის არჩევნებით მოსული ხელისუფლების გარდა, ახალ მთავრობას პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰქონდა (თუმცა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამაც მოახდინა კონსტიტუციის არსებითი გადასინჯვის ნების დეკლარირება)“. უკლებლივ ყველა ხელისუფლება, რომელიც საქართველოს 1990 წლის შემდეგ ჰყოლია მოდიოდა პოლიტიკური სისტემის ხელახალი დაფუძნების პრეტენზიით.(დემეტრაშვილი ავთანდილ, თბილისი 2013. გვ.9–11)

ისტორიული განვითარების გაკვეთილები, ქვეყნის წინაშე იმ ეტაპზე არსებული შიდა და საგარეო გამოწვევები, დინამიკური განვითარებისა და ტრანზიციის იმპერატივები, საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკული პოზიციები იყო კონსტიტუციის გადასინჯვის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები, რამაც 2009-2010 წლის კონსტიტუციური რეფორმის ჩატარება და შედეგად 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის მიღება გამოიწვია.(დემეტრაშვილი, თბილისი 2013, გვ.12)

დასკვნა

საქართველოში საპარლამენტო რესპუბლიკის დამკვიდრების მცდელობები ორი ქართული მოდელის მაგალითზე, თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზემოაღნიშნული მოსაზრების გამოთქმის უფლებას გვაძლევს ის პოლიტიკური

დისკურსი, საგარეო და საშინაო ფაქტორები, რაც არსებობდა საქართველოში 1918–21 წლებსა და 2010–17 წლებში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, როგორც არაერთი ქართველი და უცხოელი ექსპერტი აღნიშნავს, იყო მაღალი დონის პოლიტიკურ–სამართლებრივი დოკუმენტი, რომელშიც გაცხადებული იყო ადამიანი, როგორც უმაღლესი სოციალური ღირებულება. სწორედ აქედან გამომდინარეობდა ის გაცხოველებული პოლიტიკური დისკურსი, რაც ხელისუფლების მოდელის არჩევა–დამკვიდრებას ახლდა. საკონსტიტუციო საკითხებზე მსჯელობისას პიროვნების, ერის ნება იყო ის ამოსავალი წერტილი, რომლის მიხედვითაც უნდა გადაეწყვიტათ თუ რომელი მოდელი შეესაბამებოდა ხალხის პოლიტიკურ, მენტალურ სიმწიფეს, სამართლებრივი ცნობიერების დონეს, კულტრულ გარემოს, ტრადიციებსა და პოლიტიკურ ძალთა ბალანსს. აქვე მნიშვნელოვანი და ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დამფუძნებელი მამები, კრიტიკულად და რაციონალურად უდგებოდნენ იმ დროში არსებულ ხელისუფლების დანაწილების თითოეული მოდელს, ითვალისწინებდნენ იმ ნაკლოვანებებს, რაც მათი თანმდევი იყო. გასიგრძეგანებული ჰქონდათ ის მნიშვნელოვანი მომენტი, რომ საქართველოს ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით არ ჰქონდა უფლება და ფუფუნება, ზემოაღნიშნული სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებში შეცდომა დაეშვათ, ვინაიდან საქართველო ვერ გადაიტანდა რყევებს და დამღუპველი აღმოჩნდებოდა. ფაქტია, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში(1918–21) საპარლამენტრო რესპუბლიკაზე გადასვლა გულისხმობდა ფრთხილი, კომბინირებული სისტემის შექმნას და გონივრულ ბალანსს, რაც მათი მოსაზრებით ყველაზე უკეთ უზრუნველყოფდა დემოკრატიის დამკვიდრებას. აქვე ხაზგასასმელია, ის გარემოებაც, რასაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ კონსტიტუციის შემქმნელები, „თვით ორგანიზაცია ამ უზენაესობის განხორციელებისა არის უაღრესად დემოკრატიული ისე, როგორც არ არის არც ერთ ევროპული კონსტიტუციაში“. თუ გადავხედავთ 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმას, რომელიც გულისხმობდა პრეზიდენტის ინსტიტუტის შესუსტებას და

პარლამენტის გაძლიერებას გამოიკვეთება, რომ „დამფუძნებელი მამებისგან“ განსხვავებით, მათთვის ამოსავალი არ იყო ხალხის ნება. პირიქით, თითოეული ხელისუფალი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ცდილობდა მოერგო კონსტიტუცია. საერთაშორისო ორგანიზაციები, ევროსაბჭო და კონკრეტულად ვენეციის კომისია, მუდმივად მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ უფრო მეტი დემოკრატიზაციისთვის შეექმნა მრავალპარტიული პლურალიზი, ძლიერი პარლამენტი. მიხელი სააკაშვილის მეორე საპრეზიდენტო ვადის გასვლას დაემთხვა ძირეული საკონსტიტუციო ცვლილებები და საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლის მცდელობა, რაც საფუძვლიან ეჭვს გვაძლევს, იმის თქმისა, რომ ეს აქტი წარმოადგენდა არა სახელმწფიოებრივი, სახალხო ინტერესიდან გადადგმულ ნაბიჯს,(რომელსაც უნდა უზრუნველეყო ყველაზე უკეთ ხალხის სუვერენობა), არამედ პიროვნულ ინტერესს მოვლენილიყო პრემიერ–მინისტრის რანგში. თუ დავაკვირდებით პოსტსაბჭოთა პერიოდიდან დღემდე თითოეული ხელისუფალი იყენებდა კონსტიტუციას სხვა ოპოზიციური ძალის გასანეიტრალებლად და საკუთარი „ბელადობის“ იარაღად, რამაც ქვეყნაში კონსტიტუციის ლეგიტიმაციის, სამართლებრივი ცნობიერების სერიოზული კრიზისი შექმნა. საქართველოს აქვს სამართლებრივი აზროვნების, კონსტიტუციური ისტორიის გამორკვეული გზა, რომელსაც აცდენილია ჩვენი ხელისუფლების კურსი. ვიდრე, ზემოაღნიშნული საკითხების მოგვარება არ მოხდება, ფაქტობრივად, დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს მშენებლობაზე საუბარი ილუზიაა.

გამოყენებული ლიტერატურა

დემეტრაშვილი ა. თბილისი 2005 „კონსტიტუციური სამართალი“

ნოდია გ. თბილისი (2001) „გვინდა თუ არა პრეზიდენტი შევარდნაძის შემდეგ?(საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობის ავ–კარგი საქართველოში)“ N5

ყურაშვილი კ. ჩიკორია კ.(ბათუმი2011) „კონსტიტუცინალიზმის დილემები–ბიკამერალიზმის დილემები“

ერემაძე ქ. (თბილისი 2013) ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში

დემეტრაშვილი ა.(თბილისი 2010)„საქართველოს კონსტიტუცია და 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმა“

ლოვო ფ. თბილისი (2005)„პარლამენტარიზმი“

მაცაბერიძე მ.(თბილისი 2008) „უზენაესი ბატონი ქვეყნისა“

დემეტრაშვილი ა. (თბილისი 1992) „მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები“

ვოლფგანგ გ.(თბილისი 2002) „კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში“ .

ნოდია გ.(თბილისი 2005) „საკონსტიტუციო–პოლიტიკური რეფორმების პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები“

მელქაძე ო. (თბილისი 2008) „კონსტიტუციონალიზმი“

ნოდია გ. აფრასიძე დ. (თბილისი 2013) „კონსტიტუცია და კონსტიტუციონალიზმი საქართველოში’’

დემეტრაშვილი ა. (თბილისი2013) „მმართველობის ახალი სისტემის თავისებურებანი საქართველოში“

ერქვანია თ. (თბილისი 2013)„სახელისუფლებო შტოების ურთიერთობის სპეციფიკა 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ფონზე: არსებითი პრობლემები“

კვაშილავა ბ. (თბილისი 2013) „კონსტიტუციური ცვლილებების გავლენა არჩევნებსა და პოლიტიკური საზოგადოების განვითარებაზე“

მენაბდე ვ. (თბილისი 2013) „საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვა – რა უზრუნველყოფს უზენაესი კანონის ლეგიტიმურობას“

ზედელაშვილი დ. (თბილისი 2013) „კონსტიტუციის გადასინჯვა საქართველოში: უმრავლესობების ვნებები და კონსტიტუციური წესრიგი“

შაიაო ა. (თბილისი 2003) „ხელისუფლების თვითშეზღუდვა“

ცნობილაძე პ. (თბილისი 2004) „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“

რუხაძე ზ. (თბილისი 1991) საქართველოს კონსტიტუციური სამართალი.

შარაძე გ. (თბილისი, 1991) „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, 1918–1921 წ. სამი ისტორიული დოკუმენტი“

John Locke, “The Second Treatise of Goverment” in Two Treatises of Government, ed Peter Laslett, (Cambridge: Cambridge University Press, 1991

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

6–ე სემესტრის დოქტორანტი

ლევან კიკვიძე

სადოქტორო სემინარი

კატალონიური სეპარატიზმი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პროფესორი :გუგული მაღრაძე

თანახელმძღვანელი :
პროფესორი რევაზ ჯორბენაძე

თბილისი

2018

სარჩევი

შესავალი 3

კატალონია (ესპანეთის გაერთიანებამდე) 4

კატალონიელები და კატალანური ენა 6

კატალონიური სეპარატიზმის პირველი ჩანასახები 7

“კატალონიური დამოუკიდებლობის მოძრაობა“ 12

კატალონიის ეკონომიკა 15

2017 წლის 1 ოქტომბრის რეფერენდუმი 17

ევროკავშირისა და საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია 21

გამოყენებული ლიტერატურა 27

შესავალი

ბოლო წლებში სულ უფრო მეტი ავტონომიური რეგიონი ითხოვს დამოუ-კიდებლობის მიღებას. ეს ტენდენცია საკმაოდ მზარდია, ამიტომ რაც უფრო იზრდება მსგავსი ტერიტორიების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პრეცენდენტი და რაც უფრო აქტუალური ხდება, სახელმწიფოს გარეთ თვითგამორკვევის თემა, მით უფრო დიდი საშიშროების ქვეშ დგება სუვერენული სახელმწიფოების ხელშეუხებლობის საკითხი.

სწორედ სახელმწიფოს გარეთ თვითგამორკვევას ეხება ჩემს მიერ შერჩეული თემა სემინარისთვის – კატალონიური სეპარატიზმი. როგორც ყველასთვის ცნობილია კატა-ლონია არის ესპანეთის შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური ერთეული, რომელიც მდებარეობს იბერიის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში. ესპანეთისათვის ამ რეგიონს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიური კუთხით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კატალონია ესპანეთის ყველაზე მდიდარი რეგიონია, ამიტომ მისი ქვეყნიდან გამოყოფა ძალიან დიდ პრობლემებს შეუქმნის ქვეყნის ისედაც კრიზისულ ფინანსურ მდგომარეობას.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ჩვენთვის ცნობილ, ცოტა ხნის წინათ ჩატარებულ რეფერენდუმამდეც არსებობდა პრეცედენტები კატალონიის მხრიდან სეცესიის საკითხის წამოჭრისა, მაგრამ სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი ხერხებით ესპანეთის ხელისუფლება ცდილობდა მოეგვარებინა ეს საკითხი და უნდა ითქვას, რომ არც ისე წარუმატებლად, სწორედ ესპანეთის ხელისუფლების ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო თავის დროზე რეგიონალურ მოწყობაზე გადასვლის გადაწყვეტილებაც. ამ ნაბიჯით სწორედ სეპარატიზმის განეიტრალებას ცდილობდა ქვეყნის ხელისუფლება და ფიქ-რობდა, რომ ფართო უფლებების მიცემით გამოყოფის პროცესს შეაკავებდა არა მხოლოდ კატალონიის შემთხვევაში, არამედ შეაჩერებდა ამ პროცესებს ყველა იმ

სუბიექტში, რომლებსაც ესპანეთის სახელმწიფოში ყოფნის სურვილი დიდად არ ჰქონდათ.

თუ დავეყრდნობით ზემოთ მოყვანილ მაგალითებს კარგად ჩანს ესპანეთის კრიტიკული პოზიცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი მხარე ამ საკითხის მოგვარების პროცესში და ეს მხარეა – ევროკავშირში. ლოგიკურია, რომ მისი პოზიცია ასევე კრიტიკულია კატალონიის მიმართ, რადგან აღსანიშნავია, რომ პირველ რიგში ესპანეთი ევროკავშირის შემადგენლობაში მყოფი სახელწიფოა და ევროკავშირისაგან მხარდაჭერა აქვს, მეორე საკითხი და მე ვთვლი, რომ ძალიან მნიშვნელოვანი მოტივი იმისა თუ რატომაც დგას ესპანეთის მხარეს ამ პროცესებში ევროკავშირი, არის შიში, რომ სეპარატიზმის ეს ტალღა, რომელიც ესპანეთიდან აიღებს გეზი, გადაუვლის მთლიანად მთელს ევროპის კონტინენტს და არის საშიშროება რომ ევროპის ბევრმა ქვეყანამ ესპანეთის ბედი გაიზიაროს.

ჩემს სემინარში უფრო ვრცლად მექნება საუბარი ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც კატალონიური სეპარატიზმი მოიცავს და შევეცდები ყველა მხარის პოზიცია თვალნათლივ იქნას წარმოდგენილი, რათა უფრო სიღრმისეულად და ფართოდ გავიაზროთ ეს საკითხი.

კატალონია (ესპანეთის გაერთიანებამდე)

კატალონია ესპანეთის ისტორიული პროვინციაა, რომელიც დიდ ისტორიულ ქარტეხილებში მონაწილეობდა. ამ ტერიტორიაზე სხვადასხვა პერიოდში ბატონობდნენ კართაგენელები, რომაელები, ვესთგოთები და შემდგომ უკვე არაბები. სემინარის ამ თავში შევეცდები მოკლედ ვისაუბრო თითოეულ პერიოდზე, რათა თვალსაჩინო გახდეს კატალონიის, როგორც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები და ამის მეშვეობით უფრო სიღრმისეულად გავიაზროთ აღნიშნული საკითხი.

კატალონიის ტერიტორიაზე, როგორც უკვე ვთქვით სხვადასხვა პერიოდში მრავალი სხვადასხვა წარმომავლობის ხალხები ბატონობდნენ. წინარომაულ პერიოდში კატალონიის ტერიტორიაზე ისევე, როგორც თითქმის მთელი ნახევარ კუნძულის ხმელთაშუაზღვისპირეთის მხარეზე ცხოვრობდნენ იბერიელები. ირკვევა, რომ ამ ხალხებს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდათ დანარჩენ ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხებთან. ცნობილია, რომ დაახლოებით მეშვიდე საუკუნეში აქ, როზეს ყურის ირგვლივ სავაჭრო კოლონიები ძველმა ბერძნებმა დააარსეს. ხოლო მეორე პუნიკური ომის პერიოდში ამ მხარეზე გავლენა მოიპოვეს კართაგენელებმა და ახლა უკვე ისინი ეწეოდნენ საკმაოდ წარმატებულ სავაჭრო ურთიერთობებს კატალონიის ტერიტორიაზე. ხოლო მას შემდეგ, რაც კართაგენელები დამარცხდნენ რომის იმპერიასთან ბრძოლაში, ჩრდილო=აღმოსავლეთ იბერია შევიდა რომის იმპერიის შემადგენლობაში და გახდა რომის იმპერიის უკიდურესი დასავლეთი ტერიტორიის ესპანეთის ნაწილი. ამ პერიოდშივე

ეს მხარე იყო ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაწინაურებული ტერიტორია აგრარულად და ეკონომიკურად; ის იყო მდიდარი სასოფლო-სამეურნეო პროვინცია, სადაც ძირითადად მოჰყავდათ ზეითუნის ზეთი, ხორბალი და ვაზი. ასევე კარგად იყო განვითარებული ინფრასტრუქტურა.

მესამე საუკუნის მიწურულსა და მეოთხეს დასაწყისში ისევე, როგორც მთლიანად რომის იმპერიაში, აქაც იღებენ ქრისტიანობას. ხოლო მიუხედავად იმისა, რომ უკვე შემდგომ მეხუთე საუკუნეში, როდესაც „დიადი რომი“ დაეცა და ისევე, როგორც იმპერიის ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვადასხვა ტომების სარბიელად იქცა ეს ტერიტორიაც. თუმცა ამ ტერიტორიის მთავარი ქალაქები, მაინც ახერხებდნენ აქტიურად ებრძოლა დამპყრობლისაგან გასათავისუფლებლად და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. ასე რომ ისინი არ ემორჩილებოდნენ ვანდალების, შვაბიელების და ალანების წესებს და თავს ისევ რომის იმპერიის შემადგენელ ნაწილებად თვლიდნენ, სწორედ ამიტომ ისინი ისევ რომაული კანონმდებლობით ხელმძღვანელობდნენ.

მაგრამ როდესაც რომის იმპერიამ საკუთარი ძალები საბოლოოდ ამოწურა აქ დაარსდა ვესთგოთების სამეფო, რომელიც ორი საუკუნის განმავლობაში არსებობდა. ხოლო 718 წელს აქ ისევე, როგორც თითქმის მთელ ესპანეთში აქაც დამყარდა არაბული ხალიფატის მმართველობა. არაბებმა თავიანთ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს ანდა-ლუზია უწოდეს. ხოლო დაახლოებით მეცხრე საუკუნისათვის ამ ტერიტორიაზე იქმნება დამოუკიდებელი ქვეყნები, რომლებმაც შეძლეს არაბებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. სწორედ ეს ტერიტორიები წარმოადგენდნენ ე.წ. ბუფერულ ზონას არაბებსა და ფრანკთა იმპერიას შორის და უზრუნველყოფდნენ მათ უსაფრთხოებას არაბული ექსპანსიისაგან. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დამოუკიდებელი ტერიტორიებიდან ეყრება საფუძველი ძალიან მნიშვნელოვან მოვლენას, როგორც კატალონიისათვის ასევე მთლიანად ესპანე-თის ისტორიისათვის, რომელიც ჩვენთვის რეკონკისტას სახელითაა ცნობილი.

რეკონკისტას რვა საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში (718-1492 წწ.) აქ არსე-ბობდა ბარსელონას საგრაფო, რომელიც ფრანკთა იმპერიის ვასალი იყო, ხოლო 987 წელს ამ ტერიტორიის მმართველმა ვოლფრედ თმიანმა, არ სცნო ჰუგო კაპეტინგი და ამ გზით დე-ფაქტო დამოუკიდებლობას მიაღწია. 1137 წელს კი ბარსელონას გრაფმა რამონ

ბერენგერ მეოთხემ ცოლას შეირთო არაგონიის დედოფალი პეტრონილია, რითაც ბარსელონის საგრაფო შეუერთდა არაგონის სამეფოს. ამის შემდგომ უკვე არაგონიის მეფე რამირო მეორე გადადგა და არაგონიის მეფედ ბარსელონის გრაფი ითვლებოდა. როგორც ცნობილია არაგონის სამეფოს ძალინ დიდი წვლილი მიუძღვის რეკონკისტაში ბრძოლისას.

როგორც ვიცით ერთიან ესპანურ სახელმწიფოს 1492 წელს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც ვალიადოლიდში დაქორწინდნენ პირინეის ნახევარკუნძულის ორი უდიდესი სახელწიფოს მემკვიდრეები; კასტილიის დედოფალი იზაბელა და არაგონის მეფე ფერ-დინანდი, სწორედ ამის შემდეგ, ბარსელონას საგრაფო ერთიანი ესპანეთის სახელწიფოს შემადგენლობაში შევიდა.

მაგრამ ეს პროცესი არ იყო ნებაყოფლობითი და სწორედ ამიტომაც ესპანეთის ის-ტორიის შემდეგ პერიოდებშიც თავს ყოველთვის იჩენდა ხოლმე კატალონიის სწრადვა დამოუკიდებლობისათვის. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით საუბარი შემდეგ თავში გვექნება.

კატალონიელები და კატალანური ენა

დღესდღეობით კატალონია არის ესპანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური გაერთიანება. ამ ავტონომიური ტერიტორიის სახელწოდება – „კატალონია“ ცნობილია 1350 წლიდან. როგორც უკვე ვთქვით, კატალონია მრავალ ისტორიულ ქარტეხილში მონაწილეობდა და სწორედ ამიტომ დროის გარკვეულ მონაკვეთებში იცვლებოდა მისი ტერიტორიული შემადგენლობა, ამჟამად კი კატალონია მოიცავს ოთხ პროვინციას: ბარსელონა, ხერონა, ლერიდა და ტარაგონა.

კატალონიის მოსახლეობა 7.5 მილიონია, რაც ესპანეთის მოსახლეობის 16% უდრის. კატალონიელი ხალხი, ისევე როგორც ესპანელები რომანული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები არიან. ისინი ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვიდან ცხოვრობდნენ, ხოლო მას შემდეგ რაც გაერთიანებული ესპანეთის სახელწიფოს შემადგენლობაში შევიდნენ მუდმივად ცდილობდნენ არ დაეკარგათ თავიანთი დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა. ეს არა მხოლოდ ტერიტორიულ, ეკონომიკურ და სხვა შედარებით მენკანტელურ საკითხებს ეხებოდა, არამედ კულტურულ და ეთნოგრაფიულ ასპექტებსაც. კატალონიელი ხალხი მაქსიმალურად ცდილობდა

შეეჩერებინა მათი კიდევ „ესპანეთიზაციის“ პოლიტიკა ყველა არსებულ ასპექტში. ეს პროცესები საუკუნეთა წინ იღებდა სათავეს და ახლაც გრძელდება. იმისათვის, რომ მათ ჰქონდათ პრეტენზია, იარსებონ როგორც სახელწიფომ – ძალიან მნიშვნელოვანი ფაქ-ტორია ენის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ აქ ესპანურადაც საუბრობენ, ის ოფი-ციალური ენაცაა, კატალანური ენაც რომელიც აქ მცხოვრები ეთნიკურად მკვიდრი მოსახლეობის ენაა. აგრეთვე ოფიციალურ ენადაა აღიარებული ესპანეთის სახელწიფოს მიერ. მართალიას ეს პროცესი არ ყოფილა ადვილი და ძალიან დიდ ისტორიულ ქარ-ტეხილებს უკავშირდება, მაგრამ საბოლოოდ კატალონურმა ენამ მაინც შეძლო და მიიღო ოფიციალური ენის სტატუსი. ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, ამ მხარეში კატალანურიც და ესპანურიც ოფიციალური ენებია. ეთნიკურად კატალანური ენაც, ისევე როგორც ესპანური რომანულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. ასევე საინტერესოა, ის ფაქტი, რომ კატალონური ენა ერთადერთი ოფიციალური ენაა ჯუჯა სახელმწიფო ანდორაში. ასევე ეს ენა თავისი ისტორიული წარსული გამო ოფიციალურადაა გამოცხადებული ბალეარის კუნძულებზე და ვალენსიაში.

კატალონური სეპარატიზმის პირველი ჩანასახები

როგორც უკვე ვთქვით, კატალონია ესპანეთის ისტორიული პროვინციაა. მათი როგორც დამოუკიდებელი ერისაკენ სწრაფვის სურვილი არ დასრულებულა ფერ-დინადის და იზაბელას მიერ ესპანეთის გაერთიანებისთანავე. პირიქით, ისინი შემდეგ წლებშიც მუდმივად ცდილობდნენ ჯერ თავიანთი დამოუკიდებლობა და ავტონომია შეენარჩუნებინათ, ამ უზარმაზარი იმპერიის ფარგლებში, ხოლო რაც უფრო მეტად ცდილობდა ესპანეთის სამეფო ხელისუფლება ამ პროვინციის ცენტრალურ აპარატთან მჭიდროდ დაკავშირებას, კატალონიელთა რეაქცია უფრო და უფრო უკონტროლო ხდებოდა და ხშირ შემთხვევაში აჯანყებითაც სრულდებოდა.

მას შემდეგ რაც ესპანეთი გაერთიანდა და ამერიკის კონტინენტი აღმოაჩინეს, სწორედ კატალონია იყო ესპანეთის ის მხარე, რომლიდანაც ხორციელდება ხშირად ექსოედიციები ახალ მიწაზე, ამიტომაც მან შეძლო უხვად დაეგროვებინა სიმდიდრე საკუთარ ტერიტორიაზე. დედოფალ იზაბელას სიკვდილის შემდეგ ფერდინანდი ორივე

სამფლობელოს ფაქტიურად ერთპიროვნულად მართავდა, მაგრამ ამასთანავე კასტილიასაც და არაგონსაც საკუთარი კანონები და მთელი რიგი ავტონომიური ინსტიტუტები ჰქონდა. იგივე პრინციპით მმართველობდა მათი შვილი კარლ პირველი, (იგი ჰაბსბურგი, მაქსიმილიან პირველი სიკვდილის შემდეგ აირჩიეს „საღმრთო რომის“ იმპერატორად 1519 წელს და ეწოდა კარლ მეხუთე 1519 წელს). ამის შემდეგ, ნელ-ნელა მიმდინარეობდა კატალონიის ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაკავშირების პროცესი, რომელიც არც ისე მარტივი აღმოჩნდა ესპანეთის ხელისუფლებისათვის. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისიდანვე სულ უფრო მზარდი ხდებოდა სამეფო ხელისუფლების ამბიცია, გაეუქმებინა და დაექვემდებარებინა სახელმწიფო აპარატისათვის კატალონიური თვითმართველობის ორგანოები. სამეფო ხელისუფლების ასეთმა აგრესიულმა პოლიტიკამ გამოიწვია კატალონიელების აჯანყება 1635-1652 წლებში, რომელსაც პაულ ელარისი ხელმძღვანელობდა. საყურადღებოა, ის ფაქტი, რომ კატალონიელ აჯანყებულებს ხელს უწყობდა და ეხმარებოდა საფრანგეთი კარდინალ რიშერიეს მმართველობის პერიოდში. ცნობილია, რომ იმ დროისათვის გაძლიერებული საფრანგეთი თავისი ნომერ პირველი მტერის – ესპანეთის „გასათიშად“ ყველა ღონეს ხმარობდა და კატალონიური სეპარატიზმი კი რა თქმა უნდა ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილი იყო ამ სახელმწიფოსათვის. საქმე ისე შორს წავიდა, რომ მიუხედავად ვერნერის ზავის პირობებისა (1598 წელი) საფრანგეთი სამხედრო დახმარებით გამოვიდა აჯანყებულების წინააღმდეგ. მიუხედავად ასეთი მხარდაჭერისა 1652 წელს კატალონიელები მაინც დამარცხდნენ ამ ბრძოლაში, მაგრამ მიუხედავად ამ მარცხისა ესპანეთის სამეფო ხელისუფლება იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო და კატალონიელებისათვის გარკვეული თავისუფლებები მიეცა, ეღიარებინათ მათი უფლებები.

როგორც ვხედავთ, კატალონიურ სეპარატიზმს ღრმად აქვს გადგმული ისტორიული ფესვები. ყველაზე მწვავე დაპირისპირებად ესპანეთის მმართველ მონარქიასა და კატალონიის შორის რა საკვირველია უნდა ჩაითვალოს, – „ომის ესპანური მემკვიდრეობისათვის“. ეს ომი დაიწყო მას შემდეგ, რაც ესპანეთის მონარქ კარლ მეორე (შეშლილს) მემკვიდრე არ დარჩა. ტახტის მემკვიდრედ პრეტენდენტებად ითვლებოდნენ ესპანეთის სამეფო კარის ორი მონათესავე დინასტიის წარმომადგენელი. პირველი: თავად

კარლ მეორის მიერ არჩეული საფრანგეთის ბურბონთა სახლის წარმომადგენელი – ფილიპე ანჯუელი. მეორე: ჰაბსბურგი კარლ მეექვსე, რომელიც ძალიან პოპულარული იყო კატალონიისა და სხვა არაგონული მიწების ტერიტორიაზე. ის როგორც „საღმრთო რომის“ იმპერატორი პრეტენზიას აცხადებდა ესპანეთის ტახტზე და სურდა მეფე გამხდარიყო კარლ მესამის სახელით. ამ ბრძოლაში სრულ სამხედრო დახმარებას უწევდა კატალონია. ცნობილია, რომ ბრძოლას ესპანეთის სამეფო ტახტისათვის მოჰყვა საკუთრივ ესპანეთის და მთლიანად ევროპის გახლეჩა დაპირისპირებულ ბანაკებად. დიდი დაბრკოლების შემდეგ მეფედ ფილიპე ანჟუელი აირჩიეს და ავიდა ტახტზე კიდეც, მაგრამ ინგლისისა და ჰოლანდიის ხელშეწყობით კარლ ჰაბსბურგში შეძლო ერთხანს კატალონიაში და არაგონის სხვა ტერიტორიაზე გადასვლა, რადგან იქ მისი მხარდამჭერები მრავლად იყვნენ, მაგრამ 1714 წელს 11 სექტემბერს, ფილიპ V – ბარსელონა აიღო და ესპანეთზე ჰაბსბურგების პრეტენზიას წერტილი დაუსვა. საბოლოოდ კი ეს გამარჯვება მან უტრეხტის საზავო ხელშეკრულებით 1713 წელს დაადასტურა. მიუხედავად იმისა, რომ ფილიპე V მმართველობის პირველ წლებში არ ზღუდავდა კატალონიის ავტონომიურობას, 1716 წელს ახალმა მეფემ მოღალატეების დასასჯელად „ნუევა პალატას“ დეკრეტი გამოსცა, რომლითაც არაგონი და კატალონია კასტილიის სამეფოს სრულად შეერწყა, გაუქმდა მათი დამოუკიდებელი ინსტიტუტები და კანონმდებლობა და მიიღო ერთიანი ესპანური სამეფოსავის საერთო კანონები.

მას შემდეგ, რაც გარკვეული დათმობების მეშვეობით, ორივე მხარის მიერ, შედარებით დასტაბილურდა სიტუაცია ქვეყანაში. კატალონიაში ეკონომიკურად აღმავლობის ხანა დაიწყო; უკვე მეთვრამეტე საუკუნეში კატალონიაში მიმდიანრეობდა ინდუსტრიალიზაციის წარმატებული პროცესი, და მან როგორც ქვეყნის ერთ-ერთმა ყველაზე მდიდარმა მხარემ შეძლო მნიშვნელოვანი დოვლათი ისევ დაეგროვებინა, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ნაპოლეონის ლაშქრობებმა დიდი ზიანი მიაყენა, როგორც მთლიანად ესპანეთს ასევე კატალონიასაც, თუმცა ისევ შეძლო ქვეყანამ გადაელახა განსაცდელი და უკვე მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ეკონიმური მდგომარეობა სტაბილურდება. კატალონია ისევ წინაურდება ამ მხრივ და ახერხებს, რომ გახდეს სამრეწველო ცენტრი. რეგიონი არა მარტო, ესპანეთის, არამედ ევროპის

მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულ მხარედ იქცა. კატალონიურ კულტურას, მათ შორის ენას, რენესანსის ხანა დაუდგა. ამ პერიოდიდან ღვივდება თანამედროვე კატალონიური ნაციონალიზმი. პირველ რიგში მუშათა ანარქისტული მოძრაობები იკრებენ ძალებს. მიუხედავად ამ ეკონომიკური სტაბილიზაციისა, როგორც ვხედავთ პილიტიკურად სრულიად განსხვავებული სიტუაცია იქმნებოდა; ამ პერიოდშიც ხშირი იყო გამოსვლები და აჯანყებები ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, კატალონიის დედაქალაქ ბარსელონაში იმდენად ხშირი იყო არეულობები, რომ მას ამ „ცეცხლოვან ვარდს“ უწოდებდნენ. ეს სახელი მან მიიღო ერთ-ერთი ტრაგიკული მოვლენის მოსაგონად კატალონიის ისტორიაში, როდესაც 1909 წელს ადგილობრივი მუშების აჯაყებას მონასტერთა და მდიდართა სახლების დარბევები, ხანძრები და რევოლუციური კარნავალი მოჰყვა, ხოლო მომდევნო ათი წლის განმავლობაში ბარსელონას რეპუტაციის ანარქისტები და მემარცხენე რადიკალური განსაზღვრავდნენ.

მნიშვნელოვანი ფაქტორი რეგიონის ეკონომიკურად გასაძლიერებლად იყო, კატა-ლონიაში 1919 წელს მიღებული კანონი რვა საათიანი დღის რეჟიმის შემოღების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ ეს კანონი პირველად ევროპაში სწორედ კატალონიაში მიიღეს, და სწორედ მუშათა ანარქისტული მოძრაობის აქტიური პროტესტის მეშვეობით. ასევე აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ კატალონიამ ამ საუკუნის სხვადასხვა პერიოდში რამოდენიმეჯერ მოიპოვა და დაკარგა სხვადასხვა დონის ავტონომიური ხარისხი.

ხოლო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წელი კატალონიის ისტორიაში იყო 1914 წელი, როდესაც ოთხმა კატალონიურმა პროვინციამ მოიპოვეს უფლება შეექმნათ თანამეგობრობა, მაგრამ საკანონმდებლო ხელისუფლებისა და ავტონომიის გარეშე. სამწუხაროდ, ეს თანამეგობრობა 1925 წელს პრიმო დე რივერას დიქტატურის დამყარების შემდეგ დაიშალა. დიქტატურის დამარცხების შემდეგ 1931 წელს ესპანეთის მეორე რესპუბლიკას ჩაეყარა საფუძველი. კატალონიამ კი იმავე წელს მიიღო ესპანეთის მეორე რესპუბლიკაში პირველი ავტონომიის წესდება და უკვე 1932 წლისათვის მიენიჭა მას ავტონომიის სტატუსი. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა მთელი რიგი ავტონომიური ინსტიტუტები: ჩამოყალიბდა მთავრობა, თავისი პარლამენტითა და სასამართლოთი, რომელსაც მხოლოდ სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავების გადაჭრის უფლება

გააჩნდა. რეგიონმა პირველად, პრეზიდენტი, მემარცხენე, დამოუკიდებლობის მომხრე ფარნცისკ მასია აირჩია, დამტკიცდა ენობრივი ავტონომია.

მიუხედავად, ამგვარი წარმატებისა, რეგიონში პოლიტიკური სიტუაცია დაძაბული იყო, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა კატალონიელთა დამარცხება ესპანეთის სამოქალაქო ომში (1936-39) ფრანცისკო ფრანკოს ფაშისტურ ძალებთან. მას შემდეგ კი, რაც ესპანეთის მეორე რესპუბლიკაც დამარცხდა სამოქალაქო ომში და ფრანკოს რეჟიმი გამოცხადდა, კატალონიისათვის ძალიან ცუდი პერიოდი დადგა. რადგან კატალონიამ მხარი არ დაუჭირა ფრანკოს რეჟიმს ამან კი ძალიან მძიმე შედეგები მოიტანა მისთვის. ფრანკომ გააუქმა კატალონიის ავტონომია, აკრძალა კატალონიური ენა შეიძლება ითქვას, რომ მის დროს მთლიანად აღკვეთილი იქნა სეპარატიზმი. ამისათვის კი ძალიან მკაცრ კანონებს ატარებდა; აკრძალა ნებისმიერი საჯარო აქტივობა, რაც კატალონიურ სეპარატიზმთან იყო დაკავშირებული, კატალონიელებს არ ჰქონდათ უფლება სახელმწიფო სამსახურებში მაღალი თანამდებობების დაკავებისა, აეკრძალათ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოსვლა. ფრანკოს რეჟიმის შემდეგ ეტაპებზე კი დაუშვეს კატალონიელებისათვის თავისუფლება რელიგიურ და ფოლკლორულ დღესასწაულებთან მიმართებაში.

სამოქალაქო ომმა, ისევე როგორც ესპანეთის სხვა ნაწილები გაანადგურა კატალონიაც. მდგომარეობიდან გამოსვლა კი სულ უფრო რთული იყო იმ სიტუაციაში, როდესაც ფრანკოს რეჟიმის ესპანეთს საერთაშორისო საზოგადოებამ სავაჭრო ემბარგო დაადო. მაგრამ 1950-იან წლებში ქვეყანამ შეძლო ომამდე არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას დაბრუნებოდა, ხოლო 60-იან წლებში კი ესპანეთი მსოფლიოში ერთ-ერთი მზარდად განვითარებული ეკონომიკის მფლობელი იყო. ეს პროცესი „ესპანეთის სასწაულის“ სახელწოდებით შევიდა ისტორიაში. რა თქმა უნდა ესპანეთის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე, ძრავი ამ მხრივ კატალონია იყო. მის დედაქალაქ – ბარსელონას გარშემო მდებარეობდა ესპანეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ინდუსტრალიზაციური ზონა.

ფრანკოს სიკვდილის შემდგომ 1975 წელს, ესპანეთში დემოკრატიზაციის პროცესი დაიწყო, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო კატალონიური სეპარატიზმის გამოღვიძების

პროცესსაც. 1977 წლის 11 სექტემბერს ბარსელონაში გაიმართა მშვიდობიანი მსვლელობა, სადაც მილიონზე მეტმა კატალონიელმა ავტონომია მოითხოვა. ეს მოთხოვნა ესპანეთის ხელისუფლებამ დააკმაყოფილა და 1978 წლის დემოკრატიული ესპანეთის კონტიტუციით; კატალონია, ბასკეთი და გალისია ეროვნებად იქნენ აღიარებულები და მიენიჭათ ავტონომია.

„კატალონიური დამოუკიდებლობის მოძრაობა“

„კატალონიური დამოუკიდებლობის მოძრაობა“, რომლის დროშაა „la estelada“, ახლა უკვე კატალონიის დროშად იწოდება, დაარსდა 1922 წელს. ფრანცის მაისას

ხელმძღვანელობით. მან 1931 წელს თავდაპირველად კატალონიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო უკვე შემდგომ კი ესპანეთის ხელისუფლებასთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად ავტონომიის მიღებით შეცვალა საკუთარი გადაწყვეტილება.

1938 წელს ფრანკომ გააუქმა კატალონიური ავტონომია. ამის შემდეგ, იგი ყველა ძალას ცდილობდა დაეთრგუნა ნაციონალიზმისაკენ მიდრეკილება, არა მხოლოდ კატალონიაში, არამედ ქვეყნის სხვა ტერიტორიებზეც. ეს პროცესები დიდი მსხვერპლით მიმდინარეობდა და უნდა ითქვას, რომ ფრაკოს დროინდელ ესპანეთში სეპარატიზმის მუხტი აღმოიფხვრა, მაგრამ როგორც უკვე ვთქვით მისი გარდაცვალების შემდგომ რა თქმა უნდა ისევ გამოიღვიშა ესპანეთისათვის კატალონიის პრობლემამ, ოღონდ ახლა ამ განსხვავებით, რომ კატალონიური პოლიტიკური პარტიები მხოლოდ ავტონომიის მოთხოვნაზე კონცენტრირდნენ.

კატალონიაში ხორდი პუილოს 23 წლიანი მმართველობის პერიოდში (1980-2003 წწ.) სეპარატიზმი რადიკალური ხასიათის გახდა, ხოლო შემდეგი ორი ადგილობრივი მმართველის; პასკუალ მარგალისა და ხოსე აგილერას პერიოდში კი სიტუაცია ცოტათი დასტაბილურდა. თანამედროვე დამოუკიდებლობის მოძრაობა კატალონიაში სწორედ ხოსე აგილერას მმართველობის პერიოდში 2006 წელს დაიწყო, როდესაც წარადგინეს ავტონომიის ახალი წესდება, ანუ რეგიონალური კონსტიტუცია, თუმცა მას ესპანეთში ავტონომიურ წესდებას უწოდებენ. 2006 წელს ის ჯერ ესპანეთის პარლამენტმა მიიღო, შემდეგ კი ცალკე ჩატარებულმა კატალონიურმ რეფერენდუმმა დაამტკიცა. ახალმა სტატუსმა შეცვალა ფრანკოს სიკვდილიდან მალევე, 1979 წელს მიღებული რეგიონული კონსიტუცია და არსებითად გააფართოვა რეგიონის უფლებები კატალონიელებისთვის განსკუთრებულად მნიშვნელოვან, ეკონომიკურ ასპექტში: შემოსავლები რეგიონულ მთავრობას უნდა გაენაწილებინა, ასევე კატალონიელებმა ოფიციალურად მიიღეს ნაციის სტატუსი.

მაგრამ, მალევე ესპანეთის კონსერვატიულმა სახალხო პარტიამ, რომელიც ერთიან ესპანეთს და ტრადიციულ ფასეულობებს ემხრობა, განაცხადა, რომ დოკუმენტი არალეგალურია, რადგან ესპანური კონსტიტუციის პარალელური დოკუმენტია, რაც თავისთავად უკანონობაა. ამას მოჰყვა მსგავსი პრეტენზიები და სასამართლო სარჩელები

ესპანეთის ომბუდსმენის და ქვეყნის ხუთი რეგიონის მხრიდან. ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო ამ პრეტენზიებს 4 წელი იხილავდა. ამ ხნის განმავლობაში პრესა წერდა პოლიტიკური მანიპულაციების მცდელობასა და მოსამართლეებზე ზეწოლის შესახებ. კატალონიაში განსაკუთრებით აშფოთებდათ სასამართლოს შემადგენლობის შეცვლა: თუ დასაწყისში ლიბერალი და კონსერვატორი მოსამართლეების რაოდნებო თანაბარი იყო, მოგვიანებით სახალხო პარტიამ ერთ-ერთი პროგრესისტი, რომელიც იმავდროულად წარმოშობით კატალონიიდან იყო, სასამართლოს შემადგენლობიდან გააყვანინა და ძალთა ბალანსი თავის სასარგებლოდ შეცვალა. 2010 წელს, სასამართლომ სტატუსის რამდენიმე მუხლი უკანონოდ სცნო.

კატალონიაში მასშტაბური საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. საკონსტიტუციო სასამართლოს წინააღმდეგ მილიონზე მეტი ადამიანი ქუჩაში გამოვიდა. ბევრმა კატალონიელმა გადაწყვიტა, რომ მადრიდში აღარაფერი შეიცვლებოდა და ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფო, მათ მხოლოდ ესპანეთისგან დამოუკიდებლობის შემთხვევაში ექნებოდათ. ამიტომ აღნიშნული გადაწყვეტილების გაპროტესტება სწრაფად გადაიზარდა აქციონერების მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნაში. კატალონიის ისტორიაში პირველი რეფერენდუმი 2009 წელს გაიმართა. თუმცა უნდა ითქვას რომ 2009-11 წლებში გამართული რეფერენდუმი სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. ასე, რომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ სეპარატიზმის ტალღის ხელახალი გამოღვიძება 2010 წლის არჩევნებით განახლდა, სადაც კატალონიური რეგიონალური მთავრობის მეთაურად აირჩიეს არტურ მასი – პარტია „კონვერგენცია და ერთობის“ ლიდერი, აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ეს პარტია სულაც არ იყო ორინეტირებული ესპანეთიდან გამოყოფის საკითხზე, მათი იდეოლოგიით კატალონიისათვის საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა კატალონიის შიგნით ფართო ავტონომია. თუმცა ხელისუფლების სათავეში მოსვლიდან რამოდენიმე თვეში რიტორიკა შეცვალა და განაცხადა, რომ კატალონიის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი მისი პოლიტიკური მოღვაწეობის მთავარი ამოცანაა.

მასობრივი პროტესტის გამოსახატავად 2012 წლის 11 სექტემბერს (კატალონიის ეროვნულ დღეს), გამოვიდა ხალხი ქუჩებში კატალონიის მთავრობას მოუწოდეს აქტიურად დაეწყოთ პროცესები კატალონიის დამოუკიდებლობისათვის. კატალონიის პრეზი-

დენტმა არტურ მასმა უპასუხა ამ მოთხოვნებს და რეგიონის ისტორიაში პირველად დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ხმათა უმრავლესობა მოიპოვა. ხოლო უკვე 2013 წლის დასაწყისში ახალმა პარლამენტმა მიიღო კატალონიური სუვერენიტეტის დეკლარაცია და განაცხადეს, რომ კატალონიელებს ჰქონდათ უფლება საკუთარი პოლიტიკური მომავალის გადაწყვეტისა. ამავე დროს, კატალონიის მთავრობამ გამოაცხადა რეფერენდუმი, რომელიც 2014 წლის ნოემბერში ჩატარდა; ის მოიცავდა ორ კითხვას: 1) გნებავთ, კატალონია სახელმწიფო გახდეს? (თუ კი) 2) გინდა ეს სახელწიფო იყოს დამოუკიდებელი? მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის მთავრობამ აკრძალა რეფერენდუმი, კატალონიის თვითგამორკვევის რეფერენდუმი მაინც ჩატარდა 2014 წლის 9 ნოემბერს, შედეგები კი იყო: 81% დიახ პასუხს აძლევდა ხმას, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის აქტივობა მხოლოდ 35% იყო.

კატალონიელების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის რეფერენდუმის გზით, მხოლოდ 2014 წლის რეფერენდუმით არ დასრულებულა. სწორედ ამიტომ, მათ ახალი რეფერენდუმი უკვე 2017 წლის ოქტომბრისათვის დაგეგმეს, თუმცა ამ რეფერენდუმზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

კატალონიის ეკონომიკა

პირველ რიგში, სანამ 2017 წლის რეფერენდუმის თემას შევეხებით განვიხილოთ კატალონიის ეკონომიკური მდგომარეობა, კატალონიის მზარდი ეკონომიკა ესპანეთის ეკონომიკური კრიზისის ფონზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია კატალონიური სეპარატიზმისა.

ცნობილია, რომ ესპანეთის 17 პროვინციას შორის კატალონია და ბასკეთი, ორი უმდიდრესი რეგიონია. ოფიციალურ მადრიდს ესპანეთის ორ რეგიონთან, ბასკეთსა დანავარასთან სპეციალური შეთანხმება აქვს გაფორმებული, რის მიხედვითაც ამ რეგიონებს საკუთარი ფისკალური პოლიტიკის გატარების უფლება აქვთ და გადასახადებისგან ამოღებული თანხები მადრიდში არ მიდის. რეგიონებს ეს შესაძლებლობას აძლევს მეტი სოციალურ პროგრამები განახორციელონ განათლებისა და ჯანდაცვის კუთხით და ხელი შეუწყონ კეთილდღეობის განვითარებას. ამგვარი შეთანხმება მადრიდსა და ბარსელონას შორის არ მოქმედებს. ეს მოვლენა კი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია კატალონიელების უკმაყოფილებისა.

7.5 მილიონი მოსახლით კატალონია ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და ინდუსტრიულად განვითარებული რეგიონია ესპანეთსა და მთლიანად ევროპაში. კატალონია პასუხისმგებელია ესპანეთის მშპ-ს ერთ მეხუთეზე და ექსპორტის მეოთხედზე. ესპანეთის მშპ-ში მისი წილი 19%-ს უტოლდება. ტურიზმის კუთხით, ესპანეთის ვიზიტორთა 25% ამ რეგიონზე მოდის. კატალონიაში ცხოვრების ხარისხი 18% უკეთესია მთლიანად ესპანეთზე და 70% უკეთესი ვიდრე ესტემადურაში, ესპანეთის ყველაზე ღარიბ მხარეში. უკეთესად რომ წარმოვიდგინოთ რა სიმდიდრეს ფლობს ეკონომიკურად კატალონია უნდა ითქვას, რომ მისი ეკონომიკა სიდიდით პროტუგალიასა და ფინეთს უტოლდება.

ცენტრალურ ხელისუფლებას კატალონიიდან გადასახადებით უფრო მეტი მიაქვს, ვიდრე სახელწიფო ხარჯებით უკან აბრუნებს. აღნიშნული სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა, რაც 2012 წელს რაჰოის მთავრობამ კატალონიაში გადასახადები ჯანდაცვასა და განათლებაზე კიდევ უფრო გაიზარდა. ეს ის პერიოდია, როდესაც 2008 წლის ფინანსური

კრიზისით დაზარალებულმა ესპანურმა ეკონომიკამ ზრდის მაჩვენებელი ვერ დააფიქსირა და კრიზისში დარჩა. როგორც აღმოჩნდა ოფიციალური მადრიდი საბიუჯეტო დეფიციტის შესამცირებლად თანხების აკუმულირებას კატალონიიდან ახორციელებდა. შედეგად, იმავე წელს, რეგიონი იძულებული გახდა მადრიდისგან სახელმწიფო ფინანსური დახმარება ეთხოვა. ამასთან უნდა ითქვას, რომ კატალონიაში დღემდე ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საშემოსავლო გადასახადის მარჟაა ევროპის მასშტაბით. კატალონიელები დაახლოებით იმავე რაოდენობის გადასახადებს იხდიან, როგორც ეს სკანდინავიურ ქვეყნებშია. კატალონიის მთავრობის თქმით, სხვაობა მადრიდის მიერ რეგიონიდან მოზიდულ და რეგიონზე განაწილებულ თანხებს შორის 11-15 მილიარდ ევრომდეა. ცენტრალური მთავრობის ოფიციალური განცხადებით კი, ეს ციფრი მხოლოდ 8.5 მილიარდ ევროს უტოლდება. აღნიშნული პროცესი კატალონიას საშუალებას არ აძლევს მეტი დახარჯოს, როგორც სოციალურ პროგრამებში, ასევე ინფრასტრუქტურულ პროექტებში. ამოღებული თანხებით ოფიციალური მადრიდი ესპანეთის სხვა, უფრო ღარიბი რეგიონების განვითარებას უწყობს ხელს. მაგრამ, კატალონიელთა ბრაზს იწვევს ის, რომ ზოგიერთ სხვა რეგიონში მშპ ერთ სულ მოსახლეზე უფრო მეტია, ვიდრე თვითონ კატალონიაში. ეს ყველაფერი კი იმ უდიდესი შენატანების ფონზე, რასაც კატალონია ცენტრალურ ბიუჯეტში ახორციელებს, ამიტომაც რეგიონში ფრაზა „მადრიდი ჩვენ გვძარცვავს“ აქტიურად მუსირებს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მთავრობების მიერ, მდიდარი რეგიონებიდან მეტი თანხის ამოღება და ღარიბი რეგიონების განვითარებისათვის გამოყენება აპრობირებული მეთოდია, მაგრამ კატალონიის შემთხვევა განსხვავებულია, რადგან კატალონიელები თავს სხვა ერად თვლიან, რომელთაც საკუთარი ენა, კულტურა და ცხოვრების წესი გააჩნიათ და არ სურთ მისი ისტორიული მეტოქის მათი სახსრებით განვითარება-გამდიდრება. სწორედ ამიტომ, კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრე ჯგუფები ავითა-რებენ არგუმენტს, რომ კატალონია მარტო უფრო სწრაფად და ეფექტურად განვითარდება, მაგრამ საყურადღებოა რომ ორგანიზაცია „Societat Civil Catalana“-ს კვლევის მიხედვით ესპანეთისგან გამოყოფის შემთხვევაში კატალონია 400 000-ზე მეტ სამუშაო ადგილს დაკარგავს, 30%-ს ასცდება უმუშევრობა და 20 მილიარდი ევროთი

ნაკლები პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შევა რეგიონში. ესპანეთის ეკონომიკის მინისტრის განცხადებით კი, დამოუკიდებლობის შემთხვევაში კატალონიის ეკონომიკა 30%-ით შემცირდება, მაგრამ ესპანეთის მთავრობისათვის მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კატალონიის რეფერენდუმის შემდეგ, ესპანეთის საფონდო ბირჟაზე ვარდნაა, ევრო სხვა ვალუტებთან დაეცა, თუმცა ანალიტიკოსები ვარდნას მხოლოდ დროებით მოვლენას უწოდებენ, რადგანაც კატალონიის ეკონომიკის გავლენა ევროკავშირზე მცირეა. ამ მოვლენით მტკიცდება თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურად ამ რეგიონს ესპანეთისათვის.

2017 წლის 1 ოქტომბრის რეფერენდუმი

დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ახალი თავის დაწერსს კატალონიის ისტორიაში ამჯერად უკვე კატალონიის მთავრობის მეთაური კარლეს პიუჯდემონი ცდილობს, რომელმაც ესპანეთის კონსტიტუციით ძალის არქმონე რეფერენდუმის ჩატარება გადაწყვიტა. ამ მოვლენა წინ უძღოდა გამოკითხვები მოსახლეობაში; კატალონიის კვლევითი ცენტრის ინფორმაციით, 2017 წლის მარტში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ავტონომიის 48.5% დამოუკიდებლობის წინააღმდეგია, 44% კი სეცესიას მხარს უჭერს. გამოკითხულთა 7.5%-ს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხი არ აქვს.

როდესაც კატალონიის პარლამენტმა რეფერენდუმის შესახებ კანონი მიიღო, რომლის თანახმად ესპანეთიდან გამოყოფის თაობაზე პლებისციტი უნდა ჩატარებულიყო ოქტომბერში, ესპანეთის მთავრობამ ეს პლებისციტი წინასწარვე უკანონოდ სცნო. ამიტომაც, კატალონიის ავტონომიურმა მთავრობამ ესპანეთის სამეფოდან გამოყოფის შესახებ ე.წ. რეფერენდუმი ოფიციალურ მადრიდთან შეუთანხმლებლად დანიშნა, ჩატარების თარიღად კი 2017 წლის 1 ოქტომბერი დასახელდა. ამ კენჭისყრაში 83 დეპუტატი მონაწილეობდა, აქედან 11-მა რეფერენდუმის ჩატარების წინააღმდეგ მისცა ხმა. შემდეგ კი პრეზიდენტმა კარლეს პუიჯდემონმა განცხადება გააკეთა და თქვა, რომ კატალონიის ავტონომიის მოსახლეობის პასუხის გაცემა ერთ კითხვაზე მოუწევს: „სურთ თუ არა კატალონია იყოს დამოუკიდებელი სახელწიფო რესპუბლიკური წყობით?“

როდესაც, ამ რეფერენდუმის მიღების პროცედურაზე ვსაუბრობთ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პუიჯდემონის სიტყვით გამოსვლას მხოლოდ ორი პარტია დაესწრო, – კატალონიის დამოუკიდებლობის კოალიცია Juint pel Si („ერთად თანხმობისთვის“) და

ანარქისტული, ულტრა-მემარცხენე პარტია Candidatura d'Unital Popular („სახალხო ერთიანობის კანდიდატურა"). ავტონომიური მთავრობის მეთაურის მოწვევის მიუხედავად, ე.წ. რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ განცხადების მოსასმენად. კატალონიის პარლამენტში შემავალი არც ერთი სხვა ფრაქცია არ მისულა, მათ შორის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არც ბარსელონის მერი ადა კოლაუ, – მემარცხენე პარტია „Podemos"-ის წევრი. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კარგად ჩანს, რომ სრული თანხმობა სესიის შესახებ არა მხოლოდ მოსახლეობაში არაა, არამედ თვითონ მთავრობაშიც საგრძნობ-ლად განიცდიან ამის ნაკლებობას.

მოკლედ, როგორც მადრიდის ნების საწინააღმდეგოდ, ასევე ფაქტიურად თავად კატალონიელი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ნების საწინააღმდეგოდაც 2017 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო რეფერენდუმი. დილიდანვე საარჩევნო უბნებთან კატალონიის მცხოვრებლებმა რიგი დაიკავეს, საარჩევნო უბნები ადგილობრივი დროით დილის ცხრა საათზე გაიხსნა და საღამოს რვა საათზე ხმის მიცემა დასრულებულად უნდა ჩათვლი-ლიყო.

რეფერენდუმამდე კი ბარსელონაში ხმის მიცემის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გაიმართა. ერთ-ერთმა დემონსტრანტმა ბარსელონის ცენტრში, სადაც რეგიონული ხელისუფლებისა და ქალაქის მერიის შენობება განთავსებული, კატალონიის დროშა დაწვა. ზოგიერთმა მერიის შენობაზე დაკიდებული ტრანსპარანტის „მეტი დემოკრატიის" ჩამოხსნა სცადა. აღნიშნული ფაქტიც ნათლად მეტყველებს, რომ ეს რეფერენდუმი არ იყო საყოველთაო გადაწყვეტილება. სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ რეფერენდუმის დღემდე შეინიშნებოდა ძალიან დიდი დაძაბულობა მთლიანად ქვეყანაში არ წყდებოდა დაპირისპირებული მხარეების პარალელური გამოსვლები თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით.

რადგან რეფერენდუმი ესპანეთის ხელისუფლების ნების საწინააღმდეგოდ გაიმართა ესპანეთის მთავრობამ გადადგა სრულიად არადემოკრატიული და არარაციონალური ნაბიჯი: ესპანეთის პოლიცია საარჩევნო უბნებში შევიდა, და საარჩევნო ყუთები და ამომრჩეველს ბიულეტენები ჩამოართვა, შედეგად პროტესტის ნიშნად ამომრჩევლები ქუჩაში გამოვიდნენ. საპასუხოდ კი, პოლიციამ ამომრჩეველს რეზინის ტყვიები დაუშინა

მაშინ, როდესაც ისინი ხმის მიცემას ცდილობდნენ. მიუხედავად მათი ასეთი ნაბიჯებისა 2315 საარჩევნო უბნიდან ესპანეთის პოლიციამ მხოლოდ 400 უბნის დახურვა შეძლო, დანარჩენებში კი რეფერენდუმი ჩვეულებრივად ჩატარდა.

ესპანეთის მთავრობის ასეთი არასწორი, ძალისმიერი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ ამ შეტაკებების შედეგად კატალონიური წყაროების მიხედვით 750-ადამიანზე მეტი დაშავდა, რაზეც განცხადების გაკეთებას ოფიციალური მადრიდი ერიდება. ყველაზე დიდი შედეგი კი იყო, რომ ამ აგრესიით კიდევ უფრო გაზარდეს სეპარატიზმის მუხტი და იმ მოქალაქეებსაც, რომლებიც ნეიტრალიტეტს აცხადებდნენ გარკვეული სიმპატიები გაუჩინეს რეფერენდუმის მომხრეებისა და რეფერენდუმისადმი.

ხოლო რაც შეეხება რეფერენდუმის შედეგებს ციფრებში: რეფერენდუმში მონაწილეობა 2.26 მილიონმა ადამიანმა მიიღო, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 42.3%-ია. კატალონიის დამოუკიდებლობას მხარი ორმა მილიონმა ამომრჩეველმა დაუჭირა. კატალონიის პრეზიდენტმა საზეიმოდ ამცნო რეფერენდუმის დადებითი გადაწყვეტილების შესახებ ქუჩაში გამოსულ მოსახლეობას და მიულოცა დამოუკიდებლობისაკენ გადადგმული ძალიან დიდი ნაბიჯი. ხოლო 11 ოქტომბერს ხელი მოაწერა კატალონიის დამოუკიდებლობის დეკლარაციას. ამავდროულად, ავტონომიის ლიდერმა პარლამენტს დამოუკიდებლობის გამოცხადება, მადრიდთან მოლაპარაკების გამართვის მიზნით, რამდენიმე კვირით გადადება სთხოვა. დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ პირვლი კომენტარი უკვე გააკეთა ოფიციალურმა მადრიდმაც. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მოადგილის განცხადებით, კარლოს პუჩდემონი კანონის შესრულებას უნდა დაუბრუნდეს და მხოლოდ ამ შემთხვევაში წავლენ მასთან მოლაპარაკებებზე.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მიუხედავად ესპანეთის მთავრობის საშინლად არადიპლომატიური პოლიტიკისა, რამაც ფაქტიურად ხელში ჩაუგდო ყველა კოზირი სეპარატისტული მიდრეკილების მქონე კატალონიის პრეზიდენტს, რაც დრო გადის მისი პოზიცია უფრო და უფრო რბილი და მშვიდობიანი ხდება, რაც სავარაუდოდ მისი სწორი დიპლომატიური პოლიტიკის ნაწილია, რომლის მიხედვითაც „აგრესორი“ ესპანეთი უფრო კარგად წარმოჩინდება. სულ ცოტა ხნის წინ მან თავად მიმართა ესპანეთის ხელისუფლებას მოლაპარაკებების დაწყებისაკენ და თქვა, რომ „კატალონიის

მილიონობით მაცხოვრელები ერთადერთ ვარიანტად კატალონიის დამოუკიდებლობას მიიჩნევს“. ასევე კატალონიის პარლამენტში გამოსვლისას პუჩდემონმა აღნიშნა, რომ არ გეგმავს „მუქარასა და შეურაცხყოფას“, მას „დაძაბულობის დეესკალაცია“ სურს. ამიტომ მადრიდს მოუწოდებს აქტიური მოლაპარაკებებისაკენ. მადრიდის პასუხები კი უცვლელია; პუჩდემონის გამოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე, ესპანეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ დამოუკიდებლობის ნებისმიერ ერთმხრივ დოკუმენტს დაუყონებლივ უპასუხებს და „დემოკრატიისა და კანონის“ აღდგენისთვის ყველა ზომას გამოიყენებს.

ამის შემდეგ დაიწყო კიდევ უფრო ხისტი ულტიმატუმის პოლიტიკა ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლებისაგან და მათ 21 ოქტომბერს დღის წესრიგში დააყენეს კატა-ლონიისათვის ავტონომიის გაუქმების საკითხის განხილვა. ეს განცხადება მათ მას შემდეგ გააკეთეს, რაც მორიგი ულტიმატუმის ვადის ამოწურვის შემდეგ, კატალონიის ხელისუფლებამ უარი განაცხადა პირდაპირი პასუხი გაეცა კითხვაზე: ესპანეთისაგან გამოყოფა ფორმალურად განაცხადეს თუ არა?

წესრიგის აღდგენისათვის ოფიციალური მადრიდი კონსტიტუციის 115-ე მუხლის ამოქმედებას გეგმავს, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლებისთვის უფლებამოსილების შეჩერებასა და რეგიონში ცენტრალური მმართველობის შემოღებას ითვალისწინებს. ამის საპასუხოდ კი კარლეს პუჩდემონმა განაცხადა, რომ თუ კი ესპანეთის ხელისუფლება კონსტიტუციის ამ მუხლს აამოქმედებს, კატალონია დამოუკიდებლობას დაუყონებლივ გამოაცხადებს.

კატალონიის პარლამენტმა სხდომა ამ საკითხთან დაკავშირებით ხუთშაბათს დაგეგმა, სადაც იმსჯელებენ თუ რა პასუხი უნდა გასცენ ოფიციალურ მადრიდს. ამავე კვირაში, პარასკევს ესპანეთის სენატმა კენჭი უნდა უყაროს ესპანეთის მთავრობის ზემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებას.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა 1978 წლის დემოკრატიული ესპანეთის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, როდესაც ესპანეთის მთავრობა ასეთ რადიკალურ ზომებზე მიდის.

ევროკავშირისა და საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია

კატალონიაში მიმდინარე პროცესებში ოფიციალური ბრიუსელი ნაკლებად აქტიურობს. ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების შიდა პოლიტიკურ საკითხებში ჩარევის შესაძლებლობა და ლეგიტიმაცია ნაკლებად აქვს. როგორც ბრიუსელში ასევე სხვა წევრი ქვეყნების ლიდერები ესპანეთის მთავრობას მოუწოდებენ თავი შეიკავონ ძალადობისაკენ და მოქალაქეებს თავისუფალი ნების გამოხატვის საშუალება მისცენ. მიუხედავად ამისა, როგორც ესპანეთმა, ასევე ევროკავშირმა რეფერენდუმი დამოუკიდებლობის შესახებ, უკანონოდ სცნო და მხარს უჭერს ესპანეთის ტერიტორიულ მთლიანობას.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს, როგორც უკვე ვთქვით, არ აქვს ასე აშკარად ჩარევის უფლება წევრი ქვეყნის პოლიტიკურ საქმეში. ესპანეთის ხელისუფლების წარმომადგენელნი ევროკავშირს ღიად პოზიციების დაფიქსირებისა და ამ საქმეში საკმაოდ აქტიური მონაწილეობისაკენ მოუწოდებს და ამბობს, რომ კატალონიის საკითხი ევროკავშირისათვის ისეთივე გამოწვევაა, როგორც თვითონ ესპანეთისათვის.

დღეს-დღეობით ევროკავშირის იმ დილემის წინაშე დგას, რაც ათწლეულებია საერთაშორისო სამართალს აწუხებს 1918 წელს აშშ-ს პრეზიდენტის ვუდრო უილსონის მიერ ინიცირებული პრინციპი, რომ ყველა ერს აქვს თვითგამორკვევის უფლება და

უფლება თავად გადწყვიტოს ვისი სუვერენიტეტის ქვეშ იქნება, გაერთიანებული ერების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ამასთანავე, გაერო ქვეყნის ტერიტორიული ურღვეობის პრინციპსაც აღიარებს. მიუხედავად საერთაშორისო სამართალში ამ პრინციპის არსებობისა, ერის თვითგამორკვევის პრინციპი პრაქტიკულად იშვიათად თუ ხდება. ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა უმეტეს წილად სისხლიან კონფლიქტებთან არის დაკავშირებული და მნიშვნელოვანი მსხვერპლის გაღების ხარჯზე ხდება. თანამედროვე კოსოვოს და სამხრეთ სუდანის მაგალითიც მოწმობს.

მიუხედავად ამ ყველაფრისა ევროკავშირის პოზიცია კატალონიის სეპარატიზმზე საკმაოდ პირდაპირი და კატეგორიულია. ბრიუსელში აცხადებენ, რომ ესპანეთისგან გამოყოფის შემთხვევაში, კატალონია ავტომატურად დაემშვიდობება ევროკავშირსაც. ცნობილია, რომ 2004 წლიდან, ბლოკში მოქმედებს ეგრეთ წოდებული „ბაროზუს დოქტრინა“- ს წესის თანახმად, ევროკავშირის წევრი ქვეყნისგან გამოყოფის შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი ახალი ქვეყანა, ავტომატურად ვერ შეძლებს ევროკავშირის წევრობას. თავის დროზევე ევროკომისიი ყოფილი თავმჯდომარის ჟოზე მანუელ ბაროზუს ამ ინიციატივის მიზანი, ევროკავშირის ზოგიერთ რეგიონში (ბელგიის ფლანდრია, ჩრდილოეთ ირლანდია, ბასკეთი, კატალონია) სეპარატისტული ვნებებს მოთოკვა იყო. 2014 წელს, ბაროზუმ BBC-ის ეთერში დაადასტურა, რომ ნორმა ძალაშია, მაშინ აქტიური პროცესები მიმდინარეობდა შოტლანდიის შესაძლო დამოუკიდებლობაზე. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი კატალონიის მთავრობის შესახებ არის ის, რომ ბრიუსელის განცხადებების მიუხედავად, კატალონიის მთავრობა საპირისპიროს ამტკიცებს მოსახლეობასთან საუბარში და მათ დარწმუნებით პირდებათ, რომ პირინეის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთში მცხოვრები 7.5 მილიონი კატალონიელი რეგიონის ესპანეთისგან გამოყოფილი შემთხვევაში ევროკავშირის მოქალაქეობას არ დაკარგავს. ფაქტები კი საპირისპიროზე მეტყველებენ. თუ საქმე მართლაც მივა კატალონიის დამოუკიდებლობამდე, ევროკავშირის ფუძემდებლური შეთანხმებების თანახმად, რესპუბლიკამ ევროკავშირში გაწევრიანებაზე ცალკე განაცხადი უნდა შეიტანოს. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, როგორც ახლად წარმოქმნილ სახელწმიფოს, მას ბლოკში წევრობისათვის ყველა პროცედურის თავიდან გავლა მოუწევს, რაც შეიძლება

წლების განმავლობაში გაჭიანურდეს. იმავდროულად, ევროკავშირის ყველა წევრმა, მათ შორის ესპანეთმა, მხარი უნდა დაუჭიროს წევრობაზე მოლაპარალებების დაწყებას, რაც, სავარაუდოდ, არ მოხდება.

რაც შეეხება ეკონომიკას, მოსალოდნელია, რომ სულ ცოტა დროებითი გაყრა ევროკავშირთან, ბევრ კატალონიურ საწარმოს და ბანკს ძალიან ძვირად დაუჯდება. დღეს, კატალონიური ავტოწარმოების პროდუქციის თითქმის მთელი ექსპორტი ევროკავშირზე მოდის. როგორც მესამე ქვეყანას, კატალონიას მოუწევს საზღვარზე ბაჟის გადახდა და ევროკავშირთან სავაჭრო შეთანხმების გაფორმება. გარდა ამისა, გაურკვეველია, რა მოხდება კატალონიის საფრანგეთთა საზღვარზე, რომელიც რეგიონთან ევროკავშირის გარე საზღვარი გახდება და რომლის საშუალებითაც ხორციელდება დღეს ესპანური ტვირთის გადაზიდვა და მზგავრების გადაადგილება.

მოკლედ, იმისდა მიუხედავად, რომ ევროკავშირს არ აქვს ბევრი ბერკეტი ამ კონფლიქტში ჩასარევად, როგორვ ვხდევათ აბსოლიტურად ღიად აფიქსირებს თავის პოზიციას კატალონიურ და ზოგადად სეპარატიზმთან მიმართებაში. ეს რა თქმა უნდა გამოწვეულია ევროპის დღევანდელი კრიზისული მდგომარეობით, როდესაც მისთვის არათუ უცხოა მსგავსი პრობლემა, არამედ კავშირის მთელი რიგი ქვეყნები მსგავსი საფრთხის წინაშე დგანან. ასეთებია: ბელგია – ფლანდრიის გამოყოფის საკითხი, ჩრდილოეთ იტალიის (პანადია) და სამხრეთ ტიროლის გამოყოფის საკითხი – იტალიისაგან, კორსიკა – საფრანგეთისაგან, ბავარია – გერმანიისაგან და შოტლანდია – დიდი ბრიტანეთისაგან. როგორც ვხედავთ, ევროკავშირი თუ გარკვეულ ზომებს არ მიიღებს კატალონიის მიმართ და არ დაეხმარება ამ საკითხის მოგვარებაში ესპანეთის ხელისუფლებას ის სეპარატისტული ქარიშხალი, რომელიც პირინეის ნ/კ-დან დაუბერავს მთელს ევროპას შუაზე გახლეჩს.

სეპარატიზმი გარდა ევროკავშირისა, დანარჩენ არც ერთ სხვა ქვეყანას არ აწყობს. ამიტომაცაა, ასეთი ერთსულოვანი პოზიცია საერთაშორისო საზოგადოებისაგან ამ საკითხთან მიმართებაში. ისინი ერთხმად გმობენ ძალის გამოყენებას მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ და ესპანეთს დემოკრატიული პრინციპების ხელშეწყობისაკენ მოუწოდებენ და ამავე დროს ღიოდ გმობენ კატალონიის მისწრაფებას

დამოუკიდებლობისაკენ. ამ ქვეყნებს შორისაა საქართველოც. სულ რამოდენიმე დღის წინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადებით დააფიქსირა, რომ საქართველო მხარს უჭერს ესპანეთის სამეფოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას და მიუღებლად მიიჩნევს დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადებას. „იმედს გამოვთქვავთ, რომ კრიზისი დარეგულირდება დიალოგის გზით და ესპანეთის ხელისუფლება შეძლებს კონსტიტუციური წესრიგის დაცვას და ამით გარანტირებული იქნება ყველა მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები“ – ნათქვამია განცხადებაში.

მაგრამ გარდა ასეთი პოზიციებისა, არსებობს მათგან განსხვავებული სხვა პოზიციაც – რუსეთის პოზიცია, რომლის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ძალიან კარგად იყენებს იმ „კოზირს“, რომელიც ევროპამ მას გადასცა კოსოვოს ფენომენის შემდგომ, რათა რუსეთის მამოძრავებელი ძალა „სეპარატიზის გაღვივება“ აქტიურად შენიღბოს ევროკავშირის მიერ დემოკრატიული პრინციპების დარღვევის საფარველით. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველ განცხადებებში იგი მწუხარებას გამოთქვამდა ესპანეთში მიმდინარე პროცესების გამო და იმედოვნებდა, რომ სიტუაცია გამოსწორდებოა. სულ რაღაც რამოდენიმე დღის წინ პუტინი აქტიურად ალაპარაკდა ევროკავშირის ორმაგ სტანდარტებზე და განაცხადა, რომ არალოგიკური და არადემოკრატიულია ის რაც კოსოვოსათვის დასაშვებად ერთხელ მიიჩნიეს ახლა დაუშვებელი იყოს კატალონიისა და ყირიმისათვის.

კატალონიის მოვლენებისა და რუსეთის ასეთი „წამქეზებლური“ განცხადებების ფონზე გასაკვირი არ არის, რომ ჩრდილოეთ იტალიის რო რეგიონში ვენეტოსა და ლომბარდიაში აქტიურად დაიწყეს საუბარი ავტონომიის მოპოვებაზე. ავტონომიის მოთხოვნის უკან მემარჯვენე პარტია „ჩრდილოეთის ლიგის“ წარმომადგენლების დგანან. ისინი ჯერ კიდევ 1990 წლებიდან გამოთქვამდნენ ინიციატივას ჩრდილოეთი რეგიონების იტალიის გამოყოფისა და პადანიის რესპუბლიკის ჩამოყალიბების შესახებ. ამჯერად, ისინი არა დამოუკიდებლობას, არამედ ფართო ავტონომიას ითხოვენ. რა ტქმა უნდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ამ შემთხვევაშიც ეკონომიკური დამოუკიდებლობაა. როგორც ჩანს, ევროპიდან პირველმა სწორედ ჩრდილოეთ იტალიამ აუბა მხარი

კატალონიას და საკუთარი პრობლების გადასაჭრელად საჭირო მომენტის კარგად გამოყენება გადაწყვიტეს. რეფერენდუმი 22 ოქტომბერს ჩატარდა და მშვიდობიანი ხასიათისა იყო, რადგან ეს რეფერენდუმი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლომაც აღიარა. მიუხედავად ამისა, ავტონომიის გაფართოება რომის ავტორიტეტს სერიოზულ ეკონომიკურ თუ სხვა კუთხით ზარალს მოუტანს. საქმე ისაა, რომ ვენეტოსა დალომბრადიაზე მოდის იტალიის მშპ-ს 30%, ასევე მთლიან ამომრჩეველთა ერთი-მეოთხედი.

ხოლო, რაც შეეხება, რეფერენდუმის შედეგებს, ციფრული მონაცემებით: აღსანიშნავია, რომ ლომბარდიაში ამომრჩეველთა მხოლოდ 40% აქტივობა დაფიქსირდა, აქედან 95% დაუჭირა მხარი ავტონომიის გაფართოებას. ვენოტაში კი ამომრჩეველთა 60% დასწრება დაფიქსირდა. აქედან 98% მისცა ხმა რეგიონის ფართო ავტონომიას. ამ ყველაფრის ფონზე აღსანიშნავია, რომ იტალიის 5 რეგიონი უკვე სარგებლობს სხვადასხვა დონის ავტონომიით. მათ შორისაა გერმანულენოვანი – ტრენტინო-ალტო ადიჯე, ფრანგულენოვანი – აოსტა, სარდინიისა და სიცილიის კუნძულები და ფრიული-ვენეცია-ჯიულია, ცივი ომის დროს ყოფილ იუგოსლავიასთა მეზობლობის გამო.

ამრიგად, დასკვნის სახით რომ წარმოვადგინოთ, მიხუხედავად ესპანეთის სახელმწიფო ხელმძღვანელობის ცუდი დიპლომატიური ნაბიჯებისა და სეპარატისტული მიდრეკილებების მქონე ტერიტორიების ისტორიული გულშემატკივრის – რუსეთის ხისტი, წამქეზებლური განცხადებებისა, დღევანდელ ევროპულ რეალობაში კატალონიის შანსები დამოუკიდებლობისათვის ძალიან მიზერულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- https://imedinews.ge/ge/msoflio/29584/kataloniis-avtonomiis-metaurma-deperendumshi-miigo-monatsileoba
- https://www.tabula.ge/ge/story/124277-kataliniis-referendumis-moaxloebastan-ertad-espanetshi-dadzabuloba-matulobs
- https://imedinews.ge/ge/theme/98/dges-kataloniashi-reperendumi-moereva-tu-ara-madridi-barselonas

- https://www.lari.ge/147-politika/507--kataloniuri-separatizmi--.html
- https://1tv.ge/projects/analytics/?page-detail&id=18713
- https://medianews.ge/ge/kataloniis-prezidentma-damoukideblobis-deklaratsias-kheli-moatsera-tumtsa-damoukideblobis-gamotskhadeva-gadado/33701
- https://netgazeti.ge/news/221364/
- https://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id rub=8&id a rtc=40007
- https://www.tabula.ge.ge/story/80568-kataloniis-damoukideblobis-perspeqtiva
- https://guardian.ge/29120-akhlakhan-gavrcelebuli-informacia-am-istoriul-momentshi-kataloniis-prezidentma-me-msurs-gavyve-khalkhis-nebas-gakhdes-katalonia-damoukidebeli-sakhelmstsifo.html
- https://www.ambebi.ge/msoplio/215200-espanethis-uakles-istoriashi-akhali-epoqa-itsyeba-katalonia-referendumisthvis-emzadeba-html

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კონფლიქტების მართვისა და ანალიზის სადოქტორო პროგრამა

მეორე სემესტრის დოქტორანტი

მარიამ ჭანკოტაძე

სადოქტორო სემინარი

„მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გუგული მაღრაძე

თბილისი

2018წ.

შესავალი

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის #437 დადგენილება განმარტავს, რომ „მიუსაფარი ბავშვი არის ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე არასრულლწოვანი, რომელიც იდენტიფიცირებულია ასეთად, „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანებით განსაზღვრული, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ რეფერირების პროცედურების შესაბამისად“. (საქართველოს მთავრობის #437 დადგენილება, 2016)

ზოგადად მოიაზრება, რომ მიუსაფარი ბავშვების პრობლემა მხოლოდ განვითარებადი სამყაროსთვისაა დამახასიათებელი, რაც, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება რეალობას და თანამედროვე მსოფლიოში ვხვდებით განვითარებულ ქვეყნებს, რომელთათვისაც მიუსაფარი ბავშვების პრობლემა ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს. მსგავსია ის პრობლემებიც, რომლებიც აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მცხოვრებ მიუსაფარ არასრულწლოვნებს. ქუჩაში ირღვევა ამ ბავშვების ფუნდამენტური უფლებები - ისინი არ არიან დაცულები ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან, ხდებიან შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლები, ვერ იღებენ განათლებას და სამედიცინო მომსახურებას. (International Youth Foundation, 2001)

გამოთვლილია, რომ მსოფლიოში დაახლოებით 100 მილიონი მიუსაფარი ბავშვი იბრძვის გადარჩენისთვის უმკაცრეს პირობებში. ყოველწლიურად მილიონობით ბავშვი ებმება ქუჩის ცხოვრებაში სხვადასხვა მიზეზის გამო. ეს მიზეზები შეიძლება იყოს: ეკონომიკური სიდუხჭირე, ოჯახური პრობლემები, კომერციული ექსპლოატაცია, სკოლასთან სუსტი კავშირი, ალკოჰოლიზმი და ნივთიერებებზე დამოკიდებულება მზრუნველის მხრიდან, ძალადობა, ოჯახის წევრების ჯანმრთელობის პრობლემები, მიგრაცია, მშობლის გარდაცვალება, სამეგობრო წრე, ოჯახის წევრებთან ურთიერთობების პრობლემები და ა.შ. ქუჩაში ცხოვრება ხელს უშლის მათ უფროსებთან ემოციური

კავშირების დამყარებაში, სოციალური უნარების განვითარებაში, განათლების მიღებასა და იმ უნარების დაუფლებაში, რომლებიც დაეხმარებათ საზოგადეოებაში ინტეგრაციასა და პროდუქტიული, აზრიანი ცხოვრების განვითარებაში. (International Youth Foundation, 2001)

მიუსაფარი ბავშვების პრობლემა მწვავედ დგას საქართველოშიც. მიუხედავად პრობლემის სიმწვავისა, დღემდე აღნიშნული მიმართულებით მხოლოდ ერთი მაშტაბური კვლევა ჩატარდა, კერძოდ 2008 წელს ფედერაცია გადავარჩნოთ ბავშვების მიერ სახელოწდებით „ნუ მიწოდებთ ქუჩის ბავშვს“, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის მიერ გადაიდგა სხვადასხვა ნაბიჯი პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამასთანავე მიუხედავად არაერთი გადადგმული ნაბიჯისა, პრობლემა თავისი სიმწვავისა და მაშტაბურობიდან გამომდინარე მოითხოვს კომპლექსურ, დროში ხანგრძლივ და უწყვეტ ღონისძიებებს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გაანალიზოს ის რეკომენდაციები, რომლებიც გაცემულ იქნა პრობმლემასთან დაკავშირებული პირველი და ამ დრომდე ჩატარებული ერთადერთი კვლევის შედეგად და ის ნაბიჯები და ღონისძიებები, რომლებიც გატარებულ იქნა სხვადასხვა უწყების მიერ აღნიშული რეკომენდაციების შესაბამისად მიუსაფარი ბავშვების პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მიუსაფარი ბავშვები საქართველოში

საქართველოში მცხოვრები მიუსაფარი ბავშვების შესახებ პირველი და ამ დრომდე ერთადერთი მაშტაბური კვლევა 2008 წელს ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ მიერ ა.შ.შ. საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი მხარდაჭერითა და სხვადასხვა სახელმწიფო, არასამთავრობო და აკადემიურ წრეებთან თანამშრომლობით ჩატარდა. ეს კვლევა მოიცავდა საქართველოს ოთხ ურბანულ ცენტრს: თბილისს, ქუთაისს, რუსთავსა და ბათუმს. იმ დროისათვის მიუსაფარ ბავშვთა რაოდენობა დაახლოებით 1500-ს აღწევდა. (ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ 2008)

კვლევის შედეგად გამოვლინდა ის პრობლემები, რომელთა წინაშეც იდგნენ მიუსაფარი ბავშვები და აგრეთვე ის მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობდა მათ მოწყვლადობას აღნიშნული თვალსაზრისით. პრობლემები აღიშნებოდა ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხთან მიმართებაში. გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის 29, 32 და 36 მუხლები სახელმწიფოს ავალდებულებს, დაიცვას ბავშვები ძალადობისგან და ნებისმიერი ტიპის ექსპლუატაციისგან, რაც შეიძლება საშიში იყოს მათი ჯანმრთელობისთვის ან ზიანს აყენებდეს მათ ფიზიკურ, სულიერ და გონებრივ განვითარებას. (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია,1989) „მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს მიმართავენ, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისაგან, იმისაგან, რომ ბავშვი მოკლებული იყო ზრუნვას ან დაუდევრად ექცეოდნენ, უხეშად ეპყრობოდნენ ან ექსპლუატაციას უწევდნენ, აგრეთვე, სექსუალურ ძალადობას იჩენდნენ“, - აღნიშნულია კონვენციის 19-ე მუხლში. ქუჩაში მცხოვრები ან მომუშავე ბავშვების შემხთვევაში ირღვეოდა მათი ყველა ფუნდამენტური უფლება, მათ შორის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენდა ამ ბავშვების განათლებაზე, ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია. მიზეზებად კი კვლევა გამოყოფდა, როგორც ოჯახის სუსტ

ჩართულობას ბავშვის ცხოვრებაში, ასევე სახელმწიფოს როლსა და იმ სერვისების ნაკლებობას, რომელიც ხელს შეუწყობდა სხვადასხვა გამომწვევი მიზეზების შესუსტებასა და აღმოფხვრას. (ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ 2008)

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე გაცემულ იქნა რეკომენდაციები სხვადასხვა მიმართულებით. უპირველესი და უმნიშვნელოვანესი რეკომენდაცია კი სწორედ იმგვარი კვლევების ჩატარება იყო, რომლებიც მიზნად დაისახავდა საქართველოში მიუსაფარი ბავშვების მდგომარეობის რეგულარულ შესწავლას ამ ჯგუფის დინამიკის განსაზღვრის მიზნით და მთავრობის მიერ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროგრამებისა და დაფინანსების პრიორიტეტების ჩამოყალიბებისათვის. რეკომენდაციები გამოყოფდა სოციალური შეღავათებისა და დახმარებების შემუშავებას, ოჯახის დამხმარე პროგრამების დანერგვას, მათ შორის დაასაქმების ხელშეწყობას, ეკონომიკური სიდუხჭირის აღმოფხვრას, უსახლკარობის პრობლების მოგვარებას, ოჯახის ჩამნაცვლებელი მომსახურებების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ღონისძიებების განხორციელებას სხვადასხვა მიმართულებით; ბავშვთა სახელმწიფო ზრუნვაში მოხვედრის პრევენციული სერვისების დანერგვას, სკოლის როლის გაზრდას, სკოლის გარეთ მყოფი ბავშვებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას. მნიშვნელოვანი რეკომენდაციები გაიცა სკოლის დონეზე მუშაობისათვის, რომლის თანახმადაც სკოლას მნიშვნელოვანი როლი დაეკისრებოდა მიუსაფარი ბავშვების პრობლემის გადაჭრის საკითხში. რეკომენდაციები გულისხმობდა სკოლის გარეთ მყოფი ბავშვებისათვის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას (სკოლის შემდგომი კლუბები, მეთვალყურეობის სქემები, მოზარდთა რესურს-ცენტრები), ამ ბავშვების სკოლაში დაბრუნების, ან სხვა გზით, საბაზისო და/ან პროფესიული განათლების მიღების უზრუნველსაყოფად.(ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ 2008)

კვლევის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად, უნდა შემუშავებულიყო ოჯახურ კრიზისებზე მიმართული პროგრამები, რომლებიც მოიცავდა ფსიქოლოგიურ დახმარებას ალკოჰოლიზმის, განაქორწინების ან ოჯახური ძალადობის

შემთხვევაში, ეკონომიკურ აქტივაციასა და და კონსულტაციებს სამუშაოს შესახებ. მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა იმ პროგრამების შემუშავებას, რომლებიც გულისხმობდა მუშაობას ეთნიკურ უმცირესობებთან (მაგალითად ბოშებთან) და ამ პროგრამების ფარგლებში იმავე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების ჩართვას, რაც გაზრდიდა ამ ჯგუფისათვის მომსახურების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობდა ნდობის ჩამოყალიბებას.(ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ 2008). აღნიშნული რეკომენდაციები მხოლოდ ნაწილია იმ მრავალი სისტემური ცვლილებისა, რომელიც უნდა განხორციელებულიყო მიუსაფარი ბავშვების პრობლემის გადასაჭრელად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე თავის 171-ე მუხლის მიხედვით, “არასრულწლოვნის დაყოლიება მათხოვრობაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე,- ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას სამოცდაათიდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე”, (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,1999), თუმცა კვლევა ხაზს უსვამდა, რომ რეპრესიული ღონისძიებები, როგორიცაა: ბავშვის შრომისა და მათხოვრობის აკრძალვა, ეფექტური არ იქნებოდა მანამ, სანამ ოჯახის სარჩენად ბავშვის ეკონომიკურ საქმიანობაზე მოთხოვნა იარსებებდა. რეკომენდაციები წინა პლანზე აყენებდა პირადობის დამადასტურებელი საბუთების არარსებობის გამო, სოციალური უსაფრთხოების ქსელისადმი შეზღუდული ხელმისაწვდომობის პრობლემების მოგვარებასაც.(ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ 2008)

სამწუხაროდ, მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯებისა, მიუსაფარ ბავშვთა პრობლემა ამ დრომდე წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევას ჩვენი ქვეყნისთვის, თუმცა ზუსტი სტატისტიკა და მონაცემები მიუსაფარი ბავშვების შესახებ ამ დროდმე არ არსებობს. აღნიშნულის მიზეზი კი სწორედ ის არის, რომ აქამდე არ შესრულებულა უმთავრესი რეკომენდაცია მიუსაფარი ბავშვების პრობლემებთან გასამკალვებლად_ჩატარებულიყო რეგულარული კვლევები პრობლების გასაანალიზებლად და მასთან საბრძოლველი გზების დასახვისათვის, რათა საქართველოს

მთავრობას ჰქონოდა საშუალება განევითარებინა მტკიცებულელებზე დამყარებული სერვისები აღნიშნული მიმართულებით.(ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ 2008)

სახელწიფოს მიერ გადადგმულ უმთავრეს და ალბათ ყველაზე თვალსაჩინო ნაბიჯს წარმოადგენს ცვილებები საკანომდებლო დონეზე, რომლის თანახმადაც ახლებურად დარეგულირდა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურული წესი. საქართველოს მთავრობის ამ დადგენილებამ გააფართოვა ბავშვთა მიმართ ძალადობისა და მიუსაფარ ბავშვთა გამოვლენის, დაცვისა და დახმარებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების წრე. ბავშვთა ძალადობისგან დაცვის რეფერალის თანახმად, არასრულწლოვანზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა ევალება ყველა დაწესებულებას, რომელიც ურთიერთობს ბავშვთან, მათ შორის: სკოლას, სამედიცინო დაწესებულებას, სოფლის ექიმს, ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებას, სოციალური მომსახურების სააგენტოს, საუბნო სამსახურსა და საპატრულო პოლიციას, (საქართველოს მთავრობის #437 დადგენილება, 2016), თუმცა თბილისის მეტროსადგურებში ხშირად შევხვდებით ბავშვებს, რომლებიც მათხოვრობენ და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, რომლებსაც რეფერალის თანახმად უშუალოდ ევალებათ შესაბამისი რეაგირების განხორციელება.

როგორც იკვეთება, პრობლემად რჩება კანონის სწრაფად და ეფექტიანად აღსრულების საკითხი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ეხება ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს. ამ დროისათვის საქართველოში მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებენ მობილური ჯგუფები, რომელთა მიზანსაც წამოადგენს მიუსაფარი ბავშვების გამოვლენა და მათთვის არსებული სერვისების შეთავაზებით საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და ფსიოქ-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა, თუმცა აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს 3 მობილური ჯგუფი თბილისში და ერთი მობილური ჯგუფი ქუთაისში, რაც, რა თქმა უნდა, პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე არ არის საკმarისი, მით უფრო, რომ არ მოიცავს ყველა რეგიონს, რომელთათვისაც მიუსაფარი ბავშვების პრობლემა მწვავედ დგას. პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს დღის ცენტრები და სადღეღამისო

თავშესაფრები. გარდა ამისა, მობილური ჯგუფები ადგილზევე უწევენ დახმარებას არასრულწლოვანს, სთავაზობენ მას საკვებს, წყალს, ჰიგიენის ნივთებს, სუფთა ტანსაცმელს და ა.შ. (საქართველოს მთავრობის #601 დადგენილება, 2017) თუმცა საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაციის რეკომენდაციით, ისეთი მომსახურების შეთავაზება, რომელიც ქუჩაში ცხოვრებას აადვილებს (როგორიცაა: ბავშვების ქუჩაში გამოკვება, ტანსაცმლის მიწოდება ან მხოლოდ ღამის თავშესაფარი) არამდგრადი იქნება და უკუეფექტს გამოიღებს თუ ქუჩაში მცხოვრები ბავშვების პრობლემების გამომწვევი მიზეზები არ აღმოიფხვრება ან თუ ბავშვებს ქუჩაში ცხოვრებაზე უფრო მიმზიდველ ალტერნატივებს არ შესთავაზებენ. (International Youth Foundation, 2001) გამონაკლისია ჯანდაცვის მომსახურება ქუჩაში და იგი უნდა არსებობდეს. ამ მომსახურების ფარგლებში კვალიფიცურმა სამედიცინო პერსონალმა ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებს პერიოდულად უფასო გამოკვლევა და მკურნალობა უნდა შესთავაზოს (ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ 2008). სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება განათლებაზე, ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია.

ასევე მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს მიუსაფარი ბავშვებისთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის პროცედურების გამარტივება, რაც ემსახურება მათი ხელმისაწვდომობის გაზრდას სახელმწიფო სერვისებზე. საკანონმდებლო ცვლილების თანახმად ძალადობის მსხვერპლი და/ან მიუსაფარი ბავშვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსაც (საქართველოს კანონი #181, 2004).

მობილური ჯგუფები მიუსაფარ ბავშვებთან მუშაობისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს, ვინაიდან მისი საშუალებით ხდება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების სოციალიზაცია, რაც საკმაოდ რთულ და ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს. მობილური ჯგუფები შედგება სოციალური მუშაკის, მძღოლისა და თანასწორ განმანათლებლისგან, რომელთა ძირითად ფუნქციას ბავშვთან კონტაქტის დამყარება და მასთან შესაბამისი სამუშაოს განხორციელება წარმოადგენს, რაც შეიძლება მოიცავდეს,

როგორც მისთვის ადგილზე საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას, ასევე მის ჩართვას დღის ცენტრში, ბიოლოგიური ოჯახის მოძიებას, საჭიროების შემთხვევაში საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მოძიება/მოწესრიგებასა და სხვა ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას (საქართველოს მთავრობის #601 დადგენილება, 2017) მობილური ჯგუფის (სოციალური მუშაკი, მძღოლი, თანასწორ განმანათლებელი) ფუნქცია-მოვალეობებში შედის:

- „ყოველდღიურად (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) სამიზნე ჯგუფის ბავშვების პოტენციური ყოფნის/მუშაობის ადგილებში ვიზიტების განხორციელება;
- სამიზნე ჯგუფის ბავშვების შესახებ შემოსულ შეტყობინებებზე რეაგირება/ვიზიტების განხორციელება;
- ბავშვებთან კონტაქტში შესვლა, ბავშვის საჭიროებების იდენტიფიცირება, კონსულტირებას და სოციალური სამუშაოს განხორციელება;
- საჭიროების შემთხვევაში, ამბულატორიული ან სტაციონარული მომსახურების ორგანიზება;
- ბავშვის პირადი ჰიგიენის დაცვის ხელშეწყობა;
- საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგიური მომსახურება;
- ბავშვის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტაციის მოძიებას/მოწესრიგება;
- ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის მოძიება და სოციალური გარემოს პირველადი შეფასება, ასეთის არსებობის შემთხვევაში“; (საქართველოს მთავრობის #601 დადგენილება, 2017)

მნიშვნელოვანია, რომ მიუსაფარ ბავშვებთან მუშაობის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს ნდობის მოპოვება, რის მიღწევაშიც მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ თანასწორ განმანათლებლებს, რომლებიც წარმოადგენენ იმ პირებს, რომელთაც აქვთ ქუჩაში ცხოვრებისა თუ მუშაობის გამოცდილება, თუმცა რამდენად ეფექტურია აღნიშნული მიდგომა მიუსაფარი ბავშვების პრობლების მოგავრებაში არ არის დადგენილი,

ვინაიდან დღემდე არ ჩატარებულა კვლევა, რომელიც საკითხთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და მიღწევებს მიმოიხილავდა.

რაც შეეხება ნდობის დამყარების შემდეგ განხორციელებულ სამუშაოებს, იმ შემთხვევაში თუ მოხდება ბავშვის უზრუნველყოფა საბაზისო საჭიროებებით და მისი დაინტერესება დღის ცენტრის მომსახურებით, არასრულწლოვანი იღებს მომსახურებას, რომელიც მოიცავს:

- „საჭიროების შემთხვევაში, პირველადი სამედიცინო მომსახურების მიწოდებას, ასევე, ამბულატორიული ან სტაციონარული მომსახურების ორგანიზებას;
- პირადი ჰიგიენის დაცვის ხელშეწყობას;
- ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდებას/ორგანიზებას;
- კრიზისული სიტუაციების მართვას;
- ბენეფიციართათვის მომსახურების ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას/განხორციელებას;
- ბენეფიციართა აკადემიური საჭიროებების გამოვლენისა და მათი დაკმაყოფილების ხელშეწყობას(ფორმალურ საგანამანათლებლო პროცესში ჩართვის ხელშეწყობას);
- არაფორმალური განათლების მიწოდებას;
- ბენეფიციარების კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველყოფას;
- ბენეფიციარებისათვის დროის სწორი ორგანიზების, ეფექტური კომუნიკაციის, არჩევანის გაკეთების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და კონფლიქტების არაძალადობრივი გზით მოგვარების და სხვა ყოფითი უნარ-ჩვევების სწავლებას.
- ორჯერად კვებას, რომელთაგანც ერთი არის სამ-კომპონენტიანი სადილი“. (საქართველოს მთავრობის #601 დადგენილება, 2017)

დღის ცენრტის მომსახურებით დაინტერესების შემდეგ შესაძლებელია შემდგომ ეტაპზე ბავშვის ჩართვა სადღეღამისო თავშესაფარშიც, რომელიც მოიცავს სადღეღამისო (24 საათიანი) მომსახურების მიწოდებას, კერძოდ:

- „ბავშვის საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას (კვება, ჰიგიენა, უსაფრთხოება, თავშესაფარი, განათლება, ჯანმრთელობა, ოჯახური გარემო);
- პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების (მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გაუთვალისწინებელი მომსახურების) მიღების ორგანიზებას;
- ყოველდღიურ მომსახურებას არანაკლებ სამჯერადი კვებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტიანი სადილი;
- კრიზისული სიტუაციების მართვას - სპეციფიკური საჭიროებების გამოვლენა, კრიზისის რისკების დაძლევაში დახმარება, ბავშვის ფსიქო-სოციალური მდგომარეობის სტაბილიზაცია;
- ბენეფიციართათვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებების (შესაბამისი სპეციალისტების ჩართვით) დაგეგმვას/განხორციელებას და მომზადებას ტრანზიტულ ცენტრში ან სხვა ალტერნატიულ გარემოში (მათ შორის, ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან/მზრუნველთან) მათ მოსათავსებლად;
- ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი სამოსით და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფას;
- ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ჩართვის ხელშეწყობას;
- ყოველდღიური, ყოფითი უნარების სწავლებას (თვითმოვლა და სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა);
- ფსიქოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფას;

- ბავშვის ინდივიდუალური მომსახურების პროგრამის შემუშავებას და მისი შესრულებისა და პერიოდული გადასინჯვის უზრუნველყოფას;
- პროფესიული და სახელობო უნარ-ჩვევების განვითარებაში დახმარებას, ბავშვის ინტერესების, მიდრეკილებებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით;
- კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვას;
- ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობის ხელშეწყობას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მის ინტერესებს“. (საქართველოს მთავრობის #601 დადგენილება, 2017)

თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მომსახურება არის ნებაყოფლობითი, არ აქვს მკაცრი, მკაფიოდ დადგენილი შინაგანაწესი, რის გამოც ხშირად მისი ბენეფიციარები კონტროლის სიმცირისა თუ სხვა მიზეზების გამო დიდ დროს ატარებენ ქუჩაში და ზოგჯერ ახორციელებენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებსაც კი. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საკითხი არ არის კვლევით დადგენილი და მისი გამომწვევი მიზეზები თუ მასთან გამკლავების გზები ამ დრომდე სახელმწიფოს არ გააჩნია.

როგორც აღინიშნა, კვლევის თანახმად მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ბავშვთა სახელმწიფო ზრუნვაში მოხვედრის პრევენციული სერვისების დანერგვას. (ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ 2008). ამ დროისათვის სახელმწიფოს მიერ დანერგილია სხვადასხვა პრევენციული მომსახურება, მათ შორის:

- „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა;
- ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა;
- ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამა;
- დღის ცენტრების ქვეპროგრამა;
- დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა;

- მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა;
- მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების ხელოვნური კვების ვაუჩერის ქვეპროგრამა“.(საქართველოს მთავრობის #601 დადგენილება, 2017)

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სხვადასხვა სერვისი ბავშვთასახელმწიფო ზრუნვაში მოხვედრის თავიდან ასაცილებლად, რაც მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებული კვლევის თანახმად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ბავშვთა ქუჩაში მოხვედრის რისკის შემცირებისათვის (ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ 2008), არ არსებობს კვლევები, რომლებიც დაადგენდა ამ სერვისების ეფექტურობას მიუსაფარი ბავშვების პრობლემებთან ბრძოლის მიმართულებით და ასევე მტკიცებულებებზე დაფუძნებული სერვისების დანერგვისთვის, რაც თავის მხრივ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მიზნობრივი და ეფექტურ გამოყენების შესაძლებლობას გაზრდიდა. თუმცა 2014 წელს ჩატარდა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასება, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა საკითხთან ერთად მიმოხილულ იქნა ბავშვთა სახლმწიფო ზრუნვის სისტემაში მოხვედრის პრევენციული მექანიზმები და სერვისები. (ნამიჭეიშვილი, 2014)

აღნიშნული ანაგრიშის ფარგლებში განხილული იყო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიცია ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში არსებული პრობლემებთან დაკავშირებით. ორივე სფეროს წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ მაშინდელი ბავშვთა ზრუნვის სისტემა იყო რეაქტიული და შემთხვევებს არასისტემურად პასუხობდა. საჭირო იყო, სისტემა გამხდარიყო უფრო მეტად პროაქტიული, რაც ნიშნავდა პრობლემისადმი სისტემური მიდგომის, კარგად შემუშავებული მექანიზმების ქონას; კერძოდ, რისკ-ჯგუფის წარმომადგენელი ბავშვებისა და მათი ოჯახების გამოვლენა უნდა მომხდარიყო რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე, ხოლო პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა ოჯახების საჭიროებების სისტემურ ანალიზს უნდა დაფუძნებოდა (ნამიჭეიშვილი, 2014). მნიშვნელოვანია, რომ ორივე სექტორი აცნობიერებდა, რომ

სოციალური მუშაკების რაოდენობა არ იყო საკმარისი ეფექტური ინტერვენციისთვის, შესაბამისად გამოიკვეთა სოციალური მუშაკების კადრების გაზრდის აუცილებლობა და ასევე მათი პროფესიული უნარების დახვეწისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების საჭიროება (ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ 2008), თუმცა სოციალური მუშაკების რაოდენობა ამ დრომდე მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, ასევე არ გაუმჯობესებულა მათი სამუშაო პირობები. ასევე, კვლევა ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში მომსახურებები არათანაბრად იყო განვითარებული და ამ კუთხით რეგიონები ძალიან ზარალდებოდა. ასევე, აღინიშნა პრევენციული მომსახურებების სიმწირისა და იმის შესახებ, რომ ეს მომსახურებები რეალურ პრევენციას ვერ ახდენდა და საჭირო იყო ბენეფიციარზე მორგებული ოჯახის გამაძლიერებელი მრავალფეროვანი მომსახურებების განვითარება (ნამიჭეიშვილი, 2014).

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური ღონისძიებების გატარების საჭიროებას (როგორიცაა ოჯახების ფინანსური გაძლიერება, განსაკუთრებით, რეინტეგრირებული ოჯახების სოციალური შემწეობის გაზრდა) და ქვეყანაში ზოგადი ეკონომიკური ფონის გაუმჯობესებას. აღნიშნული კვლევაც ასევე ხაზს უსვამდა მტკიცებულებებზე, კვლევებზე დაფუძნებული საჭირო რეფორმების მხარდაჭერას (ნამიჭეიშვილი, 2014).

მიუსაფარ ბავშვთა შესახებ ჩატარებული კვლევის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად, უნდა შემუშავებულიყო ოჯახურ კრიზისებზე მიმართული პროგრამები, რომლებიც მოიცავდა ფსიქოლოგიურ დახმარებას ალკოჰოლიზმის, განაქორწინების ან ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, ეკონომიკურ აქტივაციასა და და კონსულტაციებს სამუშაოს შესახებ. (ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ 2008). რაც შეეხება სერვისებს აღნიშნული მიმართულებით, ამ დროისათვის სოციალური მომსახურების სააგენტოში ფუნქციონირებს დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები, რომლებიც მოიცავს:

- „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამას;
- ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს სამუშაოს მაძიებელთათვის;
- დასაქმების ფორუმს;
- სამუშაო ადგილების შრომის ანაზრაურების სუბსიდირებას;
- შრომის ბაზრის ინფორმაციის მართვის სისტემას;
- პროფესიულ კონსულტირებას და კარიერის დაგეგმვის მომსახურებასა;
- მხარდაჭერით დასაქმებას“. (საქართველოს მთავრობის #601 დადგენილება, 2017)

რაც შეეხება დასაქმების მიმართულებით არსებული სერვისების ეფექტურობას, ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის ანგარიში ხაზს უსვამს სახელმწიფოს როლს ოჯახების დასაქმებასა და ეკონომიურ გაძლიერებაში. ამასთანავე, აღინიშნავს, რომ ხშირად ოჯახები გაზარმაცებულნი არიან და უარს ამბობენ დასაქმებაზე, რადგანაც ეშინიათ, რომ მოეხსნებათ დახმარება, რაც დაკავშირებულია ცნობირებების დაბალ დონესთან. ამიტომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ისეთი ტიპის დახმარებებზე აიღოს ორიენტაცია, რომლებიც ხელს შეუწყობს ოჯახების გააქტიურებას, მათი ეკონომიური შესაძლებლობების გაზრდას და ცნობიერების შეცვლას. ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ეფექტიანობის მიღწევისათვის კი მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყანაში ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ასევე, სახელმწიფოს როლის გაძლიერება სამიზნე ოჯახების დასაქმების მიმართულებით (ნამიჭეიშვილი, 2014).

მიუსაფარი ბავშვების შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგად გაცემული რეკომენდაციების თანახმად, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა იმ პროგრამების შემუშავებას, რომლებიც გულისხმობდა მუშაობას ეთნიკურ უმცირესობებთან (მაგალითად ბოშებთან) და ამ პროგრამების ფარგლებში იმავე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების ჩართვას, რაც

გაზრდიდა ამ ჯგუფისათვის მომსახურების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობდა ნდობის ჩამოყალიბებას. (ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ 2008) აღნიშნული მიმართულებით ამ დრომდე არ არსებობს რაიმე სახის მომსახურება მიუხედავად მისი მწვავე საჭიროებისა, ვინაიდან მიუსფარი ბავშვების ერთ-ერთ ეთნიკურ ნაწილს სწორედ ბოშები წარმოადგენენ. უფრო მეტიც ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის ანგარიშში მიჩნეულია, რომ არსებობს დისკრიმინაციის პრობლემა ბოშა ბავშვების, მათი ოჯახებისა და სხვა ეთნიკური ჯგუფის მიმართ, რაც გამოიხატება სახელმწიფო მომსახურებებეზე მათთვის ხელმისაწვდომობის შეზღუდვაში სხვადასხვა მიზეზის გამო (ნამიჭეიშვილი, 2014). ანგარიშის თანახმად საჭირო იყო ბოშათა და სხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ოჯახებისა და ბავშვების მდგომარეობის შესწავლა და სიტუაციური ანალიზი. ეს საშუალებას მისცემდა სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, გაეზარდათ საკუთარი ცნობიერების დონე და უკეთ ჩამოეყალიბებინათ ამ უმცირესობათა ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის სტრატეგია. წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანწილად გაზრდიდა ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის ალბათობას (ნამიჭეიშვილი, 2014).

რაც შეეხება ფსიქოლოგიურ დახმარებას ალკოჰოლიზმის, განქორწინების ან ოჯახური ძალადობის შემთხვევებში ალკოჰოლიზმის ან განქორწინების შემთხვევაში არ არსებობს რაიმე სახის ფსიქოლოგური სახელმწიფო დახმარება, ასევე არ მოქმედებს სხვა სახის სახელმწიფო პროგრამა ალკოჰოლზე დამოკიდებული პირების დასახმარებლად.

სახელმწიფო აქტიურად მუშაობს ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის, რისკენ გადადგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯსაც წარმოადგენს „საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. აღნშნული კანონის თანახმად „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს იმ სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა

ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან აცილებისკენ, ძალადობის აღკვეთისკენ, მოძალადის სამართლებრივი დევნისკენ, მისი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ, მსხვერპლის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისკენ. სახელმწიფო თავისი უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმების დანერგვასა და განხორციელებას, რაც გულისხმობს:

- „იმ ფაქტორების ანალიზს, შესწავლასა და შეფასებას, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მიზეზებია;
- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოსავლენად და აღსაკვეთად ეფექტიანი სამართლებრივი მეთოდების დანერგვას;
- შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას;
- იმ პირთა მიმართ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ჩამდენ რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებიან ან რომლებმაც ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობა ჩაიდინეს;
- სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვას, რათა ადამიანებს ჰქონდეთ ინფორმაცია თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების, მოვალეობების, აგრეთვე შესაბამისი დაცვის გარანტიების თაობაზე, მათ შორის, იმ უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რომლებიც ოჯახის წევრთა თანასწორობასა და ურთიერთვალდებულებებს უზრუნველყოფს;
- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მოძალადის პასუხისმგებლობის, მსხვერპლის უფლებების და ამ უფლებების დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას;

- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლისათვის დახმარებისა და დაცვის ღონისძიებების, ხოლო მოძალადისათვის – დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებას;
- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის უზრუნველსაყოფად დაინტერესებულ ინსტიტუტებთან ერთად ერთობლივი პროგრამების შექმნასა და მხარდაჭერას"(საქართველოს კანონი #761, 2017).

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს პროკურატურის ორგანოები და სასამართლო ორგანოები (საქართველოს კანონი #761, 2017).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სოციალურ მომსახურებას ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისათვის, რაც მოიცავს:

- „ოჯახური დავების მიზეზების შესწავლას, შესაბამის ანალიზს და დავების დაძლევაში ოჯახის წევრთა დახმარებას;
- მსხვერპლთა მხარდაჭერისა და თანადგომის ღონისძიებების განხორციელებას;
- შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად მოძალადეთა რისკჯგუფების გამოვლენას და მათთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში ხელშეწყობას;
- დამცავი ორდერის გაცემის პროცესში მონაწილეობას;

- დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების აღსრულების მონიტორინგის პროცესში მონაწილეობას;
- მსხვერპლთათვის დახმარებისა და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებას და მათი განხორციელების ხელშეწყობას“ (საქართველოს კანონი #761, 2017).

ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მართვის კუთხით მნიშვნელოვანია აგრეთვე მოძალადეთა რეაბილიტაცია. “ოჯახში ძალადობს აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონისა” და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე 2011 წლის 1 ივნისის მთავრობის #55 დადგენილებით დამტკიცდა ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფცია. “მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის მიზანია მოძალადეთა დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლისკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავება, მათი დანერგვისა და გატარების ხელშეწყობა. აღნიშნული საბოლოო ჯამში ზემოქმედებას მოახდენს ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის და მათი ძალადობისგან თავისუფალი ცხოვრების და ოჯახის ერთიანობის უზრუნველყოფაზე. სხვა ქვეყნების წარმატებული მაგალითების საფუძველზე მიზანშეწონილია შემუშავდეს მოძალადეთა რეაბილიტაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც თანხვედრაში იქნება საქართველოს კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან” (საქართველოს კანონი #761, 2017). რაც შეეხება სერვისებს აღნიშნული მიმართულებით, ნაშრომის ფარგლებში ვერ იქნა მოძიებული ის სახლემწიფო სერვისები, რომელიც ემსახურება მოძალადეთა რეაბილიტაციას. უფრო მეტიც, სიმწირეა იმ სერვისებისაც, რომლებიც ემსახურება ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციას. აღნიშნული ხარვეზები გამოიკვეთა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ანგარიშში, რომლის თანახმადაც ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო მომსახურები ძალიან ცოტაა, როგორც სამთვრობო, ისე არასამთავრობო სექტორებში. მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია სპეციალიზდება ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციაზე და ისიც მხოლოდ გარკვეული მიმართულებით (სექსუალური ძალადობა). არ არსებობს სერვისი, რომელიც გონებრივი შეზღუდვის და

ფსიქიკური პრობლემების მქონე ბავშვებს აღმოუჩენს დახმარებას ძალადობის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს აქვს ფსიქოლოგის მომსახურება, იგი ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც პრაქტიკაში ჩნდება. ხშირ შემთხვევაში გართულებულია ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრებით სარგებლობა ბიუროკრატიული პროცედურების გამო. ანგარიში ასევე ხაზს უსვამს მოძალადეთათვს სარეაბილიტაციო მომსახურებების არარსებობას (ნამიჭეიშვილი, 2014).

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის ანგარიშის თანახმად, როდესაც საქმე ეხება ბავშვთა მიმართ ძალადობას, სისტემის ყველაზე სუსტ რგოლად გვევლინება პოლიცია, როგორც ძალადობისგან დაცვის მთავარი მექანიზმი და სკოლა, როგორც ბავშვისა და ოჯახის მხარდამჭერი ინსტიტუტი. პოლიცია ვერ ახერხებს ძალადობის ფაქტებზე ადეკვატურ რეაგირებას სპეციალიზებული კადრების არარსებობის გამო, ხოლო სკოლის პედაგოგებისა და მანდატურების ცოდნა და მზაობა ბავშვის ძალადობისაგან დაცვის მიმართულებით დაბალია. ხშირ შემთხვევაში მანდატურის სამსახური ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს. თავად მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები კი არარეალისტურად აფასებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების აღსრულების პროცესსა და ბავშვთა დაცვის სისტემაში. ანგარში ხაზს უსვამს მედიის როლს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხშიც და აღნიშნავს, რომ მედია ვერ ასრულებს თავის როლს ძალდობისაგან დაცვის კუთხით საზოგადოების განათლებისა და ცნობიერების შეცვლის თვალსაზრისით (ნამიჭეიშვილი, 2014).

აღნიშნული მიმართულებით ანგარიში გამოყოფს შემდეგ საჭიროებებსა და რეკომდაციებს: ძალადობასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება, ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების უფლებამოსილი პროფესიონალების გადამზადება, მათ შორის, მასწავლებლების, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების, მანდატურის სამსახურის, სოციალური მუშაკების. საინტერესოა, რომ ოჯახში ძალადობასთან მუშაობის მიმართულებით, განსაკუთრებით გამოჩნდა სოციალური მუშაკების კადრების

გადამზადებისა საჭიროება და მათი ვალდებულებების დიფერენცირების საჭიროება. ძალადობის ადრეულ იდენტიფიკაციაზე, ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციასა და მოძალადის დახმარებაზე ორიენტირებული სოციალური მუშაკი მეტი ინტენსივობით შეძლებს ძალადობის მსხვერპლთა ოჯახებთან მუშაობას ისე, რომ ხელი შეუწყოს ოჯახების ფსიქოლოგიურ და მატერიალურ გაჯანსაღებას (ეს უკანასკნელი ხშირად დანახულია, რომ იწვევს ძალადობას), მოძალადის ოჯახში შენარჩუნებას მისთვის სტრესის მართვისა და პრობლემის გადაჭრის არაძალადობრივი მეთოდების სწავლების გზით. ასევე, ხაზი გაესვა ძალადობის იდენტიფიკაციას ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დონეზე სოციალური მუშაკის სამსახურის განვითარებაზე დაყრდნობით და პირველადი ჩარევის შესაძლებლობას, სანამ მოხდება მისი გადამისამართება სოციალური მომსახურების სააგენტოში. ანგარიშმა გამოიკვეთა ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ძირითადი ჯგუფები, რომლებსაც წარმოადგენდნენ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, რომლებიც განიცდიან ძალადობას საზოგადოების სხვადასხვა ფენის მხრიდან, განსაკუთრებით პოლიციის მხრიდან და, ასევე, თავიანთი მშობლების და თანატოლების მხრიდან. კვლევის თანახმად, ფოკუსირება უნდა მომხდარიყო სარეაბილიტაციო პროგრამების/სერვისების შეთავაზებაზე, ასევე, პრევენციულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, კადრების გადამზადებაში. გამოიკვეთა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორს შორის მეტი სისტემური თანამშრომლობის საჭიროება ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეაბილიტაციის კუთხით, ასევე, თავად არასამთავროებს შორის მეტი კოორდინაციის და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის აუცილებლობა (ნამიჭეიშვილი, 2014).

ანაგრიში ასევე გამოკვეთდა რეფორმების საჭიროებას სისტემურ დონეზე, კერძოდ შინაგან საქმეთა სამინისტროში ცალკე სტრუქტურული ერთეულის შექმნის საჭიროებას, რომელიც იმუშავებდა ძალადობის საკთხებზე. ეს იქნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ამ თემის პრიორიტიზაციის გამოხატულება. სანამ სამინისტროს ამგვარი პრიორიტეტი არ იქნება სტრუქტურულად უზრუნველყოფილი, სხვა აქტორების ინტერვენციები იქნება მნიშვნელოვანწილად აზრს მოკლებული. ანგარიშის თანახმად დღესდღეობით

სამინისტროს ამ საკითხებზე პასუხისმგებლობის უზრუნელსაყოფად არ აქვს გამოყოფილი სათანადო რესურსები (ადამიანურის ჩათვლით) (ნამიჭეიშვილი, 2014).

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის ანგარიშის თანახმად, ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ხერხემალს წარმოადგენდნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული 250-მდე სოციალური მუშაკი, რომლებიც იმ პერიოდისთვის 22 მიმართულებით ახორციელებენ მუშაობას (ამ დროისათვის აღნიშნული მიმართულებების რიცხვი კიდევ უფრო გაზრდილია), აღნიშნული სამსახური კი ვერ პასუხობდა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის წინაშე არსებულ გამოწვევებს. სოციალური მუშაკების, როგორც რესურსის, არასაკმარისი რაოდენობა, რთული სამუშაო პირობები, კადრების გადინება და უწყვეტი განათლების ხელმიუწვდომლობა ხშირად განაპირობებს მათი ინტერვენციების სისუსტეს. სოციალურ მუშაკთა სახელმწიფო მოხელის ბიუროკრატიული ფუნქცია ზღუდავს მათი ინტერვენციების მრავალფეროვნებას. სისტემის რეაქტიულობის გამო კი სახელმწიფოს მხრიდან ვერ ხერხდება რისკის ჯგუფის ბავშვებისა და ოჯახების გამოვლენა. ამის ერთ- ერთი მიზეზი კი არის ის, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკის ინსტიტუტის რეაქტიული ხასიათიდან გამომდინარე იგი ახდენს რეაგირებას მხოლოდ შემოსულ მომართვებზე და არ მიმდინარეობს მუშაობა ახალი მომართვების მოსაძიებლად თემში. ეს, თავის მხრივ, ზღუდავს რისკ-ჯგუფის ბავშვთა დროულ იდენტიფიკაციასა და პრევენციულ საქმიანობას (ნამიჭეიშვილი, 2014).

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის ანგარიში წარმოდგენილია მოსაზრება, რომ ბავშვთა კეთეილდღეობის უზრუნველყოფის პრევენციული მიდგომის განხორციელების პროცესში პრობლემაა ბავშვთა ბიოლოგიური ოჯახების დისკრიმინაციაც, რაც მოიაზრება სახელმწიფოს მიდგომაში, რომელიც ბავშვების დეინსტიტუციონალიზაციისა და ოჯახურ გარემოში აღზრდისთვის ბიოლოგიური ოჯახს, მეურვეს ან მზრუნველს ეხმარება თითქმის ხუთჯერ ნაკლები ოდენობის თანხით

მინდობით აღმზრდელ ოჯახთან შედარებით. ანგარიშის თანახმად აღნიშნული ფაქტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე–14 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორი მოპყრობის პრინციპს და სახალხო დამცველის ოფისმა ეს შეაფასა კიდეც უთანასწორო მოპყრობის თვალსაჩინო შემთხვევად. მეორე მხრივ, ანგარიშში დადებითადაა შეფასებული სახელმწიფოს მიერ „რეინტეგრაციის წესის“ დამტკიცება, რომლის მიხედვითაც, რეინტეგრირებული ოჯახები მინიმუმ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად მიიღებენ სახელმწიფოსგან შემწეობას. ანგარიშის რეკომენდაციით, სახელმწიფომ უნდა გაზარდოს ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებისთვის ფინანსური დახმარება, რითაც სახელმწიფომ უნდა აღმოფხვრას უთანასწორო მოპყრობის არსებული პრაქტიკა. პარარელურად, უნდა გაძლიერდეს რეინტეგრირებული ოჯახების მონიტორინგისა და მხარდაჭერის მექანიზმი სახელმწიფო სოციალური სამსახურის მიერ. ასევე, პოზიტიური ნაბიჯია სახელმწიფოს მიერ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი დახმარების ფონდის შექმნა, რომლის მიზანია კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა ბავშვზე ზრუნვის პროცესში (ნამიჭეიშვილი, 2014).

ანგარიში ასევე ხაზს უსვამს მშობლებისთვის ისეთი გამაძლიერებელი მომსახურების მიწოდების მნიშვნელოვნებას, რომელიც დაეხმარება ოჯახებს მშობლის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. ამ საჭიროებებს აღიქვამენ როგორც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, ასევე, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფნი. მათ სურთ მშობლებთან ერთად ცხოვრება და, ამასთან, უნდათ, რომ სახელმწიფო ზრუნავდეს მათი ოჯახების გაძლიერებაზე. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს დასაქმებასა და პროფესიულ მომზადებას. ბავშვები და ახალგაზრდები დიდ აქცენტს აკეთებენ აღზრდის საკითხებში მშობლების ცნობიერების ამაღლების საჭიროების შესახებ (ნამიჭეიშვილი, 2014).

ანგარიში ასევე გამოყოფს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს როლს ბავშვთა კეთილდღეობის საკითხში. პრევენციული კომპონენტის გაძლიერების კუთხით მნიშვნელოვანია სკოლების ჩართულობის საჭიროებაც. სკოლა ერთ-ერთი სუსტ რგოლად გვევლინებოდა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში, სადაც პრევენციული მიმართულები

მუშაობა საერთოდ არ მიმდინარეობდა და არ მიმდინარეობს დღემდე. სკოლებში ვლინდებოდა პრობლემები რთული ქცევის ბავშვების მიმღებლობასთან დაკავშირებითაც, რასაც დღემდე აქვს ადგილი. ბავშვთა კეთიდლღეობის სისტემის ანგარიში მიიჩნევს, რომ უნდა განვითარდეს ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებებზე მორგებული ოჯახების მხარდამჭერი დივერსიფიცირებულ მომსახურებები და უზრუნველყოფილ იქნას მათზე ხელმისაწვდომობა. მათი განვითარება უნდა დაეყრდნოს ოჯახის საჭიროებების სისტემურ ანალიზს. უნდა დაინერგოს სკოლის ბაზაზე არსებული ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებები, კერძოდ კი, ოჯახის კონსულტირების მომსახურები, რომელთა განვითარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ რაიონებში, სადაც მომსახურებების სიმწირეა. ეს იქნებოდა იმ პრევენციული მუშაობის ნაწილი, რაც უნდა გააკეთოს განათლების სამინისტრომ ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკის მხარდაჭერისათვის, მოსწავლეთა და მათი ოჯახების სკოლის ცხოვრებაში ჩართვის გზით. აღნიშნულის მისაღწევად უნდა დაინერგოს სკოლის სოციალური მუშაობა. ამ მუშაობის კონცეფცია უნდა აღიარებდეს ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვან სამკუთხედს – ოჯახი, სკოლა და სამეზობლო - შორის თანამშრომლობის განვითარების აუცილებლობას. ანაგრიშის მიხედვით, ბავშვის კეთილდღეობის მისაღწევად ეს ერთი-ერთი საუკეთესო პრევენციული მექანიზმია, რომელიც სკოლის ბაზაზე ოჯახების კონსულტირებით მშობელთათვის აღზრდის დადებითი მეთოდების გაცნობის, მათი აღმზრდელობითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისა და ბავშვების რთულ ქცევაზე მშობელთა მხრიდან სწორ რეაგირების საშუალებას მოგვცემდა. ეს ხელს შეუწყობდა როგორც ოჯახისათვის შესაძლო დახმარების აღმოჩენას ბავშვის აღზრდის პროცესში, ასევე, რისკჯგუფის ბავშვთა დროულ იდენტიფიკაციას და მათი დაცვის უზრუნველყოფას. ანგარიში ასევე, რეკომენდაციას გასცემდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მანდატურების სამსახურში მომუშავე მუშაკების როლის გააქტიურებასთან დაკავშირებით, მათი სამუშაო აღწერილობის გადახედვისა და შესაბამისი პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფს საშუალებით (ნამიჭეიშვილი, 2014).

გარდა ზემოაღნიშნული სერვისებისა, ანგარიში ასევე ხაზს უსვამს დღის ცენტრის მომსახურების განვითარების მნიშვნელობას 2 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის (ბაგა– ბაღის ტიპის მომსახურება) და ასევე მუნიციპალიტეტების დონეზე პრევენციული და მხარდამჭერი სოციალური მუშაობის მომსახურებების განვითარებასა და სოციალური მუშაკის ინსტიტუტის შემოღებას. აღნიშნულ სამსახურებში დასაქმებული სოციალური მუშაკები ხელს შეუწყობენ თემში რისკჯგუფის ბავშვთა იდენტიფიკაციას, რეფერირებას განახორციელებენ თემში არსებულ პრევენციულ მომსახურებაში და უზრუნველყოფენ ბავშვის მიმართვას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალურ მუშაკთან (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო). ზოგადად, თემის მობილიზაციაზე, განათლებასა და განვითარებაზე ორიენტირებული სათემო სოციალური მუშაობა შესაძლოა, განავითაროს მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურმა. მისი მთავარი ფუნქცია იქნება გასვლითი მუშაობა თემში (outreach) და პრევენციული ღონისძიებების გატარება. ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული სოციალური მუშაობის ინსტიტუტი უნდა განვითარდეს სპეციალობების მიმართულებით (მაგ. ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა ძალადობისგან დაცვის საკითხებს მომუშავე სოციალური მუშაკები, მინდობით აღზრდაზე მომუშავე სოციალური მუშაკები და ა.შ.). ისევე, როგორც მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებული კვლევა, ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ანგარიშიც მიიჩნვე,ს რომ მომსახურებათა ეფექტიანი სისტემის განვითარება უნდა დაეფუძნოს კვლევასა და მტკიცებულებებს. ახალი მომსახურებების პილოტირება და ამოქმედება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ბენეფიციართა ჯგუფების საჭიროებებთან. მომსახურებათა შეფასება და საჭირო ცვლილებების დანერგვა ყოველწლიური მონიტორინგის სისტემით უნდა განხორციელდეს. ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში არსებული რისკების გამოვლენის ეფექტიან გზად მეტი კვლევითი საქმიანობის განხორციელებაა მიჩნეული (ნამიჭეიშვილი, 2014).

როდესაც საუბარია მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე, უაღრესად მნიშვნელოვანია საზოგადეობის როლი აღნიშნული პრობლემის წინააღმდე ბრძოლის თავლსაზრისით. ინტერნეტ წყაროებში მრავლად მოიპოვება სოციალური ექსპერიმენტის

ამსახველი ვიდეო მასალები, რომლებიც ნათლად აჩვენებენ საზოგადოების მოლოდინებს მიუსაფარი ბავშვების მიმართ. სამწუხაროდ, საზოგადოება ნორმად მიიჩნევს მისაუაფარი ბავშვებისგან მოწყალების თხოვნასა და აგრესიის გამოხატვას, მათ არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რამდენად უარყოფითად მოქმედებს მათზე და როგორ უწყობს ხელს მათ ქუჩაში ყოფნას საზოგადებოს მიერ გაღებული მოწყალება (სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი, 2017).

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ანგარიში მიიჩნევს, რომ უცილებელია ძალადობასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ზოგადი ამაღლება. აღნიშნულთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი როლი შეიძლება ჰქონდეს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ კოალიციას, რომელმაც უნდა განავითაროს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების სტრატეგია ადვოკატობის, უწყვეტი განათლების, ოჯახის მხარდამჭერ მომსახურებათა გაძლიერების და გარე მონიტორინგის კუთხით. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდეს კვლევები, ძალადობის მიზეზთა შესასწავლად (ნამიჭეიშვილი, 2014).

ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილება საზოგადოების მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებში ჩართულობის გაზრდის თვალსაზრისით. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ იმისათვის, რომ საზოგადოება ჩაერთოს მიუსაფარი ბავშვების პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს ის მოლოდინები და მოთხოვნები, რაც შესაძლებელია არსებობდეს საზოგადოების მიმართ და ამის შესაბამისად მოხდეს რესურსების განვითარება იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს საზოგადოეების ჩართვას აღნიშნულ პროცესში. თუმცა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ უმთავრესი, მოლოდინი, რაც საზოგადეობის მიმართ უნდა არსებობდეს არის ის, რომ დაიცვას მიუსაფარი ბავშვის, როგორც საზოგადეობის წევრის უფლებები. ასეთ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ საზოგადეობამ გააცნობიეროს, რომ მიუსაფარი ბავშვების პრობლემები წარმოადგენს არა ცალკეული ინდივიდების, არამედ მთლიანი საზოგადეობის პრობლემას. ასევე

მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ აღნიშნულ პრობლემას აქვს არა ერთი, არამედ მრავალი გამომწვევი მიზეზი. თემის ჩართულობა ადამიანებს აძლევს იმის შეგრძნებას, რომ მათ აქვთ პასუხისმგებლობა პრობლემასთან დაკავშირებით და ასევე მათი მომავლის მიმართ. სტიგმა, დისკრიმინაცია და ადამიანის უფლებების დარღვევა, რომლის წინაშეც მიუსაფარი ბავშვები დგანან არის დასწავლადი. მიუსფარი ბავშვები იღებენ უფრო მეტ წვდომას სერვისებზე, როდესაც საზოგადეობა ხდება მგრძნობიარე მათი საჭიროებების მიმართ. სერვისების გაცნობა, რომლებიც სხვა შემთხვევაში შესაძლებელია უარყოფილი ყოფილიყო არასრულწლოვანთა მხრიდან, ხდება ფასილიტირებული საზოგადეობის მიერ, ხოლო მიუსაფარ ბავშვებთან დაკაშირებული საკითხები ხდება პოლიტიკურად სენსიტიური. სწორედ ეს არის ის, რაც იძლევა შესაძლებლობას რომ მოახდინოს გავლენა სახელმწიფო პოლიტიკაზე. ზოგადი პერსპექტივა, დაფინანსება, რესურსები და სერვისები უმჯობესდება, როცა ადამიანები ვის ხელშიც არის პოლიტიკური ნება და ფინანსები, ხედავენ რომ მიუსაფარ ბავშვებს აქვთ საზოგადეოებისა და თემის მხარდაჭერა. თემის მხარდაჭერა აძლიერებს ხალხის შესძლებლობას, რომ გადაჭრან პრობლემები საკუთარი რესურსების გამოყენებით (World Health Organization, Mental Health Determinants and Populations, Department of Mental Health and Substance Dependence, Geneva, Switzerland).

ვინაიდან მსოფლიოს მაშტაბით არსებული მიუსაფარი ბავშვებს პრობლემები მსგავსია და ასევე მსგავსია ის მიზეზებიც, რაც იწვევს მათ ქუჩაში გამოსვლას, საკმაოდ მნიშველოვანია ის საერთაშორისო პრაქტიკაც, რაც არსებობს აღნიშნული მიმართულებით. მაგალითისთვის ეფექტური იქნება მიუსაფარი ბავშვების პრობლემებზე მომუშავე საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაციის გამოცდილება, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის მნიშვნელოვანია საგანმანათლებო პროცესი. ერთი შეხედვით განათლების პროცესში შესაძლებელია იყოს შეუსაბამო და რიგიდული მიუსაფარი ბავშვების პრობლემის გადასაჭრელად, თუმცა ის იძლევა საშუალებას, რომ არასრულწლოვნებმა არა მხოლოდ გადაჭრან საკუთარი მიმდინარე პრობლემები, არამედ აძლევს შესაძლებლობასა და უნარებს თვალი გაუსწორონ და გაუმკლავდნენ ნეგატიურ

ცვლილებებს, რომლებიც თავს იჩენს მათ შემდგომ ცხოვრებაში. (International Youth Foundation, 2001)

აღნიშნული მოდელი წინა პლანზე წამოწევს მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე პრევენციული პოლიტიკის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ ასეთი პროგრამები ფინანსური თავსლაზრისით ბევრად იაფი ჯდება, თუმცა პრევენციის პროგრამებთან დაკავშირებით ასევე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ისინი მათი სახეობის მიუხედავად იაფი ჯდება მაშინ, როდესაც გათვლილია იმ ბავშვებზე, რომლებიც უშუალოდ არიან ქუჩაში მოხვედრის რისკის წინაშე. ასეთ დროს უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ის, თუ როგორ უნდა მოხდეს იმის იდენტიფიცირება, თუ ვინ შეიძლება იყოს ქუჩაში მოხვედრის რისკის წინაშე, მით უფრო მაშინ, როდესაც მიუსაფარი ბავშვების სხვადასხვა კატეგორიასთან გვაქვს საქმე. საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ყველაზე დიდი რისკის წინაშე დგანან ბავშვები, რომელთა უფროსი დედმამიშვილებიც წარმოადგენენ მიუსაფარ ბავშვებს. (International Youth Foundation, 2001) გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ გვთავაზობს ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია განვითარებულ იქნას სერვისები მიუსაფარი ბავშვებისთვის და ასევე საჭიროებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც კომბინირებულია ინდივიდუალურ შეფასებასთან და პროგრამის მოსარგებლეთა კვლევასთან მოიაზრება, რომ ცენტრალიზებული საგანმანათლებლო მიდგომა წამროადგენს საუკეთესო სტრატეგიას მიუსაფარი ბავშვების დასახმარებლად საზოგადოებაში ინკლუზიის მიმართულებით. ბავშვის თითოეულ პროგრამაში ჩართულობის ხარისხი შესაძლებელია განსხვავდებოდეს, როგორც მისი საჭიროებიდან, ასევე პროგრამის შესაძლებლობებიდან გამომდინარე. (International Youth Foundation, 2001)

დასკვნა

როგორც აღინიშნა, მიუსაფარი ბავშვების პრობლემები და არასრულწლოვანთა ქუჩაში ცხოვრებისა თუ მუშაობის მიზეზები შესაძლებელია სხვადასხგვარი იყოს და მოიცავდეს, როგორც სისტემურ, ასევე ინდივიდუალურ პრობლემებს მათ შორის ეკონომიკურ სიდუხჭირეს, ოჯახურ კრიზისებს, სკოლასთან სუსტ კავშირს, ალკოჰოლიზმს, ნივთიერებებზე დამოკიდებულებას და ა.შ. მიუხედავად იმისა თუ რის გამო ხვდება არასრულწლოვანი ქუჩაში და რამდენად არის ჩართული ის ქუჩასთან დაკავშირებულ აქტივობებში, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი აღნიშნული საკითხის მოგვარებაში, მათ შორის საკითხის კვლევისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროგრამების დანერგვის თვალსაზრისით, თუმცა, როგორც წინამდებარე ნაშრომში აღინიშნა, უდიდესი როლი აკისრია საზოგადოების ჩართულობას მიუსაფარი ბავშვების პრობლემების გადაჭრის საკითხში. მნიშვნელოვანია, რომ ამ დრომდე რჩება უამრავი შეუსრულებელი რეკომენდაცია, რომელიც გაცილებით ეფექტურ შედეგეს გამოიღებდა მიუსაფარი ბავშვების პრობლემების გადაჭრის მიმართულებით. აღსანიშნავაია, რომ ამ დროისათვის მიმდინარეობს რიგით მეორე მაშტაბური კვლევა, რომელიც თვალსაჩინო სურათს მოგვცემს მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებით დღესდღეობით არსებულ მდგომარეობაზე და ბევრად ნათლად დაგვანახებს იმ ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა დღემდე აღნიშნული მიმართულებით. ეს ასევე მნიშვნელოვანი იქნება შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის თვალსაზრისით, თუმცა ცხადია, რომ მიუსაფარი ბავშვების პრობლემების მოგვარების საკითხში, რა მიმართულებითაც არ უნდა მიმდინარეობდეს მუშაობა, უდიდესი როლი ეკისრება არა მხოლოდ სახელმწიფოს სხვადასხვა პროგრამის დანერგვის, საკანომდებლო ჩარჩოს შემუშავებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების თვასლაზრისით, არამედ თავად საზოგადოების ჩართულობას მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასება, ნამიჭეიშვილი ს, 2014, თბილისი, საქართველო;

კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზცია, 1989.
“ნუ მიწოდებთ ქუჩის ბავშვს“, ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები,2008, თბილისი, საქართველო;

საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2004, თბილისი, საქართველო;

საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ 2017, თბილისი, საქართველო;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის #437 დადგენილება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე, თბილისი, საქართველო;

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №601 დადგენილება„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ", თბილისი, საქართველო;

სოციალური მუშაობა ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით, სამოქალქო საზოგადოების განვითარების ცენტრი, 2017 წ. თბილისი, საქართველო;

Determinants and Populations, Department of Mental Health and Substance Dependence, Geneva, Switzerland;

Working With Children, Involving the Community,World Health Organization, Mental Health, International Youth Foundation, 2001;

სსიპ–- ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

კონფლიქტების ანალიზისა და მართვის დოქტორანტი

გელა გაბუნია

სემინარი

მიგრაციის პოლიტიკა საქართველოში

(XX-XXI საუკუნე)

თბილისი

2018

შინაარსი

შესავალი ----------

I თავი. მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. გლობალური მიგრაცია (XX-XXI საუკუნე).

2. მიგრაციის პროცესები საქართველოში (XX-XXI საუკუნე)

II თავი. ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩო

(1990-იანი წლებიდან დღემდე)

1. ინსტიტუციური ჩარჩო

2. საკანონმდებლო ჩარჩო

III თავი. იმიგრაციული ტენდენციები

1 იმიგრაციის გამომწვევი ძირითადი ასპექტები

2. იმიგრაციის სტატისტიკა

ა) სტატისტიკის ზოგადი სურათი

ბ) განათლების მიღების მიზნით ჩამოსული უცხოელები

გ) შრომითი იმიგრანტები

დ) უცხოელი მეწარმეები/ინვესტორები

ე) „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ლტოლვილის სტატუსის, ჰუმანიტარული სტატუსისა და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მაძიებელთა სტატისტიკა

ვ) კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელები

ზ) დემოგრაფიული მდგომარეობა

IV თავი. მიგრაცია და სახელმწიფო უსაფრთხოება

V თავი. დასკვნა და ბიბლიოგრაფია

შესავალი

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია მიგრაციას შემდეგნაირად განმარტავს: მიგრაცია არის „საერთაშორისო საზღვარზე ან ქვეყნის შიგნით გადაადგილების პროცესი. მიგრაცია გულისხმობს მოსახლეობის ნებისმიერ სახით გადაადგილებას, მიუხედავად ხანგრძლივობისა, შემადგენლობისა და გამომწვევი მიზეზებისა; მიგრაცია მოიცავს ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, გამოსახლებბულ პირთა და ეკონომიკურ მიგრანტთა გადაადგილებას“.[1]

მიგრაცია როგორც მოვლენა აქტუალური გახდა ბოლო წლებისა და თვეების ტრაგიკული მოვლენების გამო, როგორიცაა, ახლო აღმოსავლეთში და აფრიკის ჩრდილოეთით ქვეყნებში სისხლისმღვრელი კონფლიქტები და ასობით ათასი ადამიანის გადაადგილება ევროპული ქვეყნების მიმართულებით, რამაც გამოიწვია ამ ქვეყნებში მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური ძვრები მიგრაციული პროცესების მიმართ, კერძო, „მიგრატების“ მიმართ. ყველაზე ყურადსაღები ფაქტი ამ მოვლენებში არის ის, რომ ეს პროცესები იღებს აგრესიულ ხასიათ, ვგულისხმობ ნებისმიერი მეთოდების გამოყენებით (როგორც ლეგალური ისე არალეგალური) სხვა ქვეყანაში გადასვლა, რაზეც მექნება საუბარი შემდეგ თავებში საქართველოსთან მიმართებით.

ზემოაღნიშნული მოვლენების მიმართ ევროპა ბოლომდე მოუმზადებელი შეხვდა, წამოსული ნაკადების ქაოტური გადანაწილება, არასაკმარისი ინფრასტრუქტურა და რაც მთავარი არასაკმარისი დრო სიტუაციის გაანალიზებისა (უპირველეს ყოვლისა უსაფრთხოების ჭრილში) გახდა საფუძველი სხვადასხვა ტრაგიკული მოვლენებისა - ცნობილი ტერორისტული აქტი 2015 წლის 7 იანვარი პარიზი, რომელიც „შარლი ებდოს“ ტრაგედიითა ცნობილი, ამავე წლის 9 იანვრს პარიზში ებრაულ სუპერმარკეტში მომხდარი სისხლისღვრა და ასე შემდეგ.[2] 2015 წელი

---

[1] IOM, Glossary on Migration, http://migration.commission.ge/files/glosaary.pdf.

[2] საფრანგეთში მომხდარი ყველაზე მასშტაბური ტერორისტული აქტები, საზოგადოებრივი მაუწყებელი. http://old.1tv.ge/ge/news/view/111169.html

იქცა ტერორიზმის წლად ევროპისთვის. აღნიშნულმა მოვლენებმა რადიკალურად შეცვალა ევრიპული მიდგომები მიგრაციულ პროცესების მიმართ.

უახლეს პერიოდში მომხდარმა მოვლენებმა საქართველოს ჩართულობა გლობალურ მიგრაციულ პროცესებში საგრძნობლად გაზარდა. სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მიგრაციის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ და დემოგრაფიულ ჭრილში. მიგრაციის ეფექტიანი მართვა ქვეყნის უსაფრთხოების და გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი წინაპირობაა. აღნიშნული მნიშვნელოვანწილად განაპირობა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით წარმოებულმა საქმიანობამ.

საქართველოს სწრაფვამ ევროპულ ოჯახში გაწევრიანებისკენ და ამ მიმართლებით გადადგმულმა ნაბიჯებმა ქვეყანა შეუქცევადი განვითარების გზაზე დააყენა, თუმცა თუ განვიხილავთ აღნიშნულ მოვლენებს მიგრაციის ჭრილში, ქვეყანა ნელნელა ხდება ინტერესის სფერო მიგრანტების მხრიდან, რაც სახელმწიფოს მხრიდან მეტ ყურადღებას მოითხოვს. საჭიროა მიგრაციის პროცესების ეფექტიანი მართვა რათა ადამიანის უფლებების დაცვასთან ერთად დაცული იყოს სახელმწიფო ინტერესებიც. ამასთან, მიგრაციის დადებითი გავლენა და პოტენციალი ქვეყნის განვითარებას მოხმარდეს. ამისთვის აუცილებელია მიგრაციის გამომწვევი მიზეზების და შედეგების ფართო სპექტრში გაანალიზება.

I თავი. მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. გლობალური მიგრაცია (XX-XXI საუკუნე).

მიგრაციის ისტორიაში გამორჩეულ ადგილს იკავებს XX საუკუნე, როდესაც მიგრაციულმა პროცესებმა პიკს მიაღწია და მნიშვნელოვნად შეიცვალა მსოფლიოს დემოგრაფიული სურათი. I მსოფლიო ომის კვალდაკვალ ევროპაში ფაშიზმის აღზევებას უკავშირდება იძულებითი მიგრაციის მაშტაბური მოვლენა, როდესაც II

მსოფლიო ომის დროს ნაცისსტურმა გერმანიამ 7-8 მლნ ადამიანი გახადა იძულებული, საკუთარი სახლ-კარი დაეტოვებინა. ასევე სტალინის საბჭოთა კავშირში 29 მლნ-მდე ადამიანის გადასახლება მოხდა. 1980-იან წლებში კი 3-4 მლნ ადამიანს მოუხდა ავღანეთში საბჭოეთის მონაწილეობით დაწყებული ომისგან გაქცევა.[3] 1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლის გამო კომუნისტური ბლოკის ქვეყნებიდან დასავლეთის მიმართულებით დაძრულ მიგრანტთა ნაკადს მოგვიანებით ბალკანეთის ომს გამოქცეული მოსახლეობაც შეუერთდა.

მიგრაციული ცხოვრება ევროპაში გარკვეულწილად 2000-იანი წლებიდან დარეგულირდა, თმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა - 2011 წელს სირიაში დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, ასობით ათასი მიგრანტი მიაწყდა ევროპის ქვეყნებს თავშესაფრის ძიებაში, რაც მეორე მსოფლიოს შემდეგ ყველაზე დიდი მიგრაციული კრიზისი გამოიწვია. ამ კონფლიქტისა და ე.წ. ისლამური სახელმწიფო მიერ წარმოებული ქმედებების გამო, 2015 წელს ევროკავშირში არალეგალურად 1.5 მლნ-მდე ადამიანმა შეაღწია,[4] დაახლოებით 2.5 მლნ იმყოფება თურქეთის ტერიტორიაზე, ხოლო 8 მლნ სირიელი იძულებით გადაადგილებულია და პოტენციურ მიგრანტად მოიაზრება.[5]

XX საუკუნის დასასრულსა და XXI-ის დასაწყისში იკვეთება ოთხი ძირითადი მოვლენა რამაც გამოიწვია გლობალური მიგრაციული პროცესები:

- საბჭოთა კავშრის დაშლა და ბალკანეთის ომი;

- 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ზე განხორციელებული შეტევა და ტერორიზმთან ბრძოლის ფონზე შეცვლილი სამყარო;

- მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი;

---

[3] Mortimer Chambers et al., The Western Experience, გვ. 922-925.
[4] https://goo.gl/vJnSN8
[5] https://euobserver.com/foreign/131307.

- ყველაზე მნიშვნელოვანი რომელიც დღემდე დაუსრულებელ პროცესად იქცა „არაბული გაზაფხული“, სირიის ომი და მიგრაციიული კრიზისია ევროპაში.

დღევანდელი მდგომარეობით დედამიწაზე 232 მლნ-მდე მიგრანტია.[6] 2013 წლის მონაცემებით, საერთაშრისო მიგრანტები შეადგენენ მსოფლიო მოსახლეობის 3.2 %-ს, რომელიც ყველწლიურად მზარდია. გასათვალისწინებელია, რომ ეს ციფრი 1990 წელს 2.9% იყო.[7]

2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის წინასწარი მონაცემები ადასტურებს, რომ 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა დაახლოებით 600,000 ადამიანით შემცირდა და 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 3,729,500 ადამიანს შეადგენს.[8] ამრიგად, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ტენდენცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს მიგრაციის სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებებში, განსაკუთრებით საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების დაბრუნებისა და მათი რეინტეგრაციის პოლიტიკის ხელშეწყობის თვალსაზრისით.

2. მიგრაციის პროცესები საქართველოში (XX-XXI საუკუნე)

მიგრანტთა მასობრივი ჩამოსვლა საქართველოში შეინიშნება 1920 -იანი წლების ბოლოდან და უკავშრდება ფართოდ წამოწყებულ ინდუსტრიულ მშენებლობას, რომელიც დამატებით მუშახელს მოითხოვდა. ცოცხალი ძალის შემოდინება განსაკუთრებით გაიზარდა 1930-იანი წლებიდან როცა დაიწყო კოლექტივიზაცია/განკულაკების პროცესების იმ დროინდელ საბჭოთა კავშირში. უკრაინასა და ყაზახეთში დაწყებული შიმშილის ფონზე იქაური მოსახლეობა იწყებს

---

[6] Black, World History Atlas, გვ.42.

[7] World Migration in Figures a joint contribution by UN-DESA and the OECD to the United Nations High Level Dialogue on Migration and Development, გვ. 3-4, October 2013. https://goo.gl/ZiXOaM.

[8] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები. http://geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

მიგრირებას და საკმაოდ დიდი რაოდენობა მიგრანტებისა ხვდება საქართველოში. 1926-1939 წლებში რუსების რაოდენობა 320% პროცენტით გაიზარდა და მოსახლეობის 21% შეადგინა.[9] ცნობილი რეპრესიების ფონზე ასობით ათასი ადამიანის გასახლება მოხდა ქვეყნიდან - თურქი მესხების, ქურთების, პონტოელი ბერძნების და სხვა.[10]

1950-1989 წლები შეიძლება განისაზღვროს როგორც საქართველოდან მოსახლეობის გადინების პერიოდი. ამ წლებში ქვეყანა დატოვა 280 ათასმა ადამიანმა. უნდა აღინიშნოს, ამ პერიოდში საქართველოდან გასულთა რიცხვი საკმაოდ აჭარბებდა შემოსულთა რიცხვს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გასულთა უდიდესი ნაწილი არაქართველი ეროვნების იყო.[11]

განსაკუთრებით დასაფიქსირებელია 1992-1996 წლების პერიოდი როდესაც საბჭოთა კავშირი დანგრეულია, ქვეყანა ჩათრეულია თავისივე ტერიტორიაზე სეპარატისტებთან ბრძოლაში და ქვეყანა ფაქტიურად ეკონომიკური კრიზისის ფონზე შიმშილის ზღვარზეა. ამ პერიოდში საშუალოდ ყოველწლიურად ქვეყანას 135 ათასი ადამიანი ტოვებდა რაც შემდეგ წლებში დასტაბილურდა და 2000 წლებიდან უკვე უარყოფითი ბალანსი მაქსიმალურად შემცირებულია.[12]

II თავი. ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩო (1990-იანი წლებიდან დღემდე)

1. ინსტიტუციური ჩარჩო

საქართველოში მიგრაციის მართვის ინსტიტუციონალიზაცია 2010 წლიდან დაიწყო, როდესაც მიგრაციის პოლიტიკის კოორდინაციის მიზნით საქართველოს

---

[9] ვახტანგ ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბილისი: მეცნიერება, 1996 წ. გვ.135.
[10] რევაზ გაჩეჩილაძე, მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, თბილისი: გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა, 1997წ. გვ.13.
[11] ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, გვ.239.
[12] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: თბილისი, 2014 წ. https://goo.gl/lKqmQk.

მთავრობის დადგენილებით მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია შეიქმნა.[13] კომისია არის საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო, რომელიც მსჯელობს და გადაწყვეტილებებს იღებს მიგრაციის მართვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე. იგი დღეისთვის აერთიანებს 12 სახელმწიფო უწყებას. კომისიას ანალიტიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს იუსტიციის სამინისტროში მოქმედი სამდივნო. [14]

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას თავმჯდომარეობს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო თანათავმჯდომარეა შინაგან საქმეთა სამინისტრო.

კომისია წარმოადგენს მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ძირითად პლატფორმას და სხვადასხვა უწყებაში გადანაწილებული ფუნქციების კოორდინირების ეფექტიან ინსტრუმენტს. 2013 წელს, კომისიის გადაწყვეტილებით საკონსულტაციო სტატუსი მიენიჭა მიგრაციის საკითხებზე მომუშავე 7 საერთაშორისო და 5 არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ კომისიის მუშაობაში. კომისიას ანალიტიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში (შემდგომში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) ევროკავშირთან თანამშრომლობით და მისი მხარდაჭერით შექმნილი სამდივნო.[15]

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის 12 წევრი უწყებიდან პროცესის მართვაში პირდაპირ ჩართულია მხოლოდ რამდენიმე, კერძოდ:

- **იუსტიციის სამინისტრო** - პასუხისმგებელია მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის ადმინისტრირებაზე, უცხოელთათვის ბინადრობის ნებართვისა და მოქალაქეობის საკითხების განხილვა-გადაწყვეტაზე, ტრეფიკინგთან

---

[13] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 ოქტომბრის №314 დადგენილება „მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1049764.

[14] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის №117 ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1699551.

[15] მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამუშაო ჯგუფები. https://goo.gl/MllfD0.

ბრძოლის მიმართულებით საქმიანობის კოორდინაციაზე; სამგზავრო დოკუმენტების გაცემაზე და მოქალაქეობის არმქონე პირისა და თანამემამულის სტატუსის დადგენაზე;

- **შინაგან საქმეთა სამინისტრო** - პასუხისმგებელია სახელმწიფო საზღვრისა და სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დაცვაზე, სასაზღვრო რეჟიმის დაცვასა და უზრუნველყოფაზე, სასაზღვრო კონტროლისა და სასაზღვრო გამტარ პუნქტებში სასაზღვრო რეჟიმის განხორციელებაზე, როგორიც არის „მწვანე“ და „ლურჯი“ საზღვრის ინსპექტირება.[16] სამინისტრო ასევე უზრუნველყოფს ქვეყანაში არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას და უფლებამოსილია რეადმისიის შეთანხმებების განხორციელებაზე;

- **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური** - არის საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულებათა სისტემა, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოებას. სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა: ტერორიზმთან და სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველი სხვა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ახორციელებს მიგრაციის პროცესებთან დაკავშირებულ სათანადო ღონისძიებებს.

- **საგარეო საქმეთა სამინისტრო** - საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით, უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეებისა და იურიდიული პირების

[16] მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი (IOM) გვ.39. https://migration.commission.ge/files/glosaary.pdf.

უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ასევე ახორციელებს უცხოელთა სავიზო უზრუნველყოფას;

- დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი - კომპეტენციაა საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის გაღრმავება, ქართული დიასპორის წარმომადგენლების ეკონომიკური თუ სოციალური პოტენციალის მობილიზება ქვეყნის განვითარებისთვის და მათში ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება;

- **აქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო** - პასუხისმგებელია ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე, ამ პირთა უფლებების დაცვაზე, მათ ინტეგრაციაზე და საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციაზე;

- **შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** - კომპეტენციაა შრომით მიგრაციასთან დაკავშირებული ურთიერთობების, მათ შორის, საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მონიტორინგი, შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით საქართველოდან დამოუკიდებლად გამსვლელ პირთა ინტერესების დაცვა, შრომით იმიგრანტსა და ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომით მოწყობასა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების მონიტორინგი და იმიგრანტთა ინტეგრაციის ხელშეწყობა.[17]

კომისიის წევრი დანარჩენი უწყებები კი სხვადასხვა ფორმით არიან ჩართულები მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა გადაწყვეტაში.

2. საკანონმდებლო ჩარჩო

[17] საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია. http://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0

1990-იან წლებში მას შემდეგ რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა მიღებულ იქნა მიგრაციის მარეგულირებელი პირველი საკანონმდებლო აქტები: „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონი (1993წ.)[18], „საქართველოდან ემიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონი (1993 წ.)[19], „იმიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონი (1993 წ.)[20], „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონი (1993 წ.)[21], თუმცა მალევე ამოწურეს საკუთარი რესურსი და საჭირო გახდა მათი საფუძვლიანი განახლება.

საქართველოში მიგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი პირველი სტრატეგიული ტიპის დოკუმენტი 1997 წელს შეიქმნა. ეს იყო პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფცია“. თავისი დროისათვის ამ მეტად ნოვატორულ დოკუმენტს, ძირითადად, უფრო დეკლარაციული ხასიათი ჰქონდა, რადგან არ გააჩნდა განხორციელების სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, რთულია იმის დადგენა, თუ რამდენად შესრულდა კონცეფციაში განსაზღვრული ამოცანები და რა როლი ითამაშა მან ქვეყანაში მიგრაციის მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად.[22]

ხსენებული კონცეფცია 2013 წელს ძალადაკარგულად გამოცხადდა და იგი ჩაანაცვლა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულმა „2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიამ“,[23] რომელმაც (თავის სამოქმედო გეგმასთან ერთად) საფუძველი ჩაუყარა მიგრაციის მართვის მექანიზმთა ინსტიტუციურ განვითარებას ქვეყანაში და უფრო მკაფიოდ განსაზღვრა სახელმწიფოს პრიორიტეტები მიგრაციის

---

[18] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ (ძალადაკარგულია 2014 წლიდან). https://matsne.gov.ge/ka/document/view/32596.

[19] საქართველოს კანონი „საქართველოდან ემიგრაციის შესახებ“ (ძალადაკარგულია 2009 წლიდან). https:// https://matsne.gov.ge/ka/document/view/93820.

[20] საქართველოს კანონom „იმიგრაციის შესახებ“ (ძალადაკარგულია 2006 წლიდან). https:// https://matsne.gov.ge/ka/document/view/93826.

[21] საქართველოს კანონი „ლტოლვილთა შესახებ“ (ძალადაკარგულია 2012 წლიდან). https://matsne.gov.ge/ka/document/view/31858.

[22] მიგრაციის სახელმძღვანელო, თბილისი, 2017 წ. ნაწილი XIV, მიგრაცია და საჯარო მართვა, გვ. 511-512

[23] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 მარტის №59 დადგენილება „საქართველოს 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1874689

ცალკეული სფეროების განვითარების კუთხით. სტრატეგიამ ხელი შეუწყო ქვეყანაში მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებას მიგრაციის მართვის გასაუმჯობესებლად.[24]

საქართველოს მთავრობამ, გაითვალისწინა რა მსოფლიო და კონკრეტულად ჩვენს რეგიონში არსებული გლობალური გამოწვევები და ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნები, 2015 წელს შეიმუშავა და დაამტკიცა მიგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი რიგით მესამე დოკუმენტი - 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია.[25] ამ დოკუმენტის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმომადგენლები. არაერთი შეხვედრის შემდეგ სამსახურის მხრიდან შემუშავებულ იქნა უსაფრთხოების საკითხებით გამოწვეული რეკომენდაციები რამაც ასახვა ჰპოვა ზემოაღნიშნულ დოკუმენტში. აღნიშნულ შეხვედრებში ოფიციალურად საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან წარდგენილი ვიყავი და ვფიქრობ საკმაოდ პროდუქტიული თანამშრომლობაც შედგა.

გასათვალისწინებელია, რომ 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია მიგრაციის სფეროში პოლიტიკის დაგეგმვის თვალსაზრისით თვისებრივად სრულიად ახლებური დოკუმენტია, რომელიც ითვალისწინებს მომიჯნავე სფეროების სექტორულ სტრატეგიებსა და პოლიტიკის განმსაზღვრელ სხვა აქტებს და დიდწილად ასახავს ამავე წელს ევროკავშირის მიერ შემუშავებულ „ევროპის მიგრაციის დღის წესრიგის“ დებულებებს. სტრატეგიასთან ერთად მიღებულ იქნა შესაბამისი სამოქმედო გეგმა და მისი შესრულების ინდიკატორები, რომელთა საფუძველზეც ფასდება მიღწეული შედეგები.[26]

უკანასკნელ წლებში მიღებულ იქნა მიგრაციის სფეროსთან მომიჯნავე სხვა სტრატეგიული დოკუმენტებიც: საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის 2014-

---

[24] საქართველოს მიგრაციის პროფილი 2015, მიგრაციის მართვა. გვ 73-74.

[25] საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 დეკემბრის №622 დადგენილება „საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/3095139

[26] საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა. https://goo.gl/UeHFhV

2018 წლების სტრატეგია;[27] საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების 2015-2018 წლების სახელმწიფო სტრატეგია;[28] საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წწ.);[29] დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია (2016 წ);[30] ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია;[31] ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის;[32] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა.[33] უშუალოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ასევე მომზადდა დიასპორასთან ურთიერთობის სახელმწიფო პროგრამა.

III თავი. იმიგრაციული ტენდენციები

1. იმიგრაციის გამომწვევი ძირითადი ასპექტები

რთულია ერთი ძირითადი ფაქტორის გამოყოფა, რომელიც ხელს უწყობს საქართველოდან ემიგრაციას ან იმიგრაციას საქართველოში. ეს ფაქტორები კომპლექსურია და დაკავშირებულია როგორც ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, ისე ადამიანების ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებთან. საქართველოს უახლეს ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც ემიგრაცია, ძირითადად, გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული არასტაბილურობით და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარემოებებით (შიდა შეიარაღებული კონფლიქტები). თუმცა მოგვიანებით ემიგრაციული პროცესების გააქტიურებაში უფრო მნიშვნელოვანი გახდა ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები. ემიგრაციის სხვა ხელშემწყობ ფაქტორებს შორის არანაკლებ მნიშვნელოვანია უკვე ჩამოყალიბებული მიგრაციული პროცესები, რომელთაც ასევე შეუძლიათ ხელი შეუწყონ საქართველოს მოქალაქეთა ემიგრაციას.

---

[27] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2279821
[28] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1981264
[29] http://mes.gov.ge/uploads/300.
[30] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3331420
[31] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3660371
[32] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3650131
[33] https://goo.gl/5BGBXw

უკანასკნელ ათწლეულში ქვეყანაში გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა, პოლიტიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებასთან ერთად, ხელი შეუწყო იმიგრაციული ნაკადების ზრდასაც. თუმცა ემიგრაციის მასშტაბები ამით მაინც არ შემცირებულა.

იმიგრაციის სიტუაციასთან გასამკლავებლად და მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად საქართველოში გატარდა და ამჟამადაც მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც მიმართულია სამეწარმეო საქმიანობის გამარტივებისა და კიდევ უფრო მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნისაკენ. უკანასკნელი დეკადის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა სტაბილურად იზრდებოდა და მომავალ წლებშიც ზრდა არის ნავარაუდები. საქსტატის მონაცემების თანახმად, საქართველოს მშპ-მ 2016 წელს 14.3 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, ხოლო მშპ-მ ერთ სულ მოსახლეზე 3 864,6 აშშ დოლარი შეადგინა.[34]

„Transparency International"-ის მიერ 2017 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს „კორუფციის აღქმის ინდექსში" („Corruption Perception Index") საქართველოს რეიტინგი 4 საფეხურით გაუმჯობესდა და 176 ქვეყანას შორის 48-ე ადგილიდან 44-ე ადგილზე გადმოინაცვლა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის (EECA) 19 ქვეყანას შორის საქართველომ კვლავ პირველი პოზიცია შეინარჩუნა.[35]

UNDP-ის ადამიანის განვითარების ინდექსის (HDI) თანახმად, რომელიც სამი ძირითადი განზომილების შეფასების საფუძველზე გამოითვლება (სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, სკოლაში სწავლების საშუალო და მოსალოდნელი ხანგრძლივობა და მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულზე)[36], საქართველომ

[34] http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/GDP%202016%20Press%20release_Geo.pdf
[35] http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/GDP%202016%20Press%20release_Geo.pdf
[36] http://hdr.undp.org/en/content/human-development-index-hdi

2016 წლის ანგარიშში8 188 ქვეყანას შორის 70-ე ადგილი დაიკავა და მიეკუთვნება ადამიანის განვითარების მაღალი ინდექსის მქონე ქვეყნების ჯგუფს.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის გარდა, რომელიც ნათლად მიუთითებს ქვეყნის სწრაფვას განვითარებისკენ და ამ მიმართულებით საკმაოდ შთამბეჭდავი სურათი იკვეთება, ასევე უმნიშვნელოვანეს მოვლენებად უნდა მივიჩნიოთ 2017 წლის 28 მარტი - საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ ბიომეტრიულ პასპორტს, შეძლებენ ვიზის გარეშე ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში გამგზავრებას,[37] ეს მოვლენა ავღნიშნე იქიდან გამომდინარე, რომ პირდაპირ კავშირშია მიგრაციულ პროცესებთან, თუმცა ამ შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა წინაპირობის გარეშე - 2014 წლის 27 ივნისს, ევროკავშირმა, მისმა წევრმა სახელმწიფოებმა და საქართველომ („მხარეები“), ხელი მოაწერეს ამბიციურ და ინოვაციურ ასოცირების შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს. შეთანხმება ითვალისწინებს შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივ დებულებებს და გაძლიერებულ თანამშრომლობას, რომელიც სცდება ტრადიციულ შეთანხმებათა მასშტაბებს და ვრცელდება ინტერესთა ყველა სფეროზე. სარატიფიკაციო პროცესის დასრულების შემდეგ, ასოცირების შეთანხმება სრულად ამოქმედდა 2016 წლის 1 ივლისიდან.[38]

როგორც ამ დოკუმენტის შესავალში ავღნიშნე მიგრაციის გამომწვევი ძირითადი ფაქტორებია ეკონომიკური პრობლემები, რაც პირდაპირ პროპორციულია ხალხის გაღატაკებისა და სიდუხჭირის, ასევე 2011 წლიდან დღემდე მიმდინარე მოვლენები ახლო აღმოსავლეთში, რამაც გამოიწვია ლტოლვილების დიდი ნაკადი ევროპის ქვეყნების მიმართულებით. ლოგიკურია მიგრანტები მიგრაციისთვის არჩევენ ისეთ ქვეყნებს სადაც ხელსაყრელი პირობებია მათი დამკვიდრებისთვის. ასეთი ქვეყნების გამოვლენისა და შეფასებისას მიგრანტები დამოკიდებულნი არიან სხვის დახმარებაზე, როგორიც არის მოგზაურობის ორგანიზება ისე ადგილზე

[37] http://mfa.gov.ge/visa-free-guide.aspx
[38] http://mfa.gov.ge/ევროპული-და-ევრო-ატლანტიკური-ინტეგრაცია.

დანიშნულების ქვეყანაში დაკვიდრებისთვის შესაბანისი პირობების შექმნა. ამისთვის მათ სჭირდებათ შესაბამისი ინფორმაცია რაც თანამედროვე მსოფლიოში არაჩვეულებრივად მუშაობს სოციალური ქსელები. აღნიშნული წყაროების გამოყენებით მათ არამარტო დამხმარის მოძიება შეუძლიათ, არამედ წინასწარ შეისწავლონ სიტუაცია და გააკეთონ შესაბამისი შეფასება მომავალი ადგილსამყოფელი ქვეყნების. ზუსტად ამ შეფასების პროცესში მათ მშვენიერ დახმარებას უწევს ის საჯაროდ ხელმისაწვდომი სახელმწიფოების შეფასების კრიტერიუმები როგორიც არის: „Transparency International“, „Corruption Perception Index“, Doing Business Data[39] და სხვა. შესაბამისად საქართველოს პოზიციამ თანამედროვე მსოფლიოში, მისმა სწრაფვმა ევროინტეგრაციის მიმართულებით და თვალშისაცემმა მიღწევებმა სხვადასხვა მიმართულებით საკმაო ინტერესესი გამოიწვია იმიგრაციის პროცესში ჩართული ხალხის, სადაც ლეგალური გზით მიგრაციის მსურველების გარდა არალეგალური გზებით საქართველოში შემომსვლელთა ციფრებიც გაზარდა.

2. იმიგრაციის სტატისტიკა

ამ თავში გაანალიზებულია საქსტატის[40], UN DESA-ს[41] და სსგს-ს[42] მონაცემები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი მათგანი არ იძლევა სრულყოფილ და ზუსტ სურათს საქართველოში იმიგრანტთა რაოდენობისა და დინამიკის შესახებ.

ა) სტატისტიკის ზოგადი სურათი

საქსტატი 2012 წლიდან ყოველწლიურად აქვეყნებს იმიგრანტთა და ემიგრანტთა სტატისტიკას საზღვრის კვეთის მონაცემებზე დაყრდნობით. საქსტატის მეთოდოლოგიის მიხედვით, იმიგრანტად მიიჩნევა ნებისმიერი პირი (მოქალაქეობრივი კუთვნილების მიუხედავად), რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ 2 პირობას: 1. გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და ბოლო 12 თვეში, სულ მცირე, 183 დღე (შესაძლებელია ეს იყოს რამდენიმე შემოსვლის კუმულაციური ჯამი)

[39] http://www.doingbusiness.org/data
[40] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://www.geostat.ge/
[41] United Nations Department of Economic and Social Affairs. https://www.un.org/development/desa/en/
[42] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. https://sda.gov.ge/

იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და 2. საქართველო არ იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა, ე.ი. მას საქართველოს საზღვრებს გარეთ წინა 12 თვეში გატარებული აქვს, სულ მცირე, 183 დღე.

საქსტატის მონაცემებით, 2015 წელს საქართველოში 92,557 იმიგრანტი იყო, რომელთა ნახევარზე მეტი (55%) საქართველოს მოქალაქეა. 2016 წელს იმიგრანტთა რიცხვი ოდნავ შემცირდა და 90,228 შეადგინა, მათ შორის, 51% საქართველოს მოქალაქე იყო (იხ. ცხრილი N1).

როგორც N1 ცხრილი აჩვენებს, იმიგრანტები, ძირითადად, საქართველოს მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები არიან (რუსეთი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა). საქსტატის მონაცემებით, იმიგრანტთა რაოდენობა 2014 წელს 82,161 იყო. 2014 წელთან შედარებით, 2016 წელს გაზრდილია თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ირანის, ჩინეთის და ინდოეთის მოქალაქე იმიგრანტების რაოდენობა. ამასთან, იმიგრანტი კაცების რაოდენობა გასული 2 წლის განმავლობაში აღემატება იმიგრანტი ქალების რაოდენობას.

ცხრილი N1: იმიგრანტთა რაოდენობა მოქალაქეობისა და სქესის მიხედვით 2015 და 2016 წლებში[43]

მოქალაქეობა	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	მოქალაქეობა	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
საქართველო	50,924	30,411	20,513	საქართველო	47,086	28,263	18,823
რუსეთის ფედერაცია	10,552	5,972	4,580	რუსეთის ფედერაცია	11,185	6,262	4,923
თურქეთი	5,810	4,687	1,123	თურქეთი	6,294	4,823	1,471
სომხეთი	4,143	2,582	1,561	სომხეთი	6,241	3,550	2,691
უკრაინა	2,886	1,414	1,472	აზერბაიჯანი	3,420	1,935	1,485
აზერბაიჯანი	2,839	1,554	1,285	უკრაინა	2,922	1,445	1,477
ირანი	1,766	1,368	398	ინდოეთი	1,435	1,016	419

[43] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://www.geostat.ge/

ქუვეითი	1,320	850	470	აშშ	1,101	628	473
ერაყი	1,618	1,244	374	ჩინეთი	873	675	198
ჩინეთი	1,267	1,044	223	ისრაელი	832	402	430
აშშ	1,081	639	442	ქუვეითი	643	415	228
სხვა ქვეყნის მოქალაქე	8,206	4,836	3,370	სხვა ქვეყნის მოქალაქე	7,979	4,811	3,168
არ არის მითითებული	145	91	54	არ არის მითითებული	217	130	87
სულ	92,557	56,692	35,865	სულ	90,228	54,355	35,873

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 99% საქართველოს მოქალაქეა, ხოლო 97% საქართველოშია დაბადებული. N2 ცხრილი აჩვენებს საქართველოს მოსახლეობის გადანაწილებას მოქალაქეობის მიხედვით.[44]

ცხრილი N2: საქართველოს მოსახლეობის განაწილება მოქალაქეობის და დაბადების ადგილის მიხედვით.

მოქალაქეობა	რაოდენობა	საქართველოში დაბადებული	სხვა ქვეყანაში დაბადებული	დაბადების ადგილი არაა მითითებული
საქართველო	3,677,833	3,602,530	51,098	24,205
სხვა ქვეყნები	22,131	8,474	11,820	1,837
რუსეთი	7,620	4,312	2,571	737
სომხეთი	3,784	1,953	1,606	225
აზერბაიჯანი	3,236	1,044	1,975	217
უკრაინა	1,631	368	1,132	131
თურქეთი	1,410	72	1,245	93
საბერძნეთი	531	241	234	56

[44] nternational migrant stock - by destination and origin. http://bit.ly/1W6TROn

ერაყი	485	6	451	28
აშშ	429	81	287	61
ინდოეთი	416	2	371	43

იმიგრანტთა რაოდენობის დასადგენად ასევე საინტერესოა სსგს-ს მონაცემები. სსგს აგროვებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ბინადრობის ნებართვის (როგორც დროებითი, ასევე მუდმივი) გაცემის და მოქალაქეობის მინიჭების მონაცემებს.

N3 ცხრილში წარმოდგენილია სსგს-ს მიერ გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა ტიპების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სასწავლო, შრომითი, ოჯახის გაერთიანების, საქართველოს ყოფილი მოქალაქის, სპეციალური და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვები გაიცემა დროებითი ცხოვრების უფლებით, 6 წლამდე ვადით (პირველად გაიცემა 1 წლის ვადით და შესაძლებელია გაგრძელება 5 წლის ვადით). ხოლო საინვესტიციო და მუდმივი ცხოვრების ნებართვები გაიცემა უვადოდ.

ცხრილი N3: სსგს-ს მიერ გაცემული ბინადრობის ნებართვები საფუძვლების მიხედვით (2012-2016 წწ.).

წელი	შრომითი	სასწავლო	ოჯახის გაერთიანების მიზნით	საინვესტიციო[45]	საქართველოს ყოფილი მოქალაქის	მუდმივი ცხოვრების[46]	სპეციალური[47]	მოკლევადიანი[48]	სულ

[45] საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა გაიცემა 2014 წლის სექტემბრიდან.

[46] 2014 წლის სექტემბრიდან გაიცემა საქართველოს მოქალაქის ოჯახის წევრებზე და იმ პირებზე, რომლებმაც დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე ბოლო 6 წლის განმავლობაში იცხოვრეს საქართველოში (2014 წლამდე გაიცემოდა მხოლოდ ბოლო 6 წლის განმავლობაში ცხოვრების საფუძველზე).

[47] სპეციალური ბინადრობის ნებართვა 2014 წლის სექტემბრიდან გაიცემა თანამემამულის სტატუსის მქონე პირზე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლზე ან დაზარალებულზე და უცხოელზე, რომელზედაც წერილობით ინიციატივას წარადგენს საქართველოს მთავრობის წევრი.

[48] მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა გაიცემა 2015 წლის ივნისიდან იმ უცხოელებზე, რომელთაც საქართველოს ტერიტორიაზე საკუთრების უფლებით აქვთ უძრავი ქონება (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35,000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში.

2012	5091	876	961	-	840	4	-	-	7,772
2013	3921	554	931	-	620	4	-	-	6,030
2014	4666	1130	1136	54	2282	676	181	-	10,125
2015	9441	4663	2636	214	4250	7077	1044	37	29,362
2016	9664	2901	1694	95	360	1610	587	308	17,219
სულ	32783	10124	7358	363	8352	9371	1812	345	70,508

ამდენად, სსგს-ს მიერ ბოლო 5 წლის (2012-2016 წწ.) განმავლობაში გაიცა 70,000-ზე მეტი ბინადრობის ნებართვა.[49] ის ფაქტი, რომ 2015 წელთან შედარებით 2016 წელს გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა გაცილებით დაბალია, იმ საკანონმდებლო ცვლილებებით აიხსნება, რომელიც 2015 წლის ივნისში შევიდა ძალაში და მნიშვნელოვნად შეცვალა ბინადრობის ნებართვების და სავიზო პოლიტიკა პროცედურების გამარტივების კუთხით.[50] კერძოდ, საქართველოში უვიზოდ შემოსვლის და 1 წლით ყოფნის უფლება მიენიჭა 94 ქვეყნის მოქალაქეს. მანამდე ამ ქვეყნების მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ, საქართველოში ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში მაქსიმუმ 90 კალენდარული დღით დარჩენილიყვნენ, ხოლო ქვეყანაში უფრო მეტი ხნით დარჩენისთვის ბინადრობის ნებართვის მიღება იყო აუცილებელი. ახალმა რეგულაციამ, გარკვეულწილად, შეამცირა მოთხოვნა ბინადრობის ნებართვებზე, რადგან ამ კატეგორიის უცხოელებისთვის ქვეყანაში გრძელვადიანი ყოფნისთვის უვიზო მიმოსვლის პირობები სრულიად საკმარისია. აქვე უნდა

[49] ეს რიცხვი ზუსტად არ ასახავს ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელთა რაოდენობას, ვინაიდან ერთსა და იმავე პირს, შესაძლებელია, სხვადასხვა წელს მიემართა და მიეღო ან გაეგრძელებინა ბინადრობის ნებართვა.

[50] უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილება: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2841058 ნანახია: 31.10.2017

აღინიშნოს, რომ წინა წლებთან (2012-2014 წწ.) შედარებით, 2016 წელს გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა მაინც მომატებულია.

2015-2016 წლების მონაცემების მიხედვით ყველაზე მეტი ბინადრობის ნებართვა გაიცა აზერბაიჯანის, რუსეთის, თურქეთის, სომხეთის, უკრაინის, ინდოეთის, ჩინეთის და ირანის მოქალაქეებზე.

გარკვეული განსხვავებები შეინიშნება იმ მაჩვენებლებში, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეები მიმართავენ განცხადებებით კონკრეტული ტიპის ბინადრობის ნებართვის მისაღებად. მაგალითისთვის, 2015-2016 წლებში შრომითი ბინადრობის ნებართვების დიდი ნაწილი თურქეთის, ინდოეთის, ჩინეთის, უკრაინის და ირანის მოქალაქეებზეა გაცემული. მუდმივი ცხოვრების ნებართვებს, ძირითადად, აზერბაიჯანის, რუსეთის, სომხეთის, უკრაინის და თურქეთის მოქალაქეები იღებენ. სასწავლო ბინადრობის ნებართვების დიდი წილი ინდოეთის, ერაყის, ნიგერიის, აზერბაიჯანის და თურქეთის მოქალაქეებზე მოდის; ხოლო ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვები გაცემულია აზერბაიჯანის, რუსეთის, სომხეთის, უკრაინის და თურქეთის მოქალაქეებზე (იხ. ცხრილი N4). საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვა ბოლო 2 წლის (2015-2016 წწ.) განმავლობაში, ძირითადად, რუსეთის და სომხეთის მოქალაქეებზე გაიცემოდა, ხოლო სპეციალური ბინადრობის ნებართვა აზერბაიჯანის მოქალაქეებზე.[51]

ცხრილი N4: 2015-2016 წლებში გაცემული ბინადრობის ნებართვები მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით (ტოპ 5 ქვეყანა).

შრომითი ბინადრობის ნებართვები		მუდმივი ცხოვრების ნებართვები		სასწავლო ბინადრობის ნებართვები		ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემული ნებართვები	
თურქეთი	4 8 6 1	აზერბაიჯანი	2428	ინდოეთი	2511	თურქეთი	762
ინდოეთი	3269	რუსეთი	2028	ერაყი	1595	ირანი	530
ჩინეთი	3 0 00	სომხეთი	1608	ნიგერია	956	აზერბაიჯანი	474

[51] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. https://sda.gov.ge/

უკრაინა	1 5 85	უკრაინა	795	აზერბაიჯანი	791	რუსეთი	463
ირანი	1551	თურქეთი	413	თურქეთი	674	უკრაინა	439

ბ) განათლების მიღების მიზნით ჩამოსული უცხოელები

სტატისტიკურად იმიგრაციის პროფილში უახლოეს პერიოდში მნიშვნელოვან როლს იძენს განათლების მიღების მიზნით ჩამოსული უცხოელები, რომლებიც საქართველოში, ძირითადად, უმაღლესი განათლების მისაღებად მოდიან. 2006-2016 წლებში საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების ყოველწლიური რაოდენობა საკმაოდ მზარდია. 2016 წლის მონაცემებით, ბოლო 11 წლის განმავლობაში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯამში 13,527 უცხოელი სტუდენტი ჩაირიცხა. ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის მაქსიმალური ზრდა დაფიქსირდა 2010/2011 და 2011/2012 სასწავლო წლებში, როდესაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. ხოლო უცხოელი სტუდენტების ყველაზე დიდი მაჩვენებელი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2015 წელს იყო (2743), 2016 წელს კი ასეთი სტუდენტების რიცხვი მკვეთრად შემცირდა. ეს შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას 2014 წელს მიღებული „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის ახალი რეგულაციებით, რომელიც 2015 წლის მეორე ნახევრიდან კვლავ შეიცვალა პროცედურების გამარტივების კუთხით. 2016 წელს უცხოელი სტუდენტების კლება კი, სავარაუდოდ, უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ 2014 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო 2015 წელს ნაკლებმა სტუდენტმა მიიღო საქართველოში ჩამოსვლის გადაწყვეტილება, რაც საბოლოო ჯამში 2016 წლის ჩარიცხვების რაოდენობაზე აისახა. [52]

[52] საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი.
http://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები თანდათან იწყებენ საერთაშორისო სტუდენტთა მოთხოვნების გათვალისწინებას და შედეგად, სულ უფრო მეტი ქართული უნივერსიტეტი სთავაზობს უცხოელ სტუდენტებს უცხოენოვან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სასწავლო პროგრამებს. 2014 წლისათვის 25 ქართულ უნივერსიტეტში 160 უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ისწავლებოდა, 2016 წელს კი 33 ასეთი უნივერსიტეტი იყო 205 უცხოენოვანი პროგრამით, საიდანაც ნახევარზე მეტი (127) ინგლისურენოვანია.[53]

2006-2016 წლებში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული ყველაზე მეტი უცხოელი სტუდენტი აზერბაიჯანიდან, ინდოეთიდან, თურქეთიდან, ნიგერიიდან, რუსეთიდან და ერაყიდან იყო. ეს მონაცემები შეესაბამება სსგს-ს მიერ გაცემულ სასწავლო ბინადრობის ნებართვების მაჩვენებლებს. გაცილებით დაბალია უცხოელი სტუდენტების რაოდენობა პროფესიულ სასწავლებლებში. განათლების და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს პროფესიულ სასწავლებლებში 2015 წელს - 119, ხოლო 2016 წელს 106 უცხოელი სტუდენტი სწავლობდა. უცხოელ მოსწავლეთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებშიც. 2011/2012 სასწავლო წლებში მათი რაოდენობა 1,147-ს შეადგენდა, ხოლო 2016/2017 სასწავლო წელს 4,177-მდე გაიზარდა. საშუალო სკოლებში უცხოელ მოსწავლეთა უმრავლესობა რუსეთის (38%), აზერბაიჯანის (14%), უკრაინის (11%), სომხეთის (8%), აშშ-ს (5%) და თურქეთის (4%) მოქალაქეებისგან შედგება. მოსწავლეთა ეს კატეგორია, სავარაუდოდ, საქართველოში ჩამოსულია ოჯახთან გაერთიანების მიზნით და არა კონკრეტულად ზოგადი განათლების მიღებისთვის. [54]

გ) შრომითი იმიგრანტები

---

[53] საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი.
file:///C:/Users/g.gabunia/Desktop/სემინარი/migraciis_profili_2017_a4_new.pdf

[54] მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი: უცხოელი სტუდენტები საქართველოში
http://bit.ly/2zdm6YA

შრომის ბაზრის მობილობა საქართველოში რეგულირდება „შრომითი მიგრაციის შესახებ“, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონებით[55] და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებით. „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოში ლეგალურად მცხოვრები უცხოელები და საქართველოს მოქალაქეები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ შრომით ბაზარზე. ადგილობრივ დამსაქმებლებს არ აქვთ შეზღუდვები უცხოური სამუშაო ძალის დასაქმებისას. სსგს-ს მონაცემების მიხედვით, ბოლო წლებში გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვების რიცხვი მზარდია. 2015 და 2016 წლებში გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა დაახლოებით ორჯერ აღემატება წინა წლებში გაცემული ამავე ტიპის ბინადრობის ნებართვების რიცხვს.[56]

ცხრილი N5: შრომითი ბინადრობის ნებართვის მფლობელთა რაოდენობა იმ 5 ქვეყნის მიხედვით, რომელთა მოქალაქეებზეც გაიცა ყველაზე მეტი ნებართვა 2012-2016 წლებში (პირველადი ნებართვები და გაგრძელებები).[57]

ქვეყანა/წელი	2012	2013	2014	2015	2016	სულ
თურქეთი	806	736	1,336	2,911	1,950	7,739
ჩინეთი	1,803	1,416	954	1,449	1,551	7,173
ინდოეთი	396	328	364	600	2,669	4,357
ირანი	822	312	211	524	1,027	2,896
უკრაინა	63	71	224	1102	483	1,943

დ) უცხოელი მეწარმეები/ინვესტორები

[55] კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ (2015 წ.) https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732 კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ (2014 წ.) http://bit.ly/2AST7Yb

[56] გასათვალისწინებელია, რომ შრომითი ბინადრობის ნებართვა გაიცემა როგორც შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად ჩამოსულ უცხოელებზე, ასევე სამეწარმეო საქმიანობის (თვითდასაქმებული პირები) და თავისუფალი პროფესიის ადამიანებზეც

[57] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. https://sda.gov.ge/

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, 2012-2016 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ან ბინის/სახლის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის 34,024 შემთხვევა დაფიქსირდა. უცხოელებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლებით შეძენაზე მორატორიუმის ამოქმედების შემდეგ, 2014 წელს, უცხოელების მიერ ასეთი მიწების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები მკვეთრად შემცირდა. თუმცა მას შემდეგ, რაც მორატორიუმი მოიხსნა,72 2015 წლიდან, ეს რიცხვი კვლავ მზარდია, ისევე როგორც უცხოელთა მიერ ბინის ან სახლის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები (იხ. ცხრილი N6). [58]

ცხრილი N6: უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება წლების და ქონების ტიპის მიხედვით.

წელი	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	ბინა/სახლი	სულ
2012	1,776	987	1871	4,634
2013	2,146	1,273	2,808	6,227
2014	1,424	1,651	3,943	7,018
2015	3,209	878	3,283	7,370
2016	4,443	920	3,412	8,775
სულ	12,998	5,709	15,317	34,024

ასევე სტატისტიკისთვის და გარკვეული წარმოდგენების შესაქმნელად აუცილებელია კარგად გაანილიზებულ იქნეს ის ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებიც ყველაზე ხშირად არეგისტრირებენ სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტებს, რათა კარგად გამოჩნდეს იმიგრაციის პროფილში რა ეკონომიკური ფაქტოების

[58] საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი.
http://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0

მატარებელი შეიძლება იყოს ცხრილი N7-ში მოყვანილი ციფრები. მათ შორის ჭარბობენ ირანის, თურქეთისა და ეგვიპტის მოქალაქეები.

ცხრილი N7: ყველა ტიპის რეგისტრირებული სამეწარმეო/არასამეწარმეო სუბიექტების ჯამური რაოდენობა უცხო ქვეყნის მოქალაქეების ძირითადი წარმოშობის ქვეყნების მიხედვით (2012-2016 წწ.). [59]

ირანი	7110
თურქეთი	5171
ეგვიპტე	3507
ინდოეთი	2817
რუსეთი	2555
უკრაინა	1915
აზერბაიჯანი	1575
ერაყი	1407
სომხეთი	916
ჩინეთი	708
აშშ	673
ისრაელი	567
პაკისტანი	427
სირია	413

ინვესტიციების განხორციელებასთან ერთად უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უფლება აქვთ, აღნიშნული საფუძვლით საქართველოში ბინადრობის ნებართვაც მოიპოვონ. ბოლო ორი წლის (2015-2016 წწ.) განმავლობაში გაცემული საინვესტიციო და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვების რიცხვი სხვა ტიპის ბინადრობის ნებართვებთან შედარებით, საკმაოდ დაბალია. თუმცა 2016 წელს მკვეთრად გაიზარდა

[59] საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი. http://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0

მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა. მათი უმრავლესობა ირანის და ერაყის მოქალაქეებზეა გაცემული, ხოლო საინვესტიციო ბინადრობის ნებართვების დიდი ნაწილი ეგვიპტის, ერაყის და ირანის მოქალაქეებზე ნაწილდება (იხ. ცხრილი N8)[60]

ცხრილი N8: 2015-2016 წლებში გაცემული მოკლევადიანი და საინვესტიციო ბინადრობის ნებართვები ძირითადი მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით. [61]

საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა		მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა	
ერაყი	80	ირანი	101
ეგვიპტე	73	ერაყი	89
ირანი	47	რუსეთი	42
რუსეთი	18	უკრაინა	29
ინდოეთი	16	ეგვიპტე	12

ე) „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ლტოლვილის სტატუსის, ჰუმანიტარული სტატუსისა და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მაძიებელთა სტატისტიკა

2012-2016 წლებში საქართველოში 5,504 თავშესაფრის მაძიებლის განცხადება დარეგისტრირდა. 2016 წელს თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვმა 974 შეადგინა, რაც წინა ორი წლის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად ნაკლებია (იხ. ცხრილი N9). 2014 წლიდან განსაკუთრებით გაიზარდა თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა ერაყიდან

[60] საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი.
http://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0

[61] მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა გაიცემა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35,000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, და მისი ოჯახის წევრებზე (გაიცემა 2015 წლის ივნისიდან). საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა გაიცემა უცხოელზე, რომელმაც საქართველოში განახორციელა არანაკლებ 300,000 ლარის ოდენობის ინვესტიცია „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში ბინადრობის ნებართვა ასევე გაიცემა მისი ოჯახის წევრებზეც

და უკრაინიდან, რაც ამ ქვეყნებში განვითარებული შეიარაღებული კონფლიქტებით აიხსნება. როგორც N9 ცხრილი აჩვენებს, 2012-2016 წლებში შემოსული თავშესაფრის მაძიებელთა განცხადებების ნახევარზე მეტი ერაყის მოქალაქეებზე მოდის. რაც შეეხება სქესობრივ გადანაწილებას, 2012- 2016 წლებში საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა უმრავლესობა (65%) მამრობითი სქესის წარმომადგენელია. განსხვავებული მდგომარეობაა მხოლოდ უკრაინის მოქალაქეების შემთხვევაში, სადაც თავშესაფრის მაძიებელთა 38% მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 62% - მდედრობითის.[62]

ცხრილი N9: საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების რაოდენობა ძირითადი წარმოშობის ქვეყნების მიხედვით.

	განაცხადების რაოდენობა					
ძირითადი წარმოშობის ქვეყნები	2012	2013	2014	2015	2016	სულ
ერაყი	438	478	1070	650	259	2,895
უკრაინა	1	2	419	404	54	880
ეგვიპტე	26	79	41	31	73	250
ირანი	41	26	44	25	63	199
სირია	17	60	79	19	21	196
ბანგლადეში	1	9	2	80	69	161
რუსეთი	36	28	30	27	34	155
სხვა	39	35	107	213	374	768
სულ თავშესაფრის მაძიებლები	599	717	1792	1449	947	5504

წყარო: ლტოლვილთა სამინისტრო

[62] საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი.
http://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0

საქართველო თავშესაფრის მაძიებელ პირებს უზრუნველყოფს დროებითი განთავსებით სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ ცენტრში, რომელიც სოფელ მარტყოფში მდებარეობს. თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის პირველი კორპუსი 60 ადამიანზეა გათვლილი და იგი 2010 წლის ივნისიდან ფუნქციონირებს. 2016 წლის თებერვლიდან ფუნქციონირება დაიწყო თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის მეორე კორპუსმაც, რომელიც გათვლილია 72 ადამიანზე.

თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა დროებითი განთავსების ცენტრში ბოლო ხუთი წლის (2012-2016 წწ.) განმავლობაში 76-დან 121-მდე მერყეობს. ცენტრში განთავსებას, ძირითადად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოქალაქეები ითხოვენ (იხ. ცხრილი N10)

ცხრილი N10: თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა დროებითი განთავსების ცენტრში წარმოშობის ქვეყნების მიხედვით.

წარმოშობის ქვეყანა	2012	2013	2014	2015	2016
ერაყი	50	52	31	36	3
ეგვიპტე	2	17	7	9	13
ირანი	11	2	2	13	12
რუსეთი	3	7	4	7	6
აზერბაიჯანი	2	1	5	4	8
ავღანეთი	1	0	1	4	14
სირია	1	1	9	5	0
სხვა	22	12	17	43	31
სულ	92	92	76	121	87

საქართველოში ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა ბოლო ხუთი წლის (2012-2016 წწ.) განმავლობაში მზარდია. 2016 წლისთვის საქართველოში საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი 1,513 პირი იყო, რაც ოთხჯერ აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს (345). ლტოლვილის სტატუსის მქონე

პირთა რაოდენობა ბოლო 5 წლის (2012-2016 წწ.) განმავლობაში 297-დან 414-მდე მერყეობს; ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭება საქართველოში 2013 წლიდან დაიწყო და 2016 წელს ასეთი სტატუსის მქონე პირთა რაოდენობამ საქართველოში 1,099-ს მიაღწია.[63]

ვ) კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელები

შსს-ს მონაცემებით, 2012-2016 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნის სულ 19,117 შემთხვევა გამოვლინდა. აღნიშნული სტატისტიკა მოიცავს იმ უცხოელებს, რომლებიც კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ დარჩნენ ქვეყანაში და არ მოიცავს იმ პირებს, რომლებმაც არალეგალურად გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. როგორც N11 ცხრილი გვიჩვენებს, ასეთი შემთხვევების ყველაზე მაღალი რიცხვი (7,938) 2015 წელს დაფიქსირდა, რაც ნაწილობრივ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ახალი კანონის ამოქმედებით და უცხოელთა საქართველოში შემოსვლის/ყოფნის ვადების და საფუძვლების შეცვლით იყო განპირობებული.[64]

ცხრილი N11: საქართველოში გამოვლენილი კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების რაოდენობა ძირითადი მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით (2012-2016 წწ.).

	რაოდენობა					
მოქალაქეობის ქვეყანა	2012	2013	2014	2015	2016	სულ
რუსეთი	1,339	1,357	1,225	1,926	399	6,246
თურქეთი	175	215	329	1,122	135	1,976
ჩინეთი	204	194	423	594	521	1,936
ირანი	85	280	617	266	309	1,557

[63] საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი.
http://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0
[64] საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია.
http://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0

აზერბაიჯანი	0	1	175	1,136	197	1,509
სომხეთი	0	0	62	1,089	286	1,437
ინდოეთი	99	107	157	192	269	824
სხვა	210	387	582	1,613	840	3,632
სულ	2,112	2,541	3,570	7,938	2,956	19,117

ამ ჯგუფში უცხოელთა უმრავლესობას წარმოადგენენ რუსეთის მოქალაქეები (6,246), ხოლო, მომდევნო ადგილებს იკავებენ თურქეთის, ჩინეთის, ირანის, აზერბაიჯანის, სომხეთის და ინდოეთის მოქალაქეები. სწორედ ამ შვიდი ქვეყნის მოქალაქეები შეადგენენ ბოლო ხუთი წლის (2012-2016 წწ.) განმავლობაში საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების 80%-ზე მეტს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნების მოქალაქეები ასევე წარმოადგენენ საქართველოში ლეგალურად მყოფ იმიგრანტთა ყველაზე დიდ ჯგუფებსაც.

ზ) დემოგრაფიული მდგომარეობა

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის საბოლოო შედეგების მიხედვით, 2015 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3,713,700 შეადგინა.[65] 2002 წლის აღწერის შედეგებთან შედარებით, მოსახლეობის რიცხოვნობა 2014 წლის აღწერისთვის 657,731-ით შემცირდა. საქსტატის მონაცემებით, 2016 წლის 1 იანვრისთვის მოსახლეობის რიცხოვნობამ 3,720,400, ხოლო 2017 წლის 1 იანვრისთვის - 3,718,200 შეადგინა. ამასთან, საქართველოს მოსახლეობა კლებასთან ერთად, დაბერების ტენდენციითაც ხასიათდება, რადგან 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 2014 წლის აღწერის შედეგებით 1.6%-ით გაიზარდა და 14.3% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დაბერების პროცესის ერთ- ერთი ხელშემწყობი ფაქტორი ემიგრაციაა. [66]

[65] http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf
[66] საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი.
http://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0

გასათვალისწინებელია, ზემოაღნიშნული ციფრები არ იძლევა 2018 წლის მდგომარეობით სურათს, თუმცა მინდა ავღნიშნო, რომ ჩემი ჩართულობით მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან არსებული სამდივნოს სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის პროცესში შესაბამისმა უწყებებმა წარმოადგინეს სავარაუდო სურათი უახლესი პერიოდის მდგომარეობისა, რაც საკმაოდ სავალალოა. ქვეყნიდან გასული და იმიგრაციის შედეგად შემოსულთა ციფრები უარყოფით ბალანსს აჩვენებს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ 2017 წლის ბოლოსთვის შობადობის მაჩვენებელი საკმაოდ შემცირებულია.

IV თავი. მიგრაცია და სახელმწიფო უსაფრთხოება

მიგრაციას ხშირად აკავშირებენ ეროვნულ უსაფრთხოებასთან, მან შეიძლება დადებითი და გავლენა იქონიოს ქვეყნის განვითარებაზე, თუმცა შესაძლებელია საფრთხესაც შეიცავდეს როგორც წარმომშობი ისე მიმღები ქვეყნისთვისაც. ზემოაღნიშნულ თავებში მოყვანილი სტატისტიკის გათვალისწინებით, რომლებიც აშკარა დისბალანს აჩვენებს ქვეყნიდან გასულ და მიგრაციის პროცესში შემოსულ პირებთან მიმართებით, საყურადღებოა. მაგალითად „ინტელექტის“ გადინების შემთხვევაში, როდესაც განათლებული ადამიანები ტოვებენ ქვეყანას (ძირითადად აქტიური და შრომისუნარიანი ადამიანები) მიგრაცია იქცევა საფრთხედ, რადგან ის უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალსა და განვითარებაზე. ასევე ისეთი ქვეყნის პირობებში, როგორიც საქართველოა, რომელსაც მწვავედ უდგას დემოგრაფიული საკითხი შეიძლება გამოიწვიოს სოციალურ-ეკონომიკური დისბალანსი.

მიგრანტთა ნებისმიერი კატეგორიის დიდი რაოდენობით შესვლა მიმღებ სახელმწიფოში დიდი გამოწვევაა ეროვნული უსაფრთხოებისათვის შრომისა და უძრავი ქონების ბაზრების, ასევე კეთილდღეობისა და ჰუმანიტარული სისტემების თვალსაზრისით. როგორც სალეჰიანისა და გლედვიჩის კვლევებიდან ჩანს, დიდი მიმგრაციული ნაკადები ქვეყანაში ზრდის შიდაკონფლიქტების რისკს. მისი აზრით ის

ქვეყნები, რომლებიც მსგავსი კონფლიქტების მსხვერპლნი გახდნენ, არ გამოირჩეოდნენ შიდა სტაბილურობით, დეოკრატიული წესწყობილებითა და კეთილდღეობით.[67] ამ საფრთხეების წინაშე ნებისმიერი განვითარებადი ქვეყანა შეიძლება აღმოჩნდეს და რა თქმა უნდა საქართველოც, შესაბამსად აუცილებელია გააზრებული სტრატეგიული თვალთახედვა მიგრაციული პროცესების და შესაბამისი მზაობა ნებისმიერი შესაძლო მოვლების მიმართ.

ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ქართულ საზოგადოებას სჯერა, რომ ქვეყანაში გაზრდილი იმიგრაცია საფრთხეა. 2015 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, გამოკითხულთა უმრავლესობამ დაადასტურა თავისი შიში გაზრდილი იმიგრაციის მიმართ. მათი მოსაზრებების დიდი ნაწილი ეფუძნებოდა სტანდარტულ სტერეოტიპებს[68] (სამუშაო ადგილების შემცირება, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის მასობრივი შეძენა და დემოგრაფიული პრობლემები).

V თავი. დასკვნა და ბიბლიოგრაფია

ზემოაღნიშნული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ასევე ამ საკითხების მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან არსებული სამდივნოს სამუშაო ჯგუფში ჩემი აქტიური ჩართულობით და სამსახურებრივი დაკვირვების გათვალისწინებით გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები რისი დამატებით შესწავლა ვფიქრობ აუცილებელია:

1. აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ბინადრობის ნებართვების გაცემის პროცედურებზე, რომელსაც სამსახურებრივი დაკვირვების შედეგად დავადგინე, რომ გარკვეული კატეგორია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა (განსაკუთრებით ახლო

[67] Idean Salehian, Chrisian Gleditsch, Refugees and Spread of Civil War, International Organization, ტომი 60, #2. გვ.361.

[68] Center for Innovation and Reforms (2015), Immigration in Georgia: Existing situation and challenges; Report on main findings, http://irc.ge/wp-content/uploads/2014/05/Immigration-to-Georgia_Eng.pdf.

აღმოსავლეთიდან შემოსული პირები) ბოროტად იყენებენ ქართული კანონმდებლობის ლიბერალურ მიდგომებს სათავისოდ. ამ პროცესებში აქტიურად ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც უკვე ჩვენი კანონმდებლობის სისუსტეების გამოყენებით საქართველოში დამკვიდრდნენ, ქმნიან სააგენტოებს და სხვადასხვა ორგანიზაციებ, რომლებიც ორიენტირებული არიან ასცავლონ თუ როგორ მარტივად შემოვიდნენ ქვეყანაში და მარტივი პროცედურების გამოყენებით მიღონ ბინადრობის უფლება. რა თქმა უნდა საქართველოს კარი ყველასთვის ღიაა ნებისმიერი სოციალური ფენის ადამიანისთვის, მაგრამ როდესაც საქმე ეხება ეკონომიკური და ბინადრობის ნებართვის მქონე მიგრანტებს, აქ უმნიშვნელოვანესია სწორი პოლიტიკის განსაზღვრა. აუცილებელია ბინდადრობის ნებართვისა და D5 კატეგორიის ვიზის მიღებისთვის დაწესებული კრიტერიუმების დახვეწა და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის[69] დღეს მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს ბინადრობის ნებართვის გაცემას პირისათვის არანაკლებ 300 000 ლარის ინვესტიციის საფუძველზე[70] ან საქართველოს ტერიტორიაზე იმ უძრავი ქონების საკუთრებაში ქონის შემთხვევაში, რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35 000 აშშ დოლარს ეკვივალენტი ლარებში.[71] ამასთან, საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გაიცემა უვადოდ, ხოლო მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა კი 1 წლის ვადით. ვინაიდან წინამდებარე კანონის ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს ოჯახის ერთიანობა (რომელის აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ და გამყარებულია შესაბამისი კონვენციებით), ერთი ადამიანისთვის ბინადრობის ნებართვის მინიჭება ავტომატურად გულისხმობს მისი ოჯახის წევრებისთივ ბინადრობის ნებართვით აღჭურვას. ამდენად, ბინადრობის ნებართვისა და D5 კატეგორიის ვიზის მიღება შეუძლია არამხოლოდ ინვესტორს ან

[69] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2278806
[70] საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა
[71] მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა და D5 კატეგორიის ვიზა

უძრავი ქონების მესაკუთრეს, არამედ ბინადრობის ნებართვის ან D5 კატეგორიის ვიზის მქონე პირის ოჯახის წევრებსაც.

იგივე უნდა ითქვას მუდმივი ბინადრობის მოწმობის გაცემისთვის განსაზღვრულ თანხაზეც (300000 ლარი) რაც დღევანდელ დღეს არარელევანტურია მუდმივი ბინადრობის მოწმობის საპირწონედ. პრაქტიკამ აჩვენა, რომ არსებული რეგულაცია ბინადრობის მოწმობით დაინტერესებულ უცხოელებს აძლევს საშუალებას იმოქმედონ არაკეთილსინდისიერად და ერთჯერადად მოიპოვონ საფუძვლები ბინადრობის მოწმობის მოსაპოვებლად. უფრო მეტიც, საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა გაიცემა მუდმივი ცხოვრების უფლებით, ინვესტიციის ერთჯერადად განხორციელებით იმგვარად, რომ კანონი არ ავალდებულებს ინვესტორს ინვესტიციის შენარჩუნებას და არც სხვა რაიმე სავალდებულო დანაწესს ავრცელებს მასზე. ეს კი არ არის ხელსაყრელი საქართველოს საინვესტიციო ბაზრისთვის, რამდენადაც ინვესტიციის განხორციელებისა და ბინადრობის აღების შემდეგ პირმა შესაძლოა უკან გაიტანოს ინვესტიცია, რომელიც შეიძლება ასევე წარმატებით იქნას გამოყენებული სახვა უცხოელის მიერ, რისი ფგაქტებიც სამწუხაროდ ფიქსირდება და შესაბამის სამსახურებს უწევთ საკმაოდ დიდი რესურსის დახარჯა აღნიშნული ფაქტების გამოსავლენად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია კანონმდებლობამ დაადგინოს გარკვეული წინაპირობები: მაგალითად მუდმივი ბინადრობის ნებართვამდე ინვესტორზე გაიცეს საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა 5 წლის ვადით. აღნიშნული ვადაში ინვესტორმა უნდა დაამტკიცოს მისი ეკონომიკური საქმიანობის სამდვილობა, რათა შემდეგ განაცხადი გააკეთოს მუდმივი ბინადრობის მოსაპოვებლად. ამასთან საჭიროა დაწესებული საინვესტიციო თანხა 300 000 ლარის გარკვეულ ნიშნულამდე გაზრდა, რაც მოგვცემს რეალური ინვესტიციის განხორციელების სურათს.

გასათვალისწინებელია, რომ ვიზალიბერალიზაციის პროცესი და საქართველოს ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოება საქართველოს ბინადრობის მსურველთა რიცხვს ზრდის და არსებული ინფრომაციით წინა წლებთან შედარებით გაორმაგებულია. იმის გათვალისწინებით, რომ საინვესტიციო ბინადრობის, როგორც წამახალისებელი მექანიზმის, იმპულსი ინვესტორთათვის განპირობებულია ეკონომიკის გაძლიერებისა და სამუშაო ადგილების ზრდის მოტივით, დასაქმების ბაზრის ზრდა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა 300000 ლარიანი ზღვრის გაზრდით უფრო რეალური.

ასევე არაკეთილსინდისიერ მოქმედებები დაფიქსირდა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვისა და D5 კატეგორიის ვიზის მიღებასთან დაკავშირებით. კერძოდ კანონის თანახმად საჭიროა საკუთრების უფლების შენარჩუნება ქონებაზე, თუმცა საკუთრების უფლების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია საჯარო რეესტრის სააგენტოდან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სავალდებულო წესით არ მიეწოდება, შესაბამისად გარკვეული კატეგორიის უცხოელების მიერ ხდება ამ ხარვეზით სარგებლობა და ამ ქონების მრავალჯერადი გამოყენება. შესაბამისად აუცილებელია ბინადრობის ნებართვის გამცემმა ორგანომ (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ) საჯარო რეესტრს მიაწოდოს იმ პირთა სია, ვინც ბინდარობის ნებართვას იღებენ უძრავი ქონების საკუთრებაში ქონის საფუძველზე, შესაბამისად თუ აღნიშნულ ქონებაზე ამ პირების საკუთრების უფლება შეწყდება, საჯარო რეესტრმა უნდა აცნობოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად.

2. საკითხი, რომელიც აუცილებლად შესასწავლია და სახელმწიფოს მხრიდან რაც შეიძლება მალე რეაგირებას საჭიროებს უცხოელთა ინტეგრაციაა. რამოდენიმე წელში თუ სახელმწიფოს არ ექნება სწორად გათვლილი და გაანალიზებული მოქმედების გეგმა თუ როგორ უნდა მოხდეს უკვე სახელმწიფოში შემოსული ათი ათასობით მიგრანტის ინტეგრაცია, შეიძლება მივიღოთ პატარ პატარა კომუნები,

რომლებიც ვერ ინტეგრირდებიან საზოგადოებაში, მოხდება მათი გაუცხოება, რაც შემდგომში შეიძლება გარკვეული კონფლიქტური პროცესების საფუძველი გახდეს.

რა თქმა უნდა სწორი პოლიტიკის წარმოების შემთხვევაში იმიგრანტებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ მიმღები ქვეყნის ეკონომიკური, ასევე დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებასა და კულტურის გამრავალფეროვნებაში. შესაბამისად, უცხოელთა ინტეგრაციის პოლიტიკის სწორ დაგეგმვას და განხორციელებას შეუძლია ხელი შეუწყოს ქვეყნის განვითარებას და გაზარდოს ის სარგებელი, რომელიც იმიგრანტებისგან შეიძლება მიიღოს სახელმწიფომ. ბოლოდროინდელი კვლევები მიუთითებენ, რომ საზოგადოება იმიგრანტთა და იმიგრაციის დადებითი მხარეების შესახებ ნაკლებადაა გათვითცნობიერებული. თავის მხრივ, იმიგრანტებიც (მიუხედავად მათთვის მინიჭებული უფლებებისა) არასაკმარისად ინფორმირებული არიან ინტეგრაციის შესაძლებლობებზე, ან თავად არ ინტერესდებიან ამგვარი უფლებების შესახებ ინფორმაციით. თუმცა ორივე შემთხვევაში როგორც მიმღები საზოგადოების, ასევე იმიგრანტთა არასაკმარისი ინფორმირებულობა გარკვეულ სირთულეებს წარმოშობს და არასასურველ ნიადაგს ქმნის ამ უკანასკნელთა წარმატებული ინტეგრაციისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, შემუშავდეს კონკრეტული მექანიზმები იმიგრანტთა ინტეგრაციისთვის და შეიქმნას ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც იმუშავებდა საქართველოში ჩამოსულ გრძელვადიან იმიგრანტთა ინტეგრაციაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. IOM, Glossary on Migration, http://migration.commission.ge/files/glosaary.pdf.

2. საფრანგეთში მომხდარი ყველაზე მასშტაბური ტერორისტული აქტები, საზოგადოებრივი მაუწყებელი. http://old.1tv.ge/ge/news/view/111169.html

3. Mortimer Chambers, Reymond Grew, David Herlihy, Theodore K. Rabb, Isser Woloch, Eugine Rice The Western Experience, 4th edition, Alfred A. Knopf, INC. 1987.

4. https://goo.gl/vJnSN8

5. https://euobserver.com/foreign/131307.

6. Jeremy Black, World History Atlas, 3rd edition, A Penguin Company Ltd. 2008;

7. World Migration in Figures a joint contribution by UN-DESA and the OECD to the United Nations High Level Dialogue on Migration and Development, October 2013.

8. https://goo.gl/ZiXOaM.

9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები. http://geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

10. ვახტანგ ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბილისი: მეცნიერება, 1996 წ.

11. რევაზ გაჩეჩილაძე, მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, თბილისი: გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა, 1997წ.

13. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: თბილისი, 2014 წ. https://goo.gl/lKqmQk.

14. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 ოქტომბრის №314 დადგენილება „მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1049764.

15. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის №117 ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1699551.

16. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამუშაო ჯგუფები. https://goo.gl/MllfD0.

17. მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი (IOM). https://migration.commission.ge/files/glosaary.pdf.

18. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ (ძალადაკარგულია 2014 წლიდან). https://matsne.gov.ge/ka/document/view/32596.

19. საქართველოს კანონი „საქართველოდან ემიგრაციის შესახებ“ (ძალადაკარგულია 2009 წლიდან). https:// https://matsne.gov.ge/ka/document/view/93820.

20. საქართველოს კანონი „იმიგრაციის შესახებ“ (ძალადაკარგულია 2006 წლიდან). https:// https://matsne.gov.ge/ka/document/view/93826.

21. საქართველოს კანონი „ლტოლვილთა შესახებ“ (ძალადაკარგულია 2012 წლიდან). https://matsne.gov.ge/ka/document/view/31858.

22. მიგრაციის სახელმძღვანელო, თბილისი, 2017 წ. ნაწილი XIV, მიგრაცია და საჯარო მართვა.

23. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 მარტის №59 დადგენილება „საქართველოს 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1874689

24. საქართველოს მიგრაციის პროფილი 2015, მიგრაციის მართვა.

25. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 დეკემბრის №622 დადგენილება „საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/3095139

26. საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა. https://goo.gl/UeHFhV

27. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2279821

28. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1981264

29. http://mes.gov.ge/uploads/300.

30. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3331420

31. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3660371

32. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3650131

33. https://goo.gl/5BGBXw

34.http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/GDP%202016%20Press%20release_Geo.pdf

35. http://hdr.undp.org/en/content/human-development-index-hdi

36. http://mfa.gov.ge/visa-free-guide.aspx

37. http://mfa.gov.ge/ევროპული-და-ევრო-ატლანტიკური-ინტეგრაცია.

38. http://www.doingbusiness.org/data

39. United Nations Department of Economic and Social Affairs. https://www.un.org/development/desa/en/

40. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. https://sda.gov.ge/

41. nternational migrant stock - by destination and origin. http://bit.ly/1W6TROn

42. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილება: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2841058

43. კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ (2015 წ.) https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732 კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ (2014 წ.) http://bit.ly/2AST7Yb

44. http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

45. Idean Salehian, Chrisian Gleditsch, Refugees and Spread of Civil War, International Organization, ტომი 60, #2.

46. Center for Innovation and Reforms (2015), Immigration in Georgia: Existing situation and challenges; Report on main findings, http://irc.ge/wp-content/uploads/2014/05/Immigration-to-Georgia_Eng.pdf.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დოქტორანტის სემინარი თემაზე:

სამოქალაქო აქტივიზმი - პოლონური პროფკავშირი „სოლიდარობა“

სტუდენტი: მიხეილ სადაღაშვილი

ხელმძღვანელი: სალომე დუნდუა

2018 წელი

სარჩევი

შესავალი ..... (3)

თავი I პრე სოლიდარული წინააღმდეგობები და „სოლიდარობის“ ჩამოყალიბების ბიძგი..... (4-8)

თავი II „სოლიდარობის“ შექმნა ..... (9-23)

2.1 გდანსკის გემთსაშენის ეზო..... (9-12)

2.2 ხელისუფლების უკანასკნელი წინააღმდეგობა..... (13-17)

2.3 მრგვალი მაგიდა და მიღწევები..... (17-22)

2.4 სოლიდარობა სოლიდარობას..... (22-23)

დასკვნა ..... (24)

ბიბლიოგრაფია და წყაროები .....(25-31)

\

შესავალი

80-იან წლებში პოლონეთში მიმდინარე მოვლენებმა უდიდესი გავლენა იქონია დღევანდელი ევროპის ჩამოყალიბებაზე. საბჭოთა ბლოკში შემავალი პოლონეთი წარმოადგენდა საზოგადოებრივი პოლიტიკის განხორციელების საუკეთესო მაგალითს, როდესაც პოლიტიკას ქმნის ხალხი, საზოგადოება და არა „თბილ სავარძლებში“ მსხდომი (ზოგიერთი კი მჯდომი) პარტიული ნომენკლატურა. ეს ნაშრომი არის იდეის შესახებ, რომელიც გდანსკის პორტში დაიბადა და რომელმაც „ბოროტების იმპერია“ დაამარცხა. ამ იდეას სოლიდარობა ჰქვია.

სიმბოლურია და ლოგიკურიც, რომ უზარმაზარი ჩაკეტილი სივრცის, საბჭოთა ბლოკის გათავისუფლება, სწორედ პატარა ზღვისპირა პოლონური ქალაქიდან გდანსკიდან დაიწყო.

გდანსკს მეოცე საუკუნის დასაწყისში გერმანული სახელი, დანციგი, ერქვა. 1920-1939 წლებში ვერსალის ხელშეკრულების მიხედვით დანციგს თავისუფალი ქალაქის სტატუსი მიანიჭეს, რაც გულისხმობდა, რომ ქალაქის ცხოვრებას სხვა სახელმწიფოების მთავრობა კი არ განაგებდა, არამედ ერთა ლიგა. ტერმინი „თავისუფალი ქალაქი“, რომელიც იმხანად საერთაშორისო პოლიტიკურ-სამართლებრივ დატვირთვას ატარებდა, ქალაქის მცხოვრებთათვის ალბათ იდენტურ ნიშნად იქცა.

თავი I

პრე სოლიდარული წინააღმდეგობები და „სოლიდარობის“ ჩამოყალიბების ბიძგი

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, კერძოდ კი 1945 წლის თებერვალში იალტის შეხვედრაზე ანტიჰიტლერული კოალიციის ლიდერებმა - ჩერჩილმა, რუზველტმა და სტალინმა - ევროპის ზოგიერთი ქვეყნის საზღვრები ისე შეცვალეს და მათი ომის შემდგომი არსებობა ისე განსაზღვრეს, რომ ამ ქვეყნებისთვის, კერძოდ კი მათი მოსახლეობისთვის, არაფერი უკითხავთ (Yalta Conference WORLD WAR II, Marco Sampaolo Jul 26, 2016. https://www.britannica.com/event/Yalta-Conference
). ამ ქვეყნების სიაში მოხვდა პოლონეთიც. აღნიშნულმა ქმედებამ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს თითქმის ნახევარი საუკუნით წაართვა თავისუფლება და დემოკრატიის შანსი, რადგან ისინი ძალაუნებურად საბჭოთა ბლოკის კუთვნილებაში აღმოჩნდნენ.

ომის შემდგომ პერიოდში მრავალი პოლონური იატაკქვეშა სახალხო განმანთავისუფლებელი მოძრაობა გააქრეს, აღნიშნული მოძრაობების წევრები კი „ხალხის მტრებად“ შერაცხეს, ზოგი დახვრიტეს და ზოგსაც ხანგრძლივი ან სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს (Marco Sampaolo, the Polish Secret War: Memoir of a World War II Freedom Fighter By Marian S. Mazgaj, Jul 26, 2016. https://books.google.ge/books?id=a5eeUh5QlBgC&pg=PA39&lpg=PA39&dq=polish+hidden+porganisation+after+world+war+@@&source=bl&ots=9kgqKBgFQ6&sig=ITBfCGqniJBxJlRtIHk811PPuO0&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjLhuuLt-zbAhUQMuwKHQyoAEEQ6AEIYzAM#v=onepage&q=polish%20hidden%20porganisation%20after%20world%20war%20%40%40&f=false). ხალხი დაითრგუნა ამ პერიოდში,

რადგან იდევნებოდა თავისუფლების უმცირესი გამოვლინებაც კი. აღნიშნულის მისაღწევად რეჟიმი სადამსჯელო მეთოდებს იყენებდა.

მას შემდეგ, რაც სტალინი მოკვდა პოლონელ ხალხში გაჩნდა განცდა რომ რეჟიმი შერბილდა, თუმცა ამგვარი აზრი რეალობას მოკლებული იყო, რაც 1956 წლის პოზნანის სისხლიანმა ამბებმა გააქარწყლა, როდესაც სოციალური მოთხოვნით გაფიცულ მეტალურგიული ქარხნის მუშებს მთავრობამ ავიაცია და ტანკები დაუპირისპირა (History of Poland (1945-1989). http://www.newworldencyclopedia.org/entry/History_of_Poland_(1945-1989)). აღნიშნულმა ამბავმა ხალხს უკეთ დაანახა რეჟიმის რეალური სახე.

აღნიშნულის შემდეგ მნიშვნელოვანი მოვლენა ამ კუთხით იყო 1968 წლის სახალხო ამბოხი (The Polish March: students, workers, and 1968 NEAL ASCHERSON 6 March,2008. https://www.opendemocracy.net/article/globalisation/the_polish_march_students_workers_and_1968). ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ინტელიგენციას და როდესაც რეჟიმმა სტუდენტური მოძრაობა დემოკრატიისათვის ჩაახშო.

1970 წელს დეკემბერში, როდესაც სურსათზე მკვეთრად გაიზარდა ფასები რამაც გდანსკში საწარმოების გაფიცვა გამოიწვია, თუმცა ხელისუფლება კვლავ ძველებურად მოქმედებდა. მილიციამ მიიღო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ბრძანება და ასევე ქალაქში რეგულარული არმიის ნაწილებიც გამოჩნდნენ, რომლებიც არა მხოლოდ აქციის მონაწილეებს, არამედ უბრალო გამვლელებსაც ცეცხლს უხსნიდნენ. შედეგად დაიღუპა ასობით მოქალაქე, უფრო მეტი დაიჭრა, ხოლო 3000- მდე ადამიანი დააპატიმრეს. გარდაცვლილთა ოჯახებს აშინებდნენ და გვამებს საიდუმლოდ ასაფლავებდნენ (December 1970: When Polish workers' revolt threatened Stalinist rule Maciej Krzymieniecki 26 December 2017. https://www.marxist.com/december-1970-the-stalinist-massacre-of-polish-workers.htm).

განვითარებული მოვლენები ბიძგი იყო იმისა რომ 1976 წელს პოლონეთში შექმნილიყო დემოკრატიული ოპოზიციური მოძრაობა სახელად „საზოგადოებრივი

თავდაცვის კომიტეტი“. 23 სექტემბერს აღნიშნულმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მიმართვა ხელისუფლების და პოლონელი ხალხის მიმართ, რომელშიც პირველად იყო გაჟღერებული საკვანძო სიტყვა „სოლიდარობა“. მიმართვაში იყო ნათქვამი, რომ როდესაც რეპრესირებულებს მხარს პროფკავშირები და სხვა არსებული სოციალური ორგანიზაციები ვერ უჭერენ, მაშინ ეს როლი საზოგადოებამ უნდა აიღოს საკუთარ თავზე (Kor: A History of the Workers' Defense Committee in Poland, 1976-1981 (English and Polish Edition) Hardcover ,Jan Jozef Lipski, September 1, 1985. https://www.amazon.com/Kor-History-Workers-Committee-1976-1981/dp/0520052439).

რადგან განმარტებული იყო მიმართვაში რომ ხალხს განუკითხაობის წინააღმდეგ ბრძოლის მხოლოდ ერთადერთი საშუალება და მეთოდი აქვს და ეს არის სოლიდარობა და ერთმანეთის დახმარება. საზოგადოებრივი თავდაცვის კომიტეტი ჰელსინკის კონფერენციის შედეგებს ეყრდნობოდა, სადაც საბჭოთა კავშირმა ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულება აიღო. მოძრაობა გამოსცემდა საკუთარ ბიულეტენს. ემიგრაციასთან და უცხოელ კორესპონდენტებთან, განსაკუთრებით რადიო „თავისუფალ ევროპასთან“ კავშირების წყალობით მისი მუშაობა აქტიურად შუქდებოდა მთელ მსოფლიოში. ფართოდ გაჩაღდა „როტატორული“ საგამომცემლო მოძრაობა, რომელიც ცენზურის გვერდის ავლით ბეჭდავდა ჟურნალ-გაზეთებს, მოგვიანებით კი - წიგნებსაც. ზოგიერთ ქალაქში შეიქმნა თავისუფალი პროფკავშირები, სოლიდარობის სტუდენტური კომიტეტები.

1978 წელს, პოლონელი მღვდელი, კრაკოვის ეპისკოპოსი, კაროლ ვოიტილა, რომელსაც მთელი მსოფლიო იოანე პავლე მეორის სახელით იცნობს, რომის პაპი გახდა. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა პოლონელებისთვის, რადგან მთელი მსოფლიოს კათოლიკური სამყაროს წინამძღვარი მათი ქვეყნიდან აირჩიეს. კაროლ ვოიტილას რომის პაპად არჩევა პოლონელი ხალხის ერთიანობის მძლავრ სტიმულად იქცა. ისტორიულად პოლონური კათოლიციზმი, როგორც რუსეთის იმპერიის, ასევე ნაცისტური ოკუპაციისადმი წინააღმდეგობის და აქედან გამომდინარე, საზოგადოების კონსოლიდაციის ცენტრი იყო. რეჟიმს ეშინოდა ეკლესიის და

იძულებული იყო მასთან თანხმობა ეძებნა (Poland's Most Famous Saints, Евгений КлимакинPublished: May 16 2017. https://culture.pl/en/article/polands-most-famous-saints). 1979 წელს, იოანე პავლე მეორე პოლონეთში ჩავიდა, სადაც თანამემამულეებს მოუწოდა, დაეცვათ მათი ეროვნული და რელიგიური ტრადიციები, ადამიანის უფლებები და თავისუფლება. პოლონელებისთვის ის გახდა სულიერი და მორალური ძალის სიმბოლო, რომელიც აღემატებოდა კომუნისტური პარტიის ძლიერებას. პაპის ვიზიტმა, როგორც საზოგადოებას, ასევე კომუნისტურ ხელისუფლებას მკაფიოდ დაანახა, რომ პოლონეთს აქვს თავსმოხვეული რეჟიმისგან დამოუკიდებელი, მყარი საყრდენი. წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ვარშავის მოედანზე 2 ივნისს პაპის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „მოგვივლინე სული შენი, რათა განაახლოს ქვეყანა! ეს ქვეყანა!" (APOSTOLIC JOURNEY TO POLAND HOLY MASS HOMILY OF HIS HOLINESS JOHN PAUL II Victory Square, Warsaw, 2 June 1979. http://w2.vatican.va/content/john-paul-ii/en/homilies/1979/documents/hf_jp-ii_hom_19790602_polonia-varsavia.html).

იოანე პავლე მეორემ თავისი ვიზიტით პოლონეთში, მნიშვნელოვნად შეცვალა პოლიტიკური იდეოლოგია თანამემამულეებში, რამაც საფუძველი ჩაუყარა მოქალაქეებს შორის სოლიდარობას. საბოლოო ჯამში კათოლიკური ეკლესია, პოლონეთში და მის გარეთ, თავისუფლებისთვის მებრძოლი სოლიდარობის იდეის უდიდესი მხარდამჭერი აღმოჩნდა არამარტო საწყის ეტაპზე, არამედ ყველაზე რთულ პერიოდში. სწორედ ეკლესიამ ითამაშა მნიშნელოვანი როლი მოძრაობის შენარჩუნებაში მას შემდეგ, რაც 1981 წლის დეკემბრიდან, მოსკოვის დირექტივითა და მხარდაჭერით, გენერალმა ვოიცეკ იარუზელსკიმ და მისმა მთავრობამ სოლიდარობა და მისი წევრები კანონგარეშედ გამოაცხადა, ათასობით ადამიანი და მათ შორის, მოძრაობის ლიდერი ლეხ ვალესა, დაიჭირა, ქვეყანაში ცენზურა დააწესა, ქუჩები სამხედროებით გაავსო და ძალისმიერად ჩაახშო სოლიდარობის ყველა საპროტესტო აქცია (APOSTOLIC JOURNEY TO POLAND HOLY MASS HOMILY OF HIS

HOLINESS JOHN PAUL II Victory Square, Warsaw, 2 June 1979. http://w2.vatican.va/content/john-paul-ii/en/homilies/1979/documents/hf_jp-ii_hom_19790602_polonia-varsavia.html). ასეთ პერიოდში, ხალხის ერთობას მეტად უწყობდა ხელს კათოლიკე მღვდლების წირვები. ერთ-ერთი ასეთი მღვდელი იერჟი პოპიელუსკო იყო, რომელიც სოლიდარობის წევრებთან თანამშრომლობაში მხილების გამო კომუნისტებმა მოკლეს (SOVIET DELIBERATIONS DURING THE POLISH CRISIS, 1980-1981 Edited, Translated, Annotated, and Introduced, Special Working Paper No. 1 Mark Kramer.).

თავი II

„სოლიდარობის“ შექმნა

1980 წლის ივლისში ქალაქ ლიუბლინში დაიწყო გაფიცვა, მიზეზი გახლდათ ის რომ აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში ეკონომიკური ქაოსი იყო. სურსათზე მუდმივად იზრდებოდა ფასები და ასევე ქვეყანაში იგრძნობოდა ყველა პროდუქტის ნაკლებობა. გაფიცვა მოიცავდა 150 ქარხანას, რაც დაახლოვებით 50 000 ადამიანს შეადგენდა. ასევე შეჩერდა რკინიგზის და საქალაქო ტრანსპორტის ფუნქციონირება. ამ ყველაფრის ფონზე კი ხელისუფლებამ პირველად დაიწყო მოლაპარაკება ოპოზიციასთან და პირველად წავიდა ომისშემდგომ პერიოდში იმ სოციალურ დათმობაზე, რაც ხელისუფლებასა და მუშებს შორის 11 ივლისის შეთანხმებაზე ხელის მოწერით დასრულდა.

2.1 გდანსკის გემთსაშენის ეზო

მნიშვნელოვანი ფაქტია გდანსკის გემთსაშენი ეზოს გაფიცვა, რომელიც 1980 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და სამუშაოდან დათხოვნილი ანა ვალენტინოვიჩის მხარდასაჭერად გაიმართა. გაფიცვას სათავეში ედგნენ საზოგადოებრივი თავდაცვის კომიტეტის წევრი ბოგდან ბორუსევიჩი და სამსახურიდან 1970 წლის გაფიცვის გამო დათხოვნილი ელექტრიკოსი ლეხ ვალენსა, ამ უკანასკნელს იმისათვის, რომ გაფიცვაზე შეეღწია მოუწია გალავნის კედელზე გადაძვრომა, რადგან მას გემთსაშენის ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალებოდა (U. S. Intelligence and the Confrontation in Poland, 1980-1981 By Douglas J. MacEachin. https://books.google.ge/books?id=93eUER87BmsC&pg=PA40&lpg=PA40&dq=polish+1980+lublin+crisis&source=bl&ots=aHZmeHSCu-&sig=51joegtJrcyxKgBFsQzRrURTeBk&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjV-

460zezbAhWFVSwKHe9rAXcQ6AEIRzAE#v=onepage&q=polish%201980%20lublin%20crisis&f=false).

16 აგვისტოს ხელისუფლება ერთგვარ დათმობაზე წავიდა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ გაფიცულებს გაზრდილი ფასების გამო ხელფასზე დანამატს შეჰპირდა. მრავალმა მიიჩნია, რომ მიზანი მიღწეული იყო, მაგრამ მხოლოდ მცირედი მიხვდა, რომ ეს ყველაფერი არ იყო და საჭირო იყო სამომავლო გარანტიები არა დანამატების სახით, არამედ სიტუაციის რეალური ცვლილებით. მხოლოდ მათი, ანუ ადგილზე მყოფი მცირე საწარმოების წარმომადგენლების წყალობით გადაწყდა, რომ უნდა მომხდარიყო სოლიდარული გაფიცვები სხვადასხვა ადგილას საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად (14 August 1980: Gdansk shipyard strike begins Dr Matthew Partridge 14/08/2015. https://moneyweek.com/14-august-1980-gdansk-shipyard-strike-begins/).

მათ შექმნეს ერთიანი საგაფიცვო კომიტეტი და წააყენეს ხელისუფლებისადმი მოთხოვნები. მოთხოვნები 21 პუნქტს მოიცავდა, რომელთაგანაც 7 პოლიტიკური იყო. ისინი აცნობიერებდნენ, რომ ძალზედ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გაფიცვის უფლებას, სიტყვის თავისუფლებას, თავისუფალი პროფკავშირების შექმნას, პოლიტპატიმრების განთავისუფლებასა და ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად გარკვეული ზომების მიღების მოთხოვნებს (Freedom broke out in Gdańsk - history of August 1980, Ostatnia aktualizacja: 10 maja 2017 r. http://www.gdansk.pl/en/about-gdansk/Freedom-broke-out-in-Gdansk-history-of-August-1980,a,3020).

ამ ყოველივეს მოჰყვა ის, რომ 18 აგვისტოს ქალაქ შეცინში დაიწყო გაფიცვა, რომელიც ანალოგი იყო გდანსკისა, იქაც შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი და იქაც მსგავსი მოთხოვნები ჟღერდა. გაფიცვების ტალღამ მალევე თითქმის მთელი ქვეყანა მოიცვა. გდანსკის საგაფიცვო კომიტეტში აგვისტოს ბოლოსთვის უკვე 700-მდე საწარმოს წარმომადგენელი შედიოდა. გაფიცვებში უკვე თითქმის 700 000-მდე მუშა მონაწილეობდა (Lech Wałęsa PRESIDENT OF POLAND WRITTEN BY: The Editors of

Encyclopaedia Britannica See Article History. https://www.britannica.com/biography/Lech-Walesa).

გდანსკში გაფიცვას მუშებთან, მხატვრებთან და ჟურნალისტებთან ერად თავი ოპოზიციური ელიტის წევრებმაც მოიყარეს. გაფიცულებს ხალხის დიდი ჯგუფები უჭერდნენ მხარს და მათთან ერთად იდგნენ აქციაზე, ეს ერთგვარი გარანტია იყო იმისა, რომ ისინი უსაფრთხოდ იქნებოდნენ. გაფიცვის მონაწილეებთან ხალხის ჯგუფს მიჰქონდა საკვები და თბილი ტანსაცმელი. ასევე ექიმები გაფიცულებს საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო დახმარებას უწევდნენ. ცნობილი მსახიობები კი მათთვის კონცერტებს და წარმოდგენებს მართავდნენ, ეს ყოველივე კი ხალხში ერთიანობის გრძნობას ამკვიდრებდა, იმ გარემოში ნამდვილად იგრძნობოდა სოლიდარობა. ხალხთან ერთად გემთსაშენის ტერიტორიაზე სასულიერო პირები იმყოფებოდნენ, რომლებიც თანადგომის ნიშნად ყოველ დღე მესას აღავლენდნენ, რომელსაც უამრავი ხალხი ესწრებოდა (Poland: Key Figure In Transition To Democracy Remembers Solidarity, Jeremy Bransten, August 24, 2005 11:16 GMT. https://www.rferl.org/a/1060901.html).

23 აგვისტოს კი შეშინებულმა ხელისუფლებამ, რომელსაც ეშინოდა გაფიცვის მასშტაბების ზრდისა, განაცხადა რომ დააკმაყოფილებდა წაყენებული მოთხოვნების უმეტესობას. მიუხედავად იმისა, რომ გაფიცულთა შორის აზრი ორად გაიყო გაფიცვის გაგრძელება-არგაგრძელების შესახებ, საგაფიცვო კომიტეტის ხელმძღვანელობა ხელისუფლებას დათანხმდა, რაც დაადასტურა ხელმოწერით, როგორც გდანსკში, ასევე სხვა ქალაქებში (Henri Simon's excellent book, Poland 1980-82. https://libcom.org/history/1980-poland-mass-strikes).

პროტესტის მასშტაბებმა კრემლი გააკვირვა, თუმცა მაშინ ვერ გარისკეს შეიარაღებული თავდასხმა პოლონეთზე, რადგან ეს მეტად სარისკო იყო მათთვის. რეალურად კი ეს თანხმობები დიდი ბზარი იყო ვითომ და მყარი კომუნისტური სისტემისთვის.

მთელი პოლონეთის მასშტაბით დაიწყო თავისუფალი პროფკავშირების შექმნა, რაც ვალენსას აზრით დიდი მონაპოვარი იყო პოლონელი ხალხისთვის და რის გამოც რეჟიმისთვის სხვა წაყენებულ მოთხოვნებზე წასვლა ღირდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას არ ჰქონდა შეთანხმებით გათვალისწინებული რომ ნებისმიერ ქალაქში შეიძლებოდა პროფკავშირის შექმნა, ეს ასე მაინც ხდებოდა მიუხედავად ხელისუფლების წინააღმდეგობისა და მსგავსმა ქმედებამ მთელი პოლონეთი მოიცვა (Cold War 1980 Massive labor strikes hit Poland. https://books.google.ge/books?id=wI9TUaZZeAMC&pg=PR30&lpg=PR30&dq=polish+1980+23+august+gdansk+krisis&source=bl&ots=EzpVUxbnB8&sig=D1_0ETsaWPiL6_sSjlVJI8RmcAE&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjqxpuGz-zbAhUH3CwKHZBzAAAQ6AEIWzAJ#v=onepage&q&f=false).

საბოლოო ჯამში გდანსკში 17 სექტემბერს დაფუძნდა პროფკავშირი „სოლიდარობა“, რომელში გაწევრიანების სურვილი 3 მილიონზე მეტმა ადამიანმა გამოთქვა და რომლის რიგებშიც ყველა პროფესიის ადამიანი წევრიანდებოდა. ასევე ლეხ ვალენსას ხელმძღვანელობით შეიქმნა შემთანხმებელი კომისია. იმ პერიოდს, როდესაც სოლიდარობა წინააღმდეგობების გარეშე მოქმედებდა და ფუნქციონირებდა, პოლონეთში უწოდებენ „თავისუფლების კარნავალს“. „სოლიდარობა“ შესანიშნავად უმკლავდებოდა იმ გამოწვევებს, რომელთაც ხელისუფლების პროპაგანდული მანქანა აყენებდა მის წინ და ეს გამკლავება მდგომარეობდა შემდეგში რომ სოლიდარობას ჰქონდა მილიონნახევრიანი ტირაჟის მქონე გაზეთი სახელად „სოლიდარობის ყოველკვირეული“, რის გამოც ხელისუფლებას მხოლოდ ტელევიზიაღა შერჩა (U. S. Intelligence and the Confrontation in Poland, 1980-1981 By Douglas J. MacEachin. https://books.google.ge/books?id=93eUER87BmsC&pg=PA22&lpg=PA22&dq=polish+1980+23+august+gdansk+krisis&source=bl&ots=aHZmeHTxo-&sig=svUwliEM2WbvPDsmEmW9nQp98Ng&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjqxpuGz-

zbAhUH3CwKHZBzAAAQ6AEIXzAK#v=onepage&q=polish%201980%2023%20august%20gdansk%20krisis&f=false).

2.2 ხელისუფლების უკანასკნელი წინააღმდეგობა

ხელისუფლება კვლავ აგრძელებდა ძველებურად მოქმედებას. მას იმედი ჰქონდა, რომ არაფრის შეცვლა არ იქნებოდა საჭირო. თუმცა ეკონომიკურად სულ უფრო და უფრო უკან იწევდა მდგომარეობა. ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას, რაც აგვისტოს შეთანხმების დროს განისაზღვრა, ამ ყოველივეს კი საპასუხოდ ფართომასშტაბიანი გაფიცვები მოჰყვა (getty images, solidarity photos. https://www.gettyimages.com/event/on-this-day-september-17-trade-union-solidarity-established-in-poland-577655299#/portrait-of-the-holy-virgin-was-set-up-at-a-wall-of-the-lenin-in-picture-id136742326).

ხელისუფლება მიდიოდა პროვოკაციებზე, რითაც ხალხის უარყოფით განწყობას იმსახურებდა და მათ რადიკალურობისაკენ მოუწოდებდა. ამის მაგალითია 1981 წლის ქალაქ ბიდგოშში მთავრობის მიერი პროვოკაცია, როდესაც სპეციალურად გამოძახებულმა მილიციის რაზმმა პროფკავშირის აქტივისტები სცემა. მათ დასაცავად კი მთლი ქვეყნის მასშტაბით ოთხსაათიანი გაფიცვა მოეწყო, რაც „სოლიდარობის“ უზარმაზარ ძალაზე მეტყველებდა, თუმცა კომპრომისის მოძებნა მაშინ მოხერხდა და მთავრობამ შეძლო ხალხის დაყოლიება და გაღიზიანებული მასის დაწყნარება (1980: Poland mass strikes - Henri Simon OCRed for libcom.org by Linda Towlson. https://libcom.org/history/1980-poland-mass-strikes).

მთავრობა ცდილობდა, რომ „სოლიდარობისათვის“ მრავალი უარყოფითი იარლიყი აეკრა, თუმცა 1981 წლის სექტემბერში გაიმართა „სოლიდარობის“ I

ყრილობა, სადაც გავრცელდა მიმართვა და ამ მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ მიუხედავად კომუნისტური ბანაკის ქვეყნებში გავრცელებული ცრუ ინფორმაციებისა, „სოლიდარობა“ არის მუშათა გაფიცვების შედეგად შექმნილი ჭეშმარიტად დამოუკიდებელი პროფკავშირი, რომელიც მხარს დაუჭერს ყველას, ვინც ამ გზით სიარულს მოინდომებს.

აღნიშნულმა დოკუმენტმა კრემლის წყრომა გამოიწვია. ლეონიდ ბრეჟნევმა პოლონეთის კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს სტანისლავ კანიას დაურეკა და პოლონეთში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება მოსთხოვა. დიდ საბჭოთა ქარხნებში „აღშფოთებულ“ მუშათა კოლექტივების მიტინგები გაიმართა, სადაც „სოლიდარობის“ დამგმობი რეზოლუციები მიიღეს. გერმანელმა კომუნისტებმა ცალმხრივად დახურეს მანამდე უვიზო მოძრაობისათვის ღია საზღვარი პოლონეთთან, რადგან ფიქრობდნენ, რომ “სოლიდარობის“ ქმედებებს საკუთარ ქვეყანაშიც გადაიღებდა მუშათა კლასი და მალე ეს ყოველივე წინ პრობლემად დახვდებოდათ (THE POLISH CRISIS: ECONOMIC FACTORS AND CONSTRAINTS Domenico Mario Nuti.).

საბჭოთა კავშირმა პოლონეთში საკუთარი გავლენის აღდგენაზე დაიწყო ფიქრი და სურდა, რომ ძველი დიდება აღედგინა. ამის საშუალებად კი ხედავდა სამხედრო ძალის დემონსტრირებას. მართლაც მობილიზება გაუკეთა პოლონეთის საზღვართან სხვადასხვა კომუნისტურ ჯარს, თუმცა ვერ გარისკა ამ ნაბიჯის გადადგმა, რადგან ბუნდოვანი იყო თუ რას იზამდა პოლონური არმია, ასევე ბუნდოვანი იყო თუ რა რეაქცია ექნებოდა პოლონურ საზოგადოებას, აგრეთვე მთავრობა ამერიკიდან გააფრთხილეს რომ აღნიშნული ქმედება არ განეხორციელებინათ. საბოლოო ჯამში რეჟიმმა დასახულზე უარი თქვა, თუმცა მიუხედავად ამისა ფარულად მიდიოდა სამხედრო მდგომარეობის გამოსაცხადებლად მზადება (The Year 1989 – The End of Communism in Poland, Dudek Antoni. http://www.enrs.eu/en/articles/216-the-end-of-communism-in-poland).

1981 წლის 13 დეკემბერს პოლონეთში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. ქუჩებში გამოჩნდა მძიმე ტექნიკა, მილიციის სპეცდანაყოფები, გაითიშა სატელეფონო კავშირი, გამოცხადდა კომენდანტის საათი, შეჩერდა ყველა გაერთიანებისა და პროფკავშირების მოღვაწეობა. იმავე ღამეს დაიწყეს, როგორც „სოლიდარობის“ ლიდერების, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციის აქტივისტებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლების დაკავება ან ინტერნირება (ოფიციალური მონაცემებით მხოლოდ პირველ ორ დღეს 5 000 ადამიანი დააკავეს). ეს პროცესი 1986 წლამდე გრძელდებოდა. „სოლიდარობა“ კანონგარეშედ გამოცხადდა, თუმცა იატაკქვეშეთში მან 7 წელი იარსება(Martial Law in Poland – 1981. https://justice4poland.com/2014/12/15/martial-law-in-poland-1981/).

„სოლიდარობამ“ ვერ შეძლო ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა სამხედრო ძალისადმი, თუმცა ძალიან მალე გაჩნდა წინააღმდეგობის კერები, რომლებსაც რეჟიმი სასტიკად ებრძოდა და ახშობდა. სილეზიაში მილიციამ ცეცხლი გაუხსნა მუშებს, რომლებიც კატოვიცეში ერთ-ერთ შახტას იცავდნენ, შედეგად იმ დღეს 9 მუშა დაიღუპა. ჯამში სამხედრო მდგომარეობის დროს სიკვდილის 115 შემთხვევა გამოვლინდა. ეს არის ის რიცხვი სიკვდილიანობისა რაც დოკუმენტურად დაფიქსირდა, ხოლო რეალურად სავარაუდოდ მეტი სიკვდილის ფაქტი უნდა ყოფილიყო.

ამ ყოველივეს შემდეგ სასულიერო პირებისგან წამოვიდა მოწოდება ხალხის მიმართ რომ ებრძოლათ რეჟიმთან საკუთარი თავისთვის და ქვეყნისთვის.

სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების პირველ ხანებში კავშირები უკიდურესად შეზღუდული იყო, არ მუშაობდა ტელეფონები, სპეციალური საშვის გარეშე შეუძლებელი იყო ქალაქიდან გასვლა, დაიხურა ყველა გაზეთი სახელისუფლებო გამოცემების გარდა, ძალზედ მნიშვნელოვანი გახდა თავისუფალი სიტყვა. ამიტომ ყველგან იქმნებოდა ინფორმაციის შეგროვების და გადაცემის ქსელი. შეიქმნა დროებითი საკოორდინაციო კომისია, რომელშიც დაპატიმრებისას გადარჩენილი აქტივისტები იყვნენ. კომისიის მიზანი სამხედრო მდგომარეობის

გაუქმება, ინტერნირებულებისა და დაპატიმრებულების განთავისუფლება და „სოლიდარობის“ აღდგენა იყო (December 13, 1981: Marking the Anniversary of Martial Law in Poland. http://inside-poland.com/t/december-13-1981-marking-the-anniversary-of-martial-law-in-poland/).

„სოლიდარობა“ იატაკქვეშეთში არსებობის მიუხედავად უზარმაზარ საგამომცემლო საქმიანობას ეწეოდა. უშვებდა წიგნებსა თუ ბროშურებს რეჟიმის წინააღმდეგ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ყოველკვირეული გაზეთი „მაზოვშე“, რომელიც 80 000-იანი ტირაჟით გამოდიოდა. გარდა ამისა კათოლიკურ ეკლესიაში, რომელიც რეჟიმის მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად „სოლიდარობის“ მფარველი იყო, იმართებოდა ყოველკვირეული ლექციები, თეატრალური სპექტაკლები, გამოფენები და კონცერტებიც კი. ამ ყოველივეს შემდეგ კათოლიკური ეკლესია ქვეყანაში „სოლიდარობის“ ერთადერთი ძლიერი საყრდენი გახდა (The Day Poland Stood Still: Memories from the Introduction of Martial Law, Published: Dec 13 2016, Mikołaj Gliński. https://culture.pl/en/article/the-day-poland-stood-still-memories-from-the-introduction-of-martial-law).

ასევე „სოლიდარობას“ სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების გამო მრავალმა ქვეყანამ დაუჭირა მხარი მათ შორის ისეთებმაც, როგორიცაა გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია და ამერიკა. სხვადასხვა ქვეყნიდან მოდიოდა, როგორც მორალური თანადგომა, ასევე მატერიალური დახმარებაც, როგორიცაა ჰუმანიტარული დახმარება, პროდუქტები, მედიკამენტები და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, კონტრაბანდული გზებით - ტექნიკა, საღებავები, მატრიცები, როტატორები, ტიპოგრაფიული მოწყობილობაც კი. ასევე დასავლეთიდან კონტრაბანდულად შემოჰქონდათ ბატარეებზე მომუშავე აუდიო ტექნიკა, მაგნიტოფონები. ამ მაგნიტოფონებს ღამღამობით მრავალსართულიანი სახლების სახურავებზე ათავსებდნენ და მაღალ ხმაზე რთავდნენ. მაგნიტოფონზე ჩაწერილ მიმართვაში იყო თხოვნა მოსახლეობისადმი, აენთოთ და ჩაექროთ ბინებში შუქი, თუკი მაგნიტოფონის ხმა ესმოდათ. ბატარეები სულ ნახევარ საათს მუშაობდა, ამას

გარდა უშიშროებაც ადვილად აგნებდა მათ სახლების სახურავებზე და ანადგურებდა. ეს იყო თანამოაზრეთა სიმრავლის, ერთმანეთის მხარში დგომის, კოლექტიური ნების გამოხატვა. სოლიდარობის ნიშნად რეჟიმის მოწინააღმდეგე ყველა პოლონელი მარშალკოვსკის ქუჩის მარცხენა მხარეს დადიოდა, ხოლო მარჯვენა მხარე სულ ცარიელი იყო. იმ შემთხვევაში თუ რაიმეზე გადასვლა ესაჭიროებოდათ მათ მარჯვენა მხარეს იძახოდნენ თუ რატომ გადადიოდნენ და შემდეგ ისევ უკან მარცხენა მხარეზე გადმოდიოდნენ. რაც სოლიდარობის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს (Repression of Eastern Europe Sources. http://www.thenews.pl/1/9/Artykul/121354,Poland-remembers-1981-martial-law-victims).

ასევე სოლიდარობის და ერთმანეთის გვერდში დგომის ნიშნად, მთელი პოლონეთი მაშინ, როდესაც მთავარი საინფორმაციო გამოშვება იწყებოდა სატელევიზო არხებით გავრცელებულ დეზინფორმაციას ებრძოდა შემდეგი ხერხით - ისინი ეზოში გადიოდნენ და ძაღლებს ასეირნებდნენ (December 13, 1981: Marking the Anniversary of Martial Law in Poland. http://inside-poland.com/t/december-13-1981-marking-the-anniversary-of-martial-law-in-poland/).

სოლიდარობის მხარდასაჭერად ასევე შეიქმნა სიმბოლიკაც, ერთ-ერთი პოპულარული სიმბოლოს ავტორია მხატვარ ეჟი იანიშევსკი, მის სიმბოლოს მთელს მსოფლიოში სცნობდნენ, განსხვავებულობის და ღრმა შინაარსის გამო. (Poland remembers introduction of martial law in 1981. http://www.krakowpost.com/888/2007/12). სიმბოლიკაში ეწერა სოლიდარობა ოღონდ არა ჩვეულებრივად, არამედ განსხვავებულად. განსხვავება მდგომარეობდა შემდეგში, რომ ასოები ერთმანეთთან ისე მჭიდროდ იყო რომ მათ შორის ადგილი არ რჩებოდა. ეს ასოები განასახიერებდა იდეის გარშემო გაერთიანებულ ადამიანებს ერთად, მხარდამხარ მდგომთ, რომლებიც ეყრდნობიან ერთმანეთს (That’s Polish: Exploring the History of Poland’s National Emblems, Published: Jul 13 2016 Alena Aniskiewicz. https://culture.pl/en/article/thats-polish-exploring-the-history-of-polands-national-emblems).

2.3 მრგვალი მაგიდა და მიღწევები

პირველი ნაბიჯები მოლაპარაკებისთვის „სოლიდარობასა“ და ხელისფლებას შორის სწორედაც რომ ხელისუფლების მიერ პოლიტპატიმრების განთავისუფლებას მოჰყვა, როდესაც ლეხ ვალენსამ საპასუხოდ ამერიკის პრეზიდენტს პოლონეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გაუქმების თხოვნით მიმართა. რაც ნიშნავდა, რომ ოპოზიცია ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაზე თანახმა იყო. 1986 წლის 29 სექტემბერს შეიქმნა ჯერ კიდევ არალეგალური „სოლიდარობის“ დროებითი საბჭო ლეხ ვალენსას ხელმძღვანელობით. იატაკქვეშეთიდან თანდათან ორგანიზაციის რეგიონული სტრუქტურებიც გამოვიდნენ. დაიწყო „სოლიდარობის“ დაკანონების განმეორებითი, საკმაოდ რთული პროცესი (Solidarity Election Flier, “How to vote for Solidarity in Żoliborz”," Making the History of 1989. http://chnm.gmu.edu/1989/items/browse/tag/Solidarity).

1988 წელს კვლავ დაიწყო გაფიცვები, გაჩერდა მრავალი ქარხანა, სელიზიის შახტები და გდანსკის გემთსაშენი. სიტუაცია წააგავდა 1980 წლის აგვისტოს მოვლენებს. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე საჭირო გახდა რომ 1988 წლის 31 აგვისტოს ლეხ ვალენსა ვარშავაში ჩასულიყო და მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს ჩესლავ კიშჩაკს შეხვედროდა ეპისკოპოსების ეჟი დომბროვსკის და სტანისლავ ჩოსეკის თანხლებით (The Year 1989 – The End of Communism in Poland, Dudek Antoni, 23 August 2011. http://www.enrs.eu/ro/articles/216-the-end-of-communism-in-poland).

ნამდვილად საინტერესოა ის ფაქტი, რომ მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ჩესლავ კიშჩაკი სამხედრო მდგომარეობიდან მოყოლებული, რომელიც 1981 წლიდან 1983 წლამდე მიმდინარეობდა, პოლონეთის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ხელისუფლებაში გავლენიანი ფიგურა იყო. მიუხედავად იმისა რომ მან დაიჭირა

უამრავი ოპოზიციონერი, შემდეგ მანვე გამოაცხადა პოლიტ პატიმრების განთავისუფლება, რა დროსაც მან 225 პოლონელი ოპოზიციონერი გაანთავისუფლა. 1989 წლის დამდეგს კი ის გადადგომით დაიმუქრა, თუ კომუნისტური ხელისუფლება მხარს არ დაუჭერდა ოპოზიციასთან დიალოგს (POLAND'S FOREIGN AND SECURITY POLICY: MAIN DIRECTIONS Agnieszka Bieńczyk-Missala 1 University of Warsaw. https://www.ucm.es/data/cont/media/www/pag-78913/UNISCIDP40-6ABienczyk-Missala1.pdf).

ხელისუფლება აღარ შიშობდა, რადგან „სოლიდარობა" უკვე რამდენიმე არალეგალურ ჯგუფად იყო დაყოფილი. სოლიდარობაში აცხადებდნენ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით რომ მათ არ სჯეროდათ ხელისუფლების და ისინი არ ილაპარაკებდნენ კომუნისტებთან თუმცა სრული ნაწილი ასე არ ფიქრობდა, იყო ხალხის გარკვეული რაოდენობა, რომელიც მათთან დიალოგზე მიდიოდა. სწორედ ამიტომ სოლიდარობა მრავალმა წევრმა დატოვა (Page 010014 The New York Times Archives. https://www.nytimes.com/1989/02/26/world/polish-police-fight-protesters-as-solidarity-and-regime-talk.html).

საბოლოო ჯამში კი დასმული კითხვა ასე ჟღერდა: „დაელაპარაკებით კომუნისტებს?". რაზეც პასუხები სხვადასხვაგვარი იყო.

მოლაპარაკებები სოფელ მაგდალენკაში, შსს-ს ვილში იმართებოდა. მას ლეხ ვალენსა და ჩესლავ კიშჩაკი, როგორც თანათავმჯდომარეები, რიგრიგობით უძღვებოდნენ. მოლაპარაკების მაგიდასთან ორივე მხარე ნათელი პოლიტიკური პლატფორმით წარდგა. პოლონელი კომუნისტები თვლიდნენ, რომ მთავრობის ცვლილებების გარეშე ჩაივლიდა შეხვედრა. მხოლოდ გენერალი იარუზელსკი ხვდებოდა, რომ ოპოზიციონერები სოციალიზმს ჩიხში შეიყვანდნენ და ასეც მოხდა - მოლაპარაკებამ რადიკალურად შეცვალა პოლონეთის საზოგადოება და მმართველობის ფორმა (Record of Main Content of Conversation between M.S. Gorbachev and H. Kissinger. https://www.wilsoncenter.org/sites/default/files/EotCW_Part2.pdf).

1989 წლის 4 აპრილს გამოცხადდა „მრგვალი მაგიდის“ შეთანხმება, რომელიც შემდეგ პუნქტებს მოიცავდა: „სოლიდარობის“ განმეორებითი რეგისტრაცია და მისი ლეგალიზაცია დამოუკიდებელი პროფკავშირის სახით, პრეზიდენტის თანამდებობის შემოღება, საკანონმდებლო ხელისუფლების კომპრომისული ფორმირება (35%25-იანი კვოტა ოპოზიციისათვის სეიმში და სენატის თავისუფალი არჩევნები), ოპოზიციის კანდიდატებისათვის დამოუკიდებელი საარჩევნო კამპანიის ჩატარების გარანტია, აგრეთვე ოპოზიციური გაზეთის - „გაზეტა ვიბორჩას“ - გამოცემის შესაძლებლობა, მართლმსაჯულების ეროვნული საბჭოს შექმნა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო სასამართლოების დამოუკიდებლობა (Poland, Year 1989, 2018-06-24. http://year1989.pl/y89/poland/history/8696,Poland.html).

სანაცვლოდ ოპოზიცია ვალდებული იყო არ მოეწოდებინა გაფიცვებისაკენ და მხარი დაეჭირა მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმისათვის; ეს შეთანხმება ცხადდებოდა ოთხწლიან კომპრომისად, რასაც თავისუფალი არჩევნები უნდა მოჰყოლოდა.

1989 წლის 4 ივნისს არჩევნები გაიმართა, რომელშიც საბოლოოდ დამარცხდნენ კომუნისტები. „სოლიდარობამ“ დიდ წარმატებას მიაღწია: მან თითქმის სრულად აითვისა სეიმის კვოტა და 160 მანდატი აიღო, სენატის არჩევნებში კი 100-დან 99 მანდატი მოიპოვა (INFO EASTERN EUROPEAN POSTS AMEMBASSY ROME, C0NFIDENTIAL SECTION 01 OF 03 WARSAW 10780 DECAPTIONED EXDIS ROME FOR VATICAN. https://nsarchive2.gwu.edu/NSAEBB/NSAEBB42/).

აღებული ვალდებულების შესაბამისად ორივე პალატამ გაერთიანებულ სხდომაზე პრეზიდენტად გენერალი იარუზელსკი აირჩია (ერთი ხმის უპირატესობით), ხოლო მთავრობის თავმჯდომარედ - ჩესლავ კიშჩაკი. თუმცა კიშჩაკმა ვერ შეძლო მთავრობის ჩამოყალიბება და გადადგა. 24 აგვისტოს პოლონეთის მთავრობის თავმჯდომარე გახდა „სოლიდარობის“ წევრი თადეუშ მაზოვეცკი - პირველი არაკომუნისტი ლიდერი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში (Poland: Decommunization Process Tackles Communist Past, Kitty McKinsey,

July 09, 1998. https://www.rferl.org/a/mazowiecki-dead-poland-solidarity-communism/25150191.html).

პირველივე ხანებში დაიწყო ეკონომიკური რეფორმის გატარება, რომლიც „შოკური თერაპიის“ სახელით არის ცნობილი. მას ბლცეროვიჩი ჩაუდგა სათავეში.

რეფორმა აშშ-ისა და სავალუტო ფონდის წარმომადგენელთა მონაწილეობით მიმდინარეობდა და ინფლაციის რადიკალურ მოთოკვას, სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე ბალანსის მიღწევას, ეკონომიკის ყველა სფეროში საბაზრო მექანიზმის დანერგვას ითვალისწინებდა.

სეიმმა თვითდაშლა 1990 წლის 22 სექტემბერს გამოაცხადა. 22 ნოემბერს საკანონმდებლო ორგანოსა და პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა. პრეზიდენტად ლეხ ვალენსა აირჩიეს (Solidarno?? (Solidarity) brings down the communist government of Poland, 1988-89. https://nvdatabase.swarthmore.edu/content/solidarno-solidarity-brings-down-communist-government-poland-1988-89).

არჩევნების ეს შედეგი ნიშნავდა პოლონეთში ცენზურის გაუქმებას, კომუნიზმის კრახს და საბჭოთა ბლოკში პირველი არაკომუნისტური მთავრობის შექმნას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიის მშენებლობის გზაზე დადგომას ნიშნავდა (Solidarity POLISH ORGANIZATION WRITTEN BY: The Editors of Encyclopaedia Britannica. https://www.britannica.com/topic/Solidarity).

აღნიშნულმა მოვლენებმა აჩვენა თუ რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა 1980 წლის აგვისტოს ევროპის ისტორიისათვის. ეს იყო დასაწყის ომისშემდგომ ევროპაში უმსხვილესი მშვიდობიანი გადატრიალებისა, „სოლიდარობის“ მიერ ინიცირებული პროცესის წყალობით დაინგრა ბერლინის კედელი - ევროპის იალტის შემდგომი გაყოფის სიმბოლო. ამ გარდაქმნების მამოძრავებელი ძალა საზოგადოებრივი სოლიდარობა იყო.

რეალურად სათავე „სოლიდარობის“ წარმოქმნისა იყო მუშათა გაფიცვა, რომლებმაც თავისუფლება და პატივისცემა არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის მოითხოვეს, არამედ ყოველი ინდივიდისთვის, რომლებიც კომუნისტური

დიქტატურის ქვეშ ცხოვრობდნენ, რაც მათ დევიზშიც გამოიხატებოდა: „ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის!“ რაოდენ გასაკვირიც არ უნა იყოს სწორედ „სოლიდარობის“ ტალღას მოჰყვა ბერლინის კედლის დანგრევა. გამოდის რომ 1980 წლის შემოდგომაზე ლეხ ვალენსა რომ გდანსკის გემთსაშენის კედელზე არ გადამხტარიყო, 1989 წლის შემოდგომაზე ბერლინის კედელი არ დაინგრეოდა. „ვალენსას კედელი“ (ანუ გემთსაშენის კედელი, რომელზეც ვალენსა გადახტა) და ბერლინის კედელი თანამედროვე ევროპის ორი მნიშვნელოვანი სიმბოლოა, თავისუფლებისთვის ბრძოლის სიმბოლო (The Consequence of the System Transformation of 1989 in Poland, Antoni Dudek, Poland, 1989, transformation, round table. http://www.enrs.eu/de/articles/1516-the-consequence-of-the-system-transformation-of-1989-in-poland).

2.4 სოლიდარობა სოლიდარობას

მანამ, სანამ კომუნისტური რეჟიმი დაემხობოდა პოლონეთში მიუხედავად კომუნისტური წინააღმდეგობისა, მსოფლიო ლიდერებმა ორგანიზაციას დიდი მხარდაჭერა გამოუცხადეს, მათ შორის მარგარეტ ტეტჩერმა და რონალდ რეიგანმა, დასავლელმა კომუნისტებმა. რომის პაპისა და რონალდ რეიგანის ე.წ. „წმინდა ალიანსმა“ განსაკუთრებული როლი ითამაშა. იოანე-პავლე II-ის თხოვნით, ამერიკის პრეზიდენტმა პოლონეთს ეკონომიკური სანქცია დაუწესა. საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლამ შედეგი გამოიღო – 1983 წლის ივლისში ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობა ოფიციალურად გაუქმდა, თუმცა გამკაცრებული კონტროლი სამოქალაქო თავისუფლებაზე და პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალაში რჩებოდა 1980–იანი წლების ბოლომდე (The Solidarity Movement – Freedom for Europe, Friszke Andrzej, 23, sierpień 2011. http://www.enrs.eu/articles/215:the-solidarity-movement).

სამხედრო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ, სოლიდარობის მრავალ წევრს ამნისტია შეეხო, მათ შორის ლეხ ვალენსასაც. 1983 წელს ის ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა მშვიდობის დარგში. პოლონეთის კომუნისტურმა მთავრობამ უარი განაცხადა მისთვის საზღვარგარეთის პასპორტი მიეცა, რათა ის კუთვნილი ჯილდოს მისაღებად ოსლოში ჩასულიყო. ნობელის პრემია მისმა მეუღლემ ჩაიბარა. მოგვიანებით გაირკვა, რომ პოლონეთის უშიშროების სამსახურმა ყალბი დოკუმენტები შეადგინა, რომლებიც ვალენსას ამორალურ და უკანონო ქმედებების ჩადენაში ადანაშაულებდა. ამ ნაბიჯით პოლონეთის ხელისუფლებას სურდა ვალენსას კანდიდატურა ჩავარდნილიყო (LECH WALESA WINS NOBEL PEACE PRIZE FOR UNION EFFORT, By JOHN VINOCUR and SPECIAL TO THE NEW YORK TIMES. https://www.nytimes.com/1983/10/06/world/lech-walesa-wins-nobel-peace-prize-for-union-effort.html).

დასკვნა

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „სოლიდარობის“, როგორც იდეის, როგორც პოლონელი ხალხის იმედის და ქმედების განვლილი გზა არ იყო მარტივი, არამედ „სოლიდარობას“, როგორც იდეას პოლონელი ხალხისას ძალიან რთულ პირობებში მოუწია საკუთარი მიზნის მიღწევა. მიზნისა, რომელიც იყო გაწერილი დიდ დროზე და ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე მრავალ წინააღმდეგობას ეჯახებოდა. „სოლიდარობა“ ნათელი მაგალითია სამოქალაქო აქტივიზმისა, თუ რაოდენ დიდი ძალა აქვს საერთო ნებას და სურვილს და თუ რაოდენ დიდი მონდომება და ერთობა არის საჭირო, რათა ეს ჯერ სურვილი. ხოლო მომავალში ხორც-შესხმული იდეა აქციო რეალურ იარაღად, რომელიც საბოლოო ჯამში გამარჯვებამდე მიგიყვანს. კარგად ჩანს თუ რა დიდი ძალა აქვს ხალხის მასას, რომ მიუხედავად ხანგრძლივი პერიოდისა როგორ არ უნდა განელდეს იდეის ნაპერწკალი. დიდი როლი ითამაშა საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების მხარდაჭერამ და რაც მთავარია რელიგიური კუთხით ეკლესიის უშუალო ჩარევამ პროცესებში და მისი მხრიდან პროტესტანტების გვერდში დგომამ. ისეთი დიდი ტირანის დამარცხება, რომელსაც საბჭოთა კავშირი ჰქვია, პოლონეთის ერთ-ერთ ქალაქში გემსაშენის პორტში წამოწყებულმა პროტესტმა გამოიწვია. „სოლიდარობა“ ნათელი მაგალითია იმისა, რომ ნებისმიერი ძლიერი რეჟიმისთვის თუ რაოდენ სახიფათო შეიძლება იყოს მცირედი პროტესტი.

ბიბლიოგრაფია და წყაროები

Yalta Conference WORLD WAR II, Marco Sampaolo Jul 26, 2016.
https://www.britannica.com/event/Yalta-Conference

Marco Sampaolo, the Polish Secret War: Memoir of a World War II Freedom Fighter By Marian S. Mazgaj, Jul 26, 2016.
https://books.google.ge/books?id=a5eeUh5QlBgC&pg=PA39&lpg=PA39&dq=polish+hidden+porganisation+after+world+war+@@&source=bl&ots=9kgqKBgFQ6&sig=ITBfCGqniJBxJlRtIHk811PPuO0&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjLhuuLt-zbAhUQMuwKHQyoAEEQ6AEIYzAM#v=onepage&q=polish%20hidden%20porganisation%20after%20world%20war%20%40%40&f=false

History of Poland (1945-1989).
http://www.newworldencyclopedia.org/entry/History_of_Poland_(1945-1989)

The Khrushchev "thaw" (1953-1964) http://territoryterror.org.ua/en/history/1953-1964/

The Polish March: students, workers, and 1968 NEAL ASCHERSON 6 March 2008.
https://www.opendemocracy.net/article/globalisation/the_polish_march_students_workers_and_1968

December 1970: When Polish workers' revolt threatened Stalinist rule Maciej Krzymieniecki 26 December 2017. https://www.marxist.com/december-1970-the-stalinist-massacre-of-polish-workers.htm

Kor: A History of the Workers' Defense Committee in Poland, 1976-1981 (English and Polish Edition) Hardcover ,Jan Jozef Lipski, September 1, 1985. https://www.amazon.com/Kor-History-

Workers-Committee-1976-1981/dp/0520052439

https://www.britannica.com/topic/Workers-Defense-Committee

https://books.google.ge/books?id=Xcm2AgAAQBAJ&pg=PT172&lpg=PT172&dq=polish+c%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2+1976&source=bl&ots=pgky0x3z5g&sig=ddAdtoUlnD_LM6nzFaPWJxNCyc4&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjEgZb7uOzbAhXNKCwKHZrqDxYQ6AEITTAF#v=onepage&q=polish%20c%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%201976&f=false

Poland's Most Famous Saints, Евгений КлимакинPublished: May 16 2017. https://culture.pl/en/article/polands-most-famous-saints

APOSTOLIC JOURNEY TO POLAND HOLY MASS HOMILY OF HIS HOLINESS JOHN PAUL II Victory Square, Warsaw, 2 June 1979. http://w2.vatican.va/content/john-paul-ii/en/homilies/1979/documents/hf_jp-ii_hom_19790602_polonia-varsavia.html

APOSTOLIC JOURNEY TO POLAND HOLY MASS HOMILY OF HIS HOLINESS JOHN PAUL II Victory Square, Warsaw, 2 June 1979. http://w2.vatican.va/content/john-paul-ii/en/homilies/1979/documents/hf_jp-ii_hom_19790602_polonia-varsavia.html

SOVIET DELIBERATIONS DURING THE POLISH CRISIS, 1980-1981 Edited, Translated, Annotated, and Introduced, Special Working Paper No. 1 Mark Kramer. https://www.wilsoncenter.org/sites/default/files/ACF56F.PDF https://books.google.ge/books?id=N-ItCwAAQBAJ&pg=PA360&lpg=PA360&dq=polish+1980+lublin+crisis&source=bl&ots=QZazdZ3ILN&sig=UUxXDL-2gxla00EL-YmnjQEkkN4&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjV-460zezbAhWFVSwKHe9rAXcQ6AEILTAB#v=onepage&q=polish%201980%20lublin%20crisis&f=false

U. S. Intelligence and the Confrontation in Poland, 1980-1981 By Douglas J. MacEachin. https://books.google.ge/books?id=93eUER87BmsC&pg=PA40&lpg=PA40&dq=polish+1980+lublin+crisis&source=bl&ots=aHZmeHSCu-&sig=51joegtJrcyxKgBFsQzRrURTeBk&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjV-460zezbAhWFVSwKHe9rAXcQ6AEIRzAE#v=onepage&q=polish%201980%20lublin%20crisis&f=false.

Solidarity: The Great Workers Strike of 1980 By Ph. M. D Szporer. https://books.google.ge/books?id=PcBKG1QpMJcC&pg=PA7&lpg=PA7&dq=polish+1980+lublin+crisis&source=bl&ots=tiKnwyv0bs&sig=Nltrv2bEitNmNEW9HLsycwD7WiM&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjV-460zezbAhWFVSwKHe9rAXcQ6AEIUDAG#v=onepage&q=polish%201980%20lublin%20crisis&f=false

14 August 1980: Gdansk shipyard strike begins Dr Matthew Partridge 14/08/2015. https://moneyweek.com/14-august-1980-gdansk-shipyard-strike-begins/

https://www.history.com/this-day-in-history/massive-labor-strikes-hit-poland

Freedom broke out in Gdańsk - history of August 1980, Ostatnia aktualizacja: 10 maja 2017 r. http://www.gdansk.pl/en/about-gdansk/Freedom-broke-out-in-Gdansk-history-of-August-1980,a,3020

Lech Wałęsa PRESIDENT OF POLAND WRITTEN BY: The Editors of Encyclopaedia Britannica See Article History. https://www.britannica.com/biography/Lech-Walesa

Poland: Key Figure In Transition To Democracy Remembers Solidarity, Jeremy Bransten, August 24,

2005 11:16 GMT. https://www.rferl.org/a/1060901.html

Henri Simon's excellent book, Poland 1980-82. https://libcom.org/history/1980-poland-mass-strikes

Cold War 1980 Massive labor strikes hit Poland. https://books.google.ge/books?id=wI9TUaZZeAMC&pg=PR30&lpg=PR30&dq=polish+1980+23+august+gdansk+krisis&source=bl&ots=EzpVUxbnB8&sig=D1_0ETsaWPiL6_sSjlVJI8RmcAE&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjqxpuGz-zbAhUH3CwKHZBzAAAQ6AEIWzAJ#v=onepage&q&f=false

U. S. Intelligence and the Confrontation in Poland, 1980-1981 By Douglas J. MacEachin. https://books.google.ge/books?id=93eUER87BmsC&pg=PA22&lpg=PA22&dq=polish+1980+23+august+gdansk+krisis&source=bl&ots=aHZmeHTxo-&sig=svUwliEM2WbvPDsmEmW9nQp98Ng&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjqxpuGz-zbAhUH3CwKHZBzAAAQ6AEIXzAK#v=onepage&q=polish%201980%2023%20august%20gdansk%20krisis&f=false

getty images, solidarity photos. https://www.gettyimages.com/event/on-this-day-september-17-trade-union-solidarity-established-in-poland-577655299#/portrait-of-the-holy-virgin-was-set-up-at-a-wall-of-the-lenin-in-picture-id136742326

1980: Poland mass strikes - Henri Simon OCRed for libcom.org by Linda Towlson. https://libcom.org/history/1980-poland-mass-strikes

https://www.washingtonpost.com/archive/politics/1981/12/24/reagan-takes-economic-action-against-poland/77d14879-cc44-4682-bc3f-5717c70bc845/?noredirect=on&utm_term=.415a632789cc

THE POLISH CRISIS: ECONOMIC FACTORS AND CONSTRAINTS Domenico Mario Nuti.

The Year 1989 – The End of Communism in Poland, Dudek Antoni. http://www.enrs.eu/en/articles/216-the-end-of-communism-in-poland

Martial Law in Poland – 1981. https://justice4poland.com/2014/12/15/martial-law-in-poland-1981/

http://www.thenews.pl/1/10/Artykul/122801,UK-releases-classified-documents-on-1981-martial-law-in-Poland

December 13, 1981: Marking the Anniversary of Martial Law in Poland. http://inside-poland.com/t/december-13-1981-marking-the-anniversary-of-martial-law-in-poland/

https://www.washingtonpost.com/archive/politics/1981/12/20/terror-of-polish-crackdown/a01228cd-be6a-4df2-a2a5-1e526fa812c5/?utm_term=.84b1656882d0

The Day Poland Stood Still: Memories from the Introduction of Martial Law, Published: Dec 13 2016, Mikołaj Gliński. https://culture.pl/en/article/the-day-poland-stood-still-memories-from-the-introduction-of-martial-law

Repression of Eastern Europe Sources. http://www.thenews.pl/1/9/Artykul/121354,Poland-remembers-1981-martial-law-victims

December 13, 1981: Marking the Anniversary of Martial Law in Poland. http://inside-poland.com/t/december-13-1981-marking-the-anniversary-of-martial-law-in-poland/

Poland remembers introduction of martial law in 1981. http://www.krakowpost.com/888/2007/12

That's Polish: Exploring the History of Poland's National Emblems, Published: Jul 13 2016 Alena Aniskiewicz. https://culture.pl/en/article/thats-polish-exploring-the-history-of-polands-national-emblems

Solidarity Election Flier, “How to vote for Solidarity in Żoliborz”," Making the History of 1989. http://chnm.gmu.edu/1989/items/browse/tag/Solidarity

The Year 1989 – The End of Communism in Poland, Dudek Antoni, 23 August 2011. http://www.enrs.eu/ro/articles/216-the-end-of-communism-in-poland

POLAND’S FOREIGN AND SECURITY POLICY: MAIN DIRECTIONS Agnieszka Bieńczyk-Missala 1 University of Warsaw. https://www.ucm.es/data/cont/media/www/pag-78913/UNISCIDP40-6ABienczyk-Missala1.pdf

Page 010014 The New York Times Archives. https://www.nytimes.com/1989/02/26/world/polish-police-fight-protesters-as-solidarity-and-regime-talk.html

Record of Main Content of Conversation between M.S. Gorbachev and H. Kissinger. https://www.wilsoncenter.org/sites/default/files/EotCW_Part2.pdf

Poland, Year 1989, 2018-06-24. http://year1989.pl/y89/poland/history/8696,Poland.html)
(INFO EASTERN EUROPEAN POSTS AMEMBASSY ROME, C0NFIDENTIAL SECTION 01 OF 03 WARSAW 10780 DECAPTIONED EXDIS ROME FOR VATICAN. https://nsarchive2.gwu.edu/NSAEBB/NSAEBB42/

Poland: Decommunization Process Tackles Communist Past, Kitty McKinsey, July 09, 1998. https://www.rferl.org/a/mazowiecki-dead-poland-solidarity-communism/25150191.html

Solidarno?? (Solidarity) brings down the communist government of Poland, 1988-89. https://nvdatabase.swarthmore.edu/content/solidarno-solidarity-brings-down-communist-government-poland-1988-89

Solidarity POLISH ORGANIZATION WRITTEN BY: The Editors of Encyclopaedia Britannica. https://www.britannica.com/topic/Solidarity

The Consequence of the System Transformation of 1989 in Poland, Antoni Dudek, Poland, 1989, transformation, round table. http://www.enrs.eu/de/articles/1516-the-consequence-of-the-system-transformation-of-1989-in-poland

The Solidarity Movement – Freedom for Europe, Friszke Andrzej, 23, sierpień 2011. http://www.enrs.eu/articles/215:the-solidarity-movement

Relations between the Federal Republic of Germany and the Peoples' Republic of Poland in View of the Political Changes at the End of the 1980s, Burkhard Olschowsky, 13 September 2015. http://www.enrs.eu/en/articles/1583-relations-between-the-federal-republic-of-germany-and-the-peoples-republic-of-poland-in-view-of-the-political-changes-at-the-end-of-the-1980s

LECH WALESA WINS NOBEL PEACE PRIZE FOR UNION EFFORT, By JOHN VINOCUR and SPECIAL TO THE NEW YORK TIMES. https://www.nytimes.com/1983/10/06/world/lech-walesa-wins-nobel-peace-prize-for-union-effort.html

THE EVOLUTION OF THE POLISH SOLIDARITY MOVEMENT, KIERAN INGLETON. https://theviewweast.wordpress.com/2015/07/29/the-evolution-of-the-polish-solidarity-movement/

Crime, Insecurity and Police Reform in Post-Socialist CEE, **Marina Caparini and Otwin** Marenin, 2005 http://journals.openedition.org/pipss/330

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: „მასობრივი კომუნიკაცია“

II სემესტრის დოქტორანტი

ნათია ბრეგვაძე

სადოქტორო სემინარი

„ სოციალური ქსელები: განვითარების გზა, სადღეისო გამოწვევები, პერსპექტივა“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა შამილიშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2018 წელი

სარჩევი

რა არის სოციალური ქსელი? 1

სოციალური ქსელების შექმნისა და განვითარების ქრონოლოგია 4

სოციალური ქსელების როლი და გავლენა 13

სკანდალი facebook-ის გარშემო 17

პოპულარული სოციალური ქსელები 26

Fake News - ყალბი ახალი ამბავი 30

დასკვნა 33

გამოყენებული რესურსები: 35

რა არის სოციალური ქსელი?

მსოფლიოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ყოველი დილა იწყება ამა თუ იმ სოციალური ქსელის მოხმარებით, - შეტყობინებების შემოწმებით, მუსიკის შერჩევით, საქმიანი წერილის გაგზავნით თუ მიღებით, ფოტოს თუ ვიდეოს ატვირთვით, აზრის თუ კომენტარის გაზიარებით, მეგობრების ან ოჯახის წევრების მოკითხვით და ეს ყოველივე ისეთივე ბუნებრივი ჩვევაა, როგორც დილით საუზმობა ან შხაპის მიღება. სოციალური ქსელებით სარგებლობა გრძელდება მთელი დღის მანძილზე - საქმიანი, პროფესიული, გასართობი თუ სხვა მიზნით და ინფორმაციის ამ გზით გაცვლა-გამოცვლა საკმაოდ კომფორტული და მისაღებია ადამიანებისათვის. დღითიდღე უფრო და უფრო ვაცნობიერებთ თუ როგორი ურთიერთდამოკიდებულია ადამიანის სოციალური ცხოვრება სოციალურ ქსელებთან. ოცდამეერთე საუკუნეში საკომუნიკაციო და ტრანსპორტაციის ტექნოლოგიები კიდევ უფრო აპატარავებენ მსოფლიოს, ამცირებენ მანძილს და გეოგრაფიულად ერთმანეთისგან შორს მყოფ ადამიანებს აკავშირებენ ერთმანეთთან, ამგვარად მათ შეუძლიათ სოციალური კონტაქტების დამყარება. ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც არის პარადოქსულად პატარა და ამავდროულად ფართო.

ამ ურთიერთდამოკიდებულებას ერთდროულად აქვს დადებითი და უარყოფითი შედეგები. ერთი მხრივ, ეს გვეხმარება გავაცნობიეროთ სენსიტიურობა იმ საკითხის, რომ ჩვენმა, როგორც ინდივიდის ქმედებებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს არა მხოლოდ ლოკალური მასშტაბის მოვლენებზე, არამედ სამყაროს სხვა ნაწილში მყოფებზეც. თუმცა ამავდროულად შეიცავს გარკვეულ რისკებსაც, თუნდაც ტეროტისტული ან სხვა სახის მსოფლიო საფრთხეების მიმართულებით, რადგან რაც უფრო მარტივია კომუნიკაცია, მით უფრო ადვილადაა შესაძლებელი სიძულვილისა და შეუბრალებლობის გავრცელება.

ამგვარად, სოციალური კავშირები, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კვანძით აკავშირებს ჩვენს თანამედროვე სამყაროს, მრავალი სხვადასხვა გავლენისა და ეფექტის გამომწვევი შესაძლოა იყოს და ლოკალურმა შემთხვევებმა, შესაძლოა, სამყაროს დანარჩენ ნაწილზეც იმოქმედოს.

ტერმინი „სოციალური ქსელი“ არც ისე დიდი ხნისაა. გასული საუკუნის 30–იან წლებში ამერიკელი სოციოლოგები ადამიანებს შორის არსებულ ურთიერთკავშირებს სწავლობდნენ, ასეთ კავშირებს სოციოგრამების, ანუ ერთგვარი დიაგრამების სახით გამოსახავდნენ. ამ გამოსახულებებში ცლკეული პიროვნებები წერტილებით იყვნენ აღნიშნულნი, მათ შორის კავშირები კი ხაზებით. ამ სახით ვიზუალიზებულ ადამიანთა საზოგადოებას, ანუ ურთიერთგადამკვეთ ხაზთა რთულ სისტემას, სოციალური ქსელი დაარქვეს. დღესდღეობით სოციალური ქსელები ფართოდაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში. ისინი კომუნიკაციის დამყარების საუკეთესო საშუალებად ითვლება. მათი საშუალებით მსოფლიოს ერთი ბოლოდან მეორეში ძალიან მარტივად ხდება დაკავშირება. თამამად შეძლება ითქვას რომ სოციალურმა ქსელებმა, ინტერნეტმა, რადიკალურად შეცვალა ადამიანთა ცხოვრება.

ტერმინმა – ,,სოციალური ქსელი“ მოგვიანებით სოციოლოგიიდან ინტერნეტში გადაინაცვლა. ინტერნეტში იგი ისეთ ვებგვერდებს ან სერვისებს აღნიშნავს, რომელსაც თვითონ მომხმარებლები ამდიდრებენ. ასეთი საიტები ერთგვარ სოციალურ გარემოს წარმოადგენენ, რომელიც საერთო ინტერესებით დაკავშირებულ მომხმარებლებს ერთმანეთთან ურთიერთობის, ინფორმაციის და გამოსახულებების გაცვლის საშუალებას აძლევს. ბოლო ხანს სოციალური ქსელები მთელ მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამის მაგალითია თუნდაც FACEBOOK, რომლის მომხმარებელმაც 500 მილიონს გადააჭარბა. მისი შემქმნელი კი მარკ ცუკერბერგი, თავის დროზე ყველაზე ახალგაზრდა მილიარდელად აქცია. სოციალური სამყაროს ეპოქაში ადამიანი ინტერნეტ სამყაროს ცენტრში ექცევა. მომხმარებელი თავად ირჩევს

როდის და რას უყუროს, რას უსმინოს რა წაიკითხოს. უფრო მეტიც თავად ქმნის იმას, რაც მერე სხვისთვისაც საინტერესო ხდება. ამერიკელი სოციოლოგი სტენლი მილგრემი ატარებდა ძალიან საინტერესო ექსპერიმენტებს. მან გადაწყვიტა ადამიანებს შორის არსებული კავშირების შესწავლა. დასკვნები ყველასთვის მოულოდნელი იყო. ამერიკაში მცხოვრებ მოსახლეობას მან და მისმა კოლეგებმა 300 კონვერტი დაურიგეს. ამ კონვერტების ადრესატები ამერიკის სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები კონკრეტული პიროვნებები იყვნენ. ექსპერიმენტის პირობის თანახმად, ამ კონვერტების ფოსტით გაგზავნა არ შეიძლებოდა, მისი გადაცემა მხოლოდ ნაცნობებისთვის და ახლობლებისთვის შეიძლებოდა. კონვერტის გზა ერთი ადამიანიდან სხვა ქალაქში მცხოვრებ მეორე ადამიანამდე ძალიან მოკლე აღმოჩნდა. ასე დაიბადა პატარა სამყაროს ან ,,ექვსი ხელის ჩამორთმევის თეორია". შედეგების კვლევებმა აჩვენა რომ, ნებისმიერ კონკრეტულ ადამიანს მეორემდე - სულ რაღაც ექვსი ხელის ჩამორთმევა აშორებს. სოციალური ქსელის ხიბლიც ესაა: მე სოციალური ქსელის საშუალებით ვაცნობ ინფორმაციას ჩემ მეგობარს, რომელიც ამ ინფორმაციას აცნობს თავის მეგობარს და ამგვარად, ჩემ მიერ ინიცირებულმა ინფორმაციამ შეიძლება მთელი მსოფლიო მოიაროს და სოციალურ ქსელში გაერთიანებული ყველა მომხმარებლისთვის გახდეს ხელმისაწვდომი.

სოციალური ქსელი - ეს არის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელებს შექმნან თავიანთი პროფილები და დაუკავშირდნენ სხვა მონაწილეებს ვირტუალურ სამყაროში. ის წარმოადგენს კონკრეტული ადამიანის ნაცნობების გარკვეულ ვირტუალური წრეს, სადაც თვითონ ადამიანი - არის სოციალური ქსელის ცენტრი, მისი ნაცნობები კი - ამ ქსელის განშტოებები, ხოლო ურთიერთობები ამ ადამიანებთან - კავშირები. 1995 წელს შეიქმნა Classmates.com - პირველი სოციალური ქსელი. პოპულარული რუსული სოციალური ქსელი „Одноклассники" წარმოადგენს მის ანალოგს. კონცეფცია აღმოჩნდა ძალიან მოთხოვნადი და სწორედ ამ წლიდან იწყება ინტერნეტში სოციალური ქსელის მძლავრი განვითარება. დღემდე ეს ქსელი რჩება ერთერთი ყველაზე პოპულარული

მთელ მსოფლიოში და ითვლის 50 მილიონზე მეტ მომხმარებელს. 2004 წელში გამოჩნდა Facebook რომელიც რამოდენიმე წელში ხდება ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელი მთელ მსოფლიოში. 2003–2004 წლებში გაეშვა აგრეთვე პოპულარული სოციალური ქსელები LinkedIn და MySpace.

არსებობს სოციალური ქსელის სხვადასხვა კლასიფიკაცია. ზოგი ქსელი ორიენტირებულია ნაცნობი ადამიანების მოძებნაზე და მათთან ურთიერთობაზე (თანაკლასელი, თანაკურსელი, თანამშრომელი და ა .შ.). ზოგიერთი ქსელი კი წარმოადგენს ბიზნეს კავშირებს (სამუშაოს ძიება, პარტნიორის ძიება, პროფესიული ურთიერთობები, საქმიანი ურთიერთობების გადაწყვეტა). ზოგი მათგანი კი შექმნილია ადამიანების ურთიერთობებისათვის, რომლებიც გაერთინებულები არიან საერთო ინტერესებით (ვიდეო, მუსიკა, კინო , ფოტო და ა. შ.).

სოციალური ქსელების მთავარი სიმდიდრე მისი მომხმარებლები არიან. ერთ დღესაც, ვთქვათ, FACEBOOK–ის ყველა მომხმარებელმა, ინფორმაციის განთავსება რომ შეწყვიტოს, საიტი დაკარგავს თავის მომხიბვლელობას და გამოუსადეგარ ვებ–გვერდად გადაიქცევა.

სოციალური ქსელების შექმნისა და განვითარების ქრონოლოგია

მოდით მივყვეთ ქრონოლოგიურად და თვალი გადავავლოთ ინტერნეტის განვითარების ისტორიას: 1969 წლის 5 დეკემბერი – ეს წელი შეიძლება ჩავთვალოთ ARPAnet-ის ოფიციალურად შექმნის წლად. 1990 წელს ინტერნეტში შედიოდა 3 ათასი აქტიური ქსელი და 200 ათასზე მეტი კომპიუტერი. 1992 წელს მსოფლიოში არსებობდა 26 ვებ–გვერდი. 1993 წელს უკვე არსებობდა 500 ვებ–გვერდი. 1994 წელს კი სერვისების რაოდენობამ ხუთი ათასი შეადგინა. საშუალოდ, ქსელში ყოველდღიურად ჩნდება ერთნახევარი მილიონი ახალი გვერდი რაც წამში დაახლოებით 20 გვერდია. საქართველოში ინტერნეტის განვითარებაში პირველი

ნაბიჯები გადაგდა საქართველოს დევნილი ეროვნული ხელისუფლების ემიგრაციამ ფინეთიდან. პირველი ქართული (ქართულ ენაზე შესრულებული ვებ–საიტი) 1996 წლის დასაწყისში შექმნა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წარმომადგენელმა ევროპაში რენო სირაძემ. ეს იყო ,,დედა ენა". მეორე ქართული ვებ–საიტი გახდა ,,შავლეგო", რომელიც დაარსდა ასევე 1996 წელს ბესარიონ გუგუშვილის მიერ. Rnetworldstats.com-ის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით საქართველოში ინტერნეტის მომხმარებეთა რიცხვი საგრძნობლად იზრდება. 2010 წლის მონაცემებით : თბილისში ინტერნეტის მომმარებელთა რაოდენობა 55%, ქუთაისში 53%, ბათუმში 51%,ხოლო სხვა ქალაქებში 40%. საქართველოში გამოკითხულთ 74% ამბობს რომ იყენებს ინტერნეტს ყოველდღე, 14%– კვირაში 2–3–ჯერ, 6% კვირაში ერთხელ,ხოლო 5% თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად. დღეისათვის მსოფლიოს მოსახლეობის 28,7% ინტერნეტია აქტიური მომხმარებელი,რაც მართლაც რომ არ არის პატარა ციფრი. ამიტომ მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის დადებითი და უარყოფითი შედეგები რაც მოაქვს საციალურ ქსელებს და მათ მოხმარებას. სოციალურ ქსელებში შეიძლება შევხვდეთ ნებისმიერი ასაკის ადამიანს. აღსანიშნავია რომ ვირტუალურ სამყაროში internet ასაკი როგორც ასეთი აღარ არსებობს. უფრო სწორად, აღარ ითვლება განმსაზღვრელ ფაქტორად, რომელიც გავლენას ახდენს როგორც თვით ადამიანის ქცევაზე, ასევე ამ ადამიანის ფსიქიკაზე. უდავოა, რომ ქსელი გარდაქმნის ადამიანს სხვა ტიპის არსებად. კომპიუტერის მონიტორის ეკრანი უკვე გახდა ადამიანის ტვინის ნაწილი.

აკადემიკოსი პაველ სიმონოვი ხაზს უსვამს ,,ინფორმაციულ შიმშილს", რომელიც განსაკუთრებულ ზიანს აყენებს განვითარუბლ ტვინს. ამიტომ მისი ნორმალური სიცოცხლისუნარიანობისთვის მნიშვნელოვანია გარემოს გამდიდრება. საყურადღებოა ის გავლენა, რომელსაც სოციალური ქსელები ადამიანის ფსიქიკაზე ახდენს: 1.ინფორმაციის ფრაგმენტულობა და დანაწევრება იწვევს აღქმისას კოგნიტური დატვირთვის მომატებას. 2.ჰიპერტექსტური რეჟიმის გამოყენება მოითხოვს რთულ, ჩახლართულ სისტემაში ორიენტირების უნარს. 3.JAVA-

აპლეტების გამოყენება ინტერნეტში ინტერაქციული მუშაობის პროცესში მოითხოვს აზროვნების სპეციალური ალგორითმების გამოყენებას. 4.ხანგრძლივი მუშაობისას ადამიანი განიცდის ,,ინფორმაციული ხმაურის" ზემოქმედებას იმის შედეგად,რომ უმეტეს ვებ–გვერდებზე სასარგებლო და უსარგებლო, საინტერესო და უინტერესო, ინფორმაციაა არეული. ამ უსაზღვრო ინფომაციის გარემოცვაში ადამიანი დამოკიდებული ხდება სოციალურ ქსელებზე, იმდენად დამოკიდებული რომ დაკარგული აქვს დროის შეგრძნება.

ინტერნეტ–დამოკიდებულების ცნება პირველად 1990 წელს შემოღეს, ინტერნეტის პათოლოგიური გამოყენების აღწერისთვის. თვითონ დამოკიდებულება ეს არის მუდმივად განიცადო გარკვეული მდგომარეობა თუნდაც ეს იყოს ნეგატიური შედეგის მქონე. ამიტომ ბოლო პერიოდში გამოჩნდა ასეთი შედარება, როგორიცაა: ინტერნეტი vs ნარკოტიკი, რაც ნამდვილად არ არის საფუძველს მოკლებული. 1997 წლიდან ინტერნეტის პათოლოგიური გამოყენება ოფიციალურად გახდა მიჩნეული ფსიქიკური აშლილობის ერთ–ერთ მიზეზად. როგორც წესი, დიაგნოზი მეტყველებს ადამიანის სხვა სერიოზულ პრობლემებზე: დეპრესია, კომუნიკაციური პრობლემები, არ შეუძლია გაუმკლავდეს სტრესს, გადაჭრას რეალური პრობლემები.

კვლევამ, რომელიც ფსიქოლოგმა კიმბეერლი იანგმა ჩაატარა, აჩვენა რომ, ინტერნეტ–დამოკიდებულების გავრცელება ჰგავს პათოლოგიური აზარტულობის გავრცელებას. გასულ წელს მსოფლიოში უმსხვილსემა ფსიქიატრთა ასოციაციის ოფიციალურმა გამოცემამ ,,The American Journal of Psychiatry" გამოაქვეყნა სტატია, რომლის მიხედვითაც მსოფლიო ფსიქიატრიამ აუცილებლად ცნო ინტერნეტ–მიჯაჭვულობას მიენიჭოს ოფიციალური დაავადების სტატუსი. დღეს მსოფლიოში ინტერნეტ–მიჯაჭვულობით დაავადებულია ინტერნეტის მომხმარებეთა 2–10%, თითქოს ეს არც ისე დიდი მაჩვენებელია, მაგრამ ამ ადამიანებს ესაჭიროებათ სასწრაფო სამედიცინო დახმარება,რადგან დიდია სიკვდილიანობის რისკი. ამ მიზეზით უკვე გარდაცვლილია ათასობით ადამიანი, რადგან ორგანიზმი ვერ უძლებს

კომპიუტერთან 24–საათიან ჯდომას. რაც შეეხება რისკის ჯგუფს მასში შედიან ქსელის მომხმარებელთა 40%. ადამიანები, რომლებიც რისკის ჯგუფს განეკუთვნებიან საათობით სხედან კომპიუტერთან, ყოველდღიურად უფრო მეტ და მეტ დროს ატარებენ კომპიუტერთან, ურჩევნიათ ჭამონ მონიტორთან, მოიკლონ ძილი, მეორე პლანზე გადაიტანონ სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმეები. თუ შევეკითხებით ნებისმიერ ადამიანს თუ რატომ სარგებლობს ინტერნეტით,იგი ბევრ სხვადასხვგვარ პასუხს გაგვცემს: უყურებს ფილმებს, ურთიერთობს მეგობრებთან, პოულობს საჭირო ინფორმაციას და ა. შ. ანუ იკმაყოფილებს მის რომელიმე მოთხოვნილებას. მაგრამ საქამე იმაშია რომ ნებისმიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სასრულია ანუ, ადამიანი რომელიც რამეში გრძნობს მოთხოვნილებას–ეძებს მისი დაკმაყოფილების გზებს, პოულობს, იღებს კანონიერ სიამოვნებას და მშვიდდება. ხოლო თუ ადამიანი გაუთავებლად იკმაყოფილებს მოთხოვნილებას და ვერ ,,ძღება“, ნათელია; ეს ადამიანი მხოლოდ თავს იტყუებს, ვითომ ეს სიამოვნებას ანიჭებს და ამით მოთხოვნილებას იკმაყოფილებს. აქ ჩნდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა: ადამიანი გაურბის ნამდვილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რომელიც ტვინში ნეგატიურ ემოციად ვლინდება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ფსიქიკას. ამაზე რომ არ იფიქროს ადამიანმა უნდა ჩაახშოს იგი, მაგალითად ინტერნეტით, რომელშიც მილიარდი საშუალებაა იმისთვის რომ გადაერთოს, დავიწყებას მიეცეს, მოწყდეს რეალობას.

სოციალური ქსელები ძირითადად ვითარდებოდნენ რაოდენობრივი გზით მოიცავდნენ რა სულ უფრო მეტ მომხმარებლებს, მაგრამ დღესდღეობით ისინი გადადიან ხარისხობრივი განვითარების სტადიაზე ნერგავენ რა თავის საქმიანობაში მომხმარებელთან უთიერთობის სულ უფრო ახალ სერვისებს. თანამედროვე ეტაპზე გამოყოფენ სოციალური ქსელების განვითარების შემდეგ ძირითად ტენდენციებს;

- სოციალური ქსელების ტექნოლოგიური განვითარება
- ინტერნეტ რესურსების სოციალიზაცია
- თემატური სოციალური ქსელების განვითარება
- სოციალური ქსელების დანერგვა ბიზნესში
- სოციალური ქსელების გაერთიანება ტექნოლოგიური განვითარება

სოციალური ქსელების ტექნოლოგიების განვითარება მრავალწახნაგოვანია, მაგრამ შესაძლებელია გამოვყოთ რიგი საკვანძო ტენდენციები: – საკომუნიკაციო ინსტრუმენტები კომუნიკაცია – ნებისმიერი სოციალური ქსელის საფუძველია რაც განაპირობებს მათ პირველრიგით განვითარებას. დღესდღეობით მრავალი პოპულარული სოციალური ქსელი თავის პროექტებში ადამიანის რეალური ცხოვრების ყველა კომუნიკაციას აერთიანებს (Facebook –მა უკვე გაერთიანა ელექტრონული ფოსტის ტექნოლოგია თავის პროექტში). უახლოეს მომავალში კი კომუნიკაციების ყველა სახეობა განთავსდება სოციალურ ქსელებში. – კონტენტი დღესდღეობით სოციალური ქსელები მუშაობენ «User-Generated Content» პრინციპით ანუ სოციალური ქსელები თავაზობენ საჭირო ინსტრუმენტებს, ხოლო მომხმარებლები მათი გამოყენებით ქმნიან შესაბამის კონტენტს. ეს მოდელი კარგად მუშაობს, მაგრამ პროფესიონალური კონტენტის შექმნის ინსტრუმენტები ცოტაა, მომხმარებელი კი მოითხოვს უფრო მრავალფეროვანი და ხარისხიანი კონტენტის მიღებას. ადრე სოციალური ქსელები ცდილობდნენ მომხმარებლების კონტენტის სტრუქტურირებას, შემდეგ შექმნეს ხარისხიანი კონტენტის ფილტრაციის

ინსტრუმენტები, ხოლო უახლოეს მომავალში მოსალოდნელია კონტენტის შექმნის და რედაქტირების ფუნქციონალის შემუშავება. ძალზე პერსპექტიულად გამოიყურება საიტების მოდელი, სადაც ერთად იქნება თავმოყრილი სოციალური ფუნქციონალი და ხარისხობრივი თემატური კონტენტი. განსაკუთრებული ადგილი დაეთმოება გასართობ კონტენტს (თამაშები, ვიდეო, მუსიკა) რომელიც ძალზე პოპულარულია მომხმარებლებს შორის. ამ სერვისებთან ინტეგრაცია უკვე დაწყებულია. მაგალითად Facebook–მა განაცხადა მუსიკალურ სერვის Spotify–თან ინტეგრაციაზე. – ელექტრონული კომერციის ინსტრუმენტები ბოლო წლებში სოციალური ქსელები ცდილობენ ინტერნეტ მაღაზიებთან ინტეგრაციას და მომხმარებლებს შორის ელექტრონული ვაჭრობის ინსტრუმენტების შემუშავებას. ეს ძალზე პერსპექტიული სეგმენტია, რადგან დღესდღეობით ელექტრონული კომერციის ბაზრის მოცულობა რამოდენიმე ასეული მილიარდი დოლარია, ხოლო სოციალურ ქსელებს ჰყავთ ასეულობით მილიონი მომხმარებელი. სოციალური ქსელები უკვე ქმნიან სპეციალურ პლატფორმებს ელექტრონული კომერციისათვის (Facebook Marketplace, Second Life Marketplace). სოციალური ქსელებისათვის მომგებიანია ყიდვა– გაყიდვის შესაძლებლობის მქონე პლატფორმების შექმნა. ამ შემთხვევაში სოციალური ქსელი შეასრულებს შუამავლის როლს და მოგებას მიიღებს საკომისიო თანხის და რეკლამის ხარჯზე.

სარეკლამო ტექნოლოგიები სარეკლამო ტექნოლოგიების განვითარება წარმოადგენს სოციალური ქსელების მოგების მთავარ წყაროს. სოციალურ ქსელებს გააჩნიათ მომხმარებელზე უზარმაზარი რაოდენობის ინფორმაცია. ეს მათ საშუალებას აძლევს მაქსიმალურად მიზანმიმართულად განახორციელონ რეკლამის ჩვენება. სოციალურ ქსელებში უკვე აქტიურად ინერგება ქცევითი ტექნოლოგიები, რომელიც მომხმარებელს თავაზობს რეკლამას არა მარტო მისი პროფილის გათვალისწინებით არამედ მისი ქცევის საფუძველზეც. ინტერნეტ–რესურსების სოციალიზაცია ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ინტერნეტ–რესურსების სოციალიზაცია. უკვე თითქმის ყველა სერიოზულ ინტერნეტ–პროექტებში (ახალი ამბების საიტი,

ინტერნეტ მაღაზია ან საძიებო სისტემა) არის სოციალური ფუნქციონალი. ეს პროცესი შეიძლება დავყოთ ორ დიდ ჯგუფად:

- სოციალურ ქსელებთან ინტეგრაცია
- სოციალური ფუნქციონალის შემუშავება

უკვე მრავალი მილიონი ვებ–საიტი ინტეგრირებულია პოპულარულ სოციალურ ქსელებთან (სოციალურ ქსელში ინფორმაციის გაგზავნის ღილაკები, ღილაკები „მომწონს“, სოციალური ქსელების მეშვეობით კომენტარების ინსტრუმენტები და მრავალი სხვა) შემდგომი ნაბიჯი იქნება ინტეგრაციის სპეციალიზირებული პლატფორმების შემუშავება, რომლებიც გარეშე საიტზე ყოფნისას მომხმარებელს საშუალებას მისცემენ მიიღოს ყველა ის ინფორმაცია, რაც არის სოციალურ ქსელში. იგივე პროცესი შეიძლება წარიმართოს უკუ მიმართულებითაც: მომხმარებელი იმყოფება რა სოციალურ ქსელში მიიღებს ინფორმაციას გარეშე საიტებიდან. საიტების გარდა სოციალიზაციის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს დანართებშიც. მაგალითად კორპორაცია Microsoft აქტიურად აწარმოებს თავისი პროგრამის Outlook–ის ინტეგრაციას სოციალურ ქსელებში. თემატური სოციალური ქსელების განვითარება ბოლო ათწლეულში მსოფლიოში ვითარდებოდნენ ზოგადი ხასიათის სოციალური ქსელები. უკანასკნელ პერიოდში კი განვითარება დაიწყეს გარკვეული თემატიკის სპეციალურმა სოციალურმა ქსელებმა. დღესდღეობით უკვე არსებობენ საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტების, ტურისტების, სპორტსმენების, პოლიტიკოსების, მეცნიერების თემატური სოციალური ქსელები. მათ შორის აღსანიშნავია Moxie Moms (moxie-moms.com) –დედების სოციალური ქსელი, Geni – Genealogy – Free Family Tree (geni.com) – ნათესავების სოციალური ქსელი. ამასთნავე ჯერ კიდევ არსებობს ბევრი თავისუფალი ნიშა, რომელთა დაკავება უახლოეს პერიოდში მოხდება. ქართულ სოციალური ქსელების მომავალი განვითარების გზა სწორედ თემატური სოციალური ქსელების განვითარება წარმოადგენს. სოციალური ქსელების დანერგვა ბიზნესში თანამედროვე მსოფლიოში ბიზნესი ფართოდ

გამოიყენებს სოციალურ ქსელებს თავის საქმიანობაში. მთლიანობაში ეს პროცესი შეიძლება დავყოთ 2 ჯგუფად:

- სოციალური ქსელების გამოყენება კომპანიის შიდა საქმიანობაში
- სოციალური ქსელების გამოყენება კომპანიის გარე საქმიანობაში

კომპანიის შიდა საქმიანობაში დიდი ხანია გამოიყენება სხვადასხვა საინფორმაციო სისტემები, მაგრამ მხოლოდ ბოლო პერიოდში დაიწყო მათი აქტიური სოციალიზაცია. პირველები ამ საქმეში იყვნენ მსოფლიო ინფორმაციული ტექნოლოგიების კომპანიები, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში თავის თანამშრომლებთან ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფა (Microsoft Corporation, Google, IBM, Apple, Cisco Systems და სხვა) ერთ–ერთმა პირველმა ვინც გამოიყენა ეს მიდგომა იყო ინტერნეტის ქსელური ტექნოლოგიების ლიდერი კომპანია Cisco Systems, Inc. მან შეიმუშავა შიგა კორპორატიული სოციალური ქსელი, რომელშიც განათავსა შიგა კორპორატიული ბლოგები, სასწავლო მასალები, ვიდეო კავშირი, ენციკლოპედიები და სოციალური ქსელების სხვა ელემენტები. Cisco ასევე გახსნა „კომუნიკაციური კომპეტენციების ცენტრი“ (Communications Center of Excellence, CcoE) რომ დახმარებოდა კომპანიის თანამშრომლებს ამ სოციალური ქსელის და მისი ყველა უპირატესობების გამოყენებაში. კომპანიები აქტიურად გამოიყენებენ სოციალურ ქსელებს თავის გარე საქმიანობაში სხვადასხვა სახის ამოცანის გადასაწყვეტად: კლიენტების მოზიდვა, თანამშრომლების მოძიება, იმიჯის შექმნა და სხვა. თუ ადრე ამ მიზნით გამოიყენებდნენ სხვა სერვისებს დღესდღეობით მნიშვნელოვანი აქტიურობა გადატანილია სოციალურ ქსელებში, რომლებიც უფრო ეფექტურად წყვეტენ კომპანიის წინაშე მდგარ ამოცანებს. კონსალტინგური კომპანია Gartner -ის პროგნოზით 2016 წელს მსხვილი კომპანიების 50% ექნება Facebook–ის ტიპის შიდა სოციალური ქსელი და ისინი ისევე იქნებიან ჩაშენებული კომპანიის ბიზნეს–პროცესებში, როგორც დღეს ელექტრონული ფოსტა და ტელეფონია.

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს გამოჩნდა პროექტი Groupon-კოლექტიური ფასდაკლებების სერვისი , რომელი ერთის მხრივ ემყარება სწორედ სოციალური ქსელების პრინციპს- მეორეს მხრივ კი გამოიყენებს სოციალურ ქსელებს ბიზნესისათვის (მხოლოდ შესყიდვებისათვის). ამ სერვისს, რომელიც აერთიანებს სოციალურ ურთიერთობებს და ბიზნესს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ინტერნეტში სოციალური ქსელების განვითარების ახალი ეტაპი. ქსელების გაერთიანება დღესდღეობით სოციალურ ქსელებში მიმდინარეობს სწრაფი რაოდენობრივი ზრდა და მათი გაერთიანების საკითხი მწვავედ არ დგას. ამასთანავე მრავალი სოციალური ქსელი ამა თუ იმ ხარისხით ერთმანეთის კონკურენტები არიან. მიუხედავად ამისა ბოლო წლებში საგრძნობლად გააქტიურდა სოციალური ქსელების გაერთიანების პროცესი. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგა კომპანია Google. შექმნა რა პროექტი OpenSocial – ეს არის API (Application Programming Interface – დანართების პროგრამირების ინტერფეისი) ნაკრები, რომელიც საშუალებას აძლევს სპეციალისტებს დაშვება მიიღონ ამ პროექტში გაერთიანებულ სოციალურ ქსელებში არსებულ ინფორმაციაზე და შექმნან დანართები, რომლებიც ერთდროულად იმუშავენ მრავალ პოპულარულ ქსელებთან. ამ პროექტს უკვე შეუერთდნენ ისეთი პოპულარული სოციალური ქსელები, როგორიცაა; MySpace, LinkedIn, Hi5, Bebo, Ning, Plaxo, Friendster.[11] ამ პროცესს არ ჩამორჩა Facebook, რომელმაც შეიმუშავა გარე ვებ–საიტებთან ინტეგრაციის პროტოკოლი Open Graph.

სოციალური ქსელების როლი და გავლენა

დავიწყოთ იმით, თუ რომელია მთავარი სოციალური ქსელი, რომელიც პოლიტიკაზე ახდენს გავლენას. დასავლეთში და განსაკუთრებით ამერიკაში, ასეთი არის ტვიტერი, სადაც მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ასონიშნებით არის შესაძლებელი თავის გამოხატვა. ტვიტერზე თითოეულ სტატუსში მხოლოდ 140 სიმბოლოს დაწერა არის შესაძლებელი. მაშინ, როდესაც, მაგალითად, ფეისბუკზე ასეთი ლიმიტი გაცილებით უფრო მაღალია (თუმცა როგორც ამბობენ, ტვიტერიც აპირებს სიმბოლოების ლიმიტის გაზრდას). შესაძლოა, სწორედ ამის გამოც და სხვა მიზეზებითაც, რომლებიც სათანადოდ გამოკვლეული არ არის, ფეისბუკი უფრო პოპულარულ მედიუმად იქცა ქართული პოლიტიკისთვის. ფეისბუკამდე დაახლოებით მსგავს ფუნქციას ასრულებდა „თბილისის ფორუმი“, სადაც მომხმარებლები ანონიმური ზედმეტსახელებით (ე.წ. „ნიკნეიმებით“) პოსტავენ. ერთი პერიოდი, თბილისის ფორუმის პოლიტიკის განყოფილება იმდენად პოპულარული იყო, რომ მას ხელისუფლებაში მყოფი და ოპოზიციონერი პოლიტიკოსები აქტიურად კითხულობდნენ და იქ წამოჭრილ თემებზე მსჯელობდნენ. თანდათანობით, ფორუმის პოპულარობა ფეისბუკმა ჩაანაცვლა. აღსანიშნავია ის, რომ თბილისის ფორუმი მაინც ერთგვარად ელიტური ვირტუალური სივრცე იყო. მიუხედავად იმისა, რომ მას პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილი აქტიურად ადევნებდა თვალს, იქ მაინც შეზღუდული რაოდენობის ადამიანი წერდა („პოსტავდა“). მისგან განსხვებით, „ფეისბუკი“ უფრო დემოკრატიული სოციალური სივრცეა. დამოუკიდებელი მკვლევრის 2015 წლის შეფასებით, საქართველოში 14 წლის ასაკზე უფროსი მოსახლეობის დაახლოებით 40% მოიხმარდა ფეისბუკს. მართალია, ეს არ არის საქართველოს მთელი მოსახლეობა და განსაკუთრებით არ მოიცავს ხანდაზმულ ადამიანებს, მაგრამ ჩართულობის გაცილებით უფრო მაღალი ხარისხია, ვიდრე პატარა ინტერნეტფორუმებზე შეიძლება არსებობდეს. დღეს, როდესაც საქართველოს სოციალური ქსელების პოლიტიკაზე გავლენაზე საუბრობენ, პირველ რიგში, სწორედ

ფეისბუკს გულისხმობენ. ეს არა მხოლოდ იქიდან გამომდინარეობს, რომ ფეისბუკი ყველაზე გავრცელებული სოციალური ქსელია, არამედ იქიდანაც, რომ თავად ქართველი პოლიტიკოსების ნაწილიც ფეისბუკის აქტიური მომხმარებელია. ის, რომ სოციალურ ქსელში გაკეთებულ კომენტარებს პოლიტიკოსებზე და პოლიტიკაზე გარკვეული გავლენა აქვს, ეს უდავოა და იქიდანაც ჩანს, რომ თავად პოლიტიკოსები გარკვეულ დროს სოციალურ ქსელებში მოღვაწეობასაც უთმობენ. მეორე მხრივ, გასარკვევია, რა ტიპის გავლენაა ეს. ტელევიზიას ერთმნიშვნელოვნად ცალმხრივი გავლენა უფრო აქვს, ვიდრე ორმხრივი: აქ პოლიტიკოსები უფრო მეტად ახდენენ მოსახლეობაზე გავლენას, ვიდრე პირიქით. ფეისბუკზე შესაძლებელია ორმხრივი კომუნიკაციის დამყარებაც: პოლიტიკოსები ესაუბრებიან ამომრჩეველს და ამომრჩეველი ესაუბრება პოლიტიკოსებს. ამავე დროს, ეს კომუნიკაცია ნაკლებად ფერხდება სხვადასხვა სოციალური, კულტურული და გეოგრაფიული ბარიერებით. ფეისბუკზე სხვადასხვა სოციალური სტატუსის, კულტურული კაპიტალის და განსხვავებული გეოგრაფიული მდებარეობის ადამიანები ტექნიკურად თანაბარ შესაძლებლობებს ფლობენ საკუთარი თავის გამოსახატავად. ის, რომ სოციალურ ქსელებში პოლიტიკური კომუნიკაცია ორმხრივია და შედარებით თავისუფალია ბარიერებისგან, არ ნიშნავს იმას, რომ ეს აუცილებლად კომუნიკაციის სრულფასოვანი ფორმაა. პირველ რიგში არ ნიშნავს იმიტომ, რომ ამგვარი კომუნიკაცია დაცლილია ბუნებრივი ძალაუფლებრივი ურთიერთმიმართებებისგან და, შესაბამისად, გარკვეულწილად ილუზორულია. სინამდვილეში, ადამიანი საკუთარ თავს გამოხატავს არა იზოლაციაში, ვაკუუმში, არამედ სხვა ადამიანებთან მიმართებაში. შესაბამისად, მისი პოზიციაც ხშირად სხვა ადამიანების პოზიციასთან მიმართებაში განისაზღვრება. ფეისბუკზე ეს ურთმიმართებები სახეს იცვლის და რეალობის არასრულ სურათს გვაძლევს. ადამიანები სოციალური ქსელით უფრო თავისუფლად აკრიკტიკებენ ამა თუ იმ მოვლენას თუ პიროვნებას, ვიდრე რეალურ სოციალურ გარემოში. აქედან გამომდინარე, ისე გამოდის, რომ ფეისბუკზე ხალხი იქმნის საკუთარი თავის არასრულ სურათს და საბოლოოდ ქმნის ერთგვარ

ნახევრადილუზორულ საზოგადოებას. ერთი მხრივ, ფეისბუკი არის სივრცე, რომელიც ზრდის პოლიტიკოსებზე ზემოქმედების ბერკეტებს, მეორე მხრივ, ეს არის ოპტიკური ილუზიის წყარო, რითიც შეიძლება საზოგადოებაზე ძალიან მარტივად შევიქმნათ არასწორი სურათი. ამ ყველაფერზე დაყრდნობით, დღეს სერიოზული დილემის წინაშე ვდგავართ: დავრჩეთ ბოლომდე სოციალურ ქსელში, ფეისბუკზე და ასე გამოვხატოთ საკუთარი თავი, თუ თან გადავინაცვლოთ რეალობაში და რეალურ სივრცეში ვაიძულოთ ხელისუფლება, პოლიტიკური პარტიები თუ ცალკეული პოლიტიკოსები, რომ მოგვისმინონ და ჩვენი მოსაზრებები გაითვალისწინონ. ეს არის არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ გლობალური დილემა, თუმცა დასავლეთში, სადაც სამოქალაქო აქტივობის დამკვიდრებული ტრადიციები არსებობს, პრობლემა შედარებით მსუბუქი შეიძლება იყოს. ჩვენთან, ამის საპირისპიროდ, იქიდან გამომდინარე, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმის სივრცე, ისტორიული მოცემულობიდან გამომდინარე, შეზღუდულია, გაცილებით მეტი ცდუნება არსებობს, რომ მთლიანად ილუზორულ რეალობაში გადავეშვათ. საქართველოში სოციალური ქსელების მზარდი პოპულარობა, პოლიტიკოსების მიერ განსაკუთრებით ფეისბუკის ხშირი გამოყენება, ერთმნიშვნელოვნად მისასალმებელი ტენდენციაა, მაგრამ, ამასთან ერთად, ეს არის ერთგვარი ცდუნების მზარდი წყაროც. ცდუნება კი იმაში მდგომარეობს, რომ მივატოვოთ რეალობა და გადავეშვათ ვირტუალურ, ფეისბუკის სამყაროში, სადაც სამყარო რეალობისგან რამდენადმე განსხვავებული კანონებით იმართება. ამ ცდუნებაზე უარის თქმა და სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის რეალურ სივრცეში გაზრდა ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 51% ინტერნეტს დღეში ერთხელ მაინც იყენებს. გამოკითხულთა 9% კი ამბობს ინტერნეტს კვირაში ერთხელ მაინც იყენებს. საერთო ჯამში ინტერნეტის ყოველდღიური და ყოველკვირეული მომხმარებლების რაოდენობა 60%-ს შეადგენს. ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტმა ეს მაჩვენებელი ქალაქისა და სოფლის ჭრილშიც დათვალა. კვლევის მიხედვით, დიდ ქალაქებში მაცხოვრებელთა 75% კვირაში ერთხელ მაინც იყენებს ინტერნეტს, ხოლო სოფლად მაცხოვერებლთა 53% იყენებს ინტერნეტს კვირაში ერთხელ მაინც.

საქართველოში პოპულარობით სოციალური ქსელები პირველ ადგილზეა ინტერნეტის სერვისებს შორის. „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ მონაცემებით 2012 წლის ბოლოს საქართველოში ინტერნეტ მომხმარებლების 68% გაერთიანებულია სოციალურ ქსელებში. საქართველოში სოციალურ ქსელ Facebook 2013 წლის აპრილის მონაცემებით 1 029 600 მომხმარებელი ჰყავს, რომელთაგან უმეტესობა ქალბატონია (54.6%). ქართული სოციალური ქსელებია; http;//www.face.ge http;//www.odno.ge http://www. mylove.ge http:// www.myface.ge http://geoclass.ge http://www.gacnoba.org ქართული სოციალური ქსელები სუსტად არიან განვითარებულები. ხშირ შემთხვევებში ისინი წარმოადგენენ მსოფლიო პოპულარული სოციალური ქსელების კლონებს. აღსანიშნავია, რომ ქართული სოციალური ქსელები დიზაინითაც კი ბაძავენ უცხოურ სოციალურ ქსელებს. ქართულ სოციალურ ქსელებს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვთ რომ უცხოურ ქსელებს ღირსეული კონკურენცია გაუწიონ, როგორც ხარისხის ისე რეიტინგის მხრივ. ქართული სოციალური ქსელების განვითარების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს თემატური სოციალური ქსელები. ჩვენი ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობიდან და ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობიდან

გამომდინარე მხოლოდ ამ სეგმენტში შესაძლებელია გარკვეული წარმატების მიღწევა პოპულარულ სოციალურ ქსელებთან კონკურენტულ ბრძოლაში.

სკანდალი facebook-ის გარშემო

2016 წლის 8 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვება მთელი მსოფლიოსთვის მოულოდნელი იყო. ყველა სოციოლოგიური კვლევა მიანიშნებდა, რომ 45-ე პრეზიდენტი ჰილარი კლინტონი გახდებოდა. სწორედ ეს მოულოდნელობა გახდა სხვადასხვა კონსპირაციის მიზეზი, თუ რა გზები გამოიყენა რესპუბლიკელმა კანდიდატმა გამარჯვების მისაღწევად. რამდენიმე დღეა, რაც პლანეტის ყველაზე დიდი სოციალური ქსელი, რომელსაც ყოველთვიურად 2.1 მილიარდი მომხმარებელი იყენებს, 13-წლიანი არსებობის განმავლობაში ყველაზე დიდ სკანდალშია გახვეული. New York Times-ის, Channel 4-სა და The Guardian-ის ჟურნალისტური გამოძიებიდან ირკვევა, რომ facebook-ის 50 მილიონი მომხმარებლის ანგარიში დონალდ ტრამპის საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულმა კომპანია Cambridge Analytica-მ საარჩევნო მიზნებისთვის გამოიყენა. მარკ ცუკერბერგმა მომხდარზე პირველი განმარტება უკვე გააკეთა, CNN-თან საუბარში მილიარდერმა აღიარა, რომ Facebook-მა წარსულში შეცდომა დაუშვა, რითიც "არაკეთილსინდისიერმა დეველოპერებმა" ისარგებლეს და მათ მილიონობით მომხმარებლის პერსონალური მონაცემის შეგროვება შეძლეს. ცუკერბერგმა აღნიშნა, რომ მდგომარეობის გამოსწორებისთვის Facebook-ი აქტიურ ნაბიჯებს გადადგამს და რომ კომპანია უკვე წლებია ამ პრობლემის მოგვარებაზე მუშაობს. ცუკერბერგის განცხადება დაგვიანებული აღმოჩნდა. საფონდო ბირჟაზე კომპანიის აქციების ღირებულება $185-დან $168-მდე დაეცა, რის შედეგადაც კომპანიამ $50 მილიარდამდე დაკარგა. ამ განცხადების შემდეგ facebook-ის აქციების ღირებულება მცირედით გაიზარდა და ის ახლა $169-ად ივაჭრება.

რა მოხდა? 2013 წელს facebook-ში გავრცელდა აპლიკაცია - this is your digital life, რომელიც სპეციალური ქვიზის მეშვეობით მომხმარებლებს მათი პიროვნების ტიპის დადგენას სთავაზობდა. სინამდვილეში აპლიკაცია მომხმარებელთა შესახებ ფსიქოლოგიური მონაცემებისა და მათი მეგობრებისა და ახლობლების შესახებ, ასევე მათი მისამართისა და სხვა პერსონალური მონაცემების შეგროვებისთვის იყო შექმნილი. აპლიკაციის ავტორი კემბრიჯის უნივერსიტეტის აკადემიკოსი ალექსანდრ კოგანი იყო. ქვიზი 300,000-მდე პირმა შეავსო. აპლიკაციის დაყენების დროს მომხმარებელმა თავად უნდა მისცეს თანხმობა მისცეს წვდომა აპლიკაციას მის მონაცემებთან, შესაბამისად ქვიზს არ დაურღვევია წესები, რადგანაც თანხმობა მომხმარებლებისგან მიიღო. თუმცა პრობლემა ისაა, რომ ამ პირებმა არ იცოდნენ სინამდვილეში რა მონაცემებს აგროვებდა აპლიკაცია მათ შესახებ. ქვიზის შევსებით this is your digital life-ს წვდომა მიეცა მათი მეგობრების 50 მილიონ ანგარიშზე, ვინც ის შეავსო. Cambridge Analytica-ს ყოფილი თანამშრომელი კრისტოფერ ვაილი აცხადებს, რომ ეს მონაცემები კომპანიის ხელში აღმოჩნდა, რომელმაც ის დაამუშავა და 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გამოიყენა. ამ მეთოდს ფსიქოგრაფიკა ეწოდება. Cambridge Analytica სწორედ ფსიქოგრაფიკის პრაქტიკულ გამოყენებაზე სპეციალიზდება. კომპანიამ 50 მილიონი Facebook-ის მომხმარებლისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე Big Data ალგორითმით შექმნა თითეული ამ პირის ქცევითი მოდელი. ეს მოდელები წინასაარჩევნო პერიოდში დონალდ ტრამპის კამპანიის პოპულარიზებისთვის გამოიყენეს. თავად Cambridge Analytica მომხდართან კავშირს კატეგორიულად უარყოფს.

მარკ ცუკერბერგის პასუხი - "მსურს Cambridge Analytica-სთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ მოგახსენოთ, ასევე გითრხათ რა ნაბიჯები გადავდგით ამ საკითხის გადასაჭრელად. ჩვენ გვაქვს ვალდებულება დავიცვათ თქვენი მონაცემები და თუ ამას ვერ ვაკეთებთ, არ გვაქვს უფლება, თქვენ გემსახუროთ. მე ვცდილობდი, ზუსტად გამეგო, რა მოხდა და რა შეგვიძლია გავაკეთოთ, რათა ეს მომავალში აღარ განმეორდეს. კარგი ამბავი ისაა, რომ ამის

შესაჩერებლად ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე გადავდგით. ეს ნიშნავს, რომ დღეს ეს აღარ განმეორდება.

მომხდარის აღწერა: 2007-ში ჩვენ გავუშვით Facebook პლატფორმა იმ ხედვით, რომ უფრო მეტი აპლიკაცია უნდა იყოს ადამიანებს შორის გაზიარებადი. თქვენს კალენდარში უნდა ჩანდეს თუ როდის აქვთ თქვენს მეგობრებს დაბადების დღეები, თქვენს რუკაზე უნდა ჩანდეს, სად ცხოვრობენ თქვენი მეგობრები, საერთო ფოტოებზე უნდა ჩანდეს თუ სად გადაიღეს ისინი. ამისთვის ჩვენ უფლება მივეცით მომხმარებლებს, გაწევრიანებულიყვნენ სპეციალურ აპლიკაციებში და ისინი მეგობრებისთვის გაეზიარებინათ. 2013 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის მკვლევარმა ალექსანდრ კოგანმა შექმნა პიროვნების ტიპის დამდგენი ქვიზი. ეს აპლიკაცია დააყენა დაახლოებით 300,000-მა ადამიანმა. აპლიკაციას წვდომა ჰქონდა მისი მომხმარებლების მეგობრების სიასთან და მათ შესახებ სხვა მონაცემებთან. ეს ინფორმაცია აპლიკაციას მიეცა იმ მონაცემთა პოლიტიკის შედეგად, რაც მაშინ facebook-ს ჰქონდა. 2014 წელს იმისთვის, რათა არაკეთილსინდისიერი აპლიკაციების მიერ მომხმარებლებზე დიდძალი ინფორმაციის შეგროვება თავიდან აგვერიდებინა, შევცვალეთ მონაცემთა პოლიტიკა. კოგანის მიერ შექმნილი აპლიკაციების მსგავს პროგრამებს შეეზღუდათ წვდომა იუზერის მეგობრებთან. ასევე, შევცვალეთ წესები, რომლის მიხედვითაც აპლიკაციებს შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებისთვის ჯერ ჩვენი ავტორიზაცია ესაჭიროებათ. შესაბამისად, გატარებული ცვლილებები არის გარანტია იმისა, რომ დღეს ასეთი რამ აღარ მოხდება. 2015 წელს ჩვენ Guardian-ის ჟურნალისტებისგან შევიტყვეთ, რომ კოგანმა მისი აპლიკაციის მეშვეობით მოპოვებული ინფორმაცია მიაწოდა კომპანია Cambridge Analytica-ს. ეს ჩვენი წესების დარღვევაა. ამიტომაც კოგანის აპლიკაცია დაუყოვნებლივ დავბლოკეთ. ასევე ჩვენ დამატებითი განმარტებების გასაკეთებლად მივმართეთ კოგანსაც და Cambridge Analytica-საც. მათ ოფიციალურად შეგვატყობინეს, რომ დარღვევით მოპოვებული ინფორმაცია წაშალეს. გასულ კვირაში ჩვენ New York Times-იდან, Channel 4-დან და The Guardian-იდან შევიტყვეთ, რომ სინამდვილეში Cambridge Analytica-მ ეს

მონაცემები არ წაშალა. მათი მტკიცებით კი, ეს ინფორმაცია არ აქვთ და მზად არიან გაიარონ დეტალური შემოწმება ამის დასადასტურებლად. მილიონობით მომხმარებელს იმედი აქვს, რომ ჩვენ მათ მონაცემებს საიმედოდ ვიცავთ, ეს შემთხვევა კი არამხოლოდ facebook-ს, ალექსანდრ კოგანსა და Cambridge Analytica-ს შორის ნდობის დარღვევას, არამედ facebook-სა და მის მომხმარებლებს შორის ნდობის შერყევას ნიშნავს. 2014 წელს ჩვენ უკვე გადავდგით მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. შევზღუდეთ ცუდი აქტორების დაშვება მომხმარებელთა ინფორმაციაზე. თუმცა გასაკეთებელი კიდევ ბევრია. მსურს წარმოგიდგინოთ მომავალში დაგეგმილი სიახლეები: ჩვენ დეტალურად შევისწავლით იმ აპლიკაციებს, რომელთაც დიდი რაოდენობის მომხმარებლებზე ჰქონდათ წვდომა, იქამდე, სანამ 2014 წელს წესებს შევცვლიდით. ჩავატარებთ დეტალურ აუდიტს იმ საეჭვო აპლიკაციების მიმართ, რომლებიც, ჩვენი შეფასებით, წესებს არღვევდნენ. დავბლოკავთ ყველა დეველოპერს, რომელიც ამ აუდიტზე უარს იტყვის. კიდევ უფრო მეტად შევზღუდავთ აპლიკაციების დაშვებას მომხმარებელთა ანგარიშებზე. მაგალითად, აპლიკაციას თქვენს მონაცემებზე წვდომა შეეზღუდება, თუ გასული 3 თვის განმავლობაში ის არ გამოგიყენებიათ. შევზღუდავთ წვდომას - მათ მხოლოდ თქვენი პროფილის ფოტოს, თქვენი სახელის და ელექტრონული ფოსტის მისამართის გაგება შეეძლებათ. უახლოეს დღეებში კიდევ უფრო მეტ ცვლილებას გავატარებთ. ჩვენ გვსურს, უკეთ იცოდეთ, რომელი აპლიკაციებისთვის გაქვთ თანხმობა მიცემული თქვენს მონაცემებთან წვდომაზე. აპრილში Fews Feed-ში დავამატებთ ახალ ღილაკს, რომლითაც თქვენ მარტივად შეგიძლიათ ნახოთ, რომელი აპლიკაციებისთვის გაქვთ თქვენს მონაცემებზე წვდომა მიცემული. ამის ნახვა setting-ებში ახლაც შეგიძლიათ, თუმცა ეს ღილაკი ბევრად უფრო მარტივად ხელმისაწვდომი იქნება, რათა უფრო მეტმა ადამიანმა ნახოს ის. უკვე გადადგმული და დაგეგმილი ნაბიჯები, ჩემი აზრით, პლატფორმის დაცულობას კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს. მე დავაფუძნე facebook-ი და მე ვარ პასუხისმგებელი იმაზე, თუ რა ხდება ჩვენს პლატფორმაზე. ყოველთვის მაქსიმალური სერიოზულობით ვუდგები

საზოგადოების დაცულობის საკითხებს. ის, რომ მომავალში ასეთი შემთხვევებისგან დაცული ვიქნებით, არ ცვლის გარემოებას, რომ ასეთი ფაქტი უკვე მოხდა. ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით ვისწავლით, როგორ გავხადოთ facebook-ი უფრო დაცული."

რა არის Cambridge Analytica

Cambridge Analytica 2013 წელს ბრიტანულმა კომპანია SCL Group-მა დააფუძნა. თავად SCL Group-ის უკან კი ამერიკელი IT მილიარდერი რობერტ მერსერი დგას. 71 წლის მერსერი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ხელოვნური ინტელექტის ალგორითმი შექმნა. მერსერი ერთერთი მსხვილი საინვესტიციო ფონდის Renaissance Technologies-ის თანათავმჯდომარეა. მერსერი Brexit-ის კამპანიის დროს ნაიჯელ ფარაჯის კამპანია Leave-ის ერთერთი მხარდამჭერი იყო. BBC-ის ინფორმაციით, მისი Cambridge Analytica ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვების ციფრული საინფორმაციო კამპანიის სტრატეგიის ერთერთი მთავარი ავტორი იყო. თუმცა კომპანიის დირექტორი ალექსანდერ ნიქსი ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს და ამბობს, რომ Cambridge Analytica-ს წარმომადგენლები Brexit-ის კამპანიის ღონისძიებებს ესწრებოდნენ, თუმცა მასში არ მონაწილეობდნენ. ამ უარყოფის მიზეზი შესაძლოა იყოს ბრიტანული საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნა, რომლის მიხედვით უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საარჩევნო შემოწირულობები ეკრძალებათ. რობერტ მერსერი კი აშშ-ის მოქალაქეა, შესაბამისად მის კომპანიას ოფიციალურად Brexit-ის კამპანიაში მონაწილეობა არ შეეძლო. რობერტ მერსერი ამერიკული მემარჯვენე მედიის - Breitbart News-ის ყოფილი რედაქტორის სტივ ბანონის მეგობარია. ბანონი წარსულში Cambridge Analytica-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო. Cambridge Analytica დატა მაინინგზე, დიდი ზომის ინფორმაციის დამუშავებასა და სტრატეგიული კომუნიკაციის შესწავლაზე ორიენტირდება. ისინი იყენებენ მეთოდს, რომელსაც ფსიქოგრაფიკა ეწოდება. ფსიქოგრაფიკა არის ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის ნაწილი, რომელიც ადამიანთა ქცევის აღწერით

ცდილობს შეისწავლოს პიროვნებები. კომპანია ამ მეთოდის მეშვეობით ცდილობს შექმნას ეფექტური სტრატეგიული კომუნიკაციის კამპანია. ჰქონდა თუ არა Cambridge Analytica-ს არჩევნებზე რაიმე გავლენა იმის გათვალისწინებით, რომ მათი კლიენტი იყო ტედ კრუზიც, რომელმაც ტრამპთან პრაიმერი წააგო Cambridge Analytica თავდაპირველად არა დონალდ ტრამპის, არამედ ტეხასის სენატორის ტედ კრუზის კამპანიაზე მუშაობდა. კომპანიას ზუსტად იგივე სამუშაოს გაკეთება ევალებოდა, რასაც ტრამპის კამპანიისთვის ასრულებდა, ამაში $6 მილიონის გასამრჯელოც მიიღო. თუმცა, "ფსიქოგრაფიკის" ტაქტიკა ამ შემთხვევაში წარუმატებელი გამოდგა. ტედ კრუზმა რესპუბლიკური პარტიის პრაიმერში დონალდ ტრამპთან 44%-ით 25% წააგო. ამ წაგების შემდეგ, Cambridge Analytica დონალდ ტრამპის კამპანიის ერთერთი კონსულტანტი გახდა და ამაში $11 მილიონი მიიღო. მერსერი თავდაპირველად სწორედ ტედ კრუზს უჭერდა მხარს. ორმაგი სტანდარტები დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ 16 თვე გავიდა. დღემდე განიხილება ის, რომ ტრამპმა, რომელიც თავიდანვე აუთსაიდერად განიხილებოდა, წარმატებისთვის გარე ძალების მხარდაჭერა გამოიყენა. Cambridge Analytica-სა და facebook მომხმარებლებით შესაძლო მანიპულირება სწორედ ამ კამპანიის ნაწილია. მნიშვნელოვანია გარემოება, რომ მილიონობით facebook მომხმარებლის ანგარიშის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენება 2012 წლის არჩევნებზეც მოხდა. 2012 წელს, ბარაკ ობამას წინასაარჩევნო კამპანიამ შექმნა facebook აპლიკაცია, რომელიც აქტივაციის დროს იუზერებსა და მათ მეგობრებზე აგროვებდა ინფორმაციას. ობამას აპლიკაცია აგროვებდა facebook მომხმარებლის მეგობრების დაბადების თარიღების, მათი მისამართების, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა ტიპის პერსონალურ მონაცემებს. აპლიკაცია ერთ მილიონზე მეტმა მომხმარებელმა დააყენა. ამ პერიოდისთვის facebook-ზე მომხმარებელთა მეგობრების საშუალო რაოდენობა იყო 190. ეს ნიშნავს, რომ ობამას საარჩევნო კამპანიამ 100-190 მილიონამდე მომხმარებლის შესახებ შეაგროვა ინფორმაცია. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ობამას საარჩევნო კამპანიას საშუალება მიეცა, გამოეკვეთა გადაუწყვეტელი ამომრჩევლები და შემდგომში მათზე

ეწარმოებინა მიზნობრივი კამპანია. მთავარი სხვაობა ისაა, რომ Cambridge Analytica-მ ეს მონაცემები შეაგროვა ქვიზის მეშვეობით, რომელსაც პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. თუმცა არც პირველ და არც მეორე შემხვევაში, facebook მომხმარებლებს არ ჰქონდათ გაცნობიერებული, თუ რა ტიპის ინფორმაციას გადასცემდნენ ამ აპლიკაციებს. სოციალური ქსელის გავლენა ადამიანის ემოციაზე 2014 წლის 29 ივნისს ამერიკის მეცნიერებათა აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა facebook-ის ანალიტიკოსის ექსპერიმენტული კვლევის შედეგები. ექსპერიმენტის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რა გავლენა აქვს სოციალურ ქსელს ადამიანთა ემოციაზე. 2012 წლის იანვრის ერთ კვირას Facebook-ი საექსპერიმენტო სივრცედ გადაიქცა. შემთხვევითობის პრინციპით აირჩა 600,000-ზე მეტი მონაწილე ანუ დაახლოებით ერთი მომხმარებელი ყოველი 2500 აქტიური მომხმარებლიდან. სოციალური ქსელი ადამიანთა ქცევაზე დაკვირვების ერთ-ერთი საუკეთესო სივრცეა. ტრადიციული ქცევითი ექსპერიმენტებისგან განსხვავებით, სოციალურ ქსელში არ არის საჭირო მოხალისეთა ძებნა, ვინც ექსპერიმენტზე დათანხმდება, რადგანაც მის ყოველ მომხმარებელს თანხმობა აქვს ნათქვამი საიტის მიერ შეთავაზებულ Data Use Policy-ზე რისი მიხედვითაც საიტს შეუძლია მომხმარებლის აქტივობის შესახებ მიიღოს ინფორმაცია ან ექსპერიმენტში ჩართოს ის. კვლევას Facebook-ის მონაცემთა ბაზების ხელმძღვანელი ადამ კრამერი უძღვებოდა. ექსპერიმენტისთვის შერჩეული პირები სამ - ნეგატიურ, პოზიტიურ და საკონტროლო ანუ ნეიტრალურ ჯგუფად დაყვეს. ცდის პირებს სპეციალურად მათთვის მათემატიკურად გამოთვლილი ალგორითმის მეშვეობით მოძიებული ინფორმაცია ხვდებოდათ News Feed-ში. ნეგატიური ჯგუფისათვის ეს შეიძლება ყოფილიყო სურათები ან ინფორმაცია, რომელიც გაჯერებული იყო უარყოფითი შინაარსით. ცდის პირებს მათ მიერ მოწონებული საინფორმაციო გვერდებიდან News Feed-ებში მხოლოდ უარყოფითი ამბები მისდიოდათ. მათი მეგობრების პოსტებიდან ალგორითმი არჩევდა იმ სიახლეებს, სადაც ნეგატიური შინაარსის სიტყვები ფიგურირებდნენ. პოზიტიური ჯგუფის წარმომადგენლებს კი მხოლოდ დადებითი ნიუსები მისდიოდათ.

ალგორითმი News Feed-ის შედგენის შემდეგ პირის ქმედებებს აკვირდებოდა, კერძოდ კი ცდის პირის პოსტებში ეძებდა პოზიტიურ და ნეგატიურ ნიშნებს და მათ ნეიტრალური, საკონტროლო ჯგუფის შედეგებს ადარებდა. ექსპერიმენტის შედეგებმა დაადასტურა, რომ სოციალურ ქსელებს ადამიანთა ემოციაზე უმნიშვნელოდ, თუმცა გავლენის მოხდენა მაინც შეუძლიათ. კვლევის თანახმად, ის პირები, ვინც დადებით ან უარყოფით პოსტებს ხედავდნენ, უფრო მეტად აქტიურად წერდნენ საკთარ პოსტებს, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის წევრები. შედეგად დაიდო დასკვნა, რომ ექსტრემალური ემოციები ადამიანებს საკუთარი გრძნობების გამოხატვისკენ აქეზებს.

სოციალური ქსელების მნიშვნელობაზე მითუთითებს ის ფაქტიც, რომ აშშ-ის ვიზის მისაღებად სოციალური ქსელების მონაცემების წარდგენა სავალდებულო გახდა.

აშშ-ის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ვიზის მისაღებად პოტენციურმა ემიგრანტმა თავისი სოციალური ქსელების ანგარიშების ხუთწლიანი ისტორია უნდა წარადგინოს. ინფორმაციას CNN ავრცელებს. ადმინისტრაციის ინფორმაციით, მსგავსი გადაწყვეტილება 15 მილიონ პოტენციურ ემიგრანტს შეეხება. ახალი რეგულაცია მათზეც გავრცელდება, ვისაც აშშ-ში მუდმივი ცხოვრების უფლების მიღება სურს. გამონაკლის მხოლოდ დიპლომატიური ვიზა იქნება. განკარგულება დღეს, 30 მარტს გამოქვეყნდება და 60 დღის შემდეგ ოფიციალურად შევა ძალაში. ფედერალური მთავრობა აღნიშნავს, რომ მსგავსი რეგულაცია უსაფრთხოებისთვის აუცილებელია. სოციალური ქსელების ანგარიშების ისტორიის წარდგენის გარდა, აპლიკაციის შევსებისას, სავალდბეულო იქნება ძველი ტელეფონის ნომრების, ელექტრონული ფოსტების, წინა საიმიგრაციო დარღვევებისა და ოჯახის ნებისმიერი წევრის ტერორისტული საქმიანობის მითითება.

რაც შეეხება ქსელების მარკეტინგული დანიშნულებით გამოყენებას, სოციალური ქსელების ბიზეს საქმიანობისათვის გამოყენების კარგი მაგალითია Instagram - ი.

Instagram-მა საზოგადოებაში უკვე დაიმსახურა დიდი ყურადრება, უკანასკნელ დროს კი უკვე ბიზნეს ინდუსტრიაშიც. აქ შევხვდებით როგორც მცირე, ასე დიდი ბიზნესის წარმომადგენლებს როგორებიც არიან Machandmach, Fabrika, Altersocks, ukve.ge და სხვა , რადგან მომხმარებელთა სიმრავლის თვალსაზრისით, Facebook-ის შემდეგ საქართველოში, იგი რიგით მეორე სოციალური ქსელია. ასე რომ, თუ გაქვს მცირე ბიზნესი და კიდევ გჭირდება საშუალება, რომლითაც შეძლებ საკუთარი თავის უკეთ წარმოჩენას, გირჩევ Instagram-ს უფრო სერიოზული თვალით შეხედო. ეს კი გახლავთ 3 მარტივი მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა იყენებდეს მციერე ბიზნესი Instagram-ს ყოველდღიურად. იგი მობილური ტელეფონის აპლიკაციაა გიკითხავთ საკუთარი თავისთვის თუ ყოველდღიურად რა დროს ხარჯავთ მობილური ტელეფნის მოხმარებისას? ერთ საათს? მეტს? მოგეხსენებათ, რომ Instagram-ი მობილურ აპლიკაციაა სადაც რეგულარული მომხმარებელი ხარჯავს დაახლოებით 6 საათს თვეში. ეს ნამდვილად ბევრია ისეთი აპლიკაციისთვის სადაც „მხოლოდ“ ათავსებ საკუთარ ფოტოებს და ათვალიერებ სხვებისას. ვფიქრობ ნამდვილად არ იქნებოდა ცუდი თქვენი ბიზნესისთვის, რომ თუნდაც დღეში რამდენიმე წამით მაინც შეგეძლოთ მომხარებლის ყურადღების მიქცევა.

ვიდეოს განთავსება არაა დაკავშირებული სირთულეებთან თუ კვლევებს დავუჯერებთ, ყოველ წლიურად იზრდება იმ ბრენდების რაოდენობა რომელიც უფრო და უფრო ხშირად იყენებს Instagram-ს ვიდეოს განსათავსებლად. ვიდეო კონტენტი ბიზნესისათვის მნიშვნელოვანი ელემენტია, მითუმეტეს მაშინ, როდესაც არ გვჭირდება დამატებითი ტექნიკის ყიდვა და ამ ყველაფრისთვის მხოლოდ მობილური ტელეფონის კამერა საკმარისია. Instagram-ს გააჩნია გარკვული სახის შეზღუდვა ვიდეოს ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რაც სრულებითაც არ გახლავთ თქვენი ბიზნესისათვის ცუდი, ვინაიდან და რადგანაც, მომხმარებელი

ხშირად თავს არიდებს დიდი კონტენტის გაცნობას, ამიტომ თქვენი ვიდეო რგოლი შესაძლებელია ყურადრების მიღმა დარჩენილიყო, რომ არა ინსტაგრამის შეზღუდვა. თუ თქვენ უკვე გაქვთ რამდენიმე ვიდეო Youtube-ის ან Facebook-ის გვერდზე და გსურს ინსტაგრამზეც განათავსო, საკმარისია უბრალოდ იგი ერთ წუთამდე დაჭრათ და ყვეაფერი მზადაა! ყველაზე კარგი კი არის ის, რომ შენ შეგიძლია გადაიღოთ და დადოთ იმდენი ვიდეო, რამდენიც გსურსთ ან გჭირდებათ. რეკლამირება იმის მიუხედავად, რომ თქვენი Instagram გვერდით იოლად, ყოველგვარი დანახარჯების გარეშეც შეგიძლიათ მიიქციოთ მომხმარებელთა ყურადრება, ამასთან საშუალება გაქვთ გამოიყენოთ Instagram რეკლამა რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური რეკლამაა სოციალურ მედია სივრცეში. როგორც კი შეარჩევ კარგ სარეკლამო გამოსახულებას და სამიზნე ჯგუფს, პოზიტიური გამოხმაურება ერთი-ორად გაიზრდება. გახსოვდეს, რომ Instagram-ი სოციალური ქსელია, რაც ნიშნავს იმას რომ შენს ყველანაირ აქტივობას მოჰყვეა მომხმარებელთა გარკვეული რეაქცია, ამიტომ ეცადეთ, სწორად შეარჩიოთ სასარგებლო და საინტერესო კონტენტი.

პოპულარული სოციალური ქსელები

ფართო მოხმარების სოციალურ ქსელებს შორის LinkedIn ერთ-ერთი ძველი ქსელია, რომლის შექმნაზე რიდ ჰორმანმა მუშაობა 2002 წელს დაიწყო, თუმცა, ნაკლებად წარმატებულად. თავიდან მას 5 ათასი მომხმარებელი ჰყავდა. ჰორმანმა აღნიშნული ფაქტი იმით ახსნა, რომ ეს არ იყო გასართობი სოციალური ქსელი, რომელზეც თინეიჯერები ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე რეგისტრირდებიან. LinkedIn იყო საიტი, რომელსაც იყენებდნენ ის ადამიანები, რომლებისთვისაც პირადი ინფორმაციის უსაფრთხოება მნიშვნელოვანია. ეტაპობრივად, სოციალურმა ქსელმა

სხვადასხვა ფუნქციები შეიძინა. შესაძლებელი გახდა მისი საქმიანი მიზნებისთვის გამოყენება.

დღესდღეობით, სოციალურ ქსელებს შორის ყველაზე პოპულარული ვებგვერდის, Facebook-ის შექმნის იდეა მარკ ცუკერბერგს 2003 წლიდან აწუხებდა. მან საიტის შექმნა ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლისას გადაწყვიტა. Facebook-ზე უნდა განთავსებულიყო მომხმარებლის ფოტოები და ინფორმაცია მისი ცხოვრების შესახებ. ჰარვარდის უნივერსიტეტში ცუკერბერგის იდეა არ მოიწონეს, მიზეზად კი პირადი ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებული საფრთხეები დაასახელეს. მიუხედავად ამისა, ცუკერბერგმა მაინც შექმნა გვერდი სახელწოდებით Facesmash, სადაც ჰარვარდის საუნივერსიტეტო ბაზის "გატეხვის" შედეგად მოპარული ფოტოები განათავსა. რამდენიმე საათში მნახველების რიცხვმა 22 ათასს გადააჭარბა. გასაკვირი არაა, რომ ჰარვარდის ადმინისტრაციამ საიტი რამდენიმე დღეში დახურა. ცუკერბერგი კი ჰარვარდიდან გარიცხვას ძლივს გადაურჩა. მოგვიანებით მან ისევ გააკეთა საიტი, რომელიც ვიწრო მოხმარების იყო. 2004 წლეს Facebook დარეგისტრირდა როგორც კომპანია, მისი მისამართი Thefacebook.com იყო. 2005 წელს საკუთარ სახელწოდებას ცუკერბერგმა საკუთარ ქსელს The არტიკლი მოაშორა. 2006 წლიდან სოციალური ქსელი ხელმისაწვდომი ყველა მომხმარებლისთვის გახდა.

ВКонтакте ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სოცილური ქსელია. ის პირველად 2006 წლის 10 დეკემბერს გამოჩნდა. საწყის ეტაპზე, ВКонтакте მხოლოდ რუსულენოვანი სასწავლებლების სტუდენტებისთვის იყო განკუთვნილი. მოგვიანებით კი ის ყველასთვის კომფორტულ საიტად იქცა, სადაც გაცნობა და ურთიერთობა საკმაოდ მარტივი იყო. ამჟამად ვებგვერდი რამდენიმე ენაზეა ხელმისაწვდომი. განსაკუთრებული პოპულარობით კი, რუსულენოვან მომხმარებლებში სარგებლობს.

არანაკლები პოპულარობით სარგებლობს სოციალური ქსელი Одноклассники. ის 2006 წლის 4 მარტს გამოჩნდა ინტერნეტ სივრცეში. სოციალური ქსელის შექმნის იდეა

ალბერტ პოპკოვს ეკუთვნოდა. თავდაპირველად პროექტი განკუთვნილი იყო თანაკლასელებისა და თანაკურსელების მოსაძებნად. დროთა განმავლობაში მისი აუდიტორია გაიზარდა.

Twitter-ის ისტორია 2006 წლის მარტში დაიწყო. უცნაურია, მაგრამ თავიდან ის სამეცნიერო კვლევის პროექტი გახლდათ. ჯეკ დორსის, ქსელის დამაარსებლის მთავარი მიზანი ადამიანებისთვის კომუნიკაციის გამარტივება იყო. მათ უნდა შეძლებოდათ, რომ ინფორმაცია ერთმანეთისთვის, რაც შეიძლება მოკლე წინადადებებით გადაეცათ. თავიდან, მომხმარებელს შეეძლო პასუხი გაეცა მხოლოდ ერთ შეკითხვაზე, თუ რას შვებოდა ის ახლა. პირველი „ტვიტი“, იგივე პოსტი, მისსავე დამაარსებელს ეკუთვნოდა. სოციალურმა ქსელმა აქტიური ფუნქციონირება 2006 წლის ივლისში დაიწყო. 2007 წელს Twitter-ის მომხმარებლებისა და “ტვიტების” რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, რაც კარგად დაგეგმილი სარეკლამო კამპანიის შედეგი იყო.

პოპულარულ სოციალურ ქსელებს შორის ყველაზე ახალგაზრდა Instagram-ია. ის აპლიკაციაა, რომელსაც ძირითადად ფოტოებისა და ვიდეოების გასაცვლელად იყენებენ. Instagram-ზე მუშაობა კევინ სისტრომ და მაიკ კრიგერმა 2010 წელს, სან-ფრანცისკოში დაიწყეს. ის App Store-ზე ამავე წლის ოქტომბრიდან გამოჩნდა. 2012 წელს სოციალური ქსელი Facebook-მა შეიძინა. მისი ფასი ერთ მილიარდ დოლარს შეადგენდა.

Tumblr - მიკრო ბლოგინგის სერვისი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს პოსტი ტექსტური შეტყობინებები, სურათები, ვიდეო, ბმულები, და ჩაიწეროს მათი tamblelog. საიტი დაფუძნდა 2007 წელს დავით კარპმა. მაისი 18, 2013 კორპორაცია Yahoo! შეძენილი მომსახურების $ 1.1 მილიარდი. როგორც 2015 წლის Tumblr რეგისტრირებულია დაახლოებით 220 მილიონი დღიურები.

Google+ არის სოციალური ქსელი განვითარებული და ეკუთვნის Google Inc.- ს სერვისი დაიწყო 2011 წლის 28 ივნისს. და ორი კვირის შემდეგ მისი გაშვება 2011

წლის 14 ივლისის, Google განაცხადა, რომ Google+ სოციალური ქსელი აქვს 10 მილიონზე მეტი წევრი. როგორც 2012 წლის 17 სექტემბრის საიტის აუდიტორია 400 მილიონი წევრებს და აქტიური ყოველთვიური აუდიტორია მიაღწია 135 მილიონს.

YouTube — ვიდეო ვებ-გვერდი, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ ატვირთონ და გაუზიარონ ერთმანეთს ვიდეოკლიპები. 2005 წლისთებერვალში PayPal-ის სამმა ყოფილმა თანამშრომელმა შექმნა იუთუბი, ხოლო2006 წლის ნოემბერში გუგლმა შეიძინა იგი $1.65.კომპანია დაფუძნდა სან ბრუნოში, კალიფორნიაში და იყენებს Adobe Flash Player და HTML5 ტექნოლოგიას მომხმარებლების მიერ გამოქვეყნებული მრავალფეროვანი ვიდეომასალისგადმოსაცემად, მათ შორის: კინო და სატელევიზიო კლიპები, მუსიკალური კლიპები, ასევე სამოყვარულო მასალები, როგორებიცაა ვიდეო ბლოგირება და მოკლე ორიგინალური ვიდეოები.ადვილი და უბრალო ინტერფეისით, იუთუბმა ყველას, ვისაც აქვს ინტერნეტთან კავშირი, მისცა საშუალება წარედგინათ თავიანთი ვიდეო უდიდესი აუდიტორიისათვის, რომლებსაც ვიდეოს ნახვა შეეძლოთ რამდენიმე წუთში. იუთუბის მრავალფეროვანმა თემატიკამ ვიდეო გაზიარება ინტერნეტის კულტურის ყველაზე მნიშნელოვან ნაწილად გადააქცია.2008 წელს იუთუბი Peabody-ის ჯილდოთი დაჯილდოვდა და მოხსენიებულია როგორც „Speakers' Corner-ი რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას.თუმცა იუთუბს ხშირად აკრიტიკებენ საავტორო უფლების დამრღვევი მასალის ატვირთვისგან არასაკმარისი დაცვის გამო. რამდენიმე ქვეყანას, მას შემდეგ რაც იუთუბმა დაიწყო მუშაობა, მასთან მისაწვდომობა დაბლოკილი აქვს. მათ შორისაა: ჩინეთი,მაროკო,ტაილანდი,თურქეთი,პაკისტანი და ირანი.

Fake News - ყალბი ახალი ამბავი

სოციალური ქსელების მოხმარების მზარდ ტენდენციასთან ერთად, იზრდება იმის საშიშროებაც, რომ ინფორმაცია, რომელიც ამ ქსელების მეშვეობით ვრცელდება ხშირად არ არის სანდო და ჭეშმარიტი. ყალბი ინფორმაციის გამავრცელებლის იდენტიფიკაცია კი საკმაოდ რთულია, რადგან, შესაძლოა ის ყალბი მომხმარებლის სახელით იყოს დარეგისტრირებული, ცრუ ამბის გავრცელება კი სხვადასხვა მიზანს ემსახურებოდეს. მათ შორის, დაწყებული უწყინარი, რეიტინგის ან ბევრი „გაზიარებისა“ და „მოწონების“ მიზნით დაწერილი ყვითელი ამბებით დაწყებული, საინფორმაციო ომის შემადგენელი პროპაგანდისტული „ნიუსებით“ დამთავრებული, რომელიც, შესაძლოა უცხო ქვეყნის ინტერესებსაც ემსახურებოდეს.

ყალბი ახალი ამბავი (Fake News) პროპაგანდის შემადგენელი ნაწილია და მისი გატარების საჭირო ინსტრუმენტად მიიჩნევა. არ არსებობს ყალბი ახალი ამბის აღიარებული დეფინიცია, მაგრამ მეტად დამკვიდრებული გაგებით იგი არის მასობრივი საინფორმაციო საშუალებით გავრცელებული დეზინფორმაცია/ტყუილი, რომელიც ინფორმაციის წყაროს პოპულარიზაციას ან/და კონკრეტული ჯგუფის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის გატარებას ემსახურება. თუმცა, ყალბი ინფორმაციის მაგალითებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ მათში მოცემული ინფორმაცია ხშირად ცალსახად ტყუილს არ ეფუძნება და სიმართლის ელემენტებიც შეიძლება აღმოვაჩინოთ. სწორედ ამიტომ, ყალბი ამბები არა მხოლოდ აუდიტორიის სიცრუეში შეყვანას, არამედ მათი დაბნევის მიზანსაც შეიძლება ემსახურებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიური განვითარება და სოციალური მედია ყალბი ახალი ამბების გავრცელების ძირითადი საშუალებაა, იგი მაინც არ არის თანამედროვეობის პროდუქტი. ყალბი ახალი ამბები, როგორც პროპაგანდის უმთავრესი ინსტრუმენტი

ძველი რომის იმპერიაშიც გვხვდება, ნაცისტურ გერმანიაშიც და საბჭოთა კავშირშიც. ყველაზე აქტიურად ყალბი ახალი ამბები მეორე მსოფლიო ომის დროს გამოიყენებოდა. ომში მონაწილე სახელმწიფოების მიზანი მოსახლეობის საპირისპირო ბანაკისადმი აგრესიულად განწყობა იყო, რაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პროპაგანდა და ყალბი ამბები. მაგალითისთვის, 1930-იან წლებში რასობრივი სტერეოტიპების გავრცელებამ გერმანიაში, ხელი შეუწყო ებრაელების მასობრივ დისკრიმინაციას. ისტორიულად, ყალბი ახალი ამბების გამავრცელებელი ყოველთვის სამთავრობო ჯგუფები იყვნენ, თუმცა ტექნოლოგიურმა განვითარებამ სიტუაცია რამდენადმე შეცვალა. ყალბი ახალი ამბები ძალიან დიდი რაოდენობით მსოფლიოს უკანასკნელ წლებში მოედო, რასაც თავისი განმაპირობებელი ფაქტორები აქვს: დისტრიბუცია და ღირებულება – ტექნოლოგიურმა განვითარებამ გაზარდა ინფორმაციის დაფარვის სივრცე, რამდენიმე წამშია შესაძლებელი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში გაგზავნო ინფორმაცია. ინტერნეტ-ქსელური დაფარვა ძალიან დიდია, შესაბამისად ინფორმაციის შეკავება რთული. რაც შეეხება ღირებულებას, ყალბი ახალი ამბის შექმნას და გავრცელებას უმეტეს შემთხვევაში ნულოვანი დანახარჯი აქვს. სამართალი და რეგულირება – გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი ნიუსების რაოდენობა ბევრია და ისინი შინაარსობრივად ძალიან განსხვავდებიან, ძნელია მათი იდენტიფიცირება და კონტროლი. ჯერჯერობით არ არსებობს რაიმე სახის მექანიზმი, რომელიც ამ მოვლენას დაარეგულირებს. მართალია, არსებობს სხვადასხვა პრაქტიკა უჩივლო ნიუსის გამავრცელებელს, მაგრამ საწყისი წყაროს მიგნება საკმაოდ რთულია. გარდა ამისა, ვიდრე ონლაინ მედიასაშუალებას დაუმტკიცდება, რომ არის ყალბი ინფორმაციის გამავრცელებელი წყარო, ის ასწრებს ძალიან ბევრი მცდარი ინფორმაციის გამოქვეყნებას. აუდიტორია და ნდობა: ყალბი ნიუსების გავრცელებას თითქმის ნულოვანი დანახარჯი აქვს, მასთან შედარებით ვალიდური ინფორმაციის გავრცელება საკმაოდ ძვირია. რეპუტაციის შემლახველი ერთი ცრუ ინფორმაციის გაქარწყლებას სჭირდება სერიოზული და დაგეგმილი კამპანია ნდობის აღსადგენად. ძალიან რთულია, სამიზნე აუდიტორიის ნდობა და

ყურადღება მიმართო უკვე დამახინჯებული ამბის რეალური საწყისებისკენ. არსებობს რამდენიმე სახეობის ყალბი ახალი ამბავი, რომლის ამოცნობაც არ არის მარტივი: განზრახ შეცდომაში შემყვანი ამბავი – ეს არის მიზანმიმართულად შექმნილი და გავრცელებული დეზინფორმაცია, რომელიც გარკვეული პიროვნების, ჯგუფის, პოლიტიკური ძალის, ორგანიზაციის და ა.შ. დისკრედიტაციისკენ არის მიმართული; მაგალითად, ზოგიერთ რუსულ და იტალიურ მედიასაშუალებაში გავრცელებული ინფორმაცია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით 2016 წლის მარტიდან ახალშობილი ბავშვების ნათლობა იკრძალება. აღნიშნული ყალბი ამბავი ანტი-დასავლური პროპაგანდის ნაწილს წარმოადგენდა. რეალურ ფაქტად აღქმული ხუმრობა – ზოგიერთ ონლაინ მედია საშუალებას გაცხადებული სარკასტულ-იუმორისტული მიმართულება აქვს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მათი ინფორმაცია აღიქმება როგორც რეალური ფაქტი; ამის საუკეთესო მაგალითია ბაკურ სვანიძის პორტალზე გამოქვეყნებული ინფორმაცია ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადების შესახებ. შემდეგმა ონლაინგამოცემება: tb24.ge-მ, საქართველო და მსოფლიომ, mpress.ge-მ, news.coa.ge-მ და www.geotimes.ge-მ აღნიშნული სტატიის ბოლოს მიუთითეს წყარო, მაგრამ არ აღნიშნეს, რომ ინფორმაცია იუმორისტული ხასიათის იყო, რასაც მკითხველი შეცდომაში შეჰყავდა. ახალ ამბავში სელექციურად შერჩეული ინფორმაცია – პირველწყაროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის დამახინჯება, ხელოვნურად, კონტექსტის გაუთვალისწინებლად ამოღებული ფრაზები, ფრაგმენტული ვიდეოები, შემოკლებული აუდიო ჩანაწერები და ა.შ; მაგალითად, სხვადასხვა მედიასაშუალებების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომ თითქოს ადამიანის უფლებების დაცვის ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, დამქირავებელს სრულიად შეუძლია გააკონტროლოს თანამშრომლის ელექტრონული მიმოწერა. ეს ყალბი ამბავი, რეალურად, კონტექსტის და სასამართლოში არსებული ფაქტობრივი გარემოებების აღწერის გარეშე გავრცელდა. ამბები, სადაც სიმართლე სადავო და რთული დასადგენია – ძნელად გამოძიებადი

ფაქტები, რომლის შემოწმებაც აღემატება ინფორმაციის მიმღები სეგმენტის შესაძლებლობებს; არა ბოროტი განზრახვით გავრცელებული ცრუ ამბავი – ძირითადად რეკლამირებისთვის და გარკვეული ადგილების თუ კომპანიების პოპულარიზაციის მიზნით შექმნილი ისტორიებია, რომელიც მაგალითად ტურისტების მოზიდვისთვის გამოიყენება. რა თქმა უნდა, ყალბი ინფორმაციების კატეგორიების ამგვარი ფორმულირება პირობითია და ხშირად მათი სწორხაზოვნად, რომელიმე ნაწილში გაერთიანება რთულია. ყალბი ამბავი, ბევრ შემთხვევაში, რამდენიმე ზემოთ ჩამოთვლილი მიზნის სინთეზს წარმოადგენს. ფაქტ-მეტრი ამ სტატიის საშუალებით მკითხველს უზიარებს საბაზისო ინფორმაციას, თუ როგორ უნდა ამოიცნოს ყალბი ახალი ამბავი.

დასკვნა

ამგვარად, სოციალური ქსელების როლი და გავლენა დღევანდელ საზოგადოებაზე საკმაოდ მაღალია, გამომდინარე მათი ყოველდღიური გამოყენებიდან. ისინი წარმოადგენენ ინფორმაციის გაცვლის ყველაზე სწრაფ მედიუმს, კომფორტულ პლატფორმას მედიასაშაუალებებისთვის, რათა ოპერატიულად გაავრცელონ ახალი ამბავი, იაფი და მოსახერხებელი საშუალება ადამიანებისათვის ოჯახის წევრებისა და მეგობრების მოსაკითხად, საინტერესო სივრცე ერთნაირი ინტერესებისა და ჰობის მქონე ადამიანებისათვის - აღმოაჩინონ თანამოაზრეები, კარგი საშუალება ბიზნესისათვის ნოვატორული მეთოდებით მოიზიდონ კლიენტები და ონლაინსივრცეშივე შესთავაზონ მათ თავიანთი პროდუქტი. ტრიბუნა - პოლიტიკოსებისათვის, გაავრცელონ საკუთარი მოსაზრებები და ჰქონდეთ კომუნიკაცია მოქალაქეებთან, თავიანთ ამომრჩევლებთან. ხელოვანებს შეუძლიათ პოპულარიზაცია გაუწიონ თავიანთ შემოქმედებას. ასე რომ, სოციალური ქსელები

ვირტუალური მაკეტია რელური სამყაროსი, რომლის გამოყენება ყველა პროფესიის და საქმიანობის ადამიანს შეუძლია საკუთარი მიზნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა, რასაკვირველია, ამ სივრცესაც ახლავს რისკ-ფატორები. ეს არის უამრავი ყალბი ინფორმაცია, რომელიც ქსელების საშუალებით ვრცელდება. ხშირად რთულია იმის დადგენა, თუ რა მიზნებს ემსახურება ან იყენებს თუ არა „უხილავი ხელი“ მათ, არც თუ ისე კეთილი განზრახვით. ასევე არსებობს საშიშროება პირადი ინფორმაციის დაუცველობის თვალსაზრისით, რაც ასევე საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი საფრთხეა. ასევე მარტივია სიძულვილის ენის გამოყენებისა და ძალადობისკენ წახალისება, რადგან ვირტუალურ სივრცეში, თითქოს ბარიერები მოხსნილია. ყველა უპირატესობისა და ნაკლოვანების გათვალისწინებით, ერთი დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ - სოციალური ქსელები ეკუთვნის სოციუმს, საზოგადოებას, შესაბამისად, ის ადამიანების განწყობებს, ღირსებებს და ნაკლს კიდევ უფრო ფართო პრიზმით წარმოაჩენს - ურთიერთპატივისცემა და სხვისი უფლებების დაცვა კი საერთო თამაშის წესებზე შეთახმების აუცილებელი პირობაა - რეალობაშიც და ინტერნეტსივრცეშიც.

გამოყენებული რესურსები:

1. ნათია კუპრაშვილის ნაშრომი - „აუდიოვიზუალური მედიალადშაპტი საქართველოში და ევროპასთან თანამშრომლობა“ - Brussels, 16 February 2017 http://www.academia.edu/31500465/%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%98%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A2%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C_%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90

2. ნათია კუპრაშვილი პოლიტიკის დოკუმენტი - „აუდიოვიზუალური და მედიის სფეროებში ევროპასთან თანამშრომლობის პოლიტიკა“ - 2016

http://www.academia.edu/30016085/%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%98%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A8%E1%83%98_%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C_%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9A

%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90

3. http://socium.ge/index.php/articles/student-articles/80-socialuri-qselis-gavlena-adamianis-fsiqikaze
4. https://www.radiotavisupleba.ge/a/blogi-giorgi-tskhadaia-socialuri-qselebi/27513213.html_
5. http://factcheck.ge/article/ra-aris-qhalbi-akhali-ambavi-fake-news/
6. http://inso.ge/inso2013/wp-content/uploads/2013/06/Elza-bitsadze.pdf
7. http://www.tabula.ge/ge/story/132157-ndi-saqartvelos-mosaxleobis-51-koveldghiurad-ikenebs-internets
8. https://idfi.ge/ge/category/news/media-internet-telecommunications
9. http://www.tabula.ge/ge/story/131003-gatexili-saxeli-ra-xdeba-facebook-is-garshemo
10. https://edition.cnn.com/2018/03/29/politics/immigrants-social-media-information/index.html?sr=fbCNN032918immigrants-social-media-information0127PMVODtop
11. http://cyber.kvira.ge/21577/

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორი პროგრამა

II სემესტრის დოქტორანტი

თამარ ორჯონიკიძე

სადოქტორო სემინარი

„კონკურენტული ავტორიტარიზმის თეორია და საქართველო“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე

თბილისი 2018

შინაარსი

შესავალი 3

ა) საკითხის აქტუალობა 3

ბ) ლიტერატურის მიმოხილვა 4

1.ჰიბრიდული რეჟიმი 5

1.1.ჰიბრიდული რეჟიმის არსი 5

1.2.ჰიბრიდული რეჟიმების მახასიათებლები 6

2.კონკურენტული ავტორიტარიზმი 8

2.1. კონკურენტული ავტორიტარიზმის არსი 8

2.2.რესურსებზე ხელმისაწვდომობა 13

2.3.მედიაზე ხელმისაწვდომობა 15

2.4.მიკერძოებული მსაჯები: კანონზე ხელმისაწვდომობა 16

2.5.კონკურენტული ავტორიტარიზმის აღმავლობა 18

2.6.კონკურენტული ავტორიტარიზმის მიმართულებები 22

3.საქართველო - ჰიბრიდული რეჟიმი 24

3.1.შეტევა ძველ რეჟიმზე და ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბება 29

3.2.დომინანტური პარტიის შექმნა 29

3.3.თავდასხმა პოლიტიკურ ოპოზიციაზე 30

3.4.ფორმალური ინსტიტუციებით მანიპულირება 30

3.5.მედიის მიმართ გატარებული მკაცრი ზომები 31

3.6.უსამართლო და არათავისუფალი არჩევნები 31

3.7.აგვისტოს ომი და დახმარებათა პაკეტები 32

3.8.ეკონომიკური რეფორმები 33

3.9.კონკურენტული ავტორიტარიზმის ხელშეწყობა 34

დასკვნა 36

გამოყენებული ლიტერატურა 36

შესავალი

ა) საკითხის აქტუალობა

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევიდან და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებიდან რამდენიმე ათეული წელია გასული, ქვეყანა ჯერ კიდევ არ დგას მყარად დემოკრატიული განვითარების გზაზე. ამ პერიოდის მანძილზე ყველა მთავრობის გაცხადებული სურვილი და მიზანი - აქციოს ქვეყანა წინამორბედზე უფრო დემოკრატიულად - არაა საკმარისი, საქართველოს მართლაც დემოკრატიული ქვეყანა ეწოდოს. კომუნისტური რეჟიმის ჩამოშლა არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ქვეყანა პირდაპირ დემოკრატიად ქცეულიყო. ამ მძიმე და ხანგრძლივ გზაზე, საქართველომ მრავალი დაბრკოლება უკვე გამოიარა და მიუხედავად მნიშვნელოვანი ცვლილებებისა, კიდევ უფრო მეტი წინ ელოდება.

საერთაშორისო რეიტინგებში საქართველო მოქცეულია ე.წ. ჰიბრიდული რეჟიმის“ ქვეყანათა რიცხვში[1]. გავლენიანი ბრიტანული გამოცემის The Economist-ის მიერ გამოქვეყნებული რეიტინგები, რომელიც დემოკრატიის დონეს განსაზღვრავს, ეყრდნობა შემდეგ მონაცემებს: საარჩევნო პროცესის, მთავრობის ფუნქციონირების, პოლიტიკაში მონაწილეობისა და პოლიტიკური კულტურის შეფასებებს. ამ რეიტინგის მიხედვით დემოკრატიის დონით საქართველო 2016 წელს 82-ე ადგილზე იყო, 2017 წელს და შედეგი გააუმჯობესა და 79-ე ადგილზე გადაინაცვლა. ზემოთჩამოთვლილი კრიტერიუმები განსაზღვრავენ ქვეყნისთვის მისანიჭებელ სტატუსსაც. ისინი 4 კატეგორიად იყოფა: სრული დემოკრატია; არასრული

[1] The Economist ჰიბრიდულ რეჟიმს შემდეგნაირად განმარტავს: არჩევნები ტარდება ხარვეზებით, ხშირად არჩევნები არ არის თავისუფალი და სამართლიანი, ოპოზიციურ პარტიებსა და კანდიდატებზე მთავრობა ახდენს ზეწოლას, სერიოზული სისუსტეებია პოლიტიკურ კულტურაში, მთავრობის მუშაობაში, ადგილი აქვს კორუფციას და სუსტია კანონის უზენაესობა, სამოქალაქო საზოგადოება სუსტია, ჟურნალისტები მუშაობენ ზეწოლის ქვეშ და სასამართლო არაა დამოუკიდებელი. http://forbes.ge/news/3397/saqarTvelo-hibriduli-reJimis-qveyanaa

დემოკრატია; ჰიბრიდული რეჟიმი და ავტორიტარული რეჟიმი[2]. სწორედ აღნიშნულ ჰიბრიდულ რეჟიმთა ჩამონათვალში ვხვდებით საქართველოს[3]. თუცა აღსანიშნავია, რომ თვითონ ჰიბირიდული რეჟიმი იყოფა რამდენიმე მიმართულებად. საქართველოს რიგი ავტორები ჰიბრიდული რეჟიმის ერთ-ერთ სახეს, კონკურენტულ ავტორიტარიზმს მიაკუთვნებენ. ამიტომ მნიშვნელოვანია გავიგოთ ჰიბრიდული რეჟიმის და მისი ერთ-ერთი გამოვლინების - კონკურენტული ავტორიტარიზმის არსი, შეფასების კრიტერიუმები და მიზეზები, რის გამოც საქართველომ ადგილი მსგავსი ტიპის ქვეყანათა რიცხვში დაიმკვიდრა.

ბ) ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა დაიმონდის (Diamond, L. 2002. *Thinking About Hybrid Regimes),* ლევიცკისა და ვეის (Levitsky, S & Way, L. 2010. *COMPETITIVE AUTHORITARIANISM: The Origins and Dynamics of Hybrid Regimes in the Post-Cold War Era)*, მორლინოს (Morlino, L. 2008. *Hybrid Regimes or Regimes in Transition?*), რაკლერის, მენოკალისა და ფრიტსის (Rakner, L; Menocal, A. & Fritz, V. 2007. *Democratisation's Third Wave and the Challenges of Democratic Deepening: Assessing International Democracy Assistance and Lessons Learned),* კასანის (Cassani, A. 2012/2013. *CITIZENS' WELLBEING IN COMPETITIVE AUTHORITARIAN REGIMES)* ნაშრომებს ჰიბრიდული რეჟიმისა და კონკურენტული ავტორიტარიზმის არსის, წარმოშობისა და ჩამოყალიბების შესახებ. ასევე გამოყენებულია ჯონსის (JONES, S. 2013. *DEMOCRACY IN GEORGIA: DA CAPO?)*, ლაზარუსის (Lazarus, J. 2010. *Neo-liberal State Building and Western 'Democracy Promotion': the case of Georgia)*, კაროტერსის (Carothers, T. *THE END OF THE TRANSITION PARADIGM)* ნაშრომები კონკრეტულად საქართველოს და მისი მმართველი რეჟიმების შესახებ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ.

[2] https://www.eiu.com/topic/democracy-index
[3] http://grass.org.ge/wp-content/uploads/2018/02/WhitepaperHandler.pdf

ნაშრომში ასევე მოცემულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები, სადაც საქართველოსთან დაკავშირებით ჩვენთვის საინტერესო მასალაა ხელმისაწვდომი (Freedom House, *Nations in Transit 2018; Confronting Illiberalism;* The Economist Intelligence Unit. 2018. *Democracy Index 2017 Free speech under attack).*

1.ჰიბრიდული რეჟიმი

1.1.ჰიბრიდული რეჟიმის არსი

ჰიბრიდული რეჟიმი არის რეჟიმი, რომელიც ხასიათდება შეზღუდული დემოკრატიით და ასევე შეზღუდული ავტორიტარიზმით. ის მესამე, შუალედური ტიპია, რომელიც ორივე ზემოთაღნიშნულ რეჟიმს მოიცავს და თითოეული მათგანის სხვადასხვა ელემენტს აერთიანებს.

ჰიბრიდული რეჟიმები ე.წ. ნაცრისფერ ზონაში მოხვედრილი სახელმწიფოებია, რომლებმაც ფორმალურად დემოკრატიისაკენ იხრებიან და რეგულარულად ატარებენ არჩევნებს, თუმცა ვერ მოახერხეს დემოკრატიული სტრუქტურის კონსოლიდაცია.

დაიმონდის მიხედვით ჰიბრიდული რეჟიმი, რომელიც აერთიანებს დემოკრატიისა და ავტორიტარიზმის ელემენტებს სამყაროსათვის უცხო არაა. 1960-70-იან წლებში არსებობდა მრავალპარტიული, ელექტორალური, თუმცა არადემოკრატიული რეჟიმები.

დღესდღეობით ჰიბრიდული რეჟიმები ფსევდოდემოკრატიულია. ასეთ რეჟიმებში ხშირად ფორმალური დემოკრატიული ინსტიტუტები, ისეთი როგორიცაა მრავალპარტიული საარჩევნო კონკურენცია, ნიღბავს არსებულ ავტორიტარულ მმართველობას.

ჰიბრიდული რეჟიმის პირობებში ოპოზიციის გამარჯვება შეუძლებელი არაა, თუმცა ის ითხოვს ოპოზიციურ ერთობას, მობილიზაციას, საჭირო უნარ-ჩვევებს და ეს ყველაფერი ჩვეულებრივ დემოკრატიულ სისტემასთან შედარებით ჰიბრიდული რეჟიმის პირობებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ასეთი რეჟიმისას აუცილებელია საერთაშორისო დაკვირვება და რიგ შემთვევებში ინტერვენცია, იმისათის რომ. თავიდან იქნეს აცილებული ავტორიტარული რეჟიმის მანიპულაციები და თაღლითობა (Diamond, 2002. p.24).

1.2.ჰიბრიდული რეჟიმების მახასიათებლები

მიუხედავად იმისა, რომ ჰიბრიდული რეჟიმები მრავალი განმასხვავებელი თვისებით გამოირჩევიან, შესაძლებელია გამოიკვეთოს რამდენიმე მთავარი საერთო ელემენტი.

- პოლიტიკური მონაწილეობა და სამთავრობო ანგარიშვალდებულება: აღნიშნული რეჟიმები ხასიათდება პოპულისტური პოლიტიკით, ძლიერი მმართველით და გაუმჭვირვალე გადაწყვეტილებების მიღების პროცესით. ამის შედეგია არჩევნების გარდა ზედაპირული პოლიტიკური მონაწილეობა და სუსტი სამთავრობო ანგარიშვალდებულება. ეს ყველაფერი კი იწვევს საზოგადოების იმედგაცრუებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოაქვს დემოკრატიას და რისი მიღწევა შეიძლება ფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტებით.
- თამაშის წესები: ასეთი ტიპის რეჟიმებში თამაშის წესები სადავოა. ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების თანაარსებობა საკმაოდ რთული პროცესია, მათი ურთიერთშეუსაბამობის გათვალისწინებით. კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანაბრად თანასწორი არ არის. ეს ყველაფერი კი განაპირობებს მყიფე დემოკრატიული სტრუქტურების მარტივ დე-ინსტიტუციონალიზაციას და ვითარების კიდევ უფრო გაუარესებას.

- კორუფცია და კლიენტელიზმი: ჰიბრიდულ რეჟიმებში ხშირია კლიენტელისტური სტრუქტურებისა და კორუფციის მაღალი დონის მაჩვენებელი, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მოსახლეობას თითქმის არ აქვს საშუალება პოლიტიკური ელიტისაგან ჩაიბაროს ანგარიში გარდა არჩევნებისა. არჩევნები კი თავად შეიძლება იყოს კორუფციის წყარო, ვინაიდან საარჩევნო კამპანია საკმაოდ ძვირია და პოლიტიკოსები ხშირად ცდილობენ მოიძიონ ფინანსები ან მიიღონ ხმები უკანონო გზებით. საზოგადოებრივი სამსახურები ხშრად არიან ეთნიკურ/რეგიონალური თუ პოლიტიკური კლიენტელიზმის წნეხის ქვეშ. ასეთ დროს გავრცელებული ერთ-ერთი პრაქტიკაა - იქმნება დამატებითი სტრუქტურები, ზოგჯერ კი სამინისტროებიც, რათა უზრუნველყოფილი იქნებს საჯარო სამსახურებში დასაქმებულთა მიერ მმართველი პოლიტიკური ელიტის მხარდაჭერა არჩევნებზე.
- პოპულარული მოლოდინები და სახელმწიფო შესაძლებლობები: სახელმწიფო შესაძლებლობები კვლავ სუსტია, თუმცა პოლიტიკური აქტორები ითხოვენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უფრო აქტიურ ჩართვას, უკეთესი მომსახურების მიღებასა და სახელმწიფო ანგარიშვალდებულების გაზრდას. ეს ორმაგი დინამიკა კი აძლიერებს სახელმწიფო არასტაბილურობის განცდას. ამ დროს სუსტი სახელმწიფო ვერ ახერხებს ადექვატურ პასუხს, რადგან არ გააჩნია საჭირო ინსტიტუციური და ადმინისტრაციული შესაძლებლობები. ასეთ დროს მიღებული იმედგაცრუება კი შესაძლებელია დესტაბილიზაციად იქცეს, რასაც პოპულისტი ლიდერების გამოჩენა და მათ მიერ არჩევნებზე მიღებული მაღალი შედეგები მოჰყვება ხოლმე.
- ელიტარული ცვლილებები: ხშირ შემთხვევაში ჰიბრიდულ რეჟიმებში ცვლილებები გამოწვეულია პოლიტიკური ელიტების მიერ და არა ქვემოთა-ხალხის საფეხურიდან ზეწოლით. რამდენიმე განვითარებად, საწყის ეტაპზე მყოფ დემოკრატიებში პრეზიდენტები შეიცვალა განვითარებული სამყაროს ზეწოლის შედეგად. 1990-იან წლებში რუსეთში პოლიტიკური ელიტის მიერ

ინიცირებული ცვლილებები განხორციელდა მოსახლეობის თანხმობით. ელიტებმა ცვლილებები გაამართლეს იმ მოტივით, რომ რუსეთის სახელმწიფოს გაძლიერებისა და განვითარებისათვის საჭირო იყო უფრო მეტად ავტორიტარული მმართველობა. ამგვარად, რუსეთის მოქალაქეებს უწევდათ დემოკრატიზაციის მიღწევა უწესრიგობითა და უკანონობით (Rakner, L; Menocal, A. & Fritz, V. 2007).

2.კონკურენტული ავტორიტარიზმი

2.1. კონკურენტული ავტორიტარიზმის არსი

1980-90-იან წლებში პოსტკომუნისტურ ევრაზიაში, აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში ერთპარტიულობისა და სამხედრო დიქტატურის ნგრევამ ავტორიტარიზმი სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა. ამ პერიოდში ფორმალური დემოკრატია, განსაკუთრებით კი მრავალპარტიული არჩევნები ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში.

ტრანზიცია ყოველთვის დემოკრატიით არ სრულდება. მსოფლიოს მრავალ რეგიონში, მათ შორის ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, აფრიკასა თუ აღმოსავლეთ აზიაში ჩამოყალიბებულმა რეჟიმებმა ერთმანეთთან დააკავშირეს საარჩევნო კონკურენცია და სხვადასხვა სახის ავტორიტარიზმი. ასეთი ტიპის რეჟიმები არადემოკრატიულია. მთავრობა ძალადობს და აპატიმრებს მოწინააღმდეგეებს; არჩევნები ტარდება თაღლითურად, არსებობს ხელმისაწვდომი მედია, თუმცა უსამართლო და ხდება სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენება თანამდებობის პირთა სასარგებლოდ - კონკურენცია რეალური, თუმცა უსამართლოა. ასეთი ტიპის მმართველობას ლევიცკი და ვეი კონკურენტულ ავტორიტარიზმის უწოდებენ (Levitsky and Way). ამ ტიპის რეჟიმები ამავე ავტორების განმარტებით გავრცელდა ცივი ომის შემდგომ პერიოდში და 1995 წლისთვის მათი რაოდენობა სულ მცირე 36 იყო და აჭარბებდა

განვითარებად და პოსტ-კომუნისტური ქვეყნების დემოკრატიებს. ამ პერიოდის კონკურენტული ავტორიტარიზმის ქვეყანათა რიცხვს ლევიცკი და ვეი საქართველოსაც მიაკუთვნებენ. ჩამონათვალში საქართველო ისეთ ქვეყანათა გვერდით აღმოჩნდა, როგორებიცაა აფრიკისა თუ აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური ევროპისას და ასევე ლათინური ამერიკის სახელმწიფოები (Levitsky and Way. p.2)[4]

ლევიცკი და ვეი ემხრობიან მოსაზრებას, რომ ჰიბრიდულ რეჟიმებს და ამ შემთხვევაში მის ერთ-ერთ სახეს - კონკურენტულ ავტორიტარიზმს - არ ეწოდოს „არასრული“ ან „გარდამავალი“ დემოკრატიები. ვინაიდან კონკურენტული ავტორიტარიზმი ყოველთვის დემოკრატიამდე არ მიდის. ამ ფაქტის ახსნას მკვლევრები შემდეგნაირად ცდილობენ: “კონკურენტული ავტორიტარიზმის რეჟიმის მქონე ქვეყნები, რომლებსაც დასავლეთთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ 1995-2005 წლებში იქცნენ დემოკრატიად; უფრო სუსტი კავშირის შემთხვევაში შედეგი დამოკიდებული იყო თანამდებობების პირთა პარტიასა და სახელმწიფოს შესაძლებლობებზე: რეჟიმის პირობებში პასუხისმგებელ პირთა სიმტკიცისა და შესაძლებლობების მაღალი ხარისხის შემთხვევაში რეჟიმი დარჩა სტაბილური და ავტორიტარული, საპირისპირო შემთხვევებმა კი გამოიწვია რეჟიმების არასტაბილურობა, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ავტორიტარიზმი კვლავ რჩებოდა ძალაში“ (Levitsky and Way. p.3).

ლევიცკი და ვეი კონკურენტული ავტორიტარიზმს ჰიბრიდული რეჟიმის ერთ-ერთ ტიპად განიხილავენ და მას ახასიათებენ სამოქალაქო რეჟიმად, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები მიჩნეულია ძალაუფლების მოპოვების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად. ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენება მასმედიაზე

[4] ალბანეთი, სომხეთი, ბენინი, ბელორუსია, ბოცვანა, ბულგარეთი, კამბოჯა, კამერუნი, ხორვატია, დომინიკის რესპუბლიკა, ეთიოპია, საქართველო, გაბონი, განა, ჰაიტი, კენია, სპილოს ძვლის სანაპირო, მადაგასკარი, მალავი, მალაიზია, მალი, მაკედონია, მექსიკა, მოლდოვა, მოზამბიკი, პერუ, რუმუნეთი, რუსეთი, სენეგალი, სერბეთი, სლოვაკეთი, ტაივანი, ტანზანია, უკრაინა, ზამბია, ზიმბამბვე

ზეგავლენის მოსაპოვებლად, მთავრობა პოლიტიკური თამაშის წესებს საკუთარი სურვილის მიხედვით ცვლის. ეს ყველაფერი კი არ იძლევა საშუალებას - ქვეყანა მიჩნეული იყოს დემოკრატად.

კონკურენტული ავტორიტარიტარიზმი ჰიბრიდული რეჟიმის ერთ-ერთი სახეა დემოკრატიისა და ავტორიტარიზმის მახასიათებლებით. მისი ჰიბრიდული ხასიათიდან გამომდინარე ის იდეალური ადგილია, სადაც ფუნდამენტურად განსხვავებული ინსტიტუტები დემოკრატიული და ავტორიტარული ელემენტებით თანაარსებობენ (Cassani, 2012/2013. p.6). ლევიცკი და ვეი ამ შემთვევაში დემოკრატიის შუალედურ განმარტებას იყენებენ, ამისათვის მაგალითად მოჰყავთ სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულება. დალის ვერსიით დემოკრატიის მინიმალისტური გაგებისთვის მეცნიერები უნდა გაერთიანდნენ მისი 4 მთავარი ელემენტის გარშემო: ა) რეგულარულად ჩატარებული კონკურენტული, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ბ) საყოველთაო საარჩევნო უფლება; გ) სამოქალაქო თავისუფლებების დაცვა, მათ შორის სიტყვის, პრესისა და გაერთიანებების თავისუფლება დ) უზრუნველყოფა იმისა, რომ არაარჩეული ორგანოები (სამხედრო, რელიგიური, მონარქიული...) ვერ შეზღუდავენ არჩეულ ჩინოვნიკებს - განახორციელონ საკუთარი მოვალეობები (Dahl 1971).

კონკურენტული ავტორიტარიზმის გამოყოფა დახურული ავტორიტარიზმისაგან შეიძლება იმ მახასიათებლებით, რომელიც მას გააჩნია: ოპოზიციური პარტიებისათვის დარჩენილია სხვადასხვა კანონიერი და გარკვეულწილად ეფექტური გზა, რისი საშუალებითაც ისინი შეძლებენ იბრძოლონ ძალაუფლებისათვის. არჩევნები რეგულარულად ტარდება და ოპოზიციური პარტიები არ არიან შეზღუდული მონაწილეობა მიიღონ მასში. ოპოზიციური პარტიები ღიად არსებობენ და საქმიანობენ. სამოქალაქო თავისუფლებების იმ დოზით მხარდაჭერაა, რომ ოპოზიციას შეუძლია გახსნას ოფისები, შეარჩიოს კანდიდატები და აწარმოოს კამპანია. ამგვარი პარტიების წარმომადგენლები არ არიან

ქვეყნიდან გაძევებული ან დაპატიმრებულები. შესაძლებელია იმის თქმა, რომ დემოკრატიული პროცედურები საკმაოდ მნიშვნელოვანია ოპოზიციისათვის, რომელსაც სწორედ ამ პირობებში შესაძლებლობა აქვს მიიღოს მონაწილეობა არჩევებში და კონკურენცია გაუწიოს მმართველ ძალას ხელისუფლებაში მოსასვლელად.

ასეთი დახასიათების შემდეგ, კონკურენტული ავტორიტარიზმი დემოკრატიიად არ განიხილება. ასეთ ქვეყნებში მართალია იმდენად მაინცაა დაცული დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება, რომ უზრუნველყოფილი იქნეს რეალური შეჯიბრი, რეჟიმის ძალადობის ხარისხი ისეთი დონისაა, რომ კონკურენცია უსამართლოა. ოპოზიციურ პარტიებს აქვთ შესაძლებლობა, თუმცა საკმაოდ უნარშეზღუდულები არიან, რომ მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გაუწიონ ხელისუფლებას არჩევნებზე, საკანონმდებლო, სასამართლო თუ სხვა საზოგადოებრივ სივრცეში.

დემოკრატიის, კონკურენტული ავტორიტარიზმისა და დახურული რეჟიმების შედარება

	დემოკრატია	**კონკურენტული ავტორიტარიზმი**	**დახურული რეჟიმი**
უმთავრესი დემოკრატიული ინსტიტუტების სტატუსი (არჩევნები, სამოქალაქო უფლებები)	• სისტემატიურად დაცულია • განიხილება, როგორც ძალაუფლების მოპოვების ერთადერთი გზა	• არსებობს და მნიშვნელოვანია, თუმცა სისტემატიურად ირღვევა თანამდებობის პირთა სასარგებლოდ • განიხილება, როგორც ძალაუფლების მიღწევის უმთავრესი გზა	• არარსებული ან შემცირებული ფასადური სტატუსი აქვს • არ განიხილება, როგორც ხელისუფლების მოპოვების რეალური შესაძლებლობა
ოპოზიციის სტატუსი	არსებობს მეტნაკლებად	მოქმედებს ლეგალურად და ღიად ერთ-	აკრძალულია, ან მოქმედებს

	თანაბარ პირობებში	ვება საარჩევნო შე-ჯიბრში, თუმცა გააჩ-ნია არახელსაყრელი მდგომარეობა თანამ-დებობის პირთა მხრიდან ძალადო-ბისა და შევიწროების გამო	ფარულად, მიწისქვეშ, ან გაძევებულია ქვეყნიდან
გაურკვევლობის, დაურწმუნებლობ ის დონე	მაღალია	არსებობს	დაბალია

როგორც უკვე აღინიშნა, კონკურენტული ავტორიტარიზმის პირობებში არჩევნები კონკურენტულ გარემოში ტარდება; მთავარი ოპოზიციური კანდიდატები არ იდევნებიან; პარტიებს შესაძლებლობა აქვთ საჯაროდ ჩაატარონ კამპანია; არჩევნებს არ აყალბებენ მასობრივად, თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ არჩევნები ხშირ შემთხვევაში არაა თავისუფალი და თითქმის ყოველთვის უსამართლოა. გაყალბებისთვის იყენებენ სხვადასხვა ხერხს, მათ შორის საარჩევნო სიებით მანიპულირებას (დომინიკის რესპუბლიკა 1994); საარჩევნო ყუთების შევსებას ყალბი ბიულეტენებით (უკრაინა 2004); ან შედეგების ფალსიფიცირებას (კამერუნი; გაბონი). მიუხედავად მსგავსი ზომებისა, ისინი ისეთი მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს საარჩევნო პროცესზე, რომ დააკნინოს და მნიშვნელობა დაუკარგოს თვითონ ხმის მიცემის პროცედურას. საზოგადოებრივი აზრი კვლავ ყველაზე მნიშნელოვანია. არჩევნების თანმხლევი შესაძლოა იყო ოპოზიციური აქტივისტებისა და ამომრჩევლების დაშინება. ასეთ ქვეყანათა რიცხვს ლევიცკი და ვეი საქართველოსაც მიაკუთვნებენ რუსეთთან, კამბოჯასთან, კენიასა და ზიმბამბვესთან ერთად (Levitsky and Way. p.7).

რაც შეეხება სამოქალაქო თავისუფლებებს, მსგავსი რეჟიმების პირობებში ფორმალურად გარანტირებულია ფუნდამენტური სამოქალაქო უფლებები და

პრაქტიკაშიც მეტ-ნაკლებად დაცულია; არსებობს დამოუკიდებელი მედია და ოპოზიციური და სამოქალაქო ჯგუფები ღიად მუშაობენ, იკრიბებიან, დემონსტრაციებს აწყობენ და საჯაროდ აკრიტიკებენ ხელისუფლებას. ამავე დროს ხშირად ირღვევა სამოქალაქო თავისუფლებები. ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, დამოუკიდებელი მოსამართლეები, ჟურნალისტები, ადამიანის უფლებათა აქტივისტები და ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მოქალაქეები იზღუდებიან. მათ ავიწროებენ, გარკვეულ შემთხვევებში აპატიმრებენ ან ძალადობრივ თავდასხმებს აწყობენ მათზე. დამოუკიდებელ მედიას ემუქრებიან, თავს ესხმიან ან ხურავენ.

მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტული ავტორიტარიზმის პირობებში ზემოთ მოყვანილი დარღვევები არ არის სისტემატური ან იმდენად სერიოზული, რომ ოპოზიციურ პარტიებს აიძულოს საქმიანობა მიწისქვეშ გააგრძელონ, ან საერთოდ დატოვონ ქვეყანა, ეს პროცესები მაინც აისახება მათ საქმიანობაზე, შეფერხებულია მათი განვითარება და შესაბამისად უჭირთ მმართველი ძალისთვის რეალური წინააღმდეგობის გაწევა.

კონკურენტულ ავტორიტარიზმი ხასიათდება კიდევ ერთი მაჩვენებელით: უკიდურესად არათანაბარ პირობებში ჩაყენებული ოპოზიციითა და რეჟიმის წარმომადგენლებით. ყველა დემოკრატიაში არსებობს თანამდებობრივი უპირატესობები. ახალი დემოკრატიები კი ხასიათდებიან კლიენტელიზმითა და სახელმწიფო ბიუროკრატიის პოლიტიზირებული მდგომარეობით. არათანაბარ სათამაშო მოედანზე ოპოზიციისა და ხელისუფლებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ა) რესურსებზე ხელმისაწვდომობა ბ) მედიაზე ხელმისაწვდომობა გ) კანონთან ხელმისაწვდომობა (Levitsky and Way. p.9).

2.2.რესურსებზე ხელმისაწვდომობა

წვდომა რესურსებზე არათანაბარია, როდესაც თანამდებობის პირები იყენებენ სახელმწიფოს იმისათვის, რომ შექმნან ან შეინარჩუნონ რესურსების დისბალანსი იმგვარად, რომ ოპოზიციის შესაძლებლობა - გასწიოს კონკურენცია - შეფერხდეს. ამის მისაღწევად რამდენიმე გზა არსებობს: უპირველეს ყოვლისა, თანამდებობის პირებს შეუძლიათ სახელმწიფო რესურსები პირდაპირ პარტიული ინტერესებისთვის გამოიყენონ. ამავდროულად ისინი უარყოფენ სხვა პარტიების შესაძლებლობას - მათაც ისარგებლონ იგივე რესურსებით. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო დაფინანსება ლეგალურია[5]. უფრო ხშირად კი სახელმწიფო დაფინანსება არაფორმალურია. ამის კლასიკური შემთხვევაა მექსიკური PRI[6], რომელიც სარგებლობდა შეუზღუდავი წვდომით სამთავრობო ფონდებზე. 1990-იან წლების დასაწყისში გავრცელებული ინფორმაციით აღნიშნული პარტიის მიერ უკანონოდ სახელმწიფოსგან აღებულმა ფინანსებმა მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ასევე, 1990-იან წლებში რუსეთში ბორის ელცინმა მნიშვნელოვანი ფინანსები მიიღო სახელმწიფოს კუთვნილი ქონების გადაცემის სანაცვლოდ. 1996 წელს კი სახელმწიფო ობლიგაციებიდან ათეულობით მილიონი დოლარი მოხმარდა ელცინის განმეორებით საარჩევნო კამპანიას.

თანამდებობის პირთა მხრიდან შესაძლებელია ასევე სისტემურად გამოყენებული იქნას სახელმწიფო ინფრასტრუქტურა. მათ შორის შენობები, ტრანსპორტი, საკომუნიკაციო აღჭურვილობა და პერსონალი - საარჩევნო კამპანიისთვის. ღარიბ ქვეყნებში, რომლებიც ხასიათდებიან სუსტი კერძო სექტორით, ეს ყველაფერი დიდ უპირატესობას აძლევს რესურსებთან წვდომის თვალსაზრისით თანამდებობის პირებს ოპოზიციასთან შედარებით. აღსანიშნავია ასევე, რომ რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებში,

[5] ზიმბამბვესა და გაიანაში 1980-იან წლებში არსებობდა სპეციალური საჯარო სამინისტროები, რომელიც აფინანსებდა მმართველი პარტიის საქმიანობას.
[6] ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია (PRI) - დომინანტი პარტია მექსიკის პოლიტიკურ ინსტიტუტებში მისი შექმნიდან (1929) მეოცე საუკუნის ბოლომდე. https://www.britannica.com/topic/Institutional-Revolutionary-Party

სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული ადამიანები მმართველი პარტიისთვის მუშაობენ (ბელორუსია, რუსეთი, უკრაინა). ეს მობილიზაცია ეხება არამხოლოდ დაბალი დონის ბიუროკრატებს, არამედ ექიმებს, მასწავლებლებს და სხვა ბიუჯეტიდან დაფინანსებულ მუშაკებს. აღსანიშნავია ასევე, უსაფრთხოების ძალების მობილიზება მმართველი პარტიის მხარდასაჭერად. ამის მაგალითია სერბეთი, როდესაც სლობოდან მილოშევიჩმა შეძლო და უსაფრთხოების აპარატის დახმარებით მოახდინა ძალაუფლების კონსოლიდირება.

თანამდებობის პირთა მხრიდან შესაძლებელია ასევე მოხდეს კერძო სექტორის ფინანსების მოძიების მონოპოლიზება. ხელისუფლებაში მყოფმა პარტიამ შესაძლებელია გამოიყენოს დისკრეციული ბერკეტი კრედიტების, სახელმწიფო კონტრაქტების, ლიცენზიების და სხვა რესურსების გამოყენებისთვის, რაც დაეხმარება მას, კერძო კომპანიებისგან მიიღოს შემოსავალი საკუთარი ხაზინისთვის.

სახელმწიფომ ასევე შესაძლებელია სრულად შეუზღუდოს ოპოზიციურ პარტიებს რესურსებზე წვდომა. ამის მაგალითია უკრაინა, სადაც ბიზნესმენები, რომლებიც აფინანსებენ ოპოზიციურ პარტიებს, მუდმივად სამიზნეები არიან საგადასახადო სფეროს ჩინოვნიკების მხრიდან. პუტინის რუსეთის მთავრობა უფრო შორსაც წავიდა და შეაჩერა მსხვილი ბიზნესმენების მხრიდან ოპოზიციისათვის ფინანსების შეწირვა.

ასეთ პირობებში რესურსებზე წვდომის უთანასწორობა, მნიშვნელოვნად აღემატება ჩამოყალიბებულ დემოკრატიებში არსებულ მდგომარეობას.

2.3.მედიაზე ხელმისაწვდომობა

იმ შემთხვევაში, როდესაც ოპოზიციურ პარტიებს ნაკლებად აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ სრულფასოვნად ისარგებლონ კერძო თუ სახელმწიფო მედიით, რომელიც აღწევს მოსახლეობის უმრავლესობამდე, შეუძლებელია სამართლიანი პირობები იყოს კონკურენციისთვის. მედია რესურსების შეზღუდვის რამდენიმე გზა

არსებობს. ხშირად, ყველაზე მნიშვნელოვანი დისპროპორცია წარმოიქმნება, როდესაც საქმე ეხება ელექტრონულ მედიას (ტელევიზია და რადიო), რომელიც ხასიათდება მაღალი ხარისხის მიკერძოებითა. ბევრ კონკურენტულ ავტორიტარულ რეჟიმში ვხვდებით სახელმწიფოს მიერ სრულად მონოპოლიზებულ მდგომარეობას სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ხშირად ბეჭდური მედია პლურალისტულია - მრავალფეროვანი და დამოუკიდებელი ჟურნალ-გაზეთები თავისუფლად მოძრაობს ქვეყანაში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი კითხულობს ბეჭდურ მედიას. იმ შემთხვევაში, როდესაც ტელევიზია და რადიო მოქცეულია სახელმწიფოს ხელში, ხოლო საერთო-ეროვნული არხები მიკერძოებულია მმართველი პარტიის სასარგებლოდ, ოპოზიციურ ძალებს მიზერული წვდომა აქვთ მედიაზე. ასეთ ქვეყანათა რიცხვშია საქართველო, კენია, სენეგალი, ბელორუსი, რუსეთი და აფრიკისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი სხვა სახელმწიფოები.

სხვა შემთხვევებში კერძო მედია ფართოდაა გავრცელებული, თუმცა მთავარი მაუწყებლები მაინც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ხელისუფლებაში მყოფ პარტიასთან - მარიონეტული მესაკუთრეებით, მფარველთა კავშირებით და სხვა ფორმებით.

2.4.მიკერძოებული მსაჯები: კანონზე ხელმისაწვდომობა

ბევრ კონკურენტულ ავტორიტარულ რეჟიმში სასამართლო, საარჩევნო ადმინისტრაცია და სხვა, სათამაშო წესების ნომინალურად დამოუკიდებელი არბიტრები არამხოლოდ კონტროლდებიან თანამდებობის პირთა მიერ (შანტაჟით, ქრთამითა თუ დაშინებით), არამედ წარმოადგენენ პარტიულ იარაღებს ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ. საბოლოო ჯამში, არის მდგომარეობა, როდესაც საარჩევნო, სასამართლო და სხვა მნიშვნელოვანი ტიპის დავებისას, სტრუქტურები, რომლებიც დემოკრატიულ სახელმწიფოში ობიექტური მომრიგებლის როლს ასრულებენ,

კონკურენტული ავტორიტარული რეჟიმის პირობებში გვევლინებიან თანამდებობის პირთა მხარდამჭერებად.

სამართლებრივ სისტემაში თანამდებობის პირთა მხრიდან განხორციელებულმა მანიპულაციამ, შესაძლოა პოლიტიკურ კონკურენციაზე მნიშვნელოვანი გავლენა რამდენიმე გზით მოახდინოს. უპირველესად, როდესაც მართლმსაჯულება მმართველი გუნდის ან პარტიის კონტროლქვეშაა, მას შეუძლია დაუსჯელად დაარღვიოს დემოკრატიული პროცედურები. მაგ. 1996 წელს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბელორუსიის პრეზიდენტი, ლუკაშენკო აშანტაჟებდა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს იმისათვის, რომ მას დაებლოკა პარლამენტის მიერ წამოწყებული ლუკაშენკოს იმპიჩმენტის პროცედურა.

აღსანიშნავია ასევე, რომ თანამდებობის პირები შესაძლებელია ჩაერთონ კანონიერ იურიდიულ რეპრესიებში. ყველაზე გავრცელებული მეთოდი კანონიერი რეპრესიების არის ცილისწამების ან დისკრიმინაციის კანონი. სხვადასხვა სახელმწიფოში, მთავრობები იყენებენ ცილისწამებისა და დისკრიმინაციის კანონს ჟურნალისტებისა და გამომცემლების დასაპატიმრებლად ან მედია გამოცემების დასახურად ან მათი საქმიანობის შესაჩერებლად. არის ასევე შემთხვევები, როდესაც მთავრობა იყენებს ძვირადღირებულ სარჩელებს განმეორებით, დამოუკიდებელი მედიის საქმიანობისთვის ხელის შესაშლელად. აქვე აღსანიშნავია, რომ ამგვარი სამართლებრივი სარჩელების საფრთხემ შესაძლებელია გამოიწვიოს თვითცენზურა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნომინალურად დამოუკიდებელ საარჩევნო სუბიექტებზე პარტიული კონტროლი, შესაძლოა აღმოჩნდეს სერიოზული ფაქტორი თანამდებობის პირთა მხრიდან თანამდებობასთან ან არჩევნებთან დაკავშირებული თაღლითობის წასახალისებლად. ამის მაგალითებია სომხეთი, ბელორუსია, კამერუნი, გაბონი და სხვ. ჩამოთვლილ ქვეყნებში მიკერძოებული საარჩევნო ხელისუფლება პირდაპირ იყო ჩართული თაღლითობასა და უკანონო საქმიანობაში, რომელსაც თანამდებობის პირები ეწეოდნენ. არსებობს ასევე შემთხვევები, როდესაც

საარჩევნო და სასამართლო ხელისუფლება გამოსცემს ბრძანებას, რომელიც მკვეთრად ამცირებს ოპოზიციის შანსებს (Levitsky and Way. p.9).

2.5.კონკურენტული ავტორიტარიზმის აღმავლობა

კონკურენტული ავტორიტარიზმი ცივი ომის შემდგომი ფენომენია. თუმცა ამ პერიოდშიც არსებობდა მსგავსი რეჟიმები უფრო შეზღუდული რაოდენობით. ბერლინის კედლის ნგრევის შემდგომ კი რაოდენობამ იმატა, რაც შემთხვევითი არ იყო. 1989 წლის შემდგომ საერთაშორისო გარემო შეიცვალა და ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სწორედ კონკურენტული ავტორიტარიზმის რეჟიმების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის.

ცივი ომის ბოლო პერიოდში, მრავალ შემთხვევაში ადგილობრივი დიქტატურები იღებდნენ ზესახელმწიფოს მხარდაჭერას. თუმცა 80-იანი წლების დასაწყისიდან, საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი რეჟიმები დადგნენ რეალობის წინაშე, როდესაც ზესახელმწიფოებმა შეასუსტეს და საბოლოოდ ათწლეულის ბოლოს უარი თქვეს მათთვის გაეწიათ ეკონომიკური თუ სამხედრო დახმარება. ცივი ომის სუბსიდიების შეწყვეტა კი ასეთ სახელმწიფოებში დაემთხვა შიდა ეკონომიკურ სიძნელეებს, რასაც ავტოკრატიული მთავრობები სასტიკად უსწორდებოდნენ, ვინაიდან ხელისუფლების შენარჩუნების სხვა გზა მათთვის არ არსებობდა.

სახელმწიფოები გაკოტრდნენ, მფარველების რესურსები შეუწყდათ, სხვადასხვა აპარატი იშლებოდა, რაც აიძულებდათ ავტოკრატებს, გაეხადათ სისტემა ლიბერალური, ან დაეთმოთ ძალაუფლება.

საბჭოთა კავშირის დაშლამ გლობალურ ძალთა ბალანსში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოიტანა - ლიბერალური დასავლეთი, განსაკუთრებით კი აშშ ჩამოყალიბდა ეკონომიკურ და სამხედრო დომინანტად. ცივი ომის შემდგომ პერიოდში ლიბერალური დასავლეთის იდეოლოგიური ალტერნატივა გავლენას

ახდენდა პერიფერიულ სახელმწიფოებზე, რომელთაც ჰქონდათ სურვილი, დამსგავსებოდნენ ლიბერალურ კაპიტალისტურ დემოკრატიებს. ამ ყველაფერმა კი ხელი შეუწყო დასავლური დემოკრატიული მოდელების ფართო გავრცელებას. ამავდროულად ავტოკრატები აყალიბებდნენ ფორმალურ დემოკრატიულ ინსტიტუტებს, რათა საკუთარი ქვეყნის იმიჯი საერთაშორისო არენაზე დადებითად წარმოეჩინათ და მოეპოვებინათ განვითარებისთვის საჭირო რესურსები.

ამავე პერიოდის კიდევ ერთი მნიშნელოვანი ცვლილება იყო დასავლური სამყაროს მიერ გამოჩენილი ინიციატივა - ხელი შეეწყო ახალი დემოკრატიების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. საბჭოთა საფრთხის გაქრობის კვალდაკვალ, აშშ-მა და სხვა დასავლურმა სახელმწიფოებმა გააძლიერეს დემოკრატიების წახალისება და დაცვა - გარე დახმარების, სამხედრო და დიპლომატიური ზეწოლის და უპრეცენდენტო პოლიტიკური პირობების კომბინაციით.

ახალი პოლიტიკური პირობები თან ახლავს იმ მცდელობებს, რომლებიც მიმართულია დემოკრატიის კოლექტიური დაცვისათვის საერთაშორისო სამართლებრივი სტრუქტურის შესაქმნელად. 1990-იანმა წლებმა ყველას დაანახა საჭიროება არსებობდეს „კოლექტიური ინსტიტუტების საერთაშორისო არქიტექტურა და ფორმალური შეთანხმებები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების პრინციპების გათვალისწინებით“. ეს პროცესები განსაკუთრებით აქტიურად წარიმართა ევროპაში, სადაც დიდი მოთხოვნა გაჩნდა ევროპის კავშირში გაწევრიანებისთვის და ამერიკაში, სადაც ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციამ (OAS)[7] 1990-იანი წლების დასაწყისში დემოკრატიის კოლექტიური დაცვის ახალი მექანიზმები შეიმუშავა.

[7] OAS-უძველესი რეგიონალური ორგანიზაციაა, რომელიც დღესდღეობით აერთიანებს ამერიკის 35 დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ორგანიზაციის მიზანია მშვიდობისა და სამართლიანობის, სოლიდარობის ხელშეწყობა, ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დაცვა. http://www.oas.org/en/about/who_we_are.asp

ცივი ომის შედგომი საერთაშრისო გარემოს კიდევ ერთი შემადგენელი ელემენტი იყო ტრანსნაციონალური ორგანიზაციებისა და ქსელების მზარდი სტრუქტურა, მათ შორის საარჩევნო მონიტორინგის სააგენტოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვისთვის მუშაობდნენ. ამავე პერიოდში დაიწყო ინფორმაციის მასობრივი გავრცელება, რამაც ადამიანთა უფლებების დარღვევები სხვადასხვა ქვეყანაში დანარჩენი სამყაროსთვის უკვე ცხადი გახდა და ამ თემამ უდიდესი ყურადღება მიიპყრო. დასავლეთის მთავრობები იძულებულები გახდნენ მოძალადე მთავრობების მიმართ განსხვავებული პოლიტიკა გაეტარებინათ, ეს კი დაეხმარა და გააძლიერა შიდა ოპოზიციური ჯგუფები. ამავდროულად საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების მზარდი რიცხვი ქმნიდა ვითარებას, როდესაც საერთაშორისო ყურადღება მიპყრობილი იყო გაყალბებული არჩევნებისკენ, რაც ბევრი მთავრობისთვის ხელის შემშლელი აღმოჩნდა - თაღლითობით დაეწერა სასურველი შედეგები.

ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო გარემო სწორედ ამგვარი ცვლილებებით ხასიათდებოდა, რამაც ხელი შეუწყო ღია ავტორიტარიზმის აღზევებას. პერიფერიულ ელიტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ლიბერალური დემოკრატიის ფორმალური სტრუქტურები, რაც სულ მცირე გულისხმობდა მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას.

მაგრამ ახლადმიღებული მრავალპარტიული არჩევნების პრაქტიკას ავტოკრატიულ ქვეყნებში აუცილებლად დემოკრატია არ მოუტანია. საერთაშორისო დემოკრატიზაცია მნიშვნელოვნადაა შეზღუდული. პირველ რიგში ამის მიზეზი ისაა, რომ იგი შერჩევით და შეუსაბამოდ გამოიყენებოდა[8]. ასევე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ზეწოლა ხშირად ზედაპირული იყო და ხშირად ორიენტირდებოდა

[8] მნიშვნელოვანი ქვეყნები და რეგიონები (მაგ. ჩინეთი და ახლო აღმოსავლეთი), როგორც წესი, თავიდან ირიდებენ ხოლმე და გაურბიან მსგავს ზეწოლებს.

მხოლოდ მრავალპარტიულ არჩევნებზე, რა დროსაც ყურადღების მიღმა რჩებოდა სამოქალაქო თავისუფლებები და პოლიტიკური ვითარება ქვეყნის შიგნით.

ამ ყველა ფაქტორმა კი მოიტანა ის რომ მთავრობები მიხვდნენ, რომ მათ არ სჭირდებოდათ ყოფილიყვნენ დემოკრატიულები იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ საერთაშორისო პოზიცია და კვლავ მიეღოთ საგარეო მხარდაჭერა და დახმარება. ცხადი გახდა რომ პარტიული ლიბერალიზაცია საკმარისია საერთაშორისო ზეწოლის შესაჩერებლად. ისწავლეს უკეთესი მეთოდები ოპონენტების დასასუსტებლად და საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად ისე, რომ არ დაზიანებულიყო მათი ფორმალური დემოკრატია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცივი ომი შემდგომი საერთაშორისო გარემო ხელს უწყობდა მინიმალური სტანდარტების ამაღლებას და აღარ იტანდა ერთპარტიულ ან სამხედრო რეჟიმებს, თუმცა ეს ახალი სტანდარტი იყო ელექტორალიზმი და არა დემოკრატიზაცია.

ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში, როდესაც მაგალითად საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში არ არსებობდა ხელსაყრელი საშინაო პირობები, როგორებიცაა ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, ეფექტური პოლიტიკური ინსტიტუტები და კანონის უზენაესობა, ჩამოყალიბდნენ რეჟიმები, რომლებიც აერთიანებდნენ მრავალპარტიულ არჩევნებს სხვადასხვა საარჩევნო მანიპულაციასთან, რეპრესიებთან და თანამდებობის პირთა მხრიდან თანამდებობის ბოროტად გამოყენებასთან. ეს ყველაფერი კი კონკურენტული ავტორიტარიზმის მახასიათებლებია.

ამდენად ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო გარემო შესანიშნავი შესაძლებლობა იყო კონკურენტული ავტორიტარიზმის რეჟიმების ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის. მართლაც, თუ სამხედრო და ერთპარტიული რეჟიმები თითქმის გაქრნენ 1989 წლისთვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გაძლიერდა კონკურენტული ავტორიტარიზმის რეჟიმები. 1985 წლისთვის გორბაჩოვის მმართველობის დასაწყისში არსებობდა სულ რამდენიმე მსგავსი ტიპის რეჟიმი, უკვე

1995 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლიდან 4 წლის შემდეგ, არსებობდა 36 კონკურენტული ავტორიტარიზმის რეჟიმი. ამრიგად, თუ ცივი ომის დასრულებამ გამოიწვია უდიდესი ტალღა დემოკრატიზაციის, ამავე პერიოდმა წარმოშვა კიდევ უფრო დიდი ტალღა ჰიბრიდიზაციის.

2.6.კონკურენტული ავტორიტარიზმის მიმართულებები

როგორც უკვე აღინიშნა, კონკურენტული ავტორიტარიზმის რეჟიმები აუცილებლად დემოკრატიად არ იქცევიან. მხოლოდ მცირე ნაწილი ასეთი ტიპის რეჟიმებიდან გარდაიქმნენ დემოკრატიებად 2005 წლისთვის. შესაძლებელია ითქვას, რომ კონკურენტული ავტორიტარიზმის რეჟიმები ცივი ომის შემდგომ პერიოდში სამი მიმართულებით განვითარდნენ. პირველი მიმართულება **დემოკრატიზაციაა,** რაც გულისხმობს სამართლიანი და კონკურენტული არჩევნების ჩატარებას, სამოქალაქო უფლებების დაცვასა და პოლიტიკური გარემოს დონის ამაღლებას, რაც მოიცავს ერთი პარტიის დომინაციის არარსებობას, სახელმწიფო, მედია და სხვა მნიშვნელოვან რესურსებზე წვდომას.

მეორე მიმართულებაა **არასტაბილური ავტორიტარიზმი,** რომელიც მიუხედავად ცვლილებებისა, დემოკრატიად მაინც ვერ ჩამოყალიბდა. ასეთ პირობებში იცვლებიან ხელისუფლებაში მყოფი პირები, თუმცა არ იცვლება სისტემა - მმართველობის მთავარი არქიტექტურა და კონკურენტული ავტორიტარიზმის რეჟიმის მახასიათებლები რჩება უცვლელი. მთავრობები მემკვიდრეობით იღებენ არათანაბარ პოლიტიკურ პირობებს, სხვადასხვა ინსტიტუტის პოლიტიზირებულ მდგომარეობას, რასაც შემდგომ უკვე იყენებენ პოლიტიკური ოპონენტების დასასუსტებლად და მათთვის ზიანის მისაყენებლად. ასეთ შემთხვევაში დემოკრატიზაცია მოითხოვს მთავრობის მხრიდან შეგნებულ, გაცნობიერებულ ნაბიჯებს. არსებობს შემთხვევებიც როდესაც სწორედ ამგვარად, შედარებით დემოკრატიული მთავრობები შემდგომ უკვე იცვლებიან ხელისუფლებით, რომელიც მიდრეკილია უფრო მეტად სწორედ კონკურენტული ავტორიტარიზმისკენ. საინტერესოა, რომ ლევიცკი და ვეი 1990-2005

წლებში საქართველოს სწორედ არასტაბილურ ავტორიტარულ ქვეყნად განიხილავენ ალბანეთთან, ბელორუსიასთან, კენიასთან და სხვა ქვეყნებთან ერთად.

კონკურენტული ავტორიტარული რეჟიმის განვითარების მესამე მიმართულება **სტაბილური ავტორიტარიზმია.** ასეთ შემთხვევაში არსებული ავტორიტარული მთავრობები რჩებიან ხელისუფლებაში ან იცვლებიან მათივე არჩეული მემკვიდრეებით. ეს კი გულისხმობს არათანაბარ პოლიტიკურ გარემოს, საარჩევნო მანიპულაციებს, სამოქალაქო თავისუფლებებზე ძალადობას. ზოგიერთ შემთხვევაში კი რეჟიმი რჩება კონკურენტულ ავტორიტარული (სომხეთი, მალაიზია...). არის შემთხვევები, როდესაც ის კიდევ უფრო დახურულია (რუსეთი, ზიმბამბვე).

კონკურენტული ავტორიტარიზმის განვითარების მიმართულებები, 1990-2005

დემოკრატიზაცია	არასტაბილური ავტორიტარიზმი	სტაბილური ავტორიტარიზმი

ბულგარეთი	ალბანეთი	სომხეთი
ხორვატია	ბელორუსია	ბოცვანა
დომინიკის რესპუბლიკა	ბენინი	კამბოჯა
განა	საქართველო	კამერუნი
გაიანა	ჰაიტი	ეთიოპია
მალი	კენია	გაბონი
მექსიკა	მაკედონია	მალაიზია
ნიკარაგუა	მადაგასკარი	მოზამბიკი
პერუ	მალავი	რუსეთი
რუმინეთი	მოლდოვა	ტანზანია
სერბეთი	სენეგალი	ზიმბამბვე
სლოვაკეთი	ზამბია	
ტაივანი		
უკრაინა		

3.საქართველო - ჰიბრიდული რეჟიმი

როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო რეიტინგებში საქართველო მრავალი წელია უკვე „ჰიბრიდული რეჟიმის“ ქვეყანათა რიცხვშია. ქვეყანათა კლასიფიცირების კრიტერიუმების მიხედვით, The Economist-ის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში საქართველოს 2017 წლის დემოკრატიის ინდექსის გაუმჯობესება აქვს წინა წელთან შედარებით. აღნიშნული რეიტინგის მიხედვით, საქართველო 5.93 ქულით 79-ე ადგილზეა[9].

[9] საქართველოში საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი შეფასებულია 8.67 ქულით; მთავრობის ფუნქციონირება 4.29 ქულით; პოლიტიკური მონაწილეობა 6,11 ქულით; პოლიტიკური კულტურა 5

აღსანიშნავია ასევე Freedom House-ის მიერ 2018 წელს გამოქვეყნებული ანგარიში, სადაც საქართველო 4.68 ქულით (სადაც 1 ყველაზე დემოკრატიულს, 7 კი ყველაზე ნაკლებად დემოკრატიულს ნიშნავს) ასევე ჰიბრიდულ ქვეყანათა რიცხვშია. ამ ანგარიშის მიხედვით საქართველო სხვა ქვეყნებთან ერთად (უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი, ყირგიზეთი) ნეგატიური მიმართულებით მოძრაობს. საქართველოსთან დაკავშირებით ანგარიშში განმარტებულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის შემდეგ მალევე, მილიარდერი პრემიერი, ბიძინა ივანიშვილი თანამდებობიდან გადადგა, ის კვლავ აგრძელებს სახელისუფლებო პარტიის, „ქართული ოცნების“ მართვას[10]. საინტერესოა ასევე, რომ Freedom House თავისუფლების ხარისხის შეფასებისას, საქართველოს ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყნად მოიაზრებს, სადაც პოლიტიკური უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებები შეფასებულია 3 ქულით (სადაც 1 ყველაზე თავისუფალს, 7 კი ყველაზე ნაკლებად თავისუფალს ნიშნავს)[11].

საბჭოთა კავშირის ნგრევის და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საქართველომ რამდენიმე მმართველი გამოიცვალა და ყველა მათგანს ადანაშაულებდნენ ავტორიტარული სისტემით მმართველობაში. სტივენ ჯონსი საქართველოს სამივე ყოფილ პრეზიდენტს მსგავსი ტიპის მმართველებად მიიჩნევს და წერს, რომ თითოეული ლიდერი ხელისუფლებაში თავისი წინამორბედის დემოკრატიული წარუმატებლობების გამოსწორების დაპირებით მოვიდა. გამსახურდია კომუნისტურ ჩაგვრის დასრულების პირობას დებდა. შევარდნაძემ განაცხადა, რომ სტაბილურობასა და პლურალიზმს მოუტანდა ქვეყანას, სააკაშილმა

ქულით, ხოლო სამოქალაქო თავისუფლება 5.59 ქულით. http://grass.org.ge/wp-content/uploads/2018/02/WhitepaperHandler.pdf

[10] https://freedomhouse.org/report/nations-transit/nations-transit-2018

[11] აღნიშნული ორგანიზაციის ოფიციალურ გვერდზე განთავსებულია მოკლე დახასიათება ასევე საქართველოსი, სადაც ვკითხულობთ, რომ „საქართველო რეგულარულ და პლურალისტულ არჩევნებს ატარებს და მისი დემოკრატიული ტრაექტორია ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. თუმცა ოლიგარქიული აქტორები პოლიტიკურ პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და სასამართლო დამოუკიდებლობა მძიმე მდგომარეობაშია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების ინტერესთა გამო. https://freedomhouse.org/report/freedom-world/2018/georgia

კი პატიოსანი და ღია მთავრობის გარანტიები მისცა ხალხს. იმედისა და მოლოდინის მიუხედავად კი ვერცერთმა დანაპირების შესრულება ვერ შეძლო. ჯონსისვე თქმით, ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველო ერთ წრეზე ტრიალებდა იმ მხრივ, რომ წინა მმართველობის წინააღმდეგ „დემოკრატიული გარღვევა“ ყველა შემთხვევაში ახალი ფორმის ავტორიტარიზმად იქცეოდა ხოლმე, რამაც სამივე ყოფილი პრეზიდენტის დამარცხება გამოიწვია (Jones, 2013. p.5).

თომას კაროტერსი სტატიაში “ტრანზიციული პარადიგმის დასასრული“ სხვა საკითხებთან ერთად მიმოიხილავს „დომინანტური ძალის“[12] პოლიტიკას და საქართველოს სწორედ ასეთ ქვეყანათა რიცხვს მიაკუთვნებს. ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს - საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს, ყირგიზეთსა და ყაზახეთს ერთ ჯგუფში აერთიანებს, სადაც ჩამოყალიბდა „დომინანტური ძალის“ პოლიტიკური სისტემა (Carothers, p.13). საქართველოს შემთვევაში თუ 2012 წლამდე მმართველი პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლების ყველა რგოლში იყო წარმოდგენილი და ოპოზიციური პარტიებისთვის მნიშვნელოვანი ბერკეტები არ მოიძებნებოდა პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოსახდენად, 2012 წლის არჩევნების შემდგომ ის „ქართულმა ოცნებამ“ ჩაანაცვლა. არჩევიდან პირველი ვადა კოალიციური მმართველობა იყო, 2016 წლის არჩევნების შემდგომ კი „ქართული ოცნება“ დამოუკიდებლად, სხვა პარტიებისაგან ცალკე საკონსტიტუციო უმრავლესობით მართავს ქვეყანას და თითქმის ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე მხოლოდ პარტიის წარმომადგენლები ან მის მიმართ ლოიალურად განწყობილი პირები არიან დანიშნულნი. პლურალიზმი და კონკურენცია ქვეყანაში ფორმალურად უზრუნველყოფილია, თუმცა ოპოზიციური პარტიები არ არიან იმ მდგომარეობაში,

[12] კაროტერსის განმარტებით, მსგავსი ტიპის ქვეყნებში შეზღუდულად, თუმცა მაინც არსეობს რეალური პოლიტიკური სივრცე, ოპოზიციური ჯგუფების პოლიტიკური კონკურენცია და სულ მცირე, დემოკრატიის ძირითადი ინსტიტუციური ფორმები. ამის მიუხედავად, არსებობს ერთი პოლიტიკური დაჯგუფება - პარტია, მოძრაობა ან ლიდერი, რომელიც დომინირებს სისტემაზე ისე, რომ უახლოეს მომავალში ხელისუფლების ცვლილების მხოლოდ მცირე პერსპექტივა ჩანს (Carothers, p.12). https://www.journalofdemocracy.org/articles-files/gratis/Carothers-13-1.pdf

რომ ხელისუფლების მიერ ყველანაირი რესურსის გამოყენების პირობებში, მას რეალური წინააღმდეგობა გაუწიონ.

2010 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ნეოლიბერალური სახელმწიფოს მშენებლობა და დასავლეთი, დემოკრატიის ხელშეწყობა: საქართველოს შემთხვევა“ ჯოელ ლაზარუსი ჩვენს მიერ უკვე განხილული ლევიცკისა და ვეის იმოწმებს იმის დასადასტურებლად, რომ საქართველო მიაკუთვნოს კონკურენტული ავტორიტარიზმის რეჟიმის მქონე ქვეყანათა რიცხვს. სტატიაში ავტორი წერს, რომ საქართველოში ფორმალური ინსტიტუტები, რომელთაც შეუძლიათ ზედაპირულად უზრუნველყონ პლურალიზმი და კონკურენცია, მუდმივად იგნორირებული და მანიპულირებადია მმართველი პარტიის მიერ, რომელიც ძალაუფლების შესანარჩუნებლად იბრძვის, ხოლო ამგვარ ვითარებაში ჩავარდნილი ოპოზიციური პარტიები იძულებულნი არიან დაარღვიონ წესები იმისათვის, რომ ჰქონდეთ საშუალება კონკურენცია გაუწიონ სახელისუფლებო პარტიას (Lazarus, 2010. p.3).

შევარდნაძის მმართველობის, მისი რეპუტაციის და პოლიტიკის, ასევე დასავლეთის მიერ მისდამი დამოკიდებულების მოკლე მიმოხილვის შემდეგ ავტორი აკეთებს საინტერესო დასკვნას. კერძოდ, ლაზარუსის შეფასებით, დასავლეთის მთავრობებს შეეძლოთ შევარდნაძის პოლიტიკაზე სერიოზული გავლენის მოხდენა, მაგრამ ეს გავლენა მიმართული იყო არა დემოკრატიის გაძლიერებისაკენ საქართველოში, არამედ მისი კონკურენტულ ავტორიტარული და კლეპტოკრატიული რეჟიმის შესანარჩუნებლად (Lazarus, 2010. p.8).

შევარდნაძის მმართველობის მოკლე აღწერის შემდეგ, ავტორი უკვე 2003 წლის ვარდების რევოლუციას აღწერს, რომლის მთავარ მამოძრავებელ ძალადაც კარგად ორგანიზებულ და დასავლეთის მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან დაფინანსებულ არასამთავრობოებს ასახელებს, რომელთაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს რეჟიმის ცვლილებისასა. ავტორი დასავლელი მთავრობების შეფასებასაც გვთავაზობს ვარდების რევოლუციის აღწერისას, როდესაც

ისინი ამ მოვლენას ქართული დემოკრატიის გამარჯვებას უწოდებდნენ, ხოლო აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმა საქართველოს „თავისუფლების შუქურა“ უწოდა. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ დასავლელი მთავრობები, რომლებიც შევარდნაძეს ათწლეულის მანძილზე უჭერდნენ მხარს, უეცრად მისი ღია კრიტიკოსები გახდნენ და ამას „პოლიტიკურ ამნეზიას“ უწოდებს. ლაზარუსის შეფასებით, ვარდების რევოლუცია „დემოკრატიული“ იყო, იმდენად რამდენადაც ის ქართველი ხალხის ნებას ასახავდა, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ სინამდვილეში ეს იყო არაკონსტიტუციური, უსისხლო სახელმწიფო გადატრიალება, შესრულებული შევარდნაძის ყოფილი პროტეჟეების - ტრიოს მიერ (Lazarus, 2010. p.9).

ლაზარუსი დასავლურ დემოკრატიის ხელშემწყობ ორგანიზაციებს ცენტრალურ ადგილს აკუთვნებს ვარდების რევოლუციის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესს წარმატებულად მიიჩნევს არადემოკრატიული რეჟიმის ცვლილების გამო, რევოლუციის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს განიხილავს არა იმდენად დემოკრატიის განვითარებად, არამედ ინგლისური ენის მცოდნე, პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციათა დაწინაურებად, რომელთაც საკუთარი დასავლელი დამფინანსებლების ნეო-ლიბერალური იდეოლოგია დაამკვიდრეს და საქართველოში დაიწყო ახალი პარტიის დომინირების პერიოდი.

ვარდების რევოლუციის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს ლაზარუსი მოკლედ მიმოიხილავს. მისი შეფასებით რევოლუციურმა ხელისუფლებამ საქართველოში ჩამოაყალიბა კონკურენტული ავტორიტარიზმის რეჟიმის და დომინანტური პარტიის სისტემა. როგორც ვხედავთ, ლაზარუსისა და კაროტერსის შეფასებები საქართველოს, როგორც „დომინანტი პარტიის“ მქონე ქვეყნის შესახებ, ერთმანეთს ემთხვევა.

როგორც უკვე აღინიშნა, ლაზარუსი საქართველოში 2003 წლის შემდგომ განვითარებულ რამდენიმე მოვლენას უთმობს განსაკუთრებულ ყურადღებას და საკუთარ მოსაზრებას ყველა მათგანზე გვაწვდის. ამ მოვლენათა ერთობლიობა

მნიშვნელოვანია ავტორისათვის, რომელიც საქართველოს კონკურენტული ავტორიტარიზმის რეჟიმის მქონე ქვეყნად განიხილავს.

3.1.შეტევა ძველ რეჟიმზე და ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბება

პირველ წელს ახალმა ადმინისტრაციამ ჩაატარა საჯარო, შერჩევითი და ხშირად სასტიკი კამპანია ყოფილი მაღალჩინოსნებისა და სხვა, ძველ რეჟიმთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ. ამავე პერიოდში განხორციელდა საჯარო სექტორის რეფორმები, რის შედეგადაც დაახლოებით 35 000 ადამიანმა დაკარგა სამსახური, ახალმა მთავრობამ ძველი სამინისტროების რაოდენობა 18-დან 13-მდე შეამცირა. ხელისუფლების ზედა საფეხურებზე ყოფილი საბჭოთა მოხელეები უკვე აღარ იყვნენ, სააკაშვილის მთავრობაში კი ადგილები დაიკავეს არასამთავრობო ორგანიზაციათა და მმართველი პარტიის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა. ლაზარუსი აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობის ბევრმა ახალგაზრდა აქტივისტმა შეავსო ეროვნული თუ ადგილობრივი ბიუროკრატიის რიგები, ხოლო ბევრმა მდიდარმა ადამიანმა შეძლო შეთანხმების მიღწევა ახალ მთავრობასთან და მათ შეინარჩუნეს საკუთარი ადგილები.

ამასთანავე შემცირდა კორუფცია და მოქალაქეები უკვე სარგებლობდნენ საიმედო ენერგომომარაგებითა და ინფრასტრუქტურული პროექტებით, რომელიც მანამდე მათთვის ხელმისაწვდომი არ იყო.

3.2.დომინანტური პარტიის შექმნა

ახალი სახელმწიფო დროშის მიღებით, რომელიც ამავდროულად იქნებოდა მმართველი პარტიის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დროშა, ახალმა მთავრობამ მნიშვნელოვანი სიმბოლო გააგზავნა საზოგადოებისკენ, რომ ის აპირებდა ახალი დომინანტი პარტიის შექმნას, რომელიც შეუერთდებოდა სახელმწიფო ინსტიტუტებს. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მანამდე უზარმაზარი გამარჯვება მოიპოვა საპარლამენტო არჩევნებში და უკვე ადგილობრივ თუ ეროვნულ

დონეზე აღნიშნული პარტიის მხარდამჭერები იკავებდნენ თანამდებობებს. საჯარო სამსახურებში მუშაობა უკვე დამოკიდებული იყო პარტიის მიმართ ერთგულების ხარისხზე. პარტია ასევე შეიჭრა სამოქალაქო ინსტიტუტების თითქმის ყველა სფეროში - უნივერსიტეტებში, სპორტულ ორგანიზაციებსა და სხვადსხვა პროფესიულ გაერთიანებებში.

3.3.თავდასხმა პოლიტიკურ ოპოზიციაზე

პარლამენტში დიდი უმრავლესობით ზურგგამაგრებული ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა პოლიტიკური ოპონენტების დასუსტება დაიწყეს. მათ ვინც ეწინააღმდეგებოდა ვარდების რევოლუციას, ან მათ ვინც მალევე დატოვა კოალიცია, მაშინვე უწოდეს „კონტრრევოლუციონერები“, „მოღალატეები“, „სახელმწიფოს მტრები“ და სხვ. და განაცხადეს, რომ ამ ადამიანებს არ ჰქონდათ კრიტიკის უფლება, ვინაიდან ისინი წინააღმდეგებოდნენ რევოლუციას, ე.ი. ეწინააღმდეგებოდნენ ხალხს.

ოპოზიციაზე ზეწოლა რამდენიმე მიმართულებით გრძელდებოდა. ღალატის ბრალდებები კვლავ აქტუალური იყო და მათ უკვე რუსეთის ხელისუფლებასთან კავშირში ადანაშაულებდნენ. მთავრობა ასევე იყენებდა დაშინებისა და სანქციების დაწესების პრაქტიკას ბიზნესის წინააღმდეგ, რათა მას ოპოზიციური პარტიები არ დაეფინანსებინა, რაც ამ უკანასკნელთ სავალალო მდგომარეობაში ამყოფებდა. ამის მაგივრად, ბიზნესმენები სახელისუფლებო პარტიის მიმართ იჩენდნენ გულუხვობას და სანაცვლოდ პოლიტიკურ მფარველობას, ზოგიერთ შემთვევაში კი საპარლამენტო მანდატებს იღებდნენ.

3.4.ფორმალური ინსტიტუციებით მანიპულირება

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის არჩევიდან მხოლოდ 2 კვირაში პარლამენტმა მიიღო საკონსტიტუიო ცვლილებები, რითიც მნიშვნელოვნად გაიზარდა აღმასრულებელი ხელისუფების უფლებები. რამდენიმეჯერ შევიდა ცვლილებები როგორც კონსტიტუციაში, ასევე საარჩევნო კოდექსში, რასაც ლაზარუსი აფასებებს,

როგორც ფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტების მორგებას თანამდებობის პირებზე. მაგალითად მოყვანილია 2005 წლის საარჩევნო კოდექსის ცვლილება, რაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პარტიათა წარმომადგენლებს შეეხო, რომელთაც პრეზიდენტი პირდაპირ ნიშნავდა. ასევე 2008 არჩევნებამდე მიღებული ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც გაიზარდა მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატების რაოდენობა, რაც განაპირობებდა კიდევ უფრო მეტი ადგილობრივი „ძლიერი" სახის გამარჯვებას „ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლოდ.

3.5.მედიის მიმართ გატარებული მკაცრი ზომები

საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა ყველანაირად გაედევნა განსხვავებული აზრი და კრიტიკა და მათ მოკავშირეთა ხელში ყოფილიყო ყველა ეროვნული მაუწყებელი. ამ პროცესში მთავრობა წარმატებით იყენებდა მარეგულირებელ ორგანოს, საგადასახადო სისტემას, სასამართლოს და პოლიციასაც კი მედიაზე თავდასასხმელად. საყოველთაოდ გავრცელებული იყო აზრი, რომ ყველა ეროვნული არხის სარედაქციო პოლიტიკა მთლიანად სახელისუფლებო კონტროლს ექვემდებარებოდა. გამონაკლისი იყო ორი პატარა ოპოზიციური არხი. ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი არხების მფლობელი კომპანიები კი დარეგისტრირებულები იყვნენ ოფშორულ ზონებში და მფლობელთა ვინაობის დადგენა იყო შეუძლებელი.

3.6.უსამართლო და არათავისუფალი არჩევნები

ლაზარუსი განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდგომ ჩატარებულ არჩევნებზე ამახვილებს. მისი შეფასებით 2003 წლის რევოლუციის შემდგომ მალევე ჩატარებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებიც კი მედიის მიკერძოებული, სახელმწიფო რესურსების გამოყენებისა და მნიშვნელოვანი დარღვევების ფონზე წარიმართა. ხოლო 2008 წლის არჩევნებს (როგორც საპრეზიდენტოს, ასევე საპარლამენტოს) ლაზარუსი განიხილავს,

როგორც მთავრობის მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას მარეგულირებელ, ინსტიტუციურ, მედია, ფინანსურ და სახელწიფო რესურსებზე. ლაზარუსი განსაკუთრებით გამოყოფს სააკაშვილის მხოლოდ მცირე უირატესობით გამარჯვებას მისი მთავარი კონკურენტის ლევან გაჩეჩილაძის წინააღმდეგ და აქცენტს სააკაშვილის მიერ თბილისში წაგებულ და ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში გამარჯვებაზე აკეთებს (სადაც გამოყოფს აღნიშნული რეგიონებში ხმის მიცემის ცუდ პირობებს და ადგილობრივი ლიდერების მუდმივ ლოიალურობას მმართველი პარტიების მიმართ). ავტორი სტატიაში ასევე აღნიშნავს იმ გამოხმაურებებს, რაც ამ არჩევნებმა დაიმსახურა დასავლური სახელმწიფოების და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან - გარკვეული კრიტიკის მიუხედავად სააკაშვილის გამარჯვება ცნეს. აქვე აღნიშნულია, რომ არჩევნების ოფიციალურმა შედეგებმა ქართველი ხალხი ქუჩაში გამოიყვანა ტრანსპარანტებით - „აშშ - დიქტატურის მხარდამჭერი“, და ათეულობით კარავი დაიდგა თბილისის ქუჩებში. ასევე მოყვანილია ქართველი ოპოზიციონერების შეფასებები დასავლეთის მიერ ჩატარებული არჩევნების აღიარებასთან დაკავშირებით, სადაც დავით გამყრელიძე, მაშინდელი ოპოზიციის ლიდერი ცინიკურს უწოდებს შეერთებული შტატების მიერ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დემოკრატიული სტანდარტებით ჩატარებულ არჩევნებად ცნობას.

სტატიაში ასევე წარმოდგენილია 2008 წლის მაისი საპარლამენტო არჩევნების მოკლე მიმიხილვა, არჩევნებამდე და მის შემდგომ განვითარებული მოვლენები.

3.7.აგვისტოს ომი და დახმარებათა პაკეტები

აგვისტოს ომის მოკლე მიმოხილვის შემდეგ, ავტორი ყურადღებას საქართველოს მიერ დასავლეთისგან გადმორიცხულ ფულად დახმარებაზე აკეთებს. საომარი მოქმედებების დასრულებიდან მალევე, 38 ქვეყნისა და 15 საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საქართველოს დასახმარებლად გამოყოფილმა თანხამ, ლაზარუსის მიხედვით 4,5 მილიარდი დოლარი შეადგინა, მათგან უმსხვილესი

დონორი კი შეერთებული შტატები იყო. თანხა ეტაპობრივად ირიცხებოდა საქართველოში, თუმცა ავტორი ეჭვქვეშ აყენებს აღნიშნული ფინანსების ხარჯვის გამჭვირვალეობას, რამაც გამოიწვია ასევე დასავლელი დონორი სახელმწიფობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შეშფოთება.

ამავდროულად ოპოზიცია სააკაშვილს და მის მინისტრებს ადანაშაულებდა ქვეყნის ჩათრევას კატასტროფის მომტან კონფლიქტში, რომელმაც შეაფერხა საქართველოს, როგორც თავისუფალი სახელმწიფოს განვითარება. ომის შემდეგ თანამდებობები დატოვეს მნიშვნელოვანმა სამხადრო პირებმა და ყოფილმა პოლიტიკურმა მოკავშირეებმა.

3.8.ეკონომიკური რეფორმები

ლაზარუსი საქართველოში 2003 წლის რევოლუციის შემდგომ ეკონომიკურ ცვლილებებსაც ეხება და წერს, რომ ახალი მთავრობის გაცხადებული მიზანი იყო ეკონომიკური განვითარებისთვის მიეღწიათ უცხოური ინვესტიციების მოზიდვით, რომლისთვისაც შექმნიდნენ საერთაშორისო კაპიტალის ლიბერალურ უტოპიას. შეიცვალა და გამარტივდა საგადასახადო და ბიზნეს კანონები. არ მოქმედებდა ეკონომიკური კონკურენციის კანონმდებლობა და ლაზარუსის მტკიცებით, რევოლუციის შემდგომ აღმოფხვრილი წვრილი კორუფცია შეიცვალა და „ელიტური კორუფციის“ ხასიათი მიიღო, რომელიც მჭიდრო ურთიერთობებით ხასიათდება მთავრობასა და კორპორატიულ სამყაროს შორის.

მიუხედავად იმისა რომ საკუთრების უფლების დაცვა ყველა ლიბერტარიანული მთავრობისთვის წმინდაა, ის უფლებები რაც უცხოელ ინვესტორებზე ვრცელდებოდა, ხელმისაწვდომი არ იყო თვითონ საქართველოს მოქალაქეებისათვის.

ლაზარუსს მტკიცებულებად მოაქვს საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს 2007 წლის ანგარიში, სადაც დეტალურადაა ასახული 2004-2007 წლებში კონფისკაციის და კერძო საკუთრების ხელყოფის ფაქტები. ეს ყველაფერი კი

ხორციელდებოდა სამართლებრივი პროცესების გვერდის ავლით და მართლდებოდა კორუფციის დასჯის სახელით.

თუმცა მიუხედავად, საერთაშორისო საზოგადოებისგან დადებითი გამოხმაურებებისა, საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა კეთილდღეობა ქართველთა მხოლოდ პატარა ჯგუფს მოუტანა. უცოური დახმარებებისა და ინვესტიციების შემოდინებამ ქვეყანაში გამოიწვია საწვავზე ფასის ზრდა და ინფლაცია. მაშინ როდესაც საქართველოს მთავრობა ზეიმობდა პოზიტიურ საერთაშორისო შეფასებებს, ჩვეულებრივი ქართველების ეკონომიკური მდგომარეობა უარესდებოდა (Lazarus, 2010. p.18).

3.9.კონკურენტული ავტორიტარიზმის ხელშეწყობა

ლაზარუსის თქმით, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებით, არასახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტებით, პოლიტიკურ ოპონენტებზე შეტევით, საქართველოს ახალმა, რევოლუციურმა მთვარობამ შეძლო წარმატებით შეექმნა ახალი ქართული სახელმწიფო, კონკურენტულ-ავტორიტარული რეჟიმი და დომინანტური პარტიული სისტემა. დასავლურმა მთავრობებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა კი სხვადასხვა გზით გადამწყვეტი როლი შეასრულეს ამ პროცესში. ამ მიმართულებით ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს საგარეო პოლიტიკის, დიპლომატიის და დახმარების მიღების სტრატეგიის კომბინაციას. მაშინ როდესაც დასავლური მთავრობები განაგრძობდნენ სააკაშვილის ადმინისტრაციის ქებას, საქართველო კი განაგრძობდა აღმასვლას ეკონომიკური თავისუფლების საერთაშორისო რეიტინგებში, ჩვეულებრივი ქართველები იტანჯებოდნენ უმუშევრობის ზრდითა და ინფლაციით, თვითნებური და სასტიკი სამართლებრივი სასჯელებით. მაღალი იყო ციხეში მოხვედრილთა რაოდენობა. ისინი ასევე მომსწრენი იყვნენ დამოუკიდებელი მედიის შევიწროების. თანდათან ყალიბდებოდა ახალი დომინანტი მმართველი პარტია. ის, რასაც დასავლური მულტილატერალური

ორგანიზაციები დემოკრატიას და განვითარებას უწოდებდნენ, ქართველებისთვის უთანასწორობის და ავტორიტარიზმის მომტანი აღმოჩნდა.

2012 წლის არჩევნების შემდეგ კი, როდესაც ახალი მთავრობის მეთაური, პრემიერი ბიძინა ივანიშვილი ოფიციალურად მალევე ჩამოშორდა პოლიტიკურ მოვლენებს, ოპოზიციური პარტიებისათვის ხელისუფლების კრიტიკის მთავარი თემა მისი არაფორმალური მმართველობაა. პრემიერ-მინისტრების თუ სხვა მაღალი თანამდებობის პირების დანიშვნა თუ მოხსნა მუდმივად აღიქმება ივანიშვილის მორიგ სურვილად, რომელსაც საკონსტიტუციო უმრავლესობაში მყოფი დეპუტატებით „ქართული ოცნება“ მარტივად ასრულებს. როგორც ზემოთაღნიშნულ Freedom House-ის ანგარიშიდან ვიგებთ, ივანიშვილის გავლენა მმართველ პარტიაზე, არამხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ საზღვრებს გარეთაც კრიტიკის საგანია. ბოლო დროინდელი მოვლენები კი, ივანიშვილის „ქართული ოცნების“ თავმდჯომარედ დაბრუნება და შემდეგ პრემიერ-მინისტრისა და სხვა მინისტრების ცვლილება, კვლავ მის სახელს, გავლენასა და პოლიტიკურ მიზნებს დაუკავშირდა.

ბოლო წლებში საქართველოში ჩატარებული არჩევნები მუდმივად ფასდება, როგორც კონკურენტული, თუმცა უსამართლო, ვინაიდან ოპოზიციური პარტიები შეზღუდულები არიან და რეალური წინააღმდეგობის გაწევას ვერ ახერხებენ. ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კი ყოველი არჩევნების დროს კამათის საგანია მმართველი ძალის მიერ რესურსების უთანასწორო განაწილება და საკუთარი პარტიისა და კანდიდატებისათვის უპირატესობის მინიჭება. ხმაური მოჰყვა ასევე მედიის გარშემო შექმნილ ვითარებასაც. როდესაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული არხის, რუსთავი 2-ის გარშემო სასამართლო პროცესები დაიწყო, ეს შეფასდა როგორც ხელისუფლების მცდელობად ხელში ჩაეგდო და საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებინა როგორც უწოდებენ „ერთადერთი არხი, რომელსაც ვერ აკონტროლებს „ქართული ოცნება“. ამ ფაქტების გათვალისწინებით, შეგვიძლია

ვთქვათ, რომ საქართველო მართლაც მიეკუთვნება კონკურენტული ავტრიტარიზმის რეჟიმის მქონე ქვეყანას.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, ბოლო წლებში საქართველო სტაბილურად ჰიბრიდული რეჟიმის ქვეყანათა რიცხვშია. ეს გასაკვირი არაა, რადგან საქართველოს მსგავსად, მრავალი ქვეყანა, განსაკუთრებით კი ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი სახელმწიფოები მკვლევართა მიერ ამ კატეგორიაში მოქცეული. განსხვავებული მახასიათებლების მიუხედავად ამ ქვეყნებს ის საერთო თვისებები აერთიანებთ, რაც ხელს უშლის მათ დემოკრატიად ქცევაში. საქართველო საბჭოთა კავშირის დანგრევისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ უკვე მეოთხე ხელისუფლების მმართველობის ქვეშაა, თუმცა ვერცერთმა მოახერხა „ჰიბრიდული რეჟიმის“ ქვეყნიდან მისი გაცალკევება. ამის მიზეზი კი ბევრია. საქართველოში მუდმივად ტარდება არჩევნები, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციები გაყალბებულად არ თვლიან, თუმცა იქვე აღნიშნავენ საარჩევნო მანიპულაციებს ხელისუფლების მხრიდან. სხვადასხვა დემოკრატიული ინსტიტუტი ფუნქციონირებს, თუმცა მათი ეფექტურობა საკმაოდ დაბალია. ოპოზიციურ პარტიებს აქვთ საშუალება ღიად გაუწიონ კონკურენცია მმართველ პარტიას, თუმცა რესურსებზე წვდომა ყოველი ხელისუფლების პირობებში მათთვის შეზღუდულია, შესაბამისად არჩევნები ღია და კონკურენტული, თუმცა არასამართლიანია, ვინაიდან პირობები კონკურენციისათვის სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიებისათვის მნიშვნელოვნად არათანაბარია მმართველი ძალის სასარგებლოდ. ეს თვისებები სწორედ ჰიბრიდულ რეჟიმს და მის ერთ კონკრეტულ ტიპს - კონკურენტულ ავტორიტარიზმს ახასიათებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- JONES, S. (2013). *DEMOCRACY IN GEORGIA: DA CAPO?* http://www.cicerofoundation.org/lectures/Stephen_Jones_Georgia.pdf
- Lazarus, J. (2010). *Neo-liberal State Building and Western 'Democracy Promotion': the case of Georgia.*
- Levitsky, S & Way, L. (2010). *COMPETITIVE AUTHORITARIANISM: The Origins and Dynamics of Hybrid Regimes in the Post-Cold War Era*
- Diamond, L. 2002. *Thinking About Hybrid Regimes.* Journal of Democracy, Volume 13, Number 2, April 2002, pp. 21-35. The Johns Hopkins University Press.
- Morlino, L. 2008. *Hybrid Regimes or Regimes in Transition?*
- Cassani, A. 2012/2013. *CITIZENS' WELLBEING IN COMPETITIVE AUTHORITARIAN REGIMES.*
- Cassani, A. & Pellegata, A. (2015). *The other way around: Investigating the 'reverse wave of de-democratization' hypothesis.*
- ჯორჯოლიანი, გ. ბერეკაშვილი, თ. & მუსხელიშვილი, მ. (2001). *დემოკრატიზაცია. საზოგადოებები გარდამავალ პერიოდებში: დემოკრატიზზაცია თანამედროვე სამყაროში.*
- Diamond, L. (1997). *IS THE THIRD WAVE OF DEMOCRATIZATION OVER? The Imperative of Consolidation.*
- Rakner, L; Menocal, A. & Fritz, V. 2007. *Democratisation's Third Wave and the Challenges of Democratic Deepening: Assessing International Democracy Assistance and Lessons Learned*
- http://css.ge/files/Papers/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90_%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98,_%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90._%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_%E1%83%93%E1%

83%90_%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98._%E1%83%98%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98,_2012.pdf

- ნოდია, გ. 2010. *ნაბიჯი დემოკრატიისკენ* . http://www.tabula.ge/ge/story/52838-nabiji-demokratiisken
- Carothers, T. *THE END OF THE TRANSITION PARADIGM.*
- Mario Chacon, 2009. *A Theory of Competitive Authoritarian Institutitons and Democratic Transition.*
- The Economist Intelligence Unit. 2018. *Democracy Index 2017 Free speech under attack).*
- http://grass.org.ge/wp-content/uploads/2018/02/WhitepaperHandler.pdf
- The Economist. *Democracy Index 2017* https://www.eiu.com/topic/democracy-index
- Freedom House, *Freedom in The World 2018.* Georgia Profile https://freedomhouse.org/report/freedom-world/2018/georgia
- Freedom House, *Nations in Transit 2018; Confronting Illiberalism* https://freedomhouse.org/report/nations-transit/nations-transit-2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების სადოქტორო პროგრამა
II სემესტრის დოქტორანტი
რუსუდან კვაჭანტირაძე

სადოქტორო სემინარი
“ორგანიზაციის თანამშრომლის განვითარებისათვის მამოტივირებელი უკუკავშირი ფოკუსის რეგულაციის თეორიის შუქზე”

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ ჯორბენაძე

თბილისი
2018

შინაარსი

შესავალი 2
უკუკავშირი, როგორც სამუშაოს შესრულების შეფასება 4
ფოკუსის რეგულირება 5
შესრულებული სამუშაოს შეფასება და კულტურა 8
ფოკუსის რეგულირების თეორია 15
ფოკუსის რეგულირების და კულტურის გავლენა უკუკავშირზე 18
ფოკუსის რეგულირება ინდივიდუალურ და კოლექტიურ კულტურებში 19
ფოკუსის რეგულირება და ვერტიკალრი - ჰორიზონტალური ღირებულებები 20
ფოკუსის რეგულირება და ცვლილებებისადმი ღიაობა - კონსერვატიზმი 21
ფოკუსის რეგულირება და უკუკავშირის ფორმულირება 22
უკუკავშირის გამცემის ხედვა 25
უკუკავშირის მიმღების ხედვა 26
დასკვნა 29
გამოყენებული ლიტერატურა 30

შესავალი

თანამედროვე ორგანიზაციებში განსაკუთრებული ყურადღება თანამშრომლების განვითარებას, სწავლებას და მოტივირებას ეთმობა. მენეჯერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავი სწორედ ამ მიმართულების განვითარებაა, თითოეული თანამშრომლის მიმართ ინდივიდუალური მიდგომით და თითოეულ მათგანზე მორგებული განვითარების სტრატეგიის და გეგმის შემუშავებით. განვითარების გეგმის შემუშავებისთვის საჭიროა არსებული მდგომარეობის რელევანტური შეფასება, რაც წარმოუდგენელია კონსტრუქციული უკუკავშირის განხორციელების გარეშე. შედეგად, მენეჯერები გამოწვევის წინაშე დგანან, როგორ მისცენ თანამშრომლებს სამუშაოს შესრულების შესაფასებელი და ამავდროულად მამოტივირებელი უკუკავშირი.

ამ ნაშრომით შევეცდები გამოვიკვლიო მამოტივირებელი სამუშაოს შესრულების უკუკავშირის ფორმულირების მეთოდი კულტურის და მიზნის მიმართ ფოკუსის რეგულაციის (Regulatory focus theory (RFT) ჭრილში (Higgins, E. T., 1998). ფოკუსის რეგულაციით აღვნიშნავ ადამიანის მიერ მიზნის და მოტივაციის ჩამოყალიბების პროცესს. მიზანზე ორიენტაციის ფოკუსის ქონისას ადამიანები მოტივირდებიან სასურველი მიზნის აღწერით და დასახვით (მაგალითად, დაწინაურება). ხოლო თავის არიდების ფოკუსის შემთხვევაში მოტივატორი შესაძლო არასასურველი მიზნისთვის თავის არიდებაა (მაგალითად, სამსახურიდან განთავისუფლება). ორივე შემთხვევაში მიზანი ერთია, სამუშაოს კარგად შესრულება, განსხვადება მხოლოდ მიზნის დასახვის ამოსავალი წერტილი.

ამ პერიოდისთვის არსებული უკუკავშირის გაცემის ტექნიკები ყურადღებას არ ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსხვავებული ფოკუსის რეგულაციის მქონე თანამშრომლები განსხვავებულად რეაგირებენ ერთნაირად ფორმულირებულ უკუკავშირზე, ის რაც შეიძლება ერთისთვის ძლიერი მოტივაციის და ჩართულობის მიზეზი გახდეს შესაძლოა ნაკლებად მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს მეორისთვის. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მსგავსი ინფორმაციის

პირობებში უკუკავშირის ფორმულირების მეთოდს, რასაც გადამწყვეტი გავლენა შეიძლება ჰქონდეს მიმღების რეაქციაზე, დამოკიდებულებაზე და მოტივაციაზე.

წინამდებარე ნაშრომით გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ უკუკავშირის ტიპი (პოზიტიური / ნეგატიური შინაარსი), ფორმულირების მეთოდი (პოზიტიურად / ნეგატიურად ფორმულირებული) და მიმღების რეგულაციის ფოკუსი (მიმართების / თავის არიდების ფოკუსი) თანამშრომელთა მოტივაციის გასაზრდელად.

საკვანძო სიტყვები: უკუკავშირი, ფოკუსის რეგულირება, უკუკავსირის ფორმულირება, უკუკავშირის ტიპი, კულტურა, სამუშაოს შეფასება.

უკუკავშირი, როგორც სამუშაოს შესრულების შეფასება

უკუკავშირი ორგანიზაციული პროცესების სწორად წარმართვისთვის და სამუშაოს შესრულების შეფასებისთვის გამოიყენება, მისი საშუალებით ხორციელდება მოქმედებების ორიენტაცია, დაზუსტება, შესწორება, რჩევის და შენიშვნების გაცემა, პერსპექტივების დასახვა.

სამუშაოს შეფასების შესახებ წარმოებულ ადრეულ კვლევებში ძირითადი აქცენტი ზუსტი შეფასების მიწოდებაზე კეთდებოდა, თუმცა, ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს შესრულების მართვა და გაუმჯობესება (DeNisi, A. S., & Pritchard, R. D., 2006), რომლისთვისაც უმეტეს შემთხვევებში მენეჯერები უკუკავშირის გაცემის მეთოდს იყენებენ, რომელიც დეტალური ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას იძლევა ინდივიდის მიერ შესრულებულ სამუშაოზე (Kluger, 1996).

საქმიანი ურთიერთობისას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ მივაწვდით სხვა ადამიანს ჩვენს შთაბეჭდილებას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. უკუკავშირი არის სიტყვიერად ჩამოყალიბებული მოსაზრება სხვა ადამიანის კონკრეტული ქცევის შესახებ. იმისათვის, რომ უკუკავშირი სხვა ადამიანისთვის მისაღები, კონსტრუქციული და სასარგებლო იყოს, სასურველია ის მაქსიმალურად მორგებული იყოს მიმღების საჭიროებებზე, ხედვაზე და აღქმაზე. შესაბამისად ფორმულირებული უკუკავშირი ამაღლებს თანამშრომლის მოტივაციას, ჩართულობას და პროფესიულ წინსვლაში ეხმარება მას. უკუკავშირი საშუალებას აძლევს თანამშრომელს იყოს ადაპტირებული სამუშაოს მოთხოვნებთან, არსებულ ინსტრუმენტებთან და საშუალებებთან, მენეჯერის და ორგანიზაციის მოლოდინებთან. მისი მეშვეობით თანამშრომელი მიზანმიმართულად წარმართავს საკუთარ ძალისხმევას, ოპტიმალურად იყენებს შესაძლებლობებს და, ამასთანავე, თავიდან იცილებს შესაძლო დაბრკოლებებს.

ფოკუსის რეგულირება

ფოკუსის რეგულირება გამოხატავს ადამიანის მიზნის მიმართ ორიენტაციას, რომელზეც გავლენა აქვს კულტურულ თავისებურებს, გვიადვილებს გავიაზროთ როგორ რეაგირებენ თანამშრომლები სამუშაოს შეფასებაზე და გვეხმარება თანამშრომლისთვის მაქსიმალურად შესაბამისი და მამოტივირებელი უკუკავშირის ფორმულირებაში. ფოკუსის რეგულირება ინდივიდის ორიენტაციაა მიზანთან მიმართებაში და წარმოგვიდგენს ორ მიმართულებას: მიზნისკენ სწრაფვას და მიზნისთვის თავის არიდებას (Higgins, E. T., 1997) (Higgins, E. T., 1998). მიზნისკენ სწრაფვის შემთხვევაში ადამიანებს ახასიათებთ პოზიტიურ შედეგზე ორიენტაცია, ხოლო თავის არიდებისას მოტივატორი უარყოფითი შედეგისთვის თავის არიდებაა. ფოკუსის რეგულირებაზე გავლენა აქვს კულტურას, მაგალითად, ინდივიდუალისტურ და ცვლილებებისადმი ღია კულტურებში შეიმჩნევა მიზანზე ორიენტაცია, ხოლო კოლექტივისტურ და კონსერვატიულ კულტურებში მიზანის მიმართ თავის არიდება (Kark, 2007); (Lalwani, 2009); (Lee, A. Y., Aaker, J. L., & Gardner, W. L., 2000).

ფოკუსის რეგულაცია დაკავშირებულია მოტივაციასა და ქცევასთან. მისწრაფების ფოკუსის მქონე ინდივიდების მოტივაციაზე მეტი გავლენა აქვს წარმატების მოლოდინს, ვიდრე წარუმატებლობის შიშს, ამიტომ ამ ტიპის ადამიანები მთელი მონდომებით ერთვებიან მიზნების განხორციელებაში, მაშინ, როდესაც არიდებაზე ფოკუსირებული ინდივიდები მოტივირდებიან წარუმატებლობის შიშით და მთელი ყურადღება შეცდომებისგან თავის არიდებაზე აქვთ გადატანილი (Higgins, E. T., 1997).

სამუშაო გარემოში ფოკუსის რეგულაცია განაპირობებს თანამშრომლების მხრიდან სამუშაო მიზნების მიმართ დამოკიდებულებას. მაგალითად, მისწრაფების ფოკუსის მქონე თანამშრომლისთვის სამუშაოს კარგად შესრულების მიზანი დაწინაურება იქნება, ხოლო თავის არიდების ფოკუსის მქონე თანამშრომლისთვის _ სამუშაოს შენარჩუნება. პირველი ტიპის ორიენტაციის მქონე თანამშრომელი ცდილობს გამორჩეული, საუკეთესო

შედეგის მიღწევას, ხოლო მეორე ტიპის თანამშრომელი ძირითად ყურადღებას უთმობს შესრულებული სამუშაოს დეტალურ ანალიზს შეცდომების თავიდან არიდების მიზნით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანს ერთი და იგივე მიზანი აქვს _ სამუშაოს კარგად შესრულება, განსხვავებული ორიენტაცია აქვთ მიზნის და მისი განხორციელების მეთოდების მიმართ.

ფოკუსის რეგულაცია ასევე დამოკიდებულია სამუშაო გარემოზე (მაგ: სამუშაოს არსი, ხელმძღვანელის ლიდერობის სტილი, ორგანიზაციული კულტურა) და გავლენას ახდენს სამუშაოს შესრულებაზე. შესაბამისად, მათ განსხვავებული ტიპის უკუკავშირი (პოზიტიური უკუკავშირი ნეგატიურის, პოზიტიური ფორმულირება ნეგატიურის საწინააღმდეგოდ) ესაჭიროებათ. მაგალითად, დამტკიცებულია, რომ პოზიტიური უკუკავშირი მამოტივირებელია მიზნისაკენ მისწრაფების მქონე პირებთან, ხოლო ნეგატიური _ არიდების ფოკუსის მქონე თანამშრომლებთან (Van-Dijk, 2004).

მისწრაფების ფოკუსის მქონე უნივერსტეტის სტუდენტებზე ჩატარებულმა კვლევამ (Roney, 1995) დაადასტურა, რომ პოზიტიურად ფორმულირებული უკუკავშირის მიღების შემდეგ სტუდენტებმა მეტი შესრულებადი დავალება შეასრულეს და მეტი დრო დაუთმეს შეუსრულებელი დავალებების დამუშავებას, ვიდრე ნეგატიურად ფორმულირებული უკუკავშირის შემთხვევაში. შესაბამისად, მსგავსი შინაარსის, მაგრამ განსხვავებულად ფორმულირებული უკუკავშირი განსხვავებულ შედეგებს იძლევა განსხვავებული ფოკუსის რეგულაციის მქონე ადამიანებთან.

რეგულაციის თავსებადობის თეორიის (Higgins, E. T., 2000) მიხედვით კავშირი არსებობს მიზნისადმი ორიენტაციასა და მიღწევის მეთოდებს შორის. როდესაც მიზანზე ორიენტაცია და მიზნის ფორმულირება ერთმანეთს ემთხვევა, ადამიანი განიცდის რეგულაციის თავსებადობას (regulatory fit) და შედეგად მეტად მოტივირებული და ჩართული ხდება. შესაბამისად, კავშირი არსებობს ფოკუსის რეგულაციისა და მიღებული უკუკავშირის მახასიათებლებს შორის, თუ რამდენად გამოიყენებს და განახორციელებს სასურველ ქცევას

უკუკავშირის შედეგად მისი მიმღები. თუკი უკუკავშირი არ ემთხვევა რეგულაციის ფოკუსს, მიმღები არა რელევანტურად ჩათვლის მას, არ მიიღებს და არ შეცვლის ქცევას. ამიტომ გასათვალისწინებელია, რომ უკუკავშირის სახეობის და რეგულაციის ფოკუსის თანხვედრა გავლენას ახდენს მიმღების შესაძლო ქცევაზე.

უკუკავშირის ტიპი (პოზიტიური - ნეგატიური) და ფორმულირება დამოუკიდებელი ცვლადებია და განცალკევებით უნდა განვიხილოთ ფოკუსის რეგულირებასთან მიმართებაში. უკუკავშირის ტიპი და ფორმულირება განსხვავებული ცნებებია, რადგან ტიპი გულისხმობს შინაარსს, ხოლო ფორმულირება უკუკავშირის შინაარსის სიტყვიერად ფორმულირების მეთოდს.

უკუკავშირის გაცემის არსებული ტექნიკები ყურაღებას არ ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსხვავებული რეგულაციის ფოკუსის მქონე ადამიანები განსხვავებულად რეაგირებენ მსგავს უკუკავშირზე. წინამდებარე ნაშრომით გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ უკუკავშირის ტიპი, ფორმულირების მეთოდი და მიმღების რეგულაციის ფოკუსი თანამშრომელთა მოტივაციის გასაზრდელად.

შესრულებული სამუშაოს შეფასება და კულტურა

შესრულების შეფასება არის სისტემა, რომელიც წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ხორციელდება და მისი მეშვეობით ორგანიზაცია ქულას ანიჭებს თანამშრომლის შესრულებას (DeNisi A. S., 2000). შემფასებლები აკვირდებიან შესაფასებელი თანამშრომლის ქცევას და ითვალისწინებენ ორგანიზაციის მიერ დაწესებულ სამუშაოს შესრულების სტანდარტებს ან კრიტერიუმებს. შეფასებისას მინიჭებული ქულა გამოხატავს რამდენად მოხდა კრიტერიუმების და მოლოდინების დაკმაყოფილება (DeNisi A. S., 2006). შეფასება ასევე ითვალისწინებს უკუკავშირის გაცემას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას შესრულების შესახებ (Kluger, A. N., & DeNisi, A., 1996). შესრულების შეფასება მოიცავს სამუშაო მიზნების და შესრულების სტანდარტების განსაზღვრას, უკუკავშირის გაცემას, ტრენინგის და განვითარების საჭიროების იდენტიფიკაციას და ჯილდოების განაწილებას (Briscoe, 2008). შეფასების მიზანი თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს, და შესაბამისად ორგანიზაციის მიერ მიღწეული შედეგების გაუმჯობესებაა (DeNisi, A. S., & Pritchard, R. D., 2006). სამუშაოს შეფასება სარგებლიანია, როგორც დამსაქმებლის, ასევე დასაქმებულისათვის, რადგან, დასაქმებული იღებს აღიარებას, ჯილდოს და უკუკავშირს მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ (Meyer, H. H. Kay, E. & French, J. R. P., 1965), ამავდროულად ორგანიზაციას შესაძლებლობა ეძლევა ინდივიდუალური სამუშაოს შესრულების მონიტორინგით ორგანიზაციის ეფექტიანობის გაზრდის (Claus, L., & Briscoe, D., 2009).

უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ქვეყნის მიერ აპრობირებული საუკეთესო გამოცდილება მსგავს შედეგს ვერ იძლევა სხვა ქვეყანაში (Harvey, 1997), რადგან, ყველა ქვეყანას მისთვის დამახასიატებელი ინსტიტუციები, ღირებულებები, რწმენები, სოციალური სტრუქტურა და ნორმები გააჩნია, რომლებსაც გავლენა აქვს ქცევაზე. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ შეფასების სისტემა თანხვედრაში იყოს კულტურულ ღირებულებებთან და ნორმებთან, წინაღმდეგ შემთხვევაში უშედეგო იქნება (Mendonca, M., & Kanungo, R. N., 1996). მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკაში წარმატებული 360-გრადუსიანი შეფასება ვერ დაინერგა

ჩინეთში, რადგან თანაბარ, ან მაღალ პოზიციაზე მყოფი თანამშრომლების შეფასება ჩინური კულტურისთვის მიუღებელია (Huo, Y. P., & von Glinow, M. A., 1995).

კულტურა არის ქცევების აღქმის და ინტერპრეტაციის აღიარებული სისტემა, მისი შესწავლა სოციალიზაციის პროცესში ხდება და მომდევნო თაობებს გადაეცემა (Smith, P. B., Bond, M. H., & Kağitçibasi, C., 2006). ფსიქოლოგიისა და მენეჯმენტის მიმართულებით ჩატარებული კულტურათაშორისი კვლევები გვიჩვენებს, რომ საქმიან ქცევაზე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნებს შორის კულტურული განსხვავებები. კულტურებს შორის სხვაობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული კვლევა გერტ ჰოფსტიდმა განახორციელა და დაადგინა, რომ მენეჯერები და დაქირავებულები ერთმანეთისაგან ეროვნული კულტურის ფასეულობათა ხუთი განზომილების მიხედვით განსხვავდებიან: ინდივიდუალიზმი კოლექტივიზმის პირისპირ, ძალაუფლების ძლიერი დაშორება სუსტი დაშორების პირისპირ, მამაკაცურობა ქალურობის პირისპირ, გაურკვევლობის თავიდან აცილება და ხანგრძლივი ორიენტაცია ხანმოკლეს პირისპირ (Hofstede, G., & Bond, M. H., 1988).

ინდივიდუალიზმი არის ხარისხი, თუ რამდენად ურცევნიათ ინდივიდებს დამოუკიდებლად მოქმედება ჯგუფის წევრობას და რამდენად სჯერათ, რომ ინდივიდუალური უფლებები ყველაზე მაღლა დგას. კოლექტივიზმი კონცენტრირებას ახდენს მჭიდრო სოციალურ სისტემაზე, სადაც ადამიანები დახმარებას და დაცვას ელიან თავიანთი ჯგუფის წევრებისაგან (Hofstede, G., & Bond, M. H., 1988).

ძალაუფლების დაშორება არის დონე, როდესაც ადამიანები აღიარებენ, რომ ძალაუფლება ორგანიზაციებში არათანაბრადაა გადანაწილებული. ძალაუფლების ძლიერი დაშორება ნიშნავს, რომ კულტურაში ძალაუფლეებისა და სიმდიდრის განაწილების მხრივ ძლიერი უთანასწორობა არსებობს, ასეთი კულტურები თითქოს კლასისა და კასტის სისტემას მიყვება და მათი მოქალაქეების მობილურობას ამცირებს. სუსტი დაშორება გვიჩვენებს, რომ

კულტურა ხელს უშლის ძალაუფლებისა და სიმდიდრეს შორის არსებულ განსხვავებას. ამგვარი საზოგადოება ყურადღებას ამახვილებს თანასწორობასა და შესაძლებობაზე.

განზომილებები მამაკაცურობა - ქალურობა, ასახავს ხარისხს, რამდენად ანიჭებს უპირატესობას კულტურა ტრადიციულ მამაკაცურ როლებს: წარმატებას, ძალაუფლებასა და კონტროლს, იმ კულტურებთან შედარებით, რომელიც მამაკაცებსა და ქალებს თანასწორად მიიჩნევს. ძლიერი მამაკაცურობა გვიჩვენებს, რომ მამაკაცებს დომინანტური როლი უკავიათ საზოგადოებაში. ძლიერი ქალურობა ნიშნავს, რომ მამაკაცები და ქალები თანასწორი უფლებებით სარგებლობენ.

გაურკვევლობის თავიდან აცილებაში მაღალი ქულების მქონე კულტურებში ადამიანები ძალიან ღელავენ გაურკვევლობისა და ბუნდოვანების გამო, ამიტომ მნიშვნელოვანი ხდება კანონები, წესები და კონტროლი, რომლების გაურკვევლობას ამცირებენ. იმ კულტურებში, რომლებიც გაურკვევლობის თავიდან აცილებაში დაბალ ქულებს იღებენ, ადამიანებს არ აშფოთებთ გაურკვევლობა და განსხვავებულ მოსაზრებებს უკეთესად ეგუებიან. ასეთი კულტურა წესებზე ნაკლებად არის ორიენტირებული, უფრო რისკიანია და მზად არის ცვლილებების მისაღებად (Hofstede, 1980).

ეს განზომილებები გავლენას ახდენს შესრულების განმარტებაზე და მიზანზე (Bretz, R. D., Milkovich, G. T., & Read, W., 1992); (Rao, 2004), ასევე სამუშაოს შეფასების პროცესზე (Claus & Briscoe, 2009), მათ შორისაა: შეფასების მიზანი, ვინ ახდენს შეფასებას, შეფასების შინაარსი, როგორ ხორციელდება შეფასება, შესაფასებლის რეაქცია უკუკავშირზე და უკუკავშირის მაძიებელი ქცევა (Aycan, 2005); (Fletcher, C., & Perry, E. L., 2002); (Sully de Luque, M. F., & Sommer, S. M., 2000).

სამუშაოს შესრულების შეფასების მიზანი განსხვავდება კულტურათა მიხედვით, მაგალითად ინდივიდუალისტურ კულტურაში სადაც

დაფასებულია და დიდი ყურადღება ექცევა პერსონალის მიღწევებს, შეფასებისას მაქსიმალური ობიექტურობისთვის იყენებენ უკუკავშირს (Seddon, 1987). მეორე მხრივ, კოლექტივისტურ კულტურებში, სადაც მეტი ყურადღება ინტერპერსონალურ ურთიერთობებს ეთმობა, ცდილობენ თავი აარიდონ უკუკავშირის გაცემას, რადგან არსებობს მის გამცემსა და მიმღებს შორის ურთიერთობის დაძაბვის საშიშროება (Huo, Y. P., & von Glinow, M. A., 1995).

მენეჯერები უკუკავშირს თანამშრომლის განვითარების, მიზნების კორექციის მიზნით გასცემენ, როგორც შეფასების კომპონენტს, რომელიც პირადი საუბრისას ხორციელდება, რათა თავიდან იქნას აცილებული შესაფასებლის დამცირება (Fletcher, C., & Perry, E. L., 2002). მამაკაცურ კულტურებში სამუშაოს შესრულება ნაკლებად პრობლემატურია, რადგან თანამშრომლები დავალების შესრულებაზე არიან ორიენტირებული და მათი მიზანი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ვალდებულებების შესრულებაა. ქალურ კულტურებში კი თანამშრომელი შეფასებას დიდი ალბათობით მის პიროვნებაზე ან სულაც ხელმძღვანელის/ორგანიზაციის მიმართ ლოიალურობაზე თავდასხმად მიიღებს (Mendonca, M., & Kanungo, R. N., 1996).

ძალაუფლების დაშორება გავლენას ახდენს შემფასებლის ვინაობაზე, ანუ ვის მიერ ხდება შეფასება. ძალაუფლების ძლიერი დაშორების მქონე ქვეყნებში ხელმძღვანელები მეტი ძალაუფლებით სარგებლობენ და უფრო ხშირად ახდენენ სამუშაოს შეფასებას. ამ კულტურებში არ ითვლება მიზანშეწონილად პოზიციურად მაღლა მდგომი თანამშრომლის შეფასება, რადგან ეს მათი ავტორიტეტის შელახვად მიიჩნევა. ამის საწინააღმდეგოდ, ძალაუფლების სუსტი დაშორების კულტურაში, თანამშრომლები ერთმანეთს, როგორც თანაბარს ისე აღიქვამენ და თანაბარი ან უფრო დაბალ პოზიციაზე მდგომი თანამშრომლისგან სამუშაოს შეფასება მიღებულია. მაგალითისთვის შეიძლება 360-გრადუსიანი შეფასების მოყვანა, როდესაც შესაფასებელი შეფასებას იღებს ხელმძღვანელებისგან, თანაბარ პოზიციაზე მდგომებისაგან და დაქვემდებარებულებისაგან განსხვავებული კრიტერიუმების მიხედვით

(Fletcher, C., & Perry, E. L., 2002). უკუკავშირის ეს მეთოდი შემუშავდა და ყველაზე დიდი წარმატებით გამოიყენება ამერიკაში (ძალაუფლების სუსტი დაშორება) (Antonioni, 1996) (Fletcher, C., & Baldry, C., 1999) და ვერ დაინერგა ძალაუფლების ძლიერი დაშორების მქონე ქვეყნებში, მაგალითად, ლათინურ ამერიკაში, სადაც დაქვემდებარებულის მიერ ხელმძღვანელის შეფასება ამ უკანასკნელის ავტორიტეტის შელახვად განიხილება და ცდილობენ თავის აარიდინ მას (Gregersen, H. B., Hite, J. M., & Black, J. S., 1996).

უკუკავშირზე გავლენას ახდენს ასევე ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი. ინდივიდუალისტურ კულტურებში შეფასება სამუშაოს შედეგებს ეფუძნება, როგორიცაა პროდუქტიულობა, ხარისხი, სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ცოდნა, უნარები და გამოცდილება. მეორე მხრივ, კოლექტივისტურ კულტურებში გუნდის წევრების მიმართ ლოიალურობა და ურთიერთთანამშრომლობა მეტად დაფასებულია, ვიდრე შესრულებული დავალების შედეგები. ამიტომ, უკუკავშირის გაცემისას მეტი ყურადღება ეთმობა პოზიტიურ დამოკიდებულებას და სამუშაოს შესრულებისთვის გაწეულ ძალისხმევას (Erez, 1994). კოლექტივისტურ კულტურაში გუნდის მიერ მიღებული შეფასება უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე ინდივიდუალური (McFarland, C., & Buehler, R., 1995). მაგალითად, ამერიკელების ეფექტურობაზე და კმაყოფილებაზე პოზიტიური გავლენა აქვს ინდივიდუალურ უკუკავშირს, მაშინ როდესაც არ იცვლება მათი დამოკიდებულება ჯგუფურად შეფასებისას. მეორე მხრივ, ერთნაირი პოზიტიური გავლენა ჰქონდა როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ შეფასებას ეფექტურობაზე და კმაყოფილებაზე ჩეხეთის რესპუბლიკის და ჩინეთის წარმომადგენლებზე (Earley, P. C., Gibson, C. B., & Chen, C. C. , 1999).

ინდივიდუალიზმი - კოლექტივიზმი, ძალაუფლების დაშორება, გაურკვევლობის თავიდან აცილება გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ხდება უკუკავშირის გაცემა. ინდივიდუალისტურ კულტურაში, ზუსტი შეფასებისათვის ჩამოყალიბებისათვის, უკუკავშირის გაცემის და მიღების

პროცესში მიღებულია ღია დისკუსია (Williams, R., Walker, J., & Fletcher, C, 1977). კოლექტივიზმის პირობებში, როდესაც უკუკავშირი გარდაუვალია, მისი გაცემა უფრო პოზიტიური ტონით ხორციელდება (Mendonca, M., & Kanungo, R. N., 1996) და ცდილობენ თავი აარიდონ ღია დისკუსიას შესაძლო კონფრონტაციის თავიდან აცილების მიზნით (Hofstede, G., 1991). ძალაუფლების ძლიერი დაშორების კულტურაში დირექტიული და ავტოკრატიული უკუკავშირის გაცემაა მიღებული და თავს არიდებენ მენეჯერსა და დაქირავებულს შორის ღია დისკუსიას, მენეჯერის ძალაუფლების ეჭვქვეშ დაყენების თავიდან არიდების მიზნით. ასეთ შემთხვევაში, მენეჯერები არ იძლევიან ახსნა-განმარტებას და დაქვემდებარებულებიც უსიტყვოდ იღებენ ავტორიტეტული პირისგან მომავალ უკუკავშირს, რადგან დასაბუთების მიწოდება დაქვემდებარებულის მხრიდან აღქმული იქნება როგორც მენეჯერის მხრიდან სისუსტის გამოვლენა (Mendonca, M., & Kanungo, R. N., 1996).

გაურკვევლობის თავიდან აცილების მაღალი ხარისხის კულტურაში, ადამიანებს დაბალი მიმღებლობა აქვთ გაურკვევლობის მიმართ და ცდილობენ დაეყრდნონ ორგანიზაციაში არსებულ წესებს და პროცედურებს უკუკავშირის გაცემისას, გაურკვევლობის თავიდან აცილების დაბალი მაჩვენებლის კულტურის მქონე ქვეყნების მენეჯერების საპირისპიროდ (Sully de Luque, M. F., & Sommer, S. M., 2000).

განსხვავდება კულტურათა მიხედვით ასევე უკუკავშირის მიღებისას გამოხატული რეაქცია: ინდივიდუალისტურ კულტურაში უკუკავშირი ობიექტურ შეფასებასთანაა გაიგივებული, ამიტომ შესაფასებლები ერთნაირად რეაგირებენ როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ უკუკავშირზე (Earley, 1986). კოლექტივისტურ კულტურაში დადებითად რეაგირებენ ქებაზე, მაშინ როდესაც კრიტიკას დამცირებად აღიქვამენ (Earley, 1986). უკუკავშირი განსხვავებულ შედეგებს იძლევა ჩართულობის მხრივ, მაგალითად ამერიკელები მეტ ჩართულობას იჩენენ მეორე დავალების მიმართ, როდესაც შეიტყობენ, რომ წინა დავალება წარმატებულად შეფასდა, მაშინ როდესაც

იაპონელები მეტად ავლენენ ჩართულობას წინა დავალების ხარვეზებით შესრულების შემთხვევაში, რაც ამტკიცებს, რომ კულტურა გავლენას ახდენს უკუკავშირზე გამოხატულ რეაქციაზე (Heine, S. J., Kitayama, S., Lehman, D. R., Takata, T., Ide, E., Leung, C., et al., 2001).

უკუკავშირის ძიებაზე მიმართული ქცევა დამოკიდებულია ძალაუფლების დაშორებასთან და გაურკვევლობის თავიდან აცილებასთან. ძალაუფლების ძლიერი დაშორების ქვეყნებში თანამშრომლები თავს არიდებენ უკუკავშირის მიღების მცდელობას. ხელმძღვანელები თავად წყვეტენ როდის გასცენ უკუკავშირი (Huo, Y. P., & von Glinow, M. A., 1995). გაურკვევლობის თავიდან მაღალი აცილების მქონე ქვეყნებში თანამშრომლები ითხოვენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად (Sully de Luque, M. F., & Sommer, S. M., 2000).

ფოკუსის რეგულირების თეორია

უკუკავშირის გაცემისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ფოკუსის რეგულაციის თეორია, რომელიც გავლენას ახდენს როგორც უკუკავშირის მიმღებზე, ასევე მის გამცემზე. ერთის მხრივ, უკუკავშირის გამცემის კულტურული ფონი განაპირობებს უკუკავშირის ფორმულირებას ფოკუსის რეგულირების ფონზე. მეორეს მხრივ, უკუკავშირის ფორმულირება ზემოქმედებს მიმღების ფოკუსის რეგულირებაზე და შესაბამისად განაპირობებს მომავალ შესრულებას. ამის გამო ფოკუსის რეგულირება შეიძლება მედიაციის მექანიზმს წარმოადგენდეს კულტურასა და უკუკავშირზე რეაქციას შორის.

ფოკუსის რეგულაციის თეორია მიზნისადმი ორი ტიპის ორიენტაციას გვიჩვენებს: გაუმჯობესების მოთხოვნილება (მისწრაფების ფოკუსი) და

უსაფრთხოება (თავის არიდების ფოკუსი). მისწრაფების ფოკუსის მქონე ადამიანები მოტივირებული არიან განახორციელონ იდეები, შესაძლებლობები, სურვილები, თავის არიდების შემთხვევაში ორიენტირებული არიან განახორციელონ მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები (Higgins, E. T., 1997).

მიიჩნევა, რომ ფოკუსის რეგულირება მომდინარეობს ორი ძირთადი ადამიანური საჭიროებიდან: კვების და უსაფრთხოების (Higgins, E. T., 1998). ორივე საჭიროება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა საზოგადოების ორ ძირითად მოტივატორად. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ინდივიდს უნიკალური სოციალიზაციის პროცესი გააჩნია, განსხვავებული დამოკიდებულება უვითარდებათ ამ ორი საჭიროების მიმართ და როგორც წესი, ერთ-ერთი მათგანი დომინანტურია. ინდივიდუალურ დონეზე ფოკუსის რეგულაციის მიმართულების ჩამოყალიბება ბავშვის და მისი პირველი მეურვეების ურთიერთობის პროცესში ხდება (Higgins, E. T., 1998). თუ მეურვეები ახალისებენ სურვილებს და მიზნის მიღწევისას აჯილდოებენ ბავშვს, მაშინ ინდივიდს მისწრაფების ფოკუსი უვითარდება და პოზიტიური შედეგის ფორმატში აზროვნებს. თუ მზრუნველი კონცენტრირებულია მოვალეობებზე და ვალდებულებებზე, სჯის ბავშვს წარუმატებლობისთვის, დომიმანტური ხდება თავის არიდების ფოკუსი.

ფოკუსის რეგულაციის სხვაობა განსხვავებულ კოგნიტურ, ემოციურ და ქცევით შედეგებს გვაძლევს (Higgins, E. T., 1997); (Molden, D. C., Lee, A. Y., & Higgins, E. T., 2008). შედეგად, მიწოდებული ინფორმაციის განსხვავებულ შინაარსზე და ფორმულირებაზე სხვადასხვაგვარად რეაგირებენ. მაგალითად, ერთი კვლევის თანახმად, რომელშიც მონაწილეები ისტორიას კითხულობდნენ და ათი წუთის შემდეგ უნდა მოეყოლათ, მონაწილეებს, რომლებსაც მიზანზე ორიენტაციის ფოკუსი ჰქონდათ, მეტად დაამახსოვრდათ დადებითი შედეგის აღმწერი

სიტუაციები, მაშინ როდესაც, თავის არიდების ფოკუსის მქონე მონაწილეებს მეტი უარყოფითი შედეგით დასრულებული სიტუაციები დაამახსოვრდათ.

მიზანზე ორიენტაციისას მიზნის დასახვას მეტი მნიშვნელობა ენიჭებადა უფრო მამოტივირებელია, ვიდრე სავარაუდო უარყოფითი შედეგის აღწერა. თავის არიდების ორიენტაციისას ადამიანები შესაძლო დანაკარგით უფრო მოტივირდებიან, ვიდრე დასახული მიზნით (Crowe, E., & Higgins, E. T., 1997). ამის გამო, მიზანზე ორიენტაციის შემთხვევაში ადამიანები უფრო რისკიანები, კრეატიულები არიან და მეტად ცდილობენ ალტერნატივების მოძიებას (Gino, F., & Margolis, J. D, 2011); (Molden, D. C., Lee, A. Y., & Higgins, E. T., 2008); (Pham, M. T., & H., C. H, 2010).

დომინანტური ფოკუსის რეგულირება, სპეციფიურ კონტექსტში, შეიძლება სიტუაციური ფაქტორების ზეგავლენით შეიცვალოს (Higgins, E. T., 1997). სიტუაციური ფაქტორები, რომლებიც პროგრესის საჭიროებას გამოხატავს მიზნისკენ მიმართულების ფოკუსს აძლიერებს და ადამიანებიც, ფოკუსის რეგულაციისაგან დამოუკიდებლად, შესაძლებლობაზე ორიენტირებული ხდებიან. და პირიქით, თუ სიტუაციური ფაქტორები უსაფრთხოების საჭიროებას გამოხატავს, წამყვანი თავის არიდების ფოკუსი ხდება. დროებითი არიდების ფოკუსი ასევე ვითარდება სამწუხარო გამოცდილების, გაურკვეველი და შორეული მოლოდინების არსებობის პირობებში. დროებითი თავიდან აცილების ფოკუსი ყალიბდება უახლოეს მომავალში სამუშაოს დაბალი შესრულების მოლოდინით (Molden, D. C., Lee, A. Y., & Higgins, E. T., 2008).

ზემოთქმულის შესაბამისად, განსხვავებული ფოკუსის რეგულაციის მქონე ადამიანები განსხვავებული ტიპის ინფორმაციას აქცევენ ყურადღებას, გადაწყვეტილებას განსხვავებული ინფორმაციის შედეგად იღებენ და განსხვავებულ ქცევით სტრატეგიას იმუშავებენ. ფოკუსის რეგულაციის თეორიის თანახმად განსხვავებული ფოკუსის ქონა განსხვავებულ ქცევით სტრატეგიას გულისხმობს (Freitas, A. L., & Higgins, E. T., 2002); (Higgins, 2000). მისწრაფების ფოკუსის მქონე ინდივიდები მეტ ჩართულობას იჩენენ

სასურველი მიზნის მიღწევისას, მაშინ როდესაც, არიდების ფოკუსის მქონენი უფრო მოტივირდებიან პრევენციაზე მიმართული ქმედებით.

ფოკუსის რეგულირების და კულტურის გავლენა უკუკავშირზე

კულტურა არა მხოლოდ განაპირობებს ჩვენს ღირებულებებს და რწმენებს, ასევე გავლენას ახდენს მიზნის მიმართ მოტივაციაზეც (Heine, 2010); (Markus, H. R., & Kitayama, S., 1991). მიიჩნევა, რომ დასავლურ, ინდივიდუალისტურ კულტურაში ადამიანები მოტივირებულები არიან ინდივიდუალირები და სხვებისგან გამორჩეულები იყვნენ, აამაღლონ თვითშეფასება და მიაღწიონ მიზნებს. ეს მოტივები და საჭიროებები თანხმობაშია ინდივიდუალისტურ ღირებულებებთან. მეორე მხრივ, კოლექტივისტურ საზოგადოებაში მოტივაციისთვის მეტი მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთობებს და სოციალურ კავშირებს. აქ მეტი მნიშვნელობა გუნდის წევრობას, გუნდის სოციალური სტატუსის გაუმჯობესებას ენიჭება. აქედან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ კულტურა გავლენას მოახდენს ფოკუსის რეგულირების მისწრაფების და არიდების მოტივაციაზე. რადგან კულტურული ღირებულებები და ჩვევები თაობებს გადაეცემა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დომინანტური რეგულირების ფოკუსიც თაობებს გადაეცემა და განსხვავებებს იძლევა განსხვავებული კულტურის მქონე ჯგუფებში. კულტურათაშორისი კვლევებით დადასტურდა, რომ რეგულირების ფოკუსი განსხვავდებას იძლევა კულტურული ჯგუფების მიხედვით (Higgins E. T. Pierro A. & Kruglanski A. W., 2008). მაგალიტად, ამერიკაში, იტალიაში და ისრაელში დომინირებს მიმართების ორიენტაცია, ხოლო, იაპონიაში თავის არიდება. ინდოეთში, ჩინეთში, ავსრტალიაში და ჩინეთში, კვლევამ მცირე სხვაობა აჩვენა ფოკუსის რეგულირების დომინირების მხრივ.

ფოკუსის რეგულირება ინდივიდუალურ და კოლექტიურ კულტურებში

მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ ფოკუსის რეგულირებასა და კულტურულ ღირებულებებს შორის კავშირზე და კვლევების უმეტესობა ადგენს რომ ინდივიდუალისტური ღირებულებები უნიკალურობასა და პირად მიღწევებზე ორიენტაციას გულისხმობს, რაც შედეგად წინსვლის და იდეალურობისკენ სწრაფვას მოიცავს, შესაბამისად კორელაციაშია მისწრაფების ფოკუსთან. მეორე მხრივ, კოლექტივისტური ღირებულებები სოციალურ ჰარმონიას და მოვალეობის განცდას ეფუძნება, რაც ზრდის უსაფრთხოების მოთხოვნილებას და კორელაციაშია თავის არიდების ფოკუსთან (Lee, A. Y., Aaker, J. L., & Gardner, W. L., 2000). ეს მოსაზრება კვლევებით არის გამყარებული, რომლებიც ფოკუსის რეგულაციის კითხვარის საშუალებით განხორციელდა (Higgins, E. T., 2000): ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, რომელშიც ერთ ჯგუფში ევროპელი და ამერიკელი სტუდენტები (ინდივიდუალისტური კულტურა) და მეორე ჯგუფში ჰონ-კონგელი და ჩინელი სტუდენტები (კოლექტივისტური კულტურა) მონაწილეობდნენ, მონაწილეები გამოკითხეს ფოკუსის რეგულირებასთან დაკავშირებით, და დაადგინეს, რომ ინდივიდუალისტური კულტურის წარმომადგენლებს _ ამერიკელებს უფრო მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ მიმართების ფოკუსზე და ნაკლები თავის არიდებაზე, ჰონკონგელ და ჩინელ მონაწილეებთან შედარებით (Lalwani, 2009). ასეთივე მაჩვენებლები ჰქონდათ ავსტრალიელებს იაპონელებთან შედარებით (Ouschan, L., Boldero, J. M., Kashima, Y., Wakimoto, R., & Kashima, E. S., 2007).

სხვა კვლევის თანახმად, რომელშიც გამოყენებული იყო სხვა მეთოდი, მსგავსი შედეგები გამოვლინდა. მონაწილეებს სთხოვდნენ განხორციელებული მიზნების ჩამოთვლას და მათ ფოკუსის რეგულაციის ფაქტორის მიხედვით

ალაგებდნენ. შემდეგ ადარებდნენ არიდების მიხედვით ფორმულირებილ მიზნებს მათ საერთო რაოდენობასთან და დაადგინეს, რომ სამხრეთ კორეელები და რუსები არიდების ფოკუსს მეტად იყენებენ, ვიდრე ამერიკელები. (Elliot, A. J., Chirkov, V. I., Kim, Y., & Sheldon, K. M., 2001).

ფოკუსის რეგულირება და ვერტიკალური - ჰორიზონტალური ღირებულებები

ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმისგან განსხვავებით ზოგიერთი მეცნიერი (Kurman, J., & Hui, C. M.) დაეყრდნო ვერტიკალურ - ჰორიზონტალურ პარამეტრებს (Triandis, 1995) და გამოყო ოთხი დონე: ვერტიკალური კოლექტივიზმი, ჰორიზონტალური კოლექტივიზმი, ვერტიკალური ინდივიდუალიზმი და ჰორიზონტალური ინდივიდუალიზმი. მათი თეორიის თანახმად, ვერტიკალური კოლექტივიზმი მნიშვნელობას ანიჭებს გუნდის ნორმებისადმი, სხვისი მოთხოვნებისადმი დაქვემდებარების, სოციალური მოვალეობების შესრულებას, რაც პოზიტიურად უკავშირდება არიდების ფოკუსს. ასევე უნდა აღნიშნოს, რომ ვერტიკალური კოლექტივიზმის ღირებულებები მოიცავს პიროვნული საჭიროებების და ინტერესების ჯგუფის ინტერესების სასარგებლოდ დათრგუნვას და შეუთავსებელია მისწრაფების ფოკუსთან, ამიტომ ვერტიკალურ კოლექტივიზმსა და მისწრაფების ფოკუსს შორის ნეგატიური დამოკიდებულებაა სავარაუდო.

ჰორიზონტალური კოლექტივიზმი მოიცავს ჯგუფის წევრებთან კავშირს და გამორიცხავს მოვალეობებს მის წინაშე, ამიტომ მცირედი კავშირი აქვს რეგულაციის ფოკუსთან. ანალოგიურად, ჰორიზონტალური ინდივიდუალიზმი წინ წამოსწევს ინდივიდუალობას და ავტონომიას, რაც კონგრუენტულია მისწრაფების ფოკუსთან, ამიტომ მათ შორის პოზიტიური კავშირია მოსალოდნელი. მეორე მხრივ ვერტიკალური ინდივიდუალიზმი

შეჯიბრებითობას გულისხმობს, რაც განსხვავებულ შედეგებს გვაძლევს კორელაციის თვალსაზრისით. შესაბამისად, ვერტიკალური კოლექტივიზმი და ჰორიზონტალური ინდივიდუალიზმი მეტადაა დაკავშირებული ფოკუსის რეგულირებასთან, ვიდრე ჰორიზონტალური კოლექტივიზმი და ვერტიკალური ინდივიდუალიზმი (Kurman & Hui, in press).

ეს მოსაზრებები ემპირიული კვლევებით დადასტურდა: ორი დამოუკიდებლად ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ ვერტიკალური კოლექტივიზმი პოზიტიურ კორელაციაში იყო არიდებასთან და ნეგატიურში მისწრაფებასთან, და რომ ჰორიზონტალური ინდივიდულიზმი პოზიტიურ კორელაციაში იყო მისწრაფებასთან და ნეგატიურში თავის არიდებასთან (Kurman, J. & Liem, A. G., 2011).

ფოკუსის რეგულირება და ცვლილებებისადმი ღიაობა - კონსერვატიზმი

კიდევ ერთი კულტურული ღირებულება, რომელსაც სავარაუდო გავლენა უნდა ჰქონდეს ფოკუსის რეგულირებაზე არის ცვლილებებისადმი ღიაობა და კონსერვატიზმი (Schwartz, 1992). ცვლილებებისადმი ღია ადამიანები დაინტერესებას გამოთქვამენ ახალი გამოცდილების, ექსპერიმენტების და რისკის მიმართ, კრეატიულები და ინოვაციურები არიან. მათგან განსხვავებით, კონსერვატიული ღირებულებების მქონე ადამიანები პატივს სცემენ ტრადიციებს, ნორმებს და წესებს, უპირატესობას ანიჭებენ სტაბილურობას და განსაზღვრულობას, უფრო ფრთხილები არიან. რადგან ახალი გამოცდილებისადმი ღია ადამანები მეტად მიდრეკილნი არიან რისკის გასაწევად, მიზნების მიღწევისას დომინანტური აქვთ მისწრაფების ფოკუსი. მეორე მხრივ, კონსერვატული და ტრადიციული ღირებულებების მქონენი მიდრეკილნი არიან ვალდებულებების და მოვალეობების შესრულებისკენ,

ამიტომ მეტად აქვთ განვითარებული თავის არიდების ფოკუსი (Kark, 2007); (Van-Dijk, 2004). ასევე დადასტურდა, რომ არიდების ფოკუსის მქონე პირები იჩენენ მიდრეკილებას დაუსრულებელი დავალებების რეზუმირება მოახდონონ შემცვლელი დავალების შესრულების საპირისპიროდ, ხოლო მისწრაფების მქონეთ მეტი ჩართულობა აქვთ ახალი დავალებების შესრულების მიმართ. ეს შედეგები კი გვაძლევს შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ არიდების ფოკუსის შემთხვევაში უპირატესობას სტაბილურობას ანიჭებენ და მისწრაფებისას ცვლილებებს და სიახლეებს (Liberman, N., Idson, L. C., Camacho, C. J., & Higgins, E. T., 1999).

ფოკუსის რეგულირება და უკუკავშირის ფორმულირება

ფოკუსის რეგულირების თეორიის თანახმად (Freitas, A. L., & Higgins, E. T., 2002) (Higgins, E. T., 2000), რეგულაციის თითოეულ ფოკუსს გააჩნია ქცევის სასურველი სტრატეგია და შესაბამისად, კავშირი არსებობს ფოკუსის რეგულირებასა და მისაწოდებელი ინფორმაციის ფორმულირებას შორის. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ორივე ფოკუსს მისთვის მამოტივირებელი ფორმულირება სჭირდება, რომლების ერთმანეთისაგან განსხვავდება. თუკი, ფოკუსის რეგულირების და ქცევის სტრატეგიის თანხვედრა ზრდის ჩართულობას და სიამოვნების განცდას, თანხვედრა ფოკუსის რეგულირებასა და ინფორმაციის ფორმულირებას შორის პოზიტიურად უკავშირდება დარწმუნებას, დავალების მიმართ მოტივაციას და შესრულებას, მოლაპარაკების მოთხოვნებს, პიროვნებათა შორის პატიებას, მორალის ზრდას და ა.შ. (Appelt, K. C., & Higgins, E. T., 2010) (Camacho, C. J., Higgins, E. T., & Luger, L., 2003) (Cesario, J., Grant, H., & Higgins, E. T., 2004) (Santelli, A. G., Struthers, C. W., & Eaton, J., 2009) (Yi, S., & Baumgartner, H., 2008) (Shah, J.,

Higgins, E. T., & Friedman, R. S., 1998). თუ უკუკავშირით მისაწოდებელი ინფორმაცია ჩამოყალიბებულია ისე, რომ ემთხვევა ან არ ემთხვევა ფოკუსის რეგულირების დომინანტურ ტიპს, სხვაობა გვაქვს უკუკავშირის მიერ მოხდენილ გავლენაში. როდესაც დამთხვევაა ამ ორ ცვლადს შორის, ინფორმაცია უფრო მეტ ეფექტს ახდენს.

ფოკუსის რეგულაციის გათვალისწინებით, არსებობს ინფორმაციის ფორმულირების სამი გზა: საბოლოო მიზნის (მოგება წაგების საპირისპიროდ), საერთო ღირებულებების (პოზიტიური ნეგატიურის საპირისპიროდ), და მზრუნველობა უსაფრთხოების საპირისპიროდ აქცენტირება (Yi, S., & Baumgartner, H., 2009). პირველი ორი მაჩვენებლის კომბინაციით შესაძლებელია ოთხი ტიპის მესიჯის ფორმირება (Higgins, E. T., 1998):

1. პოზიტიური მესიჯი მოგებაზე ხაზგასმით, (მაგ: დაწინაურება).
2. ნეგატიური მესიჯი მოგების არარსებობაზე ხაზგასმით (მაგ: ბონუსის არქონა).
3. პოზიტიური მესიჯი დანაკარგის არარსებობაზე ხაზგასმით (მაგ: ხელფასიის დაკლებისთვის თავის არიდება).
4. ნეგატიური მესიჯი არსებულ დანაკარგზე ხაზგასმით (მაგ: საყვედურის გამოცხადება).

ინფორმაციის მიწოდების პირველი ტიპი მანიპულირებას აკეთებს საბოლოო შედეგზე მოგების ხაზგასმით. ამიტომ მისი გამოყენება მიზანშეწონილია მისწრაფების ფოკუსის მქონე ადამიანებთან, რადგან ისინი მოგების, სასურველი შედეგის მიღების ფორმატში აზროვნებენ. მაშინ როდესაც, არიდების ფოკუსის მქონეთათვის მიზანშეწონილია დანაკარგის არარსებობისთვის ხაზგასმა.

ინფორმაციის ფორმულირების მეორე ტიპი მანიპულაციას ახორციელებს საერთო შედეგებზე ხაზგასმით, როდესაც ხდება როგორც მოგების

შესაძლებლობის, ასევე შესაძლო დანაკარგის ხაზგასმა და თანხვედრაში მოდის ფოკუსის რეგულირების ორივე მიმართულებასთან.

მიმართების ფოკუსის მქონე პირები უფრო დამაჯერებლად აღიქვამენ პოზიტიურად ფორმულირებულ, ანუ მიზანზე ორიენტაციით აგებულ უკუკავშირს, ვიდრე ნეგატიურს (Lee, A. Y., Aaker, J. L., & Gardner, W. L., 2000). მიმართების ფოკუსის მქონე მონაწილეები უფრო მეტ ლოიალობას იჩენდნენ ბრენდის მიმართ, თუ რეკლამა პოზიტიურად იყო ფორმულირებული. ამის საპირისპიროდ, მონაწილეებს მეტად მოსწონდათ ბრენდი, როდესაც არიდების ფოკუსის შემთხვევაში ნეგატიურად ფორმულირებულ რეკლამას აჩვენებდნენ. ამ კვლევების თანახმად დადასტურდა კავშირი ფოკუსის რეგულაციასა და უკუკავშირის ტიპს შორის. მიმართების ფოკუსის მქონე ადამიანები მოტივირდებიან პოზიტიური უკუკავშირით, ხოლო არიდების ფოკუსის მქონენი ნეგატიური უკუკავშირით (Van-Dijk, 2004).

ინფორმაციის მიწოდების მესამე ტიპი ხაზს უსვამს მზრუნველობას უსაფრთხოების საპირისპიროდ. ფოკუსის რეგულირების თეორიის თანახმად, მისწრაფების ფოკუსი მომდინარეობს ზრუნვის საჭიროებიდან და თავის არიდება უსაფრთხოების მოთხოვნილებიდან. ამის გათვალისწინებით, ზრუნვის საჭიროებაზე ხაზგასმა მამოტივირებელი იქნება მისწრაფების ფოკუსის მქონე პირებისთვის, ხოლო უსაფრთხოების საჭიროებაზე ხაზგასმა დომინანტური არიდების ფოკუსის მქონე ადამიანებისთვის (Yi, S., & Baumgartner, H., 2009).

მიუხედავად იმისა, რომ სამი გზა არსებობს ფოკუსის რეგულირების და ინფორმაციის ფორმულირების თანხვედრის ან აცდენის, აშკარაა მათ შორის კავშირი. მისწრაფების ფოკუსი თანხვედრაშია მოგების საბოლოო შედეგთან, პოზიტიურ ფორმულირებასა და ზრუნვის საჭიროებასთან, მაშინ როდესაც არიდების ფოკუსი თანხვედრაშია დანაკარგის საბოლოო შედეგთან, ნეგატიურ ფორმულირებასა და უსაფრთხოების საჭიროებასთან. აქედან გამომდინარე, შეგვძლია დავასკვნათ, რომ მისწრაფების ფოკუსის მქონე თანამშრომლისთვის

უფრო შედეგიანი იქნება სამუშაოს შეფასებისას მოგებაზე, მიზნის მიღწევაზე ორიენტირებული უკუკავშირის გაცემა, როდესაც განხილული იქნება რომელ მიზნებს მიაღწია ან ვერ მიაღწია მან. ამის საპირისპიროდ, არიდების ფოკუსის მქონე თანამშრომლებისთვის მიზანშეწონილია შესაძლო დანაკარგზე ორიენტირებული უკუკავშირის გაცემა და განხილვა რა დანაკარგი აიცილა ან ვერ აიცილა თავიდან თანამშრომელმა.

უკუკავშირის გამცემის ხედვა

კავშირი კულტურასა და ფოკუსის რეგულირებას, ასევე ინფორმაციის ფორმულირებასა და ფოკუსის რეგულირებას შორის შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ფოკუსის რეგულირების საშუალებით კულტურა გავლენას ახდენს ინფორმაციის ფორმულირებაზე. შესაბამისად, ინდივიდუალისტური, ჰორიზონტალური და ცვლილებებისადმი ღია კულტურებში ამჯობინებენ პოზიტიურად ფორმულირებულ ინფორმაციას. კოლექტივისტური, ვერტიკალური და კონსერვატული კულტურის წარმომადგენლები ნეგატიურად ფორმულირებულს. მომხმარებლების მიერ წიგნების შესახებ დაწერილი შეფასებების ანალიზით დადგინდა, რომ მიზანზე ორიენტაციით ფორმულირებული შინაარსი ჩრდილოეთ ამერიკელებისთვის მეტად იყო დამახასიათებელი და არიდების ორიენტაციით _ იაპონელებისთვის. (Hamamura, T., Meijer, Z., Heine, S. J., Kamaya, K. & Hori, I., 2009). რაც გვიმტკიცებს, რომ კავშირი არსებობს კულტურასა და უკუკავშირის ფორმულირებას შორის. მენეჯერები, რომლებიც სოციალიზებული არიან კულტურაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ინდივიდუალურ მიღწევებზე, თანასწორობაზე და ცვლილებებისადმი ღიაობაზე ორიენტაცია მეტად გასცემენ პოზიტიურად ფორმულირებულ უკუკავშირს. ამის საპირისპიროდ, მენეჯერები კოლექტივისტური, გუნდურ მიღწევებზე

ორიენტირებული და კონსერვატიული კულტურიდან ნეგატიურად ფორმულირებულ უკუკავშრის გასცემენ.

უკუკავშირის მიმღების ხედვა

უკუკავშირის მიმღების პერსპექტივიდან გამომდინარე, შეფასების ფორმულირება განაპირობებს რეაქციას მის მიმართ. უკუკავშირი, რომელიც ხაზს უსვამს მოგებას უფრო ეფექტიანი და დამარწმულებელია მიმართების ფოკუსის მქონე პირებთან და დანაკარგზე ხაზგასმით ფორმულირებული არიდების ფოკუსის მქონე თანამშრომლებთან (Cesario, J., Grant, H., & Higgins, E. T., 2004); (Yi, S., & Baumgartner, H., 2008). შესაბამისად, გამართლებულია მოლოდინი, რომ მიზნების წარმოჩენაზე ორიენტირებული უკუკავშირი გაუმჯობესებს სამუშაოს შესრულების ხარისხს მისწრაფების ფოკუსის მქონე თანამშრომლებთან და არიდების ფოკუსის მქონე დაქირავებულებთან დანაკარგის წარმოჩენაზე ორიენტირებული უკუკავშირი იქნება უფრო პროდუქტიული.

როდესაც მოქმედების სტრატეგია ან უკუკავშირი ფორმულირებულია ფოკუსის რეგულაციასთან თავსებად მიმართებაში, ადამიანები განიცდიან რეგულაციის შესაბამისობას, ანუ ეუფლებათ „შესაბამისობის განცდა“ და მეტი მოტივაცია უჩნდებათ დასახული გეგმის განხორციელებისთვის (Higgins, E. T., 2002). რეგულაციის შესაბამისობა არის სუბიექტური დამოკიდებულება შესრულებული სამუშაოს ხარისხის მიმართ და ზრდის თვითდარწმუნებულობას და თვითშეფასებას (Avnet, T., & Higgins, E. T., 2006). ხასიათისგან განსხვავებით არააფექტურია და ხასიათდება ინფორმაციის მუდმივი დამუშავებით. როდესაც ინფორმაციის ფორმულირება და ფოკუსის რეგულაცია შესაბამისია, ინფორმაცია ადვილად აღსაქმელი და მამოტივირებელი ხდება. ამის საპირისპიროდ, როდესაც ინფორმაციის ფორმულირება და ფოკუსის რეგულაცია შეუსაბამოა, ინფორმაცია ძნელად

მისაღები და დემოტივატორი ხდება. ამ შესაბამისობის შედეგად გამოწვეული შეგრძნება განაპირობებს ინფორმაციის მიმართ რეაქციებს (Cesario, J., Grant, H., & Higgins, E. T., 2004). როდესაც ადამიანები მიიღებენ გადაწყვეტილებას შეთავსებული ფოკუსი გააძიერებს გადაწყვეტილების მიმართ დარწმუნებულობის ხარისხს და ჩართულობას.

მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისობის განცდა ფოკუსის რეგულირებისგან გამომდინარეობს, ფოკუსის რეგულირების მიმართებამ და უკუკავშირის მახასიათებლებმა (ფორმულირება და ტიპი) უნდა გამოიწვიოს შესაბამისობის ან შეუსაბამობის განცდა. მაგალითად, როდესაც მიმართების ფოკუსის მქონე პირები იღებენ მიზანზე ორიენტირებით ფორმულირებულ, ხოლო არიდების ფოკუსის მქონენი ნეგატიურად ფორმულირებულ უკუკავშირს, სავარაუდოა შესაბამისობის განცდის წარმოშობა.

შესაბამისობის განცდა ეხმარება ადამიანებს გადაწყვეტილების მიღებაში. მაგალითად, კვლევებით დადასტურდა, რომ როდესაც ადამიანები განიცდიდნენ შესაბამისობის განცდას ინფორმაციის მიმართ, უფრო ხშირად დარწმუნდნენ თავი დაენებებინათ თამბაქოს მოწევისთვის (Zhao, G., & Pechmann, C., 2007), გადაეხადათ გადასახადები (Holler, M., Hoelzl, E., Kirchler, E., Leder, S., & Mannetti, L., 2008), ჩართულიყვნენ ფიზიკურ აქტივობებში (Latimer, A. E., Rench, T. A., Rivers, S. E., Katulak, N. A., Materese, S. A., Cadmus, L., et al., 2008). ასევე დადასტურდა, რომ შესაბამისობის განცდა შესაძლოა ტრანსფორმირდეს შეფასებასა და განსჯაში, დამოკიდებულებაში, შესრულებაში და ნდობაში.

სამუშაოს შეფასების ან უკუკავშირის მიღებისას, შესაბამისობის განცდა ახდენს გავლენას მიმღების რეაქციაზე და აძლიერებს მიმღებლობას უკუკავშირის მიმართ. როდესაც სამუშაოს შესრულების შეფასების მიმართ თანამშრომელს ნდობა და მიმღებლობა აქვს, უფრო მეტ ძალისხმევას იყენებს მასში მოცემული შეთავაზებების და რჩევების შესასრულებლად და შესაბამისად მეტად

აუმჯობესებს შესრულების ხარისხს. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ კავშირი არსებობს შესაბამისობის განცდასა და მომავალ სამუშაოს შესრულებას შორის.

შემფასებლის პერსპექტივიდან გამომდინარე ფოკუსის რეგულირება მოქმედებს, როგორც მედიატორი შემფასებლის კულტურასა და მისთვის მისაღებ უკუკავშირის ფორმულირებას შორის. შესაფასებლის პერსპექტივიდან ფოკუსის რეგულირება გავლენას ახდენს უკუკავშირის ფორმულირებაზე და ტიპზე და შესაბამისად, მომავალ სამუშაოს შესრულებაზე. მომავალი შესრულება გაუმჯობესდება თუ თავსებადია ფოკუსის რეგულირება და უკუკავშირის მახასიათებლები, ამის საპირისპიროდ, გაუარესდება, თუ არათავსებადია ფოკუსის რეგულირება და უკუკავშირის მახასიათებლები.

მენეჯერის მიერ უკუკავშირის და სამუშაოს შეფასების ფორმულირება დამოკიდებულია მის დომინანტურ ფოკუსის რეგულირებაზე, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს შეუთავსებლობა მენეჯერისთვის და თანამშრომლისთვის უკუკავშირის სასურველი ფოკუსის რეგულირების მხრივ. თუ მენეჯერი უკუკავშირს საკუთარი ფოკუსის გათვალისწინებით გასცემს და არ ითვალისწინებს უკუკავშირის მიმღები თანამშრომლის ფოკუსს და მის კულტურულ წარმომავლობას, დიდი ალბათობით, უკუკავშირი ნაკლებად ეფექტიანი იქნება. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მენეჯერებმა გაითვალისწინონ და დააკვირდნენ, თუ რომელი ფოკუსის მიმართულება აქვთ მათ დაქვემდებარებულებს და ამის მიხედვით გასცენ თანამშრომლის ინდივიდუალობის გათვალისწინებით აგებული უკუკავშირი. კრეატიულ, რისკიან და მიზანმიმართულ თანამშრომელს მეტი ალბათობით მიმართების ფოკუსი ექნება. ხოლო, ფრთხილ, დეტალებზე ორიენტირებულ და წესებისადმი მორჩილ თანამშრომელს მეტად სავარაუდოა, რომ არიდების ფოკუსი ჰქონდეს.

უკუკავშირის ეფექტურობის გასაზრდელად, მენეჯერებმა უნდა გაითვალისწიონ თითოეული თანამშრომლის ინდივიდუალობა და მათთვის შესაბამისი უკუკავშირი გაცენ, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ეფექტური

კომუნიკაციის შენარჩუნების და გაუმჯობესებული ურთიერთობების ფონზე მამოტივირებელი და განმავითარებელი უკუკავშირის გაცემის.

დასკვნა

ზემოთქმულის შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განსხვავებული ფოკუსის რეგულაციის მქონე ადამიანები განსხვავებული ტიპის ინფორმაციას აქცევენ ყურადღებას, გადაწყვეტილებას განსხვავებული ინფორმაციის შედეგად იღებენ და განსხვავებულ ქცევით სტრატეგიას იმუშავებენ.

ფოკუსის რეგულაციის თეორიის თანახმად განსხვავებული ფოკუსის ქონა განსხვავებულ ქცევით სტრატეგიას გულისხმობს (Freitas, A. L., & Higgins, E. T., 2002); (Higgins, 2000). მისწრაფების ფოკუსის მქონე ინდივიდები მეტ ჩართულობას იჩენენ სასურველი მიზნის მიღწევისას, მაშინ როდესაც, არიდების ფოკუსის მქონენი უფრო მოტივირდებიან პრევენციაზე მიმართული ქმედებით.

ასევე დადასტურდა, რომ მისწრაფების ფოკუსის მქონე ადამიანები უკუკავშირის ფორმულირებას უფრო ხშირად სასურველ შედეგთან მიმართების ფორმატში ახდენენ და არიდების ფოკუსის მქონენი უარყოფით ფორმატში. არიდების ფოკუსის მქონე პირები იჩენენ მიდრეკილებას დაუსრულებელი დავალებების რეზუმირება მოახდონონ შემცვლელი დავალების შესრულების საპირისპიროდ, ხოლო მისწრაფების მქონეთ მეტი ჩართულობა აქვთ ახალი დავალებების შესრულების მიმართ. ეს შედეგები კი გვაძლევს შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ არიდების ფოკუსის შემთხვევაში უპირატესობას სტაბილურობას ანიჭებენ და მისწრაფებისას ცვლილებებს და სიახლეებს.

ასევე გამოიკვეთა კავშირი კულტურულ ღირებულებებსა და ფოკუსის რეგულირებას შორის. ინდივიდუალურ, ძალაუფლების მცირე დაშორების და

ცვლილებებისადმი ღია კულტურებში ადამიანებს უმეტესად მისწრაფების ფოკუსი აქვთ, ხოლო, კოლექტიურ, ძალაუფლების ძლიერი დაშორების და კონსერვატიულ კულტურებში _ არიდების ფოკუსი. ვერტიკალური კოლექტივიზმი პოზიტიურ კორელაციაში იყო არიდებასთან და ნეგატიურში მისწრაფებასთან, და ჰორიზონტალური ინდივიდულიზმი პოზიტიურ კორელაციაში იყო მისწრაფებასთან და ნეგატიურში თავის არიდებასთან.

აქედან გამომდინარე, შეგვძლია დავასკვნათ, რომ მისწრაფების ფოკუსის მქონე თანამშრომლისთვის უფრო შედეგიანი იქნება სამუშაოს შეფასებისას მოგებაზე, მიზნის მიღწევაზე ორიენტირებული უკუკავშირის გაცემა, როდესაც განხილული იქნება რომელ მიზნებს მიაღწია ან ვერ მიაღწია მან. ამის საპირისპიროდ, არიდების ფოკუსის მქონე თანამშრომლებისთვის მიზანშეწონილია შესაძლო დანაკარგზე ორიენტირებული უკუკავშირის გაცემა და განხილვა რა დანაკარგი აიცილა ან ვერ აიცილა თავიდან თანამშრომელმა.

ერთის მხრივ, უკუკავშირის გამცემის ფოკუსის რეგულირება გავლენას ახდენს მის მიერ სამუშაოს შეფასების შესახებ უკუკავშირის ფორმულირებაზე და მიმღების ფოკუსი გავლენას ახდენს მის რეაქციაზე, შემდგომ ქმედებაზე და სამუშაოს შერულებაზე. კულტურებს შორის სხვაობა განსხვავებულ ფოკუსის რეგულირებას განაპირობებს და უკუკავშირის სხვადასხვა ფოკუსის რეგულირების გათვალისწინებით ფორმულირებას, რისი გათვალისწინებაც ძალიან დაგვეხმარება თითოეულ თანამშრომელზე მორგებული უკუკავშირის ფორმირებისას.

გამოყენებული ლიტერატურა

Antonioni, D. (1996). *Designing an effective 360-degree appraisal feedback process Organizational Dynamics.*

Appelt, K. C., & Higgins, E. T. (2010). My way: How strategic preferences vary by negotiator role and regulatory focus. . *Journal of Experimental Social Psychology, 46*, 1138-1142.

Avnet, T., & Higgins, E. T. (2006). How regulatory fit affects value in consumer choices and opinions. . *Journal of Marketing Research, 43,*, 1 -10.

Aycan, Z. (2005). The interplay between cultural and institutional/structural contingencies in human resource management practice. *International Journal of Human Resource Management*, 1083-1119.

Bretz, R. D., Milkovich, G. T., & Read, W. (1992). The current state of performance appraisal research and practice: Concerns, directions, and implications. *Journal of Management*, 321-352.

Briscoe, D. R. (2008). Employee performance management: Policies and practices in multinational enterprises. In A. Varma, P. S. Budhwar & A. DeNisi (Eds.). *Performance management systems: A global perspective*, 15-39.

Camacho, C. J., Higgins, E. T., & Luger, L. (2003). Moral value transfer from regulatory fit: What feels right is right and what feels wrong is wrong. *Journal of Personality and Social Psychology, 84*, 498-510.

Cesario, J., Grant, H., & Higgins, E. T. (2004). Regulatory fit and persuasion: Transfer from "feeling right". . *Journal of Personality and Social Psychology, 86,*, 388-404.

Claus, L., & Briscoe, D. (2009). Employee performance management across borders: A review of relevant academic literature. *International Journal of Management Reviews*, 175-196.

Crowe, E., & Higgins, E. T. (1997). Regulatory focus and strategic inclinations: Promotion and prevention in decision-making. *Organizational Behavior and Human Decision Processes, 69*, 117-132.

DeNisi, A. S. (2000). Performance appraisal and control systems: A multilevel approach. *In K. Klein & S. Kozlowski (Eds.)Multilevel theory, research, and methods in organizations*, 121-156.

DeNisi, A. S. (2006). Performance appraisal, performance management and improving individual performance: A motivational framework. *Management and Organization Review*, 253-277.

DeNisi, A. S., & Pritchard, R. D. (2006). Performance appraisal, performance management and improving individual performance: A motivational framework. *Management and Organization Review*, 253-277.

Earley, P. C. (1986). Trust, perceived importance of praise and criticism, and work performance: An examination of feedback in the United States and England. . *Journal of Management, 12*, 457-473.

Earley, P. C., Gibson, C. B., & Chen, C. C. . (1999). "How did I do?" versus "How did we do?": Cultural contrasts of performance feedback use and self-efficacy. *Journal of Cross-Cultural Psychology, 30*, 594-619.

Elliot, A. J., Chirkov, V. I., Kim, Y., & Sheldon, K. M. (2001). A cross-cultural analysis of avoidance (relative to approach) personal goals. *Psychological Science, 12,* , 505-510.

Erez, M. (1994). Toward a model of cross-cultural industrial and organizational psychology. *In H. C. Triandis, M. D. Dunnette & L. M. Hough (Eds.), Handbook of industrial and organizational psychology (2nd ed., Vol. 4, pp.)*, 559-607.

Fletcher, C., & Baldry, C. (1999). Multi-source feedback systems: A research perspective. In C. L. Cooper & I. T. Robertson (Eds.), New York: John Wiley & Sons Ltd. *International review of industrial and organizational psychology (Vol. 14)*, 149-193.

Fletcher, C., & Perry, E. L. (2002). Performance appraisal and feedback: A consideration of national culture and a review of contemporary research and future trends. *Handbook of industrial Work and Organizational Psychology* .

Freitas, A. L., & Higgins, E. T. (2002). Enjoying goal-directed action: The role of regulatory fit. *Psychological Science, 13*, 1-6.

Gino, F., & Margolis, J. D. (2011). Bringing ethics into focus: How regulatory focus and risk preferences influence (un)ethical behavior. . *Organizational Behavior and Human Decision Processes, 115*, 145-156.

Gregersen, H. B., Hite, J. M., & Black, J. S. (1996). Expatriate performance appraisal in U.S. multinational firms. . *Journal of International Business Studies, 27*, 711-738.

Hamamura, T., Meijer, Z., Heine, S. J., Kamaya, K. & Hori, I. (2009). Approach- avoidance motivation and information processing: A cross-cultural analysis. . *Personality and Social Psychology Bulletin, 35,* , 454-462.

Harvey, M. (1997). *Focusing the international personnel performance appraisal process.*

Heine, S. J. (2010). *Cultural psychology. In S. T. Fiske, D. T. Gilbert & G. Lindzey (Eds.), pp. 1423-1464).* New York: John Wiley & Sons.

Heine, S. J., Kitayama, S., Lehman, D. R., Takata, T., Ide, E., Leung, C., et al. (2001). Divergent consequences of success and failure in Japan and North America: An investigation of self-improving motivations and malleable selves. *Journal of Personality*.

Higgins E. T. Pierro A. & Kruglanski A. W. (2008). Re-thinking culture and personality: How self-regulatory universals create cross-cultural differences. In R. M. Sorrentino & S. Yamaguchi (Eds.). *Handbook of Motivation and cognition across cultures*.

Higgins, E. T. (1997). Beyond pleasure and pain. *American Psychologist*, 1280-1300.

Higgins, E. T. (1998). From expectancies to worldviews: Regulatory focus in socialization and cognition. *American Psychological Assosiation*, 243-309.

Higgins, E. T. (1998). *From expectancies to worldviews: Regulatory focus in socialization and cognition.* Washington: 243-309.

Higgins, E. T. (2000). Making a good decision: Value from fit. *American Psychologist*, 1217-1230.

Higgins, E. T. (2000). Making a good decision: Value from fit. *American Psychologist, 55*, 1217-1230.

Higgins, E. T. (2002). How self- regulation creates distinct values: The case of promotion and prevention decision making. *Journal of Consumer Psychology, 12,*, 177-191.

Hofstede, G. (1980). *Culture's consequences: International differences in work-related values.* Beverly Hills.

Hofstede, G. (1991). Empirical models of cultural differences. *Contemprorary issues in cross-cultural psychology*, 4-20.

Hofstede, G., & Bond, M. H. (1988). The Confucius connection: From cultural roots to economic growth. *Organizational Dynamics, Spring*, 4-21.

Huo, Y. P., & von Glinow, M. A. (1995). On transplanting human resource practices to China: A culture-driven approach. *International Journal of Manpower*, 3-15.

Kark, R. &. (2007). Motivation to lead, motivation to follow: The role of the self-regulatory focus in leadership process. *Academy of Management Review*, 500-528.

Kluger, A. N. (1996). The effects of feedback interventions on performance: A historical review, a meta-analysis, and a preliminary feedback intervention theory. *Psychological Bulletin*, 254-284.

Kluger, A. N., & DeNisi, A. (1996). The effects of feedback interventions on performance: A historical review, a meta-analysis, and a preliminary feedback intervention theory. *Psychological Bulletin*, 254-284.

Kurman, J. & Liem, A. G. (2011). *Regulatory focus as an explanatory variable for crosscultural differences in achievement-related behavior.*

Kurman, J., & Hui, C. M. (n.d.). Promotion, prevention or both: Regulatory focus and culture revisited. Online Readings in Psychology and Culture.

Lalwani, A. K.-y. (2009). Motivated response styles: The role of cultural values, regulatory focus, and self-consciousness in socially desirable responding. *Journal of Personality and Social Psychology*, 870-882.

Lee, A. Y., Aaker, J. L., & Gardner, W. L. (2000). The pleasures and pains of distinct self-construals: The role of interdependence in regulatory focus. *Journal of Personality and Social Psychology*, 1122-1134.

Liberman, N., Idson, L. C., Camacho, C. J., & Higgins, E. T. (1999). Promotion and prevention choices between stability and change. *Journal of Personality and Social Psychology, 77*, 1135-1145.

Markus, H. R., & Kitayama, S. (1991). Culture and the self: Implications for cognition, emotion, and motivation. *Psychological Review, 98*.

McFarland, C., & Buehler, R. (1995). Collective self-esteem as a moderator of the frog-pond effect in reactions to performance feedback. . *Journal of Personality and Social Psychology, 68*, 1055-1070.

Mendonca, M., & Kanungo, R. N. (1996). Impact of culture on performance management in developing countries. *International Journal of Manpower*, 65 - 75.

Meyer, H. H. Kay, E. & French, J. R. P. (1965). Split roles in performance appraisal. *Harvard Business Review*, 123-129.

Molden, D. C., Lee, A. Y., & Higgins, E. T. (2008). Motivations for promotion and prevention. In J. Shah & G. W. (Eds.). *Handbook of Motivation Science. New York*.

Ouschan, L., Boldero, J. M., Kashima, Y., Wakimoto, R., & Kashima, E. S. (2007). Regulatory Focus Strategies Scale: A measure of individual differences in the endorsement of regulatory strategies . *Asian Journal of Social Psychology, 10,* , 243-257.

Pham, M. T., & H., C. H. (2010). Regulatory focus, regulatory fit, and the search and consideration of choice alternatives. *Journal of Consumer Research, 37*, 626-640.

Rao, T. V. (2004). *Performance Management and Appraisal Systems: HR Tools for Global Competitiveness.* New Delhi.

Roney, C. J. (1995). Goals and framing: How outcome focus influences motivation and emotion. *Personality and Social Psychology Bulletin* , 1151-1160.

Santelli, A. G., Struthers, C. W., & Eaton, J. (2009). Fit to forgive: Exploring the interaction between regulatory focus, repentance, and forgiveness. *Journal of Personality and Social Psychology, 9*, 381-394.

Schwartz, S. H. (1992). Universals in the content and structure of values: Theoretical advances and empirical tests in 20 countries. In M. P. Zanna (Ed.). *Advances in Experimental Social Psychology Vol. 24. San Diego, CA: Academic Press.*, 1-65.

Seddon, J. (1987). Assumptions, culture and performance appraisal. *Journal of Management Development, 6*, 47-54.

Shah, J., Higgins, E. T., & Friedman, R. S. (1998). Performance incentives and means: How regulatory focus influences goal attainment. *Journal of Personality and Social Psychology, 74*, 285-293.

Smith, P. B., Bond, M. H., & Kağitçibasi, C. (2006). *Understanding social psychology across cultures: Living and working in a changing world. .* London: Sage.

Sully de Luque, M. F., & Sommer, S. M. (2000). The impact of culture on feedback-seeking behavior: An integrated model and propositions. *Academy of Management Review, 25.*, 829-849.

Triandis, H. C. (1995). *Individualism and Collectivism. .* Boulder, CO: Westview.

Van-Dijk, D. &. (2004). Feedback sign effect on motivation: Is it moderated by regulatory focus? *Applied Psychology: An International Review*, 113-135.

Williams, R., Walker, J., & Fletcher, C. (1977). International review of staff appraisal practices: Current trends and issues. . *Public Personnel Management, 6,*, 5-12.

Yi, S., & Baumgartner, H. (2008). Motivational compatibility and the role of anticipated feelings in positively valenced persuasive message framing. *Psychology & Marketing, 25*, 1007-1026.

Yi, S., & Baumgartner, H. (2009). Regulatory focus and message framing: A test of three accounts. *Motivation and Emotion, 33*, 435-443.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

„პოლიტიკის მეცნიერების“ II სემესტრის დოქტორანტი

ლევან აბაშიძე

სადოქტორო სემინარი

კეთილდღეობის სახელმწიფო: წარმოშობა, განვითარების ეტაპები კრიზისი და თანამედროვე გამოწვევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გია ჟორჟოლიანი

თბილისი 2018

შინაარსი (სარჩევი)

შესავალი **3**

თავი 1. კეთილდღეობის სახელმწიფოს წარმოშობა **6**

1.1 კეთილდღეობის სახელმწიფოს საფუძვლები 6

1.2 კეთილდღეობის სახელმწიფოს პირველი წლები 7

1.3 კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარებისა და გაძლიერების პერიოდი 9

თავი 2. ახალი კურსი და ისტორიული კომპრომისი **14**

2.1 კეთილდღეობის სახელმწიფო აშშ-სა და შვედეთში 14

2.2 1945-1975 ოქროს ხანა? 18

2.3 საშუალო კლასის კეთილდღეობის სახელმწიფო 22

თავი 3. კეთილდღეობის სახელმწიფოს კრიზისი და გამოწვევები **24**

3.1 70-იანი წლები და კრიზისის დასაწყისი 24

3.2 ნეოლიბერალიზმი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის კრიზისი 25

3.3 კრიზისის გაგრძელება და კონსესუსის დასასრული? 26

დასკვნა **30**

გამოყენებული ლიტერატურა **34**

შესავალი

გავრცელებული მოსაზრების თანახმად კეთილდღეობის სახელმწიფო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პროდუქტია. თუმცა კეთილდღეობის სახელმწიფო დაახლოებით ას წელზე მეტი ხნისაა და ოდნავ უსწრებს წინ მასიურ სოციალ დემოკრატიულ მოძრაობებს. კონტინენტურ ევროპაში ბისმარკის სახელს, ანგლო–საქსურ სამყაროში კი ის დიდწილად სერ უილიამ ბევერიჯის მიერ სოციალური დაზღვევის შესახებ გაცემული რეკომენდაციების განხორციელებას უკავშირდება, რომელიც ომის შემდგომი ლეიბორისტული მთავრობის პირველი წლებით თარიღდება.

კეთილდღეობის სახელმწიფოები გაჩნდნენ საზოგადოებებში სადაც კაპიტალიზმი და ერი–სახელმწიფოები უკვე კარგად იყვნენ დაფუძნებულები და ეკონომიკური და სახელმწიფო ინსტიტუტების თვალსაზრისით აკმაყოფილებდნენ კეთილდღეობის სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელ საჭიროებებს(Pierson, 1991).

მიუხედავად იმისა რომ კეთილდღეობის სახელმწიფოების უმრავლესობა წარმოიშვა ლიბერალური კაპიტალიზმის ქვეშ ის არ გვაძლევს სახელმწიფოს, ეკონომიკასა და კეთილდღეობას შორის ურთიერთობის ერთიან და ორიგინალურ სურათს. პრე კაპიტალისტური საზოგადოებები აღიარებდნენ განსხვავებულ ხედვებს სოციალურ კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობის მიმართულებით.

ლიბერალური კაპიტალიზმის ადრეული თეორეტიკოსები წარმატებულად ავითარებდნენ შეხედულებას რომ კაპიტალიზმის კანონები შეესაბამება ბუნებით კანონებს და ადამიანების ბუნებრივ ინსტიქტებს. თუმცა მიუხედავად ამ არგუმენტებისა ლიბერალური კაპიტალიზმი იყო არა ბუნებრივად მოსული არამედ ისტორიულად შექმნილი და ხშირად თავს მოხვეულიც კი. პრე–მოდერნული გაგებები სამართლიანი ფასების, სამართლიანი ხელფასების და სამართლიანი რედისტრიბუციის შედეგი იყო ეკლესიის ან სახელწიფოს ექსტერნალური სანქციების(სმითი, რიკარდო 2007).

ეკონომიკური ურთიერთობები სოციალურ და პოლიტიკურ საჭიროებებს ერგებოდა და ყველა წინა საზოგადოება ამ პრინციპის შესაბამისად ფუნქციონირებდა. ამასთანავე შუა საუკუნეების ქველმოქმედების ქრისტიანული იდეა განსხვავებული იყო ინდივიდუალიზმის მაქსიმიზაციის იდეასთან, რომლის ადვოკატირებას ლიბერალური კაპიტალიზმი ახდენდა.

თუკი ჩვენ გადავინაცვლებთ ადრეული კაპიტალიზმის პერიოდზე, ადამ სმითის შეხედულებებზე უფრო მეტად მერკანტილისტები შეიძლება მივიჩნიოთ

კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეის წინამორბედად, რომლის მიმართ სმითი კრიტიკულად იყო განწყობილი რაც განპირობებული იყო განსხვავებული ხედვებით სახელმწიფოს, ეკონომიკისა და კეთილდღეობის შესახებ. მერკანტილისტური დოქტრინის თანახმად სახელმწიფოს ქონდა აქტიური როლი ნაციონალური კეთილდღეობისთვის ხელის შეწყობასა და მშრომელ ღარიბებზე პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, როგორც ნაციონალური სიძლიერისა და სიმდიდრის პრინციპულ წყაროზე.

ლიბერალური კაპიტალისტური შეხედულება, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიმართულებით ლიმიტირებული ფუნქციები აქვს არ მომდინარეობს პრიმორდიარულად სახელმწიფოს ბუნებიდან, არამედ როგორც კარლ პოლანი აღნიშნავდა ის ქმნიდა და სანქციონირებას უკეთებდა ერთგვარ „ლიბერალურ გარღვევას' სახელმწიფოს პრაქტიკაში. სახელმწიფო ინტერვენციაზე უარის თქმა მომდინარეობდა არა „სახელმწიფოს ბუნებიდან" გამომდინარე, არამედ ის იქმნებოდა თანმიმდევრულად, უარის თქმით სახელმწიფო ინტერვენციის წინა პატერნებზე სოციალური კეთილდღეობის მიმართულებით, რადგან პრე მოდერნული სახელმწიფო და მისი ინტერვენცია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მისი მოდერნული ვერსიისაგან(Polanyi 2001).

მეცხრამეტე საუკუნის მინიმალური სახელმწიფო უარს ამბობს ეკონომიკაში ჩარევაზე და კეთილდღეობის გაფართოებაზე. ეს პერიოდი ხასიათდება ლეისე ფეირ(Laissez-faire) ლიბერალური კაპიტალიზმითა და „ღამისგუშაგი" სახელმწიფოთი რომელიც ყურადღების მიღმა ტოვებდა საკითხების ფართო სპექტრს. ქარხნების მუშაობას, საბინაო საკითხს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაზღვევას, საზოგადოებრივი განათლების გაფართოებას, ინდუსტრიული ინციდენტების კომპენსაციას.

სხვადასხვა ქვეყნებში უფრო მეტად პატერნალისტური და აქტიური სახელმწიფო ტრადიცია ყალიბდებოდა, რომელიც სულ უფრო მეტად ზრდიდა საზოგადოებრივი კეთილდღეობის რეგულაციებს. რისი მაგალითიცაა ბისმარკის ინოვაციური კანონმდებლობა ახლად გაერთიანებულ გერმანიაში და დაზღვევის კანონმდებლობა მეცხრამეტე საუკუნის პრუსიაში. ამასთანავე ცალკეული კოლონიური წარსულის ქვეყნები უფრო ადრე ანვითარებდნენ საკუთარ კანონმდებლობას კეთილდღეობის სახელმწიფოს მიმართულებით. ეს კარგად ხსნის კეთილდღეობის სახელმწიფოს ადრეულ და შეუქცევად განვითარებას ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.(Castles 2013).

პრაქტიკულად, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ბევრად ადრე გააჩნდათ ინსტიტუციური შესაძლებლობები საზოგადოებრივი კეთილდღეობის

გასაფართოებლად. არსებობდა კანონები ღარიბების შესახებ, როდესაც ძირითადად ადგილობრივ დონეებზე საჯარო დაწესებულებებს ევალებოდათ აღნიშნული პრობლემის მოგვარება. მთავარი მიზანი იყო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა, მაწანწალების დასჯა და შრომის ბაზრის მენეჯმენტი და არა ღარიბებზე ზრუნვის კეთილშობილური განზრახვა(Pierson 1991).

ინდუსტრიალიზაციის გავრცელებასთან ერთად ქვეყნებმა დაიწყეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარება, სამუშაო პირობების რეგულირება და ლიმიტირებული საზოგადოებრივი განათლების დანერგვა. ეს ქვეყნები დღითი–დღე უფრო ავლენდნენ სურვილს მოეხდინათ საკუთარი მოსახლეობის მეთვალყურეობა და მენეჯმენტი, რისი ერთ–ერთი მექანიზმის წყარო კეთილდღეობის სახელმწიფო გახდა.

თავი I. კეთილდღეობის სახელმწიფოს წარმოშობა

1.1 კეთილდღეობის სახელმწიფოს საფუძვლები

ბევრი ავტორის აზრით საზოგადოებრივი სოციალური დაზღვევის სისტემის განვითარება პირველ რიგში იყო ადმინისტრაციული და პოლიტიკური ინოვაცია, რაც მნიშვნელოვანწილად გახდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის საფუძველი. მიუხედავად ამისა თვისებრივი განსხვავება არსებობს მეცხრამეტე საუკუნის ბიუროკრატიას, რომელსაც სულ რამოდენიმე ათასის ოდენობის თანხა ქონდა ღარიბების დახმარების სერვისების გასაფართოებლად და მოდერნულ სახელმწიფოს შორის, რომელიც თავისი დანახარჯების მასიურ ნაწილს სოციალური კეთილდღეობის გაფართოებისკენ მიმართავს. კრისტოფერ პირსონი გამოყოფს კეთილდღეობის სახელმწიფოს სამ კრიტერიუმს რომლისგანაც მისი საფუძვლები შედგებოდა:

პირველად სოციალური დაზღვევის შემოღება – ეს არის კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარების ფართოდ გავრცელებული ინდიკატორი. ამასთანავე თანამედროვე სტანდარტებით ძალიან მოკრძალებული როგორც მოცულობის ასევე დაფარვის თვალსაზრისით. თუმცა ეს იყო პროგრამები, რომლებმაც განავითარეს კეთილდღეობის სახელმწიფოს ძირითადი ინსტიტუციონალური და ფინანსური ელემენტები.

ამ პერიოდში დაფუძნდა და აღიარებულ იქნა შეხედულება რომ სიცოცხლისთვის საჭირო შემოსავლის გამომუშავების უუნარობა განპირობებული ისეთი მიზეზებით როგორებიც არის ასაკი, ავადმყოფობა ან უმუშევრობა ინდუსტრიული საბაზრო საზოგადოებისთვის ნორმალური მდგომარეობაა და სახელმწიფოს ლეგიტიმური საქმიანობაა, რომ მოახდინოს კოლექტიური ქმედებების ორგანიზება და გაფართოება სოციალური დაზღვევის სახით. რათა მოეხდინა გაუთვალისწინებელი მდგომარეობის გამო დაკარგული შემოსავლის მქონე მოქალაქეების დაცვა და დაზღვევა.

მოქალაქეობის გაფართოება და საზოგადოებრივი კეთილდღეობის დეპაუპერიზაცია – სოციალური დაზღვევის ლეგიტიმაცია ნიშნავდა ცვლილებას სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთებაში და აგრეთვე საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაფართოებას. პირველ რიგში სახელმწიფოს ინტერესი საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიმართულებით ტრადიციული მიზნებისგან შედგებოდა ხელმოკლეობის შემცირება და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა(აღსანიშნავია რომ ეს ძირითადი ელემენტები კვლავ რჩება განვითარებული კეთილდღეობის სახელმწიფოების უმრავლესობაში).

მეორე სოციალური დაზღვევის გაფართოება იწვევდა შეხედულებების ზრდას იმის შესახებ რომ ეს სერვისი არის მოქალაქეების უფლება და სახელმწიფოს მოვალეობა. რაც ქმნიდა სახელმწიფოსა და მოქალაქეობის თვისებრივად ახალ კონცეფციასა და ურთიერთმიმართებას. მესამე საზოგადოებრივი კეთილდღეობის სერვისის მიღება გახდა არა ბარიერი პოლიტიკური მონაწილეობისთვის, არამედ ბენეფიტი სრული მოქალაქეობისთვის. მარტივად რომ ვთქვათ ამ პროცესის შემდგომი ეტაპი იყო მამაკაცების უნივერსალური საარჩევნო ხმის უფლება და ამასთან საზოგადოებრივი კეთილდღეობის დახმარების მიღების შეწყვეტა სრული მოქალაქეობისათვის ბარიერი ხდებოდა.

სოციალური დანახარჯების ზრდა – განვითარებული კეთილდღეობის სახელმწიფოს ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია საზოგადოებრივი ხარჯების დიდი მოცულობა, რომელსაც სახელმწიფო წარმართავს. მეოცე საუკუნის განმავლობაში(1970 წლებამდე) კეთილდღეობის სახელმწიფო იმართებოდა სწრაფად მზარდი პროპორციით, რომელიც ნაციონალური პროდუქტის ზრდის შესაბამისი იყო. ცხადია ეს არ არის ის კრიტიკული ზღურბლი როდესაც კეთილდღეობის სახელმწიფომ ასე ვთქვათ არსებობა დაიწყო, მაგრამ ეს არის ინდიკატორი, კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარების უმნიშვნელოვანესი რაოდენობრივი ასპექტის. პირსონი ნიშნულად იღებს სოციალური დანახარჯების 3 და 5 %იან დონეს მთლიანი შიდა პროდუქტისა, როგორც მიახლოებული რაოდენობა კეთილდღეობის სახელმწიფოს წარმოშობის და განვითარების საწყის ეტაპებზე(Pierson 1991).

1.2 კეთილდღეობის სახელმწიფოს პირველი წლები

ბევრი ავტორი აღნიშნავს რომ საწყის წლებში ქვეყნებს შორის განვითარების საფუძვლები ფართოდ განსხვავებული იყო. ჩვენ შესაძლოა გამოვყოთ თარიღები როდესაც მოხდა საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლების გავრცელება ან პირველად შემოტანილ იქნა სოციალური დაზღვევის სხვადასხვა მექანიზმები. თუმცა ეს პროგრამები ძალზედ განსხვავებული იყო მოცულობით, რაოდენობით და სუბსიდირებით. ამ განსხვავებული სიტუაციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი საერთო ტენდენცია იყო საშემოსავლო გადასახადებებისა და კონტრიბუტორობის გავრცელება.

30 წელს შორის როდესაც გერმანიამ მოახდინა სამედიცინო დაზღვევის ინიციატირება 1883 წელს და პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე 1914 წელს ყველა ქვეყანამ ამერიკისა და კანადის გარდა მოახდინა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პირველადი სისტემის შექმნა რომელიც ახდენდა მუშების კომპენსირებას(Pierson 1991).

ამავდროულად ეს პერიოდი ამერიკაში ითვლება ე.წ. „ინდივიდუალური სახელმწიფოს“ დასასრულის თარიღად. ამავდროულად ცამეტიდან თერთმეტმა ევროპულმა სახელმწიფომ მოახდინა სამედიცინო დაზღვევისა და დახმარების სისტემის შემოღება ცხრა ქვეყანამ კი მოახდინა ასაკოვანი მოქალაქეებისათვის პენსიების დაკანონება (რომელიც უკვე არსებობდა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში). აგრეთვე უმუშევრობის კომპენსაცია იყო უკანასკნელი სოციალური დაზღვევის ოთხი ინიციატივიდან რომელიც შემოღებული იქნა 1920 წელს ათ ევროპულ ქვეყანაში, რამაც გააჩინა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პირველი ფორმები უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლასა და კომპენსირების უზრუნველყოფაში. საოჯახო დახმარება(მრავალშვილიან ოჯახებს და ა.შ.) მიეკუთვნება კეთილდღეობის სახელმწიფოს კანონმდებლობის ე.წ. მეორე თაობას. მეორე მსოფლიო ომამდე მხოლოდ ქვეყნების მესამედმა მოახდინა მისი შემოღება(Flora and Heidenheimer 2009).

მოქალაქეობის გაფართოებასთან დაკავშირებით ძლიერი კავშირი არსებობს მამაკაცების უნივერსალურ საარჩევნო ხმასა და სოციალური დაზღვევის ადრეულ განვითარებას შორის. მეოთხედ საუკუნეში 1894 დან 1920 წლამდე ჩვიდმეტიდან თერთმეტმა სახელმწიფომ მიაღწია მამაკაცების უნივერსალური საარჩევნოს ხმის უფლებას. აღსანიშნავია რომ ის ქვეყნები რომლებმაც პირველად მიაღწიეს მამაკაცების უნივერსალურ საარჩევნო უფლებას (გერმანია, საფრანგეთი, დანია, ახალი ზელანდია) გამოირჩეოდნენ როგორც კეთილდღეობის სახელმწიფოს ინოვატორები. აგრეთვე უნდა აღინიშნოს რომ ახალმა ზელანდიამ რომელმაც „ერთი თაობით“ ადრე უზრუნველყო ქალების საარჩევნო უფლება, ასევე „ერთი თაობით“ ადრე შემოიტანა საოჯახო დახმარებების სისტემა(Flora and Heidenheimer 2009, Castles 2013).

ბევრი ქვეყანა ახდენდა საარჩევნო ხმის უფლების მინიჭების გადავადებას მეოცე საუკუნის დასაწყისამდე, ახორციელებდა რა ღარიბების გამოთიშვას ხმის მიცემისგან. ღატაკებისთვის საარჩევნო ხმის უფლების მიცემამ მნიშვნელოვანი ეფექტი მოახდინა აღნიშნულ პერიოდზე მაგალითად დიდ ბრიტანეთში (1918), ნორვეგიასა (1919) და შვედეთში (1921)(Pierson 1991). ეს არის უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი ტრანზიციისა როდესაც მოხდა გადასვლა საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე როგორც მოქალაქის უფლებაზე. აღნიშნულმა დემოკრატიზაციამ განაპირობა კეთილდღეობის სახელმწიფოს შექმნა.

სოციალური დანახარჯების ზრდის დაკვირვებას აღნიშნულ ადრეულ პერიოდში განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. განსხვავებული ნაციონალური კრიტერიუმები „სოციალური დანახარჯების“ განმარტებაში, ნაციონალური შემოსავლების კალკულაციაში განსხვავებები, სტატისტიკის სიმცირე 1945 წლამდე განაპირობებს იმას რომ დანახარჯების რაოდენობის განსაზღვრა მიახლოებით არის

შესაძლებელი. თუმცა შეიძლება ითქვას რომ გერმანიისა და შვეიცარიის გარდა 1900 წლამდე არცერთ ქვეყანას არ მიუღწევია სოციალური ხარჯების დონის მიხედვით მშპ–ს 3 % –თვის. 1920 წლისთვის ნახევარზე მეტმა მიაღწია ამ ნიშნულს და 1930 წლისთვის ყველამ გადალახა ეს ზღვარი. ამ ქვეყნების მესამედმა 5 % იანი ზღვარი გადალახა 1920 წლებში და მათმა უმრავლესობამ 1930 იან წლებში(Flora and Heidenheimer 2009).

1.3 კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარებისა და გაძლიერების პერიოდი

სოციალური ბიუჯეტის გაფართოების გამოცდილება ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში, გვეხმარება განვაცალკევოთ კეთილდღეობის სახელმწიფოს ყველაზე თანმიმდევრული და დასამახსოვრებელი მახასიათებლები მთელი ამ პერიოდიდან მოყოლებული 1970 წლების შუამდე რომელიც იყო უწყვეტი და დინამიური ზრდის ეპოქა. 1970 წლებისთვის ყველა ის კეთილდღეობის სახელმწიფო რომელსაც ჩვენ განვიხილავთ მნიშვნელოვნად განსხვავებულები იყვნენ პირველი მსოფლიო ომის დასრულების პერიოდისგან.

განსაკუთრებულად განვითარებული კაპიტალისტური საზოგადოებები შეიცვალნენ და ხშირად სწორედ კეთილდღეობის სახელმწიფოს გამო. კეთილდღეობის სახელმწიფოს ძირეული ინსტიტუტები დღეს გაცვეთილად და ბანალურად გვეჩვენება. თუმცა ჩვენ გვავიწყდება ის ტრანსფორმაციის ფართო სკალა რომელიც დამახასიათებელი იყო 1920–1970 წლებისთვის. ამ პერიოდის განმავლობაში ზრდის ტემპი გადიოდა განსხვავებულ ფაზებს და მოიცავდა განსხვავებულ პროგრამებსა და სხვადასხვა ქვეყნებს. კეთილდღეობის სახელმწიფოს გამოცდილების შესახებ საუბარი საკმაოდ რთულია თუმცა განვითარების ეტაპების მიხედვით ერთგვარი გენერალიზაცია შესაძლებელია.

პირველ რიგში აღსანიშნავია სოციალური ბიუჯეტის სწრაფი გრადაცია და შეუქცევადი ზრდა. ფლორასა და ჰეიდენჰეიმერის კვლევის თანახმად 1914 წლისთვის ქვეყნებიდან მხოლოდ შვიდს ქონდა მიღწეული სოციალურ დანახარჯებში მშპ–ს 3 % –ის დონისთვის. 1940 წლისთვის კი უკვე ყველას ქონდა მიღწეული 5 % იანი დონისთვის. ადრეულ 1950 იან წლებში ეს ზღვარი 10 დან 20 % მდე მდე ფიგურირებდა. 1970 წლების შუასთვის კი ევროპული კეთილდღეობის სახელმწიფოს ბიუჯეტების მეოთხედი ან უფრო მეტი სოციალური დანახარჯებისგან შედგებოდა. კეთილდღეობის სახელმწიფოს მიმართ კრიტიკულად განწყობილ ქვეყნებშიც ეს პროცესი შეუქცევად ხასიათს ატარებდა. მაგალითად ამერიკაში სოციალური დანახარკები 2.5 % დან რაც 1890 წლის მაჩვენებელია 20.2 % მდე გაიზარდა უკვე 1981 წელს. იაპონიაში სადაც კეთილდღეობის პროგრამები ძირითადად კერძო კორპორაციების მიერ არის ორგანიზებული და

დაფინანსებული სოციალური დანახარჯები 1.4 % დან (1890) 16.2 % მდე გაიზარდა 1985 წლისთვის(Flora and Heidenheimer 2009).

საზოგადოებრივი ხარჯების ეს დასამახსოვრებელი საერთო ზრდა ბუნებრივია სოციალური ბიუჯეტის ზრდას მიეწერება. მზარდი ნაციონალური სიმდიდრის სოციალური კეთილდღეობისკენ მიმართვამ განაპირობა ის რომ აღნიშნულ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 100 წლის წინანდელთან შედარებით შვიდჯერ გაიზარდა(Pierson 1991).

არსებითი ნაწილი გაზრდილ სოციალურ ბიუჯეტში მიემართებოდა აღიარებული სოციალური უფლებების უზრუნველყოფაში და განსაკუთრებულად პენსიებში რომელიც კანონით იქნა გარანტირებული. ეს იყო დამატებითი და ინერციული განვითარება რომელიც მკვეთრი იყო მიმდინარე დემოგრაფიული ცვლილებების გამო, რაც დამახასიათებელი იყო განვითარებული კაპიტალისტური საზოგადოებების უმრავლესობისათვის.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილება იყო ის რომ მკვეთრად შემცირდა სიკვდილიანობის მაჩვენებელი. მაგალითად ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა 1900 დან 1967 წლამდე 49 დან 74 მდე გაიზარდა (ინგლისი), 47 დან 75 მდე (საფრანგეთი), და 46 დან 73 მდე (დასავლეთ გერმანია)(Pierson 1991). ეს იყო პირდაპირი პოლიტიკური ინტერვენციის შედეგი რაც გულისხმობს პენსიების სისტემის შემოღებას. საარჩევნო მოთხოვნა „პენსიები ახლა“ დამახასიათებელი იყო იმ პერიოდის პოლიტიკური დღის წესრიგისთვის.

შესაძლებელია დემოგრაფიულმა ცვლილებებმა მომავალში უფრო მეტად დაასუსტოს კეთილდღეობის სახელმწიფო, მაგრამ მზარდი ასაკოვანი მოსახლეობა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ღებულობს კეთილდღეობის სახელმწიფოს რესურსების უდიდეს ნაწილს არა მხოლოდ პენსიების სახით, არამედ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებითაც რომელსაც ბუნებრივია ასაკოვანი მოსახლეობა პროპორციულად ყველაზე მეტად იყენებს. 65 წელს ზემოთ მოქალაქეთა რაოდენობა 9.7 % დან 1960 წელს გაიზარდა 12.7 % მდე 1985 წლისთვის და არსებობს ვარაუდი რომ ის გაიზრდება 18 % მდე 2020 წლისათვის. ამასთანავე ამ ასაკში სამედიცინო და სოციალური მომსახურების საჭიროება არის 3–4 ჯერ უფრო მეტი პროპორციულად ვიდრე მთლიან მოსახლეობაზე(Pierson 1991).

სხვადასხვა ქვეყნებში დემოგრაფიული სტრუქტურა განსხვავებულია. მაგალითად მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის არაპროპორციულად ახალგაზრდა სტრუქტურა გააჩნდათ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას. რაც განპირობებული იყო ემიგრანტების ტალღის მიღებით. ხოლო საფრანგეთში სოციალური პოლიტიკის ინიციატივები

განპირობებული იყო ომის შემდეგ შექმნილი დემოგრაფიული ვითარებით(იგულისხმება ჯარისკაცთა პენსიები და სხვა ტიპის დახმარებები). საბოლოო ჯამში ასაკოვანი მოსახლეობის რაოდენობა ინდუსტრიულ საზოგადოებებში გაიზარდა რაც მათი სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდით იყო განპირობებული. 1880 წლებში მოსახლეობის მხოლოდ 5 % ცოცხლობდა 65 წელზე მეტს, ასი წლის შემდეგ კი მათი რაოდენობა 13 % მდე გაიზარდა. რაც აგრეთვე ზრდიდა ამომრჩევლების რაოდენობასაც. დასავლეთ ევროპაში 65 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა 1985 წლის 13.3 % დან 14.9 % მდე გაიზარდა 2000 წელს(Pierson 1991).

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის შეფარდება ეკონომიკურად აქტიურ მოქალაქეებთან რომელიც მუდმივად იზრდება. დამოკიდებული შეფარდებით ადამიანების პროპორცია 0–14 წლამდე პლიუს 60 წელზე მეტი ასაკის 15–59 წლის მოქალაქეებს შორის, განსაკუთრებით დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში ეცემა ახალგაზრდების რაოდენობის შემცირების გამო. თუმცა არსებობს გარკვეული ზრდის ტენდენცია დასავლეთ ევროპაში 59.2 დან 66.8 მდე და ჩრდილოეთ ევროპაში 62.4 დან 64.2 მდე 1900 და 2000 წლებში. დიდი ბრიტანეთის მაჩვენებლებით 1985 წლისთვის არსებობდა 2.3 ეკონომიკური კონტრიბუტორი ერთი პენსიონერის დასაფინანსებლად, როდესაც 2025 წლისთვის ეს მაჩვენებელი 1.8 მდე დაეცემა ერთი პენსიონერის კონტრიბუციისათვის. ივარაუდება რომ აღნიშნული დამოკიდებული შეფარდება კრიტიკულ ზღვარს 2040 წლისათვის მიაღწევს(OECD 1988).

შესაძლებელია ვიფიქროთ დაწინაურებულ კაპიტალიზმში კეთილდღეობის სახელმწიფოების განვითარების არა მხოლოდ თანმიმდევრულ ეტაპებზე, არამედ მათ ისტორიულ პატერნებზეც. თუმცა არ არსებობს ერთიანი პატერნები. მაგალითად ამერიკაში პრობლემა იყო ფედერალურ დონეზე სოციალური დაზღვევის გაფართოება 1935 წლამდე და დღემდე პრობლემურია ჯანდაცვისა და საოჯახო დახმარების სერვისები. სხვა კეთილდღეობის სახელმწიფოები ადრე დაწინაურდნენ და შემდეგ სტაგნაციას განიცდიდნენ (ავსტრალია), როდესაც სხვები ჩამორჩებოდნენ მეორე მსოფლიო ომამდე, მაგრამ 1945 წლის შემდეგ სწრაფად განვითარდნენ. ეს ყურადსაღები ისტორიული პატერნები შეიძლება იდენტიციფირდნენ.

ომებს შორის პერიოდი ხშირად აღიწერება როგორც კეთილდღეობის სახელმწიფოსთვის არაგამორჩეული პერიოდი, რომელიც ინოვაციების რაოდენობით ჩამორჩებოდა წინა 25 წლიან პერიოდს და 1945 წლის შემდგომ გამორჩეულ ზრდას. თუმცა ცალკეული ავტორები ამ პერიოდს განსაკუთრებით ბრიტანეთში ახასიათებენ როგორც მყარი და მიზანმიმართული სოციალური წინსვლის ეტაპს.

1920 და 1930 წლების პერიოდმა მნიშვნელოვნად იმოქმედა ომის შემდგომ განვითარებაზე. დუგლას ეშფორდისთვის ეს არის პერიოდი როდესაც სერიოზული დაბრკოლებები „სოციალური პოლიტიკის სრული ნაციონალიზირებისთვის“ მოიხსნა რამაც განაპირობა კეთილდღეობის სახელმწიფოს ექსპანსია 1945 წლის შემდეგ.

დუგლას ეშფორდი რამოდენიმე მიზეზს გამოყოფს; პირველი როგორც აღმოჩნდა ლიბერალური მეთოდი კერძო და ქველმოქმედების მეშვეობით დახმარების სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა; მეორე კერძო დამზღვევებმა ისწავლეს რომ ბევრი სერიოზული სოციალური პრობლემები სტატისტიკურად აღემატება იმ მოცულობას რომლის დაზღვევაც მათთვის შესაძლებელი იქნებოდა; მესამე პროფესიონალური ჯგუფები ერთიანდებოდნენ ნაციონალურ სოციალური უსაფრთხოების პროგრამებში; მეოთხე სასოფლო სამეურნეო სექტორმა პირველად მიიღო დახმარება სახელმწიფოსგან, მანამდე არსებითი დახმარება მხოლოდ ურბანული ბინადრებისკენ მიემართებოდა(Ashford 1986).

ბრიტანეთში, შვედეთსა და ამერიკაში ეს არის გადამწყვეტი ეპოქა იმ ინსტიტუტებისა და პრაქტიკების დამკვიდრებისთვის, რომლისთვისაც დამახასიათებელია სახელმწიფოს უფრო მეტად ინტერვენცული ფორმა და რომელსაც დაეფუძნა ომის შემდგომი კეთილდღეობის სახელმწიფო. მთავრობამ აგრეთვე აირჩია ეკონომიკის მაკრომენეჯმენტის ახალი ფორმა რაც გულისხმობდა აქტიურ ჩარევას სრული დასაქმების მისაღწევად.

ტას მიდლმასი თავის ნაშრომში „პოლიტიკა ინდუსტრიულ საზოგადოებაში“ ამტკიცებს რომ ომის შუა პერიოდის წლები იყო „კოლექტიური მთავრობის მენეჯმენტის“ ახალი სისტემის ჩამოყალიბების პერიოდი როდესაც დიდ ბრიტანეთში პირველად მოლაპარაკებებისა და კომპრომისის გზით მოხდა სახელმწიფოს, ორგანიზებული კაპიტალისა და ორგანიზებული შრომის ინტერესების შეჯერება. ეს სისტემა ორიენტირებული იყო კლასობრივი კონფლიქტის გაქრობაზე და სისტემური კრიზისის თავიდან აცილებაზე სოციალური პოლიტიკის განვითარების მეშვეობით(Middlemas 1979). როგორც ჩვენ მალე დავინახავთ შვედეთსა და ამერიკაში დიდმა დეპრესიამ 1930 იანი წლების დასაწყისში განავითარა მთავრობის ინტერვენციის ახალი ფორმები სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, ახალი ტიპის ურთიერთობები სახელმწიფოს, დამსაქმებლებსა და პროფესიულ კავშირებს შორის. პოლიტიკური გარდაქმნის პროცესი რამაც ახალი პოლიტიკური ძალები მოიყვანა და დააფუძნა სახელმწიფო მმართველობაში.

უმეტეს ქვეყნებში ეს პროცესი მსოფლიო ომის შედეგებმა დააჩქარა. პირველი საჭირო გახდა მილიონობით ომში დახეიბრებული ან დაობლებული მოქალაქეების აღჭურვა

პენსიით, სამედიცინო მომსახურებით, ბინათმშენებლობით და რეაბილიტაციის სხვადასხვა საჭიროებებით. მეორე ამ ვითარებამ განაპირობა რომ პოლიტიკოსებმა, ბიუროკრატებმა და გადასახადების გადამხდელებმა უზრუნველყეს ახალი დონე საზოგადოებრივი დანახარჯებისა, რათა მოეხდინათ ომის შემდგომი საჭიროებების დაფინანსება; მესამე საჭირო გახდა მთავრობის კონტროლისა და ადმინისტრირების ახალი ფორმები რომელიც ომის შემდგომ პერიოდშიც არ იქნა უარყოფილი(Pierson 1991).

1920 წლების ბოლოსა და 1930-ები დასაწყისში შეინიშნება ვითარება რასაც შეიძლება კეთილდღეობის სახელმწიფოს პირველი ფისკალური კრიზისი ვუწოდოთ. 1930 იანი წლების რეცესიის მოცულობამ გამოიწვია სოციალური კეთილდღეობის მიმართულებით პირველი შეკვეცები და გამოაჩინა რომ შეუძლებელია სოციალური დაზღვევის სრული საჭიროებების დაკმაყოფილება ეკონომიკური რეცესიის გარემოებების პირობებში. ეს ვითარება მოითხოვს რომ სოციალური ხარჯები(განსაკუთრებით უმუშევრობის კომპენსაცია) იყოს პროპორციული იმ ეკონომიკისა რომელიც აფინანსებს აღნიშნულ სერვისებს და ასევე პრობლემაზე რეაგირების სახით სოციალური დანახარჯების შემცირებამ შესაძლოა კიდევ უფრო ინტენსიური გახადოს და არ შეამციროს ეკონომიკური პრობლემები. 1930 იანი წლების ეკონომიკურმა სირთულეებმა მთავრობები საბოლოოდ დაარწმუნა რომ სოციალური კეთილდღეობის გაფართოება ან სიღარიბის შემცირება შეუძლებელი იქნებოდა მხოლოდ მოხალისეობრივი ან ქველმოქმედების გზის მეშვეობით.

თავი II. ახალი კურსი და ისტორიული კომპრომისი

2.1 კეთილდღეობის სახელმწიფო აშშ-სა და შვედეთში

1930 წლები გადამწყვეტი პერიოდი იყო ორი ყველაზე გამორჩეული და ხშირად კონტრასტული კეთილდღეობის სახელმწიფოს რეჟიმის განვითარებისთვის. საუბარია შვედეთსა და ამერიკაზე. კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარების შედარებით ტიპოლოგიაში ეს ორი მაგალითი მიიჩნევა როგორც ყველაზე განვითარებული (შვედეთი) და ნაკლებად განვითარებული(ამერიკა) კეთილდღეობის სახელმწიფოები.

ირონიულია რომ მოდერნული შვედური და ამერიკული კეთილდღეობის სახელმწიფოების წარმოშობა იყო პასუხი დიდი დეპრესიის შემდგომი შედეგების, რომლებიც მნიშვნელოვნად საერთო იყო. ამ პერიოდში იკვეთება ამერიკის კომერციული კეინზიანიზმი, შვედეთის სოციალური კეინზიანიზმი და ბრიტანეთის მთავრობის ტრადიციული დეფლაციური პოლიტიკა. გოსტა ესპინგ ანდერსენი ამტკიცებს რომ თავის ადრეულ ფორმულირებაში ახალი კურსი(New Deal) ისეთივე სოციალ დემოკრატიული იყო, როგორც თანამედროვე სკანდინავიური სოციალ დემოკრატია. ორივე ქვეყანაში ამ პერიოდში მოხდა პოლიტიკური შეთანხმება კეთილდღეობის სახელმწიფოს გაფართოებასთან დაკავშირებით, რომლის განხორციელება დემოკრატებსა და სოციალ დემოკრატებს უნდა მოეხდინათ(Esping-Andersen 1990). თუმცა ინსიტუტები რომლებიც უნდა განვითარებულიყო და ინიცირებული გეგმები განსხვავებული იყო.

ამერიკის კეთილდღეობის სახელმწიფოს შესახებ ბევრი მითი არსებობს, რომ ის პატარაა და არ არსებობდა საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფა 1930 წლებამდე. ამერიკის კეთილდღეობის სისტემის პრაქტიკას დიდი ხნის ისტორია აქვს თუმცა ის ყოველთვის დაკავშირებული იყო ამერიკული ფედერალიზმის კომპლექსურ სტრუქტურასთან და უფრო მეტად ადგილობრივ დონეებზე გვხვდება. ამასთან კეთილდღეობის კერძო და განსაკუთრებით კორპორაციული უზრუნველყოფა ამერიკაში ყოველთვის წამყვან როლს ასრულებდა(Pierson 1991) .

1935 წელს მიღებულ იქნა სოციალური უსაფრთხოების აქტი, რომელიც ფაქტობრივად აცხადებდა ამერიკული კეთილდღეობის სახელწმიფოს დაბადებას და ქმნიდა ბაზისს მისი შემდგომი ზრდისა და განვითარებისათვის. 1935 წლის აქტს კანონის სახით შემოჰქონდა:

ფედერალური–სახელმწიფო უმუშევრობის დაზღვევის პროგრამა

ფედერალური გრანტები და დახმარებები სახელმწიფოსგან; ა) მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებს; ბ) ბრმებს; გ) ხანშიშესულებს.

შესაბამისი ფედერალური ფონდები სახელმწიფო ხარჯებისათვის; ა)პროფესიული გადამზადებისთვის; ბ) ჩვილებისა და დედების ჯანდაცვა; გ) დახმარება ხეიბარი ბავშვებისათვის.

ფედერალური პროგრამა ასაკოვანთა დაზღვევისათვის(The Social Security Act of 1935)

მიუხედავას იმისა რომ 1935 წლის აქტით ამერიკამ სწორება აიღო დასავლეთ ევროპის კეთილდღეობის სახელმწიფოებზე, ის კვლავაც ლიმიტირებული ინიციატივა იყო. სიღარიბის შემცირება კვლავ რჩებოდა ადგილობრივი და არა ფედერალური დონის პასუხისმგებლობად, ამასთან კანონმდებლობაში არ შესულა სამედიცინო დაზღვევა და ოჯახური დახმარების სერვისები.

1930–იანი წლები მთავარი ცვლილებების დეკადაა შვედური კეთილდღეობის სახელმწიფოსთვის და აგრეთვე უფრო ღრმა და მყარი პოლიტიკური შეთანხმების ვიდრე ახალი კურსი იყო ამერიკაში. შვედეთში არსებობდა ნაციონალური საზოგადოებრივი კეთილდღეობის უფრო ფართო სისტემა ვიდრე ამერიკაში. შვედეთს ყავდა უფრო განვითარებული ბიუროკრატია და ცენტრალიზებული სახელმწიფო ტრადიცია, რომელიც რამოდენიმე საუკუნეს ითვლიდა. სასკოლო განათლება სავალდებულო იყო 1842 წლიდან, სახელმწიფო მხარდაჭერით ავადმყოფობისა და საწარმოო ტრავმების დაზღვევა კანონის სახით მიღებულ იქნა მეოცე საუკუნემდე და შვედეთი იყო პირველი ქვეყანა სადაც უნივერსალური და სავალდებულო პენსია შემოღებულ იქნა 1913 წელს. 1930 წლებისთვის შვედეთის სოციალური დანახარჯები მშპ–ს 7 % ს შეადგენდა(Pierson 1991).

მიუხედავად ამისა შვედეთი განვითარებით ჩამორჩებოდა თავის მეზობელ დანიას, როგორც ესპინგ ანდერსენი აღნიშნავს; ლიბერალების და კონსერავტორების მმართველობის გრძელმა პერიოდმა 1932 წლამდე მცირე რაოდენობის სოციალური რეფორმები გახადა შესაძლებელი. არ არსებობდა უმუშევრობის დაზღვევა, მხოლოდ ფინანსურად სუსტი პროფკავშირის ფონდების გარდა, დაზღვევის მოცულობა ავადმყოფებისათვის არასაკმირისი იყო ისევე როგორც პენსიების მოცულობა . აგრეთვე არ არსებობდა დასაქმების სააგენტოები იმ პირობებში როდესაც ეკონომიკური დეპრესია უმუშევრობას ზრდიდა(Esping-Andersen 1990).

ამ ვითარებაში როდესაც უმუშევრობა სწრაფად იზრდებოდა 1932 წელს შვედეთში პირველად იქნა არჩეული სოციალ დემოკრატიული მთავრობა. სოციალ დემოკრატები საარჩევნო ხმების 42 % ით და აგრარული პარტიის კოალიციური მხარდაჭერით

თავდაჯერებულები, ცდილობდნენ საკუთარი მუშათა კლასის ამომრჩევლების ინტერესების(კეთილდღეობის საელწმიფოს რეფორმა და სრული დასაქმება) და სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მაღალი ფასების მხარდაჭერას (კოალიციური პარტნიორებისათვის). სოციალური რეფორმები მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა და პარტია ცდილობდა განევითარებინა გრძელ ვადიანი სტრატეგია სოციალური და ინდუსტრიული რეფორმებისათვის. რაც დიდ პოლიტიკურ ენერგიას, კრიზისების მენეჯმენტსა და ეკონომიკურ განვითარებას მოითხოვდა.

აუცილებელი იყო შეთანხმების მიღწევა ხელისუფლებაში ახლად მოსულ სოციალ დემოკრატებსა და ორგანიზებულ კაპიტალს შორის. თუკი ტრადიციული მაქსიმალისტური სოციალისტური პოლიტიკა კაპიტალის მფლობელობის სოციალიზაციისკენ მიისწრაფვის, სოციალ დემოკრატები აღიარებენ ჩიხის არსებობას ორგანიზებულ შრომასა და კაპიტალის ინტერესებს შორის, რის გამოც ისინი ირჩევენ მოახდინონ პოლიტიკური და ეკონომიკური კონტროლის ფორმალიზაცია.

„ისტორიული კომპრომისი“ შედგებოდა შეთანხმებისგან რომ კაპიტალს უნდა ეზრუნა საკუთარი მენეჯერული პრეროგატივების განვითარებაზე სამუშაო ადგილების კეთილმოწყობაზე, პროფესიულ გაერთიანებებში მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფაზე და შეუქცევად ეკონომიკურ ზრდაზე. მაშინ როდესაც სოციალ დემოკრატიული მთავრობა თავის თავზე იღებდა კეინზიანური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას სრული დასაქმების მისაღწევად. იყენებდა პროგრესულ გადასახადებს უთანასწორობის შესამცირებლად და კოლექტიური საჭიროებების უზრუნველსაყოფად, როგორებიცაა განათლება, ჯანდაცვა და საბინაო უზრუნველყოფა.

ომის შემდეგ როდესაც კეთილდღეობის ინსტიტუტებს და სრულ დასაქმებას ინფლაცია და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის დაკარგვის საფრთხე დაემქურა კომპრომისი განახლებულ იქნა ე.წ. რენის მოდელის დამატებით რაც ნიშნავდა; ა) აქტიური სამუშაო ძალის პოლიტიკას; შრომისა და კაპიტალის გადანაწილებასა და გადაადგილებას ნაკლებიდან უფრო მეტად ეფექტურ საწარმოებსა და ინდუსტირებში და ბ)სოლიდარული ხელფასების პოლიტიკას რომელსაც უნდა შემოეღო პრინციპი თანაბარი ანაზრაურება თანაბრი შრომისათვის(Pierson 1991). ეს მიდგომა მიზნად ისახავდა ცხოვრების სტანდარტების აწევას მუშებისათვის რაც მოახდენდა არა-ინფლაციურ ეკონომიკურ ზრდას.

1930 იანი წლებიდან და შემდეგ შვედური კეთილდღეობის სახელმწიფო დაცული იყო ეკონომიკური პოლიტიკით, რომელიც მოიცავდა აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის მხარდაჭერას, საჯარო სამსახურებს, სოლიდარულ სახელფასო ხელშეკრულებებს, დეფიციტურ ბიუჯეტს. შვედი სოციალ დემოკრატები ყოველთვის ცდილობდნენ ახლო

კავშირი ყოფილიყო ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკებს შორის, აქედან გამომდინარე გაჩნდა ერთგვარი ტერმინი კეინზიანური კეთილდღეობის სახელმწიფო. სამუშაოს შექმნა ან სრული დასაქმება უფრო სასურველი ალტერნატივაა ვიდრე უმუშევრობის კომპენსაციები. ეკონომიკური პოლიტიკა აგრეთვე უნდა იყოს აუცილებელი ბაზისი კეთილდღეობის სახელმწიფოს სისტემის.

1930 იანი წლების შვედეთში კეთილდღეობის სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომქმნელი კომპონენტი შესაძლოა კეინზიანური ეკონომიკური პოლიტიკა უფრო იყო ვიდრე სოციალურ პოლიტიკაში ინოვაციები. მიუხედავად იმისა რომ ასევე აღსანიშნავი იყო მნიშვნელოვანი ინიციატივები სოციალური პოლიტიკის მიმართულებით. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1934 წლის კანონი რომელმაც გაზარდა სახელმწიფოს ჩართულობა უმუშევრობის დაზღვევის სისტემაში, რასაც ადრე პროფკავშირები კურირებდნენ. 1933 დან 1938 წლამდე სოციალ დემოკრატებმა ასევე კანონის სახით შემოიღეს;

სამუშაოს შექმნის ახალი პროგრამები

ბინით უზრუნველყოფის პროგრამა მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, რაც აგრეთვე მოიცავდა სუბსიდიებს მშენებლობის სესხებისათვის

პენსიების ინდექსიზაცია ცხოვრების დონის რეგიონური განსხვავებების მიხედვით

დედებისათვის დახმარებები რაც მთლიანობაში დედების 90 % ს მოიცავდა

მშობიარობისა და წინა პერიოდის უფასო სერვისს

სახელმწიფო სესხებს ახლად დაოჯახებული წყვილებისთვის

ორკვირიანი არდადეგები ყველა საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულისათვის(Olsson 1991)

ომის შუა პერიოდში სხვა ქვეყნებსაც მნიშვნელოვანი განვითარება ქონდათ კეთილდღეობის სახელმწიფოს თვალსაზრისით. დანიის 1933 წლის დიდი სოციალური რეფორმა დანიის კეთილდღეობის სახელწმიფოსთვის ფუნდამენტურ ადმინისტრაციულ ჩარჩოდ რჩებოდა მეოთხედი საუკუნის მანძილზე. ახალი ზელანდია რომელმაც პირველად მიიღო საყოველთაო საპენსიო სისტემა 1898 წელს და პირველად შემოიღო ასევე ოჯახური შემწეობები 1926 წელს. უკვე 1938 წელს იღებს სოციალური უსაფრთოების აქტს რაც ზელანდიას აქცევს იმ პერიოდისათვის ყველაზე უფრო განვითარებულ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოდ მსოფლიოში. რაც ნიშნავს რომ ახალი ზელანდიის სისტემა მოიცავდა ყველა სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხს(Esping-Andersen 1990).

ბრიტანეთში სოციალურ პოლიტიკაში დომინირებდა უმუშევრობის თემა თუმცა უფრო ნაკლები მიღწევები იყო ბინათმშენებლობის, ჯანდაცვის, განათლების და პენსიების მიმართულებით. შეიძლება ითქვას რომ ბრიტანეთში კრეატიული იმპულსები კეთილდღეობის სახელმწიფოს პროგრესის მიმართულებით 1910–1940 წლებში პატარა იყო. განსხვავებული შეხედულებები არსებობს ე.წ. ბევერიჯის რეკომენდაციებზეც, მისი სრული დასაქმებისა და ნაციონალური ჯანდაცვის სერვისის იდეა უფრო რადიკალური და ინოვაციური იყო ვიდრე მისი ფუნდამენტურად კონსერვატიული წინადადებები სოციალურ დაზღვევაზე.

რაც შეეხება გერმანიასა და იტალიას აქ 1930 – იან წლებში სოციალური პოლიტიკის პატერნები ფაშიზმის კორპორატისტული ინსტიტუტების მეშვეობით და გავლენით ვითარდებოდა.

2.2 1945–1975 კეთილდღეობის სახელმწიფოს ოქროს ხანა?

თუკი ომის შუა წლები კონსოლიდაციის პერიოდად არის მიჩნეული, 1945 წლის შემდეგ 30 წლიანი მონაკვეთი ფართოდ არის დახასიათებული როგორც „კეთილდღეობის სახელმწიფოს ოქროს ხანა“. 1945 წლიდან 1970 წლების შუამდე პერიოდმა მოიტანა;

1. სწრაფი თავდაპირველი რეფორმები უფრო მეტად საყოველთაო და უნივერსალური კეთილდღეობის სახელმწიფოს შესაქმნელად, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა გაზიარებული მოქალაქეობის იდეაზე;

2.პირდაპირი ვალდებულება რესურსების გაზრდისა, ბენეფიტებისა და მისი მოქმედების სფეროს სწრაფი გაფართოების შესაბამისად;

3.ფართო პოლიტიკური კონსესუსი შერეული ეკონომიკისა და ფართოდ განვრცობილი სოციალური კეთილდღეობის სისტემის უპირატესობის შესახებ;

4. წარმატებული ეკონომიკური ზრდა და სრული დასაქმება(Pierson 1991).

ომის შემდგომი კეთილდღეობის სახელმწიფოს ევოლუცია დიდწილად დამოკიდებული იყო ბრიტანულ გამოცდილებაზე. მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა განაპირობა ის რომ გაიზარდა მთავრობების ძალაუფლება და კომპეტენცია. კოლექტიური უზრუნველყოფის ახალმა ფორმებმა განავითარა მოქალაქეებში სოლიდარობის მაღალი ხარისხი, რომელიც რადიკალურ რეფორმებისკენ ისწრაფვოდა. აგრეთვე ბევერიჯის მიერ წამოყენებული რეფორმები და ომის შემდგომ არჩეული ლეიბორისტული მთავრობა და სხვა განვითარებები აჩენდა კომპრომისის აუცილებლობას კაპიტალსა და

შრომას შორის, რომელშიც კეთილდღეობის სახელმწიფო საკვანძო ფუნქციას ასრულებდა.

თუმცა არსებობს კრიტიკული შეხედულებები ომის შემდგომი ბრიტანული კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარების შესახებ; პირველი, მეორე მსოფლიო ომის ეფექტები სოციალური პოლიტიკის განვითარებაში არ არის ცალსახა. მეორე ბევერიჯის სოციალური რეფორმები არ წარმოადგენდა სოციალური წესრიგის რადიკალურ ცვლილებას, არამედ ის იყო მხოლოდ ომამდელი სოციალური კანონმდებლობის დახვეწა და მესამე ომის შემდგომი კონსესუსი არასდროს არ არსებული ან გაცილებით უფრო ლიმიტირებული იყო ვიდრე ამას ტრადიციულად სოციალ დემოკრატები მიიჩნევენ.

აღსანიშნავია რომ 1948 წელს გაეროს მიერ მიღებულ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში 40 მუხლში მოხსენიებულია რომ თითოეული ადამიანის უფლებაა ქონდეს ღირსეული ცხოვრების პირობები, სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდოომობა, თავშესაფრის უფლება, პენსია. უმუშევრობის დაზღვევა და სხვა სოციალური უსაფრთხოების სერვისებზე ხელმისაწვდომობა(Universal Declaration of Human rights 1948).

1930 იანი წლების დასავლეთ ევროპაში მუშების მხოლოდ ნახევარს ქონდა საწარმოო ტრავმების, ინვალიდობისა და უფროსი ასაკის დაზღვევა. 1970 წლებისთვის მუშების 90 % იყო დაზღვეული საწარმოო ტრავმებისგან, ხოლო 60 % ზე მეტს უმუშევრობის დაზღვევა ქონდა. სოციალური უსაფრთხოების დანახარჯების წლიური ზრდა რომელიც 1950 იან წლებში 0.9 % ს შეადგენდა 3.4 % მდე გაიზარდა 1970 იან წლებში. რაც უკვე ნიშნავდა რომ მშპ–ს 10 % ნიშნულიდან უკვე მეოთხედთან მიახლოებულ პროცენტს 1970–იანი წლებისთვის(Flora and Heidenheimer 1981).

ომის შემდგომი ახალი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური წესრიგი დაფუძნებული იყო შემდეგ მიმართულებებზე;

1. კეინზიანური ეკონომიკური პოლიტიკა სრული დასაქმება და ეკონომიკური ზრდა ქვეყნის შიგნით, რომელიც შეესაბამებოდა საერთაშორისო ლიბერალური კაპიტალიზმის საბაზრო პარამეტრებს;

2. მეტად ან ნაკლებად ინსტიტუციონალიზებული კეთილდღეობის სახელმწიფო;

3. ფართო შეთანხმება მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს, შრომასა და კაპიტალს შორის რომ ძირითადი სოციალური ინსტიტუტები საბაზრო ეკონომიკა და კეთილდღეობის სახელმწიფო ხელშეუხებელი იქნებოდა.

ეს ლიბერალ დემოკრატიული თუ სოციალ დემოკრატიული ინსტიტუტები იყო საუკეთესო გარანტია ორივე როგორც ეკონომიკური კრიზისების ისე პოლიტიკური პოლარიზების დასაძლევად. ომის შემდგომი კონსესუსი ორი მიმართულებით არსებობდა. კონსესუსი კლასებს და პოლიტიკურ პარტიებს შორის.

კლასის დონეზე კონსესუსი მოიცავდა შრომის მხრიდან ეკონომიკის სოციალიზაციისკენ ტრადიციულ სწრაფვაზე უარის თქმას და ასევე „კლასობრივი ბრძოლის" იდეოლოგიის და პრაქტიკის უარყოფას. კაპიტალისთვის ნიშნავდა სრული დასაქმების ვალდებულების მიღებას, სტრატეგიული კომუნალური მომსახურეობების საზოგადოებრივ მფლობელობას და კეთილდღეობის სახელმწიფოს მხარდაჭერას.

შრომაც და კაპიტალიც იზიარებდნენ საერთო მიზანს რაც უწყვეტ ეკონომიკურ ზრდაში მდგომარეობდა. ეს კომპრომისი ხორციელდებოდა სახელმწიფოს ყოვლისმომცველი თანამონაწილეობით, რომელიც ახდენდა ურთიერთობების კოორდინირებას პროფკავშირებსა და დამსაქმებლებს შორის, ახორციელებდა ხელისშემწყობ ღონისძიებებს ეკონომიკური ზრდისთვის და ახდენდა კეთილდღეობის სახელმწიფოს ადმინისტრირებას.

პარტიულ ფორმაში კონსესუსი შეიცავდა ფართო შეთანხმებას პოლიტიკური პროცესის კონსტიტუციურ წესებზე. როგორც მემარჯვენე ისე მემარცხენე ექსტრემიზმის მარგინალიზაციას, კომპრომისის და შეთანხმების პოლიტიკური სტილის დანერგვას, წინამორბედების კანონმდებლობის განგრძობადობას რომელიც მოიცაცდა ორგანიზებული შრომის, კაპიტალისა და კეინზიანური ეკონომიკის საკითხებს(Kavanagh 1989).

საგარეო დონეზე არსებობდა ღია საერთაშორისო ბაზარი და დასავლური მსოფლიოს კოლექტიური დაცვის ვალდებულება ამერიკის ლიდერობით. საშინაო დონეზე კი 1.საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარება; 2. შერეული ეკონომიკის მხარდაჭერა კერძო და საჯარო საწარმოების თანაარსებობით; 3. სრული დასაქმებისა და უწყვეტი ზრდისკენ მიმართული ეკონომიკური პოლიტიკა(Kavanagh 1989).

კონსესუსი ყოველთვის აღიარებული იყო როგორც პოზიტიური და არა ნულოვან–ჯამოვანი თამაში. სადაც არ არსებობდა ერთი გამარჯვებული და ერთი დამარცხებული. ეკონომიკური ზრდისა და სრული დასაქმების ვალდებულება როგორც ორგანიზებულ შრომას ისე კაპიტალს აძლევდა მოგებისა და საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას.

ეკონომიკური ზრდა ტრადიციული კეთილდღეობის სახელმწიფოს შეუნაცვლებელ საფუძველს წარმოადგენდა. ის წარმოადგენდა კეინზიანური პოლიტიკის ბაზისს

რომელიც ახდენდა კაპიტალის წაქეზებას ინვესტირებისთვის, ეკონომიკური აქტივობის წახალისების მხარდაჭერას სრული დასაქმების მხარდაჭერით და რესურსების წყაროს მოძიებით გაზრდილი დანახარჯებისთვის როგორებიცაა; ჯანდაცვა, განათლება, კეთილდღეობა და სოციალური სერვისები. ეკონომიკური ზრდა ახდენდა დაპირისპირებული ინტერესების გაერთიანებას შრომასა და კაპიტალს შორის. აღსანიშნავია ისიც რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს ოქროს ხანის პერიოდი ასევე ხასიათდება საერთაშორისო მასშტაბით პერიოდად როდესაც ხდებოდა საერთაშორისო კაპიტალისტური ეკონომიკის უპრეცენდენტო ზრდა.

შვიდი ქვეყნიდან მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა 1950 წლების 4.4 % დან გაიზარდა 5.5 % მდე 1960–1973 წლებში. თუმცა არსებობდა არსებითი ვარიაცია ზრდებს შორის. დიდი ბრიტანეთი ცდილობდა მიეღწია 3 % იანი ზრდისთვის ყველაზე მზარდი ექსპანსიის წლებში, მაშინ როდესაც ყველაზე დასამახსოვრებელი იაპონიის ზრდა ამ პერიოდისთვის 10 % ს შეადგენდა. იგივე 60 იან წლებში განვითარებადმა ეკონომიკებმა სამხრეთში ესპანეთმა, პორტუგალიამ საბერძნეთმა და თურქეთმა 6 % იან ზრდას მიაღწიეს. 1973 წლის შემდეგ ჩვენ ვხედავთ კონტრასტულ სურათს როდესაც საშუალო ეკონომიკური ზრდა ნახევრდება. ამ პერიოდში ინფლაცია ხდება სერიოზული პრობლემა და 1974 წლისთვის 14 % ს აღწევს(OECD 1966).

დასაქმების პარალელურ მაჩვენებლებს რაც შეეხება, უწყვეტი და დაბალი ინფლაციური ეკონომიკური ზრდის პერიოდი ბუნებრივია დაბალი უმუშევრობის მაჩვენებლით ხასიათდება. 1950 დან 1967 წლამდე შვიდი წამყვანი ქვეყნის მაჩვენებლებით უმუშევრობა 2.8 % შეადგენდა,მაშინ როცა შედარებითვის 1930 იან წლებში დიდი დეპრესიის დროს ეს მაჩვენებელი 13 % ს შეადგენდა. 60 იან წლებში უმუშევრობის შედარებით მაღალი მაჩვენებელი შეიმჩნეოდა ამერიკასა და იტალიაში ყველა სხვა ქვეყანაში საშუალო მაჩვენებელი 2 % ია. ვხედავთ რომ სიტუაცია უარესდება 70 იან წლებში როდესაც უმუშევრობა ორმაგდება ხოლო პიკს აღწევს 1983 წელს ჯამური 8.5 % ით. ეს პერიოდი ასევე ხასიათდება ახალგაზრდების უმუშევრობის და გრძელ ვადიანი უმუშევრობის ზრდით. ბრიტანეთში მაგალითად ახალგაზრდების უმუშევრობამ 1983 წელს 23.4 % ს მიაღწია. ხოლო უმუშევრობაში მათმა რაოდენობამ ვისაც წელზე მეტია სამსახური არ ქონდა 40 % ს გადააჭარბა. მთლიანობაში უმუშევრობის მაჩვენებლი ადრეულ 80 იან წლებში მიუახლოვდა 30 წლების ყველაზე უარეს ნიშნულს(Pierson 1991, OECD).

1950 და 1960 იანი წლები ხასიათდება უწყვეტი ზრდითა და სრული დასაქმებით, რომელიც კონტრასტულია არა მხოლოდ ომის წინა კრიზისთან, შედარებით არამედ 1973 წლის შემდგომი პერიოდისთვისაც. უწყვეტი ეკონომიკურ ზრდა კოორდინირებული

იყო ეროვნული პროდუქტის ზრდის პროპორციასთან, რომელიც მიემართებოდა სოციალური დანახარჯებისკენ.

2.3 საშუალო კლასის კეთილდღეობის სახელმწიფო

კეთილდღეობის სახელმწიფოს სწრაფი ზრდის პროცესში ორი სოციალური და პოლიტიკური კონსესუსი ნაკლებ ყურადღებას იქცევს ხოლმე. პირველი სოციალური ბიუჯეტის ზრდამ ერთგვარი უნივერსალიზაცია მოახდინა კეთილდღეობის სახელწმიფოს მხარდაჭერების. ტომასონი კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარების სამ მახასიათებელ ფაზას გამოყოფს. პირველი სოციალური კეთილდღეობა პირველ მსოფლიო ომამდე დაკავშირებული იყო ღარიბების პოლიტიკურ უფლებებთან, ომებს შორის სოციალური კეთილდღეობა იქცა უმეტესად პოლიტიკურად მემარცხენეების საშუალებად ღარიბების უფლებებისთვის საბრძოლად და მესამე ეტაპი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ როდესაც სოციალური კეთილდღეობა ხდება როგორც მემარჯვენეების ისე მემარცხენეების თემა მაგრამ ამჯერად უკვე არა მხოლოდ ღარიბებისთვის.

მიუხედავად იმისა რომ ომის შემდგომი კეთილდღეობის სახელმწიფო პირველ რიგში საზოგადოების ყველაზე ღარიბი ნაწილის ინტერესებს გამოხატავდა. ყველგან და ყოველთვის საზოგადოების არა ღარიბი ნაწილი საკვანძო როლს თამაშობდა კეთილდღეობის სახელმწიფოს შექმნაში, გაფართოებაში, განვითარებაში, რეფორმირებასა და მის დემონტაჟშიც.

საშუალო კლასის მონაწილეობა ერთ–ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს კეთილდღეობის სახელმწიფოს ევოლუციაში. კეთილდღეობის სახელმწიფოს ექსპანსიამ ომის შემდეგ ბენეფიტები საშუალო კლასისკენ გადახარა როგორც მომხმარებლების თვალსაზრისით, როდესაც მიიღეს ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე, განათლებაზე, ბინით უზრუნველყოფაზე, ტრანსპორტზე. მომსახურებებზე რომლებითაც ღარიბებზე მეტად საშუალო კლასი სარგებლობდა. ასევე როგორც პროვაიდერებმა როდესაც იზრდებოდა პროფესიული დასაქმების შესაძლებლობა საჯარო სექტორში. რითაც ასევე ყველაზე მეტად საშუალო კლასი სარგებლობდა(Goodin and Le Grand 1987).

მეორე ძირითადი შედეგი კეთილდღეობის სახელწმიფოს განვითარების იყო რადიკალური ცვლილებები სამუშაო ძალის კომპოზიციაში. სახელმწიფო და უფრო ზუსტად კეთილდღეობის სახელმწიფო ყველა განვითარებულ საზოგადოებებში მთავარი დამსაქმებელი გახდა. 1980 იან წლებში ბრიტანეთის ნაციონალური სამედიცინო სერვისი იყო ყველაზე დიდი დამსაქმებელი დასავლეთ ევროპაში, რომლის

წლიური ხელფასები 13 მილიარდს აჭარბებდა. მიუხედავად იმისა რომ ხდებოდა მანუფაქტურულიდან სერვისულ სექტორზე გადასვლა სახელმწიფო კეთილდღეობის ინსტიტუტები დომინანტურ როლს ინარჩუნედბნენ. შეისწავლიდა რა დასაქმების პატერნების ცვლილებებს გერმანიაში შვედეთში, ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში მარტინ რეინი ასკვნის რომ 1960 დან 1980 წლებამდე სოციალური სახელმწიფოს ინსტიტუტები ბიზნესთან ერთად იყო ის მთავარი ეკონომიკის სექტორები რომლებიც რეალურ ზრდას უზრუნველყოფდნენ. სოციალური კეთილდღეობის ინდუსტრია შეადგენდა 11 % ს გერმანიაში და 26 % ს შვედეთში მთლიანი დასაქმების. ხოლო სოციალური კეთილდღეობის მიერ შექმნილი სამუშაოები სერვის სექტორში დასაქმებულების 20 დან 40 % ს შეადგენდა.

დანიაში 80 იან წლებში სახელმწიფო სამსახური 2/3 სოციალური კეთილდღეობის სექტორზე მოდიოდა და აჭარბებდა მანუფაქტურის სექტორში დასაქმებულებს. ნორვეგიასა და შვედეთში ეს ორი სექტორი დაახლოებით თანაბარი იყო. რეინი აღნიშნავს რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს სერვისების განვითარებამ ხელი შეუწყო ქალების ჩართვას სამუშაო ძალაში, განსაკუთრებით იმ ქალების რომლებსაც გააჩნდათ უმაღლესი განათლება. 1981 წლისთვის გერმანიაში შვედეთსა და ამერიკაში კოლეჯის განათლების მქონე ქალების 65 დან 75 % მდე დასაქმებული იყო კეთილდღეობის სახელმწიფოს ინდუსტრიაში. კეთილდღეობის სახელმწიფოს ზრდა მთავარი ფაქტორი იყო ქალების სამუშაო ძალაში ჩართვაში, განსაკუთრებით პროფესიული კვალიფიკაციის მქონე ქალებში(Rein 1985).

ამგვარად ორი მთავარი შედეგი იყო საშუალო კლასის გაჩენა და კეთილდღეობის სახელწმიფოს მიერ გაზრდილი დასაქმება. თუმცა ახალი მემარჯვენეების მოსაზრებით სწორედ ასეთი პროფკავშირებში გაერთიანებული საჯარო სექტორის საშუალო კლასი გახდა 70 იან წლებში ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების მიზეზი. კლაუს ოფე ამტკიცებდა რომ თუკი თავდაპირველად საშუალო კლასი მხარს უჭერდა და სარგებლობდა კეთილდღეობის სახელმწიფოს სერვისებით. ეტაპობრივად გაიზრდება საფრთხე რომ ისინი განუდგნენ სოციალურ სახელწმიფოს ნეოლიბერალიზმის სასარგებლოდ, რადგან მათ წინაშე ახალი ინტერესები ჩნდება(Offe 1984).

ამგვარად ჩნდება ახალი ვითარება, ახალი ინტერესები და ახალი განმასხვავებლები. რასაც საბოლოო ჯამში ომის შემგომი კეთილდღეობის სახელმწიფოს კრიზისამდე მივყავართ.

თავი III. კეთილდღეობის სახელმწიფოს კრიზისი და გამოწვევები

3.1 70-იანი წლები და კრიზისის დასაწყისი

კეთილდღეობის სახელმწიფოს წინააღმდეგობების საკითხი ყოველთვის არსებობდა. თუმცა გამოყოფას იმსახურებს 70–იანი წლები განსაკუთრებით ანგლო–საქსურ მსოფლიოში როდესაც კეთილდღეობის სახელმწიფოს კრიზისმა უპრეცენდეტო ძლიერებას მიაღწია. 60 იანი წლების ბოლოს უკვე იზრდებოდა მემარჯვენე და მემარცხენე ლიბერტარიანელების რაოდენობა რომლებიც საუბრობდნენ კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდუნებულ ბიუროკრატიზმსა და გადაჭარბებული სტეიტიზმის ასპექტებზე.

ეს პერიოდი აგრეთვე ხასიათდება გაზრდილი პოლიტიკური მობილიზაციით და ინდუსტრიული გამოსვლების განახლებით. ეს ყველაფერი ქმნიდა ვითარებას სადაც იქმნებოდა სოციალური კონფლიქტი განახლებული ინტერესების ნიადაგზე. თუმცა ომის შემდგომი უწყვეტი ეკონომიკური ზრდის გამო სოციალ დემოკრატები ზედმეტ სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ ამ ახალი პესიმიზმის საპირისპიროდ.

ომის შემდგომი კაპიტალიზმის ოქროს ხანის ბუნება ხშირად კამათის საგანს წარმოადგენს. უწყვეტმა ეკონომიკურმა ზრდამ და საყოველთაო სოციალური მშვიდობის დამყარებამ გააჩინა მოლოდინები იდეოლოგიის დასასრულისა და მუდმივი ეკონომიკური ზრდისა, თუმცა მალევე დაიწყო ამ ეპოქის ე.წ. დასასრულის დასაწყისი როდესაც 70 იანი წლების დასაწყისში გამოიკვეთა ეკონომიკური სირთულეები და 1973 წელს ოპეკის ქვეყნებმა ხუთჯერ გაზარდეს ფასები ნავთობზე, რამაც დასავლეთის ინდუსტრიულ ქვეყნებს დიდი ეკონომიკური პრობლემები შეუქმნა.

ეკონომიკური კრიზისის მასშტაბებზე შეიძლება ითქვას რომ, 1965–73 წლებში წლიური ზრდა 5 % ს შეადგენდა, როდესაც ეს მაჩვენებელი 1974 წელს 2 % მდე შემცირდა 1975 წელს კი საერთოდ განულდა. ეკონომიკურმა სირთულეებმა ნელი ზრდა გამოიწვია რისი დასტურია 1974–1984 წლებში საშუალოდ 2 % იანი ზრდა. 1975 წელს უმუშევრობის რაოდენობა 15 მილიონით გაიზარდა. აგრეთვე გაიზარდა ინფლაცია. „სიღარიბის ინდექსი“ რაც მოიცავდა ინფლაციას პლიუს უმუშევრობის მაჩვენებლებს 5.5 % დან 1960 წელს გაიზარდა 17 % მდე 1975 წელს(OECD 1989). ამავდროულად ინვესტიციების დონე დაეცა და ცხოვრების დონისა და შემოსავლების სტაგნაცია დაიწყო. განვითარებული დასავლეთი დადგა პრობლემის წინაშე, რომ ვერ მოახერხებდა ოთხი მთავარი ეკონომიკური პოლიტიკის მიზნის მიღწევას; ზრდა, დაბალი ინფლაცია, სრული დასაქმება და ვაჭრობის ბალანსი.

ეკონომიკური კრიზისის ყველაზე თვალნათელი დადასტურება იყო მზარდი საზოგადოებრივი დავალიანება. ეკონომიკური რეცესია ღრმავდებოდა მაგრამ მოთხოვნა საზოგადოებრივ და უმეტესად სოციალურ დანახარჯებზე იზრდებოდა. რაც იყო

ეკონომიკური კრიზისის ინერცია რასაც მოყვა გაზრდილი უმუშევრობა და გასაცემი სოციალური ბენეფიტების ზრდა. 1973–75 წლებში ეკონომიკური ზრდა მცირდება, სოციალურ დანახარჯებზე მოთხოვნა კი იზრდება. სოციალური დანახარჯები რომელიც 1960 წელს 47 % ს შეადგენდა 1981 წელს 58.5 % მდე გაიზარდა(OECD 1985). შესაბამისად სახელმწიფო ვალი და საზოგადოებრივი დანახარჯები ვერ ახერხებდა კეთილდღეობის სახელწმიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

სხვადასხვა მთავრობები განსხვავებულად პასუხოდნენ ამ სირთულეებს. თუმცა რას ამბობდნენ მთავრობები და რას აკეთებდნენ რეალურად ხშირად განსხვავებული იყო რადგან არსებობდა აცდენა იმას შორის რა უნდა გაეკეთინათ მთავრობებს და რა მოლოდინი ქონდათ მათ მიმართ ხალხს. თუმცა მალევე გამოჩნდა ახალი თეორიები რომელიც ორიენტირებული იყო 70 იანი წლების კრიზისისა და ეკონომიკური სირთულეების დაძლევაზე.

3.2 ნეოლიბერალიზმი და ლიბერალური წარმომადგენლობითი დემოკრატიის კრიზისი

ამ პერიოდში კეთილდღეობის სახელმწიფოს კრიზისის შესახებ გავლენიანი და დრამატული შინაარსის იყო ახალი მემარჯვენეების ნაწერები. 1970 წლების წყალგამყოფმა მოვლენებმა ჰაიეკის, ფრიდმანის და სხვა თეორეტიკოსების ტექნიკურ არგუმენტებს ძალა შემატა. ყურადღება გამახვილდა მათ კრიტიკაზე სოციალ დემოკრატიის ძირითად წინააღმდეგობებზე , რამაც მათი აზრით პირდაპირ გამოიწვია პოლიტიკური წესრიგის კრიზისი.

მაიკლ კროციერი ამტკიცებდა რომ დემოკრატიული პროცესის შედეგად დაინგრა სოციალური კონტროლის ტრადიციული საშუალებები, მოხდა პოლიტიკური და სხვა ფორმის ავტორიტეტების დელეგიტიმიზაცია და გადაჭარბებულმა მოთხოვნამ ძალიან გაზარდა იმ საკითხების მოცულობა რაზეც მთავრობას რეაგირება უნდა მოეხდინა(Crozier, Huntington and Watanuki 1975).

თუკი ნეო კონსერვატორებისთვის მთავარი პრობლემა სოციალური კონტროლისა და საზოგადოებრივი ავტორიტეტების შესუსტება იყო, ნეოლიბერალებისათვის მთავარ სირთულეს წარმოადგენდა ურთიერთობა ლიბერალურ წარმომადგენლობით დემოკრატიასა და საბაზრო ეკონომიკას შორის. სამუელ ბრიტანი 1975 წელს წერდა ლიბერალური წარმომადგენლობითი დემოკრატიის თვით–დესტრუქციის საშიშროებაზე, რომელიც ორი ენდემური საფრთხისგან მომდინარეობდა;

გადაჭარბებული მოლოდინები;

ცალკეული ჯგუფების კერძო ინტერესების დამანგრეველი ეფექტი საბაზრო ეკონომიკაზე.

შუმპეტერის მოსაზრებით დემოკრატია არის პროცესი როდესაც მიმდინარეობს ელიტებს შორის შეჯიბრება საარჩევნო ხმებისთვის. ლიბერალურ წარმომადგენლობით დემოკრატიას საფრთხეს უქმნის მისი ორი ძირითადი სისუსტე; პირველი პოლიტიკური შეჯიბრების პროცესი რომელიც ქმნის არარეალისტურ და გადაჭარბებულ მოლოდინებს მთავრობის შესაძლებლობებზე. პარტიები და პოლიტიკოსები მუდმივად მიდრეკილები არიან უფრო მეტი დაპირებებისგან. პარტია რომელიც ისაუბრებს შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის აუცილებელ შესაბამისობაზე არასდროს არ იქნება არჩეული. მეორე კარგად ორგანიზებული სექციური ინტერესის ჯგუფები უმეტესად პროფკავშირები იყენებენ თავიანთ ძალას საკუთარი მიზნების მისაღწევად. რაც ხშირად ეწინააღმდეგება საბაზრო ეკონომიკის ლოგიკას და შესაბამისად აჩენს ინფლაციას ან სხვა სახის პრობლემას.

ბევრი კომენტატორის აზრით მთავრობის გადატვირთვა მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმასთან რომ ის ვეღარ ახერხებდა ამ ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულებას. მათი მოსაზრებით დასავლური მთავრობები აუცილებლად წავიდოდნენ პოლიტიკური ბანკროტობის პერსპექტივისკენ თუკი არ მოახდენდნენ სოციალური ხარჯების შემცირებას, ეკონომიკური ვარდნის შესაბამისად.

პოლიტიკური ბანკროტობა არ გამოიწვევდა ანარქიას ან ქუჩაში ბრძოლებს, არამედ მოქალაქეებს გაუჩნდებოდათ უნდობლობა ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესის მიმართ. დაიკარგებოდა რწმენა რომ სახელმწიფო ეფექტურად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, რაც გამოიწვევდა გადასახადების გადახდის სურვილის შემცირებას და ჩრდილოვანი ეკონომიკის გაჩენის საშიშროებას.

თუმცა ყველა არ იყო ასე აპოკალიფსურად განწყობილი, მიიჩნეოდა რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს მნიშვნელოვნად შეზღუდვა პრობლემის მოგვარებას გამოიწვევდა. არსებითი იყო ის რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს სტატუს-კვოს შენარჩუნება ვარიანტად აღარ განიხილებოდა.

3.3 კრიზისის გაგრძელება და კონსესუსის დასასრული?

დენის კავანაგის აზრით იმას რომ კრიზისი გრძელდებოდა რამოდენიმე გარემოება ადასტურებდა. პირველი განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში დასრულდა პოლიტიკური კონსესუსი მართულ ეკონომიკასა და სახელმწიფო კეთილდღეობას შორის რომელიც დამახასიათებელი იყო ომის შემდგომი პერიოდისთვის;

მეორე საზოგადოებრივი აზრი იცვლებოდა და სოციალური საჭიროების პრობლემის კოლექტიური გადაწყვეტის ნაცვლად მხარს უჭერდა კეთილდღეობის მოთხოვნილებების ინდივიდუალურად და საბაზრო უზრუნველყოფით დაკმაყოფილებას.

მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ცვლილებებმა განაპირობეს ის რომ შესაძლებელი გახდა კეთილდღეობის სახელმწიფოს საჭიროებების რესტრუქტურიზაცია და საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფის შეკვეცა. ეს ნიშნავდა უნივერსალური უფლებებზე დაფუძნებული კეთილდღეობის სახელმწიფოს შეცვლას და მის უფრო მეტად რეზიდუალისტურ, საჭიროებებზე ორიენტირებულ საზოგადოებრივი დახმარების სისტემად გარდაქმნას(Kavanagh 1989).

კონსესუსის დასასრული ნიშნავდა პოლიტიკური და სოციალური წესრიგის რადიკალურ რეკონსტრუქციას. კაპიტალისტურ საზოგადოებებში ეს ნიშნავდა კაპიტალის და მემარჯვენე პარტიების ინტერესების გამარჯვებას და ომის შემდგომი კონსესუსის საბოლოოდ გაუქმებას. ამ პროცესს სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული ფორმები ქონდა. ყველაზე უფრო აშკარა სახე მან დიდ ბრიტანეთში მიიღო ტეტჩერიზმის სახით.

თუმცა ეს ტენდენცია გავრცელდა მთელს მსოფლიოში განსაკუთრებით განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებებში. ტეტჩერიზმი დაფუძნებული იყო ორ ძირითად თემაზე თავისუფალ ეკონომიკასა და ძლიერ სახელმწიფოზე. დენის კავანაგი წერს რომ ეკონომიკურმა რეცესიამ და ნელმა ზრდამ კეთილდღეობის სახელმწიფოს კონსესუსის მომხრეების რაოდენობის შემცირება გამოიწვია. რამაც შესაძლებელი გახადა ტეტჩერის მთავრობის პოლიტიკები; გადასახადების შემცირების, პრივატიზაციის, ფრთხილი ფინანსირების, სახელმწიფოს ხარჯების შემცირებისა და ხარჯების შეკვეცის მიმართულებით. რამაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია სხვა დასავლურ ქვეყნებში.

გასაკვირი არ იყო რომ ტეტჩერის დღის წესრიგი გაიზიარეს მემარჯვენე ძალებმა ამერიკაში და დასავლეთ გერმანიაში 80 იან წლებში. კრიზისის გაგრძელების უფრო უტყუარი კრიტერიუმი იყო ის რომ თავად სოციალ დემოკრატიულმა მთავრობებმაც მხარი დაუჭირეს შეკვეცისა და ქამრების შემოჭერის მემარჯვენე პოლიტიკებს რაც დამახასიათებელი იყო 70 იან წლებში ბრიტანეთის ლეიბორისტული მთავრობისთვის. მსგავსი ტენდენცია შეინიშნებოდა სკანდინავიაშიც კი, თუმცა ყველაზე გამორჩეული იყო სოციალისტების გამოცდილება საფრანგეთში, რომლებიც რადიკალური სოციალისტური მანიფესტის პროგრამით იქნენ არჩეულნი 1981 წელს და იძულებულნი გახდნენ გაეტარებინათ დიდწილად „შემობრუნებისა“ და შეკვეცის პოლიტიკა. რაც ნიშნავდა მხოლოდ ტეტჩერიზმს ჰუმანური სახით და მეტს არაფერს.

რაც შეეხება შეცვლილ საზოგადოებრივ აზრს ამის უტყუარი ნიშანი იყო სოციალ დემოკრატიული პარტიების ელექტორალური პრობლემები და მემარჯვენე პარტიების რენესანსი. სოციალ დემოკრატები დიდი ხნის მანძილზე განიხილებოდნენ როგორც საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს პარტია. მათი წარმატება 60 იან წლებში დაკავშირებული იყო სწორედ მის წარმატებასთან კაპიტალისტურ საზოგადოებებში. მათი პოპულარობის შემცირება აგრეთვე ლოგიკურად დაემთხვა კეთილდღეობის სახელმწიფოს კრიზისს 1970 იან წლებში.

აქაც ყველაზე ნათელი მაგალითები იყო ბრიტანეთი, ამერიკა და დასავლეთ გერმანია. თუმცა ყველაზე მნიშნელოვანი მაგალითები იყო კეთილდღეობის სახელმწიფოს შუაგული სკანდინავიის სახით სადაც დანიაში და რა თქმა უნდა შვედეთში დაბრუნდნენ „ბურჟუაზიული კოალიციები“ 1976 წელს სოციალ დემოკრატების 44 წლიანი მმართველობის შემდეგ.

მთლიანად ევროპაში მემარცხენე პარტიებისთვის(სოციალ დემოკრატები, სოციალისტები, კომუნისტები) ხმის მიცემის პროპორცია დაეცა 41.3 5 დან 1960 წელს 40.1 % მდე 1970 წელს. ამავე პერიოდში კონსერვატიული პარტიების მხარდაჭერა გაიზარდა 24.6 დან 24.9 % მდე. 1977 დან 1982 წლამდე არჩეული სოციალისტური მთავრობები დამარცხდნენ ბრიტანეთში, დასავლეთ გერმანიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, ნორვეგიაში, ლუქსემბურგსა და დანიაში. 1975 წლამდე სოციალისტებს ორჯერ მეტი მინისტრები ყავდათ ევროპულ მთავრობებში 54 % სოციალისტები 24 % კონსერვატორები. უკვე 1982 წელს კი ეს მაჩვენებელი შეიცვალა კონსერვატორები 37 % სოციალისტები 36 %(Pierson 1991).

შეიძლება ითქვას, რომ სოციალისტური პარტიების აღმავლობის ხანა იყო 50–იანებიდან 70 იანი წლების შუამდე, ხოლო კონსერვატიული პარტიების აღმავლობა ამ პერიოდიდან მოყოლებული და 80 იანი წლებით თარიღდება. რაც ნათლად ადასტურებს საზოგადოებრივ აზრში მნიშვნელოვან ცვლილებას.

კრიზისის გაგრძელების ყველაზე მნიშნელოვანი დასტური იყო სოციალური ხარჯების შეკვეცის ტენდენცია. კონსესუსის გაუქმებამ საზოგადოებრივი აზრის ცვლილებამ და მემარჯვენე პარტიების ხელისუფლებაში მოსვლამ კეთილდღეობის სახელმწიფოს მასიური შემცირება გამოიწვია 80 იანი წლებისთვის. რამაც კეთილდღეობის სახელმწიფოს უნივერსალური მახასიათებელი გამოაცალა და უფრო მეტად მიზნობრივი და მხოლოდ სიღარიბის შემცირებაზე ორიენტირებული გახადა. რაც რესურსების სიმწირით აიხსნებოდა.

პირველი მსგავსი შეკვეცა ბრიტანეთში ტეტჩერის მთავრობამ მოახდინა 1979 წელს როდესაც ნათქვამი იყო რომ სოციალური დანახარჯები ბრიტანეთის ეკონომიკის

სირთულეების მთავარი მიზეზი იყო. ამგვარად კეთილდღეობის სახელმწიფო ამ პერიოდში მოწყვლადი გახდა. იმ ვითარებიდან გამომდინარე რომ ბრიტანეთში მწიფდებოდა ახალი მემარჯვენეობის ყველაზე უფრო შორს წასული ექსპერიმენტი დასავლურ საზოგადოებებში. ჩვეულებრივი გახდა ლეგალური სანქციები პროფკავშირების წინააღმდეგ, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გამო გაზრდილი უმუშევრობა, სოციალური ბენეფიტების შეკვეცა, და უფრო მეტად ავტორიტარული პრაქტიკების გავრცლება კეთილდღეობის სერვისების მიმართულებით. ეს ყველაფერი წარმოადგნედა შეთანხმებულ სტარტეგიას ბრიტანეთის კრიზისიდან გამოსაყვანად. ეს იყო სტრატეგია რომელიც უარყოფდა ომის შემდგომ კეინზიანურ მიდგომებს.

მსგავსი პროცესი მიმდინარეობდა ამერიკაშიც. 1986 წელს რეიგანის ადმინისტრაციამ და მისმა მოკავშირე ბიზნესმენებმა გამოაცხადეს კლასობრივი ომი მუშათა კლასის მიმართ. როგორც მაიკლ კატცი წერს რეიგანის ადმინისტრაციამ დაიწყო შეტევა სოციალური კეთილდღეობის სისტემაზე და საგადასახადო პოლიტიკას იყენებდა მდიდრებსა და ღარიბებს შორის შემოსავლების უთანასწორობის კიდევ უფრო გასაზრდელად.

1982 წელს ეკონომისტი ამტკიცებდა რომ ყველა მდიდარმა დასავლეთ ევროპულმა ქვეყანამ მოახდინა სოციალური ხარჯების შეკვეცა. გერმანია აგვიანებდა პენსიების გაზრდას და გააუქმა სტუდენტური გრანტები, ჰოლანდიაში შემცირდა უმუშევრობის კომპენსაცია, საფრანგეთში გაიზარდა სოციალური უსაფრთოხებისს კონტრიბუციების რაოდენობა, ევროპაში ერთი სიტყვით კეთილდღეობის სახელმწიფო ჭკნობას აგრძელებდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ შვედეთი სადაც ოლოფ პალმე და სოციალ დემოკრატები დაბრუნდენენ ხელისუფლებაში შეკვეცის საწინააღმდეგო პროგრამით.

დასკვნა

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საჭირო გახდა საჯარო სერვისების რეფორმირების ახალი სტრატეგია. 1987 წლიდან ჩნდება ახალი საჯარო მენეჯმენტის ცნება, რომელიც ახდენდა კერძო სექტორის მენეჯმენტის, ორგანიზების და შრომის ბაზრის პრაქტიკების გადმოტანას საჯარო სექტორში იმ მოლოდინით რომ ეს ცვლილება შესაძლებელს გახდიდა ამ სერვისის ისეთივე ეფექტურობას როგორც ეს კერძო სექტორის დონეზე უკვე რეალიზებული იყო. ყველაზე მეტად მისწრაფება არსებობდა რომ ჯანდაცვისა და განათლების სფეროებში მომხდარიყო შიდა საბაზრო მექანიზმების დანერგვა რომელიც აქამდე საზოგადოებრივი უზრუნველყოფის დარგს წარმოადგენდა.

ახალ საჯარო მენეჯმენტს უნდა მოეხდინა ხარჯების დაზოგვა და კონკურენტუნარიანობის ზრდა რაც მომხმარებლებს არჩევანის შესაძლებლობას გაუადვილებდა. ამასთან ეს ნიშნავდა ძველი საზოგადოებრივი მენეჯმენტის ცვლილებას და ახალი საბაზრო ელემენტების შემოტანას. რაც თავისთავად გამოიწვევდა თანმიმდევრულ კომერციალიზაციას და კეთილდღეობის სახელმწიფოს ინსტიტუტების კიდე უფრო შემცირებასა და შესუსტებას.

ამასთან მეორე მსოფლიო ომის შემდგომი კონსესუსის დასრულების შემდეგ დრო დადგა ახალი კონსესუსისა, რომელიც უფრო ბაზარზე ორიენტირებული და მორგებული იქნებოდა. შესაბამისად ომის შემდგომ რეჟიმზე უფრო მარჯვნივ იქნებოდა. აღსანიშნავია რომ ის არ აგებულა სრულად ახალი მემარჯვენეების დღის წესრიგსა და ტეტჩერიზმის რიტორიკაზე. ვაშინგტონის კონსესუსი შედგებოდა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებისგან როგორებიც არის საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და მთავრობებს აძლევდა რჩევებს თუ როგორ უნდა მოეხდინათ გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარება. სოციალური პოლიტიკისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი შემდეგი პრიორიტეტები იყო;

ფისკალური დისციპლინა – მთავრობის საბიუჯეტო დეფიციტები მცირე უნდა იყოს, ან უმჯობესია რომ საერთოდ არ არსებობდეს

საგადასახადო რეფორმა – საგადასახადო რეჟიმები გაფართოვდეს და შეიცვალოს ისე რომ შემცირდეს ზღვრული საგადასახადო განაკვეთი და ამით წახალისდეს ეკონომიკური მონაწილეობა

საზოგადოებრივი დანახარჯები – მთავრობის ხარჯები კონცენტრირებული უნდა იყოს ეკონომიკურად პროდუქტიულ მიმართულებებზე (პრიორიტეტი ინვესტირებისთვის

მიენიჭა ჯანდაცვასა და განათლებას სოციალური ტრანსფერების მეშვეობით რედისტრიბუციასთან შედარებით).

დერეგულაცია – მთავრობებმა უნდა შეამცირონ რეგულაციები რათა წახალისდეს ეკონომიკური აქტივობა (ეს აგრეთვე მოიცავს შრომის ბაზრების დერეგულაციას და მეწარმეებისთვის საზოგადოებრივი ხარჯების შემცირებას)(Williamson 1994).

ომის შემდგომი კონსესუსი ასე ჩაანაცვლა ვაშინგტონის კონსესუსმა რომელიც როგორც ჩანს მისგან თვისებრივად განსხვავებული იყო. მთავრობებმა მალევე დაიწყეს თავიანთი ნაციონალური ეკონომიკური მოდელების მორგება შეცვლილ ვითარებასთან. ინვესტირებისთვის შეიქმნა უფრო მოქნილი და კონკურენტუნარიანი ბაზრები. ძირითადად ეს ნიშნავდა მიკრო ეკონომიკურ რეფორმას უფრო მოქნილ შრომით ბაზრებს, პრივატიზაციას, თანაბარ გადასახადებს და გახსნილობას უცხოური ინვესტიციებისთვის. აგრეთვე დაიწყო საზოგადოებრივი დანახარჯების შემცირება და მცდელობა რომ მომხდარიყო გადასვლა პასიური (სოციალური ტრანსფერებიდან) აქტიურ (გადამზადებისა და ხელმეორედ დასაქმების) კეთილდღეობის სახელმწიფოზე.

პარტიულ დონეზე ცვლილებებზე პასუხს წარმოადგენდა მესამე გზის პოლიტიკური სტრატეგიის გამარჯვება 90-იანი წლების დასაწყისში. ენტონი გიდენსის მიერ ჩამოყალიბებული კონცეფცია არსებითად გულისხმობდა ცენტრისტულ, სოციალური ლიბერალიზმის მიდგომას, რომელიც აერთიანებდა მემარჯვენე-ცენტრისტების ეკონომიკურ პოლიტიკას და მემარცხენე-ცენტრისტების სოციალურ პოლიტიკას. დიდწილად ეს იყო პასუხი სოციალ-დემოკრატიული პარტიების მხრიდან, მათ ელექტორალურ წარუმატებლობებზე რომელიც სათავეს იღებს 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან.

ახალმა პოლიტიკურმა პროგრამამ და სტრატეგიამ შედეგი გამოიღო და სოციალ-დემოკრატებმა მოახერხეს არჩევნებში გამარჯვება. აღსანიშნავია კლინტონის და დემოკრატების გამარჯვება 1992 წლის არჩევნებში როგორც მესამე გზის ცენტრიზმის და პროგრესივიზმის მთავარი საყრდენის. ამას მოყვა მკაფიოდ მემარცხენე პარტიების წარმატება, საიდანაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ტონი ბლერის ლეიბორისტების გამარჯვება 1997 წელს და შრიოდერის და გერმანელი სოციალ-დემოკრატების ტრიუმფი მწვანეებთან ერთად 1998 წელს.

საარჩევნო წარმატების მიუხედავად მესამე გზის პოლიტიკამ ვერ მოახერხა კეთილდღეობის სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევების გადაწყვეტა. საბაზრო რეფორმები კვლავ გაგრძელდა. სოციალურ დანახარჯებს კი ზრდის ტენდენცია არ გააჩნდა. გლობალიზაციის შედეგად საერთაშორისო დონეზე გაზრდილი კონკურენტუნარიანობის საპასუხოდ მესამე გზის წარმომადგენლები შეეცადნენ

განათლების და უნარ-ჩვევების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად დანერგვას. თანაბარი შესაძლებლობების და მერიტოკრატიის მხარდაჭერას ეგალიტარიანიზმის სანაცვლად. ასევე ახალი ინდივიდუალიზმის და მეწარმეობის წახალისებას რაც კერძო ინიციატივების სტიმულირებასა და კერძო-საჯარო პარტნიორობის გაძლიერებას გულისმხობდა(Giddens 1998).

ზემოთ ჩამოთვლილმა პოლიტიკებმა მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწიეს და XXI საუკუნის დასაწყისში მესამე გზის პოლიტიკაც ფაქტიურად მარცხდება. რისი დასტური იყო საარჩევნო წარუმატებლობები და 2008 წლის შემდეგ დაწყებული ფინანსური კრიზისები რამაც „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკა კიდევ უფრო გააძლიერა და სრულებით ახალი რეალობა შექმნა. კეთილდღეობის სახელმწიფოსა და სოციალ-დემოკრატიული პარტიების პრობლემებთან ერთად სახეზეა წარმომადგენლობითი დემოკრატიის კრიზისი რასაც ადასტურებს ხალხის არჩევნებში და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შემცირება. შეიცვალა პოლიტიკური მონაწილეობის და წარმომადგენლობითობის ფორმები. რამაც იმედგაცრუება და უნდობლობა გაზარდა პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობების მიმართ.

მასიურმა მემარჯვენე და მემარცხენე ცენტრისტულმა პარტიებმა დაკარგეს წევრთა და მხარდაჭერთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. პარტიები აღარ ეფუძნება თავიანთ სოციალურ ბაზას. ისინი აღარ არიან ერთი დიდი სოციალური ჯგუფის ინტერესების გამომხატველი. საზოგადოების ინტერესები უფრო მრავალფეროვანი გახდა რამაც გამოიწვია კლასობრივიდან იდენტობის პოლიტიკაზე გადასვლა, ასევე პოლიტიკის პერსონიფიკაცია. დღეს ხშირად ვნახავთ ლიდერზე მორგებულ პოლიტიკურ პარტიებს, რისი ერთ-ერთი ყველაზე კლასიკური შემთხვევა ბერლუსკონი იყო იტალიაში. პარტიულ პოლიტიკაში მიმდინარე ამ ცვლილებების შედეგია ახალი პოპულისტური და ანტი-ისტებლიშმენტური პარტიების გაძლიერება. ეს პარტიები უპირისპირდებიან არსებულ წესრიგს და მათი ამჟამინდელი ელექტორალური წარმატება პირდაპირი დასტურია თანამედროვე წარმომადგენლობითი დემოკრატიის კრიზისის.

მასიური პარტიების დასუსტებამ და პოლიტიკის პერსონიფიკაციამ გამოიწვია ის რომ რესურსებისა და გავლენის მქონე მცირერიცხოვან ჯგუფებს მეტი შესაძლებლობა გაუჩნდათ პოლიტიკური პროცესების მანიპულირებისთვის. რის კარგ მაგალითს წარმოადგენს გლობალური კომპანიები და კორპორატიული მედია, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ამომრჩევლის შეხედულებებზე. პოლიტიკის პერსონიფიკაციამ ასევე გაზარდა პოლიტტექნოლოგების გავლენა.

მასიური მონაწილეობა ყოველთვის იყო კეთილდღეობის სახელმწიფოს წარმატების და გაფართოების წანამძღვარი. დღეს არსებული სიტუაციით ხალხის უმრავლესობა

საერთოდ უარს ამბობს ან მხოლოდ პასიურად მონაწილეობს პოლიტიკაში. ეს ვითარება კიდევ უფრო აძლიერებს კრიზისულ სიტუაციას. საბოლოო ჯამში კეთილდღეობის სახელმწიფო ინტელექტუალურ კრიზისს განიცდის. სოციალ დემოკრატების ხედვამ რომ კეთილდღეობის სახელწმიფო რედისტრიბუციული სოციალური პოლიტიკის მეშვეობით კაპიტალიზმს ათვინიერებს,ავტორიტეტი დაკარგა. მისი ძირეული ელემენტები ეკონომიკური ზრდა, სახელმწიფო ბიუროკრატიის ზრდა და არაპიდაპირი გზით კაპიტალის კონტროლი აშკარა გამოწვევის წინაშე იმყოფებიან.

სოციალური სახელმწიფოს უკმარისობის შესახებ არა მხოლოდ ახალი მემარჯვენები ან ნეო მარქსისტები საუბრობენ, კითხვები გაჩნდა თავად სოციალ დემოკრატებსა და ეკოლოგისტებს შორისაც. შეძლებენ თუ არა სოციალ დემოკრატები რომ კვლავ იბრძოლონ, რათა ისევ გახდნენ კეთილდღეობის სახელმწიფოს პარტია? შესაძლებელია თუ არა კრიზისის დაძლევა და ახალი ოქროს ხანის დაწყება? ეს არის კითხვები რომლებზეც ჯერ პასუხები არ არსებობს და რომლებსაც კეთილდღეობის სახელმწიფოს მომავალი განვითარება უპასუხებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რიკარდო, დ. (2007). პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. სმითი, ა. (2007). გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. Ashford, Douglas E. (1986). The Emergency of the Welfare State. Blackwell Publishers.
4. Castles, Francis G. (2013). The Working Class and Welfare: The Political Development of the Welfare State in Australia and New Zealand. University of Bristol.
5. Crozier, M. Huntington, S. Watanuki, J. (1975). The Crisis of Democracy: Report on the Governability of Democracies to the Trilatearal Comission. New York University Press.
6. Esping-Andersen, G. (1990). The Three Worlds of Welfare Capitalism. Princeton University Press.
7. Flora, P & Heidenheimer, A. (2009). The Development of Welfare States in Europa and America. Transactions Publishers.
8. Giddens, A. (1998). The Third Way: The Renewal of Social Democracy. Polity Press.
9. Goodin, R & Le Grand, J. (1987). Not Only the Poor: The Middle Classes and the Welfare State. Routledge Library Editions.
10. Kavanagh, D. (1989). Consensus Politics from Atlee to Thatcher. Institute of Contemporary British History.
11. Middlemas, K. (1979). Politics in an Industrial Society. HarperCollins Distribution Services.
12. Offe, Claus. (1984). Contradictions of the Welfare State. Hutchinson & Co.
13. Olsson, U. (). Planning in the Swedish Welfare State. Studies in Political Economy.
14. Pierson, C. (1991). Beyond the Welfare State? New Political Economy of Welfare. Polity Press.
15. Polanyi, K. (2001). The Great Transformation: The Political and Economic Origins of Our Time. Beacon Press.
16. Wiliamson, J. (1991). What Washington Means by Policy Reform. In Latin American Adjustment: How much has happened?
17. The Social Security Act of 1935
18. The Universal Declaration of Human Rights 1948
19. OECD Economic Outlook 1960's, 1985, 1988, 1989.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა
ორგანიზაციული და პერსონალური განვითარება
მეორე სემესტრის დოქტორანტი
მარიამ ჩოჩია

სადოქტორო სემინარი

„ქოუჩინგი და მისი როლი ორგანიზაციის განვითარებაში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ბელქანია
სრული პროფესორი

თბილისი
2018

შინაარსი

შესავალი ---------- 3

თავი 1 ქოუჩინგი ---------- 9

1.1. ტერმინი ქოუჩინგი (Coaching) ---------- 5

1.1.2 ქოუჩინგის ისტორია ---------- 6

1.2.2. ქოუჩინგის პრინციპები---------- 8

1.3 ქოუჩინგის პროცესი და ფაზები ---------- 10

1.4 ქოუჩინგის სახეები ---------- 12

1.5 ქოუჩინგის მომიჯნავე პროფესიები ---------- 14

1.3 ქოუჩინგი საქართველოში ---------- 17

თავი 2 ქოუჩინგის როლი ორგანიზაციის განვითარებაში ---------- 19

2.1 ქოუჩინგი მენეჯმენტში --------- ---------- 19

2.2 ბიზნეს ქოუჩინგი ---------- 22

2.2.2 რას აკეთებს ბიზნეს ქოუჩი? ---------- 23

2.3. ქოუჩინგის შედეგები ---------- 25

დასკვნა ---------- 30

ბიბლიოგრაფია ---------- 31

შესავალი

დღევანდელ სწრაფად ცვალებად გარემოში, წარმატებული ორგანიზაციებისათვის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ამ გარემოსთვის ფეხის აწყობა, ცვლილებებისათვის მუდმივი მზაობა და მისი მართვის ცოდნაა. მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე არესბული მუდმივად ცვალებადი გარემო გავლენას ახდენს ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობაზე და დგება ადაპტაციის საჭიროება. ცვლილებების გატარება დაკავშირებულია ორგანიზაციულ განვითარებასთან, თუმცა, აუცილებელია შესაბამისი ღონისძიებების გატარება. შესაბამისად, ბოლო წლებში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გაიზარდა მოთხოვნა იმ ადამიანებზე, რომლებიც დროის მოკლე მონაკვეთში შეძლებენ ორგანიზაციებისა თუ ცალკეული პიროვნებების დახმარებას. ამ კუთხით შეგვიძლია შედარებით „ახალი“ პროფესიი ადამიანები ქოუჩები გამოვყოთ. ბოლო დროის კვლევებმა აჩვენა, რომ ორგანიზაციები კრიზისა თუ განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლისას სწორედ ქოუჩინგის მეთოდს მიმართავენ. სასემინარო ნაშრომი „ ქოუჩინგი და მისი როლი ორგანიზაციის განვითარებაში“ საშუალებას მოგვცემს დავინახოთ ქოოუჩინგის, ე.წ. „მომავლის პროფესიის“ მნიშვნელობა, როგორც ორგანიზაციის, ისე პიროვნული განვითარების გზაზე.

ქოუჩინგი ეკონომიკური საქმიანობის შედარებით ახალი სფეროა მსოფლიოში და მისი აღმასვლა 90-იან წლებში დაიწყო. იგი სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება იმ შედეგებიდან გამომდინარე, რომელსაც ღებულობენ კომპანიები თუ კერძო პირები ქოუჩინგის პროცესის პერიოდში და შემდგომ. დღევანდელ დღეს მსოფლიოში, ქოუჩინგის საერთაშორისო ფედერაციის მონაცემებით მუშაობს დაახლოებით 50 000 ქოუჩი, თუმცა ეს მონაცემები გულისხმობს მხოლოდ ქოუჩების იმ ნაწილს, რომელთაც გავლილი აქვთ სრული სერტიფიკაცია ან აკრედიტირებულნი არიან ქოუჩინგის საერთაშორისო ფედერაციის მიერ. იმ ქოუჩების ფაქტობრივი რაოდენობა კი, რომელთათვის ქოუჩინგი არ არის ძირითადი საქმიანობის სფერო ან არ აქვთ გავლილი სრული სერტიფიკაცია, გაცილებით მეტია. ქოუჩინგის ინდუსტრიაში წლიურად 2

მლრდ აშშ დოლარი ტრიალებს და ეს მაჩვენებელი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. გამსაკუთრებით სწრაფი ტემპებით იზრდება მოთხოვნა ქოუჩინგზე ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი, კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები, განსაკუთრებით ბრაზილია. ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს ის გარემოება, რომ ბრაზილიაში, მაგალითად, ბიზნესის სფეროში დასაქმებულ მენეჯერთა უმრავლესობა საკმაოდ ახალგაზრდაა (25-30 წელი) და , შესაბამისად, ქოუჩებს ხშრიად მიმართავენ ლიდერობის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. “Sherpa Coaching”ის 2014 წლის კვლევის მიხედვით, კომპანიები ყველაზე ხშირად, სწორედ ლიდერობის განვითარების კუთხით მიმართავენ ქოუჩინგს ან იმ პერიოდში როდესაც რეორგანიზაცია ან სისტემური ცვლილებებია მოსალოდნელი, აღსანიშნავია, რომ ბიზნესის სფეროშო ქოუჩინგის ნდობის ინდექი (CCI) 2006 წლიდან 2014 წლამდე გაიზარდა 66 % -ით. (ბაბუნაშვილი, 05.05.2015)

სადოქტორო სემინარი შეეხება ისეთ თემებს, როგორიცაა ქოუჩინგის ისტორია, მისი მნიშვნელობა, სახეები, უშუალოს ქოუჩინგის პროცესი, აქტუალობა და პერსპექტივა მსოფლიოსა და საქართველოში.

თავი 1. ქოუჩინგი

1.1 ტერმინი ქოუჩინგი (Coaching)

ქოუჩინგი - ტერმინი, რომელიც დღეისათვის სხვადასხვა კონტექსტში და სრულიად სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით გამოიყენება. ტერმინში უკეთ გასარკვევად, თვალი მის წარმოშობას გადავავლოთ. საწყისი მნიშვნელობით ქოუჩი (coach) ნიშნავს ეტლს, ეკიპაჟს. ეს უნგრული წარმოშობის სიტყვაა და ინგლისურ ენაში 1556 წლიდან გვხვდება. სიტყვის საწყისი მნიშვნელობა სიმბოლურად კარგად გადმოგვცემს ქოუჩინგის არსს: ეტლი დამხმარე საშუალებაა ერთი ადგილიდან მეორემდე გადაადგილებისათვის და მიზნის მისაღწევად. (ბაბუნაშვილი, 2007)

ქოუჩინგი ბიზნესში მოვიდა სპორტიდან. პირველი წიგნი, რაც ამ თემაზე დაიწერა არის The Inner Game of Tennis - W. Timothy Gallwey, 1974. გოლვი მოიაზრება ქოუჩინგის, როგორც მეთოდის დამფუძნებლად. წიგნშიც და მეთოდშიც ავტორმა სიტყვა შინაგანში (Inner) იგულისხმა მოთამაშის/სპორტსმენის შინაგანი მდგომარეობა, რადგან „ჩვენს თავში არსებული ოპონენტი უფრო მეტად რთულია, ვიდრე ოპონენტი რეალურ თამაშში“ (ფრაზა წიგნიდან). როგორც გოლვი ამბობს, თუკი ქოუჩი, ამ შემთხვევაში მწვრთნელი, დაეხმარება სპორტსმენს დაძლიოს შინაგანი ბარიერები, მას უჩნდება სტრატეგია, რომელიც შემდეგშიც დაეხმარება მოგებაში. გოლვიმ შეიმუშავა ჩოგბურთის თამაშის დასწავლის ყველაზე ეფექტური მეთოდი და იგივე ფორმულა მოგვიანებით ბიზნესში გადმოიტანა. გაჩნდა ახალი პროფესია, სახელი დარჩა იგივე – ქოუჩი. (ჭოჭუა, 05.06.2015)

1848 წლიდან სიტყვა „ქოუჩი” უნივერსიტეტის სტუდენტების ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში მათი კერძო კურატორების აღსანიშნად გამოიყენება. სპორტის სფეროში ქოუჩინგი 1885 წლიდან ინგლისსა და აშშ-ში დამკვიდრდა.

ქოუჩინგი ინგლისში გამოიყენება დამრიგებლის, ხელმძღვანელის, მრჩევლის განზოგადებული მნიშვნელობით. გერმანიაში ეს ტერმინი სამი მიმართულებით გამოიყენება: 1. საუკეთესო სპორტსმენების ინდივიდუალური ფსიქოლოგიური

კონსულტაცია; 2. განვითარებაზე ორიენტირებული მართვის სტილი; 3. ხელმძღვანელების ინდივიდუალური კონსულტირება.

აშშ-ში მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან ქოუჩინგი აღნიშნავს პერსონალზე და განვითარებაზე ორიენტირებული მართვის სტილს, რომლის მეშვეობითაც თანამშრომლები პიროვნულად ვითარდებიან და შრომის უნარს იუმჯობესებენ. აღნიშნული მიმართულება გერმანიაში 80-იანი წლებიდან დამკვიდრდა ტერმინით - ხელმძღვანელი, როგორც ქოუჩი. მოთხოვნა, რომ ხელმძღვანელი საკუთარი თანამშრომლების ქოუჩი იყოს. Whitmore, J.W. (2005)

1.1.2 ქოუჩინგის ისტორია

1970-იანი წლების მიწურულსა და 80-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში, მენეჯერები ქოუჩინგს განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომელთა მართვისთვის იყენებდნენ. ეს მიდგომა იმ დროისათვის ახალი იყო და მუშაობის პროცესში ფსიქოლოგიაში დაგროვილი ცოდნა ინერგებოდა.

80-იანი წლების შუა პერიოდიდან, ქოუჩინგზე მოთხოვნა უფრო გაიზარდა და ეს კარიერის, მმართველი ძალების განვითარებისთვის და მენტორული პროგრამებისთვის გამოიყენებოდა, ანუ ასაკში შესული, გამოცდილი თანამშრომლები კონსულტაციას უწევდნენ ახალგაზრდებს. Bianco-Mathis, V.B.M.& Roman, C.R. & Nabors, L.N. (2008)

იმ დროს როცა ამერიკულ ორგანიზაციაში ქოუჩინგი იერარქიულად შუა ფენას ეხებოდა, გერმანიაში, მხოლოდ, დიდ საწარმოში ტოპ-მენეჯმენტი იყენებდა. ქოუჩს კი წონასწორობის დაცვის ფუნქცია ჰქონდა.

90-იანი წლებიდან გერმანიაში, უკვე, ყველა საფეხურზე გამოიყენებოდა ქოუჩინგი, რამაც კიდევ უფრო გააფართოვა მისი ფუნქციები. წარმოიშვა ე.წ. ტრენინგის

ფორმები: ბიზნეს ქოუჩინგი, ცხოვრებისეული ქოუჩინგი, ასტროლოგიური ქოუჩინგი და ა. შ

ამის პარალელურად, 80-იანი წლების შუა პერიოდიდან, ქოუჩინგის ცნებამ ხელმძღვანელთა ორგანიზაციის გარეთა კონსულტირების მნიშვნელობა შეიძინა. თავიდან ქოუჩინგი უკავშირდებოდა მხოლოდ უმაღლესი დონის ხელმძღვანელების კონსულტირებას. დღესდღეობით კი ბევრ კომპანიაში ქოუჩინგი პერსონალის განვითარების ღონისძიებების შემადგენელი ორგანული ნაწილია. ბევრ კომპანიაში პრესტიჟულადაც კი არის მიჩნეული პირადი ქოუჩის ყოლა. თუ ქოუჩინგი თავიდან ცალკეული ხელმძღვანელების სოციალური კომპეტენციების განვითრებას ეხებოდა, ბოლო ათწლეულში მისი გამოყენების სფერო მნიშვნელოვნად გაფართოვდა - სტრუქტურული და სტრატეგიული ცვლილებების ფარგლებში ქოუჩინგი, დღეს, ბევრ კომპანიაში ჩამოყალიბდა, როგორც საკვანძო პირებისა და ხელმძღვანელთა გუნდის სისტემატური განვითარების გეგმა. (ბაბუნაშვილი, 2007)

1.2 რა არის ქოუჩინგი?

ქოუჩინგი ეს არის პროფესიული პარტნიორობა კლიენტთან, რომელიც ასტიმულირებს კლიენტის კრეატიულობასა და ფიქრს. ამ პროცესის განმავლობაში, კლიენტი, ქოუჩის დახმარებით, მაქსიმალურად ხსნის თავის პირად და პროფესიულ პოტენციალს.

ქოუჩინგის საერთაშორისო ფედერაციის (ICF) განმარტებით ქოუჩინგი არის პროფესიონალური კონსულტაცია დროის მოკლე მონაკვეთში, მაგრამ ხანგრძლივი ეფექტით. ქოუჩი არის კარგი მსმენელი და ის ზუსტად ხვდება საქმის მნიშვნელოვან ასპექტებს, ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, რომ უფრო უკეთ იფიქროს და იგრძნოს. ამ პროცესის დროს კლიენტისთვის (coachee) უფრო ნათელი ხდება დამოკიდებულებები, რის შედეგადაც ის სწორ გზას პოულობს, პარალელურად ითვისებს პრობლემის გადაჭრის ხერხებს, რესურსებს სწორად ანაწილებს, რაც თავის მხრივ, ცვლილებების შანსს ზრდის. ამ სახის დახმარებას მიმართავენ, როგორც ცხოვრებისეული პრობლემის მოსაგვარებლად, ისე ბიზნესისთვის. ქოუჩინგი წინასწარ დროის ჩარჩოთია შემოფარგლული და დაუსრულებელი პროცესი არ არის. ამ პროცესის განმავლობაში კლიენტი ქოუჩის დახმარებით მაქსიმალურად ხსნის თავის პირად და პროფესიულ პოტენციალს. (https://erickson.edu/)

1.2.2 ქოუჩინგის პრინციპები:

- შედეგებზე ორიენტაცია - წარსულზე კონცენტრაციისა და წარუმატებლობების მიზეზების ძიების ნაცვლად, ქოუჩი ეხმარება კლიენტს დაისახოს ისეთი მიზნები, რომლებიც მისთვის იმ მომენტში ყველაზე აქტუალურია და ხელს უწყობს მას ამ მიზნების მიღწევის გზების ძიებაში.
- სისტემური მიდგომა - ქოუჩი ინარჩუნებს კლიენტის პიროვნების მთლიანობას და ფოკუსირდება იმაზე, რომ ცხოვრების რომელიმე

ასპექტში განხორციელებული ცვლილებები იყოს უფრო მასშტაბური და აისახოს, არა მხოლოდ, ამ კონკრეტულ ასპექტზე, არამედ მთლიანად გააუმჯობესოს მისი ცხოვრება.

- კონცენტრაცია კლიენტზე - ქოუჩს სჯერა იმის, რომ კლიენტს აქვს ყველა რესურსი და უნარი საკუთარი მიზნების მისაღწევად, პატივს სცემს მის მოქმედების გეგმას და იმ შედეგებს, რომელთა მიღწევაც მას სურს. ქოუჩინგი არის რჩევებისგან თავისუფალი ზონა.
- ორიენტირებულია, როგორც ღირებულებებზე, ისე ქმედებებზე - ცვლილებათა გეგმის მიყოლისას, სპეციფიკურ, შთამაგონებელ ნაბიჯებთან ერთად, კლიენტი იქმნის ფუნდამენტურ ცვლილებებს ურთიერთობებში, ქცევისა და ჩვევების ფორმირებაში.
- ცნობიერების განვითარება - ტრანსფორმაციული ქოუჩინგისას კლიენტი იფართოებს მსოფლმხედველობას, უფრო კარგად იცნობს საკუთარ თავსა და თავის ცხოვრებას, ურთიერთობებს, მიზნებს, უფრო ნათლად ხედავს ამ მიზნების მიღწევის გზებს. ეს ყველაფერი კი მას უქმნის მომავალი განვითარების საფუძველს. (Growin, 2018)

1.3 ქოუჩინგის პროცესი და ფაზები

ქოუჩინგის პროცესის მიმდინარეობისას ყველაზე მთავარი ნდობის ფაქტორი და კონფიდენციალურობის გარანტიაა. მიღწეულ შედეგზე, ან წარუმატებლობაზე კლიენტი თავად იღებს პასუხისმგებლობას.

აღსანიშნავია, რომ ქოუჩი და ქოუჩიი (კლიენტი) თანაბარი პოზიციიდან უნდა აღიქვამდნენ ერთმანეთს, სწორედ ეს ურთიერთდამოკიდებულება განასხვავებს ქოუჩინგს თერაპიისა და ტრენინგისაგან. მთელი ეს პროცესი სწორი გზის ჩვენებას ჰგავს. კლიენტი, ქოუჩის დახმარებით, თავად არჩევს რა მეთოდები უნდა გამოიყენოს მიზნის მისაღწევად, რა სჯობს და რა - არა, შესაბამისად შედეგზეც თავადაა პასუხისმგებელი. ეს პროცესი ხუთი ფაზისგან შედგება:



1. გაცნობის ფაზა
2. შეთანხმების (კონტრაქტის გაფორმების) ფაზა. კონტრაქტი იდება პიროვნებასა და ქოუჩს შორის. ამავდროულად, შესაძლებელია კონტრაქტი გამოფრმდეს ქოუჩს და კლიენტის დამსაქმებელს შორის. კონტრაქტში კლიენტი განსაზღვრავს რა პრობლემის აგდასაჭრელად მივიდა ქოუჩთან და რა არის მისი მიზანი. აქვე განისაზღვრება შეხვედრების რაოდენობა.
3. სამუშაო ფაზაა (რამდენიმე შეხვედრა, უშუალოდ მუშაობის პროცესი)
4. დასარულის ფაზა - სადაც მნიშვნელოვანია კლიენტმა შეაჯამოს მიღწეული შედეგები .
5. ევალუაციის ფაზა - როდესაც თავად კლიენტი აფასებს ქოუჩის მუშაობას, აძლევს უკუკავშირს. (Whitmore, J.W. 2009)

1.4 ქოუჩინგის სახეები

ქოუჩინგი არის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ქოუჩსა და კლიენტს (პარტნიორს) შორის, ამ უკანასკნელისთვის სასურველი შედეგის მისაღებად.

პროფესიონალი ქოუჩი ფლობს სპეციალურ ტექნიკებს და მეთოდებს, რომლის საშუალებითაც ეხმარება პარტნიორს რეალურ შედეგზე გასვლაში პირად და პროფესიულ საკითხებში. ამ პროცესის დროს პარტნიორი უღრმავდება საკითხს, აკეთებს სასარგებლო მოქმედებებს და ამით იმაღლებს ცხოვრების ხარისხს. (კვარაცხელია, 21.11.2014)

არსებობს ქოუჩინგის სამი სახეობა:

1. **ბიზნეს ქოუჩინგი** - აქ ბიზნესის კონტექსტში ხდება საჭირო მიზნების დასახვა და პრიორიტეტების განსაზღვრა, პროფესიონალური მიღწევების და ბიზნესთან დაკავშირებული პირადი მიზნების განხორციელება. მიზანი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს ბიზნეს მაჩვენებლის გაუმჯობესება, ასევე თანამშრომლის კარიერული ზრდა.
2. **პერსონალური ქოუჩი** - ამ შემთხვევაში განიხილება პარტნიორსა და ქოუჩს შორის თანამშრომლობა, სადაც პარტნიორის მოთხოვნების დაკმაყოფილება და შედეგზე გაყვანაა მიზანშენოწილი. აქვე შეგვიძვლია გამოვყოთ **ცხოვრებისეული ქოუჩინგი** - ეს არის ადამიანის ქოუჩთან ერთად მუშაობის პროცესი მის ცხოვრებისეულ ამოცანებზე. ქოუჩინგის შედეგად ადამიანი უფრო ნათლად ხედავს თუ რა ხდება მის ოჯახში, ურთიერთობებში, კარიერაში და ზოგადად ცხოვრებაში.
3. **კორპორაციული ქოუჩინგი** - კორპორატიული ინტერესების ფარგლებში ხდება მიზნის დასახვა და განხორციელება. ქოუჩინგის გამოყენება კორპორაციებში ხელსაყრელია ყველასთვის, პირველ რიგში წამყვანი სპეციალისტები ქოუჩის დახმარებით იაზრებენ პერსპექტივებს, ნათლად ხედავენ საკითხის გადაჭრის გზებს, არიან მეტად დამოუკიდებელნი და ინიციატივიანნი, შესაბამისად უფროსიც კმაყოფილია. ის იღებს

ლოიალურ, დაინტერესებულ, ეფექტურ თანამშრომლებს. ქოუჩინგის გამოყენებით იზრდება მოგება სხვადასხვა მიამრთულებით, ქოუჩინგის საერთაშორისო ფედერაციის (ICF) მონაცემებით, ქოუჩინგზე დახარჯული თანხების უკუგება წარმოადგენს 5:1-ზე. ხარისხს. (კვარაცხელია, 21.11.2014).

1.5 ქოუჩინგის მომიჯნავე პროფესიები

ბიზნეს კონსულტირება - ქოუჩინგი

კერძო პირები და კომპანიები მიმართავენ კონსულტანტებს როგორც ექსპერტებს თავის სფეროში. კონსულტანტები სთავაზობენ მათ სხვადასხვა მომსახურებას: პრობლემების დიაგნოსტირება, მათი გადაჭრის მზა გეგმების შეთავაზება, ასევე, ბიზნეს სტრატეგიის შემუშავება, იმპლემენტაციის პროცესში დახმარება და სხვა. ქოუჩინგის მეთოდოლოგია კი ეფუძნება იმ აზრს, რომ ადამიანებს საკმაოდ ეფექტურად შეუძლიათ საკუთარი საჭირბოროტო საკითხების გადაჭრის გზების მიგნება. მეტიც, ეს პროცესი პიროვნულ ზრდას უწყობს ხელს. ქოუჩის მხარდაჭერით ისინი მრავალმხრივი მიდგომებით იწყებენ საკითხების ფართო სპექტრის განხილვას, იბადება ნოვატორული იდეები, რისკენაც ქოუჩინგის მეთოდოლოგია არის მიმართული.

მენტორინგი - ქოუჩინგი

მენტორიც ექსპერტული პოზიცია გახლავთ და იგი გულისხმობს რჩევების მიცემას, გადაჭრის გზების შეთავაზებას, რომელიც ეფუძნება მენტორის ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და ცოდნას. მენტორი შესაძლოა იყენებდეს სხვადასხვა მიდგომას, რომელთა შორისაა კონსულტირება, ფსიქოლოგიური დახმარება და ქოუჩინგის ესა თუ ის ტექნიკა. მეორე მხრივ, ქოუჩინგის პროცესი არასოდეს მოიცავს რჩევის მიცემას ან ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენას. ქოუჩინგი მთლიანადაა ფოკუსირებული ინდივიდზე ან ჯგუფზე, მათ ამოცანებსა და მიზნის მიღწევის გზებზე.

ტრენინგი- ქოუჩინგი

ტრენინგული პროგრამები შედგენილია ინსტრუქტორის - ტრენერის მიერ მისი შეხედულებისამებრ. ტრენერი ადგენს სასწავლო გეგმას იმის მიხედვით თუ როგორი ხედვა აქვს კომპანიის ამოცანებსა და მათი გადაჭრის გზებზე. მიუხედავად იმისა, რომ

ბიზნეს ქოუჩინგში ამოცანა წინასწარაა დასმული, „ამოხსნის“ გზებს და მასთან დაკავშირებულ კრეატიულ პროცესს მთლიანად შეიმუშავებს გუნდი, რომელსაც უძღვება ქოუჩი. არსებობს ასევე ქოუჩ-ტრენინგი, სადაც სასწავლო პროცესი წარიმართება ქოუჩინგის ტექნოლოგიების გამოყენებით. „პერსონალის მართვის საერთაშორისო ასოციაციის“ შიდა კვლევამ აჩვენა, რომ როდესაც ტრენინგი კომბინირებულია ქოუჩინგთან, ადამიანების პროდუქტიულობის ხარისხი საშუალოდ 88%-ით მატულობს. ჩვეულებრივი ტრენინგის დროს კი აღნიშნული მაჩვენებელი 22%-ია

თერაპია - ქოუჩინგი

თერაპია გამოიყენება მაშინ, როდესაც პიროვნებას აქვს შიდა კონფლიქტი ან გარკვეული დისფუნქცია. ფოკუსირება მეტად ხდება წარსულში გადატანილ ტრავმებზე, რომელიც არ აძლევს საშუალებას ინდივიდს გაუმკლავდეს ემოციურ პრობლემებს აწმყოში. ქოუჩინგი ორიენტირებულია ადამიანის პიროვნულ თუ პროფესიულ ზრდაზე და ეფუძნება გააზრებულ ტრანსფორმაციულ პროცესს, რომელიც აძლევს მას საშაულებას იმოქმედოს და მიაღწიოს წარმატებას პირად თუ პროფესიულ ასპარეზზე. ქოუჩინგი ფოკისირებულია მომავალზე და ქმედებებზე, სტრატეგიებზე, რომელიც მიიყვანს ადამიანს გამარჯვებამდე. ქოუჩისა და კლიენტის ურთიერთქმედება მიმართულია კლიენტის მიზნის იდენტიფიცირებისკენ და რაც მთავარია ამ მიზნის მიღწევის სტრატეგიის განხორციელებისკენ სადაც კლიენტი საქმის კურსში აყენებს ქოუჩს საკუთარი გეგმის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე. (ბაბუნაშვილი, 05.05.2015)

სპორტული ტრენერი და ქოუჩი

როცა ადამიანი, რომელიც არ არის გარკვეული ქოუჩინგში, ისმენს სიტყვას „ქოუჩი“, უჩნდება ფეხბურთის ან სხვა რომელიმე სპორტის ასოციაცია, მაგრამ ქოუჩი არ არის ტრენერი. სპორტული ტრენერის ამოცანას წარმოადგენს ისეთი ქმედებების

დაგეგმვა, რომელიც სპორტსმენს გამარჯვებას მოუტანს, ამისთვის ის თავის გამოცდილებას იყენებს და სპორტსმენს კონკრეტულ მითითებებს აძლევს. ქოუჩინგის მთავარი ამხასიათებელი კი ის არის, რომ კლიენტი ტვითონ ისახავს მიზნებს. ქოუჩი არ აძლევს მას პირდაპირ დირექტივას და არ ეუბნება რა უნდა გააკეთოს. (Growin, 2018)

1.6 ქოუჩინგი საქართველოში

ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქოუჩინგმა ფეხი საქართველოშიც მოიკიდა.

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა: „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ საქართველოში, კერძოდ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2009 წლიდან ისწავლება, ამ პროგრამის ფარგლებში, ცალკე საგნად, ქოუჩინგს „ტრიგონის“ საკონსულტაციო კომპანიიდან სპეციალურად მოწვეული ქოუჩები ასწავლიან.

საზოგადოების სწორად ინფორმირების სურვილი გახდა, მიზეზი იმისა რომ ირინა ჭოჭუამ (ლიცენზირებული პრაქტიკოსი ნეირო-ლინგვისტურ პროგრამირებაში, საერთაშორისო ასოციაციის წევრი) ეკა ბაბუნაშვილთან ერთად 2 წლის წინ პირველი ქართული ბლოგი (რომელიც ახლა უკვე საიტის სახითაა - coachinglab.ge) შექმნა. ირინა ჭოჭუა ასევე გახლავთ „ქოუჩინგ ლაბორატორიის“ დამაარსებელი. ბლოგის შექმნის მიზანი კი ადამიანების მაქსიმალურად ინფორმირება იყო, რადგანაც ქოუჩინგი ბევრს საერთოდ არ სმენოდა, ბევრი კი მას კონსულტაციისაგან ვერ ასხვავებდა. გარდა ბლოგის წერისა ლაბორატორია ატარებს ტრენინგებს, ლექციებსა და სემინარებს ქოუჩინგზე. ირინა ჭოჭუამ ასევე შექმნა კლუბი, რომელშიც ის ადამიანები არიან გაწევრიანებულები, რომლებმაც „ქოუჩინგ ლაბორატორიაში“ ეს პროფესია ისწავლეს. „ქოუჩინგ ლაბორატორიის“ სამომავლო გეგმები ასეთია: მთელი საქართველოს მასშტაბით გასვლითი ტრენინგების ჩატარება და ქოუჩინგის შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისათვის. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნულ უნისვერისტეტში (სეუ) ახალი სასწავლო წლიდან საგანი „ქოუჩინგი“ დაემატება. ირინა ჭოჭუას საავტორო სასერტიფიკატო პროგრამის (ბიზნეს ქოუჩინგი) გავლა „ჯიპაშიც“ არის შესაძლებელი.

„გროუინი“ - პირველი ქოუჩინგ-კომპანია საქართველოში, დაარსდა 2015 წელს და არის ერიქსონის საერთაშორისო უნივერსიტეტის (Erickson Coaching International) ერთადერთი ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და აზერბაიჯანში.

კომპანია დაინტერესებულ პირებს სთავაზობს როგორც Erickson Coaching International-ის სერტიფიცირებულ პროგრამებს ქოუჩინგში, ასევე ადგილობრივი და უცხოელი პროფესიონალების საავტორო პროგრამებსა და ტრენინგებს. (growin.ge) „გროუინი“ დღესდღეობით, ქოუჩინგის სასწავლო კურსებს ახორციელებს,

თსუ-ს სადოქტორო პროგრამის „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ სტუდენტებმა დაარსეს „ორგანიზაციის განვითარებისა და ქოუჩინგის ასოციაცია“. გამომდინარე იქიდან რომ ბოლო წლებში ქოუჩინგ-კომპანიებმა და ორგანიზაციის განვითარების კონსულტანტების ჯგუფებმა იმატა, ასოციაციის შექმნის აუცილებლობაც დადგა. ასოციაციის მიზანია ამ სფეროში მომუშავე ადამიანები გააერთიანოს და მათი კვალიფიკაციის გაზრდაზე იზრუნოს. ასოციაცია გეგმავს უცხოენოვანი წიგნების თარგმნას (ქოუჩინგისა და ორგანიზაციის განვითარების შესახებ), ტრენინგებსა და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებას ქართველი ქოუჩებისა და კონსულტანტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

თავი 2

2.1.ქოუჩინგის როლი ორგანიზაციის განვითარებაში

შეგვიძლია ქოუჩინგის რამდენიმე ძირითად ასპექტზე ვისაუბროთ, თუ ვისთვის და რატომაა საჭირო ქოუჩინგი.

წარმატებული მენეჯერები და მმართველები საკუთარი გუნდის და განყოფილებების არქიტექტორები არიან, თავის მხრივ ორგანიზაციები კი მათ ნაყოფიერებაზე არიან დამოკიდებულნი. მენეჯერებისგან ელოდებიან წარმატებას, ხარისხიან მმართველობას, შედეგებს, მიზნების მიღწევას, სტრუქტურის ჩარჩოებში მოქცევას. დაკისრებული მოვალეობების შესრულება კი ადვილი არ არის. მრავალმა ხელისშემშლელმა ფაქტორმა შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე - მენეჯერის შეზღუდული უნარები, შიშები, ჩარჩოებში მოქცეული შეხედულებები, არსებული სტრუქტურული კულტურა, კომუნიკაციის პრობლემები.(კარდანახიშვილი, 04.01.2016)

როგორც წესი, ორგანიზაციაში მმართველების ქოუჩინგს 2 მიზეზის გამო მიმართავენ; 1. მენეჯერი ჯეროვნად ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს. 2. ახალი ფუნქცია დაემატა და შეგუების, სწავლის პროცესს გადის ქოუჩთან ერთად.

2.1.1 ქოუჩინგი მენეჯმენტში

ეს ძალიან ეფექტური გზაა, რათა მენეჯერებმა მოახდინონ საკუთარი პოტენციალის ოპტიმიზება, გააუმჯობესონ მმართველობის სტილი, კომუნიკაცია და კოოპერაცია, სამუშაოთი კმაყოფილება, თვითშეფასება, დაგეგმარება და სხვა. გარკვეული პროექტის მიმდინარეობისას ქოუჩის პროცესში ჩართვით უფრო მაღალია სამუშოთი კმაყოფილება, პროდუქტიულობა, მიღწეული მიზნების რაოდენობა. მაგალითად, აშშ-ში ეს პრაქტიკა ძალიან მიღებულია და ქოუჩინგს უფრო მეტი ფუნქციაც აქვს. ტოპ-მენეჯერები კონსულტანტს არამარტო ეფექტურობის გაზრდის

მიზნით მიმართავენ, არამედ რეფლექციისთვისაც. ეს ტენდენცია თანდათან ევროპაშიც მკვიდრდება.

ორგანიზაციაში ტოპ-მენეჯერებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა აკისრიათ - კომპანიისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებენ; შესაბამისად, მათი სამუშაო წნეხიც მაღალია. ხშირად, უჭირთ გადაწყვეტილების მიღება და საკითხზე საუბარიც კი. ხანდახან, მათთვის ეს იმდენად რთულია, რომ ვერც კი იძინებენ, ვერ პოულობენ სტრესიდან გამოსავალს (თანამშრომლებისთვის შეუმჩნეველია). სიმპტომების შემჩნევა HR სპეციალისტებს არ შეუძლიათ. ადვილი გამოსავალია თუ მენეჯერმა თავად იცის ქოუჩინგის ეფექტურობის შესახებ და მიმართავს კონსულტანტს. ის ექსტერნულ ადამიანთან ერთად საუბრობს უფრო ღიად, გულწრფელად და აღწერს საგნებს ისე, როგორც ისინი არიან, განიცდებიან და არ ელოდება გაკიცხვას, შეფასებას.

ადვილად შეიძლება ორგანიზაციაში HR-მა ქოუჩის როლი შეითავსოს, თუმცა, ხშირად, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის გამო ვერ ხდება - თანამშრომლები ექსტერნულ კონსულტანტს უფრო მეტ ნდობას უცხადებენ. თუმცა კადრების განყოფილების თანამშრომლებს ქოუჩინგის მეთოდებისა და მისი მნიშვნელობის ცოდნა მაინც სჭირდებათ. (Bianco-Mathis, V.B.M.& Roman, C.R. & Nabors, L.N. 2008)

ქოუჩინგის მეთოდების ცოდნა HR სპეციალისტებისთვის რამდენიმე მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი:

- ორგანიზაციაში იმატა სტრესის სიმპტომებმა;
- მენეჯერების თავდაჯერებულობის ხარისხი დაბალია;
- აქტუალურია შემდეგი კითხვები - „როგორ შევძლებ მოცემული შეზღუდული რესურსით სწორი შედეგის მიღებას?' „როგორც მოვძებნო სწორი და სწრაფი გადაწყვეტილებები?' „რომელი გადაწყვეტილება იქება უსაფრთხო?' „როგორ მოვერგო ორგანიზაციულ კულტურას?''

საშუალო რგოლის მენეჯრებისთვის ამგვარი კონსულტაციის გაწევა ან ქოუჩის დაქირავების აუცილებლობა ორგანიზაციის ეფექტურობის გაზრდის ხელშემწყობი ხდება. (The Executive Coaching Forum (2008)

ქოუოჩთან მუშაობა მმართველებს (ტოპ-მენეჯერებს) ეხმარება:

- თავისი საზღვრებიდან გასვლაში და ბიზნესის განვითარებაში;
- თანამშრომლებთან ურთიერთობისა და მათი მოტივაციის გაზრდის ახლებური ხედვი შემუშავებაში;
- წარსულის პროფესიული წარუმატებლობის გადალახვაში, უზრდი მუშაობის მოტივაციას;
- სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის პოვნასა და შენარჩუნებაში. (The Executive Coaching Forum 2008)

2.2 ბიზნეს ქოუჩინგი

გამომდინარე იქიდან რომ ქოუჩინგი ყველაზე აქტიურად თანამედროვე ბიზნესში გამოიყენება, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რას გულისხმობს ბიზნეს ქოუჩინგი

მთავარი ამოცანა, რასაც ბიზნეს ქოუჩინგი სვავს, ეს არის ბიზნესში მოღვაწე ადამიანების წარმატებისთვის შესაბამისი რესურსული გარემოს შექმნა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ადამიანის ცვლილებები ერთ სფეროში იწვევს ავტომატურ ცვლილებებს მისი ცხოვრების სხვა სფეროებშიც. ამიტომ, ბიზნეს ქოუჩის მუშაობა არ შემოიფარგლება, მხოლოდ, კლიენტის ბიზნეს ამოცანებით. კარგი ბიზნეს ქოუჩი ასევე ეხმარება ადამიანს, ან ადამიანების ჯგუფს, მოახდინონ მნიშვნელოვანი ცვლილებები. შედეგად, კომპანიის მფლობელი ან მმართველი გადადის განვითარების ახალ საფეხურზე როგორც თავად, ასევე იგი მიმართულია კომპანიის განვითარების ახალ ვექტორზე გასაყვანად. (Whitmore, J.W. 2009)

ბიზნეს ქოუჩინგს რამდენიმე მიმართულება აქვს:

- ✓ ქოუჩინგი ხელმძღვანელებისთვის (ქოუჩი, რომელიც მუშაობს აღმასრულებელ პირებთან),
- ✓ ქოუჩინგი მართვაში (ქოუჩინგის დანერგვა ორგანიზაციულ მართვაში მაღალი და საშუალო რგოლი მენეჯერებთან)
- ✓ გუნდური ქოუჩინგი (როდესაც ქოუჩი მუშაობს გუნდთან).

ყველა ამ მიმართულებას თავისი ფუნქცია და შედეგი აქვს. თუკი კომპანია გეგმავს, რომ რაიმე მიზნის ირგვლივ გააერთიანოს გუნდი და იმუშაოს ხარისხიანად, ამ შემთხვევაში ხდება გუნდური ქოუჩინგის დანერგვა. ქოუჩი მუშაობს მთლიან გუნდთან და არა ცალკეულ ინდივიდებთან. ხდება ადამიანების გაერთიანება ერთი მიზნის ირგვლივ, მუშაობა მათ მოტივაციასა და მათ რესურსულ მდგომარეობაზე.

თუკი კომპანიის მიზანია დანერგოს მართვის თანამედროვე და ეფექტური ტექნოლოგიები, ამ შემთხვევაში მოწვეული ქოუჩი მუშაობს მაღალი და საშუალო

რგოლის მენეჯერებთან როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდურად და ხდება ქოუჩინგის მეთოდების დანერგვა მართვის სისტემაში.

თუკი კომპანიის აღმასრულებელი პირი, ან პირები საჭიროებენ ახალი სტრატეგიების შემუშვებას და ახალი გადაწყვეტილებების მიღებას იმისათვის, რომ კომპანია ახალ ჰორიზონტებზე გაიყვანონ, ქოუჩი მუშაობს გადაწყვეტილების მიმღებ პირთან/პირებთან, ინდივიდუალურად. (ჭოჭუა, 13.02.2017).

2.2.2 რას აკეთებს ბიზნეს ქოუჩი?

კლიენტთან მუშაობის პროცესში ქოუჩი იყენებს თანამედროვე ფსიქო-ტექნოლოგიებს და სვამს ძლიერ მამოტივირებელ კითხვებს, რომელიც მომართულია ადამიანის სააზროვნო სისტემის გაფართოებისკენ. ეს არის კითხვები, რომელსაც, როგორც წესი, საკუთარ თავს არავინს უსვამს. ქოუჩინგური ტექნიკები კი მთლიანად მომართულია კლიენტის რესურსულ მდგომარეობაში შესაყვანად. ეს ნიშნავს, რომ შედეგად ადამიანი იწყებს შემოქმედებითად ფიქრს, აფართოებს სააზროვნო სისტემას, იღებს გადაწყვეტილებას და სახავს ბიზნეს სამოქმედო გეგმას. (Bianco-Mathis, V.B.M.& Roman, C.R. & Nabors, L.N. 2008)

ბიზნეს ქოუჩინგის საშუალებით შესაძლებელია: ახალი ბიზნეს გეგმის შექმნა, არსებული სიტუაციისა და რესურსების რეალურად შეფასება, საკითხის გადაწყვეტის კრეატიული გზების მოძიება; ახალი ბიზნეს იდეისათვის ხორცის შესხმა, ახალი პროექტების დაწყება, არსებული ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია, რაც შეიძლება იყოს შემოსავლების ზრდა, რებრენდინგი, ბაზრის წილის ზრდა, ახალი პროდუქტის ჩაშვება და ა. შ. ასევე, შესაძლებელია კომპანიის მისიის, მიზნებისა და ხედვის შემუშავება; კომპანიაში ბიზნეს-ქოუჩინგზე დაფუძნებული მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; ქოუჩინგის დანერგვით კომპანია შეძლებს ბიზნესი აიყვანოს სრრულიად ახალ საფეხურზე. (Bianco-Mathis, V.B.M.& Roman, C.R. & Nabors, L.N. 2008)

ბიზნეს ქოუჩინგის უპირატესობა:

- ბიზნეს ქოუჩი მუშაობს კლიენტის ინდივიდუალური მოთხოვნების საფუძველზე;
- ქოუჩინგის სეანსები გრძელდება 1 საათის განმავლობაში, რაც საშუალებას იძლევა კლიენტმა სამუშაო გრაფიკი სწორად დაგეგმოს;
- ქოუჩი მუშაობს როგორც ტოპ მენეჯერებთან, ასევე ჯგუფებთან (მართვითი ქოუჩინგი) ;
- ქოუჩთან მუშაობის შედეგად, რეალურ დროში ხდება ყველა არსებული პრობლემის გადაწყვეტა და ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია;
- ქოუჩი ეხმარება კლიენტს ფოკუსირება მოახდინოს გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმებზე და უქმნის მას მხარდამჭერ გარემოს;
- ქოუჩი აძლევს კლიენტს უკუკავშირს, რაც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტია შედეგები შესაფასებლად;
- ქოუჩი ორგანიზაციაში ნერგავს მართვითი ქოუჩინგის სისტემას, რომელიც მოქმედებს გრძელვადიანად. (Whitmore, J.W. 2009).

2.3.ქოუჩინგის შედეგები

ქოუჩინგის უშუალო შედეგებს შეგვიძლია მივაკუთვნით შემდეგი:

- ✓ მიზნების ჩამოყალიბება, პრიორიტეტების განსაზღვრა - „რაც მინდოდა, იმას მივაღწიე, ახლა რა ვქნა?“ - ასეთი კითხვები, ხშირად, უჩნდებათ წარმატებულ ადამიანებს, თუ პასუხი ნაპოვნი არ არის, იაკრგება ინტერესი ოჯახში და სამსახურში. ამაზე არანაკლებ ხშირია ისეთი სიტუაციები, როდესაც ადამიანს პირიქით, განვითარების ზედმეტად ბევრი გზა წარმოუდგენია, თითქმის ყველა ერთნაირად მიმზიდველი და საინტერესოა, შესაბამისა, ვარიანტთა სიმრავლე და მიმზიდველობა ურთულებს და დროში ზრდის გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ამ შემთხვევაში, ქოუჩინგის პროცესის შემდეგ, ადამიანი ახდენს მიზნების გადახედვას, გამოარჩევს მათგან ყველაზე პრიორიტეტულებს და აანალიზებს, თუ რა არის მისთვის რეალურად მნიშვნელოვანი იმ დროისთვის.

- ✓ „წარმატების სტრატეგიის“ შემუშავება - ქოუჩინგში ხშირი შემთხვევაა კლიენტის დახმარება მის მიერ უკვე დასახული მიზნის მიღწევაში (გზების ძიება, მტკიცე გადაწყვეტილებების მიღება და ქმედებების განხორციელება) ამ პროცესში ქოუჩის მიზანია კლიენტს პრობლემის შეფასების სხვადასხვა გზა დაანახოს, გააქტიუროს მისი შესაძლებლობები და მია/რებინოს გადაწყვეტილება . ქოუჩინგის შემდეგ ადამიანებს ეცვლებათ მსოფლმხედველობა და შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ ის მიზნები თუ პრობლემები, რომელთა მისაღწევად თუ გადასაჭრელად მივიდა ქოუჩთან, საერთოდ არ აღარ არმოჩნდეს მისთვის აქტუალური.

- ✓ პრობლემის გადაჭრის უნარი, დამოკიდებულება - ქოუჩინგის პროცესში ადამიანი ივითარებს საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენების უნარს. ქოუჩის მუშაობაზე დაკვირვებით კლიენტი ითვისებს პრობლემების გადაწყვეტის სხვადასხვა ტექნიკას და შემდგომ უკვე თავად (ქოუჩის

დაუხმარებლად) შეუძლია სირთულეებთან გამკლავება, მნიშვნელოვანის და მეორეხარისხოვანის განხვავება, საკუთარი რესურსების შეფასება, მისთვის იმ დროისთვის აქტუალური მიზნების დასახვა და ამ მიზნების განხორციელების გეგმის შემუშავება.

- ✓ პასუხისმგებლობა - ადამიანთა დიდი ნაწილი თავის ქმედებებს, ყოველტვის, გარემოს, დროს, სხვა ადამიანებს, ეკონომიკუ კრიზისს ან პოლიტიკას აბრალებს. მსგავსი დამოკიდებულება არის ტიპური მისთვის, ვინც საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობას იხსნის. ქოუჩინგის პროცესის სემდეგ კი ადამიანი ამ პასუხისმგებლობას იღებს როგორც საკუთარ ქმედებებზე, ისე გადაწყვეტილებებსა და შედეგებზე.
- ✓ აქტიური პოზიცია - ზემოთ ნახსენები პუნქტების გამომუშავებისა და გაუმჯობესების შემდეგ ადამიანს უჩნდება შემდეგნაირი დამოკიდებულება : „მე ვარ ჩემს თავზე პასუხისმგებელი და სემიძლია ჩემი ცხოვრების უკეთესობისაკენ შეცვლა. (Growin, 2017)

2.4 ქოუჩინგის პერსპექტივა

„მანჩესტერის საკონსულტაციო ჯგუფი“-ს კკვლევის მიხედვით რომელიც ჟურნალ “Fortune“-ის მიერ გამოვლენილ 100 საუკეთესო კომპანიაში ჩატარდა, ბიზნეს ქოუჩინგში ჩადებული ინვესტიციებიდან უკუგებამ (ROI) შეადგინა 570%. ასევე, ქოუჩინგის მეშვეობით, გაუმჯობესდა თანამშრომლებს შორის ურთიერეთობები 77%-ით, 67%-ით გაუმჯობესდა გუნდური მუშაობა, 61%-ით გაიზარდა თანამშრომლების კმაყოფილება სამსახურით, ხოლო შრომის ნაყოფიერება 48%-ით.

საკონსულტაციო კომპანიამ “Hay Group” აღმოაჩინა, რომ ჟურნალი “Fortune”-ს გამოვლენილი 500 წარმატებული კომპანიის სიიდან უმრავლესობა იყენებს ქოუჩინგს.

ქოუჩინგის განვითარებასთან ერთად, მსოფლიოში ადამიანებს, ხშირად, უჩნდებათ შეკითხვა თუ რითი განსხვავდება ეს სფერო სხვა დამხმარე სპეციალობებისგან, მაგალითად, ბიზნეს კონსულტირებისგან, ტრენინგისგან ან მენტორინგისგან. (ბაბუნაშვილი, 05.05.2015)

ადამიანებმა დაიწყეს გაცნობიერება, რამდენად მარტივია იმის გაკეთება, რაც სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ წარმოუდგენლად ეჩვენებოდათ. ქოუჩი არ არის სასწაულების სემოქმედი, მაგრამ მას აქვს ინსტრუმენტთა და მეთოდთა ისეთი კრებული, რომელიც აძლევს იმის საშუალებას, რომ დაეხმაროს ადამიანებს დიდი იდეების რეალობად ქცევაში, ამიტომ სულ უფრო მეტი ადამიანი და კომპანია უფრო და უფრო მეტ დროსა და რესურსს ხარჯავს განვითარების ამ ხერხში ინვესტიციისას.

ადამიანები აანალიზებენ სულიერებისა და ფიქრის მნიშვნელობას მათი ცხოვრების აუცილებელ ასპექტებისათვის. არ აქვს მნიშვნელობა ადამიანი რომელ სფეროში მოღვაწეობს - ჰუმანიტარია, ტექნიკოსი თუ სხვა. ყველას სჭირდება კავშირი საკუთარ თავვსა და სხვა ადამიანებთან. ქოუჩჩი კი სწორედ ამ კავშირის აღდგენასა თუ შექმნაში ეხმარება მათ და განაწყობს მხოლოდ საუკეთესოს დანახვაზე საკუთარ თავსა თუ სხვებში. (Growin, 2017)

იცოდით თუ არა, რომმენეჯერების წარუმატებლობის ძირითადი მიზეზები უკავშირდება ისეთ ემოციურ კომპეტენციებს როგორიცაა:

- ცვლილებების შეგუების უუნარობა
- გუნდში მუშაობის უუნარობა
- ცუდი ინტერპერსონალუტი ურთიერთობები

კვლევის მიხედვით, რომელიც ქოუჩინგის საერთაშორისო ფედერაციამ (IFC) ჩაატარა 130 ხელმძღვანელი თვლის რომ მათ გარშემო მყოფებთაგან ურთიერთობის პირველი განსაზღვრული ფაქტორია - თუ რამდენად კარგად უმკლავდებიან ისინი თავიანთ ემოციებს. ასეთ შემთხვევაში, ერთ-ერთი გამოსავალი სწორედ მმართველობითი ქოუჩინგია, რომელიც გეხმარებათ გუნდური მუშაობის მნიშვნელობის განსაზღვრაში და პიროვნული უნარების სწორად მართვაში. ქოუჩინგის მეშვეობით, იქმნება გარემო, სადაც თქვენი შესაძლებლობები ფართოვდება უკეთეს შედეგებთან და უფრო ეფექტურ სამუშაო ურთიერთობებთან ერთად, ქოუჩინგი ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს უზრუნველყონ ორგანიზაციული ეფექტურობის მაღალი დონე დიალოგის, გამოძიებისა და დადებითი ურთიერთქმედების გზით. ამ პრაქტიკის მეშვეობით თქვენი მიზნები უფრო ნათელია, ცნობიერება კი ამაღლებული, რის შედეგადაც იქმნება კომპეტენტური გარემო. (https://erickson.edu/)

კომპანიები, როგორებიცაა EDS, Chrysler და Herman Miller იყენებენ ქოუჩინგს იმისათვის, რომ შექმნან უმაღლესი დონის შესრულების, ცვლილებისა და სწავლის კულტურა Xerox, IBM, Microsoft და მრავალი სხვა წარმატებული კომპანია, ათასობით მენეჯერს ქოუჩად ჩამოყალიბებაში ავარჯიშებს. ბიზნეს ქოუჩები ნიუ იორკში, ლონდონში, პარიზსა და ტოკიოში ეხმარებიან აღმასრულებელ დირექტორებს, უფროს და უმცროს მენეჯერებს - მათი აუთვისებელი პოტენციალის

გამოვლენაში, უკეთესი შერულების, კმაყოფილებისა და შედეგების მიღების მიზნით.

უდიდესი ადამიანური რესურსების კონსულტანტის - Hay Group-ის თანახმად, წარმატებული კომპანიების სიიდან მათი 25-40% ქოუჩებს მიმართავს ლი ჰეჩტი, ჰარისონი, კარიერის მენეჯმენტის მსოფლიოს წამყვანი ფირმა, მმართველობითი ქოუჩინგიდან მიღებული შემოსავლის 20%-ს იღებს. დღეისათვის ათი კომპანიიდან დაახლოებით ექვსი კომპანია თავის მენეჯერებსა და მმართველებს სთავაზობს ქოუჩინგის განვითარების პროგრამებს. დღეს ქოუჩინგის პრაქტიკა ითვლება ტრენინგისა და ლიდერობის განვითარების სტანდარტულ ნაწილად ისეთი კომპანიებისა, როგორებიცაა IBM, Motorola, J.P Morgan Chase, Hewlett-Packard და მრავალი სხვა. (https://erickson.edu/)

ზოგიერთ შემთხვევაში ქოუჩინგი გათვლილია მენეჯმენტის პრობლემების კორექციაზე, როგორიცაა, მაგალითად ცუდი კომუნიკაციის უნარი, დაქვემდებარების უუნარობა ან გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ქოუჩინგი გამოიყენება წარმატების მიღწევის გზების დასანახად ან ახლად ჩამოყალიბებული მენეჯერების წარუმატებლობის სიხშირის შემცირებისთის. ადამიანებმა დაიწყეს გაცნობიერება, რამდენად მარტივია იმის გაკეთება, რაც სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ წარმოუდგენლად ეჩვენებოდათ.

დასკვნა

შეგვიძლია ვთქვათ რომ ქოუჩინგი დღითი-დღე პოპუალრული ხდება და ის ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს „მომავლის პროფესიად“.

ერიქსონის საერთაშორისო უნივერსიტეტში ქოუჩიგნის სწავლის შედეგები ასეთია. 40000 ადამიანზე ემტმა მსოფლიოშის წავლის სედეგად მიაღწია თავის მიზნებს 80% სამსახურში იყენებს ქოუჩინგის ინსტრუმენტებს. 20% გახდა ქოუჩინგის საერთაშორისო ფედერაციის სერტიფიცირებული ქოუჩი. სფეროები კი, სადაც აქტიურად იყენებენ ქოუჩიგნს გაიზარდა. ეს არის ბიზნესი, განათლებამ მედიცინა, პირადი ცხოვრება, ქველმოქმედება და ა. შ

რაც შეეხება საქართველოს. ჩვენს ქვეყანაში ხშირად მისი მნიშვნელობაც არ ესმით, თუმცა გარკვეულ წრეებში ის საკმაოდ მალე გახდა პოპულარული. ქოუჩებთან გასაუბრების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ორგანიზაციებისგან ყველაზე დიდი დაკვეთა შემდეგ თემებზე მოდის: ე.წ. თიმბილდინგი, ბრენდის იმპლემენტაცია თანამშრომლებში და მათი რესურსების გაფართოება. გარდა ამისა ხშირია შემთხვევები როდესაც ტოპ-მენეჯმენტი თვითონ გადის ქოუჩინგის კურსებს და ისინი ამ მიდგომებს ნერგავენ ორგანიზაციებში. გამომდინარე დაფინანსებიდან საჯარო სექტორი აქაც აქტიურია, თუმცა არიან მენეჯერები, რომლებიც ამ კურსს თვითდაფინანსებით გადიან. (ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მეცნიერებისა და განთლების ყოფილი მინსიტრი ალექსანდრე ჯეჯელავა გახლავთ, რომელიც ქოუჩის პროფესიას 3 წლის წინ „გროუინში“ დაეუფლა) თუმცა არის მეორე უკიდურესობაც, ჩვენს ქვეყანაში ამ პროფესიის სიახლისა და პოპულარობის გამო ფსევდო-ქოუჩების რაოდენობამაც იმატა.

ვფიქრობ, ზემოთ განხილული საკითხები საშუალებას მისცემს მკითხველს, გაიგოს ქოუჩინგის მნიშვნელობა და დაინახოს მისი როლი ორგანიზაციული თუ პერსონალური განვითარების გზაზე.

ბიბლიოგრაფია:

Whitmore, J.W. (2005) Coaching For Performance, Third Edition, London

Whitmore, J.W. (2009) Coaching For Performance, Fourth Edition, London – Boston

Bianco-Mathis, V.B.M.& Roman, C.R. & Nabors, L.N. (2008) Organizational Coaching: Building Relationships and Strategies That Drive Results, ASTD.

The Executive Coaching Forum (2008) The Executive Coaching Handbook, Fourth Edition

ჭოჭუა, ი.ჭ. (13.02.17.) ქოუჩინგი ბიზნესში- რისთვის არის აუცილებელი? 13.06.2018 http://coachinglab.ge/business-coaching/

ბაბუნაშვილი, ე.ბ. (05.05.2015.) ქოუჩინგი, ტრენინგი, მენტორინგი, კონსულტაცია და თერაპია - განსხვავება და სტატისტიკური მონაცემები. 13.06.2018 http://coachinglab.ge/treningi-mentoringi/

კვარაცხელია, თ.კ. (2016) რა არის ქოუჩინგი? 14.06.2018 https://zrda.wordpress.com/2014/11/21/what-is-coaching/

კარდანახიშვილი, ა.კ. (04.01.2016) ვისთვის და რატომ არის საჭირო coaching? (23.06.2018)

ჩიჩუა, თ.ჩ (12.06.2017) ქოუჩინგი, როგორც პერსონალის განვითარების ინსტრუმენტი, 23.06.2018 http://growin.ge/press-center/blog/qoucingi-rogorc-personalis-ganvitarebis-instrumenti

ბაბუნაშვილი, ა.ბ. (2007, მაისი) ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები № 3, 18.06.2018 https://docs.google.com/document/d/1uFk84SWB4f39o82-8YwLH7Nl0QjSaEehgdv1KKnYpWs/edit

ჩიჩუა, თ.ჩ (23.04.2018) რა არის ქოუჩინგი? (23.06.2018) http://growin.ge/press-center/siaxleebi/ra-aris-qoucingi-193

https://erickson.edu/

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დემოგრაფია - სადოქტორო პროგრამა

II სემესტრის დოქტორანტი

თინათინ კაპანაძე

სადოქტორო სემინარი

„საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ანალიზი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან შედარების საფუძველზე (1989-2014 წლებში)"

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი- ვაჟა ლორთქიფანიძე

ანოტაცია

მოცემულ ნაშრომში განხილულია საქართველოს დემოგრაფიული განვითარება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარება, ბუნებრივი მატებისა და მიგრაციის მაჩვენებლები განხილულია სამ ეტაპად. თავდაპირველად მოკლედ გავაანალიზე რეგიონის დემოგრაფიული განვითარება 1960-1989 წლებში. მეორე ეტაპზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ პერიოდში დემოგრაფიულ განვითარებაში მომხდარი ცვილილებები. მესამე ეტაპზე კი, ახალ ათასწლულში მიმდინარე ტენდენციები. ამასთან, თითოეულ ეტაპზე გავაკეთე აღნიშნული ქვეყნების დემოგრაფიული განვითარების ნომაცემების შედარებითი ანალიზი.

ნაშრომის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის რეგიონის სხვა ქვეყნების ფონზე საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების ანალიზი, ასევე წარმოაჩინოს საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულ განვითარების პრობლემები. ნაშრომის მიზანია ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემა, როგორებიცაა: რა დემოგრაფიული პოტენციალი გააჩნდა ქვეყანას დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ და როგორ გამოიყენა იგი? როგორ წარიმართა საქართველოს მოსახლების გამრავლების პროცესი გასული 30 წლის გამავლობაში და რა მოვლენებმა განაპირობა მისი გავითარების ამგავრი გზა? როგორ აისახა კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე? რატომ განვითარდნენ საქართველო , სომხეთი და აზერბაიჯანი დემოგრაფიული თვალსაზრისით განსხვავებულად? რა სპეციფიკურობით ხასიათდება თითოეული მათგანი?

სარჩევი

ანოტაცია 1

შესავალი 4

თავი 1.საქართველოს დემოგრაფიული განვითარება და მასზე მოქმედი ფაქტორები 7

1.2 დემოგრაფიული გადასვლის ფაზები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში 7

1.3 დემოგრაფიულ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები 10

რეგიონის დემოგრაფიული განვითარების ანალიზი მე-**20** საუკუნეში 12

1.1 დემოგრაფიული მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა 13

1.4 საქართველოს მოახლეობის განვითარების შედარებითი ანალიზი სომხეთის და აზერბაიჯანის მოსახლეობასთან 14

თავი 2. დემოგრაფიული განვითარების ანალიზი **1991-2000** წლებში 17

3.1 ცვლილებები საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებაში 17

3.2 მოსახლეობის ფორმირებაში მიმდინარე ცვლილებები სომხეთსა და აზერბაიჯანში 21

თავი 4. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დემოგრაფიული განვითარება **2001-2015** წლებში ... 26

4.1 საქართველოს დემოგრაფიული განვითარება 26

4.2 სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობა და მისი შედარებითი ანალიზი საქართველოს მოსახლეობასთან 29

თავი 5. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოსახლეობის განვითარების ზოგადი ინდიკატორების განხილვა 33

დასკვნა 36

გამოყენებული ლიტერატურა 39

შესავალი

საქართველო ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით განვითარებადი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, დემოგრაფიული თვასაზრისით კი მისი მოსახლეობა განვითარებული ქვეყნების მსგავსად ვითარდება. განვითარებული ქვეყნები მოსახლობის დემოგრაფიული განვითარების მეოთხე ფაზაში იმყოფებიან. მათთვის დამახასიათებელია შობადობისა და მოკვდაობის დაბალი მაჩვენებელი, გაზრდილი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მოსახლეობის უმნიშვნელო ან სულაც ნულოვანი მატება. დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე ფაზა განვითარებული ქვეყნების გარდა დამახასიათებელია პოსტსაბჭოთა სივრცის ევროპული ქვეყნებისა და აღმოსავლეთ ევროპისათვის, მათ შორის საქართველოსთვის. უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა შობადობის მაჩვენებელი, იკლებს სიკვდილიანობა, მოსახლეობის მნიშნელოვანი ნაწილი 65 წლის ასაკის ზემოთაა, რაც საქართველოს დაბერებული ქვეყნის სტატუს აძლევს.

საქართველო მწვავე დემოგრაფიული პრობლემების წინაშე დგას. იბადება იმაზე ნაკლების ბავშვი , ვიდრე მშობელთა თაობის სრულად ჩანაცვლებისთვისაა საჭირო. ამას ემატება მიგრაციის უარყოფითი სალდო, რამაც მთლიანად შეცვალა საქართველოს სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. კერძოდ იკლო 15-65 წლის ასაკის მოსახლეობის რაოდენობამ. მიგრაციულმა ნაკადებმა მომენტალური გავლენა იქონიეს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივიპირამიდაზე, მაგრამ შობადობის კლებით გამოწვეული ცვლილებას გავლენის მოხდენა ათობით წლის განმავლობაში შეუძლია. მისი შედეგები გაცილებით უფრო ხანგრძლივი და მტკივნეულია.

საქართველოსდემოგრაფიულიგანვითრებაარსებითადგანსხვავდებასომხეთისად ააზერბაიჯანისდემოგრაფიულიგანვითარებისმაჩვნენებლისაგან. ამავედროსმხეველობაშიამისაღები, რომსამხრეთკავკასიაერთიმთლიანირეგიონია, სადაცბუნებრივიდაკლიმატურიპირობები, ზოგადიცხოვრებისწესირამდენადმეუახლოვდებაერთმანეთს. სწორედ ამიტომ ვფიქრობ

საინტერესო იქნება საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ამ კუთხით განხილვა.

მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარება სომხეთისა და აზერბაიჯანის დემოგრაფიული განვითრების ფონზე. ნაშრომის მიზანია ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემა, როგორებიცაა: რა დემოგრაფიული პოტენციალი გააჩნდა ქვეყანას დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ და როგორ გამოიყენა იგი? როგორ წარიმართა საქართველოს მოსახლების აღწარმოების პროცესი გასული 25 წლის გამავლობაში და რა მოვლენებმა განაპირობა მისი გავითარების ამგავრი გზა? როგორ აისახა კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე?რატომ განვითარდნენ საქართველო , სომხეთი და აზერბაიჯანი დემოგრაფიული თვალსაზრისით განსხვავებულად? რა სპეციფიკურობით ხასიათდება თითოეული მათგანი?

მოსახლეობის დემოგრაფიულ განვითარების დონეზე სხვადასხვა დემოგრაფიული შემთხვევების მაჩვენებლები ახდენენ გავლენას: შობადობა, მოკვდაობა,ბუნებრივი მატება, ჩვილთა მოკვდაობა, ქორწინებითი სტრუქტურა, მიგრაცია... თუმცა მათ შორის ყველაზე ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია შობადობა, მოკვდაობა, მათი ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე ბუნებრივი მატების მაჩვენებელი და მიგრაცია. მართალია შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტების სისუსტე მისი ზოგადი და არასრულფასოვანი მონაცემებია , მაგრამ მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების ძირითადი სურათის შესაქმნელად სავსებით საკმარისია.ასევე მიგრაციული ნაკადები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ, როგორც მოსახლეობის რაოდენობის, ისე მისი სტრუქტურის ცვლილებაზე.ზოგადად მოსახლეობის ცვლილება მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა და მექანიკური მოძრაობის მაჩვენებლებზეა დამოკიდებული

ნაშრომზე მუშაობისას სირთულეს წარმოადგენდა ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება. ამიტომ ხშირ შემთხვევაში ოფიციალურ სტატისტიკასთან ერთად სხვადასხვა დემოგრაფიის სპეციალისტთა შეფასებითი მონაცემებიც იქნება

გამოყენებული. ასევე სირთულეს წარმოადგენდა სომხეთსა და აზერბაიჯანზე ისეთივე მოცულობითი ინფორმაციის მოძიება , როგორიც საქართველოს დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე. თუმცა საბოლოო ჯამში ნაშრომის დასაწერად საჭირო ინფორმაციული რესურსის მოძიება მაინც შევძელი.

ნაშრომის შედგენისას არ ჩამიტარებია რაიმე სახის სოციალური კვლევა, რადგან თემიდან გამომდინარე არ არსებობდა ამის საჭიროება. იგი ძირითადად ეფუძნება ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურის კლევას და ინტერნეტ რესურსებს, ასევე, მოსახლეობის საყოველთაო აღწერების და ყოველწლიური სტატისტიკური აღრიცხვების ოფიციალურ და შეფასებით მონაცემებს.

თავი 1. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება და მასზე მოქმედი ფაქტორები

1.1 დემოგრაფიული გადასვლის ფაზები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე

დემოგრაფიაში დემოგრაფიული გადასვლის 4 ფაზა გამოიყოფა. როგორც უკვე ავღნიშნე საქართველო ამჟამად დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე საფეხურზე იმყოფება და რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის განვითარებული ქვეყნების დემოგრაფიული განვითარების მოდელია დამახასითებელი. თითოეული საფეხურისთვის დამახასიათებელია ბუნებრივი მატების განსხვავებული ტენდენციები, რომელიც შობადობისა დამოკვდაობის კოეფიციენტების ცვილიებაზეა დამოკიდებული. პირველი საფეხურისთვის დამახასიათებელია ბუნებრივი მატების დაბალი მაჩვენებელი, რაც ძირითადად შობადობისა და მოკვდაობის მაღალი დონით არის განპირობებული. მეორე საფეხურზე მკვეთრად მცირდება მოკვდაობა, შობადობა კი მცირედით იკლებს. შესაბამისად ამ საფეხურისთვის მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოებაა დამახასიათებელი. მესამე საფეხურიდან მკვეთრად ეცემა შობადობის მაჩვენებელი, რაც ბუნებრივ მატებას შემცირებისკენ მიმართავს. მეოთხე საფეხურზე დაბალი შობადობისა და მოკვადობის შედეგად ბუნებრივი მატება უმნიშვნელო ან ნულოვანია. მეოცე საუკუნეში საქართველომ დემოგრაფიული გადასვლის მეორე და მესამე საფეხურები გაიარა.

საქართველო 1960 წლისთვის უკვე დემოგრაფიული გადასვლის მესამე საფეხურზეა. ამ ეტაპისთვის ზოგადად დამახასიათებელია შობადობის მკვეთრი შემცირება და მოკვდაობის შენელებული კლება. შესაბამისად ბუნებრივი მატებაც შემცირებისკენ არის მიდრეკილი. საქართველოში მართლაც აღნიშნებოდა შობადობის შემცირება. მართალია არც თუ ისე მკვეთრი , როგორც ეს დემოგრაფიული გადასვლის მესამე ეტაპს ახასიათებს , მაგრამ ყოველწლიური კლება საგრძნობლად აისახებოდა შობადობის ზოგად კოეფიციენტზე. ასევე მოკვდაობა არა კლებისკენ, არამედ

მატებისკენ იყო მიდერკილი თუმცა , მისი მაჩვენებლი რაიმე მკვეთრ ცვლილებას არ განიცდიდა. მიუხედავად იმისა, რომ მოკვდაობისა და შობადობის ზოგადი მაჩვენებლები სრულ შესაბამისობაში არ მოდიან დემოგრაფიული გადასვლის მესამე საფეხურთან, ბუნებრივი მატება ამ პერიოდში კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, რის გამოც საქართველო შეიძლება ჩაითვალოს , რომ ამ პერიოდში დემოგრაფიული გადასვლის მესამე საფეხურზე იყო. ამ ეტაპის დასასრულად შეგვიძლია მივიჩნიოთ 90-იანი წლები, როდესაც შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებლები თითქმის გაუთანაბრდნენ ერთმანეთს. სტატისტიკის სახელმწიფო სამხარურის მონაცემების მიხედვით ბუნებრივი მატების მაჩვენებელი ნულოვანი2002 წელს გახდა. მისი მაჩვენებელი 1 პრომილეს ჯერ კიდევ 1999 წელს ჩამოსცდა და 1999-2001 წლებში 3 პრომილეს ტოლი იყო. სწორედ ამ დროს მოხდა ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების მეოთხე საფეხურზე გადასვლა.

საქართველოს მსგავსად 1960 -იანი წლებიდან სომხეთიც დემოგრაფიული განვითარების მესამე საფეხურზე იმყოფებოდა. აქ მკვეთრი იყო შობადობის ზოგადი კოეფიციენტის კლება 1960-70 წლიან შუალედში. მოკვდაობის მაჩვენებელი კი საქართველოსგან განსხვავებით კლებით ხასიათდებოდა,აქედან გამომდინარე ბუნებრივი მატება კლებისკენ იყო მიდრეკილი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სომხეთის მოსახლეობის მოკვდაობის მაჩვენებელი მუდმივად იზრდება. მიუხედავად იმისა , რომ შობადობის კლების ტენდენცია 1991 წლის შემდგაც გრძელდებოდა, ბუნებრივი მატება ნულოვან ზღვარს არასდროს მიახლოებია. მეტიც, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე შობადობის ზოგადი კოეფიციენტი მუდმივად იზრდება. შესაბამისად საქართველოსგან განსხვავებით სომხეთი დღემდე დემოგრაფიული გადასვლის მესამე საფეხურზე იმყოფება.

აზერბაიჯანის მოსახლეობაში შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტებს რაიმე რადიკალური ცვლილება არ განუცდია. შობადობის მაჩვენებელი თანდათანობით იკლებდა, მოკვდაობის მაჩვენებელი სტაბილურობით გამოირჩეოდა და მისი საშუალო გადახრის მაჩვენებელი 2 პრომილეს არ აღემატებოდა. აქედან გამომდინარე აზერბაიჯანიც საქართველოსა და სომხეთის მსგავსად ბუნებრივი მატების კოეფიციენტის კლებით ხასიათდებოდა და შესაბამისად დემოგრაფიული გადასვლის

მესამე საფეხურზე იმყოფებოდა. 1991 წლიდან აზერბაიჯანში ბუნებრივი მატების კლების ტენდენცია შენარჩუნდა, თუმცა რეგიონისმოსაზღვრე ქვეყნების მსგავსად კრიტიკულ ზღვრამდე არ ჩამოსულა. ყველაზე დაბალ ნიშნულს 7,9 პრომილეს 2003 წელს მიაღწია. მას შემდეგ კი წინა ათწლეულისგან განსხვავებით კლებადი მოკვდაობისა და მზარდი შობადობის მაჩვენებლებით ხასიათდება. შესაბამისად ბუნებრივი მატება ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე კვლავ მზარდი გახდა. თუმცა 2015 წელს შობადობის მაჩვენებლის შემცირებას კვლავ მოჰყვა ბუნებრივი მატების კლებაც. ჯერჯერობით ნაადრევია დასკვნების გაკეთება იმის შესახებ იყო თუარა ეს მხოლოდ ერთწლიანი ჩავარდნა თუ აღნიშნული ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება. თუმცა დღევანდელი მდგომარეობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2000-იანი წლებიდან ქვეყანა დემოგრაფიული გადასვლის მეორე საფეხურს დაუბრუნდა, ხოლო თუ 2015 წლის მონაცემებსაც მივიღებთ მხედველობაში აზერბაიჯანი მეორე და მესამე საფეხურების ზღვარზეა.

მიუხედავად მოსახლეობის რიცხოვნობაში მკვეთრი სხვაობისა, შობადობის, მოკვდაობისა და ბუნებრივი მატების კოეფიციენტების განსხვავებული მონაცემებისა, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში სამივე ქვეყანა დემოგრაფიული კუთხით მსგავსი განვითარებით ხასიათდებოდა და დემოგრაფიული გადასვლის მესამე საფეხურზე იდგნენ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მათი გზები გაიყო და სამივე ქვეყანა სხვადასხვაგვარად განვითარდა. საქართველო დემოგრაფიული თვალსაზრისით განვითარდა და მეოთხე საფეხურზე გადავიდა. სომხეთმა მესამე საფეხურზე გააგრძელა მოღვაწეობა, აზერბაიჯანი კი მეორე და მესამე საფეხურების ზღვარზე იმყოფება.

1.2 დემოგრაფიულ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები

ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიულ განვითარებაზე უამრავი სხვადასხვა ფაქტორი შეიძლება ახდენდეს გავლენას: ეკონომიკა, პოლიტიკური მდგომარეობა, ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობა, ურბანიზაციის დონე, ჯანდაცვის განვითარება და ხელმისაწვდომობა, განათლების დონე და სხვა. ზოგადად დემოგრაფიულ განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებს ჯაჭვური რეაქცია ახასიათებს. და სათავეს ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობიდან იღებს, რომელიც მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე, ეკონომიკური მდგომარეობა თავის მხრივ განსაზღვრავს ქვეყანაში განათლების, ჯანდაცვის, ურბანიზაციის დონეს...

ყველაზე მეტად დემოგრაფიულ განვითარებაზე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ახდენს გავლენას. მისი მოქმედება დემოგრაფიულ განვითარებაზე შეიძლება იყოს , როგორც პირდაპირი ასევე ირიბი. მაგალითად: ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაზე დამოკიდებულია ჯანდაცვის დონე, რაც თავის მხვრივ მოკვდაობაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორია. საქართველოში დემოგრაფიული პრობლემების ძირითადი მიზეზი სწორედ ეკონომიკური კრიზისია. ხშირად ოჯახების უარს ამბობენ სასურველი რაოდენობის შვილების გაჩენაზე იმის გამო, რომ არ აქვთ საჭირო ფინანსური მდგომარეობა. თუმცა მეორეს მხრივ ეკონომიკურად უზრუნველყოფილი ოჯახები იშიათად აჩენენ სამ ან მეტ ბავშვს. ამ შემთხვევაში ოჯახები აქცენტს აკეთებენ არა შვილების რაოდენობაზე , არამედ მათ აღზრდასა და განათლების ხარისხზე. ნებისმიერ შემთხვევაში მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა დემოგრაფიული განვითარების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია.

ქვეყნები სადაც ეკონომიკური განვითარების დაბალი დონეა ძირითადად მაღალი შობადობით გამოირჩევა. მაშინ ლოგიკურად ისმის კითხვა- რატომაა საქართველოშიშობადობის დონე ასეთი დაბალი? ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება

დავასახელოთ ურბანიზაციის მზარდი პროცესი. ცნობილი ფაქტია, რომ მეოცე საუკუნეში დაწყებულმა ურბანიზაციის პროცესმა მნიშნელოვანი გავლენა იქონია შობადობის შემცირებაზე. საქართველოც ერთ-ერთი მაღალ ურბანიზებული ქვეყანაა (52% 2014წ). გარდა ამისა შობადობის კლების მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ქალების დასაქმება და მათი აქტიური ჩართულობა საზოგადოებრივ საქმიანობაში. ასევე საქართველოში მშობლები აქცენტს აკეთებენ არა შვილების რაოდენობაზე, არამედ მათ აღზრდა განათლებაზე, რაც თავის მხრივ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. აღნიშნულ გარემოებებს ხელს უწყობს კონტრაცეფციის თანამედროვე საშუალებების ფართო გავრცელება.

მსოფლიოში მოკვდაობის მაჩვენებლის კლება ჯანდაცვის სფეროს მიღეწევბთანაა დაკავშირებული. სამწუხაროა მხოლოდ ის ფაქტი , რომ სამედიცინო სფეროს თანამედროვე მიღწევების გამოყენებს მხოლოდ განვითარებული ქვეყნების ფუფუნებაა და შესაბამისად მოკვდაობის მაჩვენებლი ასეთ ქვეყნებში საგრძნობლად დაბალია დაბალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. საქართველოში მუდმივად ვითარდება ჯანდაცვის სისტემა და სახელმწიფო ცდილობს იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს. აღნიშნული კუთხით პროგრესი შეინიშნება , თუმცა მოკვდაობის მაჩვენებლები ბოლო რამდენიმე წელია ზრდას განაგრძობენ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ქვეყნის დემოგრაფიული დაბერება. ანუ მოკვდაობის კოეფიციენტი 65 წლის ასაკის ზემოთ მოსახლების ხარჯზე იზრდება და არა ჯანდაცვის დაბალი დონის გამო. ასევე მკვეთრად არის შემცირებული ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებელი, რაც წესით შობადობის მაჩვენებლის ზრდაზეც უნდა აისახოს. თუმცა 1993 წლიდან მოყოლებული შობადობის ზოგადი კოეფიციენტი საქართველოში საკმაოდ მერყევია და ხან კლებისკენ არის მიმართული , ხანაც მატებისკენ.

შობადობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის რელიგიური შემადგენლობა. რელიგია შობადობის ერთგვარ სტიმულატორადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ, რადგან ნებისმიერი სარწმუნეობა ეწინააღმდეგება ხელოვნული ჩარევით ორსულობის შეწყვეტას და მიმდევრებს იმდენი შვილის გაჩენისკენ მოუწოდებს „ რამდენსაც ღმერთი მისცემს“ . განსაკუთრებით ძლიერი ზეგავლენა ამ კუთხით ისლამს ახასიათებს. სწორედ ისლამურ ქვეყნებში შეინიშნება შობადობის ყველაზე მაღალი

მაჩვენებლები. კავკასიის რეგიონში ამის საილუსტრაციოდ აზერბაიჯანული ეთნოსიც გამოდგება. აზერბაიჯანში, ნაშრომში განხილული მთელი პერიოდის მანძილზე, შობადობა საგრძნობლად მაღალი იყო რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით. საქართველოში კი ამავე პერიოდში 2 შვილზე მეტს იშვიათად თუ აჩენდა ვინმე. იგივე მდგომარეობაა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელების დასახლებებსა და მთიან აჭარაში. მაშინ როცა ქართული ოჯახების უმრავლესობას მხოლოდ 2 შვილი ჰყავდათ, ეს რეგიონები მუდმივად გამოირჩეოდა მრავალშვილიანობით. ამ ორ რეგიონს დღემდე მნიშნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს მოსახლეობის შობადობის მაჩვენებელში.

თავი 2. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დემოგრაფიული განვითარების ანალიზი მე-20 საუკუნეში

დემოგრაფიაში ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს მოსახლეობის საყოველთაო აღწერები, დემოგრაფიული შემთხვევების უწყვეტი სტატისტიკური აღრიცხვა, მოსახლეობის რეგისტრები და შერჩევითი გამოკვლევები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მონაცემები, რომელიც ყველა ქვეყანაში სხვადასხვა სიხშირით ტარდება.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში აღწერები სულ ორჯერ ჩატარდა. პირველად 2002 წელს და მეორედ 2014 წელს. მანამდე ბოლო აღწერა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ცოტა ხნით ადრე 1989 წელს ჩატარდა. ამიტომ მოცემულ ნაშრომში განსახილველი პერიოდი მოიცავს 1989-2015 წლებს. უფრო ფართო ანალიზისთვის ასევე განხულილი იქნება 1960-1989 წლების შუალედში არსებული დემოგაფიული ვითარებაც. 1959 წლამდე აღწერა საბჭოთა კავშირში 1926 და 1939 წლებში ჩატარდა. ვინაიდან აღწერებს შორის პერიოდი საკმაოდ დიდია და მათ შორის სამამულო ომის პერიოდიც არის მოქცეული, არსებული მონაცემების განხილვა დღევანდელ პერიოდთან მიმართებაში არაფრის მომცემი იქნებოდა. ამასთან სამამულო ომში დაღუპულთა რაოდენობა დღემდე საკამათოა და

სხვადასხვა წყაროებში გარდაცვლილთა რაოდენობას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. ამიტომ წინაწარი ანალიზისთვის 1960-89 წლიანი შუალედი ავიღე.

2.1 საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს მოსახლეობისთვის მე-20 საუკუნეში აბსოლიტურ მაჩვენებლებში მოსახლეობის მუდმივი ზრდა იყო დამახასიათებელი. საუკუნის დასაწყისთან შედარებით 90-ანი წლების დასაწყისისთვის მოსახლება თითქმის 2,5 ჯერ გაიზარდა. თუმცა თუ ბუნებრივი მატების და მიგრაციის კოეფიციენტებს გადავხედავთ დავინახავთ, რომ მდგომარეობას არც ისე სახარბიელოა. დავიწყოთ იმით, რომ შობადობის მაჩვენებელი კლებით ხასიათდებოდა. 1960 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 24,7 პრომილე იყო. 1989 წლისთვის კი მისი სიდიდე 16.8 პრომილემდე შემცირდა. რა შეეხება მოკვდაობას მისი მაჩვენებელი ხშირად მერყეობდა, თუმცა ძირითადად მატებისკენ იყო მიდრეკილი. აქედან გამომდინარე ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი მუდმივად იკლებდა. გამონაკლისს წარმოადგენს 1985-86 წლები , როდესაც შობადობამ მცირედით მოიმატა და მოკვდაობის დონის სტაბილურობის გავლენით მცირეოდენი ზრდა ბუნებრივი მატების კოეფიციენტზეც აისახა. მომდევნო წლებში შობადობა და ბუნებრივი მატება კვლავ კლებით, ხოლო მოკვდაობა მატებით ხასიათდებოდა. აღსანიშნავია რომ მიუხედავად მუდმივი კლებისა ბუნებრივი მატების მაჩვენებელი არასდროს ჩამოსულა საგანგაშო ნიშნულზე, როგორც ეს შემდგომ 1990-იან წლებში მოხდა.

ბუნებრივი მატება მოსახლების საერთო მატების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. საქართველოს შემთხვევაში მიუხედავად აღნიშნული მაჩვენებლის მუდმივიკლებისა 1959-1989 წლებში მოსახლეობა ოფიციალური მონაცემებით 4129 ათასიდან 5449 ათასამდე გაიზარდა. საქართველოსმიგრაციის სალდო 1957 წლიდან მოყოლებული უარყოფითი გახდა. 1973 წლიდან მოყოლებული საქართველოს მიგრაციის უარყოფითი სალდო აბსოლიტურ რიცხვებში 10 000-ს აჭარბებდა.

შესაბამისად მოსახლეობის მატებაზე მიგრაცია დადებითად ვერ იმოქმედებდა. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსახლობის რიცხოვნობის ზრდა ბუნებრივი მატების ხარჯზე ხდებოდა. მიგრაციის უარყოფითი სალდოს შედეგად 1960-2000 წლებში საქართველოს მოსახლეობას 1404 ათასი ადამიანი დააკლდა.

2.2საქართველოს მოახლეობის განვითარების შედარებითი ანალიზი სომხეთის და აზერბაიჯანის მოსახლეობასთან

სომხეთის მოსახლეობა საბჭოთა კავშირის შემოდგენლობაში საქართველოს მსგავსად მუდმივი ზრდით ხასიათდება. 1960 წელს სომხეთის მოსახლეობა 1823 ათას ადამიანს შეადგენდა. 1989 წლის აღწერის მონაცემებით კი 3283 ათას კაცს შეადგენდა. აბსოლიტურ რიცხვებზე დაყრდნობით ერთი შეხედვით თვალში საცემია, რომ სომხეთის მოსახლეობა საქართველოსთან შედარებით მოსახლეობის მატების უფრო მაღალი ტემპით გამოირჩეოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოსთან შედარებით მაღალი შობადობისა და ბუნებრივი მატების კოეფიციენტებია.

1960 წელს სომხეთში შობადობის კოეფიციენტი 40,1 პრომილე იყო. ეს მაჩვენებელი 1960-70 წლებში თითქმის განახევრდა და 1989 წლამდე მნიშვნელოვანი ცვლილება აღარ განუცდია. საბჭოთა კავშირის ბოლო აღწერის მონაცემებით შობადობის ზოგადმა კოეფიციენტმა სომხეთში 21,6 პრომილეშეადგინა. სომხეთის შობადობის კოეფიციენტი მნიშნელოვნად აღემატეობდა საქართველოს იგივე მაჩვენებელს მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. თუმცა საქართველოს არ განუცდია ისეთი მკვეთრი ცვლილება , როგორიც სომხეთმა 1960-70 წლებში. საქართველოს შემთხვევაში კლება შედარებით სტაბილური იყო. რაც შეეხება მოკვდაობას 1960-89 წლებში მისი მაჩვენებელი ძირითადად კლებისკენ იყო მიდრეკილი. საბოლოოდ აღნიშნული პერიოდში მაჩვენებელი 6.8 და 6,2 მდე შემცირა. ამ მხრივ სომხეთს

საქართველოსთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა. 1970 წლის შემდეგ ბუნებრივი მატება სტაბილური იყო და უმნიშველო კლებით ხასიათდებოდა.

სომხეთის მოსახლეობის ზრდის ტემპი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საკმაოდ მაღალი იყო. მაშინ როდესაც საქართველოში მოსახლების რაოდენობა 1960-1992 წლებში 1099 ათასით გაიზარდა, სომხეთმა იგივე პერიოდში მოსახლეობის რაოდენობა თითქმის ორჯერ გაზარდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს , რომ მთელი ამ პერიოდის მანძილზე საქართველოს მოსახლეობა თითიქმის 2 მილონით აჭარბებდა სომხეთის მოსახლეობას. მიუხედავად იმისა რომ სომხეთის მიგრაციულ ნაკადებზე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ზუსტი სტატისტიკური ინფორმაცია ვერ მოვიპოვე, სავარაუდოდ მიგრაციის სალდი აქაც უარყოფითი იყო. მოსახლეობა საქართველოს მსგავსად ბუნებრივი მატების ხარჯზე იზრდებოდა. მოსახლეობის ზრდის შედარებით სწრაფი ტემპი კი ერთის მხვრივ შობადობის მაღალი და მოკვდაობის დაბალი დონით იყო გამოწვეული.

სომხეთში 1960 იან წლებში მაღალი იყო ბუნებრივი მატების მაჩვენებელი, რაც ძირითადად შობადობის მაღალი კოეფიციენტით იყო განპირობებული. 70-იანი წლების დასაწყისისთვის შობადობის მაჩვენებლი თითქმის განახევრდა.ამის მიზეზი ეკონომიკურ სფეროში მომხდარი ცლილებები შეიძლება დავასახელოთ. 60_იან წლები სომხეთის ეკონომიკა ყოველწლიურად 5 % ით იზრდებოდა, ხოლო სამოცდაათიანი წლებიდან ქვეყნის ეკონომიკა კრიზისის ფაზაში შედის და 80_იან წლებში უკვე უარყოფით ნიშნულს იღებს. თავის მხვრივ ეკონომიკური განვითარების ასეთმა რეგრესმა უარყოფითი გავლენა იქონია შობადობის კოეფიციენტზე. აღსანიშნავია რომ მოცემულ პერიოდში მოკვდაობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები სომხეთის ტერიტორიაზე 1970-80 იან წლებში ფიქსირდება(5,1 პრომილე).

რაც შეეხება აზერბაიჯანის მოსახლეობას1960 წლისთვის მისი რიცხოვნობა 3894 ათას ადამიანს შეადგენდა. საბჭოთა კავშირის შემადგენობაში საქართველოსა და სომხეთის მსგავსად მოსახლეობა მუდმივად იმატებდა. აზერბაიჯანი მაღალი ბუნებრივი მატებით გამოირჩეოდა, თუმცა მისი მაჩვენებელიც კლებისკენ იყო მომართული. ამის მიზეზი შობადობის მაჩვენებლის კლება იყო.მისი კოეფიციენტი 1960

წელს 42,6 პრომილეს უტოლდებოდა. საქართველოსა და სომხეთის მსგავსად შემდგომ წლებში აზერბაიჯანის შობადობის მაჩვენებელიც ეცემა. აზერბაიჯანში შობადობა საქართველოს მსგავსად სტაბილური კლებით ხასიათდებოდა და 1989 წლისთვის 25,7 პრომილემდე ჩამოვიდა. მოკვდაობის მაჩვენებლი ორივე ქვეყანასთან შედარებით განსხვავებული იყო და სტაბილურიბით ხასიათდებოდა. მისი მაჩევენებლი ძირითადად 6-7 პრომილეს ფარგლებში მერყეობდა.იმის გათვალისწინებით , რომ აზერბაიჯანს ყველაზე მაღალი შობადობის მაჩვენებელი ჰქონდა და მოკვდაობის კოეფიციენტიც სტაბილური იყო, ბუნებრივი მატებით გამოწვეული ზრდა ყველაზე ნათლად აზერბაიჯანზე აისახა. მისი მოსახლეობა 1989 წლის აღწერის მონაცემებით 7075 ათასი გახდა. ოფიციალური ან შეფასებითი სტატისტიკური მასალის მოპოვება ვერც აზერბაიჯანის მიგრაციის მაჩვენებლებზე მოვახერხე. სავარაუდოდ მისი მოსახლეობაც ძირითადად ბუნებრივი მატების ხარჯზე იზრდებოდა.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ 1960-89 წლებში სამივე ქვეყანა ერთნაირად ვითარდებოდა დემოგრაფიული კუთხით. მიუხედავად დემოგრაფიული მახასიათებლების კოეფიციენტებსა და აბსოლიტურ რიცხვებში საგრძნობი სხვაობისა, ისინი მაინც ერთი გზით ვითარდებოდნენ. სამივე ქვეყანა გადიოდა დემოგრაფიული გადასვლის მესამე საფეხურს, ახასითებდათ შობადობისა და ბუნებრივი მატების კლება. მხოლოდ განსხვავებული იყო მოკვდაობის მაჩვენებლები. ამასთან, მიუხედავად უარყოფითი მიგრაციული ბალანსისა, ბუნებრივი მატების ხარჯზე მაინც ახერხებდნენ დანაკარგის კომპენსირებას და მოსახლეობის ზრდას.



გრაფიკი 2.2.1

თავი 3. დემოგრაფიული განვითარების ანალიზი 1991-2000 წლებში

3.1 ცვლილებები საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებაში

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მოსახლეობის პირველი საყოველთო აღწერა 2002 წელს ჩატრდა. მანამდე ბოლო აღწერა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში 1989 წელს ჩატარდა. ამ ორ აღწერებს შორის პერიოდში გამწვავებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე გართულდა დემოგრაფიული შემთხვევებისა და მიგრაციული ნაკადების აღრიცხვა. შესაბამისად ზუსტი მონაცემები 90-იანი წლების საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობისა, სქესობრივ-ასაკობრივი

სტრუქტურისა თუ სხვა მახასიათებლების შესახებ არ გაგავაჩნია. ოფიცილურად არსებობს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის დემოგრაფიული შემთხვევების აღრიცხვის მონაცემები, თუმცა მათი სიზუსტეში ბევრ დემოგრაფს შეაქვს ეჭვი და ძირითადად თავიანთ ნაშრომებში შეფასებით მონაცემებს გვთვაზობენ. შეფასებითი მონაცემები ძირითადად 1989 წლის აღწერის მონაცემებს ეყრდნობა. მიუხედავად კოეფიციენტებსა და აბსოლიტურ რიცხვებში მნიშვნელოვანი სხვაობისა, ძირითადი ტენდენციები, როგორც შეფასებითი ასევე ოფიციალური მონაცემების შემთხვევაში მსგავსია. მაგალითად იმის მიუხედავად , რომ 1960 წლიდან მოყოლებული ოფიაციალურ და შეფასებით მონაცემებს შორის სხვაობა მოსახლეობის რიცხოვნობაში სულ უფრო მზარდი იყო, მოსახლეობის მუდმივი ზრდის ტენდენცია ორივე მონაცემში შეინიშნებოდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების სურათი იცვლება. ბუნებრივი მატება კლებას განაგრძობს, თუმცა საზღვრების გახნითა და ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული მიგრაციუილ პროცესები მნიშვნელოვნ გავლენას ახდენს ქვეყნის მოსახლეობის სტრუქტურის ცვლილებაზე. მოსახლეობის რაოდენობამ მაქსიმუმ 1992 წელს მიაღწია დაოფიციალური მონაცემებით 5467 ათასი კაცი შეადგინა. 1993 წლიდან კი საქართველოს მოსახლეობაკლებას იწყებს. თვალსაჩინოებისთვის, 1960-1991 წლებში საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 1099 ათასით გაიზარდა , ხოლო 1992-2000 წლებში 882 000 -ით შემცირდა. შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის ის რესურსი, რომელსაც ქვეყანა 40 წლის მანძილზე აგროვებდა 8 წლის განმავლობაში თითქმის მთლიანად განადგურდა. შეფასებითი მონაცემების მიხედვით 1990-2000 წლებში მხოლოდ მიგრაციის შედეგად 1989 წელს არსებული მოსახლეობის 19% დაკარგა. აღნიშნული კლება თავისებურებით ხასიათდებოდა, რაც ძირითადად გამოიხატებოდა მოსახლების სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მკვეთრ ცვლილებაში. აქ ძირითადი როლი მიგრაციამ ითამაშა. გარდა იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანა დატოვეს უცხო ეთნოსის წარმომადგენლებმა, მიგრაციაში აქტიურად ჩაერთო საქართველოს მკვიდრი მოსახლების შრომითი რესურსი. ანუ ადამიანების, რომლებიც გარდა სამუშაო ძალისა წარმოადგენდნენ ფერტილური ასაკის

მოსახლეობას.მიგრაციაში მონაწილეთა 69,1 %_ისათვის დესტინაცია რუსეთი იყო. 1989-2002 აღწერათშორის პერიოდში გარე მიგრაციის ინტენსივობა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსებისთვის განსხვავებული იყო. გარე მიგრაციაში მონაწილეთა შორის დიდი იყო ოსების, რუსებისა და ბერძნების წილი. მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური ქართველებს მიგრაცის უარყოფითი სალდო ახასიათებდათ, გარე მიაგრაციაში მონაწილეთა შორის მათი წილი ყველაზე დაბალი. ასევე დაბალი იყო ეთნიკური სომხებისა და აზერბაიჯანელების წილი.

საქართველოში შობადობის კლების ტენდენცია კვლავ შეინიშნებოდა. თუმცა, გამონაკლისს წარმოედგენდა 1990 წელი, როდესაც 1989 წელთან შედარებით დაბადებულთა რაოდენობამ მოიმატა. ამას ხელი შეუწყო როგორც რეპროდიუციული ქცევის ცვლილებამ , ისე ასკობრივი სტრუქტურის გაუმჯობესებამ. 1991 წლიდან დაბადებულთა რაოდენობა კვლავ იკლებს უმნიშვნელოდ. იგი ძირითადად გამოწვეული იყო ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესებით. 1992 -1993 წლებში დაბადებულთა რიცხვის კლებას უკვე რეპროდუქციული ქცევაც განაპირობებდა. საერთო ჯამში 1990-2000 წლებში საქართველოში დაბადებულთა რაოდენობის კლების 62,3 % განპირობებული იყო რეპროდუქციულ ქცევაში მიმდინარე ცვლილებით, ხოლო 37,7 % ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესებით. ოფიციალური მონაცემებით შობადობის კოეფიციენტი 1989 წელს 16,8 პრომილემდე დაეცა. საქართველოს მოსახლეობამ მძიმე დანაკარგი განიცადა 1993 წელს, როდესაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვის შედეგად ტერიოტორიებთან ერთად მოსახლეობის დიდი რაოდენობაც დაკარგა. ამ წელს მნიშვნელოვნად ეცემა , როგორც მოსახლეობის რაოდენობის აბსოლიტური მაჩვენებელი, ასევე შობადობის კოეფიციენტი. პარალელურად მუდმივად იზრდებოდა მოკვდაობის კოეფიციენტი, რამაც ბუნებრივი მატება -0,1 პრომილემდე დაიყვანა. იმის გამო, რომ საქართველოს იურისდიქცია აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე აღარ ვრცელდება მოსახლეობის საყოველთაო აღწერებსა და ყოვეწლიურ სტატისტიკურ აღრიცხვებში არ შედის ამ ტერიტორიების მოსახლეობის მონაცემები. უკვე მომდევნო წლებში შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტების დასტაბილურდა და ბუნებრივმა მატებამ მცირედით მოიმატა, მაგრამ 2002-2003 წლებში კვლავ ნულოვანი მატება დაფიქსირდა.

მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა მოსახლეობის სქესობრივ_ასაკობრივმა სტრუქტურამ. აღნიშნულმა პროცესებმა ქვეყანა დემოგრაფიულ დაბერებამდე მიიყვანა. ანზორ თოთაძის შეფასებითი მონაცემების მიხედვით 2000 წელს 15 წლამდე ასაკის მოსახლეობა 20,6 %-ს შესადგენდა. იგივე მონაცემი 1960 წელს 29,5 % -ის ტოლი იყო. რაც შეეხება 65 და მეტი ასაკის მოსახლების რაოდენობას, იგივე წლებში აღნიშნული მონაცემი 7,6 % დან 14,3%_მდე გაიზარდა.გაეროს მიერ შემუშავებული სკალის მიხედვით ქვეყანა დაბერებულად ითვლება თუ მოსახლეობაში 65+ ასაკის მოსახლეობის წილი 7 %_ს აჭარბებს. საქართველოს მაჩვენებელი კი მკვეთრად აღემატება ამ ნიშნულს. მნიშვნელოვანი კლება განიცადა 10 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობამ ორივე სქესში. განსაკუთრებით შემცირდა რეპროდუქციული ასაკის მოსახლეობის რაოდენობა 20-24 და 25-29 ასაკობრივ ჯგუფებში. ასევე შემცირდა 15 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა. აღნიშნული მოვლენების შედეგებს საქართველოს მოსახლეობა დღეს იმკის. ვინაიდან შემცირებული შობადობის პირობებში 1990-იან წლებში დაბადებულთა თაობა უკვე შევიდა ფერტილურ ასაკში. 2000 წელს ფერტილური ასაკისქალების რაოდენობა 1960 წელთან შედარებით 10 %-ით შემცირდა ხოლო დაბადებათა რაოდენობა 2-ჯერ. ასეთი შედეგი ბავშვების ყოლის მოთხოვნილების შემცირებას და რეპროდუქციულ ქცევაში მომხდარი ცვლილებების შედეგია.

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი შობადობის დონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ზუსტი ინდიკატორია. 1960 -90 წლებში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი კლებით ხასიათდება. 1991 წელს მისი მაჩვენებელი მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვრამდე შემცირდა. ხოლო 1992 წლიდან მისი დონე ამ ზღვარზე დაბალი იყო.თითოეულ ასაკობრივ ჯგუფს გარკვეული წვლილი შეაქვს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ფორმირებაში. 1960 წლიდან 1990 წლამდე მუდმივად მცირდებოდა შობადობის ასაკი თუ 60 იან წლებში ეს ასაკი დაახლოები 30-35 წელს შედაგენდა. 90 იანი წლებისთის შობადობის ასაკი 20-ზე ნაკლები იყო. 1991-1994 წლებში კიდევ უფრო გაიზარდა 20 წლამდე ქალების წვლილი შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ფორმირებაში. 1995 წლიდან გარკვეული თვალსაზრისით

უკუპროცეს ჰქონდა ადგილი და შობადობის ჯამურ კოეფიციენტში მეტი წილი 20-25 წლის ასაკის ქალებზე მოდიოდა.

3.2 მოსახლეობის ფორმირებაში მიმდინარე ცვლილებები სომხეთსა და აზერბაიჯანში

სომხეთის მოსახლეობამ მაქსიმუმს 1991 წელს მიაღწია და 3604 ათასი ადამიანი შეადგინა. ამ წელს ქვეყანაში შობადობის ზოგადი ოეფიციენტი 21,6 პრომილე იყო. იგივე წელს საქართველოს მაჩვენებელს მართალია 5,3 პუნქტით აჭარბებს, მაგრამ აქ საინტერესო ტენდენცია შეინიშნება. კერძოდ 1990 წელს ორივე ქვეყანაში მცირედით იმატებს შობადობის კოეფიციენტი, რომელიც 1991 წლიდან კვლავ კლებით ჩანაცვლდა. შემდგომ წლებში აღნიშნული კოეფიციენტი მუდმივად იკლებდა და 2000 წლისთის განახევრად კიდეც. საბოლოოს მისი მაჩვენებელი 10,7 პრომილემდე დაეცა და საქართველოს შობადობის კოეფიციენტს მცირედითაც ჩამორჩებოდა. მოკვდაობის კოეფიციენი საქართველოსთან შედარებით დაბალი იყო, ამიტომ ბუნებრივი მატების კოეფიციენტიც მუდმივად დადებითი იყო და მინიმუმი 2000 წელს 3,2 პრომილე დაფიქსირდა. 1990 წელს იგივე მაჩვენებელი 16,3 პრომილეს ტოლი იყო, რაც საქართველოს მაშინდელ მაჩვენებელს ორჯერ აღემატებოდა. 2000 წელს კი საქართველოს ბუნებრივი მატების მაჩვენებელი 10 ჯერ ნაკლები იყო სოხეთის მაჩვენებელზე.

განსაკუთრებით მძიმე იყო სომხეთისთვის მიგრაციული პროცესებით გამოწვეული დანაკარგები. სომხეთში საბჭოთა კავშირში არსებული ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო დაამძიმა მთიან ყარაბაღში წამოშობილმა კონფლიქტმა. ყველაზე დიდი მიგრაციული ნაკადი სომხეთიდან 1988-89 წელს გავიდა. 1988 წელს მოხდარი მიწისძვრის შემდეგ , რომელსაც 25 000 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა ქვეყანა 200 000

ადამიანმა დატოვა. მიგრაციის მეორე დიდი ტალღა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს უკავშირდება. კონფლიქტის შედეგად 170 000 მა აზერბაიჯანელმა დატოვა ქვეყანა. ამავე პერიოდში ქვეყანამ ყარაბაღიდანდევნილი 360 000 ადამიანი მიიღო, თუმცა მათმა უმეტესობამ მალევე დატოვეს ქვეყანა და ძირითადად რუსეთისა და შეერთებული შტატებისკენ აიღეს გეზი. მიგრაციის მესამე ტალღა 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაიწყო. ამ შემთხვევაში მიზეზი ეკონომიკური კრისიზი იყო. 1993 წელს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 1989 წელს არსებული მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 36%_ს შეადგენდა. მიგრაციის ამ ნაკადს ხელი შეუწყო საზღვრების გახსნამაც. სხვადასხვა მონაცემების მიხედვით 1991-94 წლებში ქვეყანა 475 000 მოქალაქემ დატოვა. 1992 წელს მიგრაციის ბალანსმა აბსოლიტურ მაჩვენებლებში -228,6 ადამიანი შეადგინა. მიგრაციის უარყოფითი სალდო მკვეთრად შემცირდა 1995 წლიდან. თუმცა დადებითი ბალანში 90-იან წლებში არ ჰქონია. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მიგრაციის უარყოფით ბალანსში 1999 წელს დაფიქსირდა, როდესაც ემიგრანტების რიცხვი იმიგრანტებისას 7 000 -ით აჭარბებდა.

1988-1994 წლებში ქვეყანამ დიდი რაოდენობით მოსახლეობა დაკარგა. 1989 წლის აღწერებით ქვეყნის მოსახლეობა და 3457 ათასი იყო. აღნიშნულმა მიგრაციულმა ტალღებმა კი ქვეყნის მოსახლეობა 7 წლის განმავლობაში თითიმის 600 000-ით შეამცირა.

საქართველოსა და სომხეთისაგან განსხვავებით მოსახლეობის კლება არ დაფიქსირებულა აზერბაიჯანში. მეტიც, მისი რაოდენობა მთელი 90-იანი წლების განმავლობაში მუდმივად იზრდებოდა. 1989 წლის მონაცემების მიხედვით შობადობის კოეფიციენტი აზერბაიჯანში 25,7 პრომილე იყო, რაც ტრადიციულად ყველაზე მაღალი იყო რეგიორნში. საქართველოსა დ სომხეთისთვის 1990 წელს აღნიშნული შობადობის კოეფიციენტის დრობითი ზრდა დაფიქსირდა აზერბაიჯანშიც, მხოლოდ ერთი წლის დაგვიანებით-1991 წელს. 1992 წლიდან აზერბაიჯანის შობადობის კოეფიციენტიც კლებისკენ არის მიმართული. საქართველოსგან განსხვავებით კლებას გამიცდიდა მოკვდაობის მაჩვენებელიც და 1991-2000 წლიან შუალედში მისი მაჩვენებელი 6,1-დან 5,9 პრომილემდე შემცირდა. რაც შეეხება ბუნებრივი მატების მაჩვენებელს, კლების

მიუხედავად , როგორც საქართველოს, ასევე სომხეთის მაჩვენებელზე ბევრად მაღალი იყო.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი რა თქმა უნდა აზერბაიჯანის მოსახლეობაზეც აისახა, რომლის შედეგადად 360 000 აზერბაიჯანელი ლტოლვილად იქცა.დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აზერბაიჯანში მიგრაციის სამი ტალღა გამოიყოფა. მიგრაციის პირველი ეტაპი 1991-94 წლებში ერთის მხრივ საბჭოთა კავშირის დაშლით, ხოლო მეორეს მხრივ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტითიყო განპირობებული. 1991 წელს მიგრაციული ნაკადების დიდი ტალღა წარმოიშვა. ამ წელს დამოუკიდებელი აზრბაიჯანის ისტორიაში მიგრაციის უარყოფითი სალდოს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი და ფიქსირდა და აბსოლიტურ მაჩვენებლებში დაახლოებით -45 000 ადამიანს შეადგენდა. ქვეყანა ძირითადად ეთნიკურმა უმცირესობებმა დატოვეს, უმეტესად რუსებმა და სომხებმა. მიგრაციის მეორე ეტაპი 1995-98 წლებს მოიცავს და ძირითადად ეკონომიკური მიზეზებით იყო განპირობებული. მიგრაციულ ნაკადებში უკვე უმრავლესობას ეთნიკური აზერბაიჯანელები შეადგენენ, ხოლო მიგრაციამ შრომითი ხასიათი მიიღო. მიგრაციული ნაკადები ძირითადად რუსეთისა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისკენ იყო მიმართული. უკვე 1996 წლიდან აზერბაიჯანელი მიგრანტებისთვის საინტერესო ხდება დასავლეთიც და უმეტესად იმიგრაციული ნაკადები გერმანიისა და შეერთებული შტატებისკენ მიედინებიან. მიგრაციის მესამე ეტაპი 1998 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. რუსეთის ეკონომიკურმა კრიზისმა აზერბაიჯანელების მიგრაციული ნაკადები დასავლეთისა და ახლო აღმოსავლეთისკენ მიმართა. 1991 წლიდან მოყოლებული აზერბაიჯანს მიგრაციის უარყოფითი სალდო ახასიათებდა. განსაკუთრებით მაღალი იყო მისი მაჩვენებელი 1991 წელს, რომელსაც ერთგვარი მიგრაციული აფეთქებაც კი შეიძლება ვუწოდოთ. 1992 წლიდან მიგრაციის უარყოფითი სალდო მკვეთრად ეცემა და -10 000 -ის ფარგლებში მერყეობს მიგრაციის პირველი ეტაპზე. მეორე ეტაპზე მიგრაციული ბალანსი მერყევია. 1995 წელს მიგრაციის უარყოფითი ბალანსი 6-7 ათასის ფარგლებში იყო, მომდევნო წელს კი -10 000_მდე გაიზარდა. 1997-98 წლებში კვლავ კლებას უბრუნდება და მეორე ეტაპის დასასრულისთვის დაახლოებით -5 ათასს უტოლდება. მესამე ეტაპზე უარყოფითი

მიგრაციული ბალანსი სულ უფრო მცირდება და 2008 წლიდან დადებით ბალანსს იძლევა.

დამოკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სამივე ქვეყანის მოსახლეობამ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. საქართველოსა და სომხეთში მოსახლეობის ახლებურად ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მიგრაციულმა პროცესებმა. 1990-2000 წლებში საქართველოსა და სომხეთის მოსახლეობამ კლება დაიწყო. აზერბაიჯანში კი პირიქით მუდმივი ზრდა შინიშნებოდა. 1960 წლიდან მოყოლებული სომხეთს შობადობის კოეფიციენტი საქართველოზე ბევრად მაღლი ჰქონდა. 1990_იან წლებში ამ ორი ქვეყნის შობადობის კოეფიციენტი თანაბრდება და 2000 წელს უსწრებს კიდეც სომხეთს საქართველოს მაჩვენებელი,მაგრამ საქართველოში მოკვადობის შედარებით მაღალი დონის გამო ბუნებრივი მატება სომხეთს მაინც უფრო მაღალი აქვს. ყველაზე ნაკლებად მოცემულ პერიოდში აზერბაიჯანის მოსახლეობა დაზარალდა. 1991 წლის მიგრაციული ბუმის მიუხედავად ქვეყანამ მოახერხა მიგრაციის უარყოფითი სარლდო შემცირებისკენ მიემართა. ასევე შეძლო მიეღწია რეგიონში მოკვდაობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელისთვის. ერთადერთი რაც საქართველოსა და სომხეთის მსგავსად განვითარდა შობადობის კოეფიციენტის შემცირება იყო. 2000 წელსბუნებრივი მატების კოეფიციენტმა აჯერბაიჯანში 8,8 პრომილე შეადგინა. ეს დაახლოებით 30-ჯერ მეტი იყო საქართველოს მაჩვენებელზე იგივე წელს. აზერბაიჯანმა მოახერხა გაეკონოტროლებინა სიტუაცია და ქვეყანა კრიზისიდან გამოეყვანა, რაც საქართველოს არ გამოუვიდა.



გრაფიკი 3.2.1



გრაფიკი 3.2

მოცემულ ინფოგრაფიკებზე ნათლად ჩანს, რომ სამივე ქვეყანაში ბუნებრვი მატების კოეფიციენტი კლებას განიცდიდა. თუმცა მოსახლეობის რაოდენობაზე ამ მაჩვენებლის კლება სამი ქვეყანაში სხვადასხვაგვარად აისახა. თუ დავაკვირდებით გრაფიკი 3.2-ს შევამჩნევთ, რომ ყველაზე დიდი დანაკარგი საქართველოს მოსახლეობამ განიცადა. კლების პროცესში ყველაზე მკვეთრი ცვლილება 1991-1993 წლებზე მოდის.

თავი 4. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დემოგრაფიული განვითარება 2001-2015 წლებში

ახალი ათასწლეულის დასაწყისისთვის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა მოახერხეს დაესტაბილურებინათ პოლიტიკური მგომარეობა რეგიონში, მიუხედავად გაყინული კონფლიქტებისა. ასევე დაწინაურდნენ ეკონომიკური განვითარების კუთხით. გაუმჯობესდა ცხოვრების დონე და ჯანდაცვის სისტემა. ამ პერიოდიდან კიდევ უფრო თვალშისაცემი ხდება ქვეყნებს შორის განსხვავებები დემოგრაფიული განვითარების კუთხით.

4.1 საქართველოს დემოგრაფიული განვითარება

საქართველოსთვის 2000-იანი წლები არც თუ ისე სახარბიელოდ დაიწყო. ბუნებრივი მატების კოფიციენტი 2001-2004 წლებში ფაქტიურად ნულოვანი გახდა. ამას დაემატა მოსახლეობის უარყოფითი მიგრაციული ბალანსი, რომლიც 2001-2003 წლებში -35_-27 ათასის ფარგლებში მერყეობდა. 2003 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ მოგრაციის სალდო მოულოდნელად დადებითი ხდება და მისი მაჩვენებელი რადიკალურად იცვლება. 2004 წელს მიგრაციის სალდო პირველად ხდება დადებითი და ბალანსი ემიგრანტებსა და იმიგრანტებს შორის 5,5 ათსი ხდება. მომდევნო წელს ცვლილება კიდევ უფრო მასშტაბური ხდება და მიგრაციის დადებითი ბალანსი 76 ათსამდე იზრდება. ასეთი რადიკალური ცვლილება ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებით იყო გამოწვეული, რომელმაც ემიგრანტებს უკეთესი მომავლის იმედი გაუღვიძა და სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილება მიაღებინა. როგორც ჩანს უმეტესობას იმედებმა არ გაუმართლა და 2006 წლიდან მიგრაციული ბალანსი კვლავ უარყოფითი ხდება. მომდევნო წლებში მიგრაციული სალდო უარყოფით და დადებით მაჩვენებლებს შორის მერყობს, თუმცა თანდათან სტაბილურდება და და სულ უფრო

უახლოვდება ნულოვან მაჩვენებელს. 2015 წელს მიგრაციული ბალანსი კვლავ უარყოფითია და -3,4 ათასიან სხვაობას იძლევა.

წელი	მიგრაციული სალდო (ათასი კაცი)
2000	-35.2
2001	-32.6
2002	-27.8
2003	-27.5
2004	5.5
2005	76.3
2006	-12.1
2007	-20.7
2008	-10.2
2009	34.2
2010	18.1
2011	20.2
2012	-21.5
2013	-2.6
2014	-6.5
2015	-3.4

ცხრილი 4.1.1

არასტაბილურობით ხასიათდება შობადობის ზოგადი კოეფიციენტი. 2001-2015 წლებში მისი მაჩვენებელი 10,8_დან 15,9 პრომილემდე გაიზარდა. თუმცა მოცემულ წლებში მისი მნიშვნელობა 2-3 პრომილეს ფარგლებში ხან მცირდებოდა ხან იზრდებოდა. საქართველოში დაბადებულთა რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს ელემენტარულად მშობელთა თაობის ჩანაცვლებას , რომ აღარაფერი ვთქვათ მატებაზე. იმისათვის რომ მშობლეთა თაობის ჩანაცვლება მოხდეს საჭიროა, რომ შობადობის ჯამური კოეფიციენტი 2,1 აღწევდეს. ანუ ყოველ 100 ქალზე 201 ბავშვი უნდა იბადებოდეს. საქართველოს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ამ ზღვარს 1992 წელს ჩამოცდა და მას შემდეგ მუდმივი კლებით ხასიათდება. მისი სისიდე 2006 წლის მონაცემებით 1,4 -ის ტოლი იყო. იმაზვე წელს სომხეთსა და აზერბაიჯანში იგივე კოეფიციენტი შესაბამისად 1,7-ის და 2,0 -ის ტოლი იყო.

ასევე 1-2 პრომილეს ფარგლებში მერყეობით ხასიათდებოდა მოკვდაობის კოეფიციენტიც. საბოლოო ჯამში მისი მაჩვენებელი 10,5_ დან 13,2 პრომილემდე გაიზარდა. საბოლოო ჯამში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი საგრძნობლად გაიზარდა და 0.3_დან 2,7 პრომილემდე დაწინაურდა.

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე საქართველოს მოსახლეობამ მაქსიმუმს 2012 წელს მიაღწია და 4497 ათასი ადამიანი შედაგინა. ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ამ წელს მხოლოდ 1,7 პრომილე იყო. მოსხლეობის ზრდაზე სავარაუდოდ გავლენა იქონია წინა წლის დადებითმა მიგრაციულმა ბალანსმაც, რომელმაც 20 ათასი შეადგინა. რაც შეეხება ბუნებრივი მატების კოეფიციენტს მისი მაქსიმუმი 2009 წელს დაფიქსირდა და 3,8 პრომილე შეადგინა. მოსახლების მატება დაფიქსირდა აბსოლიტურ მაჩვენებლებშიც. რა შეეხება შობადობის კოეფიციენტის ყველაზე მაღალ დონეს,იგი 2014 წელს დაფიქსირდა და 16,3 პრომილე შეადგინა. ამავე წელს დაფიქსირდა მოკვადობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტიც , რომლიც 13,2 პრომილემდე გაიზარდა. საბოლოო ჯამში 2014 წელს მოსახლეობის კლება დაფიქსირდა. აბსოლიტურ მაჩვენებლებში კლებამ 763 000 შეადგინა. მიუხედავად იმისა , რომ მიგრაციის სალდო 2013-2014 წლებში უარყოფითი იყო , გაუგებარია რამ გამოიწვია მოსახლეობის ასეთი კლება,

რადგან უარყოფითი მიგრაციული ბალანსი სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით ამ წლებში -6_-2 ათასის ფარგლებში მერყეობდა. სავარაუდოდ ასეთი სხვაობა 2014 წლის აღწერების არაზუსტმა მონაცემებმა გამოიწვია , რადგან ბუნებრივი მატების დადებითი და მიგრაციული ბალანსის ასეთი დაბალი მაჩვენებლის პირობებში მოსახლების შემცირება ასეთი მასშტაბებით შემცირება შეუძლებელია.

4.2 სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობა და მისი შედარებითი ანალიზი საქართველოს მოსახლეობასთან

სომხეთის მოსახლეობა ბოლო 15 წლის მაძილზე მუდმივად იკლებს. აბსოლიტურ მაჩვენებლებში სომხეთის მოსახლეობა 2001-2015 წლებში 3214 ათასიდან 3007 ათასამდე შემცირდა. მიუხედავად იმისა, ბუნებრივი მატების კოეფიციენტი დადებითი და მზარდი იყო მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად იკლებდა. ამის ახსნა მიგრაციის უარყოფითი სალდოთია შესაძლებელი. მისი მაჩვენებელი მართალია თანდათან იკლებს მაგრამ, დადებითი ნიშნულისთვის ჯერ არ მიუღწევია. საქართველოს მსგავსად მოცემულ პერიოდში მატებით ხასიათდებიან შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტები. სომხეთის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მოკვდაობის მაჩვენებლის ზრდის მიუხედავად მისი ნიშნული 2015 წლისთვის საქართველოს მაჩვენებელს 4 პუნქტით ჩამორჩებოდა. ამის გამო ბუნებრივი მატების მაჩვენებელი მთელი 15 წლის მანძილზე საქართველოზე 2 პუნქტით მაღალი ჰქონდა. მიხედავად საქართველოსთან შედარებით მაღალი ბუნებრივი მატებისა, მის ხარჯზე გამოწვეული მატება საკმარისი არ არის უარყოფითი მიგრაციული ბალანსის გადასაფარად. ამიტომ მოსახლეობა ყოველწლიურად იკლებს.

აზერბაიჯანის მოსახლეობა ახალ ათასწლეულს ყველაზე უკეთ მომზადებული შეხვდა. ქვეყანამ დემოგრაფიული ვითარების დასტაბილურება ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მოახერხა. აბსოლიტურ მაჩვენებლებში მოსახლეობა 8152 ათასიდან 9593 ათასამდე გაიზარდა. შობადობის კოეფიციენტი მუდმივი ზრდით, ხოლო მოკვდაობის კოეფიციენტი კლებით ხასიათდებოდა. საბოლოო ჯამში ბუნებრივი მატების

კოეფიციენტი 2001-2015 წლებში 8,1 -დან 11,7 პრომილემდე გაიზარდა. ასევე მიგრაციის მესამე ეტაპზე 1998 წლიდან უარყოფითი სალდოს მაჩვენებელი სულ უფრო მცირდებოდა და 2008 წლიდან დადებით მაჩვენებელზე გადავიდა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სამივე ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. მათ შორის იყო დემოგრაფიული პრობლემებიც. აზერბაიჯანმა თავიდანვე მოახერხა სიტუაციის გაკონტროლება. ჯერ კიდევ 90-იან წლებში, პირველივე მიგრაციის პირველივე ეტაპზე, შეძლო შეემცირებინა მიგრაციის უარყოფითი სალდო, ხოლო ახალი ათასწლეულიდან ბუნებრივი მატების კოეფიციენტიც მკვეთრად გაზარდა. აქვე აღსანიშნავია, რომ მოკვადობის კოეფიციენტი სომხეთისა და საქართველოს მონაცემებზე შესაბამისად 2 და 2,5 ჯერ დაბალია. სომხეთისთვის მთავარ პრობლემას უარყოფითი მიგრაციული ბალანსი წარმოადგენს. მიუხედავად იმისა , რომ ბუნებრივი მატების კოეფიციენტი საქართველოსთან შედარებით თითქმის ორჯერ მაღალი აქვს მიგაციული ნაკადებით გამოწვეული დანაკარგის კომპენსირებას მაინც ვერ ახერხებს და მოსახლეობა ყოველწლიურად იკლებს. საქართველოს მდგომარეობა სომხეთთან შედარებით მეტ-ნაკლებად დადებითია. საქართველოს მოსახლეობისთვის ერთდროულად დადებით და უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს მოსახლეობის მატების მერყევი მაჩვენებლები. ერთის მხრივ კარგია , რომ ქვეყანა არ განიცდის მუდმივ კლებას, ხოლო მეორეს მხრივ ცუდია, რომ ვერ ახერხებს ზრდის ტენდენციის შენარჩუნებას. შობადობის კუთხით მდომარეობა ბევრად უკეთესია ვიდრე მოკვდაობის. საქართველოს მოსახლეობისთვის 13,2 პრომილე საქართველოსთვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლია. მოკვადობის დონის ასეთი ზრდა შეიძლება უკავშირდებოდეს 90-იან წლებში მოსახლეობის დაბერების პროცესს. სავარაუდოდ მოკვდაობის კოეფიციენტი სწორედ დაბერებული მოსახლეობის ხარჯზე იმატებს.



გრაფიკი 4.1

მოცემულინფოგრაფიკზე დაყრდნობით ნათელია, რომ მიუხედავად მაჩვენებლებში დიდი განსხვავებისა სამივე ქვეყანაში ბუნებრივი მატების ძირითადად მატებისკენ არის მიმართული. თუმცა ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე სომხეთსა და აზერბაიჯანში მისი მაჩვენებელი მცირედით დაეცა. ამავე პერიოდში საქართველოს ბუნებრივი მატების მაჩვენებელმა ზრდა დაიწყო, მაგრამ ჯერ მაინც ჩამორჩება სომხეთისა და აზერბაიჯანის მაჩვენებლებს.



გრაფიკი 4.2

ბუნებრივი მატების კოეფიციენტზე მექანიკურმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი გვალენა მოახდინა. კერძოდ, აზერბაიჯანის შემთხვევაში მოსახლეობის ზრდა ბოლო პერიოდის ბუნებრივი მატების კოეფიციენტის კლების მიუხედავად არ შეჩერებულა, რადგან როგორც უკვე აღვნიშნე 2008 წლიდან აზერბაიჯანს დადებითი მიგრაციული სალდო ახასიათებს. სომხეთის მოსახლეობა მიუხედავად იმისა, რომ კლებისკენაა მიმართული , აბსოლიტურ მაჩვენებლებში დანაკლისი უმნიშვნელოა. რაც შეეხება საქართველოს 2013 წლიდან გრაფიკზე კლება აშკარა ხდება. ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ვერ უზრუნველყოფს მიგრაციის უარყოფითი სალდოსგან გამოწვეული დანაკარგის კომპენსირებას.

თავი 5. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოსახლეობის განვითარების ზოგადი ინდიკატორების განხილვა

ნაშრომის დასაწყისში უკვე ვახსენე, რომ ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე სხვადასხვა ფატორები ახდენენ გავლენას. იქნება ეს ეკონომიკა, ურბანიზაცია, ჯანდაცვის დონე, განათლების დონე თუ სხვა. ნაშრომის ბოლოს მინდა სწორეს ასეთი ფაქტორების კოეფიციენტებისა და სტატისტიკური მაჩვენებლები მიმოვიხილო. მოსახლეობის განვითარების ზოგადი ინდიკატორების მიხედვით შევაფასო საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობა 2015 წლის მონაცემების მიხედვით და შევადარო არსებული მაჩვენებლები სომხეთისა და ზერბაიჯანის მონაცემებს. ამ თავში მინდა ხაზი გავუსვა პრობლემებსა და მიღწევებს , რომელიც საქართველოს 25 წლიანი დამოუკიდებლობის მანძილზე დაუგროვდა. შესაბამისად შევქმნა ზოგადი წარმოდგენა იმ ზოგად ფონზე, რომლის საფუძველზეც უნდა განვითარდეს საქართველოს მოსახლეობა.

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. 2014 წლის აღწერის მონაცემებით მოსახლეობის 86,8 %-ს ქართველები შეადგენენ. ეროვნული უმცირესობებიდან ყველაზე დიდი წილი აზერბაიჯანელებსა და სომხებზე მოდის. აზებაიჯანელები მოსახლეობის 6,2, ხოლო სომხები 4,5 %-ს შეადგენენ. სხვა ეროვნულ უმცირესობებს შეადგენე რუსები, ოსების, ბერძნები, იეზიდები, უკრაინელები ქისტები და სხვა. სომხეთი საქართველოსგან განსხვავებით მონოეთნიკური ქვეყანაა და მისი მოსახლეობის 98.1 % ეთნიკური სომეხია. ეთნოკური უმცირესობის ყველაზე დიდ ჯგუფს იეზიდები წარმოადგენე მათი წილი მოსახლების 1,1 %-ია. სომხეთისაგან განსხვავებით აზერბაიჯანი მონოეთნიკური ქვეყანა არ არის, მაგარმ მოსახლეობის 91,6 %-ს აზერბაიჯანელები შეადგენენ. სხვა ეთნიკური ჯგუფებიდან აღსანიშნავია ლეზგიანები 2%, რუსები 1,3%, სომხები 1,3% და სხვა.

მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით საქართველო მრავალფეროვნებით გამოირჩევა რელიგიური კუთხითაც. მოსახლეობის 83,4 % მართლმადიდებელი ქრიატიანია, 10,7% მუსლიმი, 3% სომხური ეკლესიის წარმომადგენელი. ასევე მცირე

რაოდენობით არიან კათოლიკეები, პროტესტანტები, იეზიდები, იეჰოვას მოწმეები და სხვა. სომხეთში სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევართა წილი 92,6 %. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები არიან. რაც შეეხება აზერბაიჯანს იგი მონორელიგიურ ქვეყანად შეიძლება ჩაითვალოს , მოსახლების 96,9% მუსლიმია 3% კი ქრისტიანი.

საქართველოს მოსახლეობაში 0_14 წლამდე ასაკი მოსახლეობის ხვედრითი წილი 17,7 % ია. 15_65 წლის მოსახლობის_66,7%, ხოლო 65+ ასაკის მოსახლეობა 15,5 %-ს შეადგენს. ამმონაცემებით საქართველო დაბერებული ქვეყნების რიცხვს შეიძლება მივაწეროთ. გაეროსმიერ შემუშავებული სკალის მიხედვით მოსხლეობის დაბერების ზღვარი 7%_ზე გადის, საქართველოს მაჩვენებელი კი ორჯერ აღებატება მოცემულ ნიშნულს. სომხეთში მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა ასე გამოიყურება 0_14 წლამდე 19,05%, 15_65 წელი 70,2%, 65+ ასაკისმოსახლეობს 10,7%- ს შეადგენს. იგივე ასაკობრივ კატეგორიაბში აზერბაიჯანის მონაცემების შესავბამისად 22,7%, 70,1% და 6,3%-ია. როგორც ვხედავთ სომხეთიც დაბერებული ქვეყნების რიცხვს მიუკუთთვნება, თუმცა ხანშიშესული მოსახლეობის წილი საქართველოსთან შედარებით დაბალია. აზერბაიჯანი კი მსგავსი პრობლემის წინაშე საერთოდ არ დგას.

შობადობის კოეფიციენტზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ურბანიზაციის დონე. აზერაბიჯანშიც კი სადაც შობადობა რეგიორნში ყველაზე მაღალია აღნიშნული კოეფიციენტი მნიშვნელოვნად განსხვავდება ქალაქსა და სოფელში. სამხრეთ კავკასიაში ურბანიზაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სომხეთს აქვს. მოსალხების 62% საქალაქო ტიპის დასახლებებში ცხოვრობს. შემდეგ მოდის აზერბაიჯანი 54,6%-ით, ბოლოს კი საქართველო 53,6%. მთელი განსახილველი პერიოდის მანძილზე შობადობის კლების ერთ-ერთი მიზეზი ურბანიზაციის ზრდაც იყო. ვინაიდა საქალაქო ტიპის დასახლებების ზრდამ მოსახლეობაში ახალი ტიპის ცხოვრებს წესს დაუდო საფუძველი და მოსახლეობაში ახალი დემოგრაფიული ქცევის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

სქესობრივი თანაფარდობის სტრუქტურა სამივე ქვეყანაში მსგავსია. სქესთა მეორეული თანაფარდობისას სამივე ქვეყანაში მამაკაცები ჭარბობენ ქალებს, ხოლო

მეორეული თანაფარდობისის ასაკის ზრდასთან ერთად ქალების რაოდენობა სულ უფრო მეტად აჭარბებს მამაკაცებისას. ასეთი ცვლილების მიზეზი ისარი , რომ სამივე ქვეყანაში მამაკაცთა სიცოცხლისა საშუალო ხანგრძლივობა ნაკლებია ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე. ორივე სქესის მოსახლეობაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი საქართველოს აქვს და მისი მაჩვენებელი 75,9 წელია. შემდეგ სომხეთი- 74,3 წელი, ბოლოს კი აზერბაიჯანი 72,2 წელი. ეს ეს მონაცემები კიდე ერხელ მიუთითებენ საქართველოში მოსახლეობის დაბერების მაღალ მაჩვენებელზე.

შობადობის ჯამური კოეფიციენტი სამივე ქვეყანაში ზღვარზე დაბალია. აზერბაიჯანის მაჩვენებელი 1,9-ის ტოლია. საქართველოს შობადობის ჯამური კოეფიციენტი 2006 წელთან შედარებით გაზრდილია და 1,7 შეადგენს. სომხეთის შობადობის ჯამური კოეფიციენტი იგი იგინე ნიშნულზე რჩება და 1,6-ს უტოლდება. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე ბოლო დროს შბადობის შემცირებაზე მნიშვნელოვნად მოქმედეს თანამედროვე კონტრაცეფციის საშუალებების ფართო გავრცელება. მისი გავლენა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ხდება მისი მოხმარებადობის მაჩვენებლის გაზომვაც. მონაცემი გვიჩვენებს 15-49 წლამდე ასაკის ქალებისა და მათი პარტნიორების რამდენი პროცენტი მოიხმარა კონტრაცეფციის საშუალებებს. საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში აღნიშნული მაჩვენებელი შესაბამისად 53,4 ; 54,9 და 51,1 პროცენტია. ვფიქრობ აღნიშნული მაჩვენებლები არც ისე პატარაა და მნიშვნელოვანი გავლენის მოხდება შეუძლია შობადობის კოეფიციენტის დაქვეითებაზე. აზერბაიჯანის შედარებით დაბალი მაჩვენებელი სავარაუდოდ რელიგიურ-ეთნიკური ფაქტორით არის განპირობებული.

შობადობის მაჩვენებელზე გავლენას ახდენს განათლების დონეც. განათლების ზოგადი კოეფიციენტი გულისხმობს მოსახლეობაში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვს 15 წლის ასაკის ზემოთ მოსახლეობაში. ამ მხრივ სამივე ქვეყანაში განათლების დონე მაღალია. საქართველოსა და აზერბაიჯანში 99,8 %-ის , ხოლო სომხეთში 99,7%-ის ტოლია. განათლების დონეზე უფრო ნათელ წარმოდგენას გავძლევს მეორე ინდიკატორი, რომლითაც იზომება მოსახლეობის მიერ საშუალოდ განათლებაში დახარჟული წლები. აქ იგულისხმე და დაწყებითი კლასებიდან პროფესიულ

განათლებამდე განვლილი წლები. საქართველოში ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის განათლებისთვის დათმობილი წლები საშუალოდ 15 _ის ტოლია. აზერბაიჯანში 13-ის. ხოლო სომხეთში 12. ამასთან სომხეთის შემთხვევაში განსხვავებაა გვხვდება აქესის მიხედვითაც. ბიჭებისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 11 წელს შეადგენს, გოგონებისთვის კი 14-ს. გამოდის, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის განათლების დონეს გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე რეგიონის სხვა ქვეყნებში და შესაბამისად უფრო მეტ დროსაც უთმობენ.

დემოგრაფიული განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ჯანდაცვის სისტემას, რომლის განვითარების დონეზე პირდაპირაა დამოკიდებული მოკვდაობის ინდექსის ცვლილება. ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯებით რეგიონში პირველ ადგილზეა საქართველო, რომელიც მთლანი შიდა პროდუქტის 9,4%-ს უდრის. შემდეგ ადგილზეა აზერბაიჯანი 5,4% ით, სომხეთი კი ჯანდაცვის სფეროში მთლიანი შიდა პროდუქტის 4,5 %-ს ხარჯავს. მიუხედავ ჯანდაცვის სისტემაში მაღალი ინვესტირებისა ჯერ-ჯერობით მოკვადობის მაჩვენებელი საქართველოში კვლავ ყველაზე მაღალია. გარდა გაწეული ხარჯებისა მნიშვნელოვანია სამედიცინო მომსახურეობაზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები. საქართველოში ქალაქის მაცხვრებლების 96,2% -ს მიუწვდება ხელი სამედიცინო მომსახურეობაზე, სოფლის მაცხოვრებლებში კი ეს მაჩვენებელი 78,2%-ია. საშუალოს მთლიან მოსახლეობაზე გაანგარიშებით კი 85,5%-ს უდრის. სომხეთში საქალაქო და სასასოფლო დასახლებების მოსახლეობისთვის ეს მაჩვენებლები 96,2 და 78,2 %-ია. საშუალოდ მლთიან მოსახლეობაზე 89,5 %-ს უტოლდება. აზერბაიჯანში ქალაქისა და სოფლი მოსახლების სამედიცინო მომსახურეობაზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებლებს შორის ნაკლები სხვაობაა. მათი მაჩვენებლები შესაბამისად 91,6 და 86,6 პროცენტია. ხოლო ზოგადი მაჩვენებელი 89,3%. აქედან გამომდინარე საქართველოში მოსახლეობას ყველაზე ნაკლებად მიუწვდება ხელი სამედიცინო მომსახურეობაზე. აქვე უნდა ითვას , რომ ქალაქის მოსახლეობისთვის ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი ყველაზე მაღალია რეგიონში. შესაბამისად პრობლემა ძირითადად სასოფლო დასახლებებშია.

დასკვნა

მოცემულ ნაშრომში შევეცადე მეჩვენებინა საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები 1960 წლიდან დღემდე. ასევე გავაკეთე შედარებითი ანალიზი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში, რაც ვფიქრობ საინტერესო აღმოჩნდა. პირველ თავში დემოგრაფიული გადასვლის საფეხურების განხილვამ ნათლად წარმოაჩინა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სამივე ქვეყანაში განსხვავებული დემოგრაფიული ქცევის ჩამოყალიბების ფაქტი. 1960-89 წლებში სამხრეთ კავკასიის ქვეყნები დემოგრაფიული გადასავლის მესამე საფეხურზე იყვნენ, ხოლო 1991 წლიდან მათ საქართველო მეოთხე საფეხურზე გადადის, სომხეთი მესამე საფეხურზე რჩება, ხოლო აზერბაიჯანი მეორე საფეხურს უბრუნდება.

ბუნებრივი მატების კლებისა და უარყოფითი მიგრაციული ბალანსის ფონზე 1960-89 წლებში საქართველო კვლავ ახერხებდა მოსახლების საშუალო რიცხვოვნობის ზრდას. სომხეთსა და აზერბაიჯანში იგივე ტენდენცია შეინიშნებოდა იმ განსხვავებით , რომ შედარებით მაღალი იყო შობადობისა და ბუნებრივი მატების კოეფიციენტები. მოკვაობის მაჩვენებელი საქართველოს შემთხვევაში ზრდისკენ იყო მიმართული, რაც ბუნებრივი მატების კლებაზე შობადობის მუდმივ შემცირებასთან ერთად მნიშვლოვან გავლენას ახდენდა. აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში სავარაუდოდ მაინც დადგებოდა მოსახლეობის ნულოვანი მატების საშიშროების წინაშე, თუმცა ეს პროცესი დროში ბევრად გაიწელებოდა. მოვლენები დააჩქარა 90-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა, რომელმაც სრულაიად შეცვალა მოსახლეობის სტრუქტურა, დემოგრაფიული ქცევა და მიგრაციული პროცესები.

მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნუს დასაწყისში მიგრაციულმა პროცესებმა მნიშვნელოვანი ცვლილება მოახდინეს მოსახლებაზე. განსაკუთებით გაიზარდა შრომითი მიგრაციის მაჩვენებელი, რომელშიც ძირითადად ფერტილური ასაკის მოსახლეობა მონაწილეობდა. შესაბამისად იმოქმედა შობადობის მაჩვენებლის შემცირებაზე. შემცირებული შებადობის პირობებში დაეცა მოსახლებაში 15 წლამდე ასაკის ბავშვების წილი, რამაც შობადობის მაჩვენებელი პერსექტივაშიც შეამცირა. აღნიშნული პროცესების შედეგად მოსახლეობაში გაიზარდა 65+ ასაკის მოსახლეობის

ხვედრითი წილი, რამაც ქვეყანა დემოგრაფიული დაბერების მაღალ მაჩვენებლამდე მიიყვანა.

ნაშორმში მოყვანილი მაჩვენებლების ანალიზიდან , კარგად ჩანს საქართველოს დემოგრფიული პრობლემები და მათი მნიშვნელობა. განსაკუთრებით მეზობელი ქვეყნების-აზერბაიჯანისა და სამოხეთის ფონზე. მუხედავად იმისა, რომ სომხეთის მოსახლეობა ყოველწლიურად იკლებს, წმინდა დემოგრაფიული კუთხით სომხეთში უკეთესი მდგომარეობაა_ მაღლია შობადობისა და ბუნებრივი მატების მაჩვენებლები, ხოლო მოკვდაობის კოეფიციენტი დაბალი. საქართველო ცდილობს მოაგვაროს დემოგრაფიული პრობლემები, თუმცა ჯერჯერობით შედეგი თავლნათელი არაა. ბოლო 15 წლი სტატისტიკას თუ გადავხედავთ შობადობისა და ბუნებირვი მატების სტატისტიკა მერყევია. შეიძლება ითქვას , რომ ქვეყანაში არასტაბილური გარემოა დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

http://www.hwngo.org.ge/analytics/54-demografiuli-mdgomareoba-saqartveloshi

http://www.hwngo.org.ge/analytics/54-demografiuli-mdgomareoba-saqartveloshi

http://russia-armenia.info/node/1615

http://www.migrationpolicycentre.eu/docs/migration_profiles/Azerbaijan.pdf

http://www.am.spinform.ru/people.html

https://en.wikipedia.org/wiki/Demographics_of_Azerbaijan

https://en.wikipedia.org/wiki/Demographics_of_Armenia

https://en.wikipedia.org/wiki/Demographics_of_Georgia_(country)

https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/Mosakhleobis%20geografia-danartit.pdf

http://geostat.ge/?action=page&p_id=52&lang=geo

http://geostat.ge/?action=page&p_id=172&lang=geo

http://cyberleninka.ru/article/n/tendentsii-i-perspektivy-demograficheskogo-razvitiya-v-stranah-yuzhnogo-kavkaza

http://www.amerialegal.am/pdf/d5c0447534321fa8e3db55f97def1070.pdf

წულაძეგ. სულაბერიძე ა. მაღლაფერიძე ნ. მამარდაშვილი გ. 2007 საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ , დღეს, ხვალ . თბილისი

მელაძე გ. 2007 . საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები , თბილსი

დანართი#2

წელი	საშუალომოსახლეობა (x 1000)	შობადობისმაჩვენებელი (1000 კაცზეგაანგარიშებით)	მოკვდავობისმაჩვენებელი (1000 კაცზეგაანგარიშებით)	ბუნებრივიმატება (1000 კაცზეგაანგარიშებით)
1960	1,867	40,1	6,8	33,3
1961	1,942	37,3	6,4	30,8
1962	2,005	34,7	6,6	28
1963	2,064	32,6	5,8	26,8
1964	2,133	30,2	5,8	24,4
1965	2,205	28,6	5,7	22,9
1966	2,273	27,1	5,5	21,6
1967	2,337	24,4	5,4	19
1968	2,401	23,9	5,1	18,9
1969	2,462	22,8	5,2	17,6
1970	2,518	22,1	5,1	17
1971	2,58	22,6	4,9	17,7
1972	2,644	22,4	5,2	17,2
1973	2,708	22	5,2	16,8
1974	2,77	21,8	5,2	16,7
1975	2,826	22,2	5,5	16,8
1976	2,883	22,6	5,4	17,1
1977	2,943	22,4	5,4	17
1978	3,001	22,2	5,5	16,7
1979	3,051	22,9	5,6	17,3
1980	3,096	22,7	5,5	17,2
1981	3,144	23,4	5,3	18,1
1982	3,194	23,2	5,5	17,8
1983	3,243	23,6	5,7	17,9
1984	3,292	24,2	5,8	18,4
1985	3,339	24,1	5,9	18,2
1986	3,387	24	5,7	18,2
1987	3,435	22,9	5,7	17,1
1988	3,453	21,6	10,3	11,3
1989	3,482	21,6	6	15,6
1990	3,545	22,5	6,2	16,3
1991	3,604	21,6	6,5	15,1
1992	3,549	19,9	7,3	12,6
1993	3,41	17,3	8,1	9,2
1994	3,309	15,5	7,4	8
1995	3,255	15	7,6	7,4

1996	3,247	14,8	7,7	7,1
1997	3,242	13,5	7,4	6,2
1998	3,235	12,2	7,2	5
1999	3,23	11,3	7,5	3,8
2000	3,221	10,6	7,5	3,2
2001	3,214	10	7,5	2,5
2002	3,205	10,1	8	2,1
2003	3,188	11,2	8,2	3,1
2004	3,172	11,8	8,1	3,7
2005	3,155	11,9	8,4	3,5
2006	3,139	12	8,7	3,3
2007	3,122	12,8	8,6	4,3
2008	3,106	13,3	8,8	4,4
2009	3,089	14,4	8,9	5,5
2010	3,073	14,6	9,1	5,5
2011	3,056	14,2	9,1	5
2012	3,037	14	9,1	4,9
2013	3,022	13,8	9	4,8
2014	3,014	14,3	9	5,3
2015	3,007	13,9	9,3	4,6

დანართი#3

წელი	საშუალომოსახლეობა (x 1000)	შობადობისმაჩვენებელი (1000 კაცზეგაანგარიშებით)	მოკვდავობისმაჩვენებელი (1000 კაცზეგაანგარიშებით)	ბუნებრივი მატება (1000 კაცზეგაანგარიშებით)
1960	4 160	24,7	6,5	18,2
1961	4 224	24,7	6,5	18,2
1962	4 291	23,7	7,1	16,6
1963	4 357	23	6,8	16,2
1964	4 420	22	6,7	15,3
1965	4 478	21,2	7	14,2
1966	4 531	20,3	6,7	13,6
1967	4 577	19,5	7,2	12,3
1968	4 619	19,4	7	12,4
1969	4 662	18,7	7,5	11,2
1970	4 706	19,2	7,3	11,9
1971	4 753	19	7,4	11,6
1972	4 798	18	7,6	10,4
1973	4 837	18,3	7,4	10,9
1974	4 876	18,4	7,6	10,8
1975	4 908	18,3	8	10,3
1976	4 940	18,3	7,9	10,4
1977	4 972	17,9	8,1	9,8
1978	4 990	17,8	8,1	9,8
1979	5 017	17,8	8,4	9,5
1980	5 056	17,6	8,6	9,1
1981	5 086	18,1	8,6	9,5
1982	5 117	17,9	8,4	9,6
1983	5 151	18	8,4	9,6
1984	5 184	18,5	8,8	9,7
1985	5 218	18,7	8,8	9,9
1986	5 250	18,7	8,8	9,9
1987	5 300	17,8	8,7	9,1
1988	5 367	17,1	8,9	8,3
1989	5 413	16,8	8,7	8,1
1990	5 439	17,1	9,3	8,1
1991	5 460	16,3	9,6	6,7
1992	5 408	13,4	10,2	3,2
1994	3,309	15,5	7,4	8
1995	3,255	15	7,6	7,4
1996	3,247	14,8	7,7	7,1

1997	3,242	13,5	7,4	6,2
1998	3,235	12,2	7,2	5
1999	3,23	11,3	7,5	3,8
2000	3,221	10,6	7,5	3,2
2001	3,214	10	7,5	2,5
2002	3,205	10,1	8	2,1
2003	3,188	11,2	8,2	3,1
2004	3,172	11,8	8,1	3,7
2005	3,155	11,9	8,4	3,5
2006	3,139	12	8,7	3,3
2007	3,122	12,8	8,6	4,3
2008	3,106	13,3	8,8	4,4
2009	3,089	14,4	8,9	5,5
2010	3,073	14,6	9,1	5,5
2011	3,056	14,2	9,1	5
2012	3,037	14	9,1	4,9
2013	3,022	13,8	9	4,8
2014	3,014	14,3	9	5,3
2015	3,007	13,9	9,3	4,6

დანართი#4

წელი	საშუალომოსახლეობა (x 1000)	შობადობისმაჩვენებელი (1000 კაცზეგაანგარიშებით)	მოკვდავობისმაჩვენებელი (1000 კაცზეგაანგარიშებით)	ბუნებრივიმატება (1000 კაცზეგაანგარიშებით)
1960	4 160	24,7	6,5	18,2
1961	4 224	24,7	6,5	18,2
1962	4 291	23,7	7,1	16,6
1963	4 357	23	6,8	16,2
1964	4 420	22	6,7	15,3
1965	4 478	21,2	7	14,2
1966	4 531	20,3	6,7	13,6
1967	4 577	19,5	7,2	12,3
1968	4 619	19,4	7	12,4
1969	4 662	18,7	7,5	11,2
1970	4 706	19,2	7,3	11,9
1971	4 753	19	7,4	11,6
1972	4 798	18	7,6	10,4
1973	4 837	18,3	7,4	10,9
1974	4 876	18,4	7,6	10,8
1975	4 908	18,3	8	10,3
1976	4 940	18,3	7,9	10,4
1977	4 972	17,9	8,1	9,8
1978	4 990	17,8	8,1	9,8
1979	5 017	17,8	8,4	9,5
1980	5 056	17,6	8,6	9,1
1981	5 086	18,1	8,6	9,5
1982	5 117	17,9	8,4	9,6
1983	5 151	18	8,4	9,6
1984	5 184	18,5	8,8	9,7
1985	5 218	18,7	8,8	9,9
1986	5 250	18,7	8,8	9,9
1987	5 300	17,8	8,7	9,1
1988	5 367	17,1	8,9	8,3
1989	5 413	16,8	8,7	8,1
1990	5 439	17,1	9,3	8,1
1991	5 460	16,3	9,6	6,7
1992	5 408	13,4	10,2	3,2
1994	3,309	15,5	7,4	8
1995	3,255	15	7,6	7,4

1996	3,247	14,8	7,7	7,1
1997	3,242	13,5	7,4	6,2
1998	3,235	12,2	7,2	5
1999	3,23	11,3	7,5	3,8
2000	3,221	10,6	7,5	3,2
2001	3,214	10	7,5	2,5
2002	3,205	10,1	8	2,1
2003	3,188	11,2	8,2	3,1
2004	3,172	11,8	8,1	3,7
2005	3,155	11,9	8,4	3,5
2006	3,139	12	8,7	3,3
2007	3,122	12,8	8,6	4,3
2008	3,106	13,3	8,8	4,4
2009	3,089	14,4	8,9	5,5
2010	3,073	14,6	9,1	5,5
2011	3,056	14,2	9,1	5
2012	3,037	14	9,1	4,9
2013	3,022	13,8	9	4,8
2014	3,014	14,3	9	5,3
2015	3,007	13,9	9,3	4,6

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამა

IV სემესტრის დოქტორანტი

სალომე კობაიძე

სადოქტორო სემინარი:

„საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციები, შედეგები და პერსპექტივები გლობალიზაციის პროცესში.“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვალერიან მელიქიძე

თბილისი

2018

შინაარსი

- შესავალი 3გვ
- საქართველოს ადგილი გლობალიზებულ მსოფლიოში ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით.....8გვ
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და საქართველო.....10გვ
- სოციალური პოლიტიკა საქართველოში.....12გვ
- საგანმანათლებლო სისტემა.....13გვ
- საერთაშორისო ორგანიზაციები და საქართველო: გაერო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი.....16გვ
- საქართველოში წარმოებული საქონლის ექსპორტის და იმპორტირებული საქონლის შედარებითი ანალიზი.....19გვ
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ქვეყნების მიხედვით და საქართველოს ადგილი მსოფლიო საინვესტიციო გარემოში.....22გვ
- სახელმწიფო ინვესტიციები.....23გვ
- სახელმწიფო დანახარჯების სტრუქტურა ევოკავშირთან მიმართებაში.....24გვ
- დასკვნა.....32გვ
- გამოყენებული ლიტერატურა.....34გვ

შესავალი

გლობალიზაცია მსოფლიო მასშტაბით პოლიტიკური, ეკონომიკურ-ფინანსური, კულტურული და ტექნოლოგიური ურთიერთობებისა და თანამშრომლობის ზრდა-განვითარებას გულისხმობს. თუმცა, პატარა ქვეყანის გლობალიზებას განსაკუთრებული განვითარების თავისებურებები გააჩნია განსხვავებით მსხვილი ეკონომიკისა და ძლიერი პოლიტიკური გავლენის მქონე სახელმწიფოებისგან, შესაბამისად, გარდა ობიექტური ფაქტორებისა, ამ პროცესს განაპირობების მთელი რიგი სუბიექტური ფაქტორებიც, რომლებიც დაკავშირებულია მსგავსი ქვეყნების შეფასებასთან საერთაშორისო სისტემებში.

როგორც ცალკეული ქვეყნის, ასევე საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციებისა და ბიზნეს-კორპორაციების გადმოსახედიდან ამა თუ იმ პარამეტრით განსაზღვრული სისტემის ფარგლებში პატარა სახელმწიფოს მიერ დაკავებული ადგილი ფაქტობრივად მასზე გარკვეულ წარმოდგენასა და სტერეოტიპს ქმნის მასთან თანამშრომლობით დაინტერესებული ცალკეული პირებისთვის, ორგანიზაციებისთვის, საერთაშორისო კორპორაციებისა და ქვეყნებისთვის. თუმცა ამა თუ იმ ქვეყნის შეფასება კონკრეტულ სისტემაში შეიძლება იყოს ცალმხირივი და არათავსებადი ვინაიდან მოცემული სისტემა დაფუძნებულია ვიწრო, ცალკეულ პარამეტრზე და არ არის კომპლექსური.

საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა მიმართულებების წარმატებული გლობალიზების პროცესში ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მის საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასა და მათთან თანამშრომლობას. ვინაიდან ეს ორგანიზაციები კარნახობენ ქვეყანას მრავალი მიმართულებით გლობალურ არსებულ სტანდარტებს, რასთან გათანაბრებაც მისი გლობალიზაციის ზოგად დონესა და ხასიათს განსაზღვრავს.

ნებისმიერი პატარა ქვეყნის ხელისუფლება გლობალიზაციის პროცესში თავისი განვითარების პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად სახელმძღვანელოდ ირჩევს

მსგავსი ქვეყნების პარამეტრებს შეფასებას გლობალურ სისტემაში. ამის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია გლობალური პროგრესის ისეთი პარამეტრებთ ანალიზი, რომლებიც ობიექტურად ასახავენ საქართველოს როგორც პატარა ქვეყნის მოთხოვნილებებსა და დაბრკოლებებს განვითარებაში.

გამომდინარე აქედან წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ პარამეტრებზე:

- სოციალურ-ეკონომიკური: სადაც გაერთიანებულია მოსახლეობის ცხოვრების ზოგადი დონე, ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.
- განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები; მაღალტექნოლოგიური მიღწევები და გამოწვევები, განათლების ზოგადი დონე და ინოვაციები.
- საინვესტიციო გარემო და ეკონომიკური მდგრადობა.

მეთოდოლოგია:

წინამდებარე სასემინარო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციების გაცნობა-გაანალიზება და სამომავლო პერსპექტივების განხილვა. შესაბამისად, საკვლევი კითხვებია: როგორ და რა სახით მიმდინარეობს საქართველოში სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესი და რა სამომავლო პერსპექტივები ესახება ქვეყანას ახლო მომავალში.

წარმოდგენილი სემინარი ეფუძნება საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, ასევე სახელმწიფო უწყებების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებს და არსებული ლიტერატურის მიმოხილვას. მასალა შეგროვებულ იქნა მიზანმიმართულად ხელით ძებნისა და ელექტრონული საძიებო სისტემების გამოყენებით.

საძიებო ცნებებად გამოყენებულ იქნა შემდეგი საკვანძო ტერმინები: ცხოვრების დონე, ჰუმანური განვითარების ინდექსი, სიცოცხლის ხანგრძლივობა, განათლების დონე, სოციალური პოლიტიკა, საგანმანათლებლო სისტემა, ტექნოლოგიური ინოვაციები, ბაზარი, მსოფლიო ინვესტიციები და საქართველოს საინვესტიციო გარემო და სხვა.

მასალაზე მუშაობის პროცესში მოძიებულ და დამუშავებულ იქნა შემდეგი სახის ლიტერატურა:

- საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ანგარიშები
- საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები

მოძიებული ლიტერატურა გაანალიზებულ იქნა დესკრიპტული, სტრუქტურული და შედარებითი ანალიზის მიდგომების გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები

გლობალიზაცია - ურთიერთობათა სისტემა, რომლის ფარგლებშიც მსოფლიოს წამყვან მოთამაშეს და/ან მოთამაშეთა ჯგუფს (უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლების მეშვეობით) შეუძლია(თ) ისეთი პროცესების ინიცირება და მათზე ამა თუ იმ სახით გავლენის მოხდენა, რომლებიც საბოლოო ჯამში განაპირობებენ საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციებს მსოფლიოს მასშტაბით. (http://www.nplg.gov.ge, 2018)

ცხოვრების დონე - ცხოვრების დონის ქვეშ იგულისხმება მოსახლეობის უზრუნველყოფა მატერიალური, სულიერი, სოციალური დოვლათითა და საცხოვრებელი პირობებით, ანუ იგივეა, რაც მოხმარების მიღწეული დონე და ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი. ცხოვრების დონე დამოკიდებულია მრავალ რთულ და განსხვავებულ გარემოებებზე: ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, ისტორიულ, ეროვნულ თავისებურებებზე, ბუნებრივ პირობებზე. (http://www.nplg.gov.ge, 2018)

ჰუმანური/ადამიანური განვითარების ინდექსი - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ინდიკატორია, რომელიც 1990 წლიდან ქვეყნდება ადამიანის განვითარების ანგარიშის ფარგლებში. გამოყოფილია სამი ძირითადი არჩევანი/საშუალება, რომელიც უნდა გააჩნდეს ადამიანს შესაძლებლობების განვითარებისთვის: განათლება, ჯანმრთელობა და ღირსეული ცხოვრებისთვის საკმარისი შემოსავალი. ეს სამი კომპონენტი უშუალოდ ადამიანის განვითარების ინდექსის შემადგენელი ნაწილია. (http://css.ge, 2018).

სოციალური პოლიტიკა - მოიცავს დასაქმების ხელშეწყობას, სოციალურ დაცვას, ხელმძღვანელობასა და მუშაკებს შორის დიალოგს, ადამიანურ რესურსთა განვითარებას და სეგრეგაციასთან ბრძოლას. (http://www.nplg.gov.ge, 2018)

ინოვაცია - ახალი, ეფექტიანი პროდუქტის (მომსახურეობის) მიღების, მათი წარმოების წესის და შემდგომში შიგა და საგარეო ბაზარზე რეალიზაციის პროცესის შედეგია. იგი არის შემოქმედებითი პროცესის დამასრულებელი ეტაპი მისი პრაქტიკაში განხორციელების თვალსაზრისით. თუ შემოქმედება გულისხმობს სიახლის შექმნას, ინოვაციის შინაარსში იგულისხმება შექმნილი სიახლის პრაქტიკაში გამოყენება. ამდენად, როგორც სამეცნიერო-საწარმოო ციკლის საბოლოო შედეგი, იგი განიხილება ინოვაციური პროცესებიდან მოუწყვეტლივ. (http://www.nplg.gov.ge, 2018)

ინვესტიციები - სიტყვა ინვესტიცია ლათინური წარმოშობისაა (investire - შემოსვა) და ნიშნავს კაპიტალის ხანგრძლივ დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოებში. ამასთან არსებობს ინვესტიციების მრავალი განმარტება, კერძოდ, უილიამ შარპისა და მისი თანაავტორების აზრით, ინვესტიცია ეს არის „ ფულთან განშორება დღეს, ხვალ უფრო მეტის მიღების მიზნით“. ხოლო რუსი მეცნიერის, ა.ს. სელიშევის განმარტებით ინვესტიციები არის დანაზოგის გამოყენება ძველის აღსადგენად და ახლი საწარმოო სიმძლავრეების და სხვა კაპიტალური აქტივების შექმნის მიზნით. სხვა სიტყვებით, ეს არის მზა პროდუქციის ნაკადი, რომელიც გამოიყენება გარკვეულ პერიოდის განმავლობაში ეკონომიკაში ძირითადი ფონდების შენარჩუნებისა და გაზრდისათვის. (http://www.nplg.gov.ge, 2018)

საქართველოს ადგილი გლობალიზებულ მსოფლიოში ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ 2017 წელს წარდგენილი ანგარიში აღწერს თუ რა შედეგებს მიაღწია საქართველომ ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენელის ნილს სკოტის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ჰუმანური განვითარების ანგარიშებში წამოჭრილი ბევრი საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, სადაც შემოსავლების არათანაბარი განაწილება რეგიონში ყველაზე მაღალია. საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს ჰუმანური განვითარების ინდექსი იკლებს 12.2 პროცენტით.

ანგარიშში დასაბუთებულია, თუ რატომ იზრდება უთანასწორობასთან დაკავშირებული შეშფოთება და აღწერილია ის რეფორმები და საპროგრამო ნაბიჯები, რომელთა განხორციელება აუცილებელია ამ გამოწვევასთან გამკლავებისათვის.

საქართველო 70-ე ადგილზეა 188 ქვეყანასა და ტერიტორიას შორის. მისი ჰუმანური განვითარების 2015 წლის ინდექსი (0.769) უსწრებს მაღალი ჰუმანური განვითარების მქონე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (0.746) და ევროპისა და შუა აზიის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (0.756). ევროპისა და შუა აზიის ქვეყნებში საქართველოსთან ახლოს არიან სომხეთი და ბოსნია ჰერცოგოვინა, რომელთა პოზიცია HDI რეიტინგში შესაბამისად 84 და 81-ია.

ცხრილი №1. 2015 წლის ჰუმანური განვითარების ინდექსის მაჩვენებლები

ადგილი	ქვეყანა	HDI - მაჩვენებელი	სიცოცხლის ხანგრძლივობა	განათლების დონე / სწავლების ძირითადი საშუალო წლები	მშპ ერთ სულ მოსახლეზე
უმაღლესი					
1.	ნორვეგია	0,949	81,7	12,7	67 614
2.	ავსტრალია	0,939	802,5	13,2	42 822
51.	ქუვეითი	0,800	74,5	7,3	76 075
მაღალი					
52.	ბელარუსი	0.796	71.5	12.0	15.629
69.	ირანის ისლამური რესპუბლიკა	0,774	75,6	8,8	16 395
70.	საქართველო	0,769	75,0	12,2	8 856
71	თურქეთი	0,767	75,5	7,9	18 705
დაბალი					
107.	მოლდოვა	0,699	71,7	11,9	5 026
დაბალი					
188.	ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	0,352	51,5	4,2	587

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც ცხოვრების დონეზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს ჯანდაცვაზე დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც წარმოდგენილია დიაგრამის სახით.

ჯანდაცვაზე დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში (ლარი)



წყარო: საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია - WHO და საქართველო.

საქართველო ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაში 1992 წელს გაერთიანდა მიეკუთვნება ევროპის რეგიონს, რომელიც აერთიანებს 52 წევრ-სახელმწიფოს. საქართველოსა და **WHO**-ს ევროპის რეგიონულ ოფისს შორის მოლაპარაკების საფუძველზე არჩეულია ურთიერთთანამშრომლობის შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- ჯანდაცვის პოლიტიკა;
- ფინანსირება ჯანდაცვაში;

- ძირითად მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მათი რაციონული გამოყენება;
- ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემის გაძლიერება;
- საავადმყოფოთა მართვა;
- კატასტროფებისადმი მზადყოფნა და რეაგირება;
- ინფექციურ დაავადებათა მართვა (ტუბერკულიოზი, აივ-ინფექცია/შიდსი, მალარია, ვაქცინ-მართვადი დაავადებები, და სხვ.);
- საკვები პროდუქტების უსაფრთხოება და ჯანსაღი კვება;
- ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის კონტროლი.

რეგულარული ბიუჯეტით გათვალისწინებული დახმარების გარეშე დამატებითი რესურსების მოძიებით, აგრეთვე ხორციელდება მუშაობა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- არაინფექციური დაავადებების მართვა;
- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა;
- ფსიქიკური ჯანმრთელობა;
- გარემოს დაცვა და ჯანმრთელობა;
- თამბაქოს კონტროლი;
- საგზაო ტრავმატიზმთან ბრძოლა და სხვ.

სოციალური პოლიტიკა

რაც შეეხება სოციალურ პოლიტიკას, საქართველოში საპენსიო პაკეტის და სოციალური პაკეტის მიმღებთა დინამიკა წარმოდგენილია ცხრილის სახით:



საპენსიო პაკეტის და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა						
წლის ბოლოს, კაცი						
	2008	2010	2012[1)]	2014	2016	2017
საპენსიო პაკეტის და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა, სულ	**842246**	**835901**	**856990**	**866170**	**887338**	**898113**
მათ შორის:						
საპენსიო პაკეტის (ასაკით პენსია) მიმღები	658310	662288	682886	697240	720194	732067
სოციალური პაკეტის მიმღები	-	-	174104	168930	167144	166046
აქედან:						
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	137806	138614	122055	123722	125248	125064
მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი	41898	32120	28063	25844	24231	23642

პოლიტრეპრესირებულები	4232	2539	1567	1026	533	343
სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებები	-	-	9464	9707	9626	9885
საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებები	-	-	12724	8533	7463	7080
სხვა	-	340	231	98	43	32
)სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის შესაბამისად, 2012 წლის 1 სექტემბრიდან "საპენსიო პაკეტის" მიმღებთა ჯგუფში ერთიანდებიან მხოლოდ ასაკით პენსიონერები, ხოლო ყველა დანარჩენი - "სოციალური პაკეტის" მიმღებთა ჯგუფში.						
წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.						

საგანმანათლებლო სისტემა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული პოსტსაბჭოური სისტემის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნის მიზნით ბოლო ათწლეულის მანძილზე არაერთი რეფორმა განხორციელდა. პირველი ინტერვენციების გარკვეული დადებითი შედეგების მიუხედავად შემდგომი არათანამიმდევრული პოლიტიკისა და სფეროს არასათანადო დაფინანსების პირობებში სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაწყებული ცვლილებების წარმატებით დასრულება და სისტემის მუდმივი განვითარება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსება მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ასე ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს. განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების წილი 2012 წლის მონაცემებით მთლიანი შიდა პროდუქტის 2.8%-ს

შეადგენდა, რაც დაბალია მსგავსი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებთან შედარებით.

განათლებაზე სახელმწიფოს დანახარჯები იზრდება, თუმცა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში განათლებაზე გაწეული ხარჯების წილი უცვლელი რჩება, უფრო კონკრეტულად კი მშპ-ს 2.8 %-ს არ აღემატება (2016 წ). მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ამ მიმართულებით გაცილებით დიდ თანხებს ხარჯავენ. მაგალითად, შვედეთში, ნორვეგიასა და ფინეთში განათლებაზე მშპ-ს 7%-ზე მეტი იხარჯება. ინგლისის და ამერიკის მშპ-ს 5%-ზე მეტი ეთმობა, გერმანიაში, ხორვატიასა და იტალიაში – 4%-ზე მეტი.



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, განათლებას ერთი ფასი აქვს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის. კავკასიონის ქედს აქეთ მდებარე საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, კულტურის, ფართობის და მოსახლეობის რაოდენობის განსხვავების მიუხედავად, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში თითქმის ერთნაირად იმეტებენ ფულს განათლებისთვის. სამივე შემთხვევაში განათლებაზე დანახარჯები 2-3%-ს შორის მერყეობს.

გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიაციის სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით ქვეყნების მშპ-ში კვლევისა და განვითარების ხარჯები ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

ადგილი	ქვეყანა	მაჩვენებელი	წელი
1.	ისრაელი	4,27	2015
2.	კორეა	4,23	2015
3.	იაპონია	3,28	2015
17.	ჩინეთი	2,07	2015
34.	რუსეთი	1,13	2015
84.	ირანი	0,33	2012
85.	საქართველო	0,32	2015
85.	ნეპალი	0,30	2010
132.	ერაყი	0,04	2015

კვლევისა და განვითარების ამ მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში არახელსაყრელი მდგომარეობაა სამეცნიერო განვითარებისათვის და განათლება ნაკლებ პრიორიტეტულია ქვეყანაში.

თუმცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა სტრატეგიული პრიორიტეტები რაც მოიცავს:

- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სისტემის განვითარებას;

- განათლების სისტემაში თანასწორობის, ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფას;
- განათლებისა და მეცნიერების ხარისხის გაუმჯობესებას შედეგზე ორიენტირებული ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის სისტემების სრულყოფით;
- საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტონომიურობისა და ინსტიტუციური მუდმივი განვითარების უზრუნველყოფას;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემაში ყველა დონეზე ჩართული ადამიანური რესურსების განვითარებას;
- საზოგადოების ჩართულობისა და სოციალური პარტნიორობის გაძლიერებას;
- განათლებისა და მეცნიერების მართვის სისტემის სრულყოფას;
- განათლებისა და მეცნიერების სისტემის დაფინანსების გაზრდა და დაფინანსების მოდელების ოპტიმიზაციას.

საერთაშორისო ორგანიზაციები და საქართველო

გაერო UN საქართველო გაეროში გაწევრიანდა 1992 წლის 31 ივლისს. იგი გაეროს მიიჩნევს, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის სუბიექტს, უსაფრთხოების გარანტსა და დაცვას. საქართველო გაეროსთან მუშაობს ისეთ უმნიშვნელოვანეს ძირითად საკითხებზე, როგორიცაა მშვიდობისთვის ბრძოლის გლობალიზაცია და ლიბერალიზაცია, ატომური განიარაღება, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების კონტროლი რეგიონულ და ქვერეგიონულ დონეზე, ადამიანის უფლებათა დაცვა და ა შ. საქართველოში ამჟამად მოქმედი გაეროს სააგენტოების მოღვაწეობა შემდეგ სფეროებს მოიცავს: ეკონომიკური განვითარება, გარემოს დაცვა, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების უნარის გამომუშავება, კანონის უზენაესობის განმტკიცება, კონფლიქტების მოგვარება, სამშვიდობო შეთანხმებების მონიტორინგი,

ჰუმანიტარული დახმარება და ასევე ჯანდაცვისა და განათლების სექტორების დახმარება. დახმარების ერთიანი მოდელის არსებობის გამო გაეროს სააგენტოების დღევანდელი მოღვაწეობა ურთიერთშეთანხმებულია და თანამშრომლობის პრინციპს ემყარება.

საქართველო, ისევე როგორც ორგანიზაციის სხვა წევრები, მოქმედებს სუვერენული თანასწორობის პრინციპით. კეთილსინდისიერად ასრულებს წესდებით ნაკისრ ვალდებულებებს, რათა უზრუნველყოს ორგანიზაციის წევრობიდან გამომდინარე უფლებანი და უპირატესობანი.ა.შ.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) - დაარსდა 1995 წლის 1 იანვარს ქ. ჟენევაში, შვეიცარიაში. დღეს იგი 148 წევრ ქვეყანას აერთიანებს, რომელთა წილად მოდის საერთაშორისო ვაჭრობის 95 პროცენტზე მეტი.

1996 წელს საქართველომ გაწევრიანების თხოვნით მიმართა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას. გაერთიანების ოქმს ხელი მოეწერა 1999 წლის 6 ოქტომბერს, ხოლო პარლამენტის მიერ ამ აქტის რატიფიკაციის შემდეგ 2000 წლის 14 ივნისიდან საქართველო გახდა WTO-ს სრულფასოვანი 137-ე წევრი.

WTO-ში გაწევრიანების შედეგად:

- გაძლიერდა საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში;
- WTO-ს შეთანხმებებთან მიერთებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზა უფრო ჰარმონიზებული გახდა ევროპულთან, რაც აუცილებელი პირობაა ევროკავშირში ინტეგრირების სტრატეგიული მიზნის მისაღწევად;
- საერთაშორისო ბაზარზე გაუმჯობესდა პირობები საქართველოს საექსპორტო პრიდუქციისთვის. ქართველი მეწარმეები დაცულნი გახდნენ ამ ბაზრებზე დისკრიმინაციისგან WTO-ს მრავალმხრივი შეთანხმებებით;

- საქართველომ მიიღო საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის სფეროში წამოჭრილი სადავო საკითხების სამართლიანი და ობიექტური გადაჭრის საშუალება;
- გაუმჯობესდა გარემო უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის, რადგან ინვესტორს გრძელ ვადაზე პროგნოზირებადი სავაჭრო პოლიტიკის გარანტია გაუჩნდა, ხოლო ქართულ პროდუქციას გაეხსნა საგარეო ბაზრები;
- საქართველომ მიიღო სრულფასოვანი წევრის ხმა WTO-ს ორმხრივ და მრავალმხრივ მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი - არის საერთაშორისო ორგანიზაცია 184 წევრი სახელმწიფოთი (მათ შორის საქართველოც), რომელიც შეიქმნა საერთაშორისო მონეტარული თანამშრომლობის, გაცვლითი კურსის სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით და მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს წევრი ქვეყნებისთვის დროებითი ფინანსური დახმარების გაწევა საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესების მიზნით.

IMF-ი ძირითადად კონცენტრირებულია წევრი ქვეყნების მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც მოიცავს ერთობლივ დანახარჯებს, შემოსავალს, დასაქმების დონეს, ინფლაციის დონესა და ქვეყნის საგადამხდელო ბალანსს.

IMF-ი ყურადღებას ამახვილებს მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემდეგ ასპექტებზე:

- საბიუჯეტო პოლიტიკა - არგებლის განაკვეთთან დაკავშირებული ღონისძიებები;
- ფულადი-საკრედიტო პოლიტიკა - გაცვლითი კურსის დონე და ფინანსურ სექტორთან დაკავშირებული ღონისძიებები;
- სხვა პოლიტიკები - როგორიცაა ბანკების რეგულირება, ზედამხედველობა და სხვა.

სსფ -ი აგრეთვე ყურადღებას აქცევს სტრუქტურულ პოლიტიკას, რომელიც მოიცავს შრომის ბაზართან დაკავშირებულ ღონისძიებებს. სსფ თითოეულ წევრს აძლევს რჩევას, თუ როგორ შეიძლება მათ მიერ არჩეული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გაუმჯობესება, რათა უფრო ეფექტიანად იქნეს მიღწეული ისეთი მიზნები, როგორიცაა დასაქმების მაღალი დონე, დაბალი ინფლაცია და ეკონომიკური ზრდა

საექსპორტო და საიმპორტო საქონლის შედარებითი ანალიზი

გაეროს ინდუსტრიული განვითარები ორგანიზაციის (UNIDO) მიხედვით საშუალო და მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტში ქვეყნების რეიტინგით საქართველოს 57-ე ადგილი უკავია ბრაზილიის (55-ე) და ლიტვის (56-ე) შემდეგ და ჩამოიტოვებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა პორტუგალია (58-ე) და უკრაინა (64-ე).

საშუალო და მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი, ქვეყნების რეიტინგი.

№	ქვეყანა	მაჩვენებელი	წელი
1.	კონგო	0,94	2015
2.	ბრუნეი	0,83	2015
3.	მექსიკა	0,80	2015
57.	საქართველო	0,40	2015
117.	სომხეთი	0,10	2015
138.	ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	0,01	2015

წყარო: https://www.indexmundi.com/facts/indicators/TX.MNF.TECH.ZS.UN/rankings

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები 2014-2015 წლებში

Major export commodity positions in 2014-2015

სასაქონლო პოზიციები*	2014		2015		Commodity positions*
	მლნ. აშშ დოლარი	ტონა	მლნ. აშშ დოლარი	ტონა	
	Mil. USD	Tons	Mil. USD	Tons	
ექსპორტი, სულ	**2,861.0**		**2,204.7**		**Total Exports**
მათ შორის:					Of which:
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	248.0	187,224.1	270.6	239,628.2	Copper ores and concentrates
ფეროშენადნობები	285.8	269,781.1	194.8	219,231.2	Ferro-alloys
მსუბუქი ავტომობილები (ცალი)	517.8	45,477.0	179.6	18,133.0	Motor cars (units)
თხილი და სხვა კაკალი	183.4	19,933.8	176.6	19,440.1	Hazelnuts and other nuts
სამკურნალო საშუალებები	92.1	2,764.6	141.5	3,329.6	Medicaments
აზოტოვანი სასუქები	137.6	464,279.4	109.8	454,027.8	Mineral or chemical fertilizers, nitrogenous
ყურძნის ნატურალური ღვინოები	180.4	45,930.5	95.8	27,159.9	Wine of fresh grapes
ნედლი ნავთობი	36.2	58,160.8	84.7	240,405.3	Crude petroleum
მინერალური და მტკნარი წყლები	137.1	147,302.7	82.2	102,119.2	Waters, natural or artificial mineral and aerated waters
სპირტიანი სასმელები	95.3	16,528.3	64.9	13,286.9	Spirituous beverages
დანარჩენი საქონელი	947.3		804.1		Other commodities

* საქონელი დალაგებულია 2015 წ. ექსპორტის მიხედვით.

* Commodities are ranged by exports in 2015.

უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეული 2015 წელს (%)

Share of major commodity groups by exports in 2015 (%)



უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო პოზიციები 2014-2015 წლებში

Major import commodity positions in 2014-2015

სასაქონლო პოზიციები*	2014		2015		Commodity positions*
	მლნ. აშშ დოლარი	ტონა	მლნ. აშშ დოლარი	ტონა	
	Mil. USD	Tons	Mil. USD	Tons	
იმპორტი, სულ	**8,601.8**		**7,730.1**		**Total Imports**
მათ შორის:					Of which:
სამკურნალო საშუალებები	314.6	9,356.9	742.2	10,220.1	Medicaments
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	918.4	1,014,011.6	658.7	1,233,562.9	Petroleum and petroleum oils
მსუბუქი ავტომობილები (ცალი)	715.1	96,574.0	468.1	84,578.0	Motor cars (units)
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები	368.5	1,590,499.7	416.1	1,815,538.8	Petroleum gases and other gaseous
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	165.3	219,593.7	207.9	177,834.0	Copper ores and concen-trates
სატელეფონო აპარატები	195.7	928.4	149.0	1,274.5	Telephone sets
ხორბალი	151.8	566,827.0	119.4	538,941.7	Wheat
სიგარეტები	115.5	9,005.6	103.6	8,704.1	Cigarettes
მილები და მილაკები შავი ლითონებისაგან	6.8	4,241.4	72.9	43,489.1	Tubes and pipes of iron
მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან	90.9	36,731.2	63.6	33,490.0	Structures and parts of structures of iron
დანარჩენი საქონელი	5,559.3		4,728.7		Other commodities

* საქონელი დალაგებულია 2015 წ. იმპორტის მიხედვით.

* Commodities are ranged by imports in 2015.

უმსხვილესი საიმპორტო საქონლის ათეული 2015 წელს (%)

Share of major commodity positions by imports in 2015 (%)



წყარო:

http://enterprisegeorgia.gov.ge/files/document/075c6fa3b5e82573b885dc51d8e77f95.pdf

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განაწილება ქვეყნების მიხედვით მლნ აშშ დოლარში

რეგიონი/ეკონომიკა	2015	2016	2017
მსოფლიო	1 921 305,5	1 867 532,7	1 429 807,4
ევროკავშირი	515 866,1	524 010,4	303 579,7
ჩრდილოეთ ამერიკა	511 367,5	494 423,4	299 624,8
კანადა	45 602,5	37 297,4	24 243,8
აშშ	465 765,0	457 126,0	275 381,0
აზია	516 406,9	475 347,4	475 839,2
აღმოსავლეთ აზია	317 755,1	269 778,5	264 515,4
ჩინეთი	135 610,0	133 710,0	136 320,0
ჰონკონგი (ჩინეთი)	174 352,9	117 387,0	104 333,0
დსთ	29 447,1	57 928,9	39 367,1
სომხეთი	178,3	338,1	245,7
აზერბაიჯანი	4 047,7	4 500,0	2 867,0
ბელარუსი	1 667,9	1 237,8	1 276,4
ყაზახეთი	3 859,9	8 097,3	4 633,7
ყირგიზეთი	1 141,9	615,9	93,8
მოლდოვა	226,6	84,1	213,8
რუსეთის ფედერაცია	11 857,8	37 175,8	25 284,0
ტაჯიკეთი	396,5	219,4	141,3
თურქმენეთი	3 043,0	2 243,2	2 313,5
უკრაინა	2 961,0	3 284,0	2 202,0
უზბეკეთი	66,5	133,4	95,8
საქართველო	1 652,5	1 602,9	1 861,9
*წყარო: U*NCTAD, FDI/MNE database (www.unctad.org/fdistatistics).			

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პრეზენტაცია, 2018წ

სახელმწიფო ინვესტიციები

საქართველოში სახელმწიფო ინვესტიციები მიემართება ისეთი მიმართულებით სადაც ბიზნესი არ დებს ფულს და „საბაზრო ჩავარდნის“ რისკი მაღალია ესაა საჯარო სიკეთის მიწოდება და „ექსტერნალები“. ექსტერნალები გამოწვეულია ეკონომიკირი აქტივობით, რომელიც ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობების ორ მხარეზე, (მომთხოვნსა და მიმწოდებელზე), არამედ მესამეზეც. მაგ: ექსტერნალის კარგი მაგალითია გარემოს დაბინძურება. ხშირად სახელმწიფოები ახორციელებენ შემზღუდველ პოლიტიკას გარემოსდაცვითი რეგულაციების დაწესებით; გარდა ამისა, მთავრობამ შესაძლოა ჩადოს დამატებითი ინვესტიციები ტექნოლოგიების განვითარებასა და ინფრასტრუქტურაში, რომლებიც შეამცირებენ გარემოზე ეკონომიკური აქტივობების ნეგატიურ გავლენას.

სახელმწიფო ინვესტიციები, ასევე ეხება საჯარო სიკეთეებსაც. საჯარო სიკეთეების მაგალითებია: თავდაცვა, საჯარო შეკრების ადგილები, საკანალიზაციო სისტემების

გამართულობა, გზები და სხვა. მაგალითად, ბიზნესი არ დებს ფულს სახარო, საკეთილდღეო საქმეებში, რადგან მისგან პირდაპირი მოგების მიღების შესაძლებლობა ნაკლებია. შესაბისად, სახელმწიფო ახორციელებს ინვესტიციებს, მაგალითად, აშენებს პარკებს და აფინანსებს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას, რადგან ამით ხელს უწყობს ადამიანების ჯანმრთელობას და სოციალურ სტაბილურობას.

კიდევ ერთი საბაზრო ჩავარდნა, რომელზეც აქტიურად საუბრობენ თანამედროვე ეკონომისტები, არის ის, რომ რისკიან და ქვეყნის ეკონომიკისთვის ახალ აქტივობებში, ბიზნესი იჩენს ნაკლებ ინიციატივას და ფრთხილობს ინვესტიციების ჩადების კუთხით. ამიტომაც, მთავრობის ინვესტიციები მიმართულია რისკიანი ეკონომიკური პროექტების დაფინანსებაზე. მაგალითად, საქართველოში ამგვარ სექტორად შეიძლება განვიხილოთ ქარის ელექტრო სადგურები, რომლის მშენებლობა დააფინანსა საქართველოს ენეგეტიკის განვითარების ფონდმა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერით. მანამდე კერძო ბიზნესს არ გამოუჩენია დიდი ინტერესი ამ სფეროს მიმართ, თუმცა მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ გადადგა ნაბიჯები ამ მიმართულებით, ბიზნესის მხრიდან გაჩნდა დაინტერესება სფეროში ინვესტირების მხრივ.

სახელმწიფო დანახარჯების სტრუქტურა

ქვემოთ აღწერილია, თუ როგორია მთავრობის დანახარჯების სტრუქტურა ევროპაში და რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში. პირველ რიგში, ყურადღება იმსახურებს სახელმწიფო დანახარჯების სტრუქტურა მშპ-სთან მიმართებაში. როგორც დიაგრამიდან ჩანს, მშპ-სთან მიმართებაში ყველაზე დიდი დანახრჯები მოდის სოციალურ დაცვაზე. საქართველოში ეს დანახარჯი 7.1%-ს შეადგენს,

ევროკავშირში სოციალურ დაცვაზე გაწეული ხარჯების საშუალო მაჩვენებელი 19.2%-ს შეადგენს. მნიშვნელოვანი განსხვავებაა ჯანმრთელობაზე გაწეულ ხარჯებშიც, საქართველოში ეს მაჩვებელი 2.9 %-ია, ევროკავშირში კი 7.2%-ს აღწევს.



წყარო: შედგენილია ფინანსთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 2016 წ.



წყარო: Eurostat

ასევე საინტერესოა დავინახოთ განსხვავება ბიუჯეტის ხარჯვის მიმართულებით. საქართველო სახელმწიფო ბიუჯეტის 7.7%-ს ხარჯავს თავდაცვაზე, ევროკავშირში

საშუალო მაჩვენებელი 2.9%-ია. ევროკავშირში, საზოგადოებრივ წესრიგზე და უსაფრთხოებაზე დახარჯული თანხების ბიუჯეტის მაჩვენებელი 3.7%-ია, საქართველოში 10.7%-ი. გამოდის, რომ საქართველოში, თავდაცვაზე და საზოგადოებრივ წესრიგში დახარჯული თანხები რამდენჯერმე აღემატება ევროპულ საშუალო მაჩვენებელს. ევროკავშირი ორჯერ მეტს ხარჯავს გარემოს დაცვაზე და საბინაო-კომუნალური მეურნეობაზე, ვიდრე საქართველო. ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული საბიუჯეტო ხარჯი საქართველოში 10.4%-ია, ევროკავშირის საშუალო კი – 15.2%-ი. ევროკავშირში მაღალია სოციალურ დაცვაზე გაწეული ხარჯებიც და ეს მაჩვენებელი 40.6%-ია, საქართველოში სოციალურ დაცვაზე ბიუჯეტის მხოლოდ 25.6%-ია. ევროკავშირში განათლებაზე გაწეული ხარჯი ბიუჯეტის 10.3%-ია, საქართველოში კი – 10.9%-ი. ბალტიისპირეთის ქვეყნებში განათლებაზე გაწეული საბიუჯეტო ხარჯები შემდეგი სახით გამოიყურება: ლიტვა (15.4%), ლატვია (16.2%) და ესტონეთი (15.1%).





წყარო: მომზადებულია ფინანსთა სამინისტრო და Eurostat-ის მონაცემების მიხედვით, 2016 წ.

არსებობს სახელმწიფო დანახარჯების ანალიზის სხვა პერსპექტივაც, რომელიც მოიცავს შემდეგი სახის ეკონომიკურ ტრანზაქციებს: მთლიანი კაპიტალის ფორმირება, სოციალური უზრუნველყოფა (მათ შორის ბენეფიტები და ტრანსფერები), სახელმწიფო ვალის პროცენტი და სუბსიდიები. სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები ევროპაში 45%-ია, საქართველოში 32.2 %-ია. შრომის ანაზღაურებაზე კი ევროკავშირში საბიუჯეტო დანახარჯები 5.5%-ით მეტია.



წყარო: Eurostat-ი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2016 წ



წყარო: theglobaleconomy

საინტერესოა, კიდევ ერთი ინდექსი რომელიც გვიჩვენებს საბოლოო სახელმწიფო მოხმარების წილს მშპ-ში. ბოლო წლებში როგორც მმართველი ძალა, ასევე ოპოზიცია

აქცენტს აკეთებდა სახელმწიფო დანახარჯების შემცირებაზე. თუმცა, როგორც ზემოთ მოცემული ორი დაიგრამიდან ჩანს, არც ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯით და არც სხვა მაჩვენებლებით, საქართველოში სახელმწიფო დანახარჯები და მოხმარება არ არის დიდი. მეტიც, საქართველოში სახელმწიფო საბოლოო მოხმარება მშპ-სთან მიმართებაში 2015 წელს 16.5 პროცენტს შეადგენდა და როგორც დიაგრამიდან ჩანს, ჩამოუვარდება როგორც ჩვენი მეზობელი რუსეთის, ასევე პოსტ-საბჭოთა ესტონეთისა და ნორდიკული ფინეთისა და დანიის მაჩვენებლებს.

სახელმწიფო ინვესტიციებს მნიშვნელოვანი როლი უკავია ქვეყნის ეკონომიკურ განვითრებაში. კერძოდ, სახელმწიფო ინვესტიციები მიმართულია საჯარო ინფრასტრუქტურისა და გრძელვადიანი და ზოგჯერ რისკიანი პროექტების დაფინანსებისკენ, რომლებიც ხელს უწყობენ საყოველთაო კეთილღდეობას, სახელმწიფო ინვესტიცებს ასევე გააჩნიათ ანტი-ციკლური/ ანტი-კრიზისული ფუნქციაც. საჯარო ინვესტიციების შეფარდება მშპ-სთან საქართველოში 2016 წელს 4%-ს აღწევს. კაპიტალური დანახარჯები ყველაზე დიდი იყო 2006-2007 წლებში და 10%-ს აჭარბებდა. 2008 წლის შემდგომ იწყება კლება და როგორც დიაგრამაზე ჩანს ყველაზე ნაკლები დანახარჯები მიმდინარე წელს არის ნავარაუდევი, თუმცა, შემდგომში, მასშტაბური ინფრასტრუქტული პროექტებიდან გამომდინარე იგეგმება სახელმწიფო ინვესტიციების ზრდა.



წყარო: აღებულია ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული პრეზენტაციიდან

მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარებასა და სახელმწიფო დანახარჯების შემცირებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ არსებობს. მეტიც, ევროკავშირში საშუალო სახელმწიფო დანახარჯების წილი მშპ-ში 16%-ით აჭარბებს საქართველოს მაჩვენებელს. შრომის ანაზღაურებაზე გაწეული საბიუჯეტო ხარჯები ევროკავშირში 5.5% მეტია საქართველოს მაჩვენებელთან შედარებით. ამასთან, საბოლოო სახელმწიფო მოხმარების კუთხით, საქართველო ჩამორჩება როგორც მეზობელ რუსეთს, ასევე ესტონეთს და ბუნებრივია, მაღალგანვითარებულ ქვეყნებსაც, სადაც სახელმწიფო დანახარჯები მაღალია.

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველო ბიუჯეტიდან ბევრს ხარჯავს თავდაცვაზე და საზოგადოებრივ წესრიგზე, თუმცა, ნაკლებ ყურადღებას უთმობს ჯანდაცვას და სოციალურ დაცვას. ჯანდაცვაზე გაწეული საბიუჯეტო დანახარჯების წილი საქართველოში 10.4%-ია, ხოლო ევროკავშირის საშუალო მაჩვეებელი 15.2%-ი. ევროკავშირში მაღალია სოციალურ დაცვაზე გაწეული ხარჯებიც და ეს მაჩვენებელი 40.6%-ია, საქართველოში სოციალურ დაცვაზე ბიუჯეტის მხოლოდ 25.6%-ია. ეს მონაცემები აქტუალურია, საქართველოს მთავრობის მიერ ჯანდაცვის საყოველთაოობის კუთხით უკან გადადგმული ნაბიჯების კონტექსტში. თუ ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს შევადარებთ, საქართველო განათლებაში არ ხარჯავს მცირე თანხას, თუმცა, თუ შედარებას გავაკეთებთ ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, ისინი საშუალოდ 5%-ით უფრო მეტს ხარჯავენ ამ მიმართულებით. მოშლილი განათლების სისტემისა და ამ სფეროს აქტიური კომოდიფიკაციის პირობებში, განათლების ხარჯების ზრდა საქართველოს მთავრობის დღის წესრიგში უნდა დადგეს. და ბოლოს, მონაცემებზე დაკვირვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ინვესტიციები დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა საქართველოში ფიქსირდებოდა იმ წლებში, როცა სახელმწიფო ინვესტიციები იყო მაღალი. ევროპის ცენტრალური ბანკის

რეკომენდაციების მიხედვითაც, სახელმწიფო ინვესტიციებს შეუძლიათ დადებითი როლი ითამაშონ საერთო მოთხოვნისა და ეკონომიკის ზრდაზე.

ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პრეზენტაცია, 2018წ

დასკვნა:

- სოციალურ - ეკონომიკური ცხოვრების დონით, მოსახლეობის წლიური შემოსავლებით და მსყიდველობითი უნარიანობით საქართველოს გლობალური თვალსაზრისით 2017 წლის GDP-ის მონაცემებით 112 ადგილი უკავია, ხოლო მსგავსი მასშტაბის ქვეყნებთან შედარებით მას შუალედური ადგილი უკავია.

- ქვეყნის გლობალიზებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საგანმანამათლებლო სფეროს მსოფლიო სტანდარტებთან შეთავსება და მისი თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიებით გამდიდრება. მიუხედავად, საგანმანათლებლო სისტემის ყველა საფეხურის ხშირი რეფორმირებისა ქვეყანამ ვერ შეძლო რეფორმების შედეგიანად გატარება, რაც აისახება ქვეყნის მაჩვენებლებზე ზოგადი, პროფესიული თუ უმაღლესი განათლების არაეფექტურობასა თუ სისუსტეზე. ამას გააჩნია როგორც ისტორიული სიციალურ-პოლიტიკური საფუძველი, ასევე განათლებაში ჩადებული სახელმწიფო თანხებისა და და კერძო ინვესტიციების სიმწირე. ამასთან არსებობს ხშირი წარმატებული გლობალური მრავალმხირივი თანამშრომლობის შემთხვევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან და წარმატებული რეფორმებიც განათლების ამ საფეხურზე.

- ზოგადი საინვესტიციო გარემოს კუთხით საქართველო მიმზიდველი ქვეყანაა, რაც აისახება ბიზნესის კეთების სიმარტივეში, სახელმწიფოსგან შეზღუდვებისა და გადასახადების შემცირება-ლიბერალიზებაში, თუმცა ქვეყანა არასტაბილურ, კონფლიქტურ რეგიონში მდებარეობს, რაც მსხვილი ინვესტიციების მოზიდვას უქმნის დაბრკოლებას.

- მნიშვნელოვანია როგორც რეგიონული, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობა ქართულ სამოქალაქო სექტორთან და უშუალოდ მოქალაქეებთა, რაც გამოიხატება როგორც მცირე ასევე მსხვილი

გრანტების მრავალი მიმართულებით გადანაწილებაში. აღნიშნული პირდაპირ კავშირშია ქვეყნის პოლიტიკური კუთხით დემოკრატიზაციასთან, ეკონომიკური კუთხით საბაზრო ეკონომიკის ხელშეწყობასთან და ინდივიდუალური მეწარმეობის განვითარებასთან. განათლების კუთხით გაწეული დახმარება ზრდის კვალიფიციური კადრების რაოდენობას, საბოლოოდ კი ჯანსაღი კონკურენტ უნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას.

- საქართველო გამოირჩევა ტექნოლოგიურ საქონელზე არჩევანის მრავალფეროვნებით ბაზარზე, თუმცა არა როგორც მწარმოებელი, არამედ მომხმარებელი. რაც შეეხება ტექნოლოგიებსა და თავისუფალ ინფორმაციას, როგორც ფინანსურად ასევე ტექნიკურად მოსახლეობისთვის დიდწილად ხელმისაწვდომია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://hdr.undp.org/en/countries/profiles/GEO
2. http://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/presscenter/pressreleases/2017/04/11/undp-presents-global-and-regional-human-development-reports-.html
3. http://www.moh.gov.ge/uploads/files/2017/angarishebi/1.pdf
4. https://www.numbeo.com/health-care/in/Tbilisi
5. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=199&lang=geo
6. http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/country_profile/profile.jsp?code=GE
7. https://www.country-index.com/country_surveys.aspx?ID=33
8. https://atlas.media.mit.edu/en/profile/country/geo/#Exports
9. http://hdr.undp.org/sites/all/themes/hdr_theme/country-notes/GEO.pdf
10. http://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf
11. https://1tv.ge/analytics/sakhelmwifo-danakharjebi-saqartvelosa-da-evrokavshirshi/
12. https://tradingeconomics.com/
13. http://progressive.ge/library-pdf.php?ID=46
14. https://www.theglobaleconomy.com/rankings/GDP_per_capita_PPP/
15. https://mof.ge/ekonomikuri_analizi
16. https://mof.ge/4748
17. https://www.indexmundi.com/facts/indicators/GB.XPD.RSDV.GD.ZS/rankings
18. United Nations Industrial Development Organization (UNIDO), Competitive Industrial Performance (CIP) database
19. http://www.unctad.org/en/Pages/DIAE/World%20Investment%20Report/Annex-Tables.aspx
20. http://forbes.ge/blog/273/postsabWoTa-qveynebis-Sedareba
21. http://blog.ug.edu.ge/ge/post/countries-compared-by-scientific-productivity